

05  
2-73

114  
1928

საქართველოს  
საგარეო საქმეთა

# მედიკალი

11-12 114



29. 413

ყოველთვიური მხარჯი და დიპლომატიური  
მედიკალი პუბლიცისტიკური უწყისი

4

ქალიშვილი მესხი

თეიმურაზ-ლავროვი

საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი 1928



მხატვრული ლიტერატურა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ე კ მ ჯ ა

ეხლა სხვა ტემა გადავდეთ განზე (კი არ დაღონდე!)  
 არწივით თავდასხმა ჰაეროპლანზე მე მომაგონდა.  
 ჩვენ მიუფრინავდით სისხამა დალით ჰაეროპლანით  
 შემოსილიყვენენ კლდეები ჩრდილით ლურჯით და მწვანით.  
 გაჰქრა თუ არა დილის ბინდბუნდი ღამის ჩრდილივით  
 თავს არწივების დაგვესხა გუნდი მწარე წივილით.  
 ეს იყო ბრძოლა რომელსაც შეაკრი მიეცა აზრი  
 ნისკარტი ბასრი, კლანჭები ბასრი თვალებიც ბასრი.  
 მაგრამ რა ძალუძს ფოლადთან სუმბულს? მე მომაგონდა  
 რა ფერის სისხლი ფერავდა ბუმბულს ქარს რომ გაჰქონდა.  
 როგორ არ ვიცი, ამგვარი წვიმა ბრძოლის რას ჰქვია.  
 ძველი არწივი რკინის არწივმა გამოარკვია  
 კლდეები მშვიდი და ობიანი მათი ვედრება.  
 სდგანან. სდუმს თოვლით მშვიდობიანი გადათეთრება.

ან კიდევ აგერ: ბრგე ჯორა-ხარი მაგარი კისრით ბულრობის მღომი.  
 მოულოდნელად ქარივით ჩქარი უხარმახარი დააცხრა ლომი.  
 ღობე გორაზე იყო მაღალი ლომისთვის რაა მუხა ჯაფართა?  
 ერთის ნახტომით ამ სიმაღლეზე კბილებში ხარით ის გადავარდა.  
 რა საჭიროა ლიტერატურა ან გაგრძელება ამბის, მითხარით?  
 თანამედროვე რას შესძლებს ტურა რომ გადავარდეს ხაზაში ხარით?  
 მაგრამ მე ვნახე: ძირს ნიადაგი რომ გამოსცლოდა როგორც ფანტომი  
 ღრილით სძრავდა ჰაერს ჰაერში გემზე ბაწრით რომ აჰყავდათ ლომი.  
 მატარებელიც მოიქრა თუჯის ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე სტოვებს  
 იქ, სადაც მთები ეპყრა ელგუჯას, სად იმავ ფანტომებს  
 უცებ ტრიერის გუგუნს მოისმენს დილა ლაქვარდი და ნამიანი.

იქ, სადაც ძველად ოდით-ოდესმე სთვლემდა კაცია-ადამიანი.  
 ახალახალ გზად დაიწყებს კრთომას ავტომობილი ელვათა მფენი  
 სად მორბელაძეს, რაინდს სოლომონს, ერთხელ ბელტებში წაექცა ცხენი.  
 და სად სიკვდილი მოისხა ქოხმა ის მწუხარება დარჩება გაღმა  
 ქარხნების ბოლი ავა გამოღმა რომ ელექტრონმა იფეთქოს გაღმა.

იქაც, სად საესე არის მითებით ნადარბაზევი ან გუბაზეთი  
 ჰაეროპლანის გაბედითებით მივა რადიო, კინო, გაზეთი.  
 ყველაფერს ძველი ფერი წაერთო რაც კი რომ ახალ დროს შეეჭოქა,  
 რომ ყველაფერი იყოს საერთო ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა.  
 ის შედგარდ ცდილობს ბორკილების ჩამოშორებას  
 ის ხედავს ლაქვარდს, ხედავს მიწას, ხედავს ყვავილებს,  
 მას შრომა აძლევს ჯადოთაგან ხსნასა და შვებას  
 შრომა ბორკილის მოცილებას მას უადვილებს  
 მთის წიაღთაგან თუ ელვარებს თეთრი ნაკადი,  
 წმინდა წვეთებში მისი ისმის სიმღერა ნელი,  
 ის გადიდდება როგორც შრომა მძლავრი,  
 ფერადი გადაეკვრება მავთულები დაუცხრომელი  
 აღფრთოვანება მშენებლობის გზასთან დიდდება  
 როგორც აჩრდილი ყოველგან სჩანს შრომის დიდება.

ბათუმის მზე ჩასავალად ენთო, მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე  
 ცხოვრებისგან დაღალული „დენდი“ ვინმე შემხვდა და მიაშბო ასე:  
 ერთი ქალი—ვერონიკა—ღიალი—მიდიოდა გიაცინტით ხელში  
 ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბალი.  
 ვერონიკას მოსწყენოდა შუბლი, ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა:  
 უცხო ქვეყნად მარტოობის ღრუბლი არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა.  
 მეგობრებში მე ყველაზე ადრე უცხოელ ქალს ახალგაზრდამ, მკრთალი  
 საღამო და თაიგული ვკადრე და ვიგრძენი მშვენიერი ქალი.  
 რა წრის იყო—იკითხავდა ვინა? ვადარებდით ვერონიკეს ნახატს—  
 სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქალაღდს.  
 შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა: აქ ნაცნობი არავინა მკავდა  
 მოწყენილი, მღვრიე ყავახანა ჩემს უმიზნო მარტოობას ჰგავდა.  
 გამოვედი გზად, ბურანში მყოფი ნეეას ედგა შენისლების ბუნდი  
 ქალს ნაზ მხრებზე გადაუგდო თოფი და გარს ერტყა მეგობრების გუნდი.  
 ვერონიკა. ვერონიკა დადგა! აჰ, საით სად! იგი გასცდა ხიდეს  
 რა თქმა უნდა ვერ შენიცნო, რადგან კლასი კლასის წინააღმდეგ მიდის.  
 მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე სადაც მღვრიე ირეოდა ღვარი  
 „უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე ნატარება არის რაღაც გვარი“.  
 გავცქეროდი კაფეებს და კინოს, ვიგონებდი მოგონებათ ნაკადს,  
 როცა ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს და ხელგაშლით ვთამაშობდით ქალაღდს.  
 მეორე დღეს ისევ შემხვდა იგი და მომესმა საუბარი მისი:  
 „საქართველო ეს ზღაპრული მზეა, უკეთესის ბედისაა ღირსი.  
 ამ მხარეზე უფრო მეტი ვიცი იგი უფრო შეიქმნება მშვენი  
 როცა ძალა და უფლება მტკიცე დამყარდება იმ მხარეში ჩვენი.  
 მაგრამ გრძნობა მარტოობის მღვედა, ასე მოხდა—კაცია თუ ბედი“

სალამი და ყვავილები კონა არავისი მახსოვს, ერთის მეტი!  
 ის დღე როგორც ახალგაზრდა მუხა საუცხოვო, ფრიალოზე ნარგი  
 ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო, ყოველ დღეზედ უჩვეულოდ ქარგი.  
 „ვერონიკა“! მსურდა მეთქვა მაშინ, მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რალაც  
 ჩვენ ხომ... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს და ხელგაშლით ვთამაშობდით ქა-  
 ზიზ-შიქიძედალდს.

კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრი ხმით დაიძრა მესამე დღე რუხი.  
 რა თქმა უნდა მე ვიყავი თეთრი, როს თოფების ატყდა ჭახატუხი..  
 ვერონიკა მე ვიცანი გვიან რომ იქეჭა და ამღვრეულ ბოლში  
 მკერდში, გულთან გამიარა ტყვიამ და დავეცი, სისხლიანი, თოვლში.  
 „ვერონიკა!—დავიძახე მაშინ და გაფითრდა ქალის თვალთა ცქერა  
 რალაცასი გახსენება სურდა და, ვერას გზით... და ვერა და ვერა.  
 ან კი როგორ? სხვა სახელიც ერქვა ვერონიკას ხელთ თოფი რომ ეპყრო.  
 ქარხანაში უწოდებდნენ თურმე: გაბედული კალუგელი თებრო.  
 ან კი როგორ? რომანტიულ სახეს და ლამაზ ხელს შრომა აჩნდა დალად.  
 ჩვენ კი... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს  
 და ხელგაშლით ვთამაშობდით ქალაღდს.

ეხლა, „დენდი“ დარაბის, ან „იყიდეთ“ ან „თუ კი“...  
 ყვირის რძის და კარაქის გამყიდველის დუდუკი.  
 ლალი და მოყვარული მუშკოპის მცველია  
 სხვისთვის სასიხარულო—მისთვის ქრუანტელია.  
 გასკდეს გული ბარემის! მისი კაკაფონია.  
 სასწრაფო დახმარების ეტლეს ქროლა ჰგონია  
 მისთვის ხმაა ბარაკის და საწოლის თუნუქი  
 ერბოს, რძის და კარაქის დამტარებლის დუდუკი  
 მისი ამ გამწარების ბედს კიდევ რა ემართა  
 ბალო კომუნარების, ბალო უმუშევართა,  
 სხვას კი დააქვს და დააქვს რძე და თაფლი ნეტარი  
 მშიერს ნება რად არ აქვს დახრას თვითონ ცხედარი?

ოცნება იგივე სინამდვილეა თუ შრომის ხმებით გუგუნებს ჭნარი  
 ელვარე სხივით განათებული უფრო ხელმარჯვედ მიწა დასძარი.

თქვენი წიგნია: ქართველი ქალი მშობლიურ ენას გადაჩვეული?  
 თქვენ გავიწყდებათ მეორე ენა, შრომა, მოძველის ენა გრძნეული  
 როს მსოფლიოში დაისადგურებს თანასწორობა და აღმაფრენა,  
 ექნება ერთი ენა მსოფლიოს, ვინ იცის, იქნებ „ქართული ენა“.

ახალგაზრდობა მომავლის ძალა სწუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული  
 თვითმპყრობელობის საშინელ სუსხში შეურიგებლად ღელავდა გული

და ვერ შელახა ცხოვრების ტალღამ თავისუფლების ფიქრი რჩეული.  
გაგვასალკლდევა იმ უდროობამ აწ რკინადაა გული ქცეული.

ის ხელოვნება კიდევ აღდგება გაანადგურებს ყოველგვარ მტანჯველს/  
ჯერ დაუძრავი მაღალი მთები უცდიან ახალ მიკელ-ანჯელოს.

ვისაც ვანდობდით სიხარულს ჩვენსას ის დიადია, ამალღებულს  
ალარ ვერწმუნოთ მას ამის შემდეგ? ალარ მივანდოთ გული ნთებული?

დღეს კარგი დღეა და სიყვარულით სუნთქავს ტყეველი  
აღგზნებულ გულის ალერსისაა მზე უღეველი  
გავსწიოთ შრომის და პოეზიის სიელვარეში  
მოულოდნელად დღეს აღმოჩენილს ჩვენთვის მხარეში.

როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა და ავჭალაში კიოდა ტურა  
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა თქვენი მხატვრული ლიტერატურა  
ცუდ ვარსკვლავზე ხართ ალბათ შობილი სხვებს კი, პოეტთა ვით ითხოვს წესი  
იმ ტფილისიდან ავტომობილით იმ ავჭალისკენ იწვევს ზაჰესი.

ახალი დროის არგონავტები მიეშურებით კოლხიდის მხარეს  
ოქრო, შენ მაინც არ ათავდები თუ სხვა გრძობები მიაქვს სამარეს.  
ვით ძველი დროის არგონავტები, ვით ძველი დროის არგონავტები  
მიეშურებით კოლხიდის მხარეს ახმაურებით და აზავთებით  
თქვენ არ გაშინებთ ზვირთების ლავა დაბრკოლებანი გარემოისა  
თქვენი ოცნება ნაპირზე ავა არგონავტებო ახალ დროისა.

შენს ხონალდზე ავდარებში მრავალ გრიგალს უბერნია  
ხან უშიწოდ, ხან უზეცოდხ, ან პადოლის გუბერნია.  
დღეს ხერხემალი ღერძი და სული გაუთავებელ ომებთან ომით  
მათ დაამტკიცეს ჯერ თავის სისხლით შემდეგ მედგარი და მძიმე შრომით.  
ჩვენ ჩვენი ქვეყნის მარადისნი არა ვართ მკვიდრნი,  
მაგრამ მანამდის ხომ ჩვენია და ჩვენნაირი  
მაღალი მთების სილამაზე და სიმდიდრენი,  
იშისი ნავთი, ქვანახშირი, ოქრო, ჰაერი.

დეკემბერია. ყინვა. რუსეთი. სუსხი ამძაფრებს წყევლას და კრულვას  
სად ბებტერევის დიდი გენია კვლავ იგონებდა მრავალ ფორმულას.  
უნდა იშრომო და უნდა შექმნა ოცნებებში არ უნდა გაერთო  
მეცნიერება მედგარ შრომასთან ჯაჭვით გააბა და შეაერთო.  
შრომა და შრომა და ისევ შრომა აკადემია და ისტორია  
მის ტვინს მოუვლის და შეინახავს სხეულს კი იწვევს კრემატორია.  
მე ვნახე სოფლად კედლის გაზეთი ოქტომბრის სხივი სხივის ფერებით

აქ ყველაფერი არის: ამინდი, ნაკლი, მიხწევა და ბეხტერევი.  
 გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია მიუდგომელი, გაურკვეველი  
 უჩინარია სანამ სიჩუმით გარემოცული არის ტყე-ველი.  
 მაგრამ როდესაც ყაჩაღურ სტვენით აგრიალდება მინდვრებში ქარი  
 ცეცხლი იფეთქებს, ტყეს მოედება დასწვავს, დანაცრავს, <sup>ე რ ი ე ნ უ ლ ე მ</sup>  
 პანგთა სისწრაფეს და სიმძლავრეს ნუ მომაგონებ ძველი <sup>რ ი ც ხ ე ე ბ ე რ ე ჯ ა</sup>  
 ჩვენ რასაც ვმღერით მას გული მღერის: განუსაზღვრელი თავდავიწყებით.

მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს,  
 აქა-იქ სჩანს დაშთენილი კიდევ ძნა  
 გაენტები მოგონებებს უდარდელს  
 დავიწყება არ იქნა და არ იქნა.  
 ხავერდით ამწვანებულ მდელიოზე  
 ცხენით მივქრი, გული იწვის და ღნება.  
 მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე  
 ამ მინდვრებზე ხვალ რომ დაიბადება.

ეგ ყველა ერთი არ არის ჩემთვის გაეხმაურე გულს მოპაეალო  
 რომ იქ არ დარჩეს არც ერთი ფიქრი საბედისწერო და სავალალო!

ახალი მამა და ძველი შვილი. ოთახში მეფობს სიჩუმე მკვდრული  
 მთლად გაფითრებულ ახალგაზრდა შვილს თავს ადგას მამა გაფითრებული.  
 გარედ მრისხანედ გრიალებს ქარი, მთელი ტემაა თვალწინ გაშლილი  
 ახალი მამა და ძველი შვილი, ახალი მამა და ძველი შვილი.

ეუბნებოდენ — სთქვიო ზღაპარი. ან რა იცოდენ რომ სინამდვილეს შეუვსებია იგი  
 ზღაპარი

და დაუკარგავს ზღაპარს შვენება და უპოვნია ზღვა თანაბარი...  
 რაა ზღაპარი?

აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით ენთება შენი შარავანდედი  
 მტრედისფერ ცაზე სიხარულია, მტრედისფერ ცაზე გამოჩნდა გედი.  
 მზისკენ-ვარდისკენ მისი სხივებით ანთებული და ფრთა-ნათუთქარი  
 ამოსაწუწუნად მიდის ღრუბელი, ლურჯი ფუტკარი  
 ისარივით-ზე აინავარდა და ახმაურდა ცად პროპელერი  
 მზის სადიდებლად გუგუნო ისმის განახლებული მღერის სოფელი.  
 ზეციდან ქვეყნად ეშვება ნისლი ქვეყნიდან ზეცად მიილტვის გული  
 ო, ბუნებაო რა ჯადო არის შენს სიმღერებში დამკვიდრებული.

მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს ცეცხლი მოედოს შრომას და ამაგს  
 ჩემი ერთი ხეც არ დაიწვება: ერთი ხე რაა — ქვეყნად არა მაქვს.  
 ევროპა ვერცხლით აურაცხელით ძუნწ მათხოვარს ჰგავს, დააცხრა ტახტებს  
 მის მდიდარ ჯიბეს თუ არ სწვდი ხელით ხელიდან ის ჯოხს არ გადააგდებს!

რაა იმაზე მეტი სიბრიყვე სიღარიბესთან რომ სიმშვიდეა  
 მისით სიკვდილის კარებთან იყვე და მაინც კვნესდე: ღმერთი დიდია,  
 გამოსულა ტიტველი და ბაზარზე დიდგულობს.  
 ერთი ნემსის შყიდველი ბათმან რკინას კითხულობს.  
 შენ ფოლადივით ცივი თვალებით უცქერ განვლილ გზას და არ ემდური.  
 რად გინდა იყო დიდი პოეტი თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?  
 აქვეყნებ ლექსს თუ თმას გადივარცხნი გამოსვლის უმაღ როგორც შურდული  
 მოგესევთან მარჯვნივ და მარცხნივ და წუთის უმაღ ხარ გაქურდული.  
 უმჯობესია გახდე ყაჩაღი დინამიტისას სწევდე ჩაწყობას  
 ვინემ იტანდე პოეტის ასე დამამცირებელ შეურაცხყოფას,  
 შენ ფოლადივით ცივი თვალებით უცქერ განვლილ გზას და არ ემდური  
 რად გინდა იყო დიდი პოეტი თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?  
 კვლავ მოვარდება ახალი ერა სახელად დიდი მსოფლიო ომი.  
 კვლავ პროპელერის იქნება ბგერა გაზეზით კაცთა სიკვდილის მდომი.  
 მხატვარი ნაწილთ სივრცეში ტრიალს კვლავ ამჯობინებს ერთად მოკრებას  
 გამოუდგება გრგვინვას და გრიალს და ურაგანულ ამობოქრებას.  
 გაილესება იგივე ზვაღი ზვირთთა მოწოლით გრიგალივით მწირ  
 გზაზე დადგება... ორი მრისხანე, ორი პირისპირ.  
 შეაცივდება თვალები თვალებს თვალები თვალში კვლავ დაეფლობა  
 ერთი მეორეს კვლავ გააწვალებს თვალთ დაშორების შეუძლებლობა.  
 მაგრამ ისერიან ელვათ უკმეხი ახალი ლელვა ნამდვილი მზიის  
 კვლავ იმძაფრება მედგარი მეხი მოახლოვებულ რევოლიუციის.  
 მეტეორიტის, ბოლიდის ან მთვარის ნატების დედამიწაზე ჩამოვარდნას ჰგავს  
 ერთი გრძნობა  
 რომელსაც რღვევის კატასტროფის და გარდატეხის წყურვილით სავსე ჩემი  
 გული ელის, ენდობა!  
 ახალი ხანა რამ შეატოკა?  
 მკითხავენ: „როდის დამთავრდება თქვენი „ეპოქა“?  
 ვუპასუხებ:  
 ეპოქა დამთავრდება მსოფლიო რევოლიუციის მოხდენის  
 დღესავე  
 მე მისი გული ვარ და მონათესავე.



ლეღვა პლიაუზი

(სურათი)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ზღვა ბობოქრობდა; მკაცრი ნორდოსი  
სახურავებზე სცემდა ჩაქუჩებს;  
ცივი ცრემლები ცივ მიდამოსი  
და გლისპი ხრეში ავსებდა ქუჩებს...

წყალზე იალქნის ფრთაც არსად სჩანდა,  
არ ჰკვეთდა ზღვის ლურჯ სიკალიერეს,  
ნაპირს კი ბდღენიდა ზვირთების „ბანდა“,  
რომ ჰგავდენ უცხო ზღაპრულს ტრიერებს...

ზვირთის ყოველი კვეთება ჰგავდა  
ზღვაში პირატის აღმართულ დაშნას,  
ნაპირს სისხლ-ნარეგ ხარდით რომ რწყავდა  
და თეთრ თაფლივით ასწრებდა დაშლას...

მაინც დაშნაზე ეკიდათ ხელი  
და მას მტერს თითქოს ურტყამდენ თავში,  
თითქოს მოიგეს ომი ფიცხელი  
და ბრუნდებოდენ სიცილით ნავში...

ხოლო ტრიერთა გადმოსასვლელზე  
სწრაფად აგებდენ თივთიკის ხალებს...  
დაშნები მაინც ეკიდათ წელზე  
და ზღვის სილაში ლესავდენ ხმალებს...

და შიშინებდა ქვიშა, უხეში,  
და თქართქარებდა თეთრი თივთიკი,  
და ქშენდა ქარი ზღვის ცივს უბეში,  
და წყალს ლეღების ლევდა ლიკლიკი...

და იყო მტვერის კორიანტელი,  
და იდგა ბული ქაფის და წყალის,  
და უამრავი თოვლის ფანტელი  
წვებოდა ერთ დიდ ქსოვილად ხალის...

და გუშინ სუფთა, ვით ქალის მკერდზე,  
და გამსჭვირვალე, ვით ქალის თვალი,  
დღეს ზღვის პლიაუზი სჩანდა, ვით ხერგი,  
და ამ ხერგს ჰგლესდა ქაფი და წყალი!..

ჰაერში სცრიდა წვიმა, ცვარული,  
ჰაერს ურიცხვი ჰკვეთდა თოლია,  
თითქოს აღქაჯთა გიჟი არული  
ზვირთებს ზღვის ბსკერით ამოპყოლია!..





მამის სიკვდილი

მამა წისქვილში გამხდარა ავად.—  
 ალბად გაღალეს ავმა თვალებმა! —  
 წისქვილმა იცის უემური ჰავა  
 და უეცარი აკანკალება!  
 ორი დღე-ღამე ბრუნავს წისქვილი,  
 და სიმიინდს ღეჭავს ოთხი ყბა ქვისა.  
 ბაიასფერი სიმიინდის ფქვილი  
 უბღება ტომრებს, ვით ოქრო ქისას.  
 შეაბამს ურემს ქედმორჩილ ხარებს.  
 დაუღებს ტომრებს, თვითონ ზედ წვება.  
 იქნებ ავადმყოფს, სათბურით ღარიბს,  
 ოფლი მოჰგვარონ ნაბდის ბეწვებმა.  
 არ გასწყდებიან აპეურები,  
 ტაბიკი მარჯვედ თუ გადარაზეს,—  
 და კვეიან ხარებს მოჰყავთ ურემი  
 გადაუხვევლად, ნაცნობ შარაზე...  
 სახლში დიდმარხვის ორშაბათია,  
 და მამას დედა ელოდა გუშინ.  
 ეზოში ჭასთან ცეცხლი ანთია,  
 ცეცხლი უნთია დედასაც გულში.  
 — რათ არ მოვიდა, ნეტავ, წუხელი? —  
 ჰფიქრობს და ხეხავს ჯამ-ჭურჭელს ქვიშით.  
 თანდათან მძიმე და გაუმხელი  
 იპყრობს დედის გულს მგესლავი შიში.  
 შაფჩოხიანი, თეთრწვეროსანი  
 ბაბუ ზის ჯირკზე და თუთუნს აშრობს.  
 ჭა ამართული დგას წეროსავით  
 და იქვე ძალლი ხბოსთან თამაშობს.  
 ძალლი უეცრად მოჰყვება წკმუტუნს.  
 ბაბუ მურიას გაუჯავრდება.

მაგრამ მაშინვე გადაყრის თუთუნს,  
 დედასაც თეფში გაუვარდება...  
 უსაპნო ღერძის ახმაურებით  
 მომგვრელი შიშის და მწუხარების,  
 მოდის უმამოდ მამის ურემი  
 და მობლავიან გზაზე ხარები.  
 ტომრებზე მოსჩანს შავი ნაბადი.  
 გაფითრებული იკივლებს დედა:  
 „შავად გათენდა დღეს ორშაბათი,  
 კარის გამლები უფრო შავ დღეთა!..“  
 ჩამოიყვანენ ურმიდან მამას  
 და დააწვენენ კარლია სახლში.  
 მიჰგვრიან მკითხავს ქოჩორა მამალს  
 და მოიტანენ შენალოც ნახშირს.  
 ნაკურთხი წყალი გაჩნდება დოქით.  
 ვერცხლის ორ შაურს წყალი ჩასძირავს,  
 და ხატს წაუღებს ბაბუა ჩოქით  
 აბრეშუმს, თაფლს და სხვა შესაწირავს.  
 ხარშავენ დიდხანს ბალახის ძირებს,  
 ამხობენ გობზე თავდაღმა ქოთანს,  
 მაგრამ სნეული ველარ იძინებს,  
 თანდათან უფრო იბრძვის და შფოთავს.  
 და ბოლოს, როცა მძლავრობს ანთება,  
 დაიბარებენ ურია-ფერშალს.  
 მაგრამ წამალი დაგვიანდება  
 და ვერაფერი უშველის ბედშავს...  
 იგლოვებს დედა მწვავე წუხილით.  
 მას შემდგომ ჰმუნვას ვერ მოიცილებს,  
 და ბრჭყალმაგარი ბებერ კრუხივით  
 თავს დასტრიალებს ობოლ წიწილებს.





მე და ციება

ავვისტოს დამდეგს ჩუმად, ქურდულად  
შემომეპარა ავი ციება,—  
სისხლი დამიხრეს, ამიკლეს სრულად  
მალლიარიის პლანზმოდიებმა.

იყო შეტევა უთანასწორო:  
თითქოს თვალეზზე მეფარა ლოდი,  
მაყირავებდა ბედის სასწორი  
და გაფითრებულ ვერხვივით ვთრთოდი.

ვფიქრობდი—ნეტა საითკენ მიწვევს,  
ან სად მივყევარ ამ დამპალ სნებას—  
როცა წინ მეტი ბრძოლები გვიძევს,  
მეტი სიტხიზღე და ალტაცება.

მე ხომ წყლულივით ტანზე მაყრია  
ხალხის სიკეთე და სუფთა ზრახვა  
მაშინ ეს ძვლები, ასე ადრიან,—  
საფლავის ქვიშამ რათ უნდა დახრას?

და მივაშურე ბუნებას ისევ...  
ისევ ტყის შრიალს დავუგდე ყური  
რომ გულით მეგრძნო მზის სიხალისე  
და გამძლეობა ორბისებური.

გამაგრებული ისე, ვით რკინა  
მეც ვწრომობ, როგორც მუშა კეთილი  
და მიხარია როცა ჩემს ბინას  
ქარხნის გუგუნი აწყდება დილით.



## წიკლაურის სამოცგლო

გახა წიკლაურს \*)

მარდია თერგი და ტალღა მოღრიალო,  
წყალდიდობს ხეობა ღვარ-ავდრობის დროში.  
თუ ჭექა-ჭუხილით ცამ შეიხრიალა  
დადიან ღრუბლები მთელ საყინვაროში.

მთა-გორად მღელოა,  
მთას ელტვი გულითო.  
მთა მომეტყველოა  
რუ-ნაკადულითო.

ხევში და, ხრამში და, კლდეხეა ორბები,  
ხევშივე აგდია მდინარე გველისებრ.  
ცამდე აზიდული მწვერვალი ზორბაა  
მწვერვალი კავკასის თოვლიან მთებისვე.

მყინვარი და ეგ ცა  
ვერ ნახო ბარადო.  
ვინც კერას გაექცა  
მოისპო გვარადო.

რაც უფრო მწვანე და მაღალია მთა  
საძოვრად იშლება ცხვრის ფარა დილითურ.  
გაისმის მწყემსური ტკბილ სალამურის ხმა,  
კლდენი ბანს ამბობენ თვის წყალვარდნილითურ.

მთაში ცხვარს გუშაგობს  
სტვენა და მურია.  
ღელე რბის, რუ ჰანგობს,  
ღრე სალამურია.

\*) მყინვარის ექსპედიციითა ცნობილი მეკზური გახა წიკლაური გარდაიკვალა 1928 წ. დეკემბრის 26-ს.

ლაევარდის საფრქვევად მზე გორზე შედგება, —  
მოტყდება სხივები ირმისა რქისებრი.

ქისტი და ხევსური მტრის წინ არ შედრკება,  
ქისტ-ხევსურ ვაჟკაცებს გული აქვთ კლდისებრი.

ბასრია ფრანგული  
ვერცხლისვე ტარისა, —  
სისხლითვე თანგული  
მშობლიურ მხარისა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხმლის პირზე ფიცულობს მთაში ვინც შობილა,  
არჩვით და კალმახით ყოფილა მთა ქებულ.  
სტუმარ-მასპინძლობით საქვეყნოდ ცნობილა —  
მთა მარად მალალი, მქუხარ და დიდებულ.

კლდე ზვავით გმინავს და  
ზვავი წყლად მდინარებს.  
ცივა და, ყინავს და  
ცა ღრუბლავს ყინვარებს.

ჩანჩქერის გრიალი — ხევში და ხრამშია,  
ღრე ჰქმუის ქართა და ნიავეთა ქროლითა,  
კლდე ნისლობაშია, ცა ღრუბლობაშია  
ლანქრობენ ქედები წვიმით და თოვლითა.

მთა-გორად მდებოა,  
მთას ელტვი გულითო.  
მთა მომეტყველოა  
რუ-ნაკადულითო.

კლდეს ჰყვარობს ჯიხვი და კაცი იქაური,  
კლდის წყარო სუფთაა ღვარ-ავდრობის დროშიც.  
მყინვარ-წვერს გუშაგობს გახა წიკლაური  
არწივად ცნობილი მთელ საყინვაროში.



ს ო ფ ლ ა დ

სალამოვდება და შემომესმა  
სიმღერა შენი სათუთი ნაზი...  
იქნებ შენც გქვია სახელად ესმა  
და ესმასავით იყვე ლამაზი.

გიახლოვდება — თრთიან ხელები —  
მღერი — იგონებ გარდაცვლილ ხანას:  
როგორ მოშორდენ ტყეებს თხმელების  
ყაჩაღები და შოადგენ ყანას.

ოთახი შენი მთვარით ივსება  
მინდა მეც მთვარე თვალებით შევსვა...  
იმღერე რატომ მოუნდათ სისხლი  
იერემია წარბას და ესმას.

მაგრამ ეხლა ხომ შენს ეზო-სახლთან  
დადგა სიციცხლე მწვიდი და წყნარი;  
ძველი დროც ისე გაგვაპარტახდა  
როგორც ფულავას ნამოსახლარი.





გასარკულ ცის ქვიშ ხარობს ქვეყანა.  
ველზე მიმაფრენს მატარებელი,  
თვალ წინ მეშლება სიმინდის ყანა  
მწარე ფიქრების გამქარვებელი.

თითქოს მხარ და მხარ მთა ბარი მორბის,  
ოქროს სხივები აკვრია სერებს,  
აგერ კალაში ქერის და ხოობლის  
ყელ გადაჭრილი დგანან ღერები.

თან ვენახებით გადაჭრელებულს,  
საბჭოთა სოფლებს შეეჩერებივარ;  
✓ თვით ეს ვაზებაც თითქოს ამბობენ:  
✓ ჩვენც ახალ ქვეყნის მშენებლები ვართ.

აღმშენებლობის სანახაობამ  
გულს სიხარულის მზე მომახურა.  
✓ ჩვენს მზიან დღისთვის ძველი თაობა  
✓ იმალებოდა როგორც ღამურა.

ნაბატონარზე ვხედავ კომუნას,  
(კომუნა მშრომელთ გაზაფხულია).  
✓ დღეს მშრომელთ მკლავებს ან ვინ მოლუნავს,  
✓ საგანთიადოთ გზა გახრულია.

ვხედავ გლეხები  
თემ აღმასკომთან ისევ შეყრილან,  
ახალ ყოფაზე რომ საუბრობენ.  
✓ დღეს აქ ახალი სხივი შექრილა;  
ძველად გლეხები თემს გაურბოდენ.

✓ გლეხს მაშინ თვალი ეჭირა ტყისკენ,  
გულიც ხომ ბევრჯერ შელონებია.



დღეს უფრო მძლავრად და უფრო მტკიცედ  
საკუთარ შრომას შეხორცებია.

2

გასარკულ ცის ქვეშ შრიალებს ყანა;  
აქ მშრომელ ხალხის ხმები მქუხარებს,  
კაცებთან შედგრად ქალებიც დგანან.  
სალამი შენდა მშრომელო მხარევ!...



მე აქ დავეყავი დრო სიღმაწვილის  
ცხოვრება მწარედ ნათვალწუნარი.  
რა ჩააქრობდა ნალველს და ტკივილს,  
რომ არ მქონოდა ბრძოლის უნარი.

დღეს თუ მიღიმის მშრომელი ხალხი.  
ვძულვარ ბოზოლას ამ გულ დანისლოლს  
(ველარ მცნობილობს მხოლოდ ეს ძალი),  
რომელიც მტრულად ილესავს კბილებს.

უფახლოვდები აქ მამის ოდას,  
გული მაქვს ძალზე ათრთოლებული.  
მომესალმება დედა ეზოდან  
სიხარულისგან აცრემლებული.

უბადრუკ დროის ჯან გატეხილი,  
მის შუბლი თითქო ნაურძალია.  
შევცქერი ეზოს, ბოსტანს და ხეხილს,  
შემოდგომის ცას მზე დამალვია.

არ სჩანს ბალახი, არც სათიბები.  
მწვანე მინდვრები შეყვითლებულან,  
სახლის გარშემო წიფლის ხეებიც  
ცას შეყურებენ ჩაფიქრებული.

მაგრამ ბელელი სავსეა პურიით.  
გლებებს წლის სარჩო მოუკრეფიათ.  
თითქო სოფლები მძლავრ სიყვარულით  
საბჭოთა ქალაქს ეჯიბრებიან.

ჩემი სალამი ღარიბულ ქოხებს,  
მშობლიურ მხარეს ფოლად-მკერდიანს.  
დღეს აქ წუთები ტკბილი სიცოცხლის,  
როგორც ცის ცვარნი მეწვეთებიან...



## გილიკეზიდან ლიანდაგზე

დასასრული <sup>1)</sup>

VI

კ ა ტ ო რ ლ ა

ჩემო კარგო ანიკო!

შენი წერილი საქართველოში ქალთა მდგომარეობის შესახებ უკლებლივ დაიბეჭდა, როგორც დარწმუნდები ამასთანავე მდებარე გაზეთით; რათ იკატუნებდი თავს, წერა არ ვიცის? მხოლოდ ენა გაგისწორა რედაქტორმა—მართლაც, შენი რუსული ღმერთმა შეინახოს! ნუ გვიწყენ, რომ გექტოგრაფით არის ნაწერი; მაინც ვახერხებთ 150 ცალამდის გავავრცელოთ, ისიც სულ საიმედო, თანამგრძნობ მუშებში. შემდეგ ნუმრებს უკვე დაბეჭდილს მოგართმევთ, მოწყალეო ჩვენო ქალბატონო, რადგან ჩვენი წრე დღითიდღე იზრდება. მეორე წერილი, ბაქოში მომხდარ გაფიცვაზე დაგვიანებული იყო—ჩვენ გვყავს იქ საკუთარი კორესპონდენტი—(მაშ, როგორ გგონია! ჩვენ არ ვხუმრობთ!) და იმან მოგასწრო.

შემდეგშიაც ნუ მოგვაკლებ შენს ნახელავს.

ამ ბარათის მომტანს, კულემბიაკოვს, სრულის ნდობით მოეპყრან, უთხარი, — ისე როგორც მე... მაგრამ მე რომ ვმეგობრობენ ისე ნუ უმეგობრებენ... ეს—რაც შეეხება საქმეს.

ვასრულებ შენს განმეორებულს თხოვნას შეგატყობინო, რაც ამ ხნის განმავლობაში თავს გადამხდა, ვიგრძენი და ვიფიქრე. რათ დაგჭირდა, ქალო, ჩემი თავგადასავალი? ჟორჟ-ზანდის ან ბიჩერ-სტოუს ადგილის დაქერას ხომ არ აპირებ, და მისთვის ჰკრებ მასალას?... არ მეხერხება ასეთს ამბებზე წერა, მაგრამ რაკი ხელი მოგვიდეს, ნუ გაგიკვირდება, თუ გულის წყრომაც იქნეს აქა-იქ, და ზოგჯერ წუწუნიც—მხოლოდ ეხლა ვახერხებ დაწვრილებით დავწერო ყველაფერი.

ეს პირველი ვრცელი ბარათია, რომელსაც ვაგზავნი თავისუფლად საიმედო კაცის ხელით, უშიფროთ.

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“ № 8—9 და 10.

ბევრი მყავს, შენც იცი, ამხანაგი, მეგობარი; მომეპოვება ნათესავი და მოყვარეც, ჩვენში რომ იტყვიან, მაგრამ ყველამ გააცრუა ჩემი იმედი—არავის მოვაგონდი და რადგან შენ თვითონ ისურვე, რა მიზნითაც არ უნდა იყოს— აღსრულდეს ნება შენი!...

სხვებზე შენთვის მოწერა არაა საყურადღებო, ხოლო რაც გული მატკინეს პარტიულმა ამხანაგებმა, —ამაზე კი უნდა შემოგჩვენო შენ ყველაზე ყმაწვილი ხარ, და შენ, მგონია, უკეთ გაგვასაძართლებ, მართლა ვიყავი ღირსი ასეთის დაეიწყებისა, თუ არა... თანაც, უეჭველია, შენ, შენი პარტიისადმი ერთგულების გამო, საპასუხისმგებლო ადგილს დაიკავებ ჩვენს წრეებში, და მე მინდა რომ მაშინ ხმა ამოიღო, როცა ვისმე არა ამხანაგურათ მოეპყრობიან.

მე ხომ, მართლა, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი არ ვიყავი, რომ ყველამ ამბო ხელი. <sup>1)</sup> მართალია, პარტიული დისციპლინა დავარღვიე, მაგრამ არა რაიმე პირადის ანგარიშით, უბრალო თავმოყვარეობით, თავის გამოსაჩენად, სახელის მოსახვეჭად, არამედ ღრმად მწამდა ჩემი მოქმედების სამართლიანობა და საჭიროება. დაუშავდა რამე პარტიას, ან პარტიის რომელიმე წევრს, ან თუ გინდა ვინმე კერძო პიროვნებას? არა! და სწორეთ ასეთი რამ, რომ არ მომხდარიყო, მე თვით განვაცხადე, თუმცა შესაძლებელი იყო თავის დაძვრენა, ლადიკო ნორაბიძე მე მოვკალი შურისძიებით, რადგან მისი დაბეზლებით ორჯერ ვიყავი სრულიად უდანაშაულოთ დაჭერილი, დამეკარგა ადგილი, იძულებული შევიქენი მივმალულიყავ, ყოველი საღსარი შემომელია, დავაადმყოფდი, და რადგან ვიცოდი ასეთს მდგომარეობაში სასამართლოს უნდა ჩავვარდნოდი ხელში, შური ვიძიე მაინც მეთქი. დამიჯერეს. შეიძლება მაჩვენეს თავი რომ იჯერებენ, რადგან არ უნდოდათ ახალი პოლიტიკური საქმე აღედრათ, და ერთ-ერთ რევოლიუციონერს ამ გზითაც იშორებდენ თავიდან.

მაშ რა ჩამიდენია ასეთი?!

დავწერე ეს ჩემი წუწუნი; და ეხლა ვჯავრობ, მაგრამ ეტოვებ--იცოდე, გამოგადგება ოდესმე: თითო ოროლა წუთი თავის თავის და სხვების უკმაყოფილებისა ყველას ეწვევა.

მაგრამ აწი კმარა. ამაზე სიტყვას ვერ გაიგონებ ჩემგან.

<sup>1)</sup> წერილის ამ ადგილმა დიდათ შეაშფოთა თბილისელი მეგობრები; თავს არვინ გრძნობდა დამნაშავეთ. ამხანაგობიდან გაიოზის გამორიცხვა აზრათაც არვის მოსელია; რამდენათაც კი შეეძლოთ პატიმარს სწერდენ, კითხულობდენ და ეხმარებოდენ; ეჭვი არ იყო, რომ ბევრი ჭარ-ვარამის გადამტანი ადამიანი ყოველთვის ველარ იცავდა სულიერ სიმშვიდეს... და აი შეატყობინეს შაქროს, რომელიც უკვე პეტერბურგში იმყოფებოდა, სთხოვეს სმოლენსკის ამხანაგებს, განსაკუთრებულის სიფრთხილით მოპყრობოდენ გაიოზს, ... ისე რომ შემდეგ გაიოზი სწერდა სპირიდონს: „... რა დაგემართათ, ფაფა ხომ არა ვარ, რომ ყველა სულს მიბერავთ... დავბერდი, მაგრამ არ გავტეხილვარ... კიდევ მაქვს იმედი, რომ უკეთესს დღეებს მოვესწრები“...

მამა შენს მე შეეხვდი როსტოვის საპატიმროში. გამიკვირდა, ამდენს ხანს როგორ ვერ გასცილდა როსტოვსა თქო; გამოიკვია რომ ათასგვარ საშვალებას მიმართავდა თურმე, რომ ახლო ყოფილიყო ჩვენთან და შენი <sup>სამბავი</sup> ხშირ-ხშირათ გაეგო; საწყალი პარმენი ვერ გაეტება ვერც ორჯერ უნაყოფოთ გაქცე-ვასა და დაჭერას და ზოგჯერ იღებდა სხვადასხვა წამალს, რომ უფრო შორს არ გაეგზავნათ; მხოლოდ ამ წამლებმა და კიდევ უფრო საპატიმროს <sup>საპატიმროს</sup> კედლებმა და-ავადმყოფა ეს ფოლადის კაცი იმდენათ, რომ, როცა როსტოვში მოვხვდით ერთად, ვერ ვიცანი.

მერმე ერთმანეთს არ დავშორებივართ საბედისწერო რიაკისა გადასაგზავნ-საპყრობილემდე, სადაც, როგორც შეიძლება კიდევ იცოდე, თავს უყრიან ყვე-ლას, ვისაც რუსეთიდან, თუ კავკასიიდან აგზავნიან ციმბირში ან რომელიმე „დროებით საკატორღო საპყრობილესი“, რომ აქედან დაანაწილონ თავთავის-ადგილზე. აქ აგროვებენ როგორც პოლიტიკურ ისე სისხლის სამართლის ტუსა-ლებს.

ციხე სადგურს დაშორებულია რამდენიმე ვერსით. იგი არ არის შესანი-შნავი. ციხეა ისეთი, როგორც სხვა ათასი. მხოლოდ ტუსალების ერთი ტალღა-სცვლის მეორეს.

აქ მიგვიყვანეს ჩვენ—27 კაცი—სექტემბრის პირველ რიცხვებში. უმრავ-ლესობა კავკასიიდან იყო.

კამერაში ერთად მოვხვდით პარმენი, მე, ლეკი, ერთი რუსი და ლობ-ეიანიძე.

ლეკი, ლობეიანიძე და, მგონია, რუსიც სისხლის სამართლის ტუსალები-არიან.

ლეკი ოდესღაც დევ-გმირი ყაზახი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეხლა შესუ-სტებულა; ძლიერ ახველებს და მეტის-მეტად ცუდ გუნებაზეა: ის და მისი ძმა-კატორღაში ყოფილან გაგზავნილი შურის ძიების ნიადაგზე მკვლელობის ჩადე-ნისათვის. ძმა მოსკოვის სატუსალოში მომკვდარიყო ქლეჭით, და ცოცხლად-დარჩენილი იმდენათ არც თავის მდგომარეობას სჩაოდა, არც ძმის სიკვდილს, როგორც იმას, რომ მიცვალებული უმარხია უცხო ქვეყანაში; გაქცევის საშუა-ლება რომ მისცემოდა, ამ ლეკს მიეწერა თავის მეგობარ-ნათესავ-ნაცნობებისა-თვის, რაიმე ახალ საქმეში გაერიათ იგი (ასეთ ხერხს ხშირად მიმართავდენ-ტუსალები სხვადასხვა მიზნით, თუნდაც გასეირნებისათვის). ლეკი მართლაც, გადუგზავნია მოსკოვის საპატიმროს გროზნაში, მაგრამ გაქცევა ვერ მოხერხე-ბულიყო, და ლეკი სრულიად სასოწარკვეთილი, იმედ-დაკარგული, დასუსტებუ-ლი, დასაკლავ ძროხასავით მიემგზავრებოდა უკანვე.

ლობეიანიძე—ცერცეტა, გონება-დაბნული იმერელია—აი სოფელში ნაცვ-ლათ რომ ამოიჩვენებენ ხომ „მუშათ მაინც არ ვარგაო“ ისეთი, და უსასყიდლოთ-ათრევინებენ პაკეტებს, აადვენებენ ბოჭაულს და სხვა... და ნაცვალიც ყოფილა-საწყალი; ერთხელ სოფლის კანცელარიიდან გაუტანებიათ მისთვის პატარა, პირტიტველა ბიჭი; მამასახლისს უსათუოდ ეგონა, რომ ბოჭაული ამ ბიჭს იბა-რებდა რაიმე მცირე საქმისათვის და საჭიროდ არ ჩაუთვლია არც შეიარაღებუ-

ლი კაცი და არც განსაკუთრებული დარიგება: ბიჭი კი რალაც დიდი ორგანიზაციის წევრი ყოფილა. დაბაში, ბიჭის ამქრები გაჩენილან, ჯერ დუქანში შეუპატარეზიათ, ერთი-ორი ქაქა ღვინო დაუღევინებიათ, ერთი ხუთმანეთიანი ჩოხის უბეში ჩაუტენიათ და ყველანი მიმალულან.

ალიძრა საქმე. ლობჯიანიძეს მიღებული ფული აღმოაჩნდა და დამკვეთების, ქურდების და მცარცველების ბრბოს გასამართლებაში ამოტყვევდა.

ამ მოულოდნელმა ამბავმა, სასჯელმა, პატიმრებისაგან აბუჩად აგდება (ტუსაღები განსაკუთრებით უღმობელი არიან უდანაშაულოდ დასჯალების მიმართ; ვისაც მეტი დანაშაული მიუძღვის, ის მეტად პატარეზაა მოსალი) სრულიად გამოასულელა ბუნებითაც მოჩერჩეტო საწყალი ლობჯიანიძე — უმიზნოთ და უმიზნოთ გაუჯიუტდებოდა ზედამხედველებს, ჯარის კაცებს, პატიმრებს, რაც, რა თქმა უნდა, იწვევდა გინებას, მუჯღუჯუნსა და დასჯას, რის შემდეგ აცახცახებული, ატირებული შეძვრებოდა ტახტზე, შეიფუთნიდა, რითაც კი რამ ჰქონდა, მხოლოდ თავს, და, თუ რომელიმე ჩვენგანი დასამშვიდებლად ვეტყოდით ორიოდ სიტყვას, შემოგვიღრენდა უაზროთ:

— დამეხსენი იქეთ... ისე უნდა მაგათ, მე ვაყურებიებ სეირს—აბა მაკალონ!..

— ვისი იმედი გაქვს შე ჩიჩია შენ?—მიაძახებდნენ უკმეზობით გულმოსული ამხანაგები...

ყველამ იცოდა, რომ საწყალს არავის იმედი არა ჰქონდა... და მე მგონია, რომ ლობჯიანიძეს დაქადების, კვების შნოც კი აკლდა, როშავდა მხოლოდ სიტყვებს, დანგრეული წისქვილივით...

ყველაზე უფრო საყურადღებო პიროვნება იყო იაროსლავცევი. მან ჩვენს ცხოვრებაშიაც დიდი როლი შეასრულა. ეს რუსი ყველაზე უფრო მოხერხებული, უდარდელი და თავალებული ადამიანია, რომელიც კი ჩემს ცხოვრებაში შემხვედრია—ყველას იცნობს და ყველაფერი იცის; მე კი ისიც ვერ გავიგე, სისხლის სამართლის დამნაშავე იყო ის თუ პოლიტიკური. ჯანმრთელი, მხიარული ის არაფრად აგდებდა გამწაჩებელ სატუსალოს პირობებს: მთავრობას ემორჩილებოდა; მაგიერათ მისი რიდიც ჰქონდათ, რადგან, როცა თვალებს გადმოაბრიალებდა და ტუჩებს წამოწევდა უკმაყოფილების ნიშნად—მართლაც საზარი იყო. ამხანაგებს უსიტყვოდ ეხმარებოდა, სადაც წაასწრებდა, მაგრამ თვით ამხანაგები ართმევდნენ მას ხელიდან საქმეს—ერთხელ ვილაც ტუსალს ფეხი გადაუბრუნდა, იაროსლავცევი სწვდა მარცხენა ხელით (მარჯვენა სხვა ამხანაგზე ჰქონდა, მიჯაჭული, როგორც ეს ხდება მგზავრობის დროს) და თითქმის ნახევრად ჰაერში აყვანილ დიდხანს მიჰკავდა სანამ, სხვები არ შეენაცვლენ.

იაროსლავცევი ყველას იზიდავს—ამის მიზეზია უსათუოდ მისი ხასიათის უღვევი მხიარულება; ჩვეულებრივ ტუსალი არ იჩენს მწუხარებას, დაღლილობას, გატებას—ამის გამოჩენა სამარცხვინოა; გულში კი ყველა დაღვრემილია, ყველას აწვება ბოღმა—ზოგს ოჯახი ენანება, ზოგს—თავისთავი, ზოგს—იდეა, პარტია...

იაროსლავცევმა მეორე დღესვე გამოიჩინა თავისი უდარდელობა; ციხის დარაჯების ცოლებს წვრილფეხი საქონელი ჰკავდათ ეზოში, ისინი იყვნენ ჩვე-

ნი სანიტარები და გამრთობები; გააღებდნენ თუ არა მთავარ კარებს, შემოცვივდებოდნენ ქათმები, ბატები, ღორი-გოჭები, და სანამ კარები ღია იყო, დარბოდნენ, ჰკენკდნენ, სჭამდნენ თუ იატაკზე რამე ეგდო. ჩვენც ვეროთობოდით... და აი მეორე საღამოს, კარის დაკეტის შემდეგ, ტახტის ქვეშ დარჩენილიყო ერთი გოჭი. როგორც კი გოჭი ტახტიდან გამოძერა და დაკეტილ კარს ჰკვირილით მიადგა, იაროსლავცევმა სტაცა ხელი, ჩემთვის გაუგებს ჩემს ხერხით, ერთ წუთში ხმა გააკენდინა, შეკრული ისევ ტახტის ქვეშ შესდვა და ჩვენ მოგვიბრუნდა:

— რა უყოთ ამ ფრანკუსს?

თუმცა არ ვიცოდით, რატომ დაარქვა ამ გოჭს ფრანკუსი, მაგრამ ყველას სიცილი აგვივარდა.

მე ხუმრობა მკვონა: ავტებზე გადაკაქუნება მახლობელ კამერებში; ბოლოს გამოირკვა რომ გოჭს—ფრანკუსს დაკვლას და შექმას უპირებდნენ. ასეთი საქციელისაგან კარგი არ იყო მოსალოდნელი. ჩემი მტკიცება, რომ თითო ლუკმაც არ გვერგება და მოსალოდნელ უსიამოვნებათ არ ღირს—არ სჭრიდა: თვეობით უგემური საქმლის თუნდაც ერთი ლუკმით ჩატკბილება ყველას უნდოდა; ბოლოს, რალაც ბედათ მომაგონდა, რომ ჩვენს შორის ბევრი იყო მაჰმადიანი, და მე პათეთიურათ განვაცხადე, რომ აქ გოჭის დაკვლა მუსულმანთ სარწმუნოების შებღალვა იქნებოდა. მაჰმადიანები ამყვენ, და გოჭის დაკვლას გადარჩა. იაროსლავცევმა რალაც ელამათ, დაცინვით გადმომხედა.

იაროსლავცევის მეორე ახირებას, სამწუხაროთ, ველარ მოუარე თავი, და ცუდი საქმეც შეგვემთხვა.

ერთ საღამოს, როცა უკვე ჩავკეტეს, იაროსლავცევი, რალაც უცნაურათ ადგილზე შემოტრიალდა, შეჩერდა, ტახტებისკენ ხელი მიაპყრო და თავის მძიმე დახრით მოგვახსენა:

— დაბრძანდით, სათათბიროს წევრებო.

ჩვენც დავსხედით. ველოდით რალაც სასაცილოს.

— დიდებულნო, ჩვენ უნდა გაიქცეთ.

— გავიქცეთ,—ამოიხრიალა ლეკმა.

— რაო? — შეეკითხა ლობჯანიძე და სანამ მე გადუთარგმნიდი, მგონი, მიხვდა და დამიწყო ხვეწნა:

— გავიქცეთ, გავიქცეთ. შენი ჭირიმე.

— თუ ხელს არ შეგიშლით, გავიქცეთ! დამეთანხმა პარმენი. მაშინვე ვიგრძენი, რომ ამ გაქცევიდან ცუდის მეტა არაფერი გამოვიდოდა: თუ რუსებს კიდევ შეიძლებოდა მცირე იმედი მაინც ჰქონებოდათ, ჩვენ, კავკასიელები, ჩვენი უცნაური გამოთქმით, სახით უეჭველათ შევიქნებოდით პირველ შეხვედრილ ბოროტი ადამიანის მსხვერპლი.

ასეთი აზრი კიდევ გამოვთქვი.

— რა არის ეს ინტელიგენტური სიბრძნის სიღრმე, თუ მონის სილაჩრე?— დაცინვით და ზიზლით შეშეკითხა იაროსლავცევი.

დაილოცა მისი სამართალი—ინტელიგენტათ მე მომნათლა...

— დაეთანხმე — მირჩია ტუსალთა ცხოვრებაში უფრო გამოცდილმა პარმენმა, გაქცევითაც გაიქცევიან, და შენც ყოველივე პიტვი დაგეკარგება — ლაჩრობას დაგაბრალებენ.

რას ვიზამდი — ყველა რუსიც, არა რუსიც და ავადყოფნიც გაქცევას მხარს უჭერდენ.

დაეთანხმდი.



ეროვნული  
შიზონიზმი

— გაჩერდი, ოხერო! — დაიღრიალა უეცრად ცხენოსანმა ჯარისკაცმა.

და ამ დროს გაისმა ისეთი საშინელი სტვენა, გეგონებოდა მთელი ჯოჯოხეთი ერთ ტყვიათ გადაქცეულა და ჰაერს მიაპობსო.

არა თუ ჯარისკაცები, ჩვენც კი, ვინც ვიცოდით რა ხდებოდა, შეგვზარა ამ საშინელმა ყურის და ტვინის გამომხვრეტმა სტვენამ, და დავიბნეოდით, რომ იმავ იაროსლავცევს და მაზე მიკრულს ამხანავს უხბოთ, რაც კიდევ უფრო საშინელი იყო, არ ჩამოელოთ ცხენოსანი — დარაჯი და არ გადგედოთ თხრილში.

ჯარისკაცების შეკვრა და ტყეში შეტანა ერთ წამს თუ გრძელდებოდა... და ყველამ თავს უშველეთ.

მე, ლეკი, პარმენი და ლობჯიანიძე ერთად გავრბოდით, — ჩქარა, ჩქარა! — თუ ვეტყოდით ზოგჯერ ერთმანეთს და ისიც ხმადაბლა, თითქოს მართლაც ახლოს მოგვსდევდა ვინმე.

— მეტი აღარ შემიძლია! — თქვა პარმენმა და ჩაჯდა.

ჩვენც ტყუილა ვამხნევებდით — ფეხს ძლივსლა მივათრევდით.

წინაღამის უძილობამ, აღელვებამ, შებრძოლებამ და სირბილმა არაქათი სრულიად გამოგვიღია, ორი ლუკმაც ვერ დავღეჭეთ რომ... ხომ, გახსოვს რა მკვდარივით ძილი ვიცოდი!.

უეცრათ საშინელმა ტკივილმა გამაღვიძა... დავინახე მზე და თოფ-მომარჯვებული ჯარისკაცი... გონება დაქეარვა... გამოვუზინლდი რონოდაში. მთელი ტანი დაბეჩილი მქონდა. გვერდზე ეგდო სისხლში გათხუპნული ლობჯიანიძე. შემდეგ გავიგე, რომ ლეკიც და პარმენიც მოეკლათ. მათ უეჭველია მოასწრეს ფეხზე წამოდგომა და ჯარისკაცების შებრძოლება, და დაიხოცენ.

მოგვიყვანეს სმოლენსკში.

ციხის უფროსი შესაველთან, ეზოშივე შესაფერი სიტყვით დაგვხვდა:

— კავკასიელო მხეცებო, თქვენ უნდა დაივიწყოთ ხანჯალი და მთები; აქ, რუსეთში კულტურული ხალხი ცხოვრებს და ნუ გონიათ, რომ მათი გამოფატვრა ისეთივე ადვილი იყოს, როგორც ცხვრების თავის წაგდებინება. ასე ვიცით ჩვენ ტკბილი ლაპარაკი, მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, როზგი უფრო მოგიხდებათ... და სხვა საშვალეებით თუ არა, ამ როზგით მაინც აღმოვფხვრით თქვენი მოწამლული გულიდან ბოროტმოქმედების სიყვარულს...

უფროსი წავიდა.

ყველა შეგვყარეს საერთო კამერაში.

ავგხსნეს ხელისა და შეკვიცვალეს ფეხის ბორკილები.

ჩვენ შედარებით კიდევ კარგათ ვგრძნობდით თავს—დიდი აღელვება ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი.

— წამოდით აბანოში!— დაიღრიალა უეცრათ ვილამაც.

უთუოდ საშინელი ფერი დამედვა, რომ ლობჯიანიძე მარტათ / წანოჯდა ტახტზე და შეშინებული დამეკითხა:

— რაო, რას ამბობს?

— აბანოში გვეძახიან...— უპასუხე, მგონი.

— არ წავეყვით, არ წავეყვით... გაგვროზგავენ... აი, მე კოვზი მაქვს... თვალეში ვკრათ... მე ვიფიქრე მაგაზე... გაბრაზდებიან და მოგვკლავენ, არ დავნებდეთ..

ჩვენ ველოდით ყოველ საშინელებას—ვიცოდით, რომ გაქცევას არ შეგვარჩენდენ.

მაგრამ, როცა სხვა ტუსალებმა თავის მჩვრებს დასტაცეს ხელი, ჩვენც დავშოშმინდით.

წამოვდექი.

წელში ვერ გავიმართე.

მკლავები ვერ გავშალე.

ცხელმა აბანომ მაინც ნეტარება გვაგრძნობინა — ასეთი სიამოვნება ჩემს სიცოცხლეში არ განმიცდია.

მე და ლობჯიანიძე ვბანდით და ვხელდით ერთმანეთს; თითქოს საუკუნოებით ტანში ჩაქსოვილი მწვირე გამოვიდაო, დავმჩატდით... ამ ერთმა საათმა დაგვაფიწყა ამხანაგების ბედი, კამერების, კარცერების, რონოდების სივიწროვე, სუნი, სიბინძურე — ვკყაანპალობდით და ვისხამდით უფრო და უფრო ცხელს წყალს... უეჭველია ჩვენ რალაც საშინელის გამომეტყველებით ვფლრიჯებოდით შეკარეს, რომ მან ორჯერ ნება დაგვრთო და დაგვეტოვა აბანოში, როცა ჩვენი რიგის ტუსალები თითქმის ყველა წავიდა.

დავბრუნდით კამერაში.

მივაძეხით ბორშჩს და პურს და

მივწექით.

აქაც შეგვიწყო ხელი ბედმა—კამერაში ცოტა ტუსალი იყო: ოთახი ძალზე გამთბარი; ტახტზე დავყარეთ, რასაც კი თვალი მოვაველეთ და რბილათ დავწევით. და ტკბილათ, ტკბილათ მივიძინეთ .. და წარმტაცი სიზმრები ერთიმეორეს ცვლიდა...

მათ შორის ყველაზე უფრო დამამახსოვრდა:

ვითომ... მთავარ სახელოსნოში ვარ... მოუსვენრათ დავდივარ. ირგელივ არავინაა... მანქანები გაჩერებულია. ხმაურობა არ ისმის. ვწუხვარ და მიკვირს... რალაცას მოველი. უეცრათ მოვიდა ერთი კაცი. გავუღვენე. გასაკეთებლათ კუთხეში მდგომ ორთქლმაგლის ქვაბზე შედგა, მეშინოდა, ფეხი არ დასხლეტოდა. რალაც ერთი ორი დაიძახა... ყოველის მხრიდან მუშები გაჩნდნენ: მორბოდენ, ქვევიდან მოძვრებოდენ, ზევიდან, ხარიხებიდან, შუშის ჭერიდან ხტებოდენ. „აბა ყველაფერი უნდა გაკეთდეს ერთ დღეში, ერთ საათში“ — დაიძა-



ხა, და თვალს ვერ ვასწრებდი, როგორ დარბოდენ, დაჯორთხავდენ, სწმენდდენ, ლებავდენ, სჭრიდენ, თლიდენ... ჩვენი პატარა გადასაზიდი გოგორა მუდამ ჟანგიანი რომ დაკრიჭინობდა, უეკრად ვერცხლისფრად იქცა; ჭერის შუშაბანდს მიესიენ ქალები, და დღემ შემოიხედა მექვაბეთა საამქროში; ზოგი შევიდა ორთქლმავალში და იქ დაიწყო კაკუნი, ზოგი ძველს ბოჭბაღს ხსნიდა და ახალს არგებდა; სადაც ვინტები აკლდა, იქ ერთი ჯოჯოხეთი კეორე ქარგას მიაბენინებდა, მესამე დაზგაზე სჭრიდა; მეოთხეს მოჰქონდა უკვე მზამზარეული... და ასე ყველგან... ორთქლმავალი გამოვიყვანეთ... სარონოდო საამქროში წლობით რომ დანელეული, კედლებ ჰამომტვრეული რონოდები იდგა, ისეთის სისწრაფით ხერხდენ ფიცრებს, აწყობდენ სალტეებში, რომ შემეშინდა ეს ყველაფერი ქალადის არ იყოს თქო და გავშინჯე — ნამდვილი გამხმარი, კოპიტის ხის გამოდგა; მაგრამ დიდხანს სინჯვაც ვერ გავბედე — მღებავი ამ წუთში ჩადგმულ ფიცრებს უკვე ლებავდა, ნუმრებს უსხამდა, ზედ-წარწერას უკეთებდა... და ბებელის საამქროდან უკვე მოვიდა მთელი რაზმი რომ მოეწყოთ სამგზავრო რონოდები...

და როცა დებოში მივიყვანეთ იმავე მუშებით გაჭედული მთელი მატარებელი, თითქმის ახლად აწყობილ ორთქლმავლით, შეკეთებული სამგზავრო და საბარგო რონოდებით, დებოს გამგის ამბერკის (ხომ გახსოვს ჯიუტი, ჯმუხი ამბერკი? ისიც გაგეგონება, მემანქანეთ ყოფნის დროს, რომ მატარებლის შეჩერებაზე უარი ეთქვა ჟანდარმების მიერ გაიოზისა და პარმენის დაქერას არ მინდა ხელი შეუწყოვა!!) სრულიად არ გაკვირვებია და მხოლოდ თავისებურათ დაატანა:

— ასე იცის მუშამ, თუ მოინდომა... მაგათი სიქა კი გავარდა!..

და ამბერკიმ გაგვიშვა სადგურზე..

ხალხი ხალისით, ცხვირსახოცების, ხელების, ქოლგების, ქუდების ქნევით და „ვაშას“ ს ძახილით შეგეჩვდა.

რონოდებში ჩვენი ადგილი ხალხმა დაიკავა. დარეკეს ერთი-ორი... სამი... და მარდით გასრიალდა ჩვენი ნაშობი მატარებელი. ჩვენ უკან მივდევდით და ახლა ჩვენ ვაქნევდით ქუდს, ხელს, ცვირსახოცს, მაგრამ მატარებელი მალე გაჰქრა...

და გვიბაროდა.

ეს იყო მხოლოდ სიზმარი.

გამომელეიძა. ცხადი საშინელი გამოდგა: მთელ ტანს აღმური აღიოდა; ოფლში ვცურავდი.

კიდევ უარესათ იყო ლობქიანიძე.

აბანომ გამოამელავნა სხეულში მიმალული ათასი სენი: ნაბეჭი, განაცეები, ჰაერის მოწამელა, სტომაქის აშლა და ყოველი ჯანდაბა.

ჯერ ციებ ცხელება მაწვალებდა. მერმე რალაც დამწიფდა ჭაჭებთან — ოპერაცია გამიკეთეს — შემდეგ კუჭმა დაიწყო კაპრიზები.

ასე სიკვდილისა და სიცოცხლის შუა გავატარე საავადმყოფოში მთელი წელიწადი.

ლობჯიანიძე მთელი სხეულით აყროლდა, და უკანასკნელ წუთებამდე სულ მიჩინებდა:

— გავიქცეთ, ჩემი გადაბრუნებული ვენახი მოვაწყობ, მეორე დამიქირონ თუ უნდათ, ბაღები აღარ დაიხოცებიანო...

მე დიდი ღვთისმეტყველი არა ვარ, მაგრამ არაფერს ვიცი — ასეთი საბუთი ღვთის არ არსებობისა, როგორც ეს შეუსაბამობა და უსაბამიობა: ასე როგორ აწამებს „ლმობიერი და კაცთმოყვარე ღმერთი“ ადამიანს?! ასე როგორ შეაზარებს ყველას ერთ რომელიმე ადამიანს, როცა ყველას უბოძანებს: „შეიყვარე მოყვასი, როგორც თავი შენი“... საშინელება იყო სწორეთ ლობჯიანიძე უკანასკნელი ორი თვე — გავიტანეთ მეორე ოთახში, მაგრამ იქიდანაც ბოდიშოდა საშინელი სუნი... ყველას დაეკარგა მოთმინება და პირდაპირ ეუბნებოდნენ, „აღარ ჩაძაღღებები შენი...“ ის კი თუ თვალს მომავლებდა, ჩამფუჩუნებდა: „გავიქცეთ... ვენახი... ბაღები...“ არც მორჩენის, არც გამორჩენის იმედი არ იყო, და ნუთუ ასეთ შემთხვევაში ექიმს ნება არა აქვს... მართალი გითხრა, მეც მეჩოთირება ვთქვა — მოწამვლის?!...

ბოლოს ყველა ისე მიმეჩვია საავადმყოფოში, რომ დამიწყეს ფერშლის მოვალეობის მონღობა — ავადმყოფებს ვაძლევდი წამალს, უსინჯავდი სიცხეს; მთავარმა ექიმმა, ბუნებით მეტად კეთილმა ადამიანმა, აღძრა შუამდგომლობა და აქ დამტოვეს სამუდამოთ.

ავადმყოფობა სხვა გვარათაც გამომადგა (თავის გამხნეებაა, თორემ გაშოროს ღმერთმა!): აქ წავიკითხე აუარებელი წიგნი; ვიფიქრე და მოვისაზრე კიდევ მეტი; ათას კაცს შეეხვდი, სულ სხვადასხვა ხასიათისას, გრძნობისას და განათლებისას და სწორეთ იმ წამს, როცა უსაქმოთ დარჩენილი, აღსარებას ადვილათ გეუბნება...

წიგნი ბევრი მაქვს. ქართულიც: აქ ვილაც გადმოსახლებულს შემოუწირავს.

გადმოვთარგმნე ერთი მოთხრობა „ტაიგის წიაღში“, „ბრძოლაში“ იყო დაბეჭდილი. თუ წაიკითხეთ, შენა და ჩვენების აზრი მომწერე. ეხლა ვაპირებ ერთი დიდი წიგნის გადათარგმნას, მაგრამ მეშინია, რომ ვერ მოვერიო, საჭირო კია — ვსინჯავ.

სატუსალო, კატორღა, ციმბირი საშინელებაა, და ვინც აქ მოდის, სანუგეშოთ უნდა ჰქონდეს, რომ რაიმე საამისო მოიმოქმედა; ამიტომ ახლა ვეთანხმები ამხანაგებს, რომ არ ღირდა ამდენ ტანჯვათ ის... კინალამ მამა შევაგინე! მამას არ ვიცნობდი, და ბიძა მისი არ იყო ცუდი, როგორც ადამიანი... ცოცხალია ნეტავი? გაიგო, ვინ იყო მისი გამცემი?

აქ უპრავლესად სისხლის სამართლის ტუსაღები არიან; არ მაქვს მათი იმედი. ისინი არც უნდა შიაკაროს მუშამ თავის პატიოსან საქმეს: ყველაფერი, რასაც ჩვენ ვებრძვით — შრომის უპატივცემლობა და მისი ექსპლოატაცია, ქალის აბუჩად აგდება, ეროვნული შუღლი, გარყვნილება, უსაქმურობა, მლიქვნელობა, პირადის საზოგადოზე მალლა დაყენება — მათი ძირითადი თვისებაა; თუ ეხლა, ვითომც, ჩვენკენ იხრებიან — ეს, რადგან სხვა გასაქანი გზა არ აქვთ: იმ საზოგადოებიდან, რომელსაც ჩვენ ვებრძვით, ისინი გამოყრილი არიან. მათთანაც

მოგვიხდება მკაცრი და ხანგრძლივი ბრძოლა. ეს ხალხი ვერ შეურიგდება შრომის გამეფებას.

ბევრნი არიან და ამიტომ ისინიც უნდა გამოყენებულ იქნენ (ხომ იცი, რისგან ღებულობენ გასანათებელ გაზს), და ჩვენ მათ შორისაც ვეწვევით მუშაობას...

უმთავრესია პატარა წრე — ნამდვილ მუშებისაგან შემდგარი უპირველესად რკინისგზებთან მომიხდა საქმის დაჭერა. უჯრედს იმედი აქვს, რომ მომავალ მაისისთვის მოახერხებს ცალკე გამოვიდეს მაისობაზე და დაუმტკიცოს ესერებსა და მენშევიკებს, რომ მათი არ არის მთლად ჭვეყანა.

წერილი მეტად გრძელი გამოვიდა, მაგრამ არ მგონია, თავი მომებეზრებიოს... რაც უნდა უმნიშვნელო იყოს რევოლიუციონერის ნაბიჯი, მაინც საყურადღებოა, რადგან ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს გამოცდილება და ერთმანეთის ცნობა.

მე კიდევ ბევრს მოგწერდი, რომ ვიცოდე, რა იქცევს შენს განსაკუთრებულ ყურადღებას და რა მიზნით მთხოვდი ასე დაეინებით: „ყველაფერი, ყველაფერი“ შემატყობინეო. წერილი რომ არ არის დალაგებული, ესეც შენი „ყველაფერის“ ბრალია!...

გულს მომეშვა ამ აღსარებისაგან. კეთილ გუნებაზე დავდექი. სანტიმენტალობა მომწყურდა. მომიკითხე ყველა ამხანაგი, ნაცნობი, განსაკუთრებით სპირიდონი და შაქრო. კოცნა ჩემს პატარა ანდროს — უთხარი, კარგი მწერალი გამოვიდეს, თორემ ტყავს გავაძრობ; უღრმესი სალამი პატივცემულ სოფიოს, თხოვე ყველას მომწერონ — ყოველი წვრილმანიც კი მაამებს.

ო, რა მინდა ერთი ბოტანიკური ბაღიდან ნაძალადეგზე გადავიარო, ჩემს დაზვას მიუდგე, მივიხედ-მოვიხედო თბილისში.

და მოვალთ, უეჭველათ, მოვალ, მე მარტო კი არა, არამედ ყველა, ვინც გაძევებულია, დაჭრილია უკუღმართ პირობების მიერ!

შენი მოხუცი ამხანაგი გაიოზი.

## VII

### რომანი და რომანტიკა

რკინისგზელთა ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შაქროს უნდოდა მემანქანის თანაშემწეთ შესულიყო — ახალგაზრდას ოცნებით ჰქონდა გადაქცეული რევოლიუციონერი მუშაობა, მაგრამ სპირიდონის დაეინებამ თავისი გაიტანა, და შაქრომ განაგრძო სწავლა, და, მართალია, დიდის გაჭირვებით ხელმოკლეობა საერთო თანაგრძნობამ მაინც დააძლევინა; ჩამორჩენა მუყაითობამ და ნიჭმა; ფორმალური დაბრკოლებანი თაყაძისა და ივანე ეასილის-ძის შუამდგომლობით, თხოვნით, გავლენით იქმნენ გადალახულნი; და სოფლის „ტლუ-ბიჭმა“, „ეშმაკის ფეხმა“ ჩააბარა გზათა მიმოსვლის ინსტიტუტის მეოთხე კურსის უკანასკნელი გამოცდა. პრაქტიკაზე დანიშვნის განკარგულება მიიღო. ინსტიტუტიდან ბრუნდება. რაღაც აღელვებას გრძნობს. უკანას-

კნელი თვეების მრავალფეროვნება, განსაკუთრებით მუყაითმა მეცადინეობამ, კრებებზე სიარულმა, გამოფენების დათვალიერებამ იმოქმედა და ერთგვარ ნერვიულობას იჩენს; კმაყოფილი კი არის თავის თავით, თითქოს პირველად შეხედა თავის თავს და მოეწონაო.

ჩვეულების წინააღმდეგ ჯიბეშიც ახლად მიღებული ორიოდე თუმანი ჭყავა და დახარჯვას თხოულობს.

„შევიღე ერთი ამ რესტორანში, ვნახო, აქაც როგორ ატარებენ დროს დარდიმანდი ყმაწვილები!..“

შევიდა.

სუფრები თავისუფალია.

ორი-სამი კაცი, ერთი-ორი ქალი, ცალკე-ცალკე, სხედან დიდ დარბაზში მოწყენილნი; შაქრო უნებლიეთ ადარებს მათ შემოდგომის იშვიათ ბუჩებს, ოთახში რომ ჩარჩებიან.

მოითხოვა სუპი.

— ჯერ მზათ არ არის—უპასუხებს უღარდელათ მდგომი მსახური, რომელიც მიხვდა, რომ შაქრო დიდი, საპატიო, ბევრის დამხარჯველი სტუმარი არ არის.

შაქროს უკვირს:

— მეოთხე საათია!?

— სწორედ ამიტომაც არ არის.

მსახურმა გადაწყვიტა, რომ შაქრო სრულიად ხეპრე ვინმეა, და ისარგებლა შემთხვევით მის წინაშე ეშინჯნა მეტრ დ' ოტელის ნიჭი—ამ ადგილზე ოცნებობდა მსახური.

— ნება მიბოძეთ, ჩემი გამოცდილება დაგახმაროთ' როგორც გეტყობათ თქვენ პირველად ბრძანდებით ჩვენთან- წვნიანებიდან შეიძლება ეხლა კონსომე გრენკებით.

— ეს კონსომე რაღაა?—გულუბრყვილოთ შეეკითხა შაქრო.

— ბულიონი გახლავთ და გამხმარი ბულკი; სადილი ჩვენთან იწყება 6 საათზე; ვახშამიც 11 საათზე. მაშინ სიმებიანი ორკესტრი უკრავს, ცნობილი ვოლაშის ლოტბარობით; საუკეთესო საზოგადოება იკრიბება.

— მაშ იყოს კონსომე გრენკებით!—მხიარულათ შეხედა შაქრომ მსახურს.

— მეორესთვის, რას გვიბრძანებთ?

— ეს თქვენ ამირჩიეთ, მე რომ გითხრათ, იქნებ არ იქნეს.

— კეთილი—თავის მცირე დახრით, სწორეთ ისე, როგორც კარგი მეტრ დ' ოტელები შვებიან, უპასუხა მსახურმა—გავიკითხავ, თუ რა არის მზათ და მოგართმევ... საუზმეთ კარგი იქნებოდა არაყი და ბუტერბროდი ომარით...

— მაგიც იყოს!

— დალევით, რას დალევთ?—კიდევ უფრო მეგობრულათ შეეკითხა მსახური, მაგრამ შაქრომ პასუხი ვერ მოასწრო, რომ იმავე მსახურმა შესთავაზა...

— ჯერ ბოვარიელი ლუდი და ბოლოს, ორიოდე ჭიჭა ღვინო.

შაქრო ყველაფერზე დაეთანხმა. თვით მუსაიფმაც გაამხიარულა, — მიუხვდა მსახურს, რომ იგი შეუთვისებელს, რაღაც ახალ როლს ასრულებდა.

ანგარიში ვერ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი — 4 მან 30 კპ. — მეტად დიდათ მოეჩვენა, მაგრამ ნაშალი მაინც მსახურს დაუტოვა საჩუქრად და გამოვიდა ქუჩაზე.

— მეტად მხიარული ვარ — შენიშნა თავის თავს <sup>ქრეშენული</sup> შაქრომ <sup>ქრეშენული</sup> ლვინომ იმოქმედა? ა, არა! ერთი რიუმკა არაყო, ერთი ბოთლი ლუდი და ორი პაწია ჭიქა ლვინო როგორ დამათრობდა?! ეს დაჭიმული ნერვებია — არაფერი!

დიდი მალაზიის გამოფენას ჩასჩერებოდა; პატარა გოგონამ ქვევიდან ამოხვდა:

— უი, შავი ეშმაკიო! — დაიძახა და მთელი მისი ჯგუფი მოზრდილ ქალიშვილებისა მანქვა-გრეხით, სიცილ ხარხარით წააციცქინდა ქუჩაზე.

შაქრომ უნებურად ხელი მოისვა ლოყებზე, კედელში ჩადგმულ სარკეში აიხედა და გაიფიქრა:

— მართლაც, გვარიანად გავბურძენულვარ, უნდა გავლამაზდეთ...

შევიდა საპირფარეშოში.

— მშვენიერი თმა-წვერ-ულვაში გქონებიათ, ოლონდ მომიტევეთ, — შეუჩერებლივ ლაპარაკობდა დალაქი, რომ მუშტარი გაერთო — ოლონდ მომიტევეთ, ყოველ კვირაში თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა შესწორება.

შაქრო კი ფიქრობდა:

— ნუ თუ ვერ გამოიგონებენ ისეთ მანქანას, რომ ამდენ ხანს არ გაწვალდეს კაცი... ასეთი უქმი და უსარგებლო დროს დაკარგვა!...

— ...ცოდვია სწორეთ — განაგრძობდა დალაქი, — სხვას რომ ასეთი თმა ჰქონდეს, რა ბედნიერი იქნებოდა... ას თუმანს არ დაიშურებდა... აი რა კობტად გამოიყურებით.

— ბარელამ გავათავებ ნერვების დამშვიდებას, კარგა ხანია არ ვყოფილვარ აბანოში... ჩემს ვალამაზებასაც — ფიქრობდა ქუჩაზე ჩქარის ნაბიჯით მიმავალი შაქრო.

შინ სასწრაფოთ ჩაალაგა ჩანთაში საცვლები, მოსამსახურე ქალს სთხოვა, ოთახი მიელაგებია, გამოეცვალა თეთრეული და, თითქმის, გაიქცა აბანოსკენ.

და შინ დაბრუნებულს ახლად გაწყობილ ლოგინში ეძინა, ეძინა უსიზმროთ, მაგრათ, როგორც სძინავთ 23—25 წლის ვაჟკაცებს დამაკმაყოფილებელ შრომის შემდეგ.

გაიღვიძა. ღამის 2 საათი იყო. ოთახში ვერ დადგა. უკანასკნელ დროს სამუწუხო საქმეს მიჩვეული ვერ გადასულიყო უბრალო, ყოველდღიურ შრომაზე. გრძნობამ უკარნახა:

— ეს დღე ჩემია — და გამოვიდა კარში.

პატარა ქუჩაზედაც არ შეწყვეტილიყო ცხოვრება — მთვარიანი ღამე ხალხს დენიდა სახლიდან სალაღობოთ, საარშიყოთ, ხოლო დიდ ქუჩებს არც კი ეტყობოდა, რომ ეხლა შუალამეს გადასულია, რომ მოსვენების დროა — ყველა თითქოს აპირებდა ცეკვა დაეწყო, ან მუსაიფი გაეხა, ან ემღერა სამხიარულო.

უკანიდან მოესმა:

— მე მაინც მინდა ვიცოდე, თუ როგორ შეხვდა მამა შენი ჩემს წინადადებას.

— აკი გეუბნები ძლიერ სერიოზულად, სიამოვნებით... მე ხომ/მამა არაფერს არ მიშლის, მიხსნის მხოლოდ.

— ჰო, და როგორ აგიხსნა მან ჩემი სურვილი.

— არ აუხსნია, პირდაპირ დაიწყო გადმოცემა, თითქოს მე არ ვიცოდი, მაგრამ ისიც მალე მიხვდა რომ ყველაფერი უკეთ ვიცი, — გადამეხვია, მომილოცა და მაკოცა. ეს იყო და ეს...

— შენ იცი, რა სხვადასხვა მიმართულებისა და გემოვნების ადამიანები ვართ მე და მამა შენი, მაგრამ მე დიდ, დიდ პატივსა ვცემ, რომ ასეთი გულწრფელი, კარგი, შრომის მოყვარე გაგზარდა შენ...

— ქათინაურები არ იყოს! — მხიარულად უპასუხა ქალმა.

ამ დროს ქალ-ვაჟი გაუთანასწორდა შაქროს; ხელ მკლავ გაყრილნი იყვნენ. მეორე ხელები კი ერთ მუფტაში ჰქონდათ, და შაქრომ შეატყო, რომ ისინი ერთმანეთს ხელს უჭერდნენ.

— დედა შენი კი რა აზრის იყო?

— რათ გინდა რომ ყველაფერი იცოდე?.. ჩვენს ცხოვრებაზე აწი ხომ არაფერი მნიშვნელობა არ ექნება დედი ჩემის აზრს.

— მივხვდი, მივხვდი... დედა შენს უსათუოთ ერჩია, ვინმე დეზებიანი კავალერგარდი, ან ჯვრებით მკერდ-დამშვენებული მოხელე.

ქალმა არაფერი უპასუხა.

— ... და, მგონია, თქვენც ქალბატონო, ეხლა არ იტყოდით უარს...

— გლახა, ფინთი! — განგებ გახვიადებულის გულნატკენობით უპასუხა ქალმა და მუფტიდან ხელი გამოიღო.

ვაჟს უნდოდა ხელი მოეხვია წელზე, მაგრამ ქალი მოხერხებულად შებრუნდა.

— მოიცა, ნუ სულელობ, სხვა რომ არაფერი, ჯარიმის არ გეშინია!..

— არაფერია, გადვხდი, გადვიხდი! — და ორივენი ისევ მკლავ-გაყრილნი, კიდევ უფრო ერთმანეთზე მიკრულნი ჩქარის ნაბიჯით გაექანენ...

სადღაც გაიღო რესტორანის კარები და მოისმა მწყობრი ორკესტრის სევდიანი ეშხის მომგვრელი ხმა — უკრავდნენ ვერტინსკის ახალ რომანს — „პატარა არაბს“.

შაქრომ შესვლა დააპირა, მაგრამ გამოტრიალდა და შეუგნებლათ სახლისკენ წავიდა... ძლიერ, ძლიერ ნელის ნაბიჯით.

— კოლლეგა, მეც თქვენთან წამოვალ — ჩაულაპარაკა მოხდენილმა ქალმა.

— დროს ნუ კარგავთ!..

— უ, რა უხეში ყოფილა ეს შავი დემონი! მაგრამ მე მიყვარს...

— მომშორდით!

— ჯანდაბამდის გზა გქონია! — და ქალი ჩქარის ნაბიჯით გადავიდა ქვაფენილის მეორე მხარეზე.

შაქრო შევიდა თავის ოთახში. დაიწყო წინ და უკან სიარული. მეტათ მოკლე და ვიწრო იყო ოთახი, გამოსვლა აღარ უნდოდა. ფანჯარაში შემოდოდა თეთრი ლამეების შუქი. დაბედა საათს.

„უკვე ოთხი საათია, რომ არ მეძინება?!. ან როგორ დამეძინოს, მთელი 5 საათი მეძინა?“...

დადიოდა წინ და უკან. სადღაც არსების გულში იტყობოდა გონება, — ქვე-შეგნების ხლართი იჭიმებოდა.

მექანიურათ შეასწორა მაგიდაზე საწერ-კალამი. რამდენიმე გარებ-გამორების შემდეგ მოიმარჯვა ფოსტის ქალაღი... მერმე შეამჩნია, რომ მაგიდის წინ ზის, ლამპა ანთებულა, ხელში კალმის ტარი უჭირავს და თითქოს რაღასიე დაწერა უნდა და ვერ ახერხებს.

„ასეთ შემთხვევაში როგორ დავიწყო? როგორც ჩვეულებრივ? ვის მივწერო? პირველ დღესვე დაურღვიო ოჯახის წეს-რიგი—რა საჭიროა... რუსულათ მივსწერ, მაგრამ ეს ხომ დემონსტრაცია იქნება სრულიად უმიზნო ღ უადგილო“...

— ეჰ! — გადაწყვიტა შაქრომ და კალამი მოიმარჯვა. რაკი ერთხელვე, ორიოდ სიტყვა დასწერა, მერმე თითქმის აღარ შეჩერებულა, არც შეუსწორებია, გადიკითხა მხოლოდ და პაკეტს მისამართი დააწერა:

**ტფილისი**

**ივანე ვახილის-ძე გოლიაშვილს**

ოღვის ქ. №...

ნუქერი არ გაახსენდა და მაგიდაზე, უჯრებში საჩქაროთ დაიწყო ძველი უბის წიგნის ძებნა, სადაც მისამართი ეგულებოდა.

- ხმაურობაზე მსახური შემოვიდა.
  - თქვენ ტანისამოსი არ გამოგიკიღიათ და ხომ გაუწმენდელი დარჩა...
  - არაფერია...
  - სამოვარი მოგიტანოთ?
  - კარგი, შემოიტანეთ...
  - მართლა, გუშინ ვიღაც კაცი იყო და გთხოვათ ხვალ, ესე იგი, დღეს ათ საათზე ჩემთან შემოიარეთო.
  - ჰო, კარგი!— არ აქცევდა ყურადღებას ძებნაში გართული შაქრო.
  - მისამართი დიასახლისსა აქვს, ეხლავე გამოვართმევ.
- და მოსამსახურე ქალმა მალე შემოიტანა ნახევი ქალაღი, რომელზედაც შაქრომ განცვიფრებით ამოიკითხა:

„ჩამოვღი ცოტა ხნით. მნახეთ. გიცდით ათ საათამდე. სასტუმრო „კონტინენტალ“ ოთახი 27.

თქვენი ივანე გოლიაშვილი.

— დუნია, დუნია!— მიადახა კარებში გასულ მოსამსახურეს შაქრომ— რომელი საათია?

— რვის ნახევარი!— უკმეხათ უპასუხა უყურადღებობით ნაწყენმა ქალმა.

შაქრომ მისამართის ძებნას თავი მიანება, წერილი უჯრაში ჩააგდო, მერმე ამოიღო, დახია და ისევ სიარული იწყო.

„ჯერ აღრეა...“

„ნუ თუ დღეს წყდება ჩემი ბედი?“

„რატომ ბედი?!. მაგრამ ცხოვრების დიდი კითხვა.“

„არც ისე ადვილი კითხვაა...“

„შეიძლება მეორე ხარისხოვანი...“

„ჯერ კიდევ არ არის ადამიანი მომზადებული, რომ ოჯახური კეთილდღეობა და მოუწესრიგებლობა არაფრათ ჩააგდოს...“

„ერთად მუშაობა და ერთად სიამოვნება.“

„შევეჯარდებით?.. შევეკუებით?..“

„უსათუოდ, უსათუოდ...“

„პატივისცემა, მეგობრობა, სიყვარული...“

„მაგრამ... რომ...“

„არა... არ იქნება...“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

\* \* \*

— შეიძლება მე ლარიბი ვიყო და მცირე გვარისშვილი.

— მაგი სისულელეა—შეაწყვეტინა სიტყვა ივანემ—მაგი სისულელეა; მეგობრულად გელაპარაკები, არ გეწყინოს... მე შეიძლება შენზე უფრო ლარიბიც და უფრო მცირე გვარისშვილიც ვიყო... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შენ 14 წლის ჩამოდი ანბანის სასწავლათ და რევოლუციონერების ხელში მოხვდი, მე კი 8 წლისამ დავიწყე სწავლა შეძლებული ვაქრას მფარველობით. და აი მე გავვორდი; მუშაობაც მინდა იდეისთვის, მაგრამ შეძენაზედაც ვერ ვამბობ უარს; ჩემი მდგომარეობის კმაყოფილიცა ვარ და თან ვწუხვარ, რომ ვერაფერს ვაკეთებ ისეთს, რაც გულს სწყურია და აამებს... და გეუბნები, დიდ ბედნიერათ ჩავთვლიდი თავს, რომ ჩემი ქალი შენი მეუღლე შეიქნებოდეს—ნამდვილი, ერთად ტანჯვასაც და სიამესაც იგეგმებდეთ... მაგრამ მეშინია, ბევრი გამომიციდია და ვზომავ, ვერ გაუწევთ ერთმანეთს უღელს—სხვადასხვა უნდა იყოს თქვენი გზა, სურვილი, მიმართულება... დაიტანჯები შენც და ისიც; შე შენ პატივსაცა გცემ და... მიყვარხარ კიდევ; ტანია კი მიყვარს, მეტად მიყვარს... და რათ უნდა დაიტანჯოს, თუ მას არც იდეისთვის სამსახური ესმის და არც ხელმოკლეთ ცხოვრება შეუძლია. ვიმეორებ, ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, ჩემს შვილს, თუნდაც ქალს, ექსახურნა იმ საქმისათვის, იდეისთვის, სამშობლოსთვის, კაცობრიობისთვის, შენ კი იტყოდი—პროლეტარიატისთვის, სოციალიზმისთვის, რასაც თუმც მწადდა, მაგრამ ჯერ ვერაფერი გაუკეთე... მაგრამ ვეჭვობ, რომ ეს მან მოინდომოს. თუ მოახერხებ მთელი მისი არსების გარდაქმნას, თუ იღებ ასეთ მოვალეობას თავზე, მაშინ აღარ შემეკითხებოდი, მაგრამ, ჰგავს, არც შენ გაქვს სავსებით იქედი, და მე კი ვეჭვობ, რომ მოახერხო. 17 წლის ქალის გადაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მატერიალურ მხარეს მაინც არ შეეხები და შენ არ მგონია რომ მოიხვეჭო რაიმე სიმდიდრე.



— შენ ისეთ გზას ადგიხარ—კი არ გიწუნებ, ო, არა!—რომ ხიფათი, სიღარიბე თან გდევდეს იქნება... ჩემი კი დიდხანს არ გეყოფათ — მე ვცხოვრობ, შენც იცი, თითქმის ყოველდღიური გასამრჯელოთი... ერთის სიტყვით მე არც ჰოს გეუბნები და არც არას—შენ თვით დაუკვირდი, ნუ აჩქარდები და შენ თვით გადასწყვიტე, —დაიმახსოვრე! — შენ თვით გადასწყვიტე... ტანის თანამობას, გადაწყვეტილებას მარტო ნუ დაემყარები. — შეიძლება ის კიდევაც დაგეთანხმოს, ალტაცებით დაგეთანხმოს, მაგრამ შედეგები შენ უნდა გაზოპო — სამწუხაროთ ტანია არ არის მომზადებული, რომ მომავალი გაითვალისწინოს...

\* \* \*

— თქვენ, უეჭველია, აქ, ტუილისში დარჩებით, — პროვინციამ ვერ უნდა დააკმაყოფილოს თქვენი სულიერი მოთხოვნებიანი, თუმცა სამშობლოსთვის სამსახურში თქვენ მიყრუებულ კუთხეებშიაც ჰპოვებთ საკმაო ჯილდოს.

ძვირფასათ, მაგრამ უგემურათ მორთულ სადარბაზო ოთახში სხედან ვაჟი ხანში შესული, მოკეკლუცე ქალი და ახლად მკერდაფურჩქნული ქალიშვილი.

ქალბატონი გოლიაშვილისა აგერ ნახევარი საათი იქნება, რაც განუწყვეტლივ ლაპარაკობს ახალგაზრდა ყმაწვილებისთვის გამზადებულ ოდესღაც „სათაყვანო“ კნეინა ელისაბედისაგან გაგონილ სიტყვებს.

ყმაწვილი, რომელიც სადარბაზოდ შემოსულა უკვე უხერხულობასა გრძნობს, სურს როგორმე ადგილიდან დაიძრას, მაგრამ ქალბატონი ქსელსავით აბამს სიტყვებს და თან ახალგაზრდა ტანია ისეთის მიმზიდველობით სდუმს...

ებლაც ყმაწვილი შეინძრა, ადგომა დააპირა, ქალბატონმა თითქოს ვერ შენიშნა და ღიმილით მიმართა:

— თქვენ გვასწავლით ქართულს: მე შევამჩნიე, რომ ყოველ ჩემს რუსულ წინადადებაზე თქვენ მიპასუხებთ ქართულათ.

— არა, ქალბატონო, მე ქართული უფრო მეხერხება ან და შემთხვევით მოხდა თორემ.

მოისმა ზარი.

ტანია ადგილზე შეტორტმანდა, სახე გაუმხიარულდა.

დედამ მნიშვნელოვნად გადახედა.

მსახურმა განაცხადა:

— როტმისტრი ალექსანდრე ვალერიანის-ძე ებანოვი.

— თხოვეთ... შეხვდი, შვილო — მიმართა ტანიას დედამ და მცირე შეჩერების შემდეგ დაუმატა — სტუმარს.

შაქროს მთელი სცენა არ მოეწონა... უეცრად თვალწინ გაურბინა რონოდის იატაკზე გაშლართულმა გაიოზმა და გაიფიქრა: „უნდა ჩამოვართვა ხელი“...

სწრაფად ადგა და დიასახლისს გამოემშვიდობა.

— რათ მიიჩქარით?.. ვანო სადაცაა მოვა.

— შემდეგ შემოვივლი... საქმე მაქვს.

კარებში ერთმანეთს შეხვდნენ შაქრო და ებანოვი.



ქბანოვი მხედრულათ გაიჭიმა კარებში და შაქროს გზა დაუთმო.

შაქრომ, თითქოს კარების სიდაბლემ აიძულაო, თავი დალუნა და გავიდა; ტანიას ხელი ჩამოართვა; თვალს არ გამოპარვია ქალიშვილის წითელი სახის სიამე.

გამოვიდა და ფიქრობდა:

„არა, არ არის ჩემი საქმე“

„ივანე ვასილის-ძე მაინც პატიოსანი კაცია, თანხმებურად პატიოსანი, მაგრამ უღმრველად პატიოსანი“.

„შე და ჟანდარმი!!! ერთ ტაფაში, თუ ერთ რიგში ასარჩევათ... არ მინდა არა!...“

„კარგი კია... გულითაც კარგი...“

„მაგრამ არაა ჩემი საქმე, არ არის.“

„გათავდა...“

„მუდმივ ბრძოლას, გაორებას ..“

„საწყალი ივანე ვასილის-ძე, თუ საცოდავი ივანე ვასილის-ძე...“

\* \* \*

ჩუღურეთის აღმართის მოსახვევში ორსართულიანი უღიმღამო ფერის სახლი სდგას. ქვედა სართული უფრო სარდაფს წააგავს: ფანჯრები ნახევარზე მეტი ნიწაში იმალება; კარები კიბის ქვემოთ, სადღაც ჯურღმულში იკარგება — სტუმარს ვერ იზიდავს მოყვრულად. პირიქით, თითქმის საშიშია ამ კარების გაღება.

მაგრამ რაც დაუკლია სახლის პატრონს, ის შეუფ'ია მდგმურებს.

ორი მოდიდო ოთახის ყოველ კუნჭულს ატყვია სისუფთავეზე მზრუნველობა და სილიმაზისა და ლაზათის სადა გემოვნება. გაცრეცილ შპალიერის დასამალავათ გახეტების ილღუსტრაციები გაუკრავთ. იატაკზე, იქ, სადაც აგურები ამოცვენილა, ქილოფი და ფარდაგი გადაუფენიათ; ნესტიან კუთხეებში სქელი კარდონია გაკრული, და მას მიდგმული აქვს სკამი, სუფრა და ტახტი.

მაგიდებს ჰფარავს ხელთნაკერი საფარი; კედლებზე ჰკიდია რამდენიმე სურათი დიდებულ მწერალთა და...

აქეთკენ სოფეშურებოდა ეხლა შაქრო.

\* \* \*

— ჩვენ კეტებით ვიბრძოდით და წერა-კითხვის მცოდნე უკვე განათლებულ კაცათ მიგვაჩნდა და მეთაურობას ვთავაზობდით, დღეს კი სტამბა გვაქვს; ბრაუნინგს არ ვჯერდებით და ტყვიისმფრქვევლებს ვშოულობთ; უნივერსიტეტ დამთავრებულებს აღარ ვუჯერებთ და ჩვენი ქკუის ხალხს მოვთხოვთ თვით სოციალიზმის ქვეყანაში დაეწაფონ ცოდნას, თუ უნდათ ჩვენი წინამძღოლობა და სიკეთის მოტანა... აბა!.. ერთ დროს ხომ მთავრობაც ხელში გვქონდა ჩავდებულები...

— და რამდენი შეცდომა ჩავიდინეთ... შევრცხვით.

— მაგი ტყუილია, სასირცხო არაფერი ჩაგვიდენია— შევცდით კი მართალია... შენ, გეტყობა, პირადათ, რაღაც უსიამოვნობა შეგეძებოდა და აჭარბებ, ნერვიულობ—ა, ა! მაგი არ გაგვაგონო, შენ ინტელიგენტობას იწყებ და ეს დიდი უბედურება იქნება.

— რა ვქნა, რაღაც...

— რაღაცა და ვიღაცა ყოველთვის შეგიშლის ხელს, <sup>ერქვენი</sup> ~~კმაგრობი~~ ~~ქრულ~~ ~~შევიკი~~ კაქისა და ფოლადისა უნდა იყო... ნაპერწკლებს უნდა ჰყრიდე თავის თავთან შეტაკების დროსაც კი... რა გვაქვს მოსაწყენი?! ჩვენ ყოველის მხრით გამართლებული ვართ... ჩემი ხელობა იმდენათ საჭიროა, რომ შეუძლებელია ახლანდელი კაცის წარმოდგენა ურკინიგზოთ; სრულიად მიყრუებულ სოფლისათვისაც კი ჩვენ ისეთივე საჭირონი ვართ, როგორც ურემი და წალდი.

— მაგის მეტი თუ არაფერია—დაეღუპულვართ.

— არა, ეს ერთი ნაწილია... მუშათა მოძრაობაც ჩვენებურათ, რკინისგზულათ რომ ვთქვათ, ბილიკებიდან ლიანდაგზე დადვა, უკანასკნელი მიზანი გათვალისწინებულია და აწი შემდეგი სადგურების მიღწევა მხოლოდ დროის საქმეა...

— მართალი ხარ, სპირიდონ, მართალი... ოღონდ ცუდ გუნებაზე ვარ და... და შექრომ ისეთის თვალებით შეხედა სპირიდონს, როგორც უმცროსები ყოველთვის შეხედვენ გაჭირვების დროს თავის ახლობელს, ხნით უფროსს მეგობარს—თითქოს ეუბნებიან, აბა დამაბმარე შენი გამოცდილებაო... და შექროს მოაგონდა გაიოზი, შორი ტყე, გოჯილიათ დადგმული ქოხი, რკინის გზის ლიანდაგის პირად მყოფი სადარაჯო, სადაც ისინი შეგირდ-მასწავლებლობდენ...—

— სპირიდონ, არაფერი ამბავი მოსულა გაიოზის?

— ამ ცოტა ხანში არა, მაგრამ წინათ მოსულმა ბარათმა დამარწმუნა რომ კარგათაც არის და ბევრსაც მუშაობს...

— თქვენ, რას კითხულობთ,—მიმართა შექრომ ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც ალტაცებით უსმენდა მობაასეთ, განსაკუთრებით შექროს, მაგრამ გაშლილ წიგნაკს ხელს არ უშვებდა და სიჩუმის დროს ზოგჯერ თვალს შეავლებდა ფურცლებს.

— ეს აღმანახია. ზოგიერთი ძალიან მომწონს, აი, მაგალითად, ეს პატარა წაიკითხეთ—და გაუწოდა წიგნაკი შექროსთან დამოუკიდებელი ბჟასით გახარებულმა ქალიშვილმა.

შექრომ დაიწყო თავისთვის კითხვა.

— ჩვენც გაგვაგონე—სთხოვა დიასახლისმა.

შექრომ ხმამაღლა წაიკითხა:

### მ ო ლ ო დ ი ნ შ ი

მიყვარს ქვეა-ქუხილი, როცა არ იცი რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია—მეხი არ დაგეცეს: მინდორ-ველში კი მარტოობით სული გვხუთება; გრიგალი ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში გაყრის, რაც

მიწას ვერ შესისხლხორცებია; ზევიდან ბნელათ დაგყურებს შავი ღრუბელი, ქვევით კოჭებამდის გარტყამს ნიაღვარი...

ბრძოლაა სიცოცხლისათვის, — სჩქევს სისხლი, გავიწყებს წვრილმან უსიამოვნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გადარჩე!

მიყვარს მოწმენდილი ცა, — ნიავე ოდნავ ეკარება ქუბულს; ზურმუხტ ცას მზის შუქი აღიმებს; მწვანე ბიბინებს დამატკბობელად წყნარ ნაზად იხრებიან, ვით „ჩამოვლის“ დროს მოლეკურე მეგრელის ქალი. ჩიტები სხვადასხვა ჰანგზე უმღერიან თავიანთ სატრფოთ; წყნარად მიდუღუნებს აცისკროვნებული მდინარე.

გიტაცებს სიამე ქვეყნისა, შენს გულს იმედს ჰგვრის ბუნების მეჯლისი; გადახდილი მწუხარება ასწილ ნეტარებით ითრგუნება, ქრება!

ოხ, ბედო, რათ მაგდებ მუდამ უღიმღამო ბუნებაში! მოღრუბლულა; მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა მოწმენდილი ცის ნაჭერი; მიზოზინებს ღრუბელი და ოდნავ მანათობელ მხარეს ისევ ყლაპავს თავის წყვდიადში. ვარსკვლავთ გუნდს ვერ მოსძებნი; ძირს მიწაც მიჩუმებულა, თითქოს უცდის მოწყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო; ამღვრეული მდინარე ვერ ბედავს ნაპირს დაეჯახოს, გვერდს უვლის ბუტბუტით სალ კლდეებს; იგი დროს ელის, ელის ქექასა და გრიგალს კოკისპირულს წვიმას, რომ ცით დაიმედებულმა სალი კლდე ქვეშ გათელოს, გზა გაიხსნას.

კრულ იყოს ასეთი დრო მოლოდინისა, დრო ფერმკრთალი სიცოცხლისა!...

— არა უშავს რა... — მოწყალეების ლმობიერებით სთქვა დამთავრების შემდეგ შაქრომ, რამაც ქალიშვილს გული ოდნავ ატკინა.

— მე, შაქრო, სხვა რამ მაინტერესებს, — შენიშნა სპირიდონმა — რათ უმღერიან ბურჟუაზიის წარმომადგენლები ამ ქარიშხალსა და რევოლიუციას?... ნუ თუ ვერ ამჩნევენ, რომ მათი აღსასრულის დღე რევოლიუციასთან ერთად დადგება?..

— სწორეთ რომ ვერ ამჩნევენ; მათ ჰგონიათ, რევოლიუცია მათ გადასცემს ძალა-უფლებას! მონარქიზმის წკიპურტები შეფასების უნარს უკარგავს მათ, და, რომ პროლეტარიატის ურო უფრო მტკივნეული იქნება, ვერ წარმოუდგენიათ.

— საკვირველია, რომ მეცნიერთა, ხელოვანთა და პოლიტიკოსთა წრე ასეთი ბეცი ხდება.

— განსაზღვრულ მომენტში, ადამიანს, ცხოველს ეკარგება ბუნებასთან შეგუების უნარი, ამის შესახებ მეჩნიკოვს აქვს ერთი მშვენიერი მაგალითი: ზღვის ცხოველი, რომელიც უწყლოთ ვერ ცხოვრობს, განსაზღვრულ დროს გამოდის ნაპირზე და კვდება...

— ეს ხომ თვითმკვლელობაა?.. — ჩაება ლაპარაკში დიასახლისი.

— დიახ თვითმკვლელობაა, მაგრამ არა ინდივიდუალური, არამედ ბუნებრივი, მთელი ჯგუფისთვის კანონათ დადებული.

— ვინ მეცნიერი დაასახელეთ? — დაეკითხა შეწითლებული შეგირდი — ვაჟი, რომ არ ჩამორჩენოდა ყველაფერში მოჯიბრე ქალიშვილს და რომ ასეთ მომზადებულ ყმაწვილთან მასაც გაეცა ბაასი.

— მეჩნიკოვი, — დიდი მეცნიერია — მე ვიცნობ მის მხოლოდ ორ წიგნს: „Этюды о природе человека“ და „Этюды оптимизма“. მარტინოვი, როგორც ყოველ ბურჟუაზიულ ნაწარმოებს, ამ წიგნებსაც ახლავთ ისეთი სუსტი და სული, რასაც გამოდენი უნდა, მაგრამ მაინც მეტად საყურადღებო აზრებია გამოთქმული, ჩვენთვის, არა სპეციალისტებისთვის ადვილად გასაგები...

— ტფილისში არ იშოვება? — დაეკითხა ისევ ქალიშვილი.

— უსათუოდ არის; ოღონდ გირჩევდით, ვინმე ბუნების შეტყველის ხელმძღვანელობით წაგეკითხათ, თქვენ არ გყავთ ვინმე ნაცნობი ბიოლოგი?

ახალგაზრდა ქალ ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს.

— არა.

— წიგნი პოპულიარულად არის დაწერილი, მაგრამ მაინც სჯობდა ჯერ მოხსენება მოგესმინათ საერთო ხაზის გამონახვისთვის.

— თქვენ წაგვიკითხეთ — წამოიძახა ყმაწვილმა და კიდევ უფრო წამოწითლდა.

— წაგვიკითხეთ, წაგვიკითხეთ — ბავშურათ ახტუნდა თავის ადგილზე ქალიშვილი.

— ვერაფერი ბიოლოგი ვარ, მაგრამ, თუ უკეთესს ვერ იპოვით, კარგი, წაგვიკითხათ.

— წაუკითხე, წაუკითხე, — მეგობრულათ ურჩია სპირიდონმა — ახალგაზრდობასაც გაეცნობი, მათაც ცოდნას გადაცემ.

— როდის? სად? — არ ცხრებოდნენ ახალგაზრდები.

— მომავალ ორშაბათს — ცოტა მოფიქრების შემდეგ უპასუხა შაქრომ.

— ეს ხომ მთელი ათი დღეა... — უნებური ქალური გაბუტვით უსაყვედურა ქალიშვილმა.

— უნდა მოვემზადო... ბიოლოგობა სრულიად ახალი ხილია ჩემთვის.

— მაშ, სად?

— ჩვენთან. . . თუ არა და, აქ... — და ქალმა ბიძია სპირიდონს შეხედა.

— აქ იყოს, აქ... ჩვენ ბებრებიც მოგისმენთ, იქნებ ჩვენც დავკარგოთ შეგუების უნარი — ღიმილით დაადასტურა სპირიდონმა გადაწყვეტილება.

— მე ანიკოს გავახელე, რომ პირველმა ჩვენ მოვახერხეთ ლექციის მოწყობა — წამოიძახა ქალიშვილმა.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადუფუჩუნეს, უხერხული „ნახვამდის“, „ეხლავე მოვალთ“ სთქვეს და გაიქცენ, — ეტყობოდათ, ახალი ამბავი ამხანაგებისთვის უნდოდათ მალე გადაეცათ.

შაქრომ ეძებდა სპეციალისტ-ბიოლოგს.

საგანგებოდ ინახულა არჩილ ნორაბიძე.

— დიდის სიამოვნებით, ოღონდ ამ საგნის შესახებ განძრახული მაქვს რამდენიმე წერილი — მრავალი კითხვა სადაოთ მეჩვენა; წარმოიდგინე, ვბედავ, მეჩნიკოვს შევეკამათო. როგორც კი დავამზადებ — შეგატყობინებთ.

— ამდენი არ დასკირდება ჩვენს ბიჭებს.

— შეიძლება, მაგრამ მე ხომ მომზადებული უნდა ვიქნე, სავსებით უნდა გავერკვე საკამათო კითხვებში.

— როდის მოახერხებთ?

— იმედი მაქვს, ამ ერთ თვეში დაემათავრებ დაწყებული კარგა ხანია ვერ მონახა სიტყვა, რადგან „შრომა“ გახვიადებულით ეჩვენა შემთხვევითად გლახთა განთავისუფლების“ შესახებ და მაშინვე მაგას ჩაუჯდები...

შაქრომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიდამოებშიაც შეიარა, სადაც ქართველი ინტელიგენტების უპრაველესობა ყოველ დღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც ჩაიმუხლისთავებდა; აქ შეხვდა სპეციალისტ ბიოლოგს, მაგრამ მან მოკლედ მოუჭრა სიტყვა:

— თქვენს შუველში დიაკნათ არ ვივარგებ.

— ეს ხომ პოლიტიკური კითხვა არაა, ბატონო გიორგი.

— თქვენგან არ მიკვირს?! განა ხულის თქმაც კი შეიძლება, რომ შიგ კლასიური რამ არ იყოს?..

— მაშინ ვიკამათებთ და ეს კიდევ უკეთესი იქნება...

— ასეთი კამათი მხოლოდ ნერვება შლის და ნაყოფი კი არაფერი მოაქვს... თქვენი ახალგაზრდები ისე არიან გაქლენთილი განსაზღვრული მსოფლმხედველობით, რომ ჩემი ნათქვამი მხოლოდ მოსაგონებელ სასაცილო სიტყვებათ დარჩებათ... სამწუხაროთ, ქართულიც რომ არ ვიცი საკმაოთ... აქ ხომ სულ ტერმინები იქნება საჭირო...

— და მაშ როგორ გინდათ იშოვოთ მომხრე, თანამოაზრე?..

— მე სრულიადაც არ ვეძებ მომხრესა და თანამოაზრეს. მე ძალიან კარგათ ვიცი, არ იერთის შოვნა ისეთის სიმრავლით, როგორცაა მნიშვნელობა ჰქონდეს, არ შეიძლება.

შაქროს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა.

— მე, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, თვითონ არ ვარ დიალექტური მატერიალიზმის მომხრე... „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“, და ეხლა სწორეთ ისეთი მდგომარეობა არის, რომ მე ორი სამი კაცის მეტი არვინ გამომყვება... ეს ორი სამი ჩემსავით უნიადაგო და გამოუდგარი გახდებიან ცხოვრებისათვის... ისევ სჯობია, შემცდარმა აზრმა ამოქმედოს — მოქმედება ყოველთვის უკეთესია უმოქმედებაზე.

— თქვენ რაღა გიშლით, მიატოვოთ „ძველი აღთქმა“ და ახალზე გადახვიდეთ თუ კი ამჩნევთ, რომ უკანასკნელი უფრო მიზანშეწონილია.

— მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ ვალვიარებ, რომ უკანასკნელისაკენ მიერეკება ხალხს დღევანდელი მდგომარეობა... ეს იქნება ერთხანს — შეიცვლება მდგომარეობა, შეიცვლება იდეალებიც, მისწრაფებანიც, სწორედ ისე, როგორც ქრისტიანობისაკენ მიაქანებდა ხალხს განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება; დღეს ხომ ბევრი აღარ ფიქრობს, რომ ქრისტიანობისათვის ელლინურ-რომაული კულტურის სრულებით შეწირვა ნართებული ყოფილიყოს. ჯვარი წინ ვედარ უძღვის კაცობრიობას. ეს ევროპა, თუ უფრო ადრე არა, მე-

თექვსმეტე საუკუნეში მაიაც ნათლად შეიგნო; ჩვენ კი მეოცე საუკუნეს მავადექით ერთხელვე შეთვისებულ ცნებით. ქართველების ჩვეულებაა მალე შეთვისება და დიდხანს დაყრდნობა ერთსა და იმავეზე.

— და თქვენ ფიქრობთ რომ სოციალიზმი, შრომის განათავისუფლებელი მოძრაობაა; ეს ყოველივე ერთგვარი მოარული სენია, რაღაცეა წინააღმდეგ, თუმცა ბრძოლა არ შეიძლება, მაგრამ მაინც სენია და ოდესმე—თავის თავად გადაივლის?

— როგორი სოციალიზმი და როგორი განთავისუფლება. ის, რასაც უყურებ კარგს არაფერს გვაძლევს.

— ბატონო გიორგი, ბატონო გიორგი, თქვენ მართლაც მუშათა კლასის პრინციპიალური მტერი ყოფილხართ.

— გარწმუნებთ რომ ცდებით, მე მხოლოდ სხვა გზით, მგონია, მათი საბოლოო იდეალების მიღწევა შესაძლებლად...

— მაშ გამოამუღაენეთ ეს თქვენი გზები, გვითხარით, გვაჩვენეთ.

— ერთი, რომ ვინ მოგცემს ამის საშუალებას?.. თანაც უმრავლესობას სწორეთ ის გზა აქვს შეუგნებლათ სასიარულოთ ამორჩეული, რომელსაც თქვენ უმარტავთ მხოლოდ ..

— ამირან გულში იმღეროდაო, თქვენზეა ნათქვამი.

— თითქმის მართალი ბრძანდებით,—გაელიძე გიორგის—მაგრამ დავეთხოვოთ ამ საგანს,—წინათვე აკი გითხარით, კამათი უმიზნოა-თქო. აი, მე თქვენთვის მიხდოდა შეკითხვა, არ გაქვთ რაიმე გამოკვლევა, ან თუ რაიმე უთქვამს თქვენთვის ლექციებზე რომელიმე ლექტორს „მასალის დაღლილობაზე“?

— ძლიერ ცოტა, თქვენ ხომ არ ბრძანებთ, „მასალის გაცვეთაზე“, „მასალის წინააღმდეგობის უნარიანობაზე“.

— არა, არა; მე სწორეთ „მასალის დაღლილობაზე“ მოგახსენებთ—„инсталности материалов“. თქვენ იცით, როგორც სპეციალისტმა, რომ ზოგჯერ ღერძი, ან ბორბალი ან სხვა რამ რკინის, ლითონის საგანი უეცრად ტყდება, იშლება, იგრიხება და, გასინჯვის დროს შეუძლებელია რაიმე ნიშანი კპოვოთ ან გაცვეთის, ან დაავადმყოფებისა—ტყდება და მიხეზი კი მხოლოდ კრისტალების რაღაც ცვლილება უნდა იყოს...

— მართალია ეს ხდება...

— და აი მინდოდა გამეგო, ამის შესახებ ხომ არაფერი დაწერილა ან თქმულა.

— სპეციალური ნამუშევარი მე არ წამიკითხავს, მაგრამ მე გავიკითხავ... უსათუოდ მივწერ ჩემს მასწავლებელ პროფესორს.

— ორი უკიდურესობა, რამ შეჰყარა აქ? —შესწყვიტა მათი ბაასი ივანე ვასილის ძემ—წაიკიდეთ უსათუოდ...

— კინალამ, კინალამ, მაგრამ განმარტებით დავამთავრეთ ბაასი.

სამივე უახლოვდება ალაყაფის კარებს.

— კარგია რომ გნახეთ, სწორეთ თქვენ გეძებდით—ხუთშაბათს დანიშნულია ჩემსას მოლაპარაკება თემობის შენობების შესახებ. ყველანი გთხოვენ

მობრძანდეთ თქვენცა და თქვენც. ოღონდ, შაქრო, თქვენ უნდა დამავალოთ მუშების წარმომადგენლებს მოელაპარაკოთ, და სთხოვოთ მობრძანდენ.

— კარგი, მაგრამ თუ არ დასთანხმდენ?

— სამწუხარო იქნება, მაგრამ რა გაეწყობა... თქვენზე უკეთეს მოციქულს მაინც ვერ ვიშოვით.

გიორგი დასთანხმდა.

გზა ჯვარედინზე ივანე ვასილის ძე მათ დაშორდა.

გიორგიც გამოეთხოვა შაქროს.

— მე მაინც მინდოდა, რომ თქვენ ორიოდე სიტყვა გეთქვათ ახალგაზრდობისათვის.

— უკაცრავათ, გამანთავისუფლეთ... გარდა იმ მოსაზრებისა, რომელიც გითხარით, არც ის მომწონს, რომ მთელ რთულ კითხვიდან, თუ მეცნიერებიდან ამოგლეჯენ ორიოდე სიტყვას და გადისროლიან სრულიად მოუმზადებელ წრეში... ამის შედეგია მხოლოდ ზერელობა, ყოველ საგანზე თამაში ლაპარაკი...

— ჩვენი ყმაწვილები ასეთი არ არიან— უცნობი დარგიდან თითო-ოროლა კითხვის განმარტებას მხოლოდ ცნობისმოყვარეობას გაუღვივებს მათ, რომ შემდეგ გულმოდგინეთ შეისწავლონ საგანი.

— ასე რომ ხდებოდეს სასურველია, მაგრამ მე ჯერ არ შემხვედრია... მაპატიეთ რომ პირველ თხოვნას ვერ გისრულებთ... სამაგიეროს ნუ გადამიხდით და შეეკითხეთ თქვენს პროფესორს...

— რა სათქმელია?! მე თვით დამაინტერესა თქვენმა კითხვამ.

დაშორდენ ერთმანეთს.

და მარტო მიმავალი შაქრო ფიქრობდა ამ კაცზე: მართლაც რომ „წინააღმდეგობათა მურგვი“, როგორც უწოდა ერთმა ენა-მახვილმა მანდილოსანმა: დიდი მოხელე, თავადი და მთავრობის წინააღმდეგი, გლეხების მომხრე, თუნდაც თავისებურათ; შოვინისტი, პატრიოტი და დედა-ენა არ იცის; პოლიტიკური მოღვაწე მე-XX საუკუნეში, რომელიც ერიდება საკუთარი იდეების გავრცელებას და არა შიშით, ტყუილია, ფრთხალი არ არის!..

## VIII

### შეუთანხმებელი

— მგონი ყველანი შევიკრიბეთ, დავიწყით— განაცხადა თავშეკავებული ღიმილით დინჯმა სტუმარმა, რომელსაც გვერდში უჯდა ენა-მწარი პუბლიცისტი და ხმა-დაბლა ეუბნებოდა: „ნამდვილ რაქველ პატარძლის მდგომარეობაში ვართ, თუ რამეს აპირებენ, დაიწყონ“.

— ეხლავე, ბატონებო, ეხლავე, აი, მუშების წარმომადგენლებიც მოვლენ საცა...

ამ სიტყვებთანავე გაისმა ხარი; ყველამ კარებს მიაცქერდა... და შემოვიდა სამი მუშა და შაქრო.

— ჩვენ ცოტა დავიგვიანეთ, მგონი, მაგრამ ტრამვაი სწორეთ შუა გზაზე შეგვიჩერდა...

— არა, არა... სხვებიც მხოლოდ 2-3 წამია, რაც მობრძანდენ.

წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე მასპინძელმა დაარღვია.



— რადგან, როგორც ვაჩუკობ, ყველა ჩემგან, როგორც მასპინძლიდან, მოელის პირველ სიტყვას, ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ზოგიერთი თვენგანის სურვილის თანახმად, მე მოვიწვიე, ჩვენი ქვეყნის საზოგადო მოღვაწენი და პარტიის წარმომადგენენი, რომ გამოვარკვიოთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ საქართველოში შემოღებულ იქმნეს ერთგვიანობა, ამოიჩიოთ თავმჯდომარე.

გ. ბილიჯუმი

— რა საჭიროა თავმჯდომარე...

— თუ გნებავთ, ხელმძღვანელი უწოდეთ, ოღონდ საჭიროა ერთგვარი წესი იქნეს დაცული, რომ ჩვენმა თათბირმა რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

— ჩვენ—განაცხადა მუშათა წარმომადგენელმა, — ოფიციალურ მნიშვნელობას არ ვაძლევთ ამ კრებას, ამიტომ თავმჯდომარის არჩევნებზედაც უარს ვაცხადებთ.

ირგვლივ შეიშმუშნენ.

— თქვენვე, ბრძანდებოდეთ ხელმძღვანელათ, გასაყოფი ჯერ, მგონი, არაფერი გვაქვს, გაზაფხა არ მოგიხდებათ — შენიშნა ენანწარმა პუბლიცისტმა.

— თქვენ, თქვენ!..

აქ მყოფთა უმრავლესობა უკვე მოლაპარაკებული იყო; მუშათა წარმომადგენლების აზრის გაგება უნდოდათ მხოლოდ.

მუშებმაც ეს მალე შეამჩნიეს, და ერთმა მათგანმა თავიდანვე ასე დაამთავრა სიტყვა:

—...ჩვენ როგორ შეგვიძლია თქვენთან ერთად ვიმოქმედოთ ან რაიმე თქვენ დაგიჯეროთ, როცა თქვენ ყოველ დღე ეფიცებით იმპერატორს უქვეშევრდომილეს გრძნობებსა, და ეროვნება მხოლოდ მაშინ ვაგახსენდებათ, როცა ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებთ.

— როდის იყო? — გაბრაზებით იკითხა დინჯმა სტუმარმა.

— მართალია! — რალაც ენინანობით წამოიძახა გიორგიმ.

— შენც მაგათ უჭერ მხარს?

მოლაპარაკე მუშა სრულიად არ მოელოდა ასეთ კრებაზე აღშფოთებულ წესის დამრღვევ რეპლიკებს, ამიტომ წუთით შეჩერდა, მაგრამ განაგრძო.

—...პატივცემულ გიორგის დადასტურება საკმაოა — ასეთი საქმეები მან უკეთ იცის, თუ რა, რა თქმა უნდა, ჩვენ არა იმ მოსაზრებით ვართ თქვენი წინააღმდეგი, როგორითაც ბატონი გიორგი. ყოველ შემთხვევაში, რასაც თქვენ თხოულობთ, იმას ჩვენ მოვითხოვთ, რაც თქვენ უპირველეს საგნათ მიგაჩნიათ — ჩვენთვის თავისთავად საგულისხმებელია, და ჩვენი ერთად სიარული ყოველად შეუძლებელია. ერთადერთი შეიძლება მხოლოდ: იმ ფარგლებში, რომელსაც თქვენ მიიღებთ, მხარი დაგვიჭიროთ ჩვენ.

— და თქვენ კი ვერ დაგვიჭერთ მხარს, როცა სარგებლობა ყველასათვის უქვევლია.

— ვერ დაგიჭერთ მხარს — იმ მიზეზით, რომელიც უკვე მოგახსენეთ; უბრალო მაგალითი აიღეთ: თქვენს თხოვნას რომ მხარი დაუჭიროთ, ეს იქნება თხოვნათა და პეტიციათა სისტემის საერთოდ დადასტურება; ჩვენ კი ვამტკი-

ცებთ, რომ თხოვნა კი არ უნდა—ბრძოლაა საჭირო. თხოვნა გაპონების საქმეა..

— ასეთი ჯიუტობით, ბოიკოტითა და გაუიცვებით ჯერ ჩვენ არაფერი მიგვიღია: ბათომის ქარხნები ხომ დაიკეტა და მგონი გადააქვო ალექსანდრიაში—შენიშნა ესტატე თაყაძემ.

— იქაც მუშები დახვდებიან.

— ჩვენი მუშები კი დაიმშვიდებიან.

— თუ საჭიროა საბოლოო გამარჯვებისათვის...

— ჩვენ სრულიადაც უარს არ ვამბობთ საკაცობრიო მუშაობაზე, მაგრამ—დაიწყო არჩილმა.

— უკაცრავათ—ლიბლით შეაჩერა თავმჯდომარემ—ასეთ განწყენებულ კითხვებს თუ გავყევით, ჩვენს მიზანს მეტად დავშორდებით.

— კა-გი, თქვენი ნებაა...—არჩილი გაჩუმდა.

— როგორც ეტყობა ერთი მცარე ნაწილი მუშებისა...

— არა მცირე, არამედ ვინც ნამდვილი მუნაა—ყველა—ჩაურია სიტყვა შაქრომ—აქ არიან რკინისგზის, ტრამვაის და თამბაქოს მუშათა წარმომადგენლები.

— მთელ ევროპას ვიცნობთ, მაგრამ ეროვნული საქმე რომ ასე აბუჩათ ჰქონდეთ აგდებულა, არსად გვინახავს..

— თქვენ იცნობთ ევროპას მუშების გამონაკლისით...—უპასუხა ისევ შაქრომ.

ესტატემ წყენით გადახედა თავის ყოფილ მოწაფეს, თითქო უნდოდა ეთქვა, შენზე ტყულა დავხარჯე შრომა და ამაგიო.

— ...ჩვენ ჩვენი მოვიმოქმედოთ—განაგრძო ორატორმა—გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია, და თუ ვინმე მეტს მოახერხებს, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

— დღევანდელი კრებიდან და წინანდელ მოლაპარაკებიდან, ჩემის აზრით, შემდეგი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ—დაიწყო დინჯად აქამდე მდუმარე სტუმარმა:

პირველი: თემობის შემოღება ერთხმად (მხედველობაში არ ვღებულობ უკიდურესთა განცხადებას, მით უმეტეს, რომ ისინიც არ არიან თემობის წინააღმდეგი, მხოლოდ ჩვენი ტაქტიკა არ მოსწონთ...) სასურველად და მიზანშეწონილად არის აღიარებული.

მეორე: ასეთი შუამდგომლობა უნდა აღძრას ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ და ტფილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ, რომელთაც უეჭველია, მხარს დაუჭერენ საქართველოს დანარჩენი ქალაქები და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაუროთა დეპუტატების საკრებულო; ზოგიერთ მათგანს ასეთი შუამდგომლობა წინათაც ჰქონდა აღძრული და ეხლა მხოლოდ განიმეორებენ სხვებთან შეთანხმებულად.

მესამე: საჭიროა, ჩვენ, ასე ვსთქვათ, საინიციატივო ჯგუფმა, მიიღოს ყოველივე ზომა: აახმაუროს მწერლობა, საზოგადოებაში პირად ნაცნობობით, თუ

გავლენით, საკმაო თანაგრძნობა მოუპოვოს წამოწყებას... თუ რაზე დაერთო ამ საქმეს, საჭირო იქნება ჩვენი ხელმეორეთ შეკრება და ეს მივანდოთ, მე მგონია უარს არ გვეტყვიან, ჩვენ პატივცემულ მასპინძელს, ბატონ ივანესა და თავად გიორგის.

ორატორი დადუმდა.

— საჭირო იქნებოდა, ჩემის აზრით, — გაისმა ხმა — სახელმწიფოს უმუშავება.

— არ გირჩევდით, ბატონებო, ეს გამოიწვევს კამათს, ჩვენს შორისვე დაბადებს უთანხმოებას; სჯობს მთავრობა დავაჯეროთ თემობის მიღების პრინციპში; დანარჩენი, ბევრად უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნება.

— მართალი მოსაზრებაა: როცა ყველას ეცოდინება, რომ მთავრობა დასთანხმდება თემობის შემოღებას, მაშინ უფრო ადვილად შევთანხმდებით პრაქტიკული მოთხოვნების ზედ-გავლენით. ისე კი დაიწყება თეორიული მსჯელობა და თემობიდან ზოგი ჰომრულამდე მივა და ზოგი კი დაკმაყოფილდება 1894 წლის დებულებით. მე ვეთანხმები ბატონ ესტატეს.

— ამგვარათ, მგონი, ბატონი ესტატეს აზრს უმრავლესობა იზიარებს. — თავმჯდომარე მასპინძელმა გადახედა საზოგადოებას.

პროტესტი არავის განუცხადებია.

— მაშ, ბატონებო, გავკადნიერდები და ჩემს თავს, თქვენის ნებართვით, საინიციატივო ჯგუფის ბიუროს წევრათ გამოვაცხადებ. თუ რაიმე საჭიროებამ მოითხოვა, თქვენვე მოგმართავთ.

თანხმობის ნიშნად ზოგმა თავი დააქნია და ზოგი კი ასადგომათ ადგილზე შეინძრა.

— იქნებ არის კიდევ რაიმე კითხვა, რომელიც....

— არაფერი, ჯერ არაფერი — მოისმა სხვადასხვა მხრიდან.

და სანამ თავმჯდომარე გამოაცხადებდა, გიორგიმ, რომელსაც ძალზე ეჯავრებოდა ასეთი კრებები („ნახევრათ საქმიანი, ნახევრათ საქმლიანი“) საკმაოთ ხმა-მალლა საეკლესიო კილოზე ჩაილაპარაკა.

...და კრებას დახურულად ვაცხადებ!..

ამ ოჯახისთვის სრულიად უცხო, დღეს პირველად საქმისთვის მოსული მუშები და შაქრო მაშინვე გამოეთხოვენ მასპინძელს, საერთოდ თავი დაუკრეს დანარჩენებს და წავიდნენ. მასპინძელმა წასულნი გააცილა და, როცა დერეფნიდან უკან დაბრუნდა, შენიშნა რომ ბევრი წასასვლელად ემზადება; ამიტომ დაუჩქარა ეთქვა:

— გავიდეთ ბატონებო დიასახლისთან — ჯერ კიდევ ადრეა.

არჩილმა, რომელიც ხშირად ახველებდა, მოიბოდიშა ავადმყოფობა და მასპინძელს გამოეთხოვა. მას მიჰყვა მალალ-მალალი სარკასტიულათ განწყობილი პუბლიცისტი და გიორგი.

— როგორ მოგწონს? — დაეკითხა არჩილი, როგორც კი ქუჩაში მარტო დარჩნენ.

— არ მომწონს არც ისინი, არც ესენი—და არც შენ—უნდოდა დაემატებია, მაგრამ სიმპატიურ ავადმყოფ ადამიანის გულის ტკენა შეენანა.

— წარმოიდგინე, მე ისინიც მომწონან და ესენიც... ყველა გამოსადეგია ჩვენი საქმისათვის, თუნდაც იმ საქმისათვის, რომელსაც შენ ემახურობი, ოღონდ გზის ჩვენებაა საჭირო, დრო უნდა, დრო... ჩვენ გადავეჩვიეთ პოლიტიკურ აზროვნებას. ასმა წელმა წელი კი არ მოგვეწყვიტა, თავის უჯრედსა და მოლოტიკური სასწორიც ამოგვაცალა.

— არათფერი გზის ჩვენება მაგათ არ სჭირდებათ, ჩვენზე უკეთ იციან და გარკვეული გზით მიდიან. იმათ ეროვნული საქმე მეორე კი არა, მეათასე ხარისხოვან საგნად მიაჩნიათ; ამათ კი გარდა საკუთარი სერთუკისა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, და იკრიბებიან, რაოდენ გროშს იმეტებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მდგომარეობა აიძულებთ... დასანახათ უნდათ და არა საგულადოთ.

— და ამას ამბობ შენ?!

— შენ მაინც ნუ აყვები სხვებს!.. დაგიფინიათ—გიორგი ბურუყაზის მომხრეა, თავად-აზნაურობას ეკედლებათ... როდის იყო, რომ თანამედროვე აზნაურობა ვაქე ან ბურუყაზია. პირიქით, მე ვამბობ, რომ იგი ჩვენში ან სრულიად არ არის, და რაც არის უსუსურია, ეროვნულ საქმიანობას მოკლებული, უიდეალო... მაგრამ ამ ელემენტებიდან უნდა წარმოიშვას ეროვნული სულის მხსნელი... ეს თაობა არ ვარგა—შემდეგი თაობა გამოისყიდის შეცდომებს... ამის მაგალითს გვაძლევს ის თითო ოროლა კაცი, რომელიც მოქმედებს... ვინ იყო მაინც ჩვენი ეროვნული საქმის მკეთებელი? ეს ორიოდ კაცი!

— შემცდარი ხარ, შემცდარი! ერთი კლასი, მეორეს უამობს ისტორიულ ასპარეზს... აი ის უხეშათ მოლაპარაკე მუშებია, რომ ქართულ საქმეს გააკეთებენ, თორემ ვიცე-გუბერნატორის მუნდირზე მეოცნებე სვიმონი, და კომერციის სოვეტნიკობით გაბედნიერებული დავითი, ჩვენ ერს ვერაფერს შეძენენ... ხველამ შეუშალა განეგრძო ბაასი.

— მუშების როლს მე სრულიადაც არ უარვყოფ, მაგრამ შენი ჭირივე გაჩუმდი, თორემ ეს ნამიანი, გრილი საღამო ცუდათ იმოქმედებს—და გიორგიმ თითქმის ძალით შეუკრა მოწინააღმდეგეს პალტოს ფოლაქები, აუწია საყულო და გაიქცა ტრამვაის რონოდისაკენ, რომელიც ბედათ მათ ახლო შეჩერდა.

— მოიცა, გიორგი, მოიცა...

— შენთან მოვალ, და იქ ვილაპარაკოთ—ღამილით ვადმოსძახა რონოდას უკანა ბაქანიდან გიორგიმ.

\* \* \*

მასპინძელმა სამიოდე დარჩენილი სტუმარი სადარბაზო ოთახში გაიყვანა.

— სად დაიკარგეთ აქამდი?—შეეკითხა ივანეს ქალბატონი ელენე, ცნობილი ვაჭრის ცოლი და ივანეს ნიკისა და პიროვნების დიდი თაყვანისმცემელი.

— საქმეს ვაკეთებდით, ქალბატონო, დიდ საქმეს, გვინდა როგორმე შეჩერებული ტყის ექსპლოატაცია დავიწყოთ—განგებ ხმა მალლა წარმოსთქვა ივანემ.

— და ჩემი ოსიკო არ შიიპატიეთ?

— არა თუ შიიპატიებთ, მისი იმედი გვაქვს უმთავრესად, მაგრამ თქვენი მეუღლე მეტად ფრთხილია სავაქრო საქმეებში და სრულიად წაგვიხდენდა გეგმას. აი, ჩვენ შევიმუშავეთ ისეთ პროექტს, რომ თვით ურწმუნო თომამაც სათქმელი ველარაფერი იპოვოს, და მაშინ თქვენ იქნებით ჩვენი კომპანიონი...

— მე ყოველთვის თქვენი კომპანიონი ვარ — მსუქან სახეზე მატლური ღიმილით ჩამოართვა სიტყვა ქალმა, რომ საქმიანი მუსაიფისათვის მნიარული ელფერი მიეცა.

— რაც ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ათასი პაის შემძენ ამხანაგის პოვნა — არ ჩამორჩა ივანე საამო მუსაიფში ქალს.

ამავე დროს შორი-ახლო მჯდომი როტმისტრი ჟბანოვი ეუბნებოდა ტანიას:

— პოლიტიკის სუნი მცემს.

ქალი ვერ მიხვდა და ვაჟს გაკვირვებით ჩააცქერდა.

— ბოდიშს ვიხდი, მე ჯერ უფლება არ მაქვს, მაგრამ თქვენ იცით რაგვართ მაინტერესებს ყველაფერი, რაც თქვენ შეგეხებათ... და შინდოდა თქვენთვის შეთქვა... თქვენ მაშას უყვარხართ და თან პატივსაც სცემს თქვენს განათლებასა და გონიერებას... მამა თქვენი ერევა პოლიტიკაში... მე რომ მკითხოთ, ეს პოლიტიკა ისეთი უფნებელია, რომ დახმარებასაც გაუწევდი: ნახევრათ ოცნებაა, — როგორც საქართველოს ეროვნული ფეხზე წამოდგომა და მეორე ნახევარი კი, ასე ვთქვათ, ლიბერალური მისწრაფება, სრულიად უნიადაგოა ჩვენს სინამდვილეში. რუსეთში იბრძვიან ისეთი მედგარი და შეურიგებელი ძალები, როგორცაა პროლეტარიატი, და თვითმპყრობელობა. ამ ბრძოლის დროს ლიბერალობა ისე გაიქეჩება შუაში, რომ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს და არაფრის საფეხურათაც არ გამოდგება. რუსეთი ან იქნება თვითმპყრობელობის ან პროლეტარიატის ხელში... საშუალო გზა რუსეთს არ უწერია.

— და მამას მოელის რაიმე საშიშროება?

— საშიშროება არა, მაგრამ უსიამოვნება კი ბევრი — მისი პოლიტიკა ჩვენთვის არ არის საშიშარი, კბილის მატლივით შემწუხებელი კი არის...

— მე მგონია, მამა არავითარ პოლიტიკაში, არა ლეგალურ პოლიტიკაში, არ ერევა... და ისე, კანონის ფარგლებში ხომ...

— არა... მე ვიცი... ესტატეს ლიბერალობა — არაფერია, მაგრამ მას კარგი განწყობილება აქვს, აი თქვენთან რომ ყმაწვილი დადის... იმასთან... თავად გიორგისთან.

— და თქვენის აზრით ისინი არიან საშიშარნი?..

— თავადი გიორგი საშიშარი შეიძლება შეიქნეს, თუ მას აყვა თუნდაც მცირე წრე, ხოლო... როგორაა მისი გვარი... ჰო შაქრო მარგველაძე მეტად სერიოზული ოეოლიუციონერია და წევრი სწორედ ისეთი პარტიისა, რომელიც იზრდება დღითი დღე.

ტანიას რაღაც იამა, გაიფიქრა, ჟბანოვის აზრი უნდა გადაეცე შექროს, რომ თავს გაუფრთხილდესო, მაგრამ გონებამ დაუმატა: „ჟბანოვი რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო?“

როტმისტრი თითქოს მიუხედა ტანის აზრებსა და ისევ უდარდელათ გადაადგო სიტყვა:

— ეს მან ჩემზე უკეთ იცის... თუ გაინტერესებთ გამოვლენაკეთ, თავის ქერქში დადგეს და ქვეყნის გადატრიალებაზე ნუ ოცნებობს... დიასახლისმა სტუმრები მცირე საუბრეზე მიიწვია.

— კარგი, დავთანხმდები ტოლუმბაშობას, თუ შეუხლულველ უხვლებებს მომცემთ და ჩემს საქმეებში არ ჩაერევით.

— დიალაც, რა თქმა უნდა, — იძახდა ერთი-ორი.

— მაგის მზემ, ვინ იცის, რას მოითხოვს... — ვითომღა მზაკვრულათ იოხუნჯა გადამჟავებულმა ქალიშვილმა, რომელიც ასეთის ოხუნჯობით იკლავდა ტრფიალების ფინს.

— კენჭის ყრით, კენჭის ყრით.

ჰყარეს კენჭი.

ვახტანგი სუფრის თვითმპყრობელი გახდა.

ადგილებიდან გადასხ-გადმოსხა, და მართლაც სუფრა უფრო ინტიმური და ხალისიანი შეიქნა.

— ბატონებო, — დაიწყო თამადამ — ქართული სუფრის ჩვეულების წინააღმდეგ — პირველ სმურს მე სიამოვნებით ვსვამ დიასახლისის სადღეგრძელოს, იმ ადამიანის, რომელიც ახერხებს, როგორც არ უნდა იყოს გარემო, მაინც შექმნას მშვიდი, ლამაზი და მხიარული კუთხე. ყოველ მეგობარს, შრომით იქნება ის დაღლილი თუ ნწუხარებით შებოქვილი, აქ ელის მოსიყვარულე გული, თანაგრძნობა... ვანოს ბევრი ჰყავს მეტოქე სხვადასხვა ასპარეზზე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ, ჩემდა საუბედუროთ, ჩემდა გულის დასანელებლად — ამ ხაზგასმულმა სიტყვების მიწყობამ ყურადღება მიიპყრო — ქალბატონის წინაშე არავითარი მეტოქეობა არ გადის — ყველას მჯობნი რჩება მაინც ივანე... რა ვქნათ? ვადღეგრძელოთ, რომ იქნებ რაიმე ცვლილება გამოიწვიოს...

გაიღიმეს, გაიცინეს.

ვაჟები ადგენ და პატარა ჭიქებით მიმართავენ დიასახლისს.

— არა, ბატონებო, პატარა ჭიქით არ იქნება: აქ დგას ჩაის ჭიქები, ყოველი თქვენთაგანი მობრძანდეს და მიიღოს თვით ქალბატონის ხელიდან.

ვაჟები მიდიოდნენ, ჭიქას ართმევდნენ, ხელს კოცნიდნენ და ცლიდნენ.

ქალებს პატარა ჭიქები დააძალა თამადამ.

— ამას უნდა ერთი კარგი სიმღერა... მომღერალთა სარდლათ შენ დამინიშნავხარ, სანდრო.

გაისმა კაცანი: „ჩიტი გვრიტი მოგოგავდა, მე შროშანი მეგონა“...

პირველი სასმისი ყველას არ ჰქონდა დაცლილი, სიმღერის უკანასკნელი ჰანგები ილეოდნენ ჰაერში, რომ თამადამ დაიწყო:

— ბატონებო, დიასახლისის მიერ მცირე საუბრეთ წოდებული მეფური სუფრა დამშვენებულია ბროლის ვაზებში გამჭვირვალე ყურძნის მტევნებითა და ლოყებაწითლებული ატმით; გვათრობს ყვავილთა სურნელება და ვტკბებით

საუცხოვო ღვინის წვეთებით, მაგრამ რა არის, რაც ყველაფერს სხვის აძლევს მთელს არსებას სიხარულათ ხდის და ნეტარებას გვპირდება? ყოველი...

— ქალი, რა თქმა უნდა! — წამოიძახა მოარშიყე ახალგაზრდამ.

— არა, — შეაჩერა აღშფოთებული ყმაწვილი თამადამ, — არა მართო ქალი.

— არა შენმა მზემ, — კაცი, ისემც თვალი კი დაგიდგება! — ხააპა-სხუპით ჩაურთო მომწიფებულმა ქალმა, რომელიც ასეთი სიტყვებით ~~სიტყვებით~~ ~~სიტყვებით~~ ვაჟების ყურადღება მიექცია და ვაჟებზე ჯავრი ეყარა.

— ... არამედ ქალი ვაჟისთვის და ვაჟი ქალისთვის — განაგრძო თამადამ — ამიტომ ბრძანებას ვიძლევი გამოამყლავნონ ეს საიდუმლო ყველამ. ქალებმა მიერთვან ვაჟების სადღეგრძელო პატარა ჭიქით, მაგრამ დასცალონ უსათუოდ და ვაჟებმა ჩაის ჭიქით.

— მოგვკლა ჩაის ჭიქებმა...

— ვაჟების სადღეგრძელო დავსცალო?! მეტი არ აუდგება გვერდები...

— ეს უკანასკნელი ჩაის ჭიქაა. შენდევ როგორც გენებოსთ.

ხელჩართულათ ერთიმეორეს მიმართავდენ.

— ამას ცეკვა შეეფერება. ქალბატონო, ლიზეტ, უნდა დაგვეხმაროთ, განგვაცვიფროთ თქვენი უზუნდარით.

გაჟინიანდა ოდნავ.

გაჩაღდა ცეკვა.

კიდევ სვამდენ და კიდევ იმღეროდენ.

შეზარხოშდენ.

ნაზი გადახედვა სუფრაზე დაჰქროდა.

ოდნავ შეხება.

გახშირდა ხელზე კოცნა.

თამადამ კეკვოკი იცეკვა.

ზოგი სტუმარი შინ წავიდა, გვიანობა მოიბოდინა.

სუფრა შეთხელდა.

ზეიმს არ დაჰკლებია.

როტმისტრი ჭბანოვი ეუბნებოდა ტანიას:

— თქვენ უსათუოდ შეამჩნიეთ, რომ დღეს მე მეტად ადრე მოვედი.

ქალი რაღაც მიზეზის გამო, ეხლა ძლიერი დაკვირვებით უსმენდა, მაგრამ დაავიწყდა (თუ განგებ დაივიწყა?) ეთქვა, რომ ადრე მოსვლა სრულიადაც არ შეუმჩნევია.

— ... მერე ისიც შეამჩნიეთ უეჭველია, რომ რამდენჯერმე მინდოდა თქვენთვის რაღაც მეთქვა, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვბედავდი, და ზოგჯერ შეგვიშალეს ხელი.

— შეიძლება ვალერიან ალექსანდრეს-ძე არ დამეთანხმოს, მაგრამ მე მაინც მსურს დავლიო ჩემი სამშობლოს, პატარა საქართველოს, აყვავებისა და ბედნიერებისათვის...

— შემცდარი აზრია, ბატონო თამადა, მეც ალტაცებით დავლევ ჩემი მეორე სამშობლოს სადღეგრძელოსათვის, თუმცა ეს ბედნიერება მე სხვაგვარად მაქვს წარმოდგენილი... მე აქ ვარ დაბადებული...

— ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენც უერთდებით ამ სმურს.

თამადა თვითონ მივიდა, გადაკოცნა, ჩაის ჭიქა გაუწოდა და თვითონვე დაუსხა ლეინო.

— გაუმარჯოს ლიბერალიზმისა და ჯანდარმთა კოალიციის საქართველოს კეთილდღეობისათვის—ჩაიხითხითა სუფრის ბოლოში ვიღაცა და დაკლილი ჭიქა დაუბრუნდა იქვე მდგომ თამადას.

— გადადით ვინმესთან.

— თუ შეიძლება, თქვენ გადადით... სამწუხაროთ მე ყველასათვის უცხო ვარ აქ.

— თავმდაბლობა და უკადრისობა?—დაეკითხა ადგილზე დამჯდარ ებანოვს ტანია.

— არც ერთი, ქალბატონო... ეს იგივეა, რაც მიშლის დღემდე თქვენ გამოგიმელაფნოთ ჩემი გულის ნადები—შიში და თავმოყვარეობა. ჩვენ, ჯანდარმებს ყველა აღმაცერათ გვიყურებს; ჩვენ, რაღაც განდევნილი ვართ საზოგადოებიდან, წარმოიდგინეთ, ჯარების ნაწილებიდანაც კი... ჩემი პოლკის ყოფილი ამხანაგები გვერდს მივლიან. რათა? მხოლოდ იმიტომ რომ, თუ ჯანდარმობა ვარჩიე; კი ვმსახურებ, ბარემ ვიმსახურო იქ, სადაც შრომაც მეტია, პასუხისმგებლობაც და ამათ შედეგათ ჯილდოც. თუ კი შეიძლება მოკვლა მტრის, შეიძლება სიკვდილის განაჩენის გამოტანა, თუ კი შეიძლება მწერლობით და ვაჭრობით არსებული წესწყობილების გამაგრება, რატომ არ შეიძლება იმავე წესწყობილების გამაგრება სახლის გაჩხრეკით და პოლიტიკური ბოროტ-განზრახველის შეპყრობით, დევნით? დღევანდელი საზოგადოება სხვაგვართ სჯის: რევოლუციონერს შეუძლია სადმე ჩამისაფრდეს, ან ყუმბარა ესროლოს გუბერნატორს, ხელმწიფეს—და ეს დიდებული საქციელია, ხოლო მე თუ მათ წინადლით სახლიდან გამოვტაცე ყუმბარები და სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დაპატიმრებულს—მაშინ მე საზიზღარი კაცი ვარ, ხოლო მოსამართლე სიკვდილის მიმსჯელი—ჩვეულებრივი კეთილი ინტელიგენტი...

ტანიას შეეცოდა, მართლაც აღარ იცოდა, რათ აპატიებდენ ერთს იმას, რაც სხვისთვის მორალურათ მომაკვდინებელი იყო.

— აი ამიტომ არის, ქალბატონო ტანია, რომ მინდა გითხრათ და თან მეშინია...

ებანოვი ელოდა ერთ სიტყვას მაინც, ქალი კი ოდნავ თავდახრილი ისმენდა, რაღაცას მიმხედარიყო, მაგრამ არას იმჩნევდა.

— ... მაგრამ დღეს უნდა ვთქვა, რაც იქნება, იქნეს: მე შემაძლიეს დიდი ადგილი შიდა რუსეთში. ხვალ უნდა გავსცე პასუხი... თუ თქვენგან მივიღე სასურველი დასტური, მაშინ მე დავთანხმდები და გადავალ იმ ადგილზე, თუ არა და...

— თუ არა, მაშინ?—სიცილით შეეკითხა ტანია, თითქოს სურდა მთელი მუსაიფი სიცილში ჩაეტარებია.

— მაშინ უარს ვიტყვი... დავრჩები... ვეცდები, ოდესმე მაინც მივიღო თქვენგან თანხმობა.



— და თაეის დღეში რომ არ დაგეთანხმით?

— ეს შეუძლებელია, შეუძლებელია თქვენ არ დააჟასოთ ჩემი... არ ვიბმარ გაცვეთილ სიტყვას... ჩემი მულმივი პატივისცემა...

— და რომ გთხოვოთ დასტოვოთ სამსახური?

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას, იმავე დღეს, სიტყვის შეუპოვებლევ და უღარდელათ, რადგან მე სრულიადაც არ ვარ ამ სამსახურით დაკავებული. საერთოდ გატაცებული მე იშვიათად... არა, არასოდეს არ ვყოფილვარ. ვმსახურებ მხოლოდ ნამუსიანად, როგორც მსახურებენ ზოგიერთები საპარკმახე რომში, ან ბანკში. და თუ თქვენც დარწმუნდებით, რომ თქვენთვის ჟანდარმის ხელობა საზიზღარია, მე თქვენი თხოვნაც არ დამჭირდება, მე თვით მივატოვებ... ოღონდ ერთს გთხოვთ, ორი-სამი თვე თქვენ თვითონ დაუკვირდეთ ჩემს საქმეს, ჩემს მუშაობას... ნუ მიწყენთ, თქვენ ჯერ ცხოვრების არაფერი იცით და მე ვეცდები, თქვენ გაჩვენოთ ეს ცხოვრება. თქვენ განსჯით მაშინ, თუ რათ და რა არის სამარცხვინო. ახალი იდეების მიმდევარნი ამბობენ, რომ მათ ესმისთ ცოლქმრობა, როგორც კავშირი ორი ერთმანეთის ხელშემწყობ ადამიანისა. და მე თუმცა რეაქციის ბურჯათ ვითვლები, სწორეთ იმავე წარმოდგენისა ვარ ოჯახზე. კიდევ ვიმეორებ, თქვენი თხოვნა არ დამჭირდება; თუ კი შეევამჩნიე, რომ ჩემი ჟანდარმობა თქვენ გაწუხებსთ, ოდნავ საჩოთიროთ მიგაჩინიათ, მე შევძლებ გამოვცვალო ჩვენი საერთო მდგომარეობა.

ტანიას მოეწონა ეს სერიოზული ბაასი. მას ეარშიყებოდენ. მას თაყვანს სცემდენ. მაზე ზრუნავდენ. შაქროც კარგათ ეპყრობოდა, მაგრამ რალასაც უმლაავდა. ებანოვის ნდობა კი სიამოვნებას ჰგვრიდა ქალს. და მან ხელი ჩამოართვა; ებანოვი დაიხარა ვითომც ხელსახოცის ასაღებად და ხელზე ეამბორა.

— მაშ ჩემი ბედი გადაწყვეტილია?— შეეკითხა ვაჟი.

მეტის თქმა აღარ შეიძლებოდა,—სუფრაზე მსხდომნი თამადის ბრძანებით შეიკუმშენ და ირგვლივ მყოფი დაცარიელებული ადგილები დაიჭირეს.

ქალმა ნიშნად დადასტურებისა თვალები დახარა...

— წავალ და მამას ვეტყვი—თითქოს ბოლოს გაახსენდაო, წარმოსთქვა ქალმა.

— როგორც გნებავთ... მთლად უკეთესი...

ივანე ვასილის-ძემ სამუშაო ოთახში მაგიდის უჯრიდან ამოიღო სიგარეტის ათასგვარად შეხვეული პატარა ახალი ყუთი და ფრთხილათ ხსნა დაუწყობათავეს დაადგა ტანია.

— რა გინდა, ჩემო კარგო?

ქალს ერიდებოდა, თუ რცხვენოდა...

— იცი, მამა...

— ჯერ არაფერი გითქვამს...

— მე ებანოვმა ხელი მთხოვა.

ივანე ჩაჯდა.

არაფერი შეიმჩნია.

ქალს უნდოდა მამას უარი ეთქვა დალოცვაზე, აღშფოთებულიყო. მამა უკანასკნელ იმედს ეკიდებოდა, იქნებ ტანიას უარი აქვს ნათქვამიო.

— შენ რა პასუხი მიეცი?— უხერხული სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ქალს.

გულში კი ფიქრობდა: ამას ველოდი?! ჩემი მოღვაწეობა უნდარმით დაჯილდოვდა, შეძლებული კია... მომავალიც აქვს... ეს სულ ჩემი ქალბატონის წყალობაა.. ყველა სტუმარია... ვინ იცის, იქნებ მასთან უფრო ბედნიერი იქნეს... ადამიანი თავისთვისაა... მე რა უფლება მაქვს!...

— კი...

— შენი ნებაა, შვილო, იყავ ბედნიერი... ჩაუფიქრდი ხომ? ხომ არაფერმა გაიძულა?— უკანასკნელ ხავსს ეკიდებოდა ივანე.

— არა, მამა...— და ქალი თავისას ფიქრობდა თითქო თავის გასამართლებელ საბუთებს ეძებდა: „ბებერ კვიცათ“ ხომ არ დაერჩებოდი?... ჩემი ამხანაგები ბევრი გათხოვილია და ზოგს შვილიც ჰყავს... რით არის სხვაზე უარესი?... მაგრამ ეს დანიშვნა უფრო სამოქალაქო პანაშვიდსა ჰგავს— გაუეღვა თავში ტანიას.

— მამა, დაუძახებ მაშ ალექსანდრეს...

— ასე მალე ალექსანდრეთ გახდა?— ვითომ გაიღიმა ივანემ— მოვიდეს... ქალი გაიქცა... კარებიდან ნიშნებით დაუძახა.

ივანე ფიქრობდა, როგორ მიელოცა...

უბანოვი მხედრულის წესით გასწორდა ივანეს წინ, ღრმად თავი დახარა და მაგრათ ხელი ჩამოართვა.

ივანეს იამა, მოეწონა კიდევ, რომ კოცნა არ უფიქრნია სიძეს, და პრტყელ-პრტყელი სიტყვები არ გააგონა სასიძომ; თვითონ კი ვერ მოითმინა არ ერთქვა:

— იმედი მაქვს მოუვლით ჩემს ერთად-ერთს...

— რაც შემეძლება— მოკლეთ უპასუხა უბანოვმა.

— აბა ახლა გავალ, თორემ მეტათ დაგვიანდა.

— გამოაცხადებ, მამა?

— არა, ეხლა უკვე უხერხულია, სტუმრების უმრავლესობა დაიშალა. ამ დღეებში პატარა ნადიმს გადვიხდით... უთხარი დედას...

ივანემ სტუმრებს, იმათაც კი, ვინც თამბაქოს არ ეწეოდა, დაპირებული ნამდვილი ჰავანა ჩამოურიგა, ვითომ არაფერიო, და სანამ ცოლს ანიშნებდა მეორე ოთახში გასულიყო, ყოველთვის, ყველაფრის მცოდნე ქალებმა უკვე, იცოდნენ, თუ აზრობდნენ ახალ ამბავს და კორიკანობდნენ:

— ვინც გინდა, ოლონდ არა უნდარში...— ჩაილაპარაკა ესტატე თაყაძემ.

— ოცდასამ წელს რომ მიაბჯენს ქალი, მერე საქმროს კბილს არ უსინჯავს...— გესლიანობდა დედაბერი.

— აქ რომ ვიღაც ახალგაზრდა ყმაწვილი იყო— შაქრო, იმისთვის მიეცათ სჯობდა...— ამბობდა ჟინ-მორეული გათხოვების ასაკს გადასული მანდილოსანი.

— მიყავდა კი, ასე რომ ლაპარაკობ?!—

— ივანე არ უნდა იყოს მაინცა და მაინც კმაყოფილი...

— მაგისტვის რომ გეკითხა, სამშობლოსთვის წამებულათ მოჰქონდა თავი და ა...—ჩაურთო ვახტანგმა.

— ასეა, არც აქეთ და არც იქეთ...  
კმაყოფილი იყო მხოლოდ დედა...



ქართული  
საქმიანობა

IX

ჯ ე ჯ ი ლ ი

სპირიდონის ოჯახში შეკრებილიყო ოჯახის ყველა წევრი, შაქრო და შვიდიოდდე ახალგაზრდა.

შაქრო დანაპირებს ასრულებდა: იგი უფრო ხშირათ ჰკითხულობდა წინათვე შერჩეულ ადგილებს ი. მეჩნიკოვის წიგნებიდან და თავის მხრივ ლაპარაკობდა მხოლოდ მათი ერთმანეთში გადასაბამად ან შენიშვნების გასაკეთებლად.

„... ამგვარათ უმცირესს უჯრედებიდან დაწყებული, ვიდრე მთელ სხეულებამდე, საზოგადოებამდე და კლასებამდე სწარმოებს შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის...“

ეხლა გამოვარკვიოთ, თუ რა გავლენა აქვს ლეიკოციტებსა და ფაგოციტების შორის ბრძოლას საერთოდ ცხოველის სხეულზე, მასი სიცოცხლის უნარიანობაზე, მის ხნოვანებაზე.

ამ დროს მოისმა კიბის საფეხურების ჭრაქუნნი და ხმა.

— აქ არის, ნამდვილ?...

— დიახ, თქვენო აღმატებულებაე.

მოისმა ბრახუნნი;

როგორც ეტყობოდა, კარებს მოდგომოდა სამიოდე კაცი.

სპირიდონი კარს მიეარდა.

დააკაკუნეს.

— ვინ არის?

— პოლიცია.

— რა გნებავთ? --და კარებს კლიტის მორგება დაუწყო.

შიგ ოთახში აფაცურდენ, არ იცოდენ რა ექნათ, ზოგი გაქცევას აპირებდა, ყველა შაქროს დამალვას ცდილობდა, მაგრამ სპირიდონმა მშვიდობიანათ დაიძახა:

— გააღე, ქალო, ეს ოხერი, ვერაფერი მოუხერხე—მერმე ცოლს ჩამოუარა და ჩაუფუჩუნა:

— დიდხანს აწვალე კლიტე...

სპირიდონმა შაქრო ძალით მეორე ოთახში შეიყვანა.

— უარესია, რომ დამალული მნახონ.

— პოლიციაა, ჩხრეკას ვერ გაბედავენ.

ვეებერთელა შკაფში თითქმის ძალით შეტენა და კარი ოდნავ მიხურა.

ოთახის კარიც გაიღო და პოლიციის ბოქაული, გოროდოვოი და მეეზოვე შემოვიდნენ.

— რა კრებაა აქ? — მრისხანეთ დაიწყო ბოქაულმა.

— არაფერი კრება არ არის: მე და ჩემი ოჯახი ვკითხულობდით ახლად მიღებულ წიგნს და ეს ახალგაზრდები, ჩემი ნათესავ-მდგმურების ამხანაგები თითო ოროლა შემოვიდნენ და განვაგრძეთ.

— და თქვენ რა მაგათი ამხანაგი ხართ? — დამცინული წარმოსთქვა ბოქაულმა.

— გულთ მათზე უფრო ახალგაზრდა ვარ და ცოდნით, სამწუხაროთ, მაგათზე ნაკლებიც — მიუგო სპირიდონმა.

— მეტი არაფერს უფიქროს აქ?

— მიიხედ-მოიხედეთ, და თუ მეტი დაეტევა ამ ოთახში, მაშინ უსათუოდ იყვნენ...

მართლაც, შეშფოთებულ, ფეხზე მდგომ ყმაწვილებს გაეჰქვდათ ოთახი, და ბოქაული მისი მხლებლებით ძლივს ეტეოდნენ კარებში.

— არა მე დავინახე, ერთი ყმაწვილი რომ შემოვიდა აქ — ჩაერია ბოქაულისა და სპირიდონის ლაპარაკში მეეზოვე.

— უ, ეს ნასადილევს იყო, შე კაცო, — გულუბრყვილოთ მიუგო სპირიდონმა მეეზოვეს — ეს ის ყმაწვილი იყო, რომელმაც ეს წიგნები მოგვიტანა... იგი მაშინვე წავიდა.

— მე არ დამინახავს — კიდევ უნდოდა მეეზოვეს ნათქვამის მტკიცება.

— შენ სულ ჩემს კარებთან იდექი?

მეეზოვე დაიბნა და დადუმება არჩია.

ბოქაულმა მეორე ოთახშიაც შეიხედა, მაგრამ მალე უკან გამობრუნდა — მოხუცებული ქალი ალაგებდა ლოგინს, რომ მოსულნი მიეღო.

— ნუ სწუხდებით, არ არის საჭირო... ჩვენ ჩხრეკას არ ვაწარმოებთ... მხოლოდ გთხოვთ, თქვენი გვარები მითხრათ და დაიშალოთ — არც ისე ადრეა მოწაფეებისათვის.

მოწაფენი ბურღულულით, ოდნავის პროტესტით წასასვლელად მოემზადნენ. სიმართლე-ნარევმა სიცრუემ გაიმარჯვა, და ბოქაულმა ნდობის თვალთ გადახედა იქაურებს და მხლებლებიანათ წავიდა.

— რომ ჩამამწყვდიე იმ შკაფში, რომ ვენახე უარესი არ იქნებოდა?

— ვიცოდდი, რომ მაგი მჩხრეკელი არ არის; უსათუოდ, იმ სულელმა მეეზოვემ უთხრა, რალაც ამბავიაო, და ყოველი შემთხვევისთვის შემოვიდა.

— მაშ, რალაზე მნალავდი, ვენახე.

— არა, ზედ-მეტჯერ თვალში შეჩხირება მაინც არ ვარგა შენთვის.

— ეს ბოქაული ნიკო ნორაბიძეა, არა?

— სწორეთ ის არის.

— ძალიან არ ეამება არჩილს, რომ გაიგოს, რომ მისი ბიძაშვილი გასაჩხრეკათ იყო იქ, სადაც მას სამეცნიერო საუბრისთვის ეპატიებოდნენ?!

— წარმოიდგინე, რომ თვით ნიკოც არა ჰგავს თავის ძმას ვალიკოს...

ამიტომაც ჩამოაქვეითეს...

ყმაწვილები კარგა ხანს ხითხითებდენ; აჯავრებდენ ზოგიერთი ამხანაგის გამომეტყველებას, მიხრა-მოხრას; იგონებდენ, თუ რა ფერი დაედებ ამას თუ იმას. ბოლოს ყმაწვილებმა მოინდომეს გასეირნება—შაქროს გაცელება.

— არა ჯერ სეირნობა აღრეა... შემდეგ მთვარე ამოვა და ჰაერიც უკეთესი იქნება... პოლიციამ ხელი შეეფიშალა, ჩვენ მაინც ჩვენს განგაგრობით.

— ყოჩაღ ანდო—ეს მომწონს—გაათამამა ანიკომ ყმაწვილი.

— კარგი, თქვენი ნება იყოს—დათანხმდა შაქრო.

და ხუთიოდე წუთის შემდეგ თვალდაპრაწული ყმაწვილები ყურადღებით უსმენდენ შაქროს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს.

თვით მოხუცი სოფიო გაკვირვებით აქნევდა თავს, როცა გაიგო, რომ მის სწეულში რალაც უხილავი ლაშქრები ეომებიან ერთმანეთს და მათი ომის შედეგია სოფიო გვიდაბრელიძის ასულის, სპირიდონ ალბერდიძის მეუღლის გუნება, მოხუცება, და თვით მომავალი სიკვდილიც.

სპირიდონი ხშირათ აჩერებდა შაქროს, რომ გაუგებარი განემარტებია.

მხოლოდ ახალგაზრდები ერიდებოდენ შეკითხვებს, რომ ერთი მეორის წინაშე არ გაემჟღავნებიათ რისიმე უცოდინარობა.

საუბარი გათავდა.

— მე აღარაფრათ გამომადგება, შეილო, რაც შენ გვითხარი, მარა ზღაპარს ეს სჯობია...—თავისებურათ დაათვას სოფიომ შაქროს ნააშბობი.

შაქრო კმაყოფილი დარჩა—შეატყო რომ ბევრი, სრულიად ახალი ცნობა გადასცა და კიდევ უფრო მეტზე დააფიქრა.

მათთან დაახლოვება და დამეგობრება აღვილად მოხერხდა.

— ეხლა კი გავისეირნოთ—წამოიძახა ანიკომ.

— გავისეირნოთ! გავისეირნოთ...

— რა დროსაა?—ბუზლუნებდა პატივსაცემი სალომე—კიდევ გადაეჩეხებით რამეს.

— არა, არა, ბიცოლა, შაქროს სხვა გზით გაუშვებთ და ჩვენ სხვა გზით წავალთ... მერე შევხვდებით ერთმანეთს. მშვენიერი ლამეა. ჯერ აღრეა—არ ეშვებოდა ანიკო...

ყმაწვილებმა თავისი გაიტანეს, მაგრამ უმრავლესობა გზაშივე ჩამოშორდათ, მართლაც გვიან იყო.

იშვიათად ისმოდა ტრამვაის რეკა, ეტლების ხრაგა-ხრუგი; საგრძნობი ხდებოდა რომ ქალაქის ფაცა-ფუცი და ჯრიამული წყდება.

— ესეც თქვენი რევოლიუციონური მონათვლა—ღიმილით მიმართა შაქრომ ანდროსა და ანიკოს.

— ცუდი ნათვლა გვქონდა—უპასუხა ანდრომ.

— შენ კი განდოდა სროლა, დაჭერა და ყუმბარები?

— რა თქმა უნდა!..

— მართლა, რას უზამენ ნეტავი ჩვენებს?—იკითხა ანიკომ.

— მე მგონია არაფერს... დიდი, დიდი ზოგიერთი თქვენგანი ერთი-ორი საათით დასტოვონ სწავლის შემდეგ კლასში, ან და ყოფაქცევაში ნიშნები დაგიკლონ. მუშებს ხომ სიტყვასაც ვერ ეტყვიან.

ჩამოჯდენ ბრეკზე.

მათ წინ გაწოლილიყო ელექტრონის, ნავთის, გაზის ათასი ელემენტი, თვალთმაცქერალი თბილისი; ნასიზმრევ ციხეთ მოსჩანდა ნარიყალა, ლომთაძის ნაწარმოებები

— რა მშვენიერებაა — ჩაილაპარაკა ანდრომ.

— მე კი მირჩევნია ქუთაისი.

— თბილისო, თბილისო, შენ, შენ ყველა ჩვენგანის ყველაფერი, მთელი არსება — სული, სისხლი და აზროვნება ხარ! — წამოიძაბა ანდრომ.

— იცი, ანდრო პროეტობს... — დასცინა ანიკომ.

— ძალიან კარგი საქმეა — დინჯათ უპასუხა შაქრომ.

— სწორეთ დიდი ამბავია!! „იწილო, ბიწილო — შეგაქამე ლობიო“, ვას სჭირდება ახლა ეს?

— მაგი არ სჭირდება, რადგან „იწილო-ბიწილო“ არ არის პოეზია, მაგრამ, თუ ფეოდალურ წყობილებას ყავდა შოთა, დანტე — შექსპირი, ბურჟუაზიულს გიოტე, — ვოლტერი — პროლეტარიატსაც სურს თავისი აზრებისა და გრძნობების მხატვრულათ შეთვისება, და თუ რამეს დაუწყებთ ანდროს მხოლოდ იმას, რომ მსოფლმხედველობა არა აქვს ნამდვილი მუშური.

— და შენ რატომ არ ეწყობი ამ საქმეს?

— ერთი რომ მე სხვა საგანი უფრო მაინტერესებს.

— მეც მაგას გეუბნები — ჯიუტობდა ანიკო — არ გაინტერესებს და რატომ მაინც და მაინც ანდროს უნდა აინტერესებდეს?

— ... და მეორე არ მაქვს სათანადო ნიჭი...

— ნუ თუ ექიმი შეიძლება გახდე, ინჟინერი, ვექილი, მეცნიერი, და არავინ იტყვის წინდაწინვე გაქვს ნიჭი თუ არაო, არამედ გეტყვიან ისწავლე, იმაცადინე და გახდებიო. და აი ან მხატვარზე თუ დაიწყე ლაპარაკი, ან პოეტზე, იმავე წამს მოგახლიან — ნიჭი, ტალანტი, ზეშთაგონება და ათასი ჯანდაბა.

— ეს ძლიერ რთული კითხვაა... რა თქმა უნდა, ცრუ აზრია, თითქოს ხელოვანს ნაკლები შრომა და მომზადება სჭირდებოდეს, ვიდრე მეცნიერსა და საერთოდ სხვა პროფესიის კაცს, მაგრამ შემჩნეულია, რომ მარტო შრომა ამ დარგში ისეთს ნაყოფს ვერ იძლევა, როგორც სხვა დარგებში.

— ეს ჩემთვის გაუგებარი ფილოსოფიაა! არ მიყვარს არც ხელოვნება და არც პოეზია — სულ ტყუილი ლაპარაკია და არავითარი შედეგი... მე მირჩევნია უბრალო წერილი, აი თუნდაც ჩვენი დაიოზის, გუშინ რომ წავიკითხე ისეთი.

— და შენ კი იცი ერთი მათგანი მაინც? — ღიმილით შეეკითხა შაქრომ.

— შენდენი არა, მარა რატომ შეიგნო ანდრომ მთელი ხელოვნება და განსაკუთრებით პოეზია და მე კი რიყეზე დავრჩი?

შაქრომ ხელი მკლავში გაუყარა ანიკოს და უნებურის დარიგებით უთხრა:

— მოდი სხვა საგანზე დავიწყოთ ლაპარაკი...

— შენ გინდა მითხრა, რომ ამ საგნების არაფერი ვიცი, და ამიტომ გავ-  
ჩუმდე—ნება შენია, ოღონდ ჩემთვის არც პოეზია და არც ფილოსოფია სრუ-  
ლიად არ არის საჭირო.

— ვინ გეხვეწება?—ჩაურია ანდრომ.

ამ მუსაიფში ისევ ადგენ, ტანთ დაიფერთხეს და სახლესკენ წაუღრჩენ.

— თუ შენ მწერალი ხარ, წინასწარმეტყველი და გულისამბორი, კი მი-  
თხარი, რა ამბავი მიაქვს ამ მავთულს?—არ აძლევდა მოსვენებას ანიკო დაჯა-  
ბნებულ ახალგაზრდა პოეტს, როცა ტელეგრაფის ბოძის ახლო ჩაიარეს და ჩვე-  
ულებრივი ზუზუნი მოესმათ.

— უსათუოთ კარგი! მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ, რომ კარგი!  
არაფერს იცის, თუ აქ გაბმულ მავთულს, რა ამბავი გადაჰქონდათ, მაგ-  
რამ ამ დროს, ათასი მავთული დატვირთული იყო ამბით, რომელმაც გარდამ-  
ტეხი ხაზი გაავლო წარსულსა და მომავლის შორის.

— „სარაევოში მოჰკლეს ავტორი—უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, ერც-  
ჰერცოგი...“



## „ალექსანდრია“

1

გემი „ალექსანდრია“ დასტოვებს მარსელის პორტს ნახევარი საათის შემდეგ და წამიყვანს მე საქართველოსკენ.

ალბად, აწი ვერასოდეს ვეღარ შემოვალ საფრანგეთში: უკვე სამჯერ მაძევებენ საფრანგეთის საზღვრებიდან, როგორც არასაიმედო ელემენტს:—

„კომუნისტური პროპაგანდის“ გულისათვის.

ყოველ შემთხვევაში, მე ასე გამომიცხადა პრეფექტურამ და პარიზელი გაზეთებიც ამას იტყობინება. აშკარაა, რომ ესაა უკანასკნელი გამოძევება და საფრანგეთში ჩემი დარჩენა ამის შემდეგ შეუძლებელი ხდება. ალბად, ამიტომაც რომ ორი სპეციფიური პიროვნება მარსელში ჩამოსვლის დღიდანვე არ მაშორებს თვალს...

სადაცაა „ალექსანდრია“ დაჰკრავს პირველ საყვირს და უკვე შესაძლებელი გახდება გემზე ასვლა. მგზავრების რიცხვი თანდათან მატულობს და გემის ირგვლივ იზრდება ის ჩვეულებრივი ფუსფუსი და ნერვიულობა, რომელსაც ადგილი აქვს ასეთ შემთხვევაში ყველგან, ხოლო მარსელში და საზოგადოდ ლევანტის სანაპიროებზე ეს ხმაურობა ღებულობს განსაკუთრებულ, თავისებურ ხასიათს.

— Bon jour, mon cher ami, — საიდანღაც მესმის მოულოდნელი სალაპი და ვხედავ: დაბალ-დაბალი, რუხი ფრანგი, მიწვდის ხელს. — საით მიემგზავრებით, ბატონო... და გარკვეულად, შეუცდომელად წარმოსთქვამს ჩემს გვარს.

ვინ უნდა იყოს ეს კაცი? ან ჩემი გვარი საიდან იცის?

— ვერ მომიგონეთ? აი, ზამთარში რომ ბატონ ბენუასთან მიგაცილეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროში... გახსოვთ, მე რომ დამარწმუნეთ — ბოლშევიკი არა ვარო... მაგრამ ბატონმა ბენუამ იცის თავისი საქმე... ეგ — სხვათა შორის. თქვენ, მაინც — საითკენ?..

ვიცანი. ეს — პარიზელი პოლიციელია. „სიურტე-ენერალის“ თანამშრომელი. წარსულ თებერვალში, დასტურ „მიშაცილა“ შინაგან საქმეთა სამინისტრომდე, საიდანაც „ბატონმა ბენუამ“, საპრობილესკენ მიკრა თავი.

— საქართველოში მივდივარ! — უპასუხებ მე.



— ააა!.. მოგენატრათ, განა, სამშობლო! ასე იცის, ასე იცის. კომუნისტები თუმცა ბევრს გაიძახით — სამშობლო არააო, მაგრამ, — ფრანგმა გულზე ხელი დაიკრა, თვალები უცნაურად შეატრიალა და სთქვა:— არის, არის...

რა უნდა ამ კაცს აქ— ვფიქრობ მე. ჩემზეა მოჩენილი, თუ სხვა რამე აწუხებს ამ ნავთსადგურში. და მიემართე მას:

— თქვენ ეხლა აქ მსახურობთ, არა?..

პასუხი ვერ მივიღე, ვინაიდან გემის ბლავილმა ჩააყრუა ჩემი შეკითხვა. ფრანგიც, მეც და მთელი ჯარი მგზავრებისა, — მივეხეთქეთ ჩამოშვებულ ტრაპს, როგორც გაათრელებული ჯარი — ასაღები ციხის კარებს.

## 2

პალუბაზე პატარა მაგიდა გაიშალა. პორტის კომისარი მოუჯდა მას. ბილეთების შემოწმების შემდეგ — ჯერი პასპორტებზე მიდგა და კომისარიც შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. მგზავრები ჩავდექით შორი-ახლო, გამოძახების მოლოდინში. პარიზელი პოლიციელიც გაჩერდა მაგიდასთან პორტფელით ხელში.

პირველად ჩემი გვარი ამოიწვილა კომისარმა.

ასეთ დროს ყველას აინტერესებს უცხო გვარი და ის უცნობი სახე, რომელიც ამ გვარს ატარებს. ვინაა, რა კაცია? შეიქნა გადახედ-გადმოხედვა და თვალებით ძებნა ამ უცხო გვარის. მე გავედი წინ. მიუახლოვდი მაგიდას. კომისარმა ჩამომართვა საბუთები.

— თქვენ გადასახლებული ბრძანდებით საფრანგეთიდან, არა?

— დიახ!

— როგორ თუ გადასახლებული?!... ბზიკივით შეტრიალდა პარიზელი პოლიციელი. — კიდევ გადასახლებული?! თქვე უცხოელებო, თქვე ბოლშევიკებო... თქვე კომუნისტებო!.. სიცოცხლეს გვიწამლავთ ჩვენს ქვეყანაში!.. აქაც მოსვენებას არ გვაძლევთ! თქვენ იცით ვინაა ეს ვაებატონი, — მიუბრუნდა ის კომისარს, — შესამეჯერ ვაძევებთ საფრანგეთიდან. ამას წინედ ორი თვე იჯდა „სანტე“-ში. ეს ისეთია... ისეთი... კონსპირატორ... ქართველი ბოლშევიკია. კომინტერნის პროპაგანდისტი. — დაილუპეთ, დაილუპეთ თქვე წითელო! — მომიბრუნდა ისევ მე, — რად მომატყუეთ? წელან რათ არ მითხარით, რომ კიდევ გადასახლებული ხართ?!

რა უნდა უთხრა ამ ისტერიულ ფრანგს? რაზე უნდა ველაპარაკო?

მგზავრები ინტერესით უყურებენ ამ სცენას. მომჩერებიან. ისვრიან რეპლიკებს:

— კომუნისტ!..

— კომუნისტ!

— აძვეებენ...

— უყურე შენ, ვინ ყოფილა!?

— წახდა ჩვენი საქმე.

— ზღვა უთუოდ გაფუჭდება.

— ნამდვილი ნიშანია...

— თუ კომუნისტია გემზე—მაგას რაღა ლაპარაკი უნდა: რაც უნდა კარგი ამინდი იქნეს—ზღვა უთუოდ წახდება.

კომისარი ავსებს ჩემ საანკეტო ფურცელს. პარიზელი პოლიტიკელი დასტრიალებს თავს: „დაბადებულია ქუთაისის გუბერნიაში. ამა და ამ წელს. სოფელ ჯვარისაში“. ეუბნება იგი კომისარს. საიდან ახსრეს ამ კაცს სოფელი ჯვარისა? ორჯერ კი შეადგინა ჩემი ანკეტა თავის დროზე, მაგრამ რა თუ შესაძლებელია ასეთი მეხსიერება? პარიზში ხომ ოთხი მილიონი ხალხი სცხოვრობს და რამდენია მათ შორის საანკეტო? ალბათ, პროფესია...

მე ხელი მოვაწერე ანკეტას: შავ საღებავში დასველებული თითი დავაჭირე ქალაქს, სადაც საუკუნოდ აღიბეჭდა ჩემი სახელი და გვარი. აწი ყოვლად შეუძლებელია რაიმე სიყალბის ჩადენა. ჩემი თითის ნახაზები უტყუარად გამოარკვევენ ჩემს ნამდვილ ვინაობას.

კომისარმა ნვლა ამოიღო ჯიბიდან მეტრი. გაშალა და გამზომა.

კიდევ ოხუნჯობა და მგზავრების რეპლიკები.

მომეწყინა ამდენი დავიდარება და ხლაფორთი. გათავდეს, რაღა...

— კმარა, მეტი აღარავინაა, — მიმართა კომისარმა კაპიტანის თანაშემწეს. დიბინავდეს მგზავრები. პასპორტები აქ დასტოვონ და მერე დაუბრუნებთ. თქვენ კი — მითხრა მე — ჩაიტანეთ თქვენი ბარგი და ქვევით გავსინჯოთ.

ჩავეიტანე. გავხსენი.

— რას გემტერებათ ის კაცი? — სიცილით მეკითხება კომისარი, — ალბად აწყენინეთ როდისმე?

— ალბათ, — უპასუხებ მე და ვალაგებ ყუთიდან ნივთებს.

— არაა საჭირო, — გამაჩერა მან. მხოლოდ: თუ რევოლვერი გაქვთ — მომეცით.

— არა მაქვს.

— ნამდვილად?

— დიახ...

— მაშ, დახურეთ. გისურვებთ კეთილ მგზავრობას. ბონ-ვოიაჟ... და ჩამომართვა ხელი. — ალბათ, ცოტათი მაინც გწყდებათ გული, საფრანგეთს რომ სტოვებთ, არა. და როცა პასუხი ღიმილში გავხვიე, — დაამთავრა — ალბათ... შეუძლებელია, რომ საფრანგეთის დატოვება არ სწყინდეს ადამიანს. მშვიდობით...

## 3

იქვე დავეგდე საწოლზე. დაღლილობა. უძილობა. დაქაჩული ნერვები მთელი კვირის განმავლობაში...

ჩემს კაბინაში სამნი ვართ. მესამე არ ვიცი ვინ არის, მაგრამ ერთს ვიცნობ: ქართველია. ტფილისელი პროფესორი. ის გემზე შესვლამდე დავინახე ქვევით, არ გამოვეცნაურე. მხოლოდ მისი ბარგის ახლო დავაწყვე ჩემი ნივთები. გემზე ასვლისას უკან გავყევი და როდესაც კაიუტასკენ მივდიოდი, — თვალი

მოგვარ და შემოგყევი. ქართველი კაცია, — ვფიქრობდი მე, — საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთში გამოგზავნილი. მასთან ახლოს ყოფნა რალაც იმედს მაძლევს: თუ რამე მოხდა — გამიტანს... მომეხმარება.

გემი დაიძრა.

ერთი საათის შემდეგ საფრანგეთის ნაპირები უერთდება ჰორიზონტს და სივრცეში ქრება. ეხლა კი, ეჭვს გარეშეა — ვსტოვებ საფრანგეთს. საფრანგეთს? ვინ იცის.

გასული დღეების განცდანი ავსებენ ტვინს ათასნაირი წვრილმანებით და ერთ რაიმე ფიქრს ბოლომდე ვერ გავყოლივარ...

მეგონა — პარიზიდან მარტო მოვდიოდი. მაგრამ, როგორც კი მარსელის სადგურზე ჩამოვედი, მგზავრმა, რომელიც მთელი ღამე ჩემს გვერდით ხვრინავდა, წამავლო ხელი და ასეთი რეკომენდაციით წარმადგინა სადგურის კომენდანტის წინაშე:

— გახლავთ ქართველი პოეტი. კომუნისტი და სხვა და სხვა. გაძევებულია. აქვს უფლება მარსელში ერთი დღით დარჩენისა — ვიდრე ბათომისაკენ არ წავა გემი „ალექსანდრია“...

მარსელში მთელი დღე ორი „შპიკი“ თვალს არ მაშორებდა. გემზე ავედი და იმ თევზისთვალება პოლიციელმა მთელი სცენა გამიმართა მოგზაურების წინაშე. მაგრამ გათავდა კი ეს დავიდარაბა? იქნებ არ გათავდა და რაიმე ინციდენტი გემზედაც მომელის? მაგალითად... ხომ დაიკარგა ბალტიის წყლებში ფრანგი კომუნისტი — ლეფევრ...

დილით გამოირკვევა, რომ ერთი მგზავრი წყალში გადავარდნილა. შეადგენენ ოქმს და — გათავდა. სჯობს: პალუბაზე იშვიათად გასვლა. განსაკუთრებით დაღამების შემდეგ. ასეც გადავწყვიტე. და უკანასკნელად შემოვიარე გემი. შევისწავლე და ჩავბრუნდი ქვევით.

## 4

უკვე მეორე დღეა გაშლილ ზღვაში.

ახლოვდება საუზმის დრო? სადაცაა დარეკენ ზარს. სიციხეა. მე ვწევარ და ვკითხულობ მიგუელ ენამუნოს პანფლეტს: „ისპანიის მეფე ალფონს მეცამეტე“. უეცრად მესმის კარებზე კაკუნი. ერთხელ. ორხელ. ვდგები და ვაღებ კარს: ჩემს წინ დგას დაბალი, შავკრემანი, თმახუჭუჭა შეზღვაური. პერანგისამარა და ხელებ დაკაპიწებული.

შემოიხედა კაიუტაში. დარწმუნდა რომ არავინაა ჩემს მეტი.

— თქვენ კომუნისტი ხართ? — მეკითხება ის.

— აქ რალაც პროვაკაცია იწყება, — გამიელვა ფიქრმა.

— თქვენ რა გნებავთ?

მეზღვაური იცინის. მისი თვალები მეგობრულად მიყურებენ. უცბად დამკრა ბეჭზე ხელი —

— ამხანაგო! მეც კომუნისტი ვარ. ნუ გეშინიან!..

მე ვდუმვარ. მეზღვაური იღებს შარვლის უკანა ჯიბიდან დაკეცილ, დაფლეთილ ქალაღებს, ნახულობს წითელ ბარათს და მიწვდის:

პარტბილეთი.

პირველი, რასაც თვალი მოვკარი, ეს იყო დამაჯერებელი —

Semar.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მდივანის ხელისმოწვევით მე ვიცნობდი. და უფრო ნდობით შევხედე მეზღვაურს. მაგრამ იქვე მაინც ჩამრჩა გულში: საფრანგეთის პოლიცია დედაა ყოველივე პროვოკაციის. ვინ იცის...

თითქო მიმიხვდა მეზღვაური. გამომიწოდა რამოდენიმე ფოტოგრაფიული სურათი. კაშენ, დორიო, კუტიურიე და ეს მეზღვაური — ერთად გადაღებული სხვა და სხვა დროს.

მე მაგრად ჩამოვართვი მას ხელი და ვსთხოვე შემოსულიყო.

მე უთხარი ვინცა ვარ.

— მე თქვენ მარსელში დაგინახეთ, გემზე, პორტის კომისარი რომ სინჯავდა საბუთებს და „სიურტეს“ აგენტი რომ გიყვიროდათ. მე ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი. . თქვენ ზევით არ ამოდიხართ. რალაც ხიფათის გეშინიათ. ეს მე შევატყვე. თქვენ ერიდებით, რომ არაფერი მოგიწყონ გემზე. მართალი ხართ — სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, მაგრამ ამას მაინც ვერ გაბედავენ. თუმცა, ყოველ შემთხვევისთვის, იცოდეთ რომ თქვენს კაბინაში რომ ფრანგი მოდის, — „სიურტეს“ აგენტია. შეიძლება თქვენ მოგყვებათ, შეიძლება არა, მაგრამ მე მაგას ვიცნობ: მეთევზეთა კავშირის საქმეზე რომ პოლიციაში დამიბარეს — მაგან წამიყვანა. პირეში ჩამოვა. ბილეთი პირეშიდე აქვს აღებული. აქ ისეთი ბიჭები მყავს რომ თუ საჭირო შეიქმნა — სულ ავაფეთქებთ ამ გემს. შენ ფიქრი ნუ გაქვს... ავიდეთ ზევით. აქ ყველამ იცის, რომ მე კომუნისტი ვარ. ნუ მომერიდებით.

მოისმა ზარი — საუზმის. ჩვენ ერთად ვჭამეთ პური. შემდეგ ერთად გავიარეთ პალუბაზე.

— ჩენია... — ჩუმად ანიშნებდა ამხანაგებს, როცა ისინი ახლოს გაიარდენ. და ეს გამურული ყმაწვილები გაივლიდენ ისე, თითქო არც შევხედოთ, არც რაიმე გაეგონოთ.

არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში წუთები, როცა ზედმეტი ალტაცებისაგან აღუღვებას ველარ ჰფარავს. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი მე ამ წუთებში.

მე, ქართველი კაცი, საიდან სად გადმოვარდნილი. მთელი კვირის განმავლობაში პარიზის პრეფექტურისა და კომისარიატებით დაწყებული მარსელამდე ნათრევი, უმეგობრო და უპატრონო ამ გზაში, — შუა ზღვაზე მოულოდნელად ვხედები უცნობ მეგობარს.

ვინაა ეს კაცი? მინახავს? უნახავარ? შევხედები როდისმე, ან შემხედება კიდევ სადმე? მოდის ჩემთან. მიწვდის ხელს და მეუბნება: შენი ძმა ვარ, შენი ამხანაგი. ნუ გეშინიან. დაგიცავთ. შეგინახავთ. მოგეხმარებითო.

ძნელია ამ გრძნობის გადმოცემა. ამაში რალაც თავისებური რომანტიკაა. ახალი, მომავალი. აქ ისეთი დამოკიდებულება ისახება, პირველ ქრისტიანებს

რომ აერთებდა სწორედ ამ ხმელთაშუა ზღვის ბასსეინში, (რომი, ალექსანდრია, სირია, არხიპელაგის კუნძულები) რომელიც გმირებად ხდიდა მათ და გამარჯვებისაკენ უკაფავდა გზებს...

ვგრძნობდი, რომ მეც ვუახლოვდებოდი იმ უზარმაზარ, მსოფლიო კოლექტივის სულს, რომელიც ასეთი ენტუზიაზმით, ასეთის აღფრთოვანებით ფეთქს ქვეყნიერების სხვა და სხვა ხალხთა შორის და ერთის გრძნობით აერთებს სხვა და სხვა რასას, ენას, სისხლს, პროფესიას.

მე ფიზიკურად ვიგრძენი იმ წითელი ბარათის ძალა, ფრანგ მეზღვაურს რომ შეხვეული ჰქონდა ნაკეც ქაღალდებში. და თითქოს შემეშინდა კიდევ.

## 5

ხმელთაშუა ზღვას უფრო ხალისიანი ცისფერა დაჰკრავს, ვიდრე შავს. წყნარ, მზიან ამინდში, ზღვა გადაღესილია ცისფერ ვერცხლად. და აფრიკიდან მობერილი უდაბნოთა ბული, ოდნავ შენელებული ამ ტალღებით, — ათბობს გულს, ამშვიდებს ადამიანს, და უადვილებს ოცნებას კარგსა და უკეთესზე.

კორსიკა. მესსინა. იტალიის ნაპირები... და გრძნობა ისტორიის, რომელსაც ჰფერავს ჯვარედინი ქარი მესსინიდან და კალაბრიის მხრიდან.

— მშვენიერი ზღვაა, — მეძახის კომუნისტი მეზღვაური და მიახლოვდება. — მაგრამ შენ უნდა ნახო, რა ხდება აქ ზამთარში...

— გამივლია აქ დეკემბერში, — ეუბასუხებ მე.

— ეს თქვენთვის გამოვაცხე, — მეუბნება ის და მიწვდის პატარა პურს, რომელსაც აკრავს დადი — ჩაქუჩი და ნამგალი.

მე გაკვირვებით მიფიქრებდივარ პურს.

— მე აქ პურის მცხობელი ვარ...

და მეზღვაური მიყვება თავის ამბავს.

— წინეთ სამხედრო ფლოტში ვმსახურობდი. ხომ იცით, ადესაში რომ საფრანგეთის ესკადრა აჯანყდა, — მე იქ ვიყავი მაშინ აფიცრად. ამ საქმისათვის ორი წელიწადი ვიჯექი ტულონის საზღვაო ციხეში... შემდეგ კერძო გემებზე ვმუშაობდი. ვიყავი რადიო ტელეგრაფისტად. მომხსნეს. ეხლა აქა ვარ — პურის მცხობლად. ცოტახნის შემდეგ აქედანაც მომიხდება სხვა გემზე გადასვლა...

— კიდევ პროპაგანდას ეწევი? — მოისმის ქერა მეზღვაურის დაბალი ხმა (ეტყობა თანამდებობის პირია, გემის აღმინისტრაციიდან).

— პირიქით, პირიქით, მუსიო პიერ, — სიცილით უპასუხებს მეპურე. ამას რა პროპაგანდა სჭირდება. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ როდის მოვა თქვენი ამოქვლეტის დრო... თქვენ, მონარქისტები...

— უკაცრავად, — აწყვეტინებს შემოსწრებული მეზღვაური, — საფრანგეთში მაგას ვერ ეღიარებთ. ისევ რუსეთში წადით. იქ ეძიეთ თქვენი ამოსაწყვეტი ხალხი...

— რუსეთში მონარქისტები სულ ამოწყვეტეს. ვინც გაიქცა — ყველამ საფრანგეთში მოიყარა თავი, თქვენის წყალობით. ასე რომ, თქვენთან ერთად

იმათაც გავისტუმრებთ სამოთხეში... ერთის მხრივ დიუკ დე-ორლენს, მეორეს მხრით — კირილ ვლადიმეროვიჩი...

კამათი ღრმავდება.

ჩვენს გარშემო მატროსები სდგანან. მოგზაურებიც გვიერთდებიან და იმართება ნამდვილი მიტინგი. მეპურე განსაკუთრებით აგულისებს და სასაცილოდ იღებს პირეში მიმავალ ფრანგს.

პროპაგანდა სწორედ ამას ჰქვია. და თუ ეს კაცს ვინმე უნდა ასეთ ამბავს ჩადის — უთუოდ კარგი მეზღვაურები დაეხრდება „მესაჯერი მარიტიმის“ კომპანიას...

6

შევდივართ საბერძნეთის წყლებში. აი, სალამინი. სადაცაა გამოჩნდება პირეის ნავთსადგურიც. გემის პერსონალი ნელნელა შორდება მოკამათეთა ჯგუფს. საუზმისათვის აელარუნებული გონგის ხმა თანდათან გვაშორებს მოკამათე მგზავრებსაც.

ისინი ხელების გაშლითა და თავის ქნევით გამოსთქვამენ უკმაყოფილებას, რომ ეს კომუნისტები ზღვაშიაც არ ასვენებენ პატიოსან ხალხს, რომ თუ ასე გაგრძელდა შეუძლებელი გახდება ცხოვრება და რომ, რაც შეიძლება მალე, საჭიროა რადიკალური ზომების მიღება.

ყველანი მიეშურება სასადილო ოთახისკენ და მე აღარ მესმის, თუ რა ზომებს მოითხოვენ ისინი, რათა პატიოსანმა ხალხმა დამშვიდებით იმოგზაურონ ხმელეთსა და ზღვაზე.



# გ უ ლ ქ ა ნ

რო მ ა ნ ი

დასასრული <sup>1)</sup>

## XVIII


გულქან მეტად აღელვებული და სულით შერყეული შევიდა თავის საწოლ ოთახში. იმას მოსამსახურე გოგოსთვისაც არ დაუძახნია, როგორც ჩვეულება ჰქონდა დაწოლის წინათ, რომ ლოგინი გაესწორებია; და ტანისამოსი გაეხდევინებია; ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ გოგოს ზღაპრებსაც ათქმევინებდა დაძინებისას, თუ ვინიცობაა, გუნებაზე არ იყო და ძილი გაუტყდებოდა. იმდენად განაზებული იყო, რომ საბანსაც არ კადრულობდა თავის ხელით წაეხურა. ქალს ჰქონდა დილის ძილი ჩვეულებათ და თერთმეტ საათამდის არ წამოიწეოდა ლოგინიდან, ხან და-ხან ჩაისაც ლოგინში მიატანინებდა, მაგრამ ახლა მას არა ვინ შეუწუხებია არც ლოგინის გასწორებისთვის, არც საბნის დახურვისთვის, შამოვარდა თუ არა საწოლ ოთახში, უცებ კარები დარაზა, საჩქაროთ გაიხსნა კარსეტი, ძვირფასი ტანსაცმელობა მიყარ-მოყარა, ჩაწვა ლოგინში და საბანი თავზე წაიხურა. ამ მდგომარეობაში იყო მიყუჩებული თითქმის საათზე მეტი. იმას არ ეძინა, მაგრამ არც არა მოუდიოდა რა თავში. თითქოს ვისმე კეტი შამოეკრას და გაერეტებინოს.

ამასობაში უცბათ მოესმა კედელს იქით დედ-მამის ხმა, სწრაფად გადიძრო საბანი თავიდან და მიაყურა, იმან ნათლათ გაარჩია მამის ხმამალლა ლაპარაკი; ეს პირველათ იყო, რომ მამის მუქარა მოესმა; რევაზ წყრებოდა როგორც მაზე, ისე განსაკუთრებით სარდიონ ენუქიძეზე, რომელსაც მეტათ უშვერათ ლანძღავდა, ათასნაირ. საძაგლობას აბრალებდა და მის გვარიშვილობასაც კიცხავდა. გულქანს გული ამოუჯდა და შექნა ფშლუკუნი; კარგახანს იტირა და ბოლოს გაჩუმდა, აღარც კედელს იქიდან ისმოდა ვისიმე ხმა.

— ეჰ, რაც უნდა დამემართოს, — გაივლო გულში გულქანმა გადაწყვეტილებით, — დღეის იქით ვითომც აღარც დედა მყოლია, აღარც მამა. ჩემთვის ისინი ორივე მკვდარი არიან. დღემდის მართლა მეგონა, ჩემ დედ-მამას ჩემზე ამოდისთ ნეთქი მზე... თურმე სულ სხვა ანგარიშები ჰქონდათ, მათ მარტო მა-

<sup>1)</sup> იხილეთ „მნათობი“ № 10.

ქურნალი „მნათობი“ № 11—12.



თი სიამოვნებისათვის ვყვარებივართ; თურმე ისინი ჩემ სიამოვნებას სულაც არ კითხულობდნენ; ბედნიერი ვიქნები თუ არა, იმათთვის სულ ერთი ყოფილა, ოღონდ მე ისეთ კაცს გავყოლოდი, რომ იმათი შესაფერი და მოსაწონი ყოფილიყო, თვარა ჩემ ბედობას, ჩემ ნებას ისინი რას დაეძებდნენ! მე თუ განს უბედური გაემხდარიყავი ოჯახში ცოლ-ქმრობითი დამოკიდებულებით—არაფრად მიაჩნდებოდათ ეს მათ, თურმე იმიტომ ვუნდოდი მათ შვილათ, <sup>შინსწინს</sup> შევლებოდნენ თავს, რომ მათი სიამოვნებისა და ბედნიერების ანკესათ <sup>ვყოფილიყავი?</sup>.. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, მე კი დღეის ამას იქით მათი შვილი აღარ ვარ. მე ჩემთვის და ისინი მათთვის... რაც დამემართოს, დამემართოს. მე ჩემს ბედასწერას, ჩემ გულის სატრფოს მაინც ველარ ვუმტყუნებ, მე რომ დედა ჩემს ვყვარებოდი, ერთიცახე ჩემი სიყვარული და პატივისცემა ჰქონოდა, განა სარდიონს ისე მოექცეოდა? რაც შეურაცყოფა იმან სარდიონს მიაყენა, განა ის ჩემი შეურაცყოფა არ იყო? იმან ის კი არ გააგდო მამიჩემის სახლიდან, მე გამაგდო... რა გაეწყობა, გავალ, მარა ჩემი ფეხი აქ აღარ შემოტრიალდება. მე უფრო მამი-ჩემის იმედი მქონდა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ იმასაც არ ვყვარებივარ. ყველაფერს მოვიფიქრებდი და მამა-ჩემი თუ ასე გამწირავდა, არ მეგონა. მე აწ ქვეყანას უნდა დაუმტკიცო, რა დაკარგა ჩემში ჩემმა უგულო დედ-მამამ. მე დაუმტკიცებ ჩემ სარდიონს, რა სიყვარული და თავგანწირულება შემძლება იმის გულისთვის. არა უშავსრა, თუ არ მოვკვდი, მალე მოვანატრებ ჩემ დედ-მამას ჩემსა და სარდიონის თავს. ან მე ვიცი, როგორც დავაწინაურებ ჩემ გულის სატრფოს სამსახურში. გვარიშვილობაო!.. განა მამა-ჩემი დიდი გვარიშვილი არ არის, რომ გუბერნატორის წინაშე, როგორც ნაყმევი, ისე იქცევა, მიწამდის თავს უკრავს ხოლმე? ძერე თვითონ ჩვენი გუბერნატორი რა ასეთი გვარიშვილია? მამა მისი უბრალო რუსის ვაჭარი ყოფილა და დღეს, აბა, გაუტოლოს მამა ჩემმა გვარიშვილობა. თუ არ მოვკვდი, ჩემ სარდიონსაც მალე ვაშოვნინებ პოლკის კამანდირობას და მაშინ ვნახოთ, თუ მამა ჩემი ჩვენთანაც ისე არ მოიბრუნს თავქუდ მოგლეჯილი, როგორც დღეს გუბერნატორთან მიბრბის ხოლმე. გუბერნატორმა რყულია კი არ მითხრა, ერთ დიდებულ კაცს ველი და შენ იცი, როგორ მოაწონებ თავსაო. თუ ქალი ვარ, გამგებე უფრო კიდევ იმას გავეცნობი და მაშინ მე ვიცი ჩემ სარდიონს რა გზაზედაც დავაყენებ.

დიდხანს იყო გულქანი ასეთ ოცნებებში გართული, მაგრამ მაინც ვერ დაიმშვიდა აშლილი ტვინის ძაფები, ის ტრიალებდა, შფოთავდა და კვნესოდა თავის ლოგინში. ხან ჩაეთვლიმებოდა კიდევ, მაგრამ საძაგელი სიხმრები თავს ეხვეოდა. ერთ გზობისათ იმას ეზმანა, ვითომც დიდი საზოგადო შეკრებულება იყო; ურიცხვი ქალვაენი იყვენ გართულნი თამაშობაში. მრავალნაირი საკრავები ორწყებათ უკრავდა სხვადასხვა სათამაშოებს, თითონ გულქან იყო დედოფლათ მორთული, თავზე ძვირფასი გვირგვინი ედგა; ყველანი იმას შენატროდნენ და ულოცავდნენ ბედნიერებას. იქ იყვენ აგრეთვე ბრწყინვალე ტანსაცმელით გამოწყობილი სარდიონ და გრაფ ლიზობლიუდოვი, რომელნიც ერთმანეთს ექიშებოდნენ, არა ჩემი უნდა იყოს გულქან დედოფალი, არა ჩემიო. ამასობაში ისინი წავიდნენ ეცნენ ერთმანეთს და ხანჯლები ჩასცეს მუცელში. ორივე მიწაზე



გაინართხა და სისხლით შეღებეს იქაურობა. ამ დროს გამოეჩანა მისკენ მამა რევაზი მრისხანე სახით, მოხადა ბრწყინვალე გვირგვინი და უთხრა:

— შენ ღირსი არა ხარ დედოფლობისა, შენმა ბარობით ~~ორმა~~ საუკეთესო კაცმა თავის სისხლით შეღებეს დედა მიწაო. ჩემი შეილობიდან გამიგდიხარ და ეშმაკებმა წაგიყვანონო.

ერეკუნულა

წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები რევაზმა, შავი ~~საუკეთესო~~ და შავი ბანჯგვლიანი ავი სულეები გაჩნდნენ, მოჰკიდეს ხელი გულქანს, ერთმა თმებში წაავლო ხელი, მეორემ ფეხებში და ააპროწიაღეს ჰაერში სულ მალლა, მალლა ღრუბლებთან. იმას მოესმოდა ძირიდან მარტო ანასტასიას ვაება, რომელიც გულმკერდს იპოტნიდა და იძახოდა: „ვაი შენი დედის სიწმარესო“. უცბათ ეშმაკებმა გაუშვეს ხელი გულქანს, რომელიც თავქვე დაეშვა ძირს. ამ დროს საშინლათ დაიკვნესა და კიდევ გამოელფიძა.

ის თრთოდა ვერხვის ფოთოლივით. მის გულს საშინელი ძგერა აუტყდა; ამას მერე დიდხანს არ დაძინებია. როცა გული დაიმშვიდა, სულ სხვანაირათ ეცვალა ფიქრები. იმან წარმოიდგინა თავისი უკმეხობა, რა თავქარიანათ მოიქცა იმ ღამეს, როცა გუბერნატორთან დაბრუნდა და თავის უნებურათ გაჰყვა სარდიონს, რომ დედ მამის ნამალევათ ხელში ჩავარდნოდა. მას ამ დროს სინიღისი ისე ქენჯნიდა, თითქოს ერთი რაიმე დიდი დანაშაული ჩაედინოს.

„ვაიმე დედა, რავა დავიღუბე, რა პირით უნლა შევხედო ჩემ საყვარელ მამას!“ — წამოიკრინა გულქანმა და თვალები კვლავ დახუჭა, თითქოს იმ წუთას სურვებოდეს საუკუნოთ დაძინება.

— ნეტაი ასე მომკლა? — თქვა გულში გულქანმა და ისევ მიეცა ძილის ბურანს. იმან კვლავ ჩათვლიმა და სულ სხვა სიზმარი ნახა: ვითომც სარდიონი მაიორშას ეტრფოდა, მას კი ხმას აღარ სცემდა. ის იტანჯებოდა სულით, ცდილობდა როგორმე მოეშორებინა მისი სარდიონი მაიორშასთვის, მაგრამ სარდიონი მას ყურადღებას აღარ აქცევდა. მაიორშა კი ეუბნებოდა: ეს ვინ არის ასეთი ღმერთგამწყურალი მახინჯი ქალი, რომ ჩემ სარდიონს არ შორდებოა. ბოლოს მოუბრუნდა გულქანს, თავში ჩაჰკრა და მიამახა: მანამდის შენ არ გაიხარე, სანამდის ჩემი სარდიონი შენ არ გამოგყვესო, გულქანმა მეტი შურისაგან დანა ამოიღო და უნდოდა გულში დაეცემა, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა და გულზე დაკერის მაგიერათ დანა ხელიდან უვარდებოდა და გულზე ტარით ეცემოდა. ამ დროს იმან გაიხედა და დაინახა, რომ ვიღაც დიდებული კაცი გამოეცხადა. თავზე მეფის გვირგვინი ედგა და გულქანს ხელს უქნევდა, აქ მოდი, ჩემთან არ გირჩევნია მაგ ორპირებთან ყოფნასო? გულქანიც გაეშურა იმ დედაკაცისკენ და თხოვდა, რომ სარდიონ და მაიორშა დაესაჯა მისი შეურაცყოფისათვის, მაგრამ უეცრათ იმ დედაკაცმა დაცინვა დაუწყო გულქანს და უთხრა:

— ვინ ხარ, შე სოფლის გლაბა, რომ სარდიონის დასჯას მეხვეწებო, იმის თავი შენსას ათას მირჩევნიაო, გულქანი კვდებოდა სირცხვილისაგან და არ იცოდა, სად დაძალულებო. ამ დროს მიწა გაიხსნა და გულქანი ნელ-ნელა შიგ ეფლობოდა. იმან ხელები სარდიონისკენ გაიწვდინა და ეხვეწებოდა, მიშველეო. სარდიონი და მაიორშა შველის მაგიერათ დასცინოდნენ მის ტანჯვას. გულქანმა

ასეთ უსიამოვნო სიზმარსაც კვნესით დაახწია თავი და ისეთი კანკალი აუვარდა გამოღვიძების დროს, რომ გეგონებოდა, საშინლათ გააცივაო. ამას შემდეგ ბევრი ეცადა, მაგრამ აღარ დაძინებია. ცოტა ხანს შემდეგ ფარდემ ჩამოფარებულ ფანჯრებიდან გათენების სინათლემაც შემოაწია. გულქანმა სიამოვნებით ამოიხვნეშა და წამოიძახა: „მადლობა ღმერთს, გათენებულა, აწ არა მიჭირსრაო. ამ საშინელმა ღამის სიზმრებმა კინაღამ სიცოცხლეს გამომხსარა“ — ხსნისწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და კუდიანიო. ჯვარი მწერია მათი აწხლისგან“ — რმან გადააფურთხა ამ სიტყვებზე და სახეზე პირჯვარი გამოისახა.

## XIX

თორმეტი საათი იყო, ანასტასია რომ შევიდა გულქანთან. იმას პირი დაე-ბანა, ჩაეცვა, ჩაი დაეღია და ნიდაყვზე წამოწოლილი იყო სოფაზე. სახეზე ყვითელი ფერი დასცემდა, რომელიც ამტკიცებდა წინანდელი ღამის სასტიკ შინაგან სულის ბრძოლას. იმას ხელი თავზე მიედვა, ეტყობოდა უძილობისგან მოქანცულიყო.

— შვილო, შუადღეა, რატომ აქამდის არ გამოდიხარ ოთახიდან? მამა შენი დღეს სულ შენ კითხულობდა: „გვრიტოს რა დაემართა, რომ აქამდის არ მოდის, უმისოთ ჩასაც გემო არა აქვსო“, — მოეხაფიფა ანასტასია.

— თავი მეტკინა, რაცხა ამ დილაზე უგუნებოთ ვარ.

უპასუხა დედას გულქანმა.

— უი, შენ შამოგევლოს შენი დედის სიცოცხლე! რატომ, გენაცვალე? — მოუჯდა გვერდით ანასტასია და შამოხვია კისერზე ხელი.

გვრიტოს გული აუჩუყდა, ცრემლები გადმოყარა და დედის ხელი მოიშორა კისრიდან.

— მიწყრები, გენაცვალე? კარგის მეტი რა დამიშავებია?

შენ ახლა დიდი ხარ, აბა როგორ გეკადრება ბავშსავით ტირილი. აი, ის უნამუსო სარდიონ ენუქიძე. ვაი დედაო, მე ის სახლში შამოვუშვი, ის უგვარო, ის გარყვნილი, ის მაიორშას საყვარელი, ის ქვეყნის დაღალი! თუ არ დაღალობით, იმას ვინ მიაშავებდა კაპიტნობას? — წამოიწყო ანასტასიამ სიფიცხით გინება და სარდიონის დამცირება თავის ქალის თვალში, მაგრამ გულქანმა უცებ მოიწმინდა ცრემლები, წამოიმართა და მრისხანებით შეანათა დედას თავის დიდრონი თვალები.

— დედა ჩემო, თუ ჩემი თავი გინდა, სარდიონის ლანძღვას თავი დაანებე.

ანასტასია გაოცდა ამ უკმეხობაზე და უცბათ შეწყვიტა ლაპარაკი.

— კარგი, შვილო, რაკი შენ გწყენს, აღარას ვიტყვი. წამოდი, მამა გხმობილობს. შენი ნახვა უნდა.

— მე აღარც მამა მყავს და აღარც დედა. — წილაპარაკა გულქანმა. ის ძლივს იმაგრებდა თვალებზე მომდგარს ცრემლებს მამის გახსენებაზე.

— რატომ, შვილო? აგრე როგორ გაგიცივდა გული ჩვენზე? შენს მეტი ვინ გყავს ქვეყანაზე? მერე შენგან მაგას მოელის შენი მოხუცებული დედ-მამა? ეს უკანასკნელი სიტყვები ანასტასიამ გულ ამომჯდარმა დაათავა, ცრემლები

ლაბა-ლუპით წამოსქდა თვალებიდან. ამ გარემოებამ გულქანს გული მოუღობო, მაგრამ მაინც ხმა არ გაუცია. წამოდი, შეილო, შენ მოხუცებულ მამას მაინც რას ერჩი, რომელიც ბავშობიდან ასე განაზებდა და უშენოთ ვროთი წუთიც სატანჯველათ მიაჩნდა.—დაუყინა დედამ. გულქანი ხმის ამოუღებლათ აღგა და წავიდა მამასთან. ანასტასიაც უკან აედევნა.

რევაზი უკვე ჩაცმული იყო, წინ და უკან დადიოდა და ნიღბის წარბებ შეჭმუხვნილი, ჩიბუხს წევდა. დაინახა თუ არა თავისი ქალი, გამოიღო პირიდან ჩიბუხი და უღვაშებში გაიციინა. გულქანი სახე ამღვრეული გაეშურა და დივანზე დაჯდა.

გვრიტო, როგორც ეტყობა, ძალიან გაჯავრებულია.—ხუმრობით წამოიძახა რევაზმა.

— გაჯავრებული კი არა, ცოტა შეუძლოთ არის და თავს იტკენს.—მოუბოდიშა ანასტასიამ.

— რაც მაგან წუხელი ითამაშა, დაიღლებოდა, აბა რა დაემართებოდა, თქვა რევაზმა, მივიდა, ქალის გვერდით დაჯდა, მოხვია თავზე ხელი და შუბლზე აკოცა.

— ჩემო თავის ნება გოგო! სახე მართლა ცხელი გაქვს. სიცხე არ გქონდეს! სწორეთ ძილი გაკლია, ფერზედაც ვერა ხარ კარგათ.

გვრიტომ არა თქვა რა.

რევაზმა ააბუყბუყა კვლავ თავისი ჩიბუხი, თითქოს ცდილობდა, თავში აზრები მოეკრიფა. ის არ ჩქარობდა საქმეზე გადასვლას. ეს პირველათ შეემთხვა მას სამძიმო საქმის გამჟღავნება თავის ქალისთვის და რაღაც უხერხულათ გრძნობდა თავს.

— წუხელი რაზე მოგივიდა გვრიტო, გრაფ ლიზობლიუდოვთან უსიამოვნება?—ჰკითხა ბოლოს რევაზმა.

— არაფერზე.—ცივათ მიიხალა ქალმა პასუხი.

— ის რომ უთხარი, მაგაზე ნუ მელაპარაკები, თვარა ავდგებიო, რა იყო?

— უზდელია და იმიტომ.

— მაინც რა უზდელია ჩაიღინა?

— რა და სარდიონს ღანძლავდა.

— ალბად ღირსი იყო გალანძღვისა. ძალიან ბევრ ნებას აძლევს ეგ უჯიშო თავის თავს.—ხმა ამალლებით დაიწყო რევაზმა.—შეტად გათამამდა ეგ ცალფეხა აზნაურა!

გვრიტომ ამ სიტყვებზე მხრები შეანძრია და სახეზედაც უსიამოვნება დაეტყო. მისთვის კი არ დამიპატიუნია, რომ ჩვენი საპატიო სტუმრები არათ ჩაავდოს. რას მიეღებ-მოეღება? მამა მაგისი მამა ჩემს მეჯინიბესავით უდგა. ოჯახში ცივი მქადიც არ ჰქონდა საქმელი, სულ ჩვენი სახლიდან რჩებოდა მაგის დედ-მამა. ახლა უყურე მაგ უჯიშოს! აპელატები გაიკრა და ასე ჰგონია, ჩვენი ტოლი იყოს!

— გრაფ ლიზობლიუდოვზე მაინც უარესი არ არის. თქვა მწყრალათ გულქანმა. იმან რაღა გაბედა, იმ ვინლაც მოთრეულმა, რომ ჩვენებზე თქვა, ფეხ-

შიშველა ქართველებიო, ღმერთო კი მომკალი, იმაზე ფეხშიშველი ვინლა არის, სულ ვალებით არის გავსებული.

— რაც უნდა იყოს, შვილო, ის წარჩინებული გვარაშვილია და ღღეს თუ ხვალ მთავარმართებელთან საპატრიო კაცი გახდება.

— რა ვუყოთ მერე? იქნება სარდიონმა მაგას კიდევ გაასწროს, წინ.

— ვინ, სარდიონმა?.. — დაცივნის კილოთი ჩაეკითხა მეთყვი მაგას, მამაშვილობამ. მაგ ცალფეხა აზნაურიშვილი კაპიტნობაში უნდა ჩაბერდეს. მაგას ვინ აღირსებს მაიორობას?

— უკაცრავათ, მასე არ იქნება საქმე.

— ოჰო, შვილო გვრიტო, შენ ძალიან ექომაგები მაგ უჯიშოს! ჯადო ხომ არაფერი უქმევიანა შენთვის!

— მამა, თუ გიყვარდე, მაგისთანებს ნუ მელაპარაკები, მე დაცივნების ვუნებაზე არა ვარ.

— როგორ, შვილო? შენ რას დაეძებ, ვინლაც ცალფეხა აზნაურა სარდიონ აგდია!

— მე ქე ვიცოდი, რომ არც გიყვარდი და არც გყვარებივარ არაოდეს, თვარა მასე არ მომიკლავდი გულს.

— როგორ არ მიყვარხარ, შვილო! შენს მეტი ვინ გამაჩნია? — გულჩვილათ უთხრა რვეაზმა, ჩიბუხი იქით მიაყუდა, მერე მოხვია გულქანს ორივე ხელები და დაუწყო თვალეში კოცნა.

— ჩემი გვრიტო, ჩემი სიცოცხლე! ავი რომ იქნებოდი, პატარობიდანვე გეტყობოდა. შენ არ იყავი, გოგო, რომ წლისა და ნებევისამ სუფრა გადაგვიბრუნე და ეგ პაწია თათები დაიფუფქე? რამდენი შენ მაშინ იქყვირე, დედა კიდევ გაგიწყრა, მე ქე მოგეფერე. — ამ სიტყვებზე ორივე მისი ხელები მუქში ჩაიშუჭა და თითებზე კოცნა დაუწყო.

ანასტასია იქვე იჯდა და გულქანის გაბუტებულ სახეს თვალეში მიჩერებოდა. — ჰო, და! მაშინ რომ ჩემი დაგეჯერებია, ახლა მასე თავისნება შვილი არ გვეყოლებოდა. უფრო ჩვენი მოოჩილი და დედ-მამის პატივისმცემელი შვილი გაგვეზდებოდა.

ამ სიტყვებზე გულქანმა დედას თავის დიდრონი თვალეები დააშტერა, ტუჩი აუბზუა და ჩაილაპარაკა:

— არც დედ-მამის რიგია, თავის სიამოვნების იარაღათ გაიხადოს ღვიძლზე ნადები შვილი. ის კაი დედა არ არის, ვინც თავის შვილს გულის ამოგლეჯას უპირობს.

— ნეტაი დედა შენი ცოცხალი აღარ იყოს, მაგ სიტყვების გამგონე! — გაბრაზებით დაატანა ანასტასიამ.

— რაო შვილო, ეგ რა სიტყვები თქვი? განა ჩვენ იმისთანა დედ-მამა ვართ, რომ მაგეებს ამბობ?

— კი ვამბობ, იმიტომ რომ დედამ წუხელი მე და ჩემი ბედის წერა კაცი ორივე გაგვწირა.

— ვინ არის, გვრიტო, შენი ბედისწერა, ან დედა მაგას როგორ იზამდა? გულქანმა პასუხის მაგიერათ ცრემლები გადმოყარა. რევაზმა აიღო თავის ჩიბუხი და ააბოლა. როცა ქალმა გული იჯერა ტირილით და დასმუქვდა, რევაზმა განაგრძო.

— შვილო, შენი არა ვართ ორივე, შენით არ ვცხდები, თუ შენ კარგი პატიოსანი კაცი აირჩიე, ჩვენი ოჯახის შესაფერი, დიდუცხუფეს, მთავრობის კაი ყურადღება დაემსახურებინოს, განათლებული იყოს და წინ ვინ დაგიდგება?

— მაგისტანა მე ვერაინ ვნახე.

— შენი და შენი ოჯახის შესაფერი, შვილო, ვრათ, ლიზობლიუდოვია, რომელსაც ძალიან უყვარხარ.

— იმას მაინც არ წავეყვები, რომ საფლავშიაც ჩამდვან. უზნეო კაცია, მე გამოვცადე მისი უსინდისობა.

— ყმაწვილობა, შვილო, ვის არ გამოუცდია.

— მამა, თუ გიყვარდე, მის სახელს ნულა გამაგონებ.

— ვაი შენი დედის უბედურებას, შვილო! — წამოიძახა ანასტასიამ.

— აბა ვინ არის, შვილო, ანგელოზივით წმინდა კაცი, რომ ყმაწვილობა არ გამოეცადოს? — დაატანა რევაზმა.

— მე ანგელოზს არ ვეძებ. მე ის მინდა, ვინც მიყვარს.

— ვინ შვილო? მითხარი მაინც, რომ როგორც შვილს, ისე მოვექცე. — გამოცდით ჩაეკითხა რევაზი.

— მე სარდიონ ენუქიძის მეტი საქმრო ღმერთმა ნურც მომცეს და არც მინდა.

— უი ჩემ სიცოცხლეს! — დაიკრა მუხლებზე ხელი ანასტასიამ.

რევაზ კი თოფნაკრავი დათვივით წამოვარდა თავის ალაგიდან, დაიწყო ბობლინი და ჩქარი სიარული დარბაზში.

— ეგ პირველათ გაგიმხელია ჩემთვის, — შეჰყვირა გულქანს მამამ, — და მეორეთ აღარ გამაგონო! ეგ რომ მოხდეს, ჩემ სახლ-კარს დაეწვამ. მეც შიგ ჩავარდები და ჩემ ცოლ-შვილსაც თან ჩავიტან.

— არა, მამა-ჩემო, ტყუილათ ნუ ჯაერობ, — შეანათა მამას გულქანმა თავისი დიდრონი თვალები. — იცოდე, თავს მოვიკლავ, თქვენ გაგწირავთ და სარდიონის მეტს არ წავეყვები.

— ჩუმათ! შენ, ჩემო გველის წიწილო! — დაიღრიალა რევაზმა, უცებ გადააგდო ჩიბუხი, რომლის ყალიონიც ნაწილ-ნაწილათ დაიმსხვრა; მერე მივარდა დივანზე მჯდომ თავის ქალს და ნაწნავეები დაუჭირა.

ანასტასია წამოვარდა და ჩადგა შვილსა და ქმარს შუა.

— კაცო, ხომ არ გაგიჟდი, გაუშვი ბავშის ნაწნავეებს ხელი. — შეჰყვირა ანასტასიამ.

რევაზ თითქოს ახლა მოეგო გონსო, უძლურათ დაეშვა დივანზე. გულქანის სახე მეტი მრისხანე და მქისი გამომეტყველების იყო, მისი თვალები ახლა ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდნ და არა ცრემლებს. ის თამამათ შეჩერებოდა

უძლურ მამას. ქალის სასტიკ სახეზე ერთი ძარღვიც არ ატოკებულა, ანასტასია მივარდა გულქანს, მოხვია ხელი და უთხრა გრძნობით:

— წამოდი, შვილო, შენ შემოგვევლოს დედიშენის სახლი, ოთახში მოი-  
სვენე.

გულქან უნებურათ დაემორჩილა დედის მხურვალე სიტყვებს და გაყვა მეორე ოთახში.

## X V

გულქან როგორ წარმოიდგენდა, რომ მამა მისი, რომლისგანაც მოფერების მეტი არა ახსოვდა რა, იმდენათ მიეცემოდა თავდავიწყებას, რომ მას ხელით შეეხებოდა. თუმცა წინა ღამეს ბევრი შავი ფიქრები მოუვიდა თავში დედ-მამის უგრძნობელობაზე, მაგრამ ეს უფრო მუქარით იყო წარმოთქმული, რომ ისინი ბუნებრივად კიდევ უფრო დაემორჩილებინა და თავის ნებაზე ეტარებინა, ახლა კი სრულებით დარწმუნდა, რომ მის მამას მართლაც შვილის შეურაცყოფა არაფრათ მიაჩნია, უკვე თუ გულქან დაარღვევდა მის ნებას და მის განზრახვებს წინ გადაეღობებოდა.

— დღეს კარგი ამბავი გამოვცადე. — ჩაილაპარაკა თავისთვის გულქანმა, როდესაც თავის ოთახში მარტო დარჩა. — ჩემი ბედისწერა გადაწყდა. მე ახლა სარდიონ ენუქიძის მეტი აღარავინ დამრჩენია ჩემი გულის შემატკივარი. დღეიდან საპყრობილეთ შეჩვენება ეს ოთხი კედელი, შიავლ-მოავლო თვალები ოთახში.

— ოჰ, ჩემო სიყმაწვილის მოწამე ოთახო, ჩემთვის ყოველი შენი წკირი, ასე გაშინჯე, ყოველი შენი მტვერის ბუსუსი, რომელიც ფანჯრიდან შემოჭვრეტულ მზის სხივებზე თამაშობდა და ბზინავდა, ჩემთვის სამზიარულო და გასართობი იყო, მაგრამ ან თქვენ ყველანი შემძულდით, შემძულდა ოჯახი, რომელშიაც გამოვზდილვარ, შემძულდა დედის უბე, რომლის მკერდში არა ერთხელ ტკბილათ უფოთარებია ამ ჩემ თითებს, შემძულდა ჩემი საკოცნი ძუძუები, შემძულდა ჩემი მამა, რომელიც აქამდის ასე მანებებდა, რომელიც დღეიდის რაც უნდა შეთხოვა, ყველაფერს მისრულებდა... ამიერიდან ყოველსავე ამას უნდა გავმორდე სამუდამოთ და გულში ჩავიკლა მათი სიყვარული.

— ამ სიტყვებზე გულქანს უეცრათ ღრმათ შეეძრა გულ-მკერდი, ძლიერათ აუთრთოლდა მთელი ტანი, თითქოს გაცივდაო და მოისმა მის ოთახიდან გულსაკლავი ქვითინი. გულქან ტიროდა თავის სიყმაწვილის დღეებს, ტიროდა დედ-მამის საუკუნოთ დაკარგვას, ტიროდა თავის ოჯახის მოშორებას, საცა მას დარჩენოდა იმდენი მზიარული მოგონებანი...

შემდეგ ის უეცრათ წამოვარდა, მივიდა თავის საპირფარეშო კუთხეში, საიდანაც მას თითქოს ღრმა მწუხარებით შეცქეროდნენ დედ-მამის ნახატები და უსაყვედურებდნენ გულ-აჩქარებულ ქცევას... ის გიჟივით მივარდა მათ, აილო ეს ნახატები ხელში, დაუწყო მათ გრძნობით კოცნა და ორივე ცრემლებით დანაში:

„ჩემო საყვარელო დედიკო, ჩემო გამნაზებელო ბაბაია, მე არ ვლირსვარ თქვენ შვილობას, მე გლაბა გული მაქვს, უკმენი, საძაგელი ხასიათის ვარ, მე ვერ შევფრიგდი თქვენ მოსაზრებას, ვერ გასიამოვნეთ შორჩილებით, მარა რა ვქნა, რომ ასე უმხგავსო გავუჩენივარ დამბადებელს. მე კი ვიცი, რომ ჩემი მოშორება, თქვენ უდროვოთ სათლავში ჩაგაგდებქათქათა შენდოდა, ღმერთმან იცის, რომ თქვენი სასიამოვნო შვილი ვყოფილყავი, მაგრამ წყეულმა გულმა სულ გადამიბრუნა ჩემი გრძნობები. მე აწი თქვენ უნდა მოგიძულლოთ, სხვამ მომპარა თქვენი სასიყვარულო გული. მე თქვენი აღარა მინდარა, ჩემი ცხოვრების საგანი, ჩემი სატრფიალო არსება, ჩემი იმედი, ჩემი საპატრონო ამიერიდან—ჩემი სარდიონია. მისმა სიყვარულმა უნდა დაიჭიროს თქვენგან დაცალიერებული ჩემი გულის კოლოფი, აწ თქვენ მაგიერათ მისმა სახელმა უნდა ინებიეროს შიგ“.

ანას რომ გულქანი თავის საპირფარეშო ოთახში მოთქვამდა, ანასტასია თავის ოთახში სულ სხვანაირათ ნაღვლობდა. ის მეტათ შეაწუხა გულქანის მოქმედებამ, არც რევაზის მოქმედების კმაყოფილი იყო; როგორ მოიფიქრებდა, რომ რევაზი ასე გაიმეტებდა თავის საყვარელ ქალს, რომელსაც ბავშობიდან ასე ასათუთებდა და ანაზებდა. „მე რომ გავუწყებოდი და გავლაზავდი, რევაზი ერთ ამბავს დამიწევდა, მუდამ მისაყვედურებდა, ეგ ბავში ნუ მოკალი, წყრომით და ლახვით ხასიათი წაუხდებაო. ისევ ყმაწვილობაში იყო, როგორ შეიძლებოდა, როგორ შეიძლებოდა, რომ არ გავწყრომოდი და ხან-და-ხან კიდევ არ მიმებერტყა, მარა ახლა გასათხოვარი ქალია, თავმომწონე!.. უიმე, ეს რა მოგვივიდა, როგორ გავანაწყენეთ... ჩემი დამტირებელი შვილი, მისი ამაცი ხასიათი როგორ გვაპატივებს ასეთს შეურაცყოფას... ამისგან კარგი არა გამოვა რა, მისი თავმოყვარეობა შევლახეთ... არა, ის სიკვდილამდის აღარ გაიმთელებს გულს ჩვენზე... დავკარგეთ შვილი, გამოჩენილი შვილი... საუკუნოთ მოვწყვიტეთ დედ-მამის მკერდიდან!.. ნეტაი სულ არა შეთქვა რა რევაზისათვის, რას მოვიფიქრებდი, თუ ასე გამოვიდოდა მოთმინებიდან! ვაი ჩვენს სიბერეს! შეძულების მაგიერათ ახლა უფროც შეუყვარდება ის უნამუსო კაცი. დედავ ღვთისაო, შენ გვედრები, ნუ დაამცირებ ჩვენ ოჯახს, ისე ნუ გარეწრებ ჩვენ გულქანს, რომ მისი გვარის შეუფერებელი რამე იკადროს და სიბერის დროს სიცოცხლე დაგვამწაროს!—აღაპრო ხელები ანასტასიამ ღვთის მშობლის ხატის წინაშე, რომელიც კედლიდან დაპყრებდა მას, თითქოს შებრალებით. ანასტასიამ გაბხნა ლოცვანი და მოჰყვა გულმხურვალეთ ვედრებას. იმან, შეიყვანა თუ არა გულქან საპირფარეშო ოთახში, დაუწყო ფერაობა და ბოდისი მამის მაგიერათ, მაგრამ გულქანი მეტათ გამქისებული იყო, ისე რომ ხმა ვერ ამოაღებია. ბოლოს არჩია, გამოცლოდა რომ თავისუფლება მიეცა აღელვებულ შვილისათვის, ფიქრობდა, მარტო რომ დარჩება, გულს უფრო დაიმშვიდებსო, მაგრამ მაგიერათ, შევიდა თუ არა თავის ოთახში, ჩუმათ მიუახლოვდა ოთახის კედელს, რომელიც ჰყოფდა მის და გულქანის ოთახებს. ანასტასიამ მიაყურა თავის ქალს; მალე მოესმა გულქანის

ქვითინი და დედის გულ-ღვირძლი იხარშებოდა შეილის მწუხარებით, მასაც აუჩუყდა გული და თითონაც ბევრი ცრემლები დაღვარა ხმა ამოუღებლათ.

რევაზიც საშინლათ შეაწუხა თავისმა გაფიცებამ. ვერ წარმოუდგინა, როგორ მოხდა, რომ თავის უბეში გაზდილი ერთათ-ერთი შეილი, რომელზედაც მზე ამოუდიოდა, და მის მეტი ნუგეში ქვეყანაზე არა, გააჩუყდა, ალარ დაინდო და გასალახავათ გაიწია. ის ახლა შენანებისაგან, ბაქო-ქუჩურში წაივლებდა ხელს, ხან წვერ-ულვაშს იგლეჯდა და თან იძახოდა თავისთვის: „ეს რა მომივიდა, როგორ გავაჯავრე ჩემი გულქანიო!“ ერთ ხანს ფიქრობდა კიდევ გულქანის ოთახში შევარდნას, განაწყენებულის შეილის გულში ჩაკვრას, მის წინ შენანებას და ყოველიფრის პატივებას, მაგრამ ამ დროს სარდიონის სახე წარმოუდგებოდა წინ და მაშინვე ბრაზი მოერეოდა. „აჰ, ღმერთმა ის დღე ნუ მომასწროს, რომ დიდებული ბაკურიძის გვარი ვინღაც ცალფეხა აზნაურის გვარზე, ენუქიძეზე შეცვლილიყოს. უმაღ სიკვდილი ჩემ გულქანს... არა, ამ საქმეს ასე მიყრუება არ უნდა, ვინ იცის, გააფთრებული ჩემი გოგო რა ზომამდე მიაღწევს. მისი უკმეხი ხასიათი ვიცი. ჩემი შეილი არ არის? სიამაყე ათი ჩემდენი აქვს... იმ წუწკ კაპიტანს ფებს ალარ დავადგმევინებ ჩემ სახლში. ამ საქმეში ჩემიანებიც უნდა დავიხმარო. გუბერნატორი და მისი მეუღლე უნდა დავასიო გულქანს, რომ რამენაირათ შეიგონონ მისი ურიგო საქციელი და ამ ცოტა ხანში იქნება ჯვარიც გადავწერო გრაფ ლიზობლიუდოვზეო, — ფიქრობდა რევაზ. ათასმა იმედებმა რევაზი ისევ გულზე გადაფერა, მან მოჰკიდა თავის გძელ ჩიბუხს ხელი, გაიტენა თუთუნით ყალიონი, ააბოლა და იწყო ჩვეულებრივად დარბაზში წინ და უკან სიარული.

ამ დროს დარბაზის კარები შემოალო ერთმა დამსხვილებულმა კისერგანიერმა ქალარა კაცმა, რომელსაც ეცვა ჟღალი ჩოხა, სევადიანი, ვერცხლის ქილებით დაშვენებული. ამ კაცს მოპარსული პირი ჰქონდა, რომელსაც მსხვილი ულვაშები და სქელი ქალარა წარბები მხნე გამომეტყველებას აძლევდენ. ქალარით მოვერცხლულ თავზე ეხურა ძველი იმერული ფაფანაკი და გვერდზე ხმალ-ხანჯალი ეკიდა. ახალ-მოსულმა კაცმა შეალო თუ არა დარბაზის კარები, ორივე ხელებით მოიხადა ფაფანაკი, გადააჯვარადინა ფეხები და მძიმეთ დაუკრა თავი რევაზს, რომელმაც მაშინვე ულვაშებში გაიღიმა და მხიარულათ შეჰძახა:

— ოჰ, შიუკას გაუმარჯოს! როდის მოხვედრი?! ბაკურიანში რა ამბავია, ტყის და სამოსახლოს ფულები თუ მომიტანე? — ისე უცბათ მიაყარა ეს კითხვები ერთი-მეორეზე რევაზმა, რომ შიუკა კიდევ ჩაფიქრდა, არ იცოდა. რომელ კითხვაზე გაეცა პასუხი დიდებული მებატონისათვის. მან დაისვა თავზე ხელი, თითქოს ფიქრებიდან ჰსურს გამორკვევაო და ფაფანაკი ხანჯლის ტარზე ჩამოკიდა მარყუჟა ზორნით. რევაზმა შეჰკვრიტა და მოურავის სახეზე წაიკითხა რაღაც უსიამოვნება. იმას არ იამა, რომ მოურავი ჩვეულებრივად მხიარულათ არ შეხვდა და არ მიულოცა ბატონს ბედნიერი ცხოვრება. ის კი არა, მისი დაღვრემილი სახე თითქოს რაღაც უბედურებას უქადდა რევაზს, რომელიც ალარ ჩქარობდა კვლავ შეკითხვობდა მოურავს. მებატონემ თვა-



ლები უნებურათ ძირს დახარა და მოსწია ჩიბუხი. შიუკა გრძნობდა, რომ რევანსისათვის სასიამოვნო არ იქნებოდა, რისაც მოხსენებას აპირობდა, მაგრამ დათარვაც აღარ შეიძლებოდა.

შიუკას გული მეტათ დამდურებული იყო იმ შეუძარცოვლით, რომელიც მან განოსცადა ბატონის ოჯახიდან ბარგის აკვრით. ის ამ ოჯახში დაბერებულიყო, თავისი საკუთარი სახლ-კარი რომ ვაჭრობით დასრულებულიყო, შიუკა ამაზე მეტს მაშინაც ველარ ინაღვლებდა. ისე იყო მიჩვეული ბატონის მამულის პატრონობაზე, რომ საცა კი შეხვდებოდა ვისთანმე ლაპარაკი ან მამულების სამოდოთ გაცემაზე, ან თუ რომელიმე ნაკვეთი ადგილის ვისმესთვის მიყიდვა დაჭირდებოდა შინაური ნაყიდობით, ან გლეხის განთავისუფლებაზე თუ მოუხდებოდა მორიგება, შიუკას ენა ისე ჰქონდა წაჩვეული, რომ ბატონის მამულს თავის საკუთრებათ ხდიდა. ესა და ეს ჩემი ნათუზვრები ამა და ამ ფასათ გაეცეცა სამოდათო, ან საღალათო, ამა და ამ ჩემ გლეხს ამდენათ და ამდენათ დავახწევინე თავიო. რასაკვირველია, ამისთანა მეურნეობაში თვითონაც არ რჩებოდა ხელ-ცარიელი, გამრიგეს ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა მოურავის „ლაფჩინის“ (წალის) ფასი, ესე იგი საჩექმე, როგორც სხვაგან ეძახოდნენ შიუკასთანა მონაგარობას. ხშირათ მოხდებოდა, რომ შიუკაზე მარტოდებოდა დადიანის მოურავზე ნათქვამი არაკი: „ცხვარი ბატონს, ძროხა ანტონსო“.

ამისთანა მოურავობის გამო შიუკამ ძალიან წაიწყო ხელი თავის ოჯახში. მას ერთი იმ კუთხის აზნაური ვერ ჯობდა ვერც მოსახლობით, ვერც შეძლებით და ვერც მიწა-წყალის სივრცით. მეზობელი თავადიშვილობა და აზნაურიშვილობა ძალიან შურით უყურებდნენ შიუკას გამდიდრებას: „გაკეთდა ეს წვივ-ჩაჩუთრული ყაზახი“, (გლეხი) ამბობდნენ ისინი, — „რევანის მამული სულ მაგან ამოიდვა ლაჯებშიო“. ბევრჯელ რევანს პირშიდაც გააგონეს შიუკას მექთამობა, მაგრამ რევანი მარტო უღვაშებში ჩაიციინებდა ხოლმე და იტყოდა:

— რა ექნა, მაგის ალაგას სხვა უარესს იზამდა. ეგ ჩემი ერთგული მაინც არის და სხვა კიდევ გამქურდავდა და ორგულათაც მოკიდებოდა ჩემ საქმესო. იმას გულში კიდევ უხაროდა, უფრო დიდათაც მოჰქონდა თავი მეზობლებში, რადგან ხედავდა, რომ მოურავი იმის წყალობის გამო შეძლებით და მიწა-წყლით არც ერთს მის მეგვარე თავადიშვილს არ ჩამოყარებოდა. როცა რევანი კარგ ბუნებაზე იქნებოდა, ხშირათ იტყოდა ხოლმე:

ჩემმა შიუკამ მთელი ჩემი კუთხის თავადიშვილობა დაშიჩავრაო. მე აწი მათ როგორ გავუტოლებ თავსაო, იმათ ჩემი მოურავის ოდნობაც არ შეუძლიათო. თვითონ რევანმა მოუქედვინა შიუკას ხმალ-ხანჯალი და უბძანა:

„ამიერიდან ხმალი ჩემი პატივისცემისთვის ატარეო,“ ამ დროს თუ არ თავად-აზნაური, გლეხი ხმალს ვერ ჩამოიკიდებდა, ასე რომ რევანმა თავისი გლეხი თითქოს ხმალის დაკიდებით გაააზნაურა. როგორც გამოცდილი კაცი, შიუკა იმ კუთხის აზნაურებს და თავადებს, ვისაც კი შეხვდებოდა ძალიან დარბაისლურათ და მოწიწებით ეკიდებოდა; მათთვის მას ტკბილი:

თავმდაბალი სიტყვა-პასუხი არ გამოეყოლა, მაგრამ ამავე გარეგანს მის მორჩილებაში ჩნდა დიდი სიამაყე და გულში კიდევ დაცინოდა ცალფეხა აზნაურებს: ესენი კი მას თავის თანასწორათ უყურებდნენ და სიამოვნებითაც ართმევდნენ ხელს.

როდესაც რევაზმა მიზეზი აღარა მისცა რა შიუკას საუბრის დაწყებისა მოურავმა თვითონ მოახსენა ხმა ათრთოლებით:

— მე, ბატონო, საუკუნოთ უნდა გამოგემშვიდობოთ.

რევაზი უცებ მოტრიალდა ამის გაგონებაზე და მის სახეს განცვიფრება დაეტყო.

— რაო, შიუკა, რა თქვი? — შეძახა ბატონმა. შიუკამ კიდევ უფრო ჩამკვდარი ხმით გაუმეორა:

— თქვენ ოჯახში მე აღარ მედგომება.

— როგორ, რა ამბავია? — შეეკითხა კვლავ რევაზი და თვალები დააშტერა მის სახეს.

— სასამართლოს პრისტავმა გამომავდო, ბატონო, ეს ადგილები, სახლი, ეზო, გარემო, მთელი ბაკურიანის მიწა-წყალი, რომელიც თავად რევაზ ბაკურიძეს ჰქვიაო, პეტრ ივანიჩმა დაირჩინა საზოგადო ვაჭრობითო და დღეს მისთვის მოვედიო, რომ მას ჩავაბაროო და შენ აქედან ბარგი აიკარიო. მამასახლისიც იქ იყო. მე რომ ვუწინააღმდეგე, იასაულებს უბძანა, გააგდეთ აქედან ეს ყაზახიო. — აქ შიუკას გული აუჩვილდა და ცრემლები გადმოჰყარა თვალებიდან. — აღარც ჩემი რიდი მოიდგეს, აღარც თქვენი, მტაცეს ხელი და ჯიგლიგით ჩამოშავდეს კიბიდან.

რევაზს მეტი სიანჩხლისაგან სახე დაედრიჯა.

— ვინ გაბედა, ვინ შამობედა ჩემ ეზოში?.. მერე შენ არა უთხარი რა? მაგისტვის გაგზარდე ჩემ მოურავათ, მაგისტვის ჩავაბარე ჩემი ბაკურიანის სახლკარი და მიწა-წყალი, რომ ვინღაც სალახანებისათვის და ავაზაკებისათვის დაგეთმო?

— რა მექნა, შენი ჭირიმე, ბევრი ვეწინააღმდეგე, ბევრი ვიყვირე, მარა ჩალათაც არ ჩამავდეს.

— თოფი, ტაშბაჩა, ჩემი ნაბობები რომ გქონდა? ოხრათ დაგრჩა? რა უყავი? რატომ არ ესროლე და ყველა არ ამოწყვიტე?

— მთავრობის წინააღმდეგ მე რა შემეძლო, შენი ჭირიმე?

— როგორ თუ მთავრობის წინააღმდეგ? მერე მე ვინა ვარ, ეს ჩემი ჯინჯილები ტყულა მომცეს, რომ მეც მთავრობა არ მერქვას? მერე მე ვინ ვარ? დიდი იმპერატორი ნიკოლოზის ხელით არ მაქვს გამოგზავნილი ეს ჯინჯილები? დიდებულთა თვადიშვილიც რომ არ ვიყო, მაიორი მაინცა ვარ და მაიორს ვინ გაუბედა სახლკარისა და მიწა-წყლის წართმევა? მე შენ გეუბნები, რატომ თოფი არ ესროლე, რატომ ეს ხმალი არ შეღებე იმათი სისხლით?

— ბატონო, სამოსამართლოს პრისტავს შუბლზე ხელმწიფის კაკარტა ეკერა და გულზე ხელმწიფის ბობებული ძეწკვი. მე რას შეუვიდოდინ? ამას გარდა, მამასახლისი, იასაულები და მთელი ჯარი გლეხებისა თან ახლდა, მე რა შემი-

ძლო? კი დავემუქრე, გაყურებინებთ თქვენ სეირს, ახლავე ბატონთან გავიქცევი და ის გაჩვენებთ თქვენ, როგორ უნდა მისი მოურავის გაუპატურება მეტქი, მარა შენი რისხვა არ მომეცეს, იმათ ამ ჩემი მუქარის არ შეშინებოდეთ. პირიქით, პრისტავმა მომაყვირა, პრატაკოლს შეგიდგენ და ციმბირში ამოგაყოფინებთ თავსო. ეს კიდევ არაფერი, გული იმან მომიკლა, რომ პეტრე ივანოვიდან გადმომძახა: შენსიმაღლე ტალახში გაუგორდი შენ ბატონთან, შენსიმაღლე პეტრიელა კვესადე, რომელიც ამომადგდეთ შენ და შენმა ბატონმაო“...

— შე ოჯახ დასაქცევო, ტყუოა გიბოძე ყირიმის შაშხანა, თუ ვერ მოიხმარდი? რატომ არ ესროლე იმ ღიპგადმოგდებულ მედუქნეს იმ ძამაძალ პეტრიელას, რომელიც ასე ქურდულად შემომპარვია? წადი, ახლავე დაბრუნდი შინ და მოკალი ის საძაგელი. თუ არ მოგიკლავს, ყოველიფერს წაგართმევ, იცოდე... მოკალი, რავარც მიხვიდე, იმ წამს თოფით შეუნგრე გულმკერდი, თვარა თვალით ნუ დამენახვები. მე ვიცი და მთავრობამ. მე ვიყო პასუხისმგებელი.

— რახან მასეა, ჩემ კისერზე იყოს პეტრ ივანიჩის სისხლი. ეს შიუკა აღარ გინახავს ცოცხალი, თუ ამ დღეებში არ გაგაგონოს მისი სიკვდილი, და თუ მე აწი იქიდან გადმომდენოს ვინმემ, ამასაც დაინახავთ.— მხიარული ხმით გამოემშვიდობა ბატონს შიუკა და გამოვიდა გარეთ.

რევაზი მეტათ გაცხარებული შევარდა თავის მეუღლის ოთახში შემდეგი სიტყვებით: ახლათ ახლავე გუბერნატორთან წავალ, მე ვაყურებინებ მაგ პრისტავს სეირს, ვინცხაა! რევაზ ბაკურიძეს არ სხმია ეს უღვაშები, თუ მე იგი პრისტავი სამსახურადან არ გამოვაგდებე, და ის ღიპიანი მედუქნე პეტრ ივანიჩი სატუსალოში არ გამოვალპობინე!

## XXI

რევაზ გუბერნატორისაგან გულშემოყრილი დაბრუნდა. მას აქამდის ეგონა, თუ გუბერნატორის ბძანებას წინ არა დაუდგებოდა რა, რადგან რწამდა, რომ ის ხელმწიფის მაგიერი კაცი იყო ქვეყნის გამგეთ დანიშნული. მას მოახსენა ყოველივე საქმის გარემოება, მაგრამ, წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება და თავზარდაცემა, როცა გუბერნატორმა გადაჭრით უთხრა, მე არა შემიძლია რაო. სამოსამართლო ნაწილს თავისი კანონები აქვს, რაც იქ გადაწყვეტეს, ისევე იმავე მოსამართლეების განაჩენით უნდა დაირღვესო. მან გამოკითხა დაწვრილებით საქმის გარემოება და რომ შეიტყო, ვაჭარს პეტრ ივანიჩს ჩუმათ მოუხერხებია საჯარო ვაჭრობის დანიშვნაო, ძალიან გაუკვირდა რევაზის გულუბრყვილობა. საჩივრების დანიშვნის დროს თ. რევაზი ერთხელაც არ მიკარებია სასამართლოს, ყველა ვადები დაუკარგავს იმ იმედით, რომ ფიქრობდა, ჩემ ადგილ-მამულს, როგორც ხელმწიფესთან დამსახურებულ თავადიშვილისას ზევით ღმერთის მეტი ვინ შეეხებაო. რევაზის ასეთი მოსაზრება გუბერნატორმა რომ შეიტყო, სიცილი ვედარ შეიკავა, მეგობრულათ ბეჭებზე ხელი დაუტყაპუნა და უთხრა:

— ბატონო რევაზ, ერთობ გამოუცდელიობით მოგსვლიათ ეგ საქმე, რომ ვინლაც გაიძვერა ვაჭრის კლანკებში ჩავარდნილხართო. თუ თქვენ არ იცოდით სასამართლოს წესები, ვეჭილი მაინც უნდა გყოლოდათო.

—სავეჭილო რა მჭირდა, ჩემი მამა-პაპისეული მეფის დავით აღმაშენებლის დროიდან არის ბოძებული. მერე თ. ბაკურიძის გვარიც ხომ თვითონ ადამის წლის მეფეების ჩამომავლობაა, შე დალოცვილო!—სიფიცხით მიუგო გაჯავრებულმა მებატონემ, და მერე კიდევ ჩემმა ქურდმა ყმა, როგორ უნდა გამიბედოს აყრა და განადგურება?...

— ის დრო წავიდა, ჩემო რევაზ, ახლა სულ სხვა დროა, ახლა ჩვენი კანონები მოქმედებენ!—უბასუხა სიცილით გამგემ.

— შენ არ მომიკვდე, ეგ სახუმარო ამბავი არ იყოს და არც სასაცილო! ჩემ მამა-პაპისეულს ვის დავანებებ, თუნდა ორთა ქვეყნის ხელმწიფის შვილი მოვიდეს!—ხელის აწევით განუმეორა რევაზმა, რომელსაც სიწითლე მოერიხ სახეზე და თვალები სიფიცხით აუპრიალდა.

— დიდი იმპერატორი ხელმწიფის ბოძებულიც რომ იყოს ეგ მამული, ვალს მაინც ვერ გაუძღებს, ჩემო რევაზ. ასეთია ხელმწიფის კანონი.—დამშვიდებით უთხრა გამგემ.

— აბა მე ტყულა გამიწირავს ჩემი თავი ხელმწიფის ერთგულებისათვის. შენ არ მოუკვდე ჩემ თავს, მე რომ არ ვყოფილფიყავი და საიდუმლო გზები არ მესწავლებია, ვერც გენერალი პუზირევსკი და ვერც გრიგოლ წერეთელი გურიას ვერ დაიმორჩილებდენ. ეს იმედი მქონდა ჩემი ერთგულების, რომ ბოლოს ვინცა მატრაკვეცა ვაჭარი, და მერე კი—ქურდი პეტრიელა, უნდა შამომბატომოდა სახლში და ჩემი მოურავი გამოეგდო?—ხმა აწევით წამოიძახა რევაზმა.

— თქვენ თქვენი ერთგულებისთვის მაიორობა მოგეცათ ჯილდოთ, ხოლო რაიცა შეეხება სასამართლოს, იმის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ, ყველას თანასწორათ მფარველობს და ზურგს უმაგრებს ჩვენი კანონი.

— თუ ჩემი მამაპაპისეული ადგილ-მამული დამეკარგა, თქვენ არ მომიკვდეთ, მაიორის ჯინჯილებმა ველარ მაცხოვროს, გუბერნატორს არ იამა რევაზას ასეთი ლაპარაკი და უთხრა:

— უკაცრავათ, საქმეები მაჭვს, მეტი აღარ მცალიათ, —გაბრუნდა უცებ და შევიდა თავის სამწერლო ოთახში.

დარჩა რევაზ პირდაღებული. იმან მრისხანეთ მოღუშა წარბები და წამოიძახა:

„უხდელია, მამა ჩემი ნუ წამიწყდება! შენც შეგარცხვინოს ღმერთმა და შენი კანონიც! ამას მოველოდი თქვენგან? ვაი დედაჩემს, მე რომ ეს აღრე არ ვიცოდდი, მაგრამ ახლა რაღა დროს? შენც არ მომიკვდე, მე ჩემ მამულში წუპაკი ვაჭარი არ შეუშვა! ნახაე მის სეირს ამ ორ დღეს და მერე უყარე კაკალი!—წამოიძახა დარისხებით რევაზმა და საჩქაროთ დააგდო დარბაზი.

თ. რევაზი არა ჩვეულებრივათ მიდიოდა ქუჩაზე, ხელების შლით და თან ლაპარაკით.

— ეს შეკადრებოდა ჩემი ერთგულებისათვის? ამას მპირდებოდა ლენერალი პუზირევსკი გაგაბედნიერებო, შენ კარზე ბუხსაც ველარავინ ააფრენსო? ახია ჩვენს თავზე ყველაფერი! მირონცხებულის \*) ლალატი განა ტყულია ჩა-

\*) საკუთარი მეფის.

გვივლიდა? ჩვენი თავად-აზნაურობა მას აქეთ არის ღვთისაგან შეჩვენებული. უნდა დავიღუპოთ, საშველი არ გვაქვს, არ გვეტყობა? რაში არ ვავს? ჯერ ყმები ჩამოგვართვეს, ახლა ადგილ მამულს გვართმევენ ახალი კანონების წყალობით, ბოლოს ჯარის კაცთაც გაგვიყვანენ. მე ღმერთმა იმ დღეს ჩუ მომასწროს, მარა ასე კი იქნება, ვანც მოესწრება. მოდი დღესვე გვეტყინება, დღეს ჩემ ადგილ მამულში უნდა იფარფაშოს ვილაც ღიბინაში ვაქნებამა კუწინამც მას სიკვდილი. — ამ სიტყვებზე მძლავრათ გააქნია რევაზმა მარჯვენა ხელის თითი. — თუ კაცი ვყოფილვარ და ეს უღვაში მსხმია, მე თვითონ დავიცავ ჩემ უფლებას, — ამბყათ გადისვა თავადმა ხელი უღვაშებზე. მთელი გზა თავის სახლამდის სულ ასე გაბოროტებული შლიდა ხელებს და აცმაცუნებდა ტუჩებს, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელნი გაკვირვებით უყურებდენ რევაზის საქციელს. ზოგი კითხულობდა, რას გაუცხარებია ასე რევაზიო, ზოგი თავს აქნევდა და გულში ფიქრობდა, ვაი თუ თავად რევაზს კოლინჯის ქარები აუტყდაო, ზოგიც ამბობდა რევაზ გაგიჟებულაო.

შინ რომ მოვიდა, მას გამოეგება ანასტასია და შეიცხადა რევაზის ასეთი არაჩვეულებრივი მდგომარეობა.

— რა დაგმართნიათ, ბატონო? გუბერნატორს ხომ არ წაკიდებიხართ? — ცნობის მოყვარეობით შეეკითხა მეუღლე.

— ნულარ მელაპარაკები. ყელში სისხლი მომდის. — დაიწყო რევაზმა.

— რაო, რა პასუხი მოგცა? — განუქეორა ანასტასიამ.

— რაო და ჩემი საქმე არ არისო.

— აბა ვისი საქმეა? უი, ბეჩა მომიკვდა მისი გამოჩერჩეტებული თავი. ეგ გუბერნატორი კი არა, უბრალო მასხარა კაცი ყოფილა. მარტო ჩემ ქალს ემასხრება, მეტი არაფერი გამოდის მაგისაგან. რაეა იქნება, გამგე და მაგის-თანა ლაზლანდარა? სულ ბავშობას თამაშობს. აბა, რაო? მაგისი აზრით ვინცხა ვაქარს, და მერე კიდევ ჩვენს ნამოჯალაბარ პეტრიკლას უნდა დავაფლობიოთ ადგილ-მამული! უი, ბეჩა, მანამდის არა ქამარა!

— მე ვაჩვენებ იმ გაბენძლილს, როგორც უნდა ჩემი სახლ-კარის დაფლობა, — წამოიძახა რიხიანათ რევაზმა და დაღალულობით მოსხლეტილი ჩავარდა დივანში.

იმ დღეს რევაზს არა უქამია რა ჯავრისაგან. ანასტასია მეტათ შეშინებული ფარვანასავით დატრიალებდა თავს. საღამოს რევაზ ჩაწვა ლოგინში, სიცხე მისცა და ბოდვა დააწყებინა. სულ ასე იძახოდა:

მოჰკალი, შიუკა, ეგ გაბენძლილი, როგორ გაბედა მაგან ჩვენ სახლში შამოსვლა? გაავდე ეზოდან, ძალღები მიუსიე მაგ გაბენძლილს, მაგასო!..

ანასტასიას ახალ-ახალი ქარხლის ცივი ფოთლები მოჰქონდა და აფარებდა თავზე.

გულქანმა, როგორც კი შეიტყო მამის ავთამყოფობა, მაშინვე შევიდა მასთან, დაუჯდა წინ და ხელებს უსვამდა გულზე. რევაზმა გაახილა თვალები და მისგან განაწყენებული ქალი რომ დაინახა, როგორც ყმაწვილს, ისე მოუწილიქა ენა, თითქოს სამი წლის გოგონასთან ქონდეს საქმე.

— ოჰ, გვრიტო, შენ ხარ? ჩემი გვრიტი, ჩემი! მომისვი, გენაცვალე, გულზე შენი პაწია ხელები მიამება, შენ ხომ პაწია გოგონა ხარ? მაკოცე, შუბლზე მაკოცე, გამიგრილდება... — ეუბნებოდა ალერსით რევაზ თავის ქალს, რომელიც ხმაამოუღებლათ უსრულებდა ძამას რასაც ის დაასაქმებდა.

მეორე დღეს რევაზ წამოდგა საწოლიდან, მაგრამ უწინდელ გუნებაზე მაინც აღარ იყო. მან დაიწყო ჯავრობა ყოველათ უმეტესად ქანასტასიას დაუწუნებდა განკარგულებას, ხან გულქანს მივარდებოდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა სარდიონს, არც ახალმოდის სასწავლებელში გამოზდილ ქალებს აკლებდა ლანძღვას! გულქან ყოველსავე ამას თავის თავზე იღებდა, გული მოდიოდა და თან-და-თან უფრო და უფრო შეძულდა თავის მამის ოჯახი. ბოლოს მოხუცებული მამის უსამართლო ტუქსვამ და ჯავრიანობამ გულქან მოთმინებიდან გამოიყვანა. იმან გადაწყვიტა, დედ-მამას საუკუნოთ გაცლოდა.

## XXII

მას აქეთ, რაც რევაზ ბაკურიძეს უკანასკნელათ წვეულება ჰქონდა, მის ოჯახში სარდიონს ფეხი აღარ დაუდგამს, მაგრამ იმან იცოდა ყოველიფერი, რაც ამბავი გულქანს მისი დედ-მამისაგან გადაწყვეტოდა; მან გამართა გულქანთან განუწყვეტელი მიწერ-მოწერა და წერილებში უცხადებდა გულქანს თავის ტანჯვებს და სულის კვეთებას, აბრალებდა თავს, მწვაფი სიტყვებით აგებინებდა, რომ მოტაცების მეტი სხვა ღონე არა იყო რა იმათი საუკუნოთ შეერთებისა. წერილები რომ გულ-და-გულ მისვლოდა გულქანს, იმან მოიყიდა მისი მოსამსახურე გოგო, მასია. გულქანი მეტათ წუხდა სარდიონის ტანჯვას, ებრალებოდა შეყვარებული და ბოლოს, რათიცი იქნა გადაქრა დროებით გაქცევა დედ-მამის ოჯახიდან. იმას იმედი ჰქონდა, რომ დედ-მამა ერთათ ერთ საყვარელ შვილს არ მოიძულებდა და ბოლოს, მეტი რა ღონე ჰქონდათ, უნდა შერიგებოდნენ და მისი ქმარი თავის საყვარელ სიძეთ ეცნოთ. მართალია, გულქანი, სანამ სარდიონის გაყოლას გადაწყვეტდა, დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დედ-მამის ჯიუტობამ და მათ მიერ სარდიონის მუდამ ცუდათ ხსენებამ მოთმინება დაუკარგეს შეყვარებულ ქალს და გააბედვინა მას დრო დაენიშნა და სიტყვა მიეცა სარდიონისთვის. გულქან მით უფრო იჩქარიდა ამ საქმეზე, რომ შეიტყო, მისი დედ-მამა გუბერნატორის მეუღლის შუამავლობით ცდილობდა, რამე ნაირათ, მოეხერხებინათ მისი და გრაფ ლიზობლიუდოვის ჯვარის წერა ამისთანა ვერაგობამ ერთი მხრით თვალის დასანახავათაც კი შეაძულა. გულქანს გრაფ ლიზობლიუდოვი და მეორე მხრით დედ-მამაზედაც უფრო გაუგრილდა გული. ამ ბოლო დროს მაინც მამა მისის მუდამ უსამართლო საყვედურმა სულ მოუწამლა გულქანს სიცოცხლე.

დადგა შაბათ საღამო. ეს იყო შეყვარებულებისაგან დანიშნული გაქცევის დრო. რევაზის სახლში ყოველ შაბათობით იკრიფებოდნენ დარბაისელ ნაცნობები და მეგობრები, ქალები ლოტოს თამაშს შეექცეოდნენ, კაცები კი ქალაღდის თამაშს ჩაუჯდებოდნენ ხოლმე. ამ შაბათს მაინც ჩვეულებრივზე მეტი სტუმრები მოგროვდნენ; დიდი ხანი იყო, რომ გულქანი ასე მხიარულათ აღა-

რავის უნახავს, როგორც ამ საღამოს; თუმცა სახეზე რაღაც მღელვარება ეტყობოდა, მაგრამ ცდილობდა უდარდელი სახე ეჩვენებინა ყველასთვის. ამ საღამოს თვითონ იმან მოიწვია ქალები ლოტოს სათამაშოთ და ხან ერთ ქალს ცინებდა ლოტოს ციფრების ამოკითხვას, ხან მეორეს, იყო ერთი სიცილი და კასკასი. ანასტასია მეტათ გამხიარულდა, რაკი დარწმუნდა, რომ გულქანს, ისევ უწინდელი უდარდელობა დაუბრუნდა. დედა იმდენათ <sup>გულქანს</sup> <sup>დაუბრუნდა</sup>, რომ გრაფ ლიზობლიუდოვის სახელიც გაუუუბრა, როგორც ხასნიშოსი. ლოტოში მოთამაშე ქალებმა რაკი საგანი იშოვეს ოხუნჯობისა, მათ ზმნით ლაპარაკს საზღვარი აღარ ჰქონდა. ხან რა უთხრეს გულქანს გრაფ ლიზობლიუდოვის თაობაზე და ხან რა: იმათში ერია ერთი გულქანის ამხანაგაც, რომელმაც მოაგონა გულქანს პირველი მისი გატაცება გრაფ ლიზობლიუდოვის მიერ და დაუწყო გაღიზიანება.

— ჰო, და, ქალო, შენ მაშინვე გეტყობოდა!.. აი, იმ ღამეს, როცა საქალებო სასწავლებელში შენ გრაფ ლიზობლიუდოვმა დამათ აგირჩია, მერე კანფეტებიც გიყიდა და ციფი ტკბილეულობაც გაქამა. მე იმავე წამს მივხადი, რომ ის შენ ადრე თუ გვიან მოგიგრეხდა კისერს და თავის გულზე მიგაბამდა. ჰაი, შე ეშმაკო, შენ! რაც შენ მაშინ მას ეკეკლუცებოდი, იმდენს კაი გამოცდილი ქალიც ვერ მოახერხებდა!

— დიახაც?— სიცილით უპასუხა გულქანმა.— აჰა შენ რა გეგონა? მოვეწონე და კიდევ მოვეუგრიხე კისერი! ქალო! მე მოუგრიხე კისერი და არა იმან, შენ კი რას ამბობ?— შენ შამოგველოს შენი დედის თავი, ჩემო თავისნება ქალო! ბოლოს მაინც ხომ მოხვედი ტკუაზე!— აღტაცებული მოუაღერსა ანასტასიამ, რომელიც ახლა სრულიად დარწმუნდა, რომ გრაფ ლიზობლიუდოვი, მისი დიდი ხნის სიძეთ ნანატრი, დღეს თუ ხვალ საუკუნოთ დამკვიდრდებოდა ბაკურიძის ოჯახში.

— ჩემი გულქანის საქმრო მთელი აქაური აფიცრობის თვალია. ვენაცვალე ჩემს გოგოს, რომ ჩვენ ოჯახში იმისთანა სანაქებო სიძე შამოჰყავს!

— ოლონდაც, ოლონდაც!— დაადასტურეს ქალებმა.

ასე ამგვარ ხუმრობაში და მითქმა მოთქმაში გავიდა კარგა ძალი დრო. ქალები გახურდენ ლოტოს თამაშში; ანასტასია მაინც ამ საღამოს თავდავიწყებამდის ჩაღრმავდა ლოტოში, რადგან საფიქრებელი აღარა ჰქონდა რა, რაკი მისმა ქალმა ასე სასიამოვნოთ შესცვალა თავისი გრძნობები.

ათი საათი შესრულდა, როცა გულქანი ადგა და თავი დაანება ლოტოს თამაშობას ამ სიტყვებით: დავილაღე, ცოტა მინდა გავიარ-გამოვიარო. ქალო, ჩემ მაგივრათ შენ ითამაშე.— მიუბრუნდა ის თავის ნაამხანაგარს.

— გულქან, გესაცვალოს დედა შენი, ბარემც უთხარი მოსამსახურეს, ხმელი ხილი მოგვიტანოს.

— კი, დედა, ახლავე შამოვატანიებ.— ის გაემართა საღარო ოთახისკენ. იქ მოსამსახურეები ხმელ ხილს და ტკბილ სასწილეებს ამზადებდენ სტუმრებისათვის!

— რას უყურებთ, ჩქარა შეიტანეთ, დაგვიანდა! — გადუსროლა სიტყვა მოსამსახურეებს გულქანმა.

— ახლავე, ბატონო! მიაძახა უფროსმა ქალიამ.

ქალი მივიდ-მოვიდა ოთახში, აიღო ერთი მუჭა ხმელი ხილი, ~~მკრა~~ გოგოს ჯლიქვი და გავიდა სალარო ოთახიდან უკანა აივანზე, საიდანაც უნდა შესულიყო თავის საპირფარეშო ოთახში. იქ იმან მოავლო უცებ ~~ხელს~~ ~~თავის~~ ქირმანის შალს და მოიხურა, მერე გაშალა ფუთა, საჩქაროთ ჩააწყო წინდაწინ და მზადებული თავისი ნივთები, ტანისამოსი და რამოდენიმე წყვილი საცვალი. ამ დროს გოგოც შამოვიდა.

— აბა, მასია, გადიხედე ბალკონიდან, ფაეტონი არის თუ არა ქუჩაზე. — ჯერ გოგო გარეთ არ გასულიყო, რომ ფანჯარას მოხვდა ერთი კენჭი. გულქან შეკრთა, მაგრამ მაშინვე მოიკრიფა ღონე და დარწმუნდა, კენჭი უსათუოდ სარდიონის ნასოლიაო. ამ დროს მოსამსახურე გოგომ შამობრუნდა ოთახში.

— კი, ბატონო, გადახურული ეტლი დგას ქიშკარის გვერდით და ერთი ნაბად წამოსხმული კაცი იქვე იცდის.

ღამე იყო უმთვარო, ბნელი, სქლათ მოღრუბლული და ცოტას კიდევ წინწკლავდა. გულქანმა გამოიხედა გარეთ და რომ დაინახა კუკუბეთი ღამე, შედგა, ტანში გააერუოლა და თქვა გუნებაში:

— სად მივდივარ, რომ მივდივარ, ვის მივყვები, ჩემ საყვარელ დედ-მამას ასე როგორ უნდა ვუღალატო?

ქალმა დაიწყო კვლავ ყოყმანი. ამ დროს ფანჯარას მოხვდა მეორე კენჭი და შუშა გატეხა. ამ გარენოებამ თითქოს გამოაფხიხლა ქალი. ის გიჟივით დაეტაკა დედ-მამის სურათს, დაუწყო მათ სულშეგუბებული კოცნა და გულში ჩახუტება.

„არა, მე თქვენ ვერ დაგტოვებთ ამ უბედურ ოჯახში, თან უნდა წაგიტანოთ. თქვენ უნდა იყოთ ჩემი დარაჯი ყოველ გაქირვებაში“. მერე მივარდა ღვთისმშობლის ხატს და შეევედრა გულმხურვალეთ: „ღვთისმშობელო დედაო, შენ გამიწიე მფარველობა. ჩემ დედ-მამას ნუ შემიწუხებ ამ ჩემი წინააღმდეგობით და ისევ ბედნიერათ დამაბრუნე ჩემ საყვარელ ოჯახში“.

— თუ მიბძანდები — მალე ქენი, თვარა ვინმე გეიგებს. — შენიშნა მასიამ, რომელსაც თვითონ კიდევ უფრო ეშინოდა ამ საქმის. გოგო თან-და-თან უფრო ღელავდა და განზრახ პირი ჰქონდა მოკუმული, თითქოს ეშინოდა, მის უნებურათ არ დაეძახა, რაც ამბავი უნდა მომხდარიყო ამ წუთას.

— აბა, მოკიდდე ჩქარა ამ ფუთას ხელი და ჩაიტანე კიბეზე. — გოგომ მოავლო ხელი ფუთას და უცებ გაქრა ღამეში. მერე ისევ ამოირბინა კიბეზე და უჩურჩულა გულქანს:

— ბატონიშვილო, ჩქარა წაბძანდი, თვარა დევიღუბეთ! მგონია, შეგვიტყვეს. ქიშკართან რომ ფუთა გადავეცი სარდიონს, მეორე გვერდით ბალკონზე ვინცხა სტუმარი გამოჩდა და სულ ჩემკენ იყურებოდა. არიქა! ჩქარა, ბატონიშვილო, ჩქარა!



გულქანმა დაიწერა პირჯვარი, დედ-მამის ნახატი გულში ჩაიდვა, ემთხვია ღვთისმშობლის ხატს და ჩაირბინა კიბეზე. ჭიშკართან რომ მივიდა, სარდიონმა უცებ მოხვია ხელები, ბავშსავით აიყვანა, მიიკრა გულზე, ჩავარდა თავის ძვირფას საუნჯიან ეტლში და უბრძანა „გასწი“-ო.

ამ დროს კუკუმენ ლამეში მოისმა თან-და-თან გაშორებული ეტლის რიხინი. იმან სამჯერ, ოთხჯერ მიუხვ-მოუხვია ქუთაისის ქუჩებში და ნებუნა ქალაქ გარეთ, სადაც იწყებოდა ერთი აღმართი. შუამდის რომ მივიდა გორაზე, ცხენებმა დაიწყეს ოჩნობა და ველარ გაწიეს ეტლი. სარდიონ უცბათ ჩამოსტა ეტლიდან, მოხვია ხელი გულქანს და ციმციმ გადმოიყვანა, მასთან გადმოიღო შეკრული ფუთაც, გაისტუმრა ეტლი და ორი შეყვარებული შეუდგენ მათიან გზას ქვეითათ.

— შენ შამოგველოს, გულქან, ჩემი თავი, გამხნევდი, მარტო ეს აღმართი ვვაქვს ასავლელი, მერე ვაკეა და აღარა გვიჭირს რა. იმ გორაზე ერთ ტყიან ალაგას ჩემი ნათლი მამას სახლია. ხორცშესხმული კაცი ვერ მოგვაგნებს, რამდენი ხანიც უნდა დავრჩეთ იქ.

— სარდიონ, მეშინია, მუხლები მეკეცება, ვაი თუ ველარ ვიარო, კალოშები არ წამომიღია და ტალახი მამძიმებს.

— არაფერია, გენაცვალე, მალე მივალთ. ისეთი მორთული პატარა ოთახი მაქვს შენთვის, რომ წმინდა სამოთხე იქნება.

ისინი მიდიოდენ ერთ ხანს ხმაამოუღებლათ, წვიმამ უფრო და უფრო უმატა. რადგან შემოდგომის დღეები იყო, ცოტა კიდეც ცივოდა. სათუთათ გაზდილ გულქანს ჯერ ამისთანა გაჭირვება არ გამოეცადა. ამას თან კუკუმეთი ლამის ეშინოდა, თან წვიმა სცემდა თავ-კისერში და ქირმანის შალში ატანდა. ქალს მალე შეცივდა და ხელები დაეკრუნჩხა. ჯერ იყო და შინაგანმა მღელვარებამ მეტათ შეიპყრო იგი, მერე წვიმამ დაასველა, გზაც ისე ატალახდა, რომ გულქანი ძლივს აძრობდა ფეხებს ტალახიდან! ყოველსავე ამ მწუხარებას გამოუტყდელმა ახალგაზდა ქალმა ველარ გაუძლო და მორთო ტირილი, თანაც იძახოდა:

— ვაი, დედიკო, შენი ჭირიმე, ეს რა მომივიდა, როგორ გავბედე ამისთანა საქმე? სირცხვილისაგან თავი სადღა გამოვეყო, ვისან მივდივარ?!...

— შენ ერთგულ სარდიონთან, შენ გენაცვალე.—დაატანა ვაჟმა. რა გიჭირს, ხის წვერზე დაგარჩენ, შენი ჭირიმე! ნუ ტირი, გენაცვალე! შორს აღარ ვართ.—იმან მოხვია ხელი გულქანს და ცხელ ტუჩებში ჩაკოცნა.

— არ მინდა, არ მინდა, სარდიონ ნუ იქმ მაგას. ჯერ ჩვენ ჯვარი არ დაგვიწერია.

— რა ვუყოთ, გენაცვალე, აწი ხომ ჩემი ხარ. სიკვდილ-სიცოცხლით შენ თავს მე ველარავის დავანებებ და სულ ერთი არ არის? გინდ დღეს, გინდ ხვალ, ჩვენ ამიერიდან ჯვარ-დაწერილებსავით ვართ შეუღლებული.

— არა, არა, ჯერ არა! მე ჯერ შენი არა ვარ, სანამ ჯვარს არ დავიწერთ. ნუ მკოცნი, სარდიონ, ნუ!.. — ემუდარებოდა ტირილით გულქანი, მაგრამ სარდიონს ვაკითხვა აღარ ჰქონდა. ის გულქანის სიტყვებს ყურს არ უგდებდა,

თუმცა ქალი სიცივისაგან დაკრუნჩხულ ხელებით პირის სახეს იფარავდა სარდიონის ტუჩებისაგან.

დიდ გაჭირვების შემდეგ, რითაც იქნა, შიატანეს ბოლოს სარდიონის ნათლიმამასთან, რომელიც, როგორც ჩანდა ყოველ წამში ელოდა ძვირფას სტუმრებს. როგორც კი მოისმა ქიშკრის კრიალი, იმ წამსვე სახლის კარები გაიღო და გამოანათეს ლამპარი.

— არიქა, ფუთა გამომართვით, ქალს გული უწუხდება, — დაიძახა სარდიონმა. მაშინვე გამოვარდა სახლიდან ერთი კაცი, რომელსაც სარდიონმა მიანება ფუთა, თვითონ აიყვანა ხელში მეტათ დასუსტებული გულქანი და შეიყვანა მომზადებულ ოთახში, სადაც წმინდა ქვეშაგები იყო გაშლილი, და დასვა ანთებულ ბუხრის წინ სავარძელში.

— ვაიმე, დედიკო, სად ხარ! — ამოიძახა გულქანმა და მართლაც გული შეუწუხდა.

მაშინვე მიესიენ სახლის პატრონის ქალები, დაუწყეს ფერობა და პალტოკაბის გახსნა. საცოდავ ქალს თავიდან ფეხებამდის წყალი ჩადიოდა. კაცები გავიდნენ მეორე ოთახში, იმათ თან გაჰყვა სარდიონიც, რადგან ქალებს უნდოდათ გულქანისათვის ტანისამოსი გაეხადნათ, საცვალი გამოეცვალათ და მშრალი ჩაეწვინათ მომზადებულ ქვეშაგებში.

სანამდის ამას მოუხერხებდნენ გულქანს, იმას თვალი არ გაუხელია. როცა ჩააწვინეს ქვეშაგებში და საბანი დაახურეს, გულქანმა მხოლოდ მაშინ გააქყიტა თვალები, მიმოიხედა, ყველაფერი ეუცხოა და წამოიძახა:

— აქ სად ვარ?

დიასახლისი თავით უჯდა სავარძელში და თანაგრძნობით შეჰყურებდა შინაგანი მღელვარებით და დაღალულობით მოქანცულს შვენიერ ახალგაზდა ქალს.

— შენ ოჯახში ხარ, გენაცვალე, შენ სარდიონთან. ჩვენ ყველა გახარებული ვართ შენი აქ მოსვლით. სარდიონის საცოლოს ჩვენ ყველა თავს შემოვევლებით და არაფერს გაგიჭირვებთ.

გულქანმა გაკვირვების ნიშნით თვალები დაქყიტა და იყო ასე ერთ ხანს ხმაამოუღებლათ. ბოლოს შეჰქნა ლოგინში ქვითინი. სარდიონს მოესმა თუ არა მისი ტირილი, მაშინვე შემოაღო კარები, მაგრამ დიასახლისმა არ შემოუშვა.

— სარდიონ, ახლა ნუ ეჩვენები, ქალი ძალიან აღელვებული და დაქანცულია. მაგას ახლა მოსვენება უნდა. როცა დაიძინებს, მერე შეგიძლია ნახო. ურჩია დიასახლისმა. სარდიონი ისევ გატრიალდა მეორე ოთახში. გულქან კარგა ხანს ტიროდა და ბოლოს ღრმით ჩაეძინა.

იმ დროს, როცა სარდიონმა გულქანი მოიტაცა, რევანის ოჯახში ყველანი თამაშში იყვნენ ვართული და მერე ხილსა და სასმელებს შეჰყვენ.

— გულქანმა სამჯერ წაიგო ლოტოში, — წამოიწყო მისმა ნაამბანაგარმა. — მის მაგიერათ მე რათ გადავიხდი, მე მარტო მის მაგიერათ ვთამაშობდი. გულქან! — დაუძახა მან. მხოლოდ ახლა მოაგონდათ ყველას გულქანი, მაგრამ აღარ-

სად ჩანდა. ანასტასია წამოვარდა და გავიდა მეორე ოთახში შემდეგი სიტყვებით:—სად არის ეს ბავში ამდენ ხანს? ცოტა ხნის იქით ისევ შემოვარდა და მიაშურა რევაზს გაშფოთებული.

— ბატონო, ბავში არსად ჩანს.

— სად არის?—შეეკითხა რევაზ.—ალბათ დაღალული იქნება და თავის ოთახში მოისვენებდა.—ის წამოდგა და გაეშურა გულქანის ოთახისაკენ.

— არა, ტყუილა მიდიხარ; ვიყავი, მარა არ არის.

— გულქან, გულქან!—შეიქნა ძახილი სტუმრებში, მაგრამ ქალი არსად იყო. მოსამსახურეები აშფოთდნენ, დაიწყეს აქეთ-იქით რბენა. დაუძახეს მასია გოგოს, მაგრამ ვერც იმისაგან შეიტყვეს ვერაფერი. შიშით სახეზე გაფითრებული გოგო მარტო ერთ სიტყვას იმეორებდა:

— „რა ვიცი ბატონო“-ვო.

— შენ არ იყავი, რომ სალაროში შემობძანდა ბატონიშვილი და გაგიხმო თავის ოთახში?—წაუდგა პირში ერთი მოსამსახურე.

— ბატონიშვილმა წყალი მომთხოვა დასალევად და მივართვი. ის თავის ოთახში ბძანდებოდა და მერე სად წავიდა, რა ვიცი?—იცრუა მასიამ.

— მონახეთ სადმე, როგორ იქნება?—შეწუხებული ხმით წამოიძახა რევაზმა.

ბევრი ეძებეს გოგო-ბიჭებმა ყოველგან, მეზობლებშიაც მოიკითხეს, მაგრამ ვერა შეიტყვეს რა. მათ თან დადევდა გულ-გახეთქილი ანასტასია, რომელიც ხშირ-ხშირათ ჯდებდა: შვილო გულქან, შვილო გულქანო. მაგრამ ქალი ზეცამ ჩაყლაპა თუ დედა-მიწამ— აღარავინ იცოდა.

ბოლოს რევაზმა გამხეცვებული ხმით დაიღრიალა:

— უსათუოთ სარდიონ ენუქიძემ გამიყარა დანა ყელში. ტყუილათ კი არ გეუბნებოდით, ქალო,—მივარდა ანასტასიას,—ბავშვზე თვალ-ყური გეჭიროს მეთქი. ახლა რაღა ვქნათ? ხომ გაგვიფოლოროცდა ოჯახი!

— ამ წუთში აქ იყო და სად წავიდოდა? მეზობლებში იქნება სადმე.—უიმედოთ წამოიკრინა ანასტასიამ, რომელიც თავის თავს აღარ უჯეროდა, რადგან ვარეთ ამ დროს წვიმამ დაასხა და ცაერთ ჩამოდიოდა.

— მოვიკითხეთ, ბატონო, მეზობლებში და არსად ბძანდება.—თქვა ერთმა მოსამსახურემ.

სტუმრებში შეიქნა არეულობა და მწუხარება. ახალგაზდა ქალებმა ერთმანეთს ეშმაკურათ დაუწყეს ყურება და პირი ეღიმებოდათ. ბოლოს სტუმრებს უნდოდათ შეწუხებული დედ-მამისთვის თავი მოერიდებინათ და მოითხოვეს ეტლები შინ წასასვლელათ. რევაზ დაკოდილ დათვივით ღრიალებდა. ანასტასიამ გაიპოტნა სიმწარისაგან გულ-მკერდი.

— უი, შვილო, შენი დედმამის მოსწრებას, ეს რა დღე დაგვიყენე, შენ შამოგველოს შენი დედის თავიო!—იცემდა მჯილებს მკერდში და ხმამალლა მოთქვამდა. ბოლოს ცოლ-ქმარმა შოაყვანინეს ეტლი და გაემართენ თერთმეტ საათზე გუბერნატორთან, რომ ეცნობინებინათ მისთვის ეს ამბავი და მთელი პოლიცია ფეხზე დაეყენებიათ.



ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. მთელი ერთი კვირა ამაზე ლაპარაკობდნენ. ვინ რა თქვა, ვინ რა! მთელი პოლიცია სამი დღე ეძებდა, მაგრამ მოტაცებული ქალის ასავალ-დასავალიც ვერავინ გაიგო.

რევაზ და ანასტასია გულმოკლულები დაბრუნდნენ ნაშუაღმდეგის პირველ საათზე გუბერნატორის სახლიდან.

— ბიჭო, შინელი მომხადეო! — დაიძახა რევაზმა და წაუძვრა თუ არა წინ. სამი ნაბიჯი, ჯერ ბიჭიც არ მიშველებოდა, ისე დაბარბაცდა, ხელები ახირებულათ აატორტმანა და იქვე, ანასტასია რომ არ მიშველებოდა, ხალიჩაზე გაადუნდა ეღერთას.

— უიმე, ჩემო ხელმწიფე, რა დაგემართა? — შეაყვირა გამწარებით ანასტასიამ და მიიყრდნო ქმარი გულზე.

— რაცხამ ცალი ფეხი და ცალი მკლავი გამიცევა. — წამოიღულულულა რევაზმა. ეჭვი აღარ იყო, რომ რევაზს დამბლამ დაჰკრა. ბოლოს მოსამსახურეც მიეშველა ქალბატონს და ორივემ ერთათ შეიტანეს რევაზ საწოლ ოთახში.

### XXIII

გუბერნატორი მართლაც თავისი უფლებებით ძალიან შეეწია თ. დავაქველადეს, რომელიც ლუბერნიის მარშლობაზე იყრიდა კენჭს. მაზრის გამგეებს დაევალიათ ყოველი თავისი გავლენა ეხმარათ, რომ, რაც შეიძლება, თავადაზნაურობაში ბევრი შეკენჭეები ეშოვნათ დავაქველადის სასარგებლოთ. ნიკო რუსეთუმე ძალიან თავ-გამოდებულათ იბრძოდა თ. დავაქველადის წინააღმდეგ, მაგრამ ვერა გაარჩია რა. კენჭის ყრაში გამარჯვებული მაინც თ. დავაქველადე გამოვიდა. მაგიერათ ნიკო რუსეთუმემ თავის მომხრეებიანა გავზავნეს უმაღლეს მთავრობასთან საჩივარი, რომელშიაც ამტკიცებდნენ, ვითომც გუბერნატორს ძალმომრეობა ეხმაროს და თავადაზნაურობის კენჭის ყრაში უსამართლოთ, გარჯილიყოს. ამ გარემოებას უმაღლეს მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია, მით უმეტესათ, რომ გუბერნატორს ბრალდებოდა ახალი სასამართლოს წინააღმდეგობაც. თვით პროკურორისაგან იყო მოხსენებული, რომ ადმინისტრაცია იმის მაგიერათ, რომ ახალი სამართლის წარმოებას ჯეროვან დახმარებას უწევდეს, თვითონ ერევა სისხლის სამართლის საქმეებში და დამნაშავეთა ხელს აფარებს. ყოველივე ამა მიზეზების გამო უმაღლესმა მთავრობამ საჭიროთ დაინახა რევიზია მოეხდინა ადმინისტრაციასთვის და გამოგზავნა ერთი თავისი წევრთაგანი.

ქუთაისში გავარდა ხმა, რუსეთუმეს და მის მომხრეებს უმაღლეს მთავრობასთან არზა გაუგზავნიათო და მთავრობასაც რევიზია დაუნიშნავსო. ამ გარემოებამ რუსეთუმეს უფრო მოუმატა გავლენა წვრილფეხა თავადაზნაურობაში, რომელიც ახლა შეძლებულ თავადაზნაურობის მოსისხლე მტერი შეიქნა. ყოველივე ეს გარემოება თვით გუბერნატორმა კარგათ იცოდა, აგრეთვე ისიც შეიტყო, თუ ვინ უნდა გამოეგზავნათ რევიზორათ. წინდაწინვე იცოდა, რომ ასეთი რევიზია საკუთრათ მას არაფერს სანუგეშოს არ მოუტანდა, კიდევ ძალიან ეშინოდა მისი. ამის გამო ის, როგორც გამოცდილი მოხელე და ინტრიგებში

დახლოვნებული კაცი ეძებდა ყოველსავე შემთხვევას, რაც კი მისთვის გამოსადეგი იქნებოდა, რომ მორევიზიე მოხელის გული მოეგო.

იმან შეიტყო, რომ ის მოხელე ერთი იმ არსებათაგანი იყო, რომელიც ფრიად ენუკვოდა კავკასიელ ქალის შვენიერებას და თუ სადმე დაიგულებდა ასეთს რასმე ძართლაც და სანუკვარს, იქ იყო მისი სული დაბნეული. ამის გამო ცდილობდა, ისეთი ვინმე ეშოვნა, რომ მისი ნურბუნძის სასტიკი გამომძიებელი მისი მოქმედებისა თავისკენ მიემხრო. ამ შემთხვევაში გულქანზე უკეთესს შუამავალს ვერავის მოისაზრებდა, მაგრამ ძალიანაც ეფიქრებოდა, ვაი თუ ეს თავის ნება ქალწული არ მიჰყვეს ჩემ გულის წადილსო.

იმას თავხარი ეცემოდა, როცა წარმოიდგენდა სასტიკს რევიზორს, რომელიც ქორივით უნდა დაცემოდა თავზე, განსაკუთრებით, მის საანგარიშო საქმეებს. სხვა გარეშე საქმეების არ ეშინოდა, რადგან ადვილათ შეეძლო თავის გამართლება, მხოლოდ საანგარიშო საქმეების უწყისო მართვაში და ანგარიშების არეგ-დარევაში იყო მისი განკითხვის დღე მოსალოდნელი.

იმ დროებში უმაღლესმა მთავრობამ ინება შავი ზღვის პირის ქ. ფოთიდან მოკიდებული ქუთაისამდე რკინის გზის გაყვანა და რადგან დიდ ხარჯს ერიდებოდა, გადაწყვიტა მთელი მიწის მუშაობა სამხედრო ჯარის კაცებს აესრულებინა. ეს მუშაობა ოთხ მილიონათ იყო დაფასებული და ამ ფულის ხარჯვა გუბერნატორს ჰქონდა მინდობილი. მოხელემ იფიქრა, ჯარის კაცებს ნახევრობით უფულოთაც ვამუშავებო და ამ ფულს ისე უყურებდა, როგორც თავის საკუთრებას. გავიდა ორი-სამი წელიწადი და რკინის გზის საფენი ჯერ ნახევარ მანძილზედაც არ იყო მზათ. უმაღლეს მთავრობას კი ვადა დაედვა გუბერნატორისთვის, რომ ყოველგვარი მიწის მუშაობა რკინის გზის გასაგებათ ორი წლის განმავლობაში უნდა ასრულებულიყო. მან დიდი მოხსენება გაგზავნა უმაღლეს მთავრობასთან, რომელშიაც დაწერილებით აწერილი იყო ბუნების მძვინვარება, სასტიკი ზამთრები, წყალდიდობა, ზვავების ჩამოწოლა, დიდი წვიმიანობა, რომელსაც არა ერთი გზა ჩაელუპა და წაელეკა, რაც ნაკეთები იყო და ამის გამო ის ოთხი მილიონი ყუყზე იყო მიყენებული. გამგე ითხოვდა დამატებით ხარჯებს რკინის გზის მიწის საფენის შესაზვინავათ.

გუბერნატორს ცხოვრებაში ყველაზე უფრო მომგებიან საქმეთ მიაჩნდა ხაზინის ზანდუკის გვერდით მიჯდომა. ალბათ, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, როცა ახალ ხარჯებს ითხოვდა რკინის გზის საფენის გასათავებლათ, მაგრამ მთავრობამ მის ჰკუიან მოსაზრებას იქვის თვალთ შეხედა და ამისათვის უფრო გადაწყვიტა რევიზორის გაგზავნა. თუმცა იგი ძალიან გულბაგრობდა და სხვების დასანახავათ არაფრათ აგდებდა რევიზორის მოსვლას, მაგრამ გული კი მაინც ცუდათ უტოკავდა და ემზადებოდა ფიანდაზის გაშლას ახალი სტუმრისათვის.

მის ოთახებში დიდი მზადება დაიწყეს უმაღლესი სახელმწიფო მოხელის მისაღებათ. ის იყო, იმ კვირეში მოვლოდენ რევიზორს, როცა წინა ღამეს გულგახეთქილი რევაზ ბაკურიძე და მისი მეუღლე ანასტასია შევარდენ მათთან და თხოვეს: გვიშველეთ, ქალი მოგვტაცესო. თუმცა გუბერნატორმა ძალიან მწუხა-

რე და თანამგრძობი სახე აჩვენა სულით დატანჯულს ცოლ-ქმარს, მაგრამ გულში კი დიდათ ესიამოვნა ეს ამბავი. მაშინვე ფიცხი განკარგულებით მოახდინა, იქვე დაიბარა პოლიცემისტერი და რევაზისა და ანასტასიას სანუგეშოთ უბანა: „ახლათ ახლავე შეუდექი ძებნას და თუ ხვალ ამ დრომდის არ გიპოვნია მოტაცებული, სამსახურს თავი უნდა დაანებოვო“. პოლიცემისტერი მისწიწებით თავი დაუკრა და გაეძარტა გულქანის საძებრათ. გუბერნატორი მიუბრუნდა რევაზს და მის მეუღლეს:

— ნუ გეშინიათ, ხვალ შუადღემდის თქვენი ქალი შინ გეყოლებათო. — მერე დერეფნამდის გაშოყვა მათ, ერთხელ კიდევ მეგობრულათ გამოეთხოვა და გაისტუმრა შინ შეწუხებული ცოლ-ქმარი.

როდესაც გუბერნატორი თავის დარბაზში შამობრუნდა, მზიარულებით ცალ ქუსლზე შემოტრიალდა და დაიძახა: „თუ გწყალობდეს კაცს ბედი, ასე უნდა გწყალობდეს! ვიშ, რა მშვენიერი კაკაბი ჩამივარდა ხელში, თეთრი ქორის დასაპურებლათ! აწ მე ვიცი, როგორ მოვაჭახრაკებ საქმეს. ნეტა სად უნდა წასულიყვენ გაქცეულები, მერე ასეთ ღამეში და ამ სხმაში. ისინი ქ. ქუთაისის არე მარეს ვერ გაცილდებოდენ, ხვალ კი ქალაქის შესავალ-გამოსავალ გზებში დარაჯები მიეყოლებიან. ქალაქ გარეთ, სოფლებშიაც ხომ თვალყურს ვადევნებთ მახრის უფროსს. არ შეიძლება, ამ სამ დღეში მათ საბუნავოს არ მიაგნონ. ჰაი, ჰაი, რა გაიძვერა ვინმე ყოფილა სარდიონი! დახე, როგორი გემოვნება ჰქონია იმ ბზაკვარს! სწორე ვითხრა, მე რომ გუბერნატორი არ ვიყო, ამ სამ დღეში სარდიონობას ვინატრებდი. იმ წყეულმა, რა შვენიერი პრიზი აიღო! მაგრამ ბუკიოტის სუსტი კლანჭები რას გააწყობენ ჯეირანის სითამამესთან, ნამეტურ, როცა მას შორიდან დაჰყურებს თეთრი ქორი. ერთი მისი ფრთების შექროლება ეყოფა, რომ წაართვას ალამი. იმედია, ყელმოღებულ ჯეირანი ისევ ქორს დარჩება და დაჩაგრულ ბუკიოტს დროებით შევაძვრენტ ნაჩვევ ბნელ სოროში და ნერე გაფცქვნილ ჯეირანს ისევ მას მივუგდებთ ღეშათ.“

ასე უპატიოთ იხსენებდა გულქანს ეს ცხოვრების წუმპეში ამოვლებული კაცი. ამ დროს მას შემოუტანეს დეპეშა, ბობოლა მოხელემ იმ წინაგრძობით გახსნა ის, რომელიც ყოველ დამნაშავეს აქვს ხოლმე. დეპეშის გახსნაზე, ცოტა არ იყო, ხელები რაღაცნაირათ აუკანკალდა და თითქმის ხუთ წუთზე მეტი ეწვალა, სანამდის არწივ გამოხატულ მარკას აგლეჯდა უსტარზე. მას თითქოს თვალეები აუბრქყვიალდაო, ვერ გაარჩია დარბაზის ლამპრის სინათლეზე რაც შიგ ეწერა და უცბათ შევიდა სამწერლო ოთახში, საცა მას მაგიდაზე ოთხი სანთელი ჰქონდა ანთებული ელვარ თითბრის ქუდიოთ ზევიდან დახურული, რომ რაც შეიძლება ბევრი სინათლე დასცემოდა მაგიდას. იმან მიიტანა მაგიდასთან დეპეშა და გაარჩია:

„შმაღლეაი მთავრობის განკარგულებით იმერეთის დასავლელათ იგზავნება წევრი თ. სტაროდუბსკი. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ იგი მისი ღირსების შესაფერათ და ვიდრე მანდ იმყოფებოდეს, ყოველსავე მის ბრძანებას დაემორჩილოთ“.

ეს ამბავი არაფრათ იამა გუბერნატორს და მეტი მღელვარებისაგან რაც-  
 ლაცნაირათ იძახოდა პირიდან: „ბუჰ, ბუჰ, ბუჰ!“ — თითქოს ძროხის ბუშტებს  
 ხეთქავსო.

— მაგრამ არაფერია! — წამოიძახა ბოლოს მან. — თავადი სტაროდუბსკი  
 ამ სამ დღეში მაინც ვერ გამოვა ქალაქიდან. სანამ ქუთაისს დაიკავებდნენ, ერთი  
 კვირა გავა. მანამდის ყელმოღერებულ ჯერიანსაც გამოგვლენენ! რამე უმგზავსო  
 ბუკიოტს კლანჭებიდან. ასეთი საჩუქარი არა თუ მე, ქვეყნის დამლუბველსაც  
 მიტევეების ფირმანს გამოუთხოვს და სამოთხის კარსაც გაუღებს.

ასეთი ნუგეშით დამშვიდებული გუბერნატორი შევიდა საწოლ ოთახში  
 თავის მეუღლესთან, რომელიც მოუთმენლად გორავდა მდიდრათ მორთულ ლო-  
 გინში. დაინახა თუ არა ქარი, უნებურათ გაიზმორა, თეთრი ზეწარი გადაუ-  
 ვარდა და გალიაღებული გულმკერდი ვხებით შეათამაშა.

— კაცო რა ამბავია, რომ ასე გვიან-გვიან შემოდიხარ დასაძინებლად?  
 შენ გამო ძილი მიტყდება!

— ოჰ, ჩემო გვრიტო, შენ რომ იცოდე, რამდენი დაბურდული საქმე  
 მაქვს, რამდენი მეხია მოშაადებული ჩემ თავზე დასაყარდნათ! ესეც მიკვირს,  
 ასე როგორ ვარ, მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ. იცი, რომ მე, ეს არის,  
 დეპეშა მივიღე უმაღლეს მთავრობიდან? თავადი სტაროდუბსკი, უმაღლესი სა-  
 სამართლოს წევრი, გამოგზავნილია რევიზორათ და ამ სამ დღის განმავლობაში  
 გამოვა ქალაქიდან იმერეთის გასამგებო საქმეების განსახილველათ.

— მერე რა? რა გიჭირს? ისეთ დროებას გავატარებინებ, რომ ალტაცება-  
 ში მოვიყვანო.

— კი, ჩემო გვრიტო, მაგრამ ერთი რამ სახიფათო საქმე მაქვს და მისი  
 მეშინია. არ იცი, რომ სახელმწიფო ფულები, რომელიც რკინის გზის საფენის  
 გასაკეთებლათ მქონდა ჩაბარებული, მაკლია? ანგარიშები ამებნა, არ ვიცი, ნა-  
 ხევარ მილიონზე მეტი როგორ დაიხარჯა. შენ სახელზე რომ ინგლისის ბანკში  
 სამასი ათასი მანეთი გავგზავნე, აბა საიდან იქნებოდა, თუ არ იქიდან?

— დაიხარჯა თქო, უთხარი. შენ რომ ძალიან მოხერხებული ხარ ანგარი-  
 შის მიცემაში?

— ხერხსაც თავისი საზღვარი აქვს, ჩემო გვრიტო. ეს საქმე რამე ნაირათ  
 უნდა გადავაფუჩოთ. უნდა სხვა რამ საშუალება გამოვნახოთ, რომ თ. სტარო-  
 დუბსკის ყურადღება შივადინოთ და ტკბილი წანინა ვუმღეროთ. შენ განა არ  
 იცი, ის როგორი მოტრფიალეა აქაური დედათა ფერიებისა?

— ვიცი და კიდევაც უნდა ვუშოვნოთ ეგ მისაძინებელი ბანგი. აი, ეცა-  
 დე, ჩქარა მოაძებნიე გულქან. ის სარდიონია თუ ვინღაც მილიციის კაპიტანი,  
 დამატუსაღებინე, გულქანს ჩემთან დავაყენებ და მორჩა... საქმეც გარიგდება.

— აბა, ჩემო გაჭირვების ტალკვესო, შენ იცი. მე ამ დღეებში უსათუოდ  
 აღმოვაჩენ გაქცეულებს და გულქანი აქ დავაბინავოთ. ოჰ, ის გაიძვერა სარ-  
 დიონი! „მწიფე ხილი გორისაო“ რომ იტყვიან, სწორეთ იმ მილიციის კაპი-  
 ტანზეა გამოქრილი. იმ წყეულმა, რა კოკორი ვარდი დაქმუნა და დაცრიცა!  
 ვაი მის ტყავს!

— ჰო, შენ მაინც ვატივობ, თვალი გამოგეჭიმა იმაზე.

— აბა ეგ რა სათქმელია, ჩემო გვრიტო, განა მე შენ ვისმეზე ვატივობ? მე მხოლოდ მინდოდა, ის შევნიერი ვარდის კოკორი ჩემ ბაბუნა / ყოფილიყო დაუქცნობელათ, რომ ამ დღისთვის შემენახა. ახლა ვინ იცის, როგორ ვატივობ-ცილა უმგვანო, მურტალ კაცის ხელში! ვაი თუ აღარც ვატივობ!

— არა, ნუ გეშინია, ეგ მე ვიცი, მალე მოვასულრურებ, ჩემთან რომ რამდენსამე დღეს დარჩეს, ისევ გავანორჩებ კარგი მოვლით. ის აღბად ნერვებ აშლილია, მე დარწმუნებული ვარ, იმას ახლა სარდიონი კიდევ შეძულდებოდა. ის ბუნებით ამაყი და თავმოყვარე ქალია, ძალდატანებას ვერ აიტანდა, ესეც ვიცი, იმას ქორწინება უმადლეს ზნეობის ბურჯათ მიაჩნდა და რაკი ამ ბურჯს ძალ-მომრეობით გამოაცლიდა სარდიონი, რაღა შერჩებოდა? მისი ზნეობრივი რწმუნება თავქვე დაემხობოდა და ის ხომ ისეთი ქალია, რომ ასეთ საქციელს ღმერთსაც არ აპატივებს.

— მე მაგის უფრო მეშინია. რაღაი ერთხელ სარდიონი გზას გაიკვალავს მის გულში, მერე მისი მკერდიდან ვაი თუ ველარ მოვგლიჯოთ. მაგრამ რაკი შენ მაგრე გვონია, ჩემო სულიკო, მაგ საქმე გაჩარხული ყოფილა. იმას ამ დღეებში მოგგვრი უსაცილოთ და აბა, მერე შენ იცი.

— ჰო, და ვიცი, რასაც ვეტიყვი, როგორ გამოვაფხიზლებ ახალ საასპარეზოთ. დედოფალივით მორთვა და თვალმარგალიტი ძალიან უყვარს, სულ ბრილიანტებში ჩავსვამ და დანარჩენს თვითონ, სტაროდუბსკი მოახერხებს. შენ მაგის დარდი ნუ გატყვს, ოღონდ ჩემამდის მოიყვანე.

— ოჰ, ჩემო სულის კოკობო, რა სადიპლომატო ქალი ხარ! შენ რომ არ გამჩენოდი, მე ამ ადგილს ვინ მალირსებდა.— გადაწვდა გუბერნეტორი თავის მეუღლეს, რომელმაც შიშველი ხელები გულის თქმით შემოხვია კისერზე და მაგრათ ჩაეკონა ტუჩებში.

## XXIV

შიუკა მოურავი დიდათ აღელვებული და გაფიცებული გამოვიდა რევახ ბაკურიძის დარბაზიდან. „აჰა, რადგან აგრეა, აწი მე ვიცი. მე იმ გაბლენძილ ვაჭარს არ შევარჩენ ჩემ ვაუპატიურებას! ბრაწები რომ დამატანა! შენ სიმაღლე რაღააში ვაფგორდიო!.. მერე ვინ ვაბედა ეს ამბავი?.. და სად?.. ვისთან? ვის ოჯახში!.. აჰ, ამას თავის დღეში არ ვაპატივებ ჩემ თავს! არა, რაღა გამაცურავს!.. იმე!.. აგი რაღა დამემართა? ოცდაათი წელიწადი იმ დიდებულ ოჯახში დავბერდი. ბატონმა მე მომანდო მისი სახლ-კარი, მისი მიწა-წყალი, მისი მამული და მე ასე უნდა მოვქცეულიყავი? რავარც მოჯამაგირე, ისე გამოვძუნძულდი, უკანაც ველარ მივიხედე. აგია ჩემი ვაუკაცობა?.. ფუ, ჩემ თავს!.. ჩემ სიგლახეს! აგი რაღა დამემართა? ვინცხა მოთრეულმა ჩინოვნიკმა ფეხები დამიბაკუნა და მე თავქუდმოგლეჯილი გამოვარდი და სავსე ოჯახი დავუტოვე... მერე ვის? ვინცხა ვაბენძილ ვაჭარს! ღმერთო კი მომკალი! ავაზაკები, ფირალები რომ დამცემოდენ, მაშინ რაღას ვიზამდი? აბა მაშინ ხომ სული უნდა ამომძრობოდა შიშით! აჰ, თავს ლაფი, თავს ლაფი შენ ჩემო თავო!— წამოიძახა შიუკამ



და იტყვიცა თავში ხელი, როცა მიუახლოვდა თავის ცხენს, რომელიც ება ერთ დუქნის წინ, — მარა არაფერია! აკი საქმე მე გავასწორე და მევე უნდა გამოვაკეთო. ხომ კი ავიღე ჩემი ბატონისგან ნება, აწი კი ჩემი საქმეა ყველაფერი. თუ კაცი ვარ და ეს უღვაშები მასხია, გადმოვადრევიანებ წელეებს იმ გაბნედილ ვაჭარს, რომელიც ახლა ნებიერთა დაბინავებულა თ. რევაზ ბაკურაძეს... სასახლეში... ჰა, ჰა, ჰა! უცებ გადიხარხარა შიუკამ, როცა წამოასახლდა ცხენს და ზედ შეჯდომა დააპირა. იქ მდგომ მედუქნეს ძრიელ გაუკვირდა ეს ამბავი, იფიქრა, ღმერთი არ გაუწყრეს, შიუკა არ გაგიყვებულებოდა, და გამოცდით შეეკითხა, აბეანდას რომ უწევდა:

— რაო, შიუკა, რაზე გეიცინე?

შიუკა მხოლოდ ახლა მოეგო გონს, წარბები შეიკუმუნა და უთხრა:

— არაფერი, ისე... რაცხა საცინელი საქმე მომაგონდა. — მერე ჰკრა ცხენს ქუსლი და გაექანა ბაკურიანის სოფლისკენ. კარგა ხანს იარა შიუკამ ხმა ამოუღებლათ, მხოლოდ მის სახეს რაღაც არაჩვეულებრივი მრისხანე გამოხატულება ეძლეოდა. ხან დაედებოდა მას მკრთალი ფერი, თითქოს გული ჩაუკრთა და რილასიც შეეშინდაო, ხან წამოიქნებოდა სახეზე და მაშინ თვალეები ალივით აუპრიალდებოდა, გეგონებოდათ, ეს არის, ვინმეს უპირებს თავდაცემას გასაგლეჯათო. შიუკას ფიქრები სულ ერთ საგანზე იყო მიქცეული, როგორ უნდა შესულიყო თავის ბატონის ეზოში? მაშინვე მივარდნოდა და მოეკლა პეტრივანიჩი, თუ თავი მოეკატუნებია და ჯერ-ჯერობით არ შეენიშვნებია, რაზედაც მოსულიყო. მხდალი ვაჭარი უეჭველათ თავის ზომებს იხმარდა, სახლში ყარაულებს დააყენებდა, ჭიშკარს მავრათ ჩააკეტვინებდა, ან არა და ნათქვამი ექნება, ახირებულათ არაფერ შემოუშვათო, — ფიქრობდა შიუკა. ეს რომ მოხდეს, შიუკა ამას ველარ მოითმენს, ჩხუბს ატეხს, და შესაძლებელია, პეტრივანიჩის მაგიერათ ვინმე უბრალო ბიჭი შამოაკვდეს ხელში. მერე ხომ დაიღუპა შიუკა! უფრო საცინელი არ გახდება პეტრივანიჩისაგან! იმას მაშინვე სატუსალოში უკვრენ თავს და პეტრივანიჩი ახლა კიდევ უფრო სასტიკათ დაცინებს შიუკა — მკვლელს, ეტყვის, სატუსალოში ამოგაღებო, ციმბირში გაგზავნიო. მერე რაღა ეშველება შიუკას? უარეს დამცირებას არ გამოცდის? ის მაშინ ხელეგაკრული იქნება და პეტრივანიჩს კი საცინლათაც არ ეყოფა მისი ასეთი გაუპატიურება. არა, აგრე არ ვარგა, — მოატრიალა ფიქრები შიუკამ. — უფრო გამოცდილებით და ჭკუით მმართველს მოქმედებო. მე ისე უნდა შეველეკო, რომ თითონ მიმიპატიეოს თავის სასახლეში. აბა, როგორ შეიძლება წინდაწინვე გავამხილო ჩემი ნაღველი! რა საკადრისია! მაშინ ჩემი განზრახვა ხომ სულ ჩამეშლება! უფრო სხვა ნაირათ დავანახებ თავს, ჯერ ისე მოვექცევი, თითქოს მისი პატივისცემის დამსახურება მომსურვებოდეს, იფიქროს, ვითომც იმისთვის მოესულიყო, რომ ძველი ბატონის გაცვლა ახალზე მომენდომებოდა. მინამდის არა ჭამარა მისმა ღრანქებმა. — შიუკამ ზიზლით გააფურთხა.

სულ ასეთ ფიქრებში იყო გართული შიუკა, როცა თავის თოხარეკ ცხენს ბაკურიანის სოფლისკენ მიაგვლვებდა. ცხენი მიგოგავდა მდინარის ატეხილ ჭალებზე. შორს გამოკიაფობდა მტრედისფერ ლაქვარდში ბაკურიანის თეთრი საყ-

დარი. მზე უკვე გადახრილიყო დასავლეთისკენ და მოჰპერა გრილმა სიომ ქალებზე.

შიუკას ამ გრილმა ნიაჲმა აღხინა ცოტა ბნობით, მის ცუდ ფიქრებს უფრო მხიარული კილო მიეცა. მას მოაგონდა თავისი საესე ოჯახი, რევაზის სასახლე, იქ გატარებული შვენიერი დროება, ღრატოს წყლის გემრიელი კალმანები და გულზე რალაც ელხინა. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რა პეტრ ივანიჩის მოკვლით იმას რამე ეგნებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თ. რევაზ ბაკურიძეს ყოველივე შეეძლო და მის მოურავს რაც უნდა დანაშაულობა მოეხდინა, მაინც არა გაუჭირდებოდა რა ამისთანა მძლავრი მებატონის ხელში. მით უფრო სამართლიანათ თვლიდა პეტრ ივანიჩის მოკვლას, რადგან იმან გაბედა დიდებული მებატონის სახლ-კარის ავაზაკურათ დაფლობა. შიუკა ჩალრმავდა წარსულ მოგონებაში და უეცრათ სისხლი ყელში მოებჯინა. იმას მოაგონდა შენდევნი სიტყვები პეტრ ივანიჩისაგან წამოსროლილი, როცა მან ასე ურცხვათ და შეუპოვრათ გამოაგდო შიუკა პრისტავის შემწეობით მისი ბატონის სახლიდან: „მე გახლავარ პეტრიელა კვესაძე, მე დავიფლე ბატონის მამული... წადი, შენ ბატონს შენხელა ტალახში გაუგორდიო“. განიმეორა შიუკამ.—აგი სიტყვები დამიძახა მე პეტრ ივანიჩმა. მიკვირს, რავა მაშინვე არ მოვიკალი თავი, ან ის არ მოვკალი. პეტრიელამ ქნა აგი საქმე? პეტრიელამ გამომაგდო ბატონის სახლიდან, იმ წუნკალამ, იმან, ბელელში რომ დავამწყვდიე და ბატონს ხელიდან გამოვგლიჯე! მე რომ არა, ცემით მოკლავდა მას რევაზი. კარგათ გადამიხადა ჩემი გულკეთილობა იმ წუნკალამ! ღმერთო, დაგელოცა სამართალი! რანაირს დროს შევესწარით! ასე რავა გასწორდა მთა და ბარი? ვინ მისცა პეტრიელა კვესაძეს ის შეძლება, რომ დიდ რევაზ ბაკურიძის ოჯახს დაეპატრონა? მაგრამ ახლა ყოველიფერი თავ უკულმა მიდის, გუშინ რომ ფეხშიშველი და დაძონძილი გლახაკი იყო, წავა ზღვის პირისკენ, ჯერ მოჯამაგირეთ დადგება, მერე დაიწყებს ვაჭრობას, აბხაზეთში გავა, მერე იქიდან რუსეთში და ბოლოს ნახავ, მოდის აგი კაცი მთლათ გამოცვლილი. ჩინონიკსავით აცვია, ფული ბევრი აქვს, დეიწყებს ვაჭრობას და შეხედავ, ვინმე თავადის ან აზნაურიშვილის მამულს ჩაიგდებს ხელში. მერე მიდი და გაუტოლდი შენ! იქნება ცხვირის წინაც აღარ მიგიკაროს! მეორეთ მოსვლაა! სწორეთ მეორეთ მოსვლა! ამას მოიფიქრებდი, რომ ჩვენი პეტრიელა ასე გამდიდრდებოდა, პეტრ ივანიჩათ გადიქცეოდა და ბატონის ოჯახს დეირჩენდა ვაჭრობით? ღმერთო დაგელოცა სამართალი!—დაიწერა პირჯვარი ამ სიტყვებზე შიუკამ და გააქანა თავი. მერე ცოტა არ იყოს, ბრაზი მოერია. ახლა იმდენათ ბატონის ადგილ-მამულის შეყიდვაზე არ მოდიოდა გული, როგორც თავის შეურაცყოფაზე. —აგი პეტრიელა წუნკალამ რავა მიქნა? რავა გაბედა იმ უჯიშომ, იმან!—პეტრიელას გააზატება და გასოვდაგრება იმას საკუთარ შეურაცყოფათ მიაჩნდა,—რავა? მე მაგის ბატონი ვიყავი, სიტყვასაც ვერ შამომიბრუნებდა მაგ წუბაკი ძალი ბატონის ოჯახში! თუ არ ბატონის სახელწოდებით, ისე ხმას რავა გამცემდა? ახლა უყურე მაგ ჩაჩუთრულის შვილს, რავა გაამაყებულა! თავსაც აღარავის უკრავს! ახლა მე ვაჩვენებ მაგას თავის სეირს. მოგეცა სიცოცხლე, მე მაგას ბატონო ვაძახო! „ბა-

ტონო, ბატონო, შენი ჭირიმე, მაპატივე. ნუ მომკლავ, ნუ დეიდებ კისერზე ჩემ ცოდვას, შიუკა, მაპატივე შენი მუხლის ჭირიმე! მთლათ წვილე ჩემი ფულები, ოღონდ ნუ მომკლავ, ჩემო ბატონოვო, — ბევრს იძახებს, მარა, არ ვაპატივებ. ეგ აყროლებული კედლისტილა უნდა გავსრიხო, უნდა, უნდა! — დაწინებთ იძახოდა თავისთვის შიუკა და ამ დროს ხანჯალს ხან ამოსწევდა ქარქაშიდან და ხან ჩასწევდა.

ასეთ საოცარ გადაწყვეტილებაში მზე კიდევ ჩავიდა და შიუკა მოურავი მიაღვა თავის ბატონის უწინდელ სახლკარს. ის ჩამოხტა ცხენიდან, გაალო ჭიშკარი, შეიყვანა ცხენი, დააბა ჭიშკართან, გაისწორა ტანსაცმელი, მოიმარჯვა ხმალ-ხანჯალი და გაემართა ოდისკენ. ქაღლები ყეფით გამოეჭანენ შიუკასკენ, მაგრამ, როგორც მიუახლოვდნენ, მაშინვე ლაქუცი დაუწყეს, ისინი ახტებოდნენ წელზე და ხელებს უსლაქავდნენ. ეტყობოდათ, იცნეს თავისი უწინდელი მოურავი. ოდის აივანზე იმ დროს იჯდა პეტრ ივანიჩი და ნებიერთა პაპიროსს ეწეოდა. იმან მაშინვე იცნო შიუკა, გაუკვირდა, გულამაყი მოურავი ასე რამ დაამუხლისთავაო.

შიუკა ძალიან თავმდაბლათ მოდიოდა მასთან და პეტრ ივანიჩმა იფიქრა, ალბათ შეინანა თავისი სიამაყე და უწინდელი ალაგის სათხოვნელათ მოდის თავის ახალ ბატონთანო.

— არ მოგეცეს მარცხი, მე შენ ჩემ მოურავათ არ დაგაყენო! — გაივლო გულში პეტრ ივანიჩმა, რომელსაც გლებებისაგან ბევრი ცუდი ჰქონდა შესმენილი შიუკას სისასტიკეზე და ცარცვა-გლეჯაზე.

ბატონის მოურავი შემოვიდა კიბეზე და დარბაისლათ მიესალმა პეტრ ივანიჩს, რომელიც აგრეთვე მხიარულათ მიეგება და ხელის ჩამორთმევა დაუპირა, თუმცა შიუკამ ორივე ხელები ქუდს ჩააელო და აღარ აცილებდა.

— ოჰ, შიუკა, ძალიან მეამა შენი ნახვა, — უთხრა პეტრ ივანიჩმა. — ისე უნდა გაგიმასპინძლდე, როგორც საყვარელ სტუმარს. უნდა გადაგიხადო ძველებური პატივისცემა. შენ რომ არ ყოფილიყავი და ბელლიდან არ გაგეპარებინე, მე მაშინ ბატონი შიმშილით მომკლავდა. მე ის ყვითელჩოხა პეტრიელავარ, ბატონს რომ ხაბაზობა არ ავუსრულე და ამისათვის გამამათრაბა. — უთხრა შიუკამ და დაცინვით თვალები დააშტერა.

შიუკას ბრაზი მოერია და უთხრა:

— დიახ, ბატონო, თქვენ პეტრიელას ვინღა გაკადრებსთ, თქვენ ახლა დიდი ფულის პატრონი ბძანდებით, ბატონის ადგილ-მამულს და მის სახლ-კარს დაეპატრონეთ. ახლა ი რევაზ ბაკურიძე თქვენ ბრძანდებით და მე... მე თქვენი მოურავი...

— ეგ კი უკაცრავათ ნუ ვიყო და აღარ მოხერხდება. — უპასუხა დაცინვით პეტრ ივანიჩმა. — თქვენ ახლა მოხუცებული ხართ, სავსე ოჯახი გაქვთ. ღვთის მადლით არც თქვენ დაგიკლიათ ხელი თ. რევაზ ბაკურიძის ოჯახის აკლებაში.

— რაო? რაო? რა ბძანეთ?

— ჰო, თქვენც ბევრი გისარგებლნიათ ამ ოჯახიდან, მარა ეს მერე იყოს. ახლა მე მინდა თქვენ, როგორც ჩემ საპატიო სტუმარს, ისე გცეთ პატივი ამ ჩემ ახალშეძენილ ოჯახში.

— მანამდის არა ჭამე რა! — შეჰყვირა უცებ შიუკამ, ჩასტა მუცელში ხანჯალი და გადააბრუნა.

— არიქა, მიშველეთ!.. აკი მომკლა ამ ოჯახიდან, <sup>დაქვეყნდა</sup> წამოიძახა პეტრ ივანიჩმა და დაბარბაცდა.

როგორც კი პეტრ ივანიჩი დაეცა, შიუკამ მოუნაცვლა ხანჯალი და თავპირში დაუწყო ჩეხა, თანაც ეუბნებოდა:

ეგ შენ, ეგ შენ, შე წუპაკო ძაღლო, პეტრიელა! შენ უნდა დაგეუფლა ჩემი ბატონის ოჯახი?.. აბა რაუა გეგონა? აბა ჩემ აქედან გაგდებას შეგარჩენდი? ჩემი ბატონის ოჯახი შენ უნდა დაგეთელა?.. ჰა, შე ქვეყნის სალაზანა, ქალაქის კინტო, შენ! — დაჰყვიროდა ზევიდან შიუკა პეტრ ივანიჩის ლეშს, რომელიც ამ დროს თავის სისხლში სცურავდა.

იქ მდგომი ორი გლეხი გოაცებული მივარდენ შიუკას, მაგრამ მისი გააფთრებული სახე და თან ასეთი ყვირილი, რომ გაიგონეს, „არ მოხვიდეთ ჩემთან, თორემ თავს ორათ გაგიპობთ“, უკან დაიხიეს. ერთი მათგანი გადავარდა კიბეზე და გაიქცა მამასახლისთან ამბის შესატყობინებლათ.

მეორე დღეს ქალაქ ქუთაისში დიდი და პატარა ამას ლაპარაკობდა:

„ბაკურიანის სოფელში საოცარი მკვლელობა მოხდაო თ. რევაზ ბაკურიანის მოურავი მიხტომია ვაქარს პეტრ ივანიჩ გაწერილიას თავის ახალშეძენილ ნამულში და დაუხანჯლავსო. საწყალს, ოცვან ჰქონია ტანზე სასიკვდილო ჭრილობაო“.

მესამე დღეს რევაზის მოურავი შიუკა მართლაც გაბაწრული შემოიყვანეს ქალაქში, ჩააგდეს სატუსალოში და დანიშნეს ფიცხელი გამოძიება. ხალხში ამბობდენ, არც რევაზს დაეყრება სიკეთეო, სულ იმის ბრალია, იმისგან არის წაქეზებული მოურავი პეტრ ივანიჩის მკვლელობაში, თვარა ის მარტო რაუა გაბედავდა ასეთ ბოროტმოქმედებასო.

საწყალი პეტრ ივანიჩის ავლადიდება სულ გაფორიაქდა მის სიკვდილის შემდეგ, რადგან მას ჯერ არც ცოლ-შვილი ჰყავდა და არც არავინ დარჩენია ახლობელი შემკვიდრე. მართალია, იმ სოფელში კვესაძეები იყვენ, მისი მამის განაყოფი ძმები, მაგრამ კანონით მათ არა ერგებოდათ რა, რადგან პეტრ ივანიჩი კამერალურს აწერილობაში გაწერილიას გვართ იყო მოხსენებული. მისი სავაქრო მალაზია და რაც ნაღდი ფული ჰქონდა, მისმა ნოქარმა დაისაკუთრა. ბაკურიანის ადგილ-მამულს კი წაესია იმ სოფლის თავად-აზნაურობა, გლეხებმაც აღარ დააკლეს ხელი, სულ დაიფლეს ცალკე ნაქრებათ დაჭრილი ადგილები. ბაკურიანის სახლკარს კი ისევ თ. რევაზის ბიძაშვილი დაეპატრონა. ის უეცრად დაეცა თავს რევაზის სახლ-კარს თავისი ნაყმევით და ძველებური სახლკარი ერთს დღეს მიწასთან გაასწორა. ძველი სახლი ქვიტკირის პალატით საფუძვლამდე დაანგრია, შენობების ფიცრები თავის სახლში გადაიტანა, მარნის ჩაკირული ქვევრები მოთხარა, ასე გაშინჯეთ, ღრატოს აუზიც დაანგრია და იქ

გამენებულ თევზები სულ ერთიანათ ბადით ამოაყვანინა, შემდეგ მთელი ეზო-გარემო აახვნევიანა და ზედ ტყე გააშენებინა, ჭირნახულით თავის ბელლები და სასიმინდეები გაატენინა, ღვინოებით თავისი ცალიერი ქვევრები დაავსებინა. ერთი თვე მეტი მოუნდა ამ ოჯახის მასალის გადაზიდვას თავის სახლში. ყოველივე ეს ბაკურიძის ბიძაშვილმა იმ განზრახვით მოახდინა, რომ ვინიციობაა, რევაზ ბაკურიძის შემკვიდრეს პეტრ ივანიჩის სიკვდილის შემდეგ დაიწყოს საქმი-ვარი, საბუთი არ მიეცა ხელში, რომ ამ გაპარტახებულ ადგილზე რაიმე კვალი ამოჩენილიყო მისი მფლობელობისა და მოწმეებითაც არ შეძლებულიყო ამის დამტკიცება.

XXV

გუბერნატორი და მისი მეუღლე ძალიან ფაცა-ფუცში იყვნენ რევიზორის მოლოდენებით. ისინი ყოველნაირ ზომას ხმარობდნენ ისე მოეწყოთ რევიზორის დასადგომი ოთახები თავის დარბაზში, რომ არაფერი ნაკლულოვანება არ ჰქონოდა. ეს მეხუთე დღე იყო, რაც დეპეშა მოვიდა თ. სტაროდუმსკის მოსვლაზე და დღითი დღე მოელოდნენ მის ჩამობძანებას. გუბერნატორი მხოლოდ იმას ჯავრობდა, რომ ჯერ კიდევ გულქანისა და სარდიონის ამბავი არა შეეტყო რა. სწორეთ დილის ათი საათი იყო, რომ ქუთაისის პოლიცმეისტერი გამოეჭიმა, სახეზე ეტყობოდა რომ რალაც დიდი და სამხიარულო ამბავი ჰქონდა მისთვის გასაცხადებელი.

— აბა, რა ამბავი მომიტანეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ? — დაცინვის კილოთი შეჰქაჩა გუბერნატორმა.

— კარგი ამბავია, თქვენო აღმატებულებავ. გაქცეულების კვალს რატიც იქნა, წავატყდი ვგონებ, გამოჩენილს საფრანგეთის პოლიციის მოხელეს ლეკოკსაც არ შეეძლო ის საქმე, რაც მე გადამხდა იმათ ძებნაში. თუ არ ჩემი ერთგული და დახელოვნებული პოლიციელები, სხვა ხორცშესხმული კაცი იმათ ვერ მიაგნებდა, ასეთ უდაბურსა და მიუვალ ალაგას გაუკეთებით ბუდე შეყვარებულებს. — თაემოწონებით მოახსენა პოლიცმეისტერმა.

— მერე სად არიან? რატომ არ მომიყვანე? — მოუთმენლათ ჰკითხა გუბერნატორმა.

— უთქვენოთ ვერ გავბედე, თქვენო აღმატებულებავ. ხუმრობა არ არის, სარდიონი მილიციის პრაპორშჩიკია, იარალის ხმარება კარგათ იცის.

— ეგ კარგი გიქნია, მაგრამ რომ გავიძვრენ ხელიდან?

— ვერა, თქვენო აღმატებულებავ, გზირები მყავს დაყენებული. ყოველი მათი გამოსასვლელი გზა შეკრული მაქვს ჩემი პოლიციელებით.

— ახლავე წადი და უთხარი ჩემ ადიუტანტს გრაფ ლიზობლიუდოვს, რომ ის წავიდეს გულქანისა და სარდიონის მოსაყვანათ. თქვენ კი თან გაყევით თქვენი პოლიციის მოხელებიანა. გრაფ ლიზობლიუდოვი კარგი ნაცნობია ორივესი და დარბაისლობაც არ აკლია, ის მოახერხებს მათ დამშვიდებას და ჩემთან მოყვანას. ყოველ შემთხვევაში, თქვენ მზათ იყავით და თუ, ვინიციობაა,

ძალა ვინმე იხმაროს, წესისამებრ მოიქცეოთ და ჯეროვანი დახმარება გაუწიეთ გრაფ ლიზობლიუდოვს იმათ წამოყვანაში.

— თქვენის ბრძანებისამებრ მოვიქცევი. — დაატანა პოლიცემისტერმა, დაუკრა თავი და გაუდგა გზას.



დიდხანს ეძინა გულქანს მოტაცების ღამეს სარდიონის ტუჩების მამის ოთახში. სახლის პატრონმა მშვენიერი ვახშამი მოამზადა და გულქანი გაელვიძებინა, მაგრამ დიასახლისმა არ ქნა. „ქალი მეტათ დალაღულია, მაინც არაფერს ქამს, რომ გავაღვიძოთ, — ქამას მოსვენება ურჩევნიაო“.

სარდიონი გულისთქმისაგან თავბრუ დასხმული იჯდა მეორე ოთახში. თუმცა მორიდებით ვერას ანხელდა, მაგრამ ძალიან კი ეჩქარებოდა თავის საყვარელთან შესვლა. ვახშმათ დასხდენ, სადღეგრძელოები გამართეს. ყველა ულოცაუდა სარდიონს ცოლის შერთვას და მათ ბედნიერათ ცხოვრებას ნატრობდენ. სარდიონს ერთი ნამცეციც არა უქანია რა, გულისთქმისაგან მადა ჰქონდა შეკრული, ღვინის წვეთიც არ ჩასულა იმ ღამეს მის ყელში. იქ მხოლოდ სხვეების შესახედავათ სავსე სტაქანს მიიტანდა ტუჩებთან და ისევ დადგამდა სუფრაზე. მასპინძლებმა შენიშნეს, რომ სარდიონს მეტათ წყუროდა საჩქაროთ თავის სატრფოსთან შესვლა და ვახშამი აღარ გააგძელეს. ცოტა ხანს იქით ყოველივე მილაგდა, სარდიონი გამოეთხოვა თავის მასპინძლებს, შევიდა გულქანის საწოლ ოთახში და კარი ჩაკეტა. ის მეტათ აიტაცა გულისთქმამ, მიუახლოვდა რყევით გულქანის ლოგინს, საცა უმანკო ქალს ხელები აქეთ იქით გადაეგდო, საბანი წელამდის ჩაწოდა და მისი ბროლის გულ-მკერდი გადალიალებულ იყო.

მას ეძინა, ცოტათ პირი გაეღო და ბროლის კბილები წითელ ტუჩებში კრთოდენ. გძელი წამწამები დახურულ თვალებს ჩაჯაროდენ, სქელი გაშლილი თმა შამობურდნოდა ბადრ მთვარესავით გადაშლილ სახეს და ბურქვათ დაყროდა თეთრათ მოქათქათე მკერდზე. ამის დანახვამ სარდიონი სულ ააქრეოლა. გულისთქმისაგან მის კბილებს წაკა-წუკი გაჰქონდა. იმან ძლივს მოასწრო ტანისამოსის გახდა და ჩაუწვა გულქანს ლოგინში, საიდანაც მოაბერა ცხელმა სუნნელოვანმა ჰაერმა და უცბათ დაათრო. შეყვარებული. სარდიონი ერთ წუთას თითქოს გონება მიხდილი მიწვა ბალიშზე და თვალები ანგელოზებრივ მშვენიერებაზე ჰქონდა მიპყრობილი: ბოლოს მოიკრიფა ღონე, წამოიწია ცალნიდაყვზე და ცოტათ გაღებულ გულქანის ტუჩებს შეუწება თავისი ტუჩები. გულქანმა გააღო თვალები, ორივე ხელებით მოიშორა სარდიონის სახე, უცბათ წამოჯდა ზეზე ნახევრათ გაღვიძებული და შიშით წამოეძახა:

— ვინ არის? რა ამბავია?

— მე ვარ, შენი გულის სატრფო, ჩემო ოცნებავ, — ნაზი ხმით უპასუხა სარდიონმა, — ნუ შემიკრთი, ჩემო ცხოვრებავ!

— სარდიონ, შენ აქ რა გინდა, ჩემ ლოგინში! ეგ იყო შენი დაპირება? ახლავე მომშორდი! იქით დაწექი. ჩვენ ჯერ არ ვართ კანონიერათ შეუღლებული.

— როგორ არ ვართ, გენაცვალე, მარტო ჯვარის წერა გვაკლია და ამასაც მოვესწრებით, როცა დრო იქნება.

— არა, არ შეიძლება! ადექი, იქით დაწექი მეორე ლოგინში. მართლაც დიასახლისს, როგორც გამოცდილ ქალს ამისთანა დროს, ყოველ შემთხვევისათვის მეორე ლოგინიც დაეკო.

— ანეირიდან ჩვენი ლოგინი ვინ გაპყო, შენ შამოგვედროს! ჩემი თბილი! და ამ სიტყვებით მოხკია კისერზე ორივე ხელი და მძლავრად მხსქქა ქალი მკერდზე.

— სარდიონ, ნუ შვრები მაგას, თვარა ინანებ, მე ეკ საქმე ჩემი ღირსების დამცირებათ მიმაჩნია, სანამდის არ დავქორწილდებით. ნუ იზამ, ძალმომრეობა ჩემზე არ ვაგივა, საუკუნოთ დამკარგავ, ახლა რომ ძალით შემეხო.

— არა, შენი ჭირიბე, მე მეტი არ შემიძლია. თუ არ დამყევი ნებას, მოგიკვდები. — ემუდარებოდა სარდიონ და თანდათან უფრო მძლავრად ხვევდა ხელებს ტანზე.

— ინანებ, სარდიონ, გამიშვი, თვარა! არასოდეს არ ვიზამ უკანონოთ. ახლა რომ ძალა დამატანო, ჩემი ზნეობა წახდება, მერე აღარაფრათ გარგივარ, თუ ჩემი სიყვარული გაქვს ნუ შემეხები. ხომ ხედავ, მიყვარხარ, შენზე უკეთესი ქვეყანაზე აღარავინ მყავს. მოიცადე ჩემი სიყვარულის გულისთვის. შემიწახე წმინდათ ქორწინებამდის, რომ მერე სიკვდილამდის შენი ერთგული ვიყო.

— მაინც იმედი მაქვს შენი კარგი გულის, რომ შენ ამითი არა გაგოქირდება რა. თუ მართლა ჩემი ნამდვილი სიყვარული გაქვს, რა გიშლის?

— არა, არ შეიძლება. დამანებე თავი, თვარა საუკუნოთ დამკარგავ. — ემუდარებოდა გულქან, მაგრამ სარდიონი ცხოველურმა გრძნობამ იმდენათ შეახურა და გაიტაცა, რომ აღარაფერი ესმოდა. იმას ვერ წარმოედგინა ნაზი გრძნობები უმანკო ქალისა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეიპყრო გულქანის მკლავები, ჩააწვინა ლოგინში და განძრევის ნებას აღარ აძლევდა. გულქანი თავგამეტებით იბრძოდა. ბოლოს, რომ ველარა გააწყო რა, ღონემ უმტყუნა, მოიქანცა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— ჰა, შე გარყვნილო კაცო, ალბათ მაიორშასაც აგრე მოექეცი!.. დამანებე თავი, თვარა საუკუნოთ შეშძულდები, თვალის დასანახავათაც შემეზიზღები! — მძვინვარებით ეუბნებოდა გულქან, მაგრამ სარდიონ გულის თქმით გამხეცებულთ თავს არ ანებებდა. გულქანმა რომ ველარაფრით მოიგერა ძალუმი კაცი, ჩააგლო კბილები ბეჭებში და საშინლათ უკბინა.

სარდიონმა, მოთმინებიდან გამოსულმა, შემოკრა სილა გულქანს და გააშვებია კბილები. ქალმა ერთი დაიკვნესა, გული შეუწუხდა და ჩაეარდა უგრძნობელობაში..

მეორე დღეს შუადღემდის სარდიონისა და გულქანის ოთახში მყუდროება იყო. იმ დროს, როცა სარდიონს ტკბილათ ეძინა, გულქანი ტირილისაგან და უძილობისაგან თვალეზ დასივებულთ, ფერ მიხდილი იჯდა ლოგინში, ნიდაყვი მუხლზე დაეხვინა, თავი ხელში ჩაედვა და უნუგეშობით გამოიყურებო-

და. იმ ლამეს მას დაეკარგა რაც მისთვის უძვირფასესი იყო ქვეყანაზე, რაც მას აძლევდა ცხოვრებაში სიამაყეს და რომლის გამო ასე ზიზლით უყურებდა როგორც გუბერნატორის მეუღლეს, ისე მრავალ სხვა უზნეო ქალებს და თავის გამზდელ ლიდია პეტროვნასაც კი. ახლა მას და იმათ შორის არაერთარი განსხვავება აღარ იყო, თავისი თავი მათზე უფრო მდაბლათაც ეჩვენებოდა. ისინი ქმრიანები მაინც იყვნენ, გულქანს კი თითქოს სარდიონის ხასიათი მოჰქონდა თავი. რა უზნეობის ჯურღმულში ჩაიგდო მან თავი! განა ამისათვის ვერჩია მან სარდიონ ქმრათ? განა ასეთი წარმოდგენა ჰქონდა მას წმინდა გრძნობებზე? განა ამისათვის შეწირა მან თავი სარდიონს? ახლა ვილას უნდა შეხედოს? რა-ლა უნდა უთხრას თავის საყვარელ დედ-მამას? განა ამისათვის დააგდო თავისი ოჯახი, მოიძულა საყვარელი დედ-მამა, რომ ვინღაც უგვარო და უზნეო ახალგაზდის უკანონო ცოლათ გამზდარიყო?

იმან მოავლო თავის დედ-მამის სურათს ხელი, დააცქერდა, დაუწყო მას გაგიჟებით კოცნა და ცრემლების ფრქვევა ხმა მალლა გოდებით:

ჩემო დედიკო, ჩემო ბაბაია, განა იმისთვის წამოგიღეთ, რომ არ მომხმარებოდით, როცა მე უზნეობის მორეეში მახჩობდენ? რატომ არ დამიფარეთ თქვენი უღირსი შვილი ამ განსაცდელისაგან?—ქვითინებდა და იხუტებდა გულში თავის დედ-მამის ნახატს, მისმა ტირილმა გამოაღვიძა სარდიონი, რომელიც მაშინვე წამოვარდა ზეზე, გულისტქმით ჩაიკრა გულქან მკერდში და გაგიჟებით უკოცნიდა პირისახეს.

— რათა, ჩემო ცხოვრება, რისთვის ტირი? სიყვარულის მეტი რა დამიშავებია? რა გიჭირს ჩემთან? დღეს თუ ხვალ ჯვარს დავიწერთ და ისე გაცხოვრებ, როგორც ამ ქვეყნის დედოფალს.—გულქან თუმცა აღარ უშლიდა ხვევნაკოცნას, მაგრამ აღარც არაფერს ეუბნებოდა. ის იყო გაჩუმებული სარდიონის წინაშე, როგორც ტყვე, ლეკებიდან მოტაცებული, რომელიც ხდება უტყვე ქონებათ თავის მტარვალებისა. რამდენათაც სარდიონი გამხიარულდა გულქანის შოვნით, იმდენათ ქალი გულჩათუთქული იყო და თავისთავი უბედურათ მიაჩნდა. მან დარაზა სარდიონისთვის თავის გულისკარები, სარდიონის გაგიჟებულს სიყვარულს ის აღარ აძლევდა შესაფერ პასუხს, თუმცა იმ ლამიდან აღარც არაფერში ეწინააღმდეგებოდა. როდესაც გულქანი მარტო დარჩებოდა, ან ტირიდა და ან წარსულ ფიქრებში იყო გართული. იმას ახლა თვალწინ გაუცოცხლდა ლიდია პეტროვნას ნალაპარაკევი, რომელსაც ქაცების სიყვარული ოდნითაც არ სწამდა და იმათ ისე უყურებდა, როგორც თავის სიამოვნებისა და თავმოყვარეობის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ იარაღს.

— დიახ, ამიერიდან მეც ისე უნდა მოვიქცე, როგორც სხვა გაქნილი ქალები იქცევიან.—გაიგლო გულში გულქანმა. სიყვარულისა მას აღარა სწამდა რა და თუ უნდოდა სარდიონ ქმრათ, ემზადებოდა მასთან ჯვარის წერას, მხოლოთ იმისთვის, რომ თავისი ზნეობითი პიროვნება გარეგნობით მაინც აღედგინა და მერე თვითონ იცოდა, რა გზასაც დაადგებოდა. იმან გულში ჩაიმარხა სარდიონის შეურაცყოფა და მხოლოთ ეძებდა საუკეთესო დროს, რომ მისი პიროვნება დაემდაბლებია და დაეჩაგრა. ეს იყო მისი აზრით საუკეთესო საწყაული ზასთან უმართებულო მოქცევისათვის. ამისთანა ფიქრებში და შინაგან სულის ღელვაში გაატარა გულქანმა მთელი ის ხანი, რაც შეყვარებულები დარჩენ სარდიონის ნათლიმამის ოჯახში.



მეხუთე დღეს ჭიშკართან გაჩნდა რამდენიმე ფაეტონი. იქიდან გადმოხტა გრაფ ლიზობლიუდოვი, მას თან გამოჰყვა ქუთაისის პოლიცმეისტერი და შემოვიდნენ ნათლიმამის ეზოში. სარდიონმა დაინახა თუ არა ისინი, მაშინვე მიხვდა, რომ მთავრობისაგან იყვენ გამოგზავნილი და მწუსარებით შეკრთა მისი გული. იმან უთხრა გულქანს, რაც ამბავი უნდა მამხდარიყო და თან დაატანა:

— აბა, ჩემო ოცნებავ, აწ შენზეა დამოკიდებული ჩემი ცხოველობა, შენ თუ გამეცი და მთავრობის წინაშე ხელი აიღე ჩემ სიყვარულზე, მე დავიღუპები, მარა, იცოდე, არც შენ იქნები ბედნიერი.

— ახლა მოხვედი გონებაზე, შე ურცხვო?— ზიზღით უთხრა გულქანმა სარდიონს.

— არა, ჩემო ცხოვრებავ, კი ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, რომ არ გამწირავ, — უთხრა გულის თქმით სარდიონმა და ხელეზე კოცნა დაუწყო. — გულქანმა მძულვარეთ ტუჩები აიგრიხა და არა უპასუხა რა.

ამ დროს გრაფ ლიზობლიუდოვმა დაარაკუნა კარებზე. „შემობძანდით“. უპასუხა სარდიონმა. გაიღო კარი და შემოიძმართენ გრაფ ლიზობლიუდოვი და ქუთაისის პოლიცმეისტერი. პოლიციის სხვა მოხელეები გარეთ, ეზოში იდგნენ.

გრაფ ლიზობლიუდოვი დარბაისლათ მიესალმა გულქანს და ხელზე აკოცა.

— დაბძანდით. — გულქეთილათ ნიაწოდა სკამი გულქანმა. გრაფ ლიზობლიუდოვმა გრძნობით შეუჭვრიტა გულქანს თვალებში, ამ ქალმა კი დახარა; ცოტა ხანს იყვენ ასე გაჩუმებული. ბოლოს გრაფ ლიზობლიუდოვმა ნაზი ხმით უთხრა: „ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორმა გამომაგზავნა თქვენ წასაყვანათ“.

— იმას რა უნდა ჩვენგან? — ჰკითხა გულქანმა.

— გარდა თქვენი ბედნიერებისა — სხვა არაფერი. იმას უნდა ეს საქმე კეთილათ გამოაწყოს და თქვენი სურვილისამებრ მოიქცეს. თქვენი დედ-მამა ძალიან შეწუხებულია თქვენი მოშორებით. იმათ დაავალეს გუბერნატორს თქვენი შერიგება და ამ საქმის კარგათ დაბოლოება.

გულქანს ნათელი მიეფინა სახეზე და უთხრა: — იმედი მაქვსო.

სარდიონი სულ სხვა პასუხებს ელოდა გულქანისაგან და ახლა რაკი გაიგონა ასეთი გონიერი მისი გადაწყვეტილება, გული გაეღო და ისე გამხიარულდა, თითქოს აღდგომა გათენებოდეს.

— მაშ ნულა ვიგვიანებთ. თქვენ ჩემ ფაეტონში ჩაბძანდებით და სარდიონ — პოლიცმეისტრისაში. — მისცა წინადადება გრაფ ლიზობლიუდოვმა.

— წავიდეთ! — მხიარულათ წამოიძახა გულქანმა და გაუწვდინა ხელი გრაფ ლიზობლიუდოვს, რომელმაც მკლავი მკლავში გაუყარა და ჩააჯინა ეტლში. პოლიცმეისტერი და სარდიონ მეორე ეტლში ჩაჯდნენ, დანარჩენი პოლიციელები ზოგი ფეხით წავიდა და ზოგი ფაეტონით გამოუდგნენ იმ ორ წინა ეტლს. ქალაქის ქუჩებში ხალხი ბლომათ აედევნა ამ ფაეტონებს; ყოველ მხრით ისმოდა ასეთი ძახილი: „მოტაცებული გულქან მოჰყავთო“.

გუბერნატორის სასაბლეში რომ შეიყვანეს გულქანი, წინ მისი მეუღლე მოეგება და დედობრივი სიყვარულით შეიტკბო აბალგაზდა ქალი. სარდიონი კი წაიყვანეს პირდაპირ გუბერნატორთან, რომელიც მუდლით შეხვდა ახალგაზდა მილიციის კაპიტანს და უბძანა პოლიცმეისტერს, ჩაესვათ იგი საპყრობილეში, სანამ საქმე გამოირკვევოდა.

გუბერნატორის მეუღლემ დაქანცული და ტვინის ძაფებაშლილი გულქანი შეენიერათ მორთულ ოთახში დააბინა და მსრუხველობით დაუწყო მოვლა.

დასასრული მეორე ნაწილისა.





# ს ა ლ ი

რომანი

დასასრული\*)

— იქნება ეხლა მაინც გვეშველოს რამე, სალი, ჩვენ ხომ ანია! მიზეზით ვიყავით აქა, ანია კი წავიდა.

განაგრძო დარიკომ და რალაც იმედებისგან სახე გაუბრწყინდა.

— მაგიერად ლიუბა დარჩა, თუ ლიუბა წავა, აგათია აქ არის და რომელიმე მათგანი თვეში თითო პატარა გასაზეპირებელს ჩვენთვის არ დაიშურებს, მეტიც ღირსნი კი ამათ თვალში არცა ვართ. ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი მამაშენსა და „პაპაშას“ უნდა მოჰკითხო, ანია აქ რა შუაშია?..

მიუგო სალიმ და ხელის ჩაქნევით ტუჩები მაგრა მოკუმა.

მაგრამ ანიას წასვლის შემდეგ კურგუზოვები, პატარა ქალების მიმართ დატკბნენ, თუმცა სწავლებით იმასაც აღარ ასწავლიდნენ, რასაც წინად.

სალი და დარიკო კარგა ხანს ვერ მიმხვდარიყვნენ თუ რას ნიშნავდა ეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც ანდრეი პავლოვიჩთან ოთარი ხშირად მოსიარულე დაინახეს, მდგომარეობის ფერისცვალებაც ამ მოვლენას მიაწერეს.

\* \* \*

ერთხელ სალი გულხელდაკრეფილი, თავჩალუნული ბალის ვიწრო ბილიკზე მიდიოდა. უეცრად ვიღაც დაეჯახა და მოესმა:

— ახ!..

სალი ჩრდილსავით ადევნებულ ოცნებიდან გამოერკვა, მალე აიხედა, წინ უდგა ვალოდია ხელზე გადაშლილ წიგნით, თვალები უცინოდნენ.

— მაპატიეთ! წიგნში ვიხედებოდი და ვერ დაგინახეთ! განაგრძობდა ბოდიშებს.

სალიმ პატიების ნიშნად გაუღიმა. ის იყო გვერდი უნდა აეგლო, რომ ვალოდია წინ გადაუდგა და ღიმილითვე დაუმატა:

— მოითმინეთ!.. ჩვენ ხომ დიდხანია რაც ერთად აღარ გვილაპარაკნია?.. ცალკე გამოცდებმა, ცალკე თქვენის მხრიდანაც უცნაურმა მორიდებამ დრო აღარ მომცეს თქვენთვის მეთქვა რამ... ამ ბოლოს დროს თითქო მემალეებით, რა მიზეზისთვის?..

\*) იხ. უფრ. „მნათობი“ № 10.

— თქვენ ამბობთ ნაგას, ვალოდი?

გაბუტვით შენიშნა სალიმ, მაგრამ ამავე დროს ვალოდიასადმი გამკრთხალ-  
მა რწმენამ მისკენვე ონაზრად გაიწია, გულის სიღრმეში ფერფლ წაყრილ სით-  
ბოს ნელმა სიომ ნაზად დაბერა. მასში ბუტია წინწყალმა თავი იჩინა, ხაამოდ  
სუსხვა დაუწყო.

ერეუნული

— ეჰ, სალი, მოდით ჩვენს წინანდელ გაუგებრობას ახალი სახი  
გადაუსვით და წრფელი მეგობრობა ახლის სტრიქონებით დაეიწყოს. ჩვენ ხომ  
ველურები არა ვართ, უკან ვიყურებოდეთ, პირიქით, როგორც მოზარდნი მომავა-  
ლნი წინ უნდა მივიწვივდეთ, თორემ ძველი ვალების გამოდგომა, მათი რჯუ-  
ლამდის ჩაყოლა წარმოშობს საზარელს დაუსრულებელ შურის ძიებას, რომე-  
ლიც მოსპობის და გაცამტვერების გზაზე აყენებს ადამიანს. მე და თქვენ კი  
ამ მომაკვდინებელ სენს უნდა ვერიდოთ ყოველთვის.

ვალოდიას უკანასკნელმა სიყვებმა ზრიალით დაუარეს მთელ ტანში  
სალის, იცნო, იგრძნო საძაგელი განცდა შურისძიება სიძულვილისა, რომელიც  
ტკიპასავით ჩაჰკროდა გულსა და გონებაში, განუშორებლად კვალში სდევდა,  
შემდეგ წარმოდგენილი მრავალფეხა ბაბაქუად მოცოცავდა ამისკენ, რათა გა-  
მოეწოვა ცხოველ-მყოფელი ნიშანწყალი არსებობისა.

ამავე სახით ძილშიაც ელანდებოდა და, როდესაც თვალს ახელდა, სიზ-  
მარში ნანახი ლანდი ნატოს სახიერების გათვალისწინებაში იხატებოდა.

სალიმ ორივე ხელები მიიღო გულზე და შესძახა:

— ვალოდი!.. ნუ მელაპარაკებით აგრე... თქვენი სიტყვები მაშინებენ...  
ბრრრ!.. სალის გააკანკალა.

— დამშვიდდით!.. ნუ ღელავთ!.. აბა წავიდეთ, ვნახოთ ის ადგილი, სა-  
დაც გაზაფხულის პირში ერთად ბოსტანი დავთესეთ... იმ დღეს დავათვალიერე  
და თქვენგან ჩაყრილ სიმინდის მარცვლებს უკვე მწვანედ თავები ამოუყვიათ,  
აბა ვნახოთ!..

ვალოდიამ ხელი გამოართვა, სალის თითები რალაც ძალდატანებისგან  
იკრუნჩხებოდნენ.

— დღეს მეტად მხიარულ გუნებაზე ვარ, სალი. გუშინ მათემატიკაში  
გამოცდა კარგად ჩავაბარე, ეხლა კი ისტორიისათვის მოსამზადებლად სამი  
დღით დამითხოვეს და რადგანაც უკვე ვიცი, დრო მეძლევა თქვენთან ხშირად  
ვიბაასო ხოლმე... თქვენთვისაც უჩვეულოდ ღამდება ეს დღე, თქვენი მახარო-  
ბელი ვარ... მაღე, ძალიან მაღე წახვალთ სახლში და მეც, თუ მანამ გამოცდე-  
ბი არ გაგვითავდა, იმ დღისთვის მაინც როგორმე მოვახერხებ გაგაცილოთ.  
იქნება არა გჯერათ, რასაც ვამბობ, მერწმუნეთ, ყველაფერი მართალია.

გუშინწინ შემთხვევით დავესწარი სასტუმრო ოთახში, როდესაც მამა-  
თქვენს ანდრეი პავლოვიჩი უამბობდა ანიას მოულოდნელად გათხოვებაზე: ამა-  
სთანავე დიდის ბოდიშებით ატყობინებდა, რომ თქვენი მომზადება სასწავლებ-  
ლისათვის ამ ოჯახში შეუძლებელი გახდა და სთხოვდა წაეყვანეთ რაც შეი-  
ძლება მაღე. ის მეტი ფულიც, რაც ზაფხულისთვის რჩებოდა თქვენს მოსამზა-  
დებლად პრიკაზში მამითქვენის მაძულის გადასახადში შეერიცხა.

მამათქვენმა ანდრეი პავლოვიჩს დიდის ხვეწნით სთხოვა ერთი კვირე კიდევ დაეტოვებინეთ, ვიდრე მასწავლებელ ქალს მონახავდა თქვენთვის სოფელში წასაყვანად. დარწმუნებული ვარ ის ქალი ამ ზაფხულს უეჭველად მოგამზადებთ და შემოდგომაზე თამამად წარდგებით ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად, თორემ თუ ამ ზაფხულსაც აქ დარჩენილყოფილთა გულახდით გეუბნებით, თქვენი დაღუპვა იქნებოდა, რადგან სასწავლებლის კარები თქვენ წინ სამუდამოდ ჩაიკეტებოდა...

როდესაც წარმოვიდგენდი ხოლმე ამ თქვენს საშიშარ მდგომარეობას და შევლაც არ შემეძლო, ცუდ გუნებაზე ვდგებოდი და იმიტომაც იყო, რომ თანდათან უკან უკან ვიხევდი და ვცდილობდი თქვენთან მართოდ აღარ დავრჩენილიყავი, უნებურად არაწამომცდენოდა რა... ეხლა კი ორივენი სამშვიდობოში გავედით და გეშველათ. ენკენისთვის პირველ რიცხვებში, თავად ადრეც, უფრო უკეთეს პირობებში შევხვდებით ერთმანეთს.

— მაშ ანია იყო ცისკიდურზე გადაქედილი ცისარტყელა, მოჭიკჭიკე შერცხალი გაზაფხულისა, თავდასხმულ ყანიდან ავარდნილი ღალღა, თეთრი გედი, რომლის მსგავს ბატებს მიერეკებოდა ხოლმე სოფელში პატარა თებრო მწვანეზე?

ამ ბუნებისაგან გადმოსროლილ ჰიმნში შერეულმა ანიას მიმართ ხმამ მძლავრად გააწყრილა სალის ყურებთან და სახე შეწითლებულმა მიიხედა ვალოდიასაკენ, რომელიც გვერდში ამომდგარი სკამზე დასაჯდომად მიჰყვებოდა.

სალი ჩამოჯდა ვალოდიას გვერდით მობუზული, უიმედოდ თვალი გააყოლა ყმაწვილის გაწვდენილ ხელს იქით, საითაც სიმინდების მწვანე ნორჩი ფოთლების ოდნავი რხევა, ახლო-მახლო ბლუჯბლუჯად ამოყრილ კიტრის და სხვა ბოსტნეულობის ნასახები თვალს სტაცებდნენ...

— შეხედეთ ამ ჩვენი შრომის პაწია ნიმუშებს... როდესაც სოფელში წავალთ, სირცხვილისგან აღარ გაეწითლდებით და ჩვენც გვეთქმის, რომ თუ იმ დროს, როდესაც სოფლის ფართედ გაქიმულ მინდვრებსა და ბოსტნებში თქვენის დროს არ დავსწრებივართ, მაგიერად, აქ მაინც ხელი რალაზედაც გვიფათურებია და ჩვენ წილად იქაც სამყოფი საქმე გამოგვიჩნდება, როგორც თქვენთვის ბოსტანში სამარგლი, ისე მეც სიმინდების გარშემო თოხის შემოტარება და ვაზებისთვის სარების შედგმა, მინდორში ყანის მკა, ან სიმინდის ტაროების მოჭრა და ამის შემდეგ ჩვენთვის ალალი იქნება თუ ბუსუსიან ეკალ აყრილ ყიყმატა კიტრებს დავუწყებთ ბოხვერასავით ბრტყლად გადაშლილ ფოთლებ ქვეშ წყვეტას, ან კყინტლი სიმინდს დასაბრაწავად ცეცხლზე შევატრიალებთ... ნურც ის დაგვაეწიყდება, თუ შინიდან მოტანილი ჯერით სავსე ხურჯინი როგორ გულუხვად გადაიხსნება, იქიდან ამოლაგდებიან სულზე მთელ-მთელი პურები, კოჭებით ლობიო, ან ცივად მოხარშული ქუბის ხორცი. მწვანილიც იქვე კვლებში, სოფლის უხვი სუფრა, დამქანცავ შრომისგან აშლილი ნადა, ფილტვებით წმინდა ჰაერის დაუზოგავად შესუნთქვა და უკეთესი ადგილიც სად არის, სალი?... ეს გრძნობა ასე თავისუფლად დღემდის არავისთვის არ გადამიშლია, მეშინოდა მასხარად აგდებული არ დავრჩენილიყავ, თქვენც გერიდე-

ბოდით, რაკი ისეც ამ სიამოვნებას მოკლებულს გხედავდით, მაგრამ დღეს ორივენი თავისუფლები ვართ სალი და იმისთვისაც ერთნაირის სიყვარულით და სილალით ვხვდებით ამ ოცნებას!.. ბევრჯერ მომიგონებთ, როდესაც წახვალთ იქ.

— სად?..

— თქვენ სოფლისკენ.

სალიმ ამოიოხრა.

— რა ვქნა, რომ ვერც არა ხდება, ვალოდი?..

ნაღვლიანად წარმოსთქვა და თავი ძირს დაილო, კაბის კალთების სწორება დაიწყო.

— ეს არის ეხლა თქვენვე სთქვით, ოთარი ჩვენთვის მასწავლებელ ქალის დაქირავებას თურმე აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ მივდივარ იქით, საითაც მინდა. თავი ისევ ტყვედ მირჩება, ვალოდი, რაღაზე გავიხარო?..— ვალოდია კარგახანს გაჩუმებული სივრცეში იყურებოდა, გაახსენდა სალის მშობლებთან შეუთვისებლობა და აღარ იცოდა ამ საკითხისთვის საიდან მოევლო.

— თქვენ უმთავრესი გავიწყდებათ სალი. უმთავრესი კი ის არის, რომ აქ სასწავლებლად ჩამოსულხართ და როგორც თქვენგანვე არა ერთხელ გამიგონია, განათლება და ცოდნის მიღება თქვენთვის უმთავრესი მისწრაფებაა ხომ?..

დაილაპარაკა ბოლოს კარგა ფიქრის შემდეგ.

— მერე ვინ მაძლევს განათლებას?. ესენი?.. მამაო ჩვენოსა და ათი მცნებისთვის აქ თუ არ ჩამოვსულიყავი, ჩვენი სოფლის დიაკვანი კი არ მასწავლიდა?.. არც ინსტიტუტში მინდა შესვლა. სხვა სასწავლებელში კი ნატოსა და ოთარის ბრძანებით ფეხი არ შემედგმის, როგორც იმათ შვილს თურმე არ მეკადრება.. რა ვქნა, ვალოდი?

სალიმ ორივე ხელები ვედრებით გაუწვდინა ყმაწვილს.

ვალოდიამ ჩამოართვა, ნახად დაუწყო ხელის სმა..

— არა უშავსრა, სალი, არც აგრეა საქმე, როგორცა გგონიათ.. გახსოვდეთ ყოველ საათს, წუთს, რო იქ დიდკაცებთან არ მიდიხართ, არამედ მოპყვებით მასწავლებელ ქალს, რომელმაც მომზადებული უკანვე უნდა ჩამოგაბრუნოთ. მერეც ვინ იცის რა იქნება, როგორც დღევანდელმა უეცარმა ცვლილებამ შემოდგომამდე გადადებული აქედან წასვლის ვადა ასე შეამოკლა, მაშინაც, ადვილად შესაძლებელია, ისეთი რამ მოხდეს, რაც თქვენს შესაფერ ადგილზე დაგაყენებთ, მანამ ეცადეთ არც ერთი წუთი უსარგებლოდ არ ჩაატაროთ.

— ხომ გაიგონეთ იმ დღეს ანდრე ი პავლოვიჩმა რა სთქვა ღარიბების შესახებ?. მაშინ იმან თავისივე სიტყვებით უკვე დაამტკიცა, რომ ჩვენი დახმარება მარტო უბრალო ჟინის ნაყოფია და არა იმ რწმენისა, თუ გაჭირვებული და უვიცი თავის სიმაღლემდე ასწიოს. ეს კი მის უთქმელადაც გვჯეროდა როგორც შე, მით უმეტეს, მამაჩემს. მაინც ამნაირი ჟინები უფრო მისაღებნი არიან, ვიდრე სხვა უსამართლო მოქმედებანი, რანიც ცხოვრებას გაუძლისად ხდიან.. რასაკვირველია, ჩვენგანაც უგუნურობა იქნებოდა ამიშვიათის შემთხვევით არ გვესარგებლა და ჩვენი გაჭირებისთვის ყური არ მოგვეტება. და სწორედ ის იმედი

ქრისტეშვილი  
გინგულიძე

რო ყველა ეს დროებითია, მათქენინებს, იმ დამცირებას, რასაც ხშირად ჩემი სიღარიბის გამო შევეხები ხოლმე. დღელამეს შრომით ვასწორებ, რათა სასურველ მიზანს მივაღწიო, სწავლა განათლებით შევიჭურვო. თქვენც გირჩევთ ასევე მოიქცეთ, თორემ ასეთი მჩატეები, როგორებიც დღესა ვართ, არც სოფელს ვარგივართ, არც ქალაქს.

სალი ვალოდიას სიტყვებზე უცბად წელში გასწორდა, — <sup>ეჩინე შენი</sup> ~~შეწიველს~~ <sup>ქნდობით</sup> შეხედა.

— მაშ გავყვე მასწავლებელ ქალს, ვალოდი?...

— მაგაზე კითხვაც ძეტია. ყველანი დროებითნი არიან სალი. დღეს თუ იმათთანა ხარ, ხვალ სხვაგან გაჩნდები, რას დაეძებთ როგორებიც უნდა იყვნენ, სანამ მათთან ხართ ეცადეთ, რაც სიკეთეა მათში შეითვისოთ, რაც არა, ხელშეუხებლად მათვე დაუტოვეთ.

— რა კარგადა სთქვით, ვალოდი, რომ ყველაფერი დროებითია... ოთარი, ნატო, მასწავლებელი ქალი... რომ იმათი ცული ისევ იმათთანვე დარჩება!..

შესძახა სალიმ, იქვე გადაშლილ ყვავილ ქონდარას დასწვდა, მოსწყვიტა რამდენიმე ცალი, ერთი ვალოდიას ქინძისთავით გულზე მიუბნია, დანარჩენები ხელში დამუჭა, განზე გადგა და ყუმბარებსავით დაუშინა.

ვალოდიაც სიამოვნებისგან სახე შეწითლებული, რომ სალი მძიმე საგონებელიდან გამოიყვანა, განგებ ხელებს უშვერდა, ვითომ თავს იცავდა.

— ესენიც სულ იმ კარგ სიტყვებისთვის რომ ყველაფერი დროებითია!..

გაიძახოდა სალი და მხიარულად კისკისებდა..

რამდენიმე წამის შემდეგ კმაყოფილებით უყურებდნენ თავიანთ ნათეს სანიმუშო პატარა ბოსტანს, ვიწრო ზოლებად დაკვალულს, მათზე მოელვარე წანწკარებს...

ორივეს თვალთა ხედვის წინ ეს ერთი მტკაველი ადგილი უეცრად ფართოვდებოდა, ხდებოდა თვალუწვდენ ქვეყნად, რომელიც იტევდა გახშირებულ უზარმაზარ გოლიათ ხეებს დაბურულ ტყეებად გამომყურეთ, სინესტე შენახულთ, რათა იქვე მახლობლად მდებარე ტრიალ მინდვრებსა და სოფლებისკენ ზაფხულის პაპანაქების დრისაც კი, როგორც მაშვრალის, ისე ნაშრომისკენ ნამი მიეშველებინათ.

ამ ერთად მეოცნებე ნორჩთა ფიქრებში იჭრებოდნენ არა მარტო მდინარენი, არამედ ლურჯი კამკამა ზღვა, დიდი ოკეანე, მათზე მოცურავი ხომალდები და ხომალდების მმართველად ვალოდია სწორედ მაშინ, როდესაც რკინისგზის ლიანდაგზე მიმქროლავი მატარებელი მომეტებულის ქშენით, საკვამლეში ბოლქვად ავარდნილის, გაძლიერებულის შავის ბოლით იქიდან გამაყრუებელის კივილით მემანქანე ვასილი ხმას აწვდენდა ზღვაში მონაევარდე ვალოდიას, მარჯვედ და ფხიზლად ყოფილიყო.

— თქვენ რომ ზღვებზე იცურაოთ, მაგითი სოფელს რა შეემატება?

შეეკითხა სალი, როდესაც ვალოდიამ ალტაცებით დაასრულა თავისი უკვე ერთხელვე დაგვეგმილი მოძავალი.

— შეემატება... თქვენ არ იცით ზღვაზე გამაგრება რა მიუვალე ციხეა იმ ზმელეთისთვის, რომელიც მის ნაპირზეა?.. აბა თქვენ თვითონ ჩაუფიქრდით, სა-

სარგებლო იქნება მისთვის თუ არა, როდესაც ჩემის ხომალდებით შავ ზღვაზე გავმაგრდები და ამ ქვეყნისკენ წამოსულ მტერს მჭეკავ ზარბაზნებს დავუშენ?..

სალის უცბად თვალწინ წარმოუდგა ვალოდია იმ ძლევით მოსრობებაში, როგორც აუწერდა, თავისი თავი ბუხის ტოლადლა მოაჩვენა და უვიცა სხვრე გოგომ თავი ძირს დაილო.

ვალოდიას არ გამოეპარა სალის შუბლზე ათამაშებულ <sup>ქრქუნულს</sup> ~~ქრქუნულს~~ უკმაყოფილოდ შენიშნა:

— სალი, თქვენ ისევ უკან იხედებით, მეტად ჯიუტი ყოფილხართ!..

— ვალოდი, მე ზღვა დიდ მდინარედ მაქვს წარმოდგენილი. ხომალდიც, როგორც ნავტიკი მტკვარზე მოცურავი. ვითომ ასეა?..

სიტყვა შეუტრიალა სალიმ, რათა შემაწუხებელი ფიქრები თავიდან მოეშორებინა.

— მდინარე სხვაა, ზღვა კიდევ სხვა... ხან ლელავს, ხან ლურჯია, კამკამა, ხან ჯოჯოხეთივით არეული, მრისხანე ზვირთების მსროლელი. ხან ალერსიანი, წყნარი, ხან დაუდგრომელი და შეუბრალებელი მაშინ, როდესაც ის უზარმაზარი წყალი თავის კალაპოტში გაჩერებულია.

— ისე როგორც ცა?..

სალიმ აიხედა მაღლა, უძირო სივრცეს თვალი მიაშტერა, მაზე მოსრიალე თეთრი ღრუბლები წარმოიდგინა იმ ხომალდად, რომელზედაც ვალოდია ბრძანებლობდა.

— გამიგონია ზღვიდან დიდი თევზები ხომალდში თურმე (კვივიან, ფრინველები და თეთრი გედებიც გარშემო უფრენენ... რა კარგი სანახავი უნდა იყვეს. ნეტაი თუ ენახავ როდისმე?

— ჰმ!.. მაინც და მაინც ეგ ნატვრა არც ისეთი ძნელი ასასრულებელია, როგორც გეჩვენებათ.. თუ წინამ ვერ მოახერხებთ, მე რომ ზღვაზე დავინიშნები და ცის ქვეშეთის შემოვლას დავაპირებ, მაშინ შეგატყობინებთ და თუ მოისურვებთ, შემძლიან წაგიყვანოთ არამც თუ მარტო ზღვის სანახავად, არამედ ყველგან, სადაც წავალ.

წარმოსთქვა ამაყად ვალოდიამ, წელში გასწორდა და გულზედ რწმენით ორივე ხელები მიიღო.

სალისაც თითქო ელექტრი შეეხოვო, უეცრად ზეზე წამოვარდა, ხელები ერთმანეთს გადააქდო და თვალზე ზევით ამართულმა ალტაცებით შესძახა:

— ოხ, რა ლამაზი ყოფილხარ, ცხოვრებაე!..

\* \* \*

ერთი კვირის შემდეგ სალი კიაზოს ასე სწერდა:

„— ჩემო პაპა!. დღეს შუადღისას გარემოშვილების სოფელში მივდივართ.. თან მიგვეყება ვიღაც ქალი, რომლის თვალის მომკრავი ჯერ არა ვარ.. როგორც მესმის დიდი ნასწავლი თურმეა და ჩვენც შემოდგომამდე სასწავლებელში შესასვლელად მოგვამზადებს. თუ გახსოვს, ერთხელ შემომპირდი, რაც უნდა შორს ვიყვე მაინც შენს ძახილს გავიგონებო, მაგრამ ბევრჯერ არ მოხდა ასე. ეხლა კი მჯერა, ეს ბარათი ნამდვილად მოვა შენთან, რადგან თითონ ვალოდია თავის

ხელით მოგიტანს.. მომენტარა თქვენი და სოფლის ნახვა, იქნება შენ მაინც მოახერხო გადმოსვლა, რაკი მე ველარ მოვდივარ. მე უნდა ვისწავლო, ბევრი ვისწავლო... მერე... როდესაც ინსტიტუტს გადათავებ, რაც ცას ქვეშეთ ქვეყნებშია და ხალხი ყველა და ყველაფერი ვნახო... ასე, ჩემო პაპა, გაკოცებთ შენც და დიდუღასაც უთვალავს.. სოფელში ვისაც ვახსოვდე სიყვარულით მომიკითხე... არაქმეფონდა ქმანდ იყვეს ვინმე ისეთი, რომელსაც დავიწყებული ვყავდე, როგორც მე დავიწყებული კმათგანი. ნახვამდის!

შენი სალი.

სალიმ რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი და კილო ეოცა. თითქო სალის ესწრაფებოდა პაპას აქედან გაეტაცა!.. ეხლა კი ამ უმთავრეს საკითხს აფუჩეჩებდა, გვერდს უხვევდა!..

სალის საპასუხოდ წინ უდგებოდა ვალოდია, რომელიც მეტადრე ამ უკანასკნელ დღეებში ამის სურვილებზე რალაც იღუშალის ძალით განაგებდა, აზრებს სრულიად ახალის ბრწყინვალე ხაზებით უფერადებდა. არც კურკუზოვები ეჩვენებოდნენ უსიამოვნო ხალხად, მაღლობითაც უყურებდა, რაკი მათ ოჯახში გასცნობოდა ანიას და ვალოდიას. ამ დიდ ქალაქში ეს სუსტი ბიჭი ეჩვენებოდა მფარველ ანგელოზად, რომელსაც გახარებისა და გამხნეების რტო ეჭირა ხელში და სადგურამდე იმ შთაგონებით მიუძლოდა, რომ თუ ინსტიტუტში თავს კარგად ვერ იგრძნობდა, მოეთმინა ვიდრე ვალოდია მაღალ სასწავლებელს გაათავებდა... მაშინ კი სალის... აქ სალის ოცნებას მზის თვალის მომჭრელი სხივები ისუტავდნენ და მის ელვარებაში ველარ არკვევდა, თუ მათი სრბოლა სადამდე მიდიოდა.

სალი ღიმილით უყურებდა იქვე მდგარ ვალოდიას, რომელიც ის იყო მოსულიყო სასწავლებელიდან, ჩანთიდან წიგნებს ალაგებდა.

— აი წერილი, ვალოდი. როგორც დამპირდით პაპას მიუტანთ არა?..

— თქვენ უკვე იცით, სალი, რომ სიტყვის ადამიანი ვარ!.

დინჯად და მფარველობით უპასუხა მან და სალის გვერდით მოუჯდა.

— თითქო ჯიბრზე, ამ კვირეში ყოველდღე ზედიზედ მოგვაყარეს გამოცდები, მაგრამ სადამდისაც შესაძლებელი იქნება გამოგყვებით. იმ მატარებელზე, რითაც თქვენ მიდიხართ, მემანქანედ მამა ჩემია..

— მერე ხვალ კლასში რომ უნდა წახვიდეთ?..

— ფიქრი არ არი... ხვალინდელსაც ჯეროვანად გავუსწორდები...

სალის უნდოდა კიდევ რალაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს შემოეხვიენენ დარიკო, გლებიკი და ლიუბა, უკანასკნელები მეტად დაშაქრული სიტყვებით სთხოვდნენ არ დავიწყებოდათ უკან დაბრუნების დროს ტკბილი ჩურჩხილების ჩამოტანა.

— რო იცოდეთ, პატარა გვრიტებო, ჩემი ანია წერილებში რა ხშირად გკითხულობთ და იხვეწება სახლში მალე გავიშვათ. წარმოდგენილი მაქვს როგორ გაეხარდება თქვენს წასვლას რო გაეავებინებ!..

ვაჭიანურებით ამბობდა ავაფია, თან სამზარეულოში მოუსვენრად შედიგადიოდა, მზარეულს აჩქარებდა ბავშვებისთვის საგზაოდ გასატანებელი ნამცხ-



ვარი არ დაგვიანებოდათ, თითქო ამ ნამცხვართ უნდოდა ამოელესა ის ნაპრა-  
ლები, რომლებიც პატარა ქალებთან მოქცევის გამო თურმე შეუმჩნევლად აღმო-  
ჩენილიყვნენ მის სინიდის მხილებაში და დღეს მწვავედ მოქმედებდნენ.

სალი ხედავდა ლუარსაბს, როგორ უხაროდა ამათი სახლში წასვლა.

— ნეტა მასწავლებელი როგორღა შეხვდებოდა, აქ ერთი ყოფილიყო?.

მაგრამ ერთი თვეც იყო მას აქეთ რაც ბინა გამოეცვალა, სხვა სასახურში  
გადასულიყო და ანდრეი პავლოვიჩს სრულიად გასხლეთოდა ხელიდან...

— ლუარსაბს რაღა ახარებდა?.. ნუთუ ამათი აქ ყოფნა შრომას უმატებდა?..  
არა. მიზეზი სხვა იყო. სალის მართო დღეს აგონდებოდა ერთი შემთხვევა,  
რისთვისაც წინაღ აგრე რიგად ყურადღება არ მიექცია.

დღეს კი ლუარსაბის ღიმილი ხატავდნენ მას, რაც მაშინ გაეგონა.

— სწორე გითხრა, სვიმონ, აზრს ვერ მოვსულვარ, ვერ გამიგია ამ პა-  
ტარა ქალების მამის ანგარიში რაში მდგომარეობს, რომ ეს საწყლები აქ მო-  
ლალა, როდესაც ქალაქი სავსეა სასწავლებლებით?.. თუ თავში არ უქრის, ტყუი-  
ლად რისთვის ჰყრის წყალში ამოდენა ფულს, რის გულისთვისაც ჩვენ უმი-  
წაწყლონი გადმოვეცვინულვართ საიდან სადამდის და ფულიან ხალხს ეემსახუ-  
რებით? იმ დღეს ამათი სარიდანა შემომჩიოდა, შემომნატროდა, რომ თვისთვე-  
ობაზე გაუწყვალბლად ვიღებ ჯამაგირს, როდესაც ის საწყალი წლითიწლო-  
ბამდის ელრიჯება ბატონს, როგორმე გაინაღდოს თავისი ნაშრომი. პირიქით მას  
უხდაბა ხელის გამართვა, როდესაც ხშირად აბაზსაც კი მონატრებული თავადი  
აქეთ-იქით სესხებზე დაარბენინებს. აქ კი ფულს ბზესავით აბნეეს, ბავშვებიც  
უცოდინარნი ურჩებიან.

— ოჰ, რა ამბავია?.. აბარგულხართ?.. იქნება სახლშიაც მიბრძანდებით?..  
ღმერთმა გზა დაგილოცოთ!

მოისმა ჩვეულებრივი დანელრეული ხმა მოლოზანისა და როდესაც ნახა  
მეტი თვალყური შორს იყო, ცალ ყბაზე ხელაფარებულმა ჩურჩულით განაგრძო:

— ძლივს აქაურ წვალებას გადაურჩებით, შვილო. იმისთვისაც იყო, რომ  
თქვენგან შინ მიწერილი წერილის შინაარსი სიტყვა-სიტყვით გადავეცი, ეგებ  
შეშინებოდათ და ადამიანურად მოქცეულიყვნენ. ეჰ, დედ-მამის სახლისთანა-  
ტკბილი ქვეყანაზე რაღაა თუ რასაკვირველია კარგებთანა გაქვთ საქმე და არა  
იმათთანებთან, როგორებიც ჩვენები იყვნენ. ის ჩემის ცოდით სულწაწყმედი-  
ლები, კიდევაც იმათი წყალობაა, დღეს რომ გაუთხოვარი დავბერებულვარ,  
ძმის ცოლისგან გამოგდებული, დედ-მამის ქონებაში წილდაუდებელი, მათხო-  
ვარსავით ხელ გაწვდილი აქეთ იქით მოწიალე, ღვთის მსახურებაზე მქადაგე-  
ბელი, ეგებ დღიური ლუკმა როგორმე შეეჭამო.

მოლოზანი არ იმჩნევდა, სალი მას აბრეზით როგორ უყურებდა.

თუმცა მოლოზანის თვალეში მომდგარი ცრემლები სალის აგონებდნენ,  
რომ მისი არსება მართლათაც რაღაც მწვავე გრძნობას განიცდიდა, მაგრამ ამ  
წუთებში სალის მისთვის არ ეცალა და როდესაც მოლოზანი დარწმუნდა პა-  
ტარა ქალის უგულოდ დახვედრაზე, ამოიოხრა, თავის ქნევით და ბუტბუტით  
მოშორდა.

— ეჰ, შენ რაღა გაგამტყუნო, როდესაც მე თვითონ გამოსულელებულმა აღარ ვიცი ვის რა ველაპარაკო?... რას მიმიხვდები ჯერ პირზე რძე არ შეგშრობია, როდესაც ჩემი ხნის მახლობლები ჩემთვის ქვასა და ლოდს არა ზოგავენ?... ღმერთმა ინებოს ეხლანდელი მოზარდები მაინც ასცდენოდეთ ჩემებრ უბინაო და გაუკითხავის ბედსა!..

სალის ყრუდ და სუსტად, მაინც საკმაოდ სწვდებოდნენ გამწვანავი სიტყვები, თუმცა ამავე დროს გახალისებული გული ახალ ჰანგზე ჩონგურს უკრავდა, გულში თვითონვე ზედ დამღეროდა და მოლოზნის ჩივილი მის გარშემო სუსტ შავ წერტილად-ლა ხტოდა.

\* \* \*

— აბა ჰა!.. მაფრაშა ჩქარა!.. ქოშინით და დიდგულად შემოიძახა დერეფნიდან.

— ნუ გეშინიან, ძამიავ, რაც მოგიტანია უკანვე მიირთვი!..

სარიდანას შეკრულ შუბლზე ხაზები აუთამაშდნენ, დაბღვერით გამოხედა ლუარსაბს, რომელმაც მაფრაშა გორებით წინ მიაგება...

— ეჰ, გეტყობა თავი ქუდში გაქვს სიტყვებს, რომ აგრე მიტრიზავენ. გასაკვირველიც არ დრი. ჩემსავით დიდი ჯაფა არ გაწევს მხრებზე და ერთხელვე მოწესრიგებულ საქმეს იცავ... მე კი მუდამ აფორიაქებულ უგზო-უკვლო აზნეულობაში გიყ მოზვერსავით ეტრიალებ, სანამ საითმე თავის საწველად კედელს გავანგრევდე... თუნდ ამითი აქედან წაყვანა, ისე რომ ამითი ეტლი უსათუოდ დედ-მამის ეტლს უკან კუდში მიჰყვენენ, აქეთ-იქით გადახვევა სასტიკად აკრძალულია. ახლა სადგურზე დაგროვილი ბარგის ვაგონში დაბინავება, ბილეთების ყიდვა, ყვილა ეს ჩემ კისერზეა... ამას კიდევ ზედ დაუმატოთ დაქირავებული მასწავლებელი ქალიც... უნდა ნახო რა შეუქურაა, იმის შემხედვარეს თვალი ისე გაუძღება, ჩემი სიყრმის მზემა, რომ ერთ თვესაც აღარ მოაგონდება ქალისკენ ვახედვა...

სარიდანამ და ლუარსაბმა მაფრაშა მეეტლეს ფეხებ წინ დაუდეს...

— აბა ჩქარა!.. ჩქარა მოდიოთ!.. რაღაზე გაშტერდით?... აქ ყოფნით ველარ ვაძეხით თუ?... — შემოაძახა გარედან კვლავ წყრომით სარიდანამ.

— დიახ, მე მინდა პატარა ქალები გავაცილო, — წარმოსთქვა ვალოდიამ, როდესაც აგაფია პეტროვნა შეეკითხა საით ეპირებოდა?..

— ანდრეი პავლოვიჩსაც, თითქო განგებ, დღეისთვის გამოუტყვრა გამო-სარკვევი საქმეები, ამდენხანს არსადა სჩანს. ხომ იცოდა დღეს ბავშვები გასასტუმრებლები ჰყვანდნენ?! — თითქო ყვედრებითაც დაუმატა და დარცხვენილსავით შეხედა ვალოდიას, რომელიც ქუდით ხელში სალის და დარიკოს უკან მისდევდა.

— ოჰო, თქვენ სადღა?..

— პატარა ქალებთან... სადგურზე...

— ღმერთმანი?..

— მე მინდა...

— არ შეიძლება!.. თავზე ხომ ვერ დაგისვამთ და აქ კი სხვა ადგილი არ არი. მეეტლეს გვერდით კი მე უნდა დავჯდე.

ეტლში მარტო ორნი იქნებიან... წინა სკამზე...

— ააა!.. უკაცრავად!.. არ შეიძლება... მაგათმა დედამ ესენი თქვენთან ეტლში რომ დაინახოს, ვაი ჩემი ბრალი მაშინ!..

— სარიდან!..— შეჭკივლა ამ დროს განწირულის ხმით მარტო, ეტლიდან ორივე ხელები გამოუწვდინა ვალოდიას, რომელმაც დააპირა შენტომა, მაგრამ სარიდანას ნიშნებაზე ეტლი უცბად გაექანა.

მარჯვნივ!.. პირდაპირ!.. აგერა ჩვენებიც!..— ეტლების გრიალში დრო და დრო მოისმოდა სარიდანას ბრძანება...

— პაპაშა!.. შეხედე!..— უცბად ხელი ჰკრა დარიკომ სალის.

— აგერა მამას თავი დაუკრა, ახლა ჩვენ გვიახლოვდება...

მთლად მოშვებული, გაფითრებული და უძრავად მყოფი სალი პაპაშას ხსენებაზე თითქო ცნობიერებაში მოვიდა და, რა დარწმუნდა წუთების შედგარ თვითნებობაში, გარინდებულმა თავი გვერდზე მიიღო და მართლაც დაინახა ამათკენ პირდაპირ მიმჭროლავ ეტლში ანდრეი პავლოვიჩი თავზე ქუდს იხურავდა, ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა, ბავშვებისკენ აღარ იხედებოდა, ან კი რისთვის, როდესაც ამათთან უკვე ყოველგვარი ანგარიში გაეწყვიტა?.. მისი სახლ-კარი განზე დარჩენოდათ, იმათთან ვალოდიაც... სალი ხედავდა სადგურზედაც სარიდანა აქეთ-იქით ჩვეულებრივად როგორ დარბოდა, ოთარი კი ცოლშვილით ნებანებისად მაგიდას შემოსხდომოდნენ, უფროს ქალიშვილებს ნაცნობი ქალ-ვაჯნი ადევნებოდნენ, დანარჩენებს ცალკე ადგილი აერჩიათ და ერთად შეჯგუფულები ოთარის განკარგულებას ელოდნენ.

სალის გონება მატარებლისკენ სწევდა, მგზავრებისკენ ახედებდა და თვითულის უცაბედი შეხება სახეში სიწითლეს ჰგვრიდა მეტადრე მაშინ, როდესაც თვალს მოჰკრავდა რომელსამე ქერა ლურჯთვალება ახალგაზრდას და თავშეუზავრებლად პირიდან დასცდებოდა:

— ახ!.. ვალოდი, თქვენა?..

მაგრამ ვალოდიას ლანდი არეულ ხალხში ჰქრებოდა, სალის რწმენა კი მაინც ელოდა.

— ნუ თუ ვალოდია მიხედავს სარიდანას უკმეხ სიტყვებს და სადგურზე არ გამოვა?.. ადვილად შესაძლებელია, რადგან ვალოდი თავმოყვარეა!..

— ახ!.. რატომ თქვენ ვალოდია არა ხართ?!— შეკვნესოდა გული სალის, როდესაც შეაჩერდებოდა ვისმეს...

აგერა სალის წინ გამოიჩნდა ღრიჭინ-ღრიჭინით პატარა ოთხთვალა დაბარგული გორილა, რომელსაც აწვებოდნენ მუშები, სალიმ ადგილი იცვალა, გაჩერდა მატარებლის ორთქლის მსროლელ ქვაბის წინ და ვილასაც გაფაციცებით ძებნა დაუწყო, თვალი მოჰკრა ხელებ გაშავებულ, სახე აღანძულ მემანქანეს, გავარვარებულ ნაკვერჩხლებს საჩხრეკით ურევდა და სალის დაუძახეს სწორედ იმ დროს, როდესაც მემანქანეში ვალოდიას მამა, ვასილი იცნო.

## XIII

— პარდონ, პრენს! ალბად ძალიან დავიგვიანე! — ამბობდა ტანდაბალი სქელი ქალი, ცალ ხელში ვერცხლის სათუთუნე ეჭირა, მეორე ხელის ორის თით კი გაშლილი ცხვირსახოცის კუთხის ერთი წვერი, მხარზე გადაეგდო წვრილი თასმით შემაგრებული საგზაო ჩანთა, შლიაპასა და ნახევრე შავი პირბადე ეფარა. მაგრამ შავ ბლონდში მაინც საკმაოდ ცხოვლად გამოუჩანდა ქარხალსავით წითელი სახე და მომსხოდ ძირ გამდგარი ცხვირი.

— არც აგრე დაგვიანებულია, როგორც ფიქრობთ. ბილეთებიც ეს არის ეხლა ავიღეთ.

ზრდილობიანად უბასუხა ოთარმა და მაშინვე ცოლს ნოუბრუნდა.

ნატო გუნებაზე ვერ იყო, ჟინიანობდა, ცდილობდა ყველას თვალში დვირე ეპოვა.

დაირეკა მეორე ზარი, მგზავრები დაფაცურდნენ, მასწავლებელი ქალი გამოუტრიალდა ბავშვებს და პირბადის ქვეშ წვრილმა, უწამწამო წითელ კილოიანმა ქროდა თვალებმა გაუცინეს.

— Allons enfants! — შესძახა უკვე უფლებით აღჭურვილმა ქალმა და თამამად გაუძღვა ბავშვებს მატარებელისკენ.

სალის გაახსენდა ვალოდიასგან დაბარებული, უსათუოდ დამორჩილებოდა ამ ქალს როგორიც უნდა ყოფილიყო, და თავ დაღუნული გაჰყვა.

მარი სემიონოვნა, როგორც ეძახოდნენ ქალს, თავის საქმეში დახელოვნებული აღმოჩნდა. ვაგონში მოძებნა მოხერხებული ადგილი უფროსებზე გაცალკეებით, შევირდები გარს შემოისხა და მაშინვე დაუწყო ჭკუის სწავლება. არიგებდა როგორ მოქცეულიყვნენ, როგორ შეეხედათ ყოველ საგნისთვის, რომელიც კი მათ თვალწინ ჩნდებოდა, ლაპარაკში დაუღალაობა ემჩნეოდა.

ნატოს დავალებით მეტ ნაწილად ფრანგულად ლაპარაკობდა, მაგრამ არჩილის გარდა რაკი დანარჩენ შევირდებში გამგონე აღარავინ ჰყავდა, ისევ რუსულზე გადადიოდა და თთვისივე სიტყვებით აღტაცებულს შესასვენებლად წერტილის დროზე დასმა ავიწყდებოდა; შევირდებიც მოკრძალებით შეჰყურებდნენ, თუ ეს ქალი ჩანთიდან როგორ იღებდა სახეზე დასაყრელ თეთრი ხრილის პატარა კოლოფს და ბუმბულის ფუნჯით წითელ ცხვირზე დაუხოგავად მალიმალ თეთრ მტვერს იყრიდა.

მის შემყურე სალის თუ დრო და დრო რაღაც უიმედობის ექვები წამოურბენდნენ, მათგან საჩქაროდ რომ თავი დაეხწია გასართობად აქეთიქით იხედებოდა.

მარი სემიონოვნას შეხედულობა სალის ყურადღებას მაინც უფრო მეტად იპყრობდა, ვიდრე ერთხელვე და სამუდამოდ შეწყნარებული, ერთსა და იმავე გეგმაზე გამოწყობით გამოკვეთილი ნაკვთი, რომელიც ხშირის შეხვედრით კიდევაც მოსწყენოდა.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ძლივს მატარებელი ეტლებმა შესცვალეს და სოფელშიაც მზის დასვლისას შევიდნენ.

ცხენებს მინდვრიდან მომავალი ღორ-ხბო ფეხებში ედებოდა და დამფრთხალი კირწიკორწით ჭყვილ-ბლავილით აქეთ-იქით გარბოდა.

ღობეზე ზურგ მიყუდებული მწყემსი დიდის კომბლით ხელში მუტულ ქვეშ გამოპყურებდა სამ სამ ეტლს, რომელთ თქარა-თქურისაგან ყურთა სენა წართმეოდა. საღამოს სიგრილე, სუბუქი ჰაერი, მღვევებსავით გრძლად გაწვდილი ტყით დაბურული მთები საღისკენ მღუმარედ იყურებოდნენ. *მწყემსი ამის პატარა სულს თავისკენ იწვევდნენ.*

გარემოშვილების სოფელი მთის კალთაზე შეფენილიყო, თვალუწვდენ ბაღნარებსა და ვენახებში ორ სართულიანი სახლები ქურდულად გამოპყურებდნენ იქვე გარს შემორტყმულ სიღარიბის აღსანიშნავად სახელდახელოდ ტალახში ზღზვით შეზედილ ქობმახებს, რომელნიც დღენაკლებ ბავშვებსავით მისუსტებულნი ბუნების ოდნავ გაჯავრების დროსაც კი დასაშლელად ზრიალებდნენ.

მომჩქეფი ტალღები მდინარეებისა მათ დასუსტებაზე, თითქო გაგულისებით უკმაყოფილოდ ბუტბუტებდნენ.

სოფელში ვაჭრობაც გაჩაღებულიყო, ორ სამ სამკედლოდან დრო გამოზომილად მძიმედ და მედგრად ეშვებოდა ცეცხლში გავარვარებულ გამდნარ რკინაზე ურო და მკლავმაგარ მკედლისგან დამორჩილებული გაცომებული ლითონი მის მოსაზრებასთან შეთანხმებით სხვადასხვა სახეობად ყალიბდებოდა. იქვე სამიკიტნოდან მოქეიფეთა ჭყვირილი, არღნის კიკყინი საღის ახედებდა ორ ჩახნულ ბრგე სახეშეწითლებულ თვალეებში სისხლ მოწოლილ კაცებისკენ, რომელნიც ბაღდარურს უვლიდნენ და თავზე საღვინე დადგმულნი ტანის საეჭვო რხევით, მეტად თვალში საჩოთიროდ, გონჯად და საშიშრად ეჩვენებოდნენ უმანკო სანახავეებთან არა მკითხედ შემოჭრილნი.

— აგერა მამიდას სახლი, საცაა ჩვენ გაღავანსაც მივადვებით! ალტაცებით გაიძახოდნენ ბავშვები და მოუთმენლად ტოკავდნენ. ეტლები შეგრი-  
აღდნენ გაღავანში. თუთის ქვეშ აბრანძულ კაბაში ჩაცუცქული მენიკა თიხის ჯამში მატიტელას სჭრიდა, შენაღვებ დოში რევდა.

ინით თავშეღებილი ინდოურის ჭუკები ჯამში უცვიოდნენ და ესეც მოჩლექილის ენით უაღერსებდა. მაგრამ გაიგონა თუ არა ეტლების გრიალი, ზეზე წამოდგა და ახლად მოსულებს ღიმილით დაუძახა:

— ჩხირი კედელსა, ძლივს სახლში დაბრუნება არ მოგგონებიათ?..

ნატომ არ შეიმჩნია ეს საყვედურით აღსავსე შემოძახილი და მაშინვე საქმეზე მიაყენა, სარიდანას ეტლიდან ბარგის გადმოლაგებაში მოხმარებოდა, სწორედ მაშინ, როდესაც ბავშვები გარს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ.

— ოჰ, სალი, შენც მოხვედი?! როგორ მოხდა შენ პაპასა და დიდედას შეელიე?— შეეკითხა მენიკა, როდესაც ეტლიდან ძლივს გადმოათრია ბოხჩა. საღის ეს კითხვა ლახვარსავით მოხვდა პირდაპირ გულში. თვალეები ძირს დახარა და რალაც ძალდატანებისგან ტუჩები აუთრთოლდა.

— ვახლავარ ჩემ ბიძაშვილებს! როგორ მშვიდობით გიკითხოთ?.. კარგათ?

მოისმა მენიკას გვერდით ვილასიც ხმა. სალი მოტრიალდა, დაინახა ბერ-კეტივით მაღალი, ტანისამოს დაფლეთილი, მატყლსავით თმა მოთელილი ხშირ წარბებიდან დაბლვერით გამომყურე კაცი. ალბად ეს ლამაზიც უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობდნენ სახეზე აქა იქ აღნიშნული ხაზები, მაგრამ შეუფერებელ ცხოვრებას მისთვის ბუნებრივი იერი წაერთმია და გარდაქცეულიყო იმათ, რაც არ უნდა ყოფილიყო.

აღამიანის ასეთ ცვალებას სალი დიდი ხანია დაკვირვებოდა, მაგრამ მაინც გაუყვირდა, როდესაც მან ღრექით უთხრა:

— აქამდის სადა ბრძანდებოდით, ჩემო ბიძაშვილო? კაცი დავბერდი და დღევანდლამდე არ მინახივხარ? თუმცა გამიგონია თურმე სადღაცა მყავდი, მაგრამ სადღაც ყოფნა ანგარიშში ჩასავდები არ არი. აქ უნდა იყო, ჩემო დაო, აქ, შენ დედმამასთან თორემ ბოლოს ინანებ. ერთი მითხარი, ამოდენა ადგილზე ველარ დაეტიე, რომ სხვაგან გარბიხარ? მარტო ეს ერთი უზო რად გიღირს წლითი წლობამდე რო გამოყრუებულა მაშინ, როდესაც ცალკე შენ თითქო ამ ზღვა მინდორზე ვერ მოთავსებულხარ, ცალკე მე, შენი უფროსი ბიძის შვილი, ამ სოფელშივე სადღაც წყლის პირას ლამზე ერთ საცოდავ ქობში მოგკრუნჩხულვარ წვრილის ცოლშვილით, გამხმარი ქადის მლოლნავე... ამას ისიც დაუმატე თუ წლითი წლობამდე ნიაღვარი და ქარბუქი ქობის ერდოდან წალამსა და ჩალას როგორ მინგრევ-მიღეწავს, აქ კი ეს ოთახები ხშირად გამოკეტილები, ეზოც ძაღლ-ლორისგან, თუ სხვა მურტალ ცხოველებსაგან აკლებული, პატრონს თხოულობს. თუნდ მე რად უნდა ვიყო ამ დღეში ჩაუარდნილი, როდესაც ისეთივე მონაწილე ვარ აქაურობისა, როგორც შენი ცინდალა ძმები? განა მე კი გარემოშვილი არა ვარ და არა ფაციაშვილი, რომლის გვარიც თვალების ასახვევად მომაკოსეს? განა ბიძაშენს მეც ისე არ გავუჩენივარ, როგორც მამაშენს არჩილა? ალბად იმისთვის, რო დედაჩემი ნამოახლარი გლეხის ქალი იყო და ჯვარ დაუწერავი. კანონიც იმითვინ არ მიწყნარებს?... მაგითანა კანონის მომგონებელის კი... — აქ პავლე უშვერად გაილანძლა და მაგრად დაჭიმული მუშტი ჰაერში გაიქნია.

— თუ ღმერთი გწამს ეგ შენი არღანი უხეიროდ ნუ ააჭიკყინე! თუ დათვერი, თვითონაც აღარ გესმის რას ბოდავ და რას არა!.. გიჯობს წახვიდე და დაიძინო. — მიატანა შემკრთალმა მენიკამ.

— რაო?... დავიძინო?... ხომ არ გნებავს ყოველთვის მეძინოს?... მაგრამ უკაცრავად... მე ეხლა უნდა გამოვფხიზლდე, ჩემ თავს მოვუარო და ამოვიგოს რაც ჩემი უპრიანია.

— ვაი, შე საცოდავო, გული ქინკრაქასი გაქვს და საქმე კი გათახსირებულისა...

აბა ჰე, ვინძლო კანონი მაღლა ააბრუნო და ბიძაშენებს მთა და ბარი გაუყო — ჩაილაპარაკა მწირის ღიმილით მენიკამ.

— თუ მოხდა ასე ხომ კარგი, თუ არა და ვაი შენ დღესა მაშინ, დედაჩემო!.. თუ ამათ ვერ მივწვდი, ე შენ ხომ ხელში მყევხარ!.. ღმერთმა ისე ნუ მომკლას შენი ჯავრი მაინც არ ამოვიყარო! ჩემი ასეთი ყოფნა, მასხარად აგ-

დება გლეხებსა თუ თავადებში სულ ი შენი სიცუდის ბრალია და კიდევაც დამცინი?... ვაი დედიჩემის ღმერთსა! არც ისეა ჩემი საქმე, რომ საიქიოსაკენ სულის საცხონებლად ერთი შენისთანა ბატკანი არ გავიმძღვარო. ჯერ ამისთვის არა მცალიან და მერე განახვებ რაც ბიჭი ვარ... თუ სხვებს არა, ე შენზე კი ამოვიყრი გულის ბუხარსა და მერე საცა წვრილი იყოს, ექვსადეს! შესძახა პავლემ, გულში ორივე მუშტი ჩაირტყა და გაგლეჯილ ქაღალტებში ტიტველა ფეხებწაყრილი ფრატუნით და ტორტმანით ოთარისკენ წავიდა.

— თვალი კი დაგიდა, რომ შენს მუჭარას ბარაქა არა აქვს!.. დამიხედეთ წყალ წაღებულს, თავადობისთვისაც რო კიდევ მაინც თვალებს ბრეცავს!.. სიკვდილმა კაცი მოკლაო და მჯერა იმისგანაო. მე უკვე მკვდარი ვარ მას აქეთ, რაც შენ გამიჩნდი და სიკვდილი კი კაცის თავზე სიცოცხლეში მარტო ერთხელ მოდის... — ჩაილაპარაკა მწარედ მენიკამ.

სალის თვალს არ გამოეპარა პავლეს უეცარი ცვლილება, როდესაც ოთარის წინ გაჩნდა ქუდმოხდილი, მათხოვარსავით აბუზული.

ოთარმაც ჯიბიდან ერთი ბლუჯა წვრილი ფული ამოიღო და მისცა.

პავლემ მეტად კმაყოფილი ღრეჭით წავიდა გალავნის კარებისკენ.

— ნახე სად დაჰკრა შენმა ფაფხურმა და ბაქიაობამ!..

ან რა გამიკვირდეს, ჯერ თავანკრები რა ხართ, შეილო, რომ ნაბუშრები რა იყვეთ?! მიწამ კი გიყოს პირი აჰანდე!..

მენიკამ ორივე ხელებით ქოქოლა მიაყარა პავლეს და განაგრძო ბარგის ზიდვა. სალისთვის „ბუშის“ გაგონება და მენიკასი და პავლეს მდგომარეობის ნათლად გათვალისწინება, ერთი იყო. დიდიხანია მარიაამისგან განმარტებული ჰქონდა თუ ამ გვარ შემთხვევათა თანდათანობითი მსვლელობას რა შეუწყნარებელი შედეგები მოსდევდნენ, როგორც კანონის მიერ, ისე ხალხისაგანაც, რომ ქალი, რომელსაც ამ მხრივ ღმერთი გაუწყრებოდა ცოცხალი, დამარხულად უნდა ჩათვლილიყო. ამ აზრს თვით მენიკაც თავისივე სიტყვებით ადასტურებდა, სალის ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

— განა მეც ისეთივე შეილი არა ვარ ბიძაშენისა, ან მემკვიდრე ამ მიდამოებისა, როგორც მამაშენის არჩილა?..

თითქო მოისმა უკვე გალავანს გაცილებულ პავლესგან და სალიმაც ამ ხმასთან ერთად გაბღვირა უსამართლო კანონს, დამძიმებულის გულით მიმოიხედა, უფრო ცხადად გაარკვია პავლეს ბიძაშვილები დიდით პატარამდე ეზოში თავისუფლად, მდგომარეობის შეფერვებით როგორ მძლავრად დაფარფაშებდნენ, ბრძანებლობდნენ, როგორც ეკადრებოდათ კანონიერ მესაკუთრეთ. როგორც პავლემ სთქვა, მართლაც ეს თვალუწვდენი ეზო ხშირად გამოცალიერებულიც რჩებოდა, რაკი ოთარის ოჯახი მარტო ზაფხულობით წმინდა პაერის ჩასაყლაპად მოდიოდა...

ეს არის ეხლაც მებაღე სოსემ გაულო დაკეტილი სახლის კარი, დღემდის დაუქმებული. მენიკა სულ ბოლო ოთახში შეყუჟულიყო. ამის ოთახზე მომდგარ კიდევ ორი ოთახის თითქო გაბუტვით ერთმანეთზე გაცალკეებული გადანგრეული კედლები აქა-იქ აჩხიროულიყვნენ და ზედ შერჩენილ სარკმელ კარებებით

მეტადრე ბინდისას საშიშარ მოჩვენებად ატუზულიყვნენ... მენიკა მაინც არ შორდებოდა ამ ნანგრევებს დაბრანძულის ტანისამოსით, ჯათისგან უდროოდ გატეხილი, თითქო თავისთან ერთად აქ ჩაემარხა რაღაც ძვირფასი საუნჯე, რომელსაც გულმოდგინებით სდარაჯობდა.

მენიკას ამ ნანგრევებშივე ჰყავდნენ დაბუდული ინდოურები, ქათმები, როგორც უცხო ჯიშისანი, ისე უბრალოებიც და ყველას სეზონურად კვებდნენ. თუ უბრალო ქათმები ციცირობს დრო და დრო ახირებულის კაკანით თავზე სიცილს დააყრიდნენ, როდესაც უკანასკნელი უცხო ჰაერის და შეუსაბამო მოვლის გამო რიცხვით მცირდებოდნენ, ან სასიკვდილოდ მობუზუნნი, როგორც მენიკა იტყოდა ხოლმე, ანდერძსა სწერდნენ, მაშინაც მათთვის თავდადებული მომვლელი მოპრიგებელ მოსამართლედ შუაზე უდგებოდა და მაშინვე ორივე მხარე წყნარდებოდა. სალის თვალშიაც ბუზების ტოლად ეჩვენენ ორიოდე ძროხა, ორი ცხენი და მათთან რამდენიმე ღორი... ამ დიდშენობაში უხვად ფეინ დაყრილი, აშმორებული ცალიერი ბოგირები მოწმობდნენ იმ უმრავლეს ნაბამ საქონელზე, რომელთვისაც ოთარს სხვა პატრონი გაეჩინა... მარჯვნივ ქვიტკირის კედელში სალიმ კარი შეაღო და გაჩნდა ხილის ბაზში, თავსუფალმა ნიავემა შემობერა სახეში. აქ ხეხილის ნაყოფები ერთი მეორეს მიჰკროდნენ და ოდნავ შერხევაზე შეშინებულები ცაბცახებდნენ. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ოთარისგან ყვავილობისასვე გაყიდულიყვნენ და დღეს მყიდველს დღე-დღეზე ელოდებოდნენ... სალის კედელ-კედელ, ერთი მეორეზე მიყოლებით აცილებდნენ მოცხარის და კინკრიქას ბუჩქები, შეუშინევლად აახლოვებდნენ კოშკთან, სადაც ლოდებსა და წვრილ ქვებ შორის ხელიკები დაძვრებოდნენ, გომფეშოები იფშლაკებოდნენ... კოშკის სათოფურიდან ბაიყუში კიოდა... შეშინებულმა სალიმ უკან დაიწია, მაგრამ ბალიდან გასასვლელი კარი ვეღარ ნახა... მაგიერად კოშკთან ღობე გატეხილიყო... სალის მოაგონდა კიაზოს სოფელში სწორედ ასეთსავე დაბალ ღობეზე როგორ შედგებოდა ხოლმე ბავშვებთან ერთად, ლაწა-ლუწს აუყენებდა და აი ეხლაც განმეორდა ის სასიამოვნო ხმაური, თვალთახედვის წინ გაიშალა მინდორი, თავისუფლად გაქიმული სოფელი, მის ზურგს უკან გოლიათებად აყუდული მთები, საყდრების მოლაპლაპე გუმბათები... ცის დასავალს ჩამავალ მხისგან ცეცხლი ეკიდა, მეწამული ცა, თითქო მდინარეს ზედაპირს მხურვალედ ეკონებოდა და მდინარეც რამდენიმე ტოტად დაყოფილი მარდად, ცოცხლად მოხმაურობდა.

სალიმ ღობეზე თავი ვეღარ შეიმაგრა, გადაეშვა კორდზე, რომელსაც რუორად ჰყოფდა. სალიმ სწრაფლ გაჩნდა რუზე გადებულ ცალფეხა ფიცარზე და მომჩქეტავ წყალს ორივე ხელები ღარებად მიუშვირა, თითებ შუა ჩხრიალასავით გადაუშვა ზვირთები, მათი შეხებები გამტვერიანებულ სახეზე ესხმოდა, განცებულ მდინარეს ეთამაშებოდა, მოესმა ფეხის ხმა, შოშიასავით გაწკუმპლული წამოვარდა ზეზე, ჯიბიდან საჩქაროდ სათვალეები ამოიღო და გაიკეთა სველ ცხვირზე... ამ საქციელს ვილასიც სიცილი მოჰყვა. წყლის პირას პატარა გოგო იდგა ილლიაში მწვანის კონა ამოღებული, ფეხშიშველი და გოაცებით უყურებდა სალის.



— შენ აქაური ხარ?..— შეეკითხა სალი, რომელსაც არ იაშა გოგოს დამკინავი ხარხარი.

— დიას!..— დარცხვენით უპასუხა გოგომ.

— სად მიდიხარ?..

— ვენახიდან სახლში...



სალის მეტად ნაცნობი და ძვირფასი სატყეები მოესმა, მსწრაფად გოგოსთან მივიდა, მწვანე კონას ალერსით ხელი დაუსვა... და გაჩაღდა ამით შორის ბაასი, თუმცა ორივეს მხრივ სიტყვა პასუხი მოკლე-მოკლე იყო, მაგრამ სალიმ მაინც აღფრთოვანება იგრძნო. ესენი ლაპარაკობდნენ იმ ემანაზე, რაზედაც სალის დიდიხანია აკრძალული ჰქონდა არამც თუ ქალაქში, თვით ამ ვალაფანშიაც... აქ... ამ მდინარის პირას, თითქო თვით ეს მდინარე, მწვანე ბალახი, დანგრეული კოშკი თავის ხვლიკბაყაყებით თუ ბუკიოტით, ცა და დედანიწა, მთები და ნიავი, წყალ გალმიდან სიშინდის მთოხნავეების მუშური გოგოსთან ერთად ახმაურებულებიყვნენ სალის საყვარელ ვენახე! სალიმ ორივე ხელები გულზე მაგრა მიიკრა და ხარბად შეისუნთქა ის სალი ჰაერი, რომელმაც მთელ სხეულში მაცოცხლებელ საამო ნაკადად დაუარა და დიდიხნის დამუნჯებულს ვენა აუცრა.

— რა გქვიაან?..

— თინა...

სალიმ ხელი მოჰკიდა, თავისკენ მიიზიდა, შემდეგ მკლავები შემოხვია და ალერსით შეეკითხა:

— აბა შემომხედე და მიცანი ვინა ვარ?..

— მე რა ვიცი... ალბად მაგათი სტუმარი..— კრძალვით უპასუხა გოგომ.

საკოცნელად გაწვდილი სალის ტუჩები ჰაერში გაშრნენ, მოდუნებული ხელები ჩვრებსავით ძირს ჩამოუცვივდნენ...

— სალი!.. სალი!.. აქ სად მოსულხარ, რა ხანია მარი სემიონოვნა დაგეძებს!..— მოისმა ლიზიკას ძახილი. მარი სემიონოვნას ხსენებაზე სალი გამოერკვა, მარტო ვხლა მიხვდა სად, ან რისთვის მოსულიყო...

\* \* \*

წინანდელ ცხოვრებასთან შესადარად ბავშვებმა მარი სემიონოვნას წყალობით საკმაოდ შესხვაფერებულ მდგომარეობაში იგრძნეს თავი. მარი სემიონოვნა ტომით რუსი, მოხიბლული ცალკე მშვენიერის აგარაკით, ცალკე მასპინძლების გულუბრყვილო ხელგაშლილობით და ზედმეტად თვეში ორმოცდაათი მანეთის მილოდინით ამ ოქრო დროს, დღე ღამედ, საათობით დაყოფილს როგორც თავის, ისე შევირდების ჯანშრთელობისა და გონების სასარგებლოდ ანაწილებდა. სარკმლებ ღია ოთახში ღამე წოლა, რიერაეზე ეზოში გასეირნება, შემდეგ ისევ საწოლისკენ მოსასვენებლად დაბრუნება, ვიდრე თვითონვე არ მოისურვებდა და შეგვიანებით არ ინებებდა მასპინძლებთან ჩაიზე გამოსვლას, ეს უკვე დილის დასაწყისის დაურღვეველი წესრიგი იყო საკუთრად მისთვის. ამასთანავე მოსვლის უმაღ მოითხოვა მწველელი თხა, რომელსაც ლოგინიდან ადგო-

მის უმაღლეს თავისი ხელით სწველიდა, იქვე თბილ-თბილ უმ რძეს ჭიქას ჭიქაზე სცლიდა და ორი საათის შემდეგ საერთო მაგიდასთან ოთართან, თუ სხვებთან, ვინც უნდა ყოფილიყო, პაპიროზის წვევასა და ლაპარაკში გართული იქვე ჩამწკრივებულ შეგირდებს დიდხანს ალოდინებდა.

ნატოს უხაროდა, მის სახლში თუ ეზოში ფრანგულ-რუსულის სიტყვები ერთიფერეს როგორ ეცილებოდნენ და ამ ცილობაში მისი შეილებიც სათანადო საწვრთნელ ასპარეზზე გამოდიოდნენ. არც შეილები იყვნენ უკმაყოფილონი იმისი თუ მარი სემიონოვნას მარტო საწერად ერთი საათით შეჰყავდა ოთახში, თორემ დანარჩენ დროს, როგორც სადილობანდის, ისე სალამობითაც ყოველ დღე დაულაღვად შეგირდებს მინდვრებსა და მთების ძირებში დაასეირნებდა, ხან პეპელებს აჭერინებდა, ხან საიდანმე გამომხტარ ნაცარა კურდღელს გამოუყენებდა, რათა რომელიმე საგანი, ცხოველი, თუ მოვლენა მათ თვალწინ ცოცხლად დაეყენებინა ღ მარტო წიგნში ჩახედვით არ დაკმაყოფილებულიყვნენ...

ბავშვების ასეთ განათლებას ნატომ ეჭვის თვალით შეხედა, ვერიკომ და ბაბუცამ შეუსაბამო ფუქსავატობას მიაწერეს, მაგრამ ოთარმა მოიწონა და აუკრძალა არამც და არამც ამ ქვეიან დედაკაცის საქმეში არ ჩარეულიყვნენ, რომ ის იყო სრული უფალი თავის აზრებისა და მოქმედებისა შემოდგომამდე, შემოდგომაზე კი ეს უფლება თავისთავად ჩამოეცლებოდა, რადგან იმ დროს თავის ბავშვები ინსტიტუტში უკვე მიღებულები იქნებოდნენ... ნატოც მშვიდდებოდა. ცხადი იყო ოთარს განათლების მხრივ მაზე მეტი ესმოდა და მისგან არა ერთხელ წარმოთქმული აზრიც, რომ მეცნიერულად ადამიანი უსათუოდ მაიმუნის ჩამომავალი თურმე იყო, დღეს მარი სემიონოვნას სახით მტკიცდებოდა. ამავე დროს თვითონ ნატოც რწმუნდებოდა, რომ ის თანამდებობა, რაც კი მარი სემიონოვნას დაკისრებოდა, მოითხოვდა მასწავლებლისაგან სწორედ ასეთს სახიერებას, რათა მამაკაცებისგან თავისუფალი ყოფილიყო და ბავშვებისთვის მეტი მოცალეობა ჰქონებოდა. მარი სემიონოვნაც რაკი სურვილები დაუბრკოლებლად უსრულდებოდნენ, თანდათან თამამდებოდა. ამ ქალის სწავლების გეგმას ბავშვები ალტაცებით შეხვდნენ, გალავანის გარედ გასვლა მათთვის ტყვეობიდან განთავისუფლების ნიშანი იყო. სალის ხომ ყველაზე უფრო მეტად ეკარგებოდა მოთმინება, ვიდრე დადგებოდნენ ის საათები, როდესაც შეხედავდა ახალ მიდამოების სამხატვრო მდებარეობას. სალის თვალში ეს ქვეყანა ბევრად განსხვავდებოდა კიაზოს ქვეყნისგან, სადაც ფართოდ გაშლილ ხოდაბუნებზე გაზაფხულსა თუ ზაფხულის ზურმუხტად მოღალანე გათამამებული ჯეჯილი. თანდათან ფერს როგორ იცვლიდა, მარცვლებით ივსებოდა, პურდებოდა, ბოლოს თვითთულ მეკომურის კალოზე უზარმაზარ ძნებად იქიმებოდა და დამცინავის შრიალით აკრთობდა სოფელში აქა იქ სანიმუშოდ ბოხჩის ტოლა ადგილებზე დარგულ ხეხილებს. როგორც ძნები, ისე მათი მომყვანი მინდვრები გაშლილის კალთებით განუწყვეტლად ასმენდნენ როგორც დაგვალულ ხეხილების გორხალო ნაყოფებს, ისე სხვა გამგონეთ, რომ აქ პურის სამეფოში არამც და არამც გარდა ხორბალქერისა, მათთან თვალის საამებლად სიმინდიც თუ შეიწყნარებოდა, თორემ სხვა თესლებს ადგილი არ ჰქონდათ. აქ კი სულ სხვა სანახავი დგებო-

და სალის წინ, როგორც მცხოვრებნი რიცხვით ერთი სამად შეტნი იყვნენ, ადგილის მდებარეობაც მრავალფეროვანი მოჩანდა. თუმცა ყანის მიწებები აქაც შრიალეზდენ, მაგრამ უფრო კრძალვით, ვილასიც მძლავრის ხელისაგან დაჩაგრულნი, გულში ღვარძლ შერეულნი. ერთის შეხედვითვე აქ ნათლად მეთობდა სხვა ძალა სიმწვანეში შეხეული. კუწუბა ნამიან ფოთოლთა შორის გამომყურე ყურძნის მტევნებით სავსე ვენახების სახით. ამავე ვენახებში კიდევაც ქელის შეხებაზე მოქანავე ნაყოფებისგან დამძიმებულნი ხეხილნი საშველად ბოძებ შედგმულნი. ეს ყურძნისა და ხეხილის ქვეყანა სალის ერთის შეხედვითვე განუმარტავდა რა მიზეზითაც მოეკიდა ფეხი ამ სამიკიტნოს შარა გზაზე, რათა შორიდან მოდენილ მთებისკენ პირმიქცეულ მგზავრს ადგილობრივის მოსავლის ჭაშნიკით გამასპინძლებოდნენ, თანაც გაეტანებიათ მთებისკენ სალამი, იმ მოგონებით, რომ როგორც ეს ბარი ისე მთა ჭირში, თუ ლხინში ერთმანეთს გზას ვერ აუქცევდნენ, რომ ერთი მეორის როგორც დასაწყისი, ისე განგრძობა იყო მთლიანი ქვეყნის სიცოცხლისა. სალი ამაყად წელში გასწორდა, თავი მალლა აიღო და ხარბად მიაჩერდა ამ დიად ხატებას.

— მოითმინეთ! ნუ აჩქარდებით სალამის გაგზავნაზე, ვიდრე ჩემსას არ მოისმენთ!.. ამ ორ ბუმბერაზს ჩემის პირით გიგზავნით სალამს, მესამე ბუმბერაზი თვალაუწვდენად გაქიმულ ველმინდვრების სამყაროსი, საიდანაც მოვსულვარ აქ სტუმრად!..— გულში ჩურჩულებდა აღტაცებით ბავშვი, მაგრამ მარი სემიონოვნას ფრანგულმა შემოძახილმა უცბად ოცნებიდან გამოიყვანა.

— კურდღელი!... პეპელები... ნაზები და ყომრალეები!..

მარი სემიონოვნას კაბის კალთები მალლა აეწია, ფეხებში არ მოსდებოდა, უხეშად სქელის ტანის ზანზარით წინ მირბოდა და ბოლოს რასაკვირველია სურვილ აუსრულებელი დაღლილი რომელიმე მომალლო ადგილზე დაეშვებოდა, კრიჭინასავით გაბმით განმარტებას იწყებდა, ხსენებულ ცხოველების წარმოშობა არსებობის შესახებ. ბავშვებიც დღემდის აქეთ იქით დაქსაქსულნი მარი სემიონოვნას წყალობით დღეს ერთად თავს იყრიდნენ, გაკრძალულები მასწავლებელს პირში შეჰყურებდნენ, მაგრამ ასეთი ერთგვარი, რომელიმე ბობოლა მოხელეს კარებთან გამოქიმულ ჯარისკაცსავით ძალდატანებული უბუნებრივო მდგომარეობა მალე მობეზრდათ და ისევ ძველებურად საკუთარის თვალსაზრისით იწყეს ცქერა.

\* \* \*

სოფლის წმინდა ჰაერზე სეირნობით ფერზე მოსული ლიზიკა, ხნოვანება გადასვლის გამო სწავლაზე გულაცრუებული, მასწავლებელს ხშირად ტუჩს უბზუებდა, როდესაც უშინსკის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ვერა და ვერ სცილდებოდა ამათ ხელს. ლიზიკას ბაძამდა დარიკო, არჩილი ხომ როგორც განსაკუთრებულის უფლებებით განებივრებული, ხშირად უკმებადაც ხვდებოდა და მამისკენ მიიწევდა. მარტო ერთად ერთი სალი შეურყეველის რწმენით შეჰყურებდა ამ უცხო ქალს და უხაროდა, რომ თვითონაც ამისავით უცხო იყო. ბავშვების სწავლაზე გულის აცრუება მარი სემიონოვნას არ გაუკვირდა, ასეთი

შექმთხვევები მდიდრების ოჯახებში ბევრჯერ ენახა და ერთხელვე აღნიშნულ ხაზზე სვლას აღუშფოთველად განაგრძობდა, ბავშვებს დავალებული ჰქონდათ უმთავრესი ყურადღება ფრანგულ ენისთვის მიექციათ, აქ შორის მეტ ძალას თხოულობდა.

მარი სემიონოვნას და ბავშვების სეირნობა უფრო სასიამოვნო და მისაღები გახდა მას აქეთ, რაც ოთარის დისწული მელანიას უმცროსი შვილი, კარამეტის წლის გიტო სიტყვა-მახვილი, მკვირცხლი ამ მოსეირნეთა ჯგუფს აეტორლიადა, თანგამყოლობაზე სურვილი განუცხადა. გიტოს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, ამდენ წვრილმან ხალხს უსათუოდ ეჭირვებოდა ერთი მაინც მაგარი მკლავის მქონე ვაჟკაცი, რომლის იმედითაც უშიშრად გასწევდნენ ტყის სიღრმეში და უმაღლეს გორებზე თამამად შემდგარნი უფრო ფართედ დაინახავდნენ ხელის გულსავით გადაშლილ მიდამოებს... რაკი სასიარულო ადგილები მეტნაწილად მთიანი იყო, გიტომ მარი სემიონოვნას მკლავიც შესთავაზა და მაზე დაყრდნობილი ქალი არამცთუ სუბუქად მიდიოდა, ზოგჯერ უზომოდ აღტაცებული დარბაისლურ ორმოცი წლის ხანსაც ივიწყებდა და ჩვიდმეტი წლის გიჟმაე გოგონასავით იწყებდა ჭყვივლს ნეტადრე მაშინ, როდესაც ბოგირს მიადგებოდა, გიტოსაც ეს ჩასუქებული ადამიანი ხელში აყვანილი მეორე ნაპირზე უვნებლად გადაჰყავდა, ბავშვებიც ხარხარით უკან მისდევდნენ.

გიტო მხიარული იყო, ფრანგულს დიდის გაჭირებით ამტვრევდა, გზა-გზასხვადასხვა სასაცილო ამბებს უამბობდა. ამ ორ ადამიანთა შორის დღითიდღე დამყარებული მეტად თავისუფალი ლაპარაკი ურთიერთთან მჭიდროდ დაახლოვებას ამჟღავნებდა, მაყურებელის თვალში საყურადღებოდ იჭრებოდა. მარი სემიონოვნას სიხარული უფრო გაორკეცდა, როდესაც გაიგო თუ გიტოც ამისავით მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის და მათი თანდათანობითი განვითარების მკვლევარი აღმოჩნდა. თითქო განგებ მიდამოც ორივესთვის უხვის მასალით სავსე იყო.

— გიტო!. გიტო!. კაჭკაჭი!. ყვავი!.. კურდღელი!.. პეპელა!...

შეშჰყვივლებდა უცბად მარი სემიონოვნა, მიუახლოვდებოდნენ თუ არა ქალას და დაკარწახებული გაეშვებოდა მისკენ. გიტოც გამოუდგებოდა. ბავშვებს სხვადასხვა მოსაზრებების გამო აკრძალული ჰქონდათ ტყეში შესვლა, იქვე, სადმე ბეგობზე ჩამომსხდართ უნდა ეცადათ, ვიდრე მათი ხელმძღვანელნი სიცოცხლ-ხარხარით ერთმანეთზე გამოკიდებით არ გამოცვივდებოდნენ სახე შელანძულები. თუ რა კურდღელი დაეჭირათ, ეს იცოდა მარტო ატეხილმა ქალამ. ასეთი საქციელი ჯერ კრძალვით ნაშინჯი, თანდათან საჭიროებადაც გარდაიქცა და სეირნობის წინანდელი უმთავრესი მიზანი სხვა მოთხოვნილებას ეყმო. გიტოს ფრანგულ ენაზე ვარჯიშობა წუთებით წინ მიიწევდა, მაგიერად ბავშვების სწავლება ფერხდებოდა, შეგირდები გრძნობდნენ მომავალ ახალ ქარტეხილს, მეტადრე სალი, თითქო კიდევაც ხედავდა თავის წინ ვიღასიც ულმობელის ხელით ჩახერვილ ზღუდეს, რომელსაც აწყდებოდა ამისი შემკრთალი გონება და სურვილების გაქანებას უტბორებდა, მაგრამ ცხოვრება მას არ უწევდა ანგარიშს, ყოველ დასაწყისს დასკვნასაც თან აყოლებდა.

გიტო ოთახშიაც ეწვია მარი სემიონოვნას, რომელმაც უჩვენა, როგორც სხვადასხვა წიგნები, ისე ის ლაშაზი, თვალის მოსატყუებელი, ამასთანავე არაფერში გამოსადეგი წვრილალი ხარა-ხურა, რითიც მისი უნი დრო და დრო კმაყოფილდებოდა, თავიც მოჰქონდა, რომ თვითეული მათგანი რომელიმე ნათესავ-მეგობრისგან სახსოვრად ჰქონდა მოცემული. ამის ეგვიფუნებაზე გიტომაც გულზე ჩამოკიდებულ საათის ძეწკვიდან მსწრაფლ მთიბნისა და ეგრეცხლისგან ჩამოსხმული პაწია გარეული ტახი და სახსოვარ შანად შესთავაზა.

ოთახი თუთუნის სუნით გაჟღენთილიყო, მარი სემიონოვნას ლტოლვა და უშიშრობა ყოველნაირ ცხოვრების მიმართ არამც თუ ცის-ქვეშ, ქერ-ქვეშაც მტკიცდებოდა... იატაკის ერთ ადგილს ამოტეხილ სოროსთან დაყრილიყო პურის და სხვადასხვა ტკბილეულობის ნამცეცები...

— ჯერ თქვენ არ გინახავთ ჩემი მეგობრები, რომელნიც მარტოდ მყოფს მართობენ ხოლმე?... — შესძახა ერთხელ მარი სემიონოვნამ და სოროსთან თითო დააკაკუნა. წუთს სოროსთან ოთხი შავად მოელვარე მძივი ამოძრავდა და ცხოველების მოუსვენრად მთრთოლავი ვარდისფერი ცხვირპირი გამოჩნდა.

ის იყო ორი ვეებერთელა ოაგვი უნდა ამომნტარიყო ხერელიდან, მაგრამ რაკი მასპინძელის გარდა აქ სხვები მოყვარულად არ უყურებდნენ, მათ ფრთხილად გამოართვეს წვრილად დაკემსილი ნიგვზის ნებალი და მაშინვე ჩაიმაღნენ.

— რა გონიერი და მგრძობიერი ცხოველები არიან, ჩემი თითების კაკუნს მაშინვე იგებენ. ლამ-ლამობით არამცთუ ოთახში დადიან, ხშირად ლოგინშიაც მესტუმრებიან ხოლმე. გარდა ამისა, ვამჩნევ ეს ჩემი მეგობრები რიცხვით მრავლდებიან, მაგრამ მათი კვება არ მაშინებს, რაკი ვოცი თავად ოთარს-საკვები ბლომად ააქვს. — ამბობდა მარი სემიონოვნა.

თაგვების დანახვაზე თუ ბავშვებს ზიზღისგან ტანში გააზრიალათ, გიტოს არ გაუკვირდა.

— თქვენი ცდა მარტო თაგვებით თავდება, თუ კიდევ უფრო მსხვილ ცხოველებზედაც გადადის? — შეეკითხა ცნობისმოყვარეობით და როდესაც გაიგო მარი სემიონოვნას ჯერ-ჯერობით მარტო თაგვების წვრთნაში ეჩინა ძალა, მიაჩერდა დაკვირვებით. მარი სემიონოვნას წითელი განიერი ცხვირი მუდამ თეთრბრილში შეგუნგლული, უწამწამო დაქყვტილი თვალები, ვიწროდ შეწეული საფეთქლები, ჯმუხი დაბალი ტანი, გიტოს აღარ აკვირებდა თუ ეს ქალი, ასე დაუინებით რად მიიწევდა ტყისკენ.

— მაშ, თუ თქვენ ცოცხალი თაგვები წარმოგვიდგინეთ, მაგიერად, მეც წამოგიყენებთ იმისთანა ცხოველებს, რომლებიც ამ ოთახში არ არსებობენ. — სთქვა კარგა სიჩუმის შემდეგ ღიმილით გიტომ, მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა, ორივე ხელები ერთი-მეორეზე გადაკდომილი ტუჩებზე მიიფარა და... ოთახში ატყდა სხვადასხვა ჯურის ძაღლების ყავყავ-წკავწკავი, ფინიებიდან დაწყებული საშიშ ქოთაკებსა და ნაგაზების ჩარევით ყურთა სმენა არ იყო და სახტად დარჩენილი მარი სემიონოვნა აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ გიტოს ასეთი ვარჯიშობა ბოლოს მაინც ერთხმად მოწონებული იქმნა და დიდის ხალისით ხშირად განმეორებული.

\* \* \*

მარი სემიონოვნასა და სალის შორის ფარული ერთსულოვნობა დაძვარდა, მაშინაც კი, როდესაც საჭიროდ ხდებოდა მისი გარეგნობის შეფასება. ამ შემთხვევაშიაც ცრემლისგან ნატკენ თვალების პატრონს სამუდამოდ აკვეთილი ჰქონდა ვისიმე სახის ნაკლის ხინჯში ჩადგომა და სალი მარტივად აღიარებდა სხვაფრივ ჩხრეკდა, რათა მასში სხვა სილამაზე ეპოვა... რაკი მსუფთა მსუფთაობასთან ახლო ყოფნა უყვარდა, სალის შემჩნეული ჰქონდა თუ მწვავედ მკბენარი ბუსუსიანი ფუტკარი თავის სილამაზეს როგორ ხატავდა მისგან გაკეთებულ თაფლში, გველსავით დაზოლილი ხლაცნია აბრეშუმის მატლი აბრეშუმში, რომლისგან ნაქსოვი ბრწყინვალე სამოსი გონჯსაც კი სანდომიანად ხდიდა. ტლანქი, უშნო კამბეჩი რაკი-გამძლედ და მედგრად სწევდა გუთანში, თუ ურემში უღელს, შეფასებით მალლა იდგა სხვა უფრო ლამაზ საქონელზე... ლამაზ ფრთებიან ყარყარად ყელ-მოდერებულ ფარშავანგს თვისის ზათქით და ზახილით შემოძახილი უცბად უნდა შეეწყვიტა, როდესაც თითქმის თვალ-უჩინარი ნაცარა ბულბული ტრფიალების ჰიმნს ნაზადა სტვენდა. შრომისგან ჩაწინლული, ზოგჯერ სახითაც გონჯი მიწის მუშა, რომლის მარჯვენის ნამოქმედარი არა ერთ დიდკაცს, სახით მშვენიერს, არამც თუ ასაზრდოებდა, კიდევაც ამდიდრებდა.

— კოქლო, კოქლო, ჩაუხავ!

ჩემი ცხვარი რა უყავ?..

— ერთი მგელმა შემიჭამა

ერთიც ბატონს დაუკალ!..

შეესმა ერთხელ სალის, როდესაც წყლის პირას იდგა და შეჰყურებდა ბინდბუნდში როგორ ეხვეოდა არე. მოდიოდნენ სოფლის ბიჭები ხელიხელ გადახვეულები, ზურგზე გუდა აკიდებულნი ილლიაში სახრეებით. მწყემსები იყვნენ, ერთი მათგანი კოქლობდა. შენიშნეს სალი, სიმღერა შესწყვიტეს, სიცილ-ფრუტუნით გვერდით ჩამოუარეს.

სალის არ გაუკვირდა აღმაცერად რომ უყურებდნენ, რაკი საცოდავ ჩაუხას ერთად ერთი ცხვარი, რომელიც მგელს გადარჩენოდა, ბატონისთვის დაეკლა და ერთერთ ამ ბატონისშვილად ხომ სალიც ითვლებოდა...

კოქლი ბავშვი სახითაც უშნო იყო, ცალი ყბა გვერდზე მოქცეოდა, ამხანაგებში ჩამდგარი მაინც თამამად იყურებოდა, ალბად თავისი მაგარი მკლავის მოიბედე.

სალის ფერმკრთალი გამხდარი სახე შეელანძა, როდესაც წარმოიდგინა თუ ამ მახინჯმა ბავშვმაც კი შესძლო პურის ჭმევა იმისთანა ბატონისა, როგორიც ოთარი იყო და სიამოვნებით გაიღიმა. ამ შთაბეჭდილებების ზეგავლენით სალის სათვალეები მსწრაფლ ნდობით შეჩერებოდნენ მარი სემიონოვნას და გულში უცხოველდებოდა იმედი, რომ ეს ადამიანი უსათუოდ ნათელსვეტად წარუძღვებოდა ბნელ ლამეში. გიტოსგან ცხოველების მიმბაძველობაც არ გაჰკვირვებია სალის, ამან დიდი ხანია იცოდა აღმასხანი თავისის შვილებით ამ მხრივ ბუნებისაგან განსაკუთრებულის ალლოთი იყვნენ დაჯილდოებულნი.

\* \* \*

ოდესმე გოლიათი აღმასხანი დღეს ხან მოჭმულობის გამო წელში მოხრილი, თვალში სინათლეს ნახევრად მოკლებული, უმტვერო ქალაქსავე, თეთრის თმებით მარაბუსავით იყურებოდა, გულში ჩაჰკროდა ყელზე თათებ შემოხვეული გიშერსავით შავად მბზინავი პაწია მაიმუნი. აღმასხანს გადარევიტ უყვარდა თავისი კოკო ლიტასაგან დიდის ცდით შუაგულ აფრიკიდან სავანებოდ გამოწერილი, რათა მოხუცი მამის დიდიხნის ნატვრა აესრულებინა. კოკოც მოხუცებულის მიერ თავისადმი ნაინანატობას გრძნობდა და შესაფერის თანაგრძნობით მაგიერს უხდიდა. აღმასხანს ლიტას გარდა ხუთი თავისავით წამოსადეგი, ლომებსავით ვაჟკაცი შვილები დაუდიოდნენ დედამიწაზე, ორი გასათხოვარი ქალი-შვილიც, მაგრამ ლიტას წარჩინებული მდგომარეობა ყველას განზე აყენებდა და ამავე დროსვე ცხრა სულს თვეში თვითეულს ას ასი მანეთის ძლევეთ დრო და დრო თვალეში მორეულ შურს უნელებდა.

— ყველაფერი ჩემია!.. თუ ქვეყანაზე ვინმე ყოფილა და არის, ეს არის მელანია გარემოშვილი!.. ყველას გიყვობთ, შეგჭამთ და მიგაგდებთ განზე!.. რას მიქვიან ვახტანგის კანონები, ან რუსის ხემწიფისა, როდესაც ყველაფერი მე თვითონა ვარ!!.. და თუ ჩემგან გაქანებულმა ეტლმა უცაბედად ვინმე გაიტანოს, მასთან ნურას უკაცრავად!..

მკაფიოდ გამოსთქვამდნენ მელანიას მოკუტული თვალეები, რომელთ წინაშე ნატოს ნებისყოფა მოდუნებულიყო. გრძნობდა, ეს საზარელი მუქარა მიიმართებოდა ოთარის ოჯახისკენ, რომელსაც უკვე ნიშანი დასდებოდა ლიტასაგან ზარატინის წაყვანით.. ნატო აგრეთვე ამჩნევდა მელანიას, რომ აუცილებლად მისვლოდა ამისაგან ლანძღვის წერილი, მაგრამ არ იმჩნევდა, მისი მედიდური თავმოყვარეობა, შემპარავად და ჩაცვიებით მიდგომა, თვალთმაქცობა უფრო უარესად დაიციინებოდა, აგრძობინებდა, რომ რაკი ნატო დახატულ კვერცხის ნაირ სახის გარდა დიდს არას წარმოადგენდა, მისგან გასროლილი ტალახიც მელანიას არ უწევდა, როგორც მიუწდომელს, მაგრამ ყველა ეს გულში ნადები ისევ გულშივე იჩქმალეობდა თავაზიან ღიმილსა და მოფერებაში... ქმართან მკლავგაყრილი ქირმანიშალ წამოსხმული დედა იხვსავით ჩასუქებული ბაჯბაჯით წამოსულიყო ოთარისკენ, ქალაქიდან ამოსვლის უმაღ, რომ რძალი და ძმისწულები დაეზვერა. რავდენდაც აღმასხანის ბრვე ტანი, მრისხანე შეხედულობა სიბერეს დაეთენთა, იმდენად მელანია ჭარმაგად იხედებოდა და ხელში სისხლისფერ მარჯნის კრიალოსანს მოუსვენრად აცოდვილებდა.

— ბევრ სხვა სიკეთეებთან ჩემ კოკოს მოწონებ-დაწუნების უნარიც აქვს, თუ ვინმე მოეწონა მაშინვე ზედ შევარდება, თუ არა ზურგს უბრუნებს და კუნთებ შუა იხედება.. მოშივდა კოკოს, მაშინაც თათს დაჰკრავს მაგიდაზე, საქმელს შერჩევით ითხოვს. წუნიაობს.. აშკარაა ლიტას ზნეჩვეულობა ატყვია, იმის გემოვნებაზე საზრდობს.. გარდა თხილეულობისა, ტკბილისთვის ირევა.. ჩემ როზას კი ცუდი დღე გაუთენდა, რაც კოკო მოვიდა, ისიც ჩემსავით დაბერებული ძლივას და დაიკაკვება, ჩემ ახალ ნებიერს შურის თვალით უყურებს და მოცილეს კბილების ღრჭენით გაგლეჯას ჰპირდება. იყო დრო, როდესაც ჩე-

ში როზა თვალეზში ცეცხლ ანთებული, ალღო გამახვილებული მკვირცხლად წინ მიმიხტოდა კურდღლების საჭერად ტყე მინდვრებისკენ, დღეს კი ბერძელ აშვებულის, ყველასგან აბუჩად აგდებული ბოსელში კავკავებს... ეჰ, თურმე ცხოვრება მარტო ცალიერი ფაცა ფუცი ყოფილა ადამიანისათვის, ვიდრე თვალი ღ მუხლი უჭრის, მერე კი თუ ამ მხრივ დაძაბუნდა პირუტყვთან ერთად 'მუხლანაში' გამოდის!.. — ნაღლიანად ამბობდა სავარძელში ჩამჯდარი ალმასხანის! მშალმალ განიერ გაცრეცილ შუბლზე ხელს ისვამდა და დახუთულ მუხლებს ღრეჯით ძლივს ღლიდა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვინ უგდებდა ყურს და ვინ არა.. მისი კანანერი კი ისევ ჩალისფერ კაბაში გამოწყობილი შემავრებულის ამოოხვრით გარშემო იხედებოდა...

დაძმის მისწრაფებანი ერთი მეორის მსგავსების გამო ერთმანეთს ეჯახებოდნენ და უნებურად ერთად შერეულნი ერთსა და იმავე დასაწმენდ ღარში საყვანად ეშვებოდნენ, მეტადრე მაშინ, როდესაც ოთარის სახლში თავს მოიყრიდნენ ხოლმე ალმასხანის შვილები, მათ შორის ორნი უფროსნი უკვე სამხედრო სამსახურში მყოფნი, ლიტას წყალობით უფრო თბილ ადგილებში ჩამსხდარიყვნენ. გარდა იმისა რომ დისგან აღნიშნული თვიური თანხა ზედმეტად ეძლეოდათ; სამიც მათი მომდევნოები სწავლისთვის გაგზავნილები ევროპისკენ სხვად სხვა მიზნების გამო, თუნდ ფულის ერთბაშად გამოლევისა, რადგან მონტეკარლოში გამდიდრების მიზნით ბედის ცდაში ისიც იქ დაეტოვებინათ, რაც სახლიდან წაეღოთ, ისევ ლიტას ნავთის შადრევანების იმედით უკანვე დაბრუნებულიყვნენ. ბირჟა, სტერლინგი!.. რულეტკა, ფრანკი, მილიონები დიდის ალტაცებით იხსენიებოდნენ ოთარის სახლში და ჯერჯერობით ამ საუნჯეს მოკლებული ოთარი, ოცნებით დღე თუ ღამ მისკენ დაჯინებით მიმსწრაფავი თვალუწვდენ მთაბარის პატრონი, რომელიც წელიწადს ისე არ გადააცილებდა, დაგირავების გარდა საკუთრებისთვის, რომელიმე კუთხე არ ჩამოეკოა და ფულის პატრონისთვის არ დაემტკიცებინა სასწრაფო გადაუდებელ მოსახრებების განსახორციელებლად, ცოტა არა ყურებ ჩამოყრილი უგუნებოდ ხდებოდა, როდესაც ეკატერინეს და ლიტას ფულის საკრელი მანქანა ამის ხელამდის ვერ აწვდენდა იმ სანატრელ შხეფებს, რომელთ ბრწყინვალე წინწყლებში მელანია ქმარშვილით ბანაობდა.. ამავე დროს ჯადოქარ მანქანას თითქო რაღაც მავთული მოდუნებოდა და აღნიშნულ საზღვარსაც ძლივს უწევდა.

განა ოთარი ისეთივე მახლობელი არ იყო ლიტასი, როგორც ლიტა ეკატერინესი!.. თუ ლიტა, როგორც ალმასხანის ქალიშვილი თავის მამიდაშვილის წყალობით გაბედნიერდებოდა რატომ ოთარსაც არ უნდა მიენიჭებია ეს უფლება?..

განა მელანია ოთარისგან არ იყო დავალებული იმითი მაინც, რომ ამის მამულში რა დროსაც რომელიმე ადგილი თვალში მოუვიდოდა ოთარს, მაშინვე უნდა მისთვის დაეთმო?..

მაგრამ ლიტა არამც თუ ოთარის წინ ხელებშეკრული იყო, თვალითაც აღარ ენახებოდა, რაც დიდებაში ჩავარდა. ათასში ერთხელ თუ როგორმე გარეულ ფრინველსავით მოვარდებოდა დედ-მამის სოფელში, მაშინაც მელანიას



ბოდიშების მოხდა სჭირდებოდა, რომ უდროობისა გამო ლიტა ამათი უნახავი წასულიყო. ოთარი მიხვედრილი იყო საიდანაც მოსისინებდა ბორკტი ქარი და, როდესაც ჩვეულებრივის ხუმრობით გულის ჩამწყვეტ შენიშვნებს უკეთებდა უზომოდ ფულის ფლანგვაზე და თანაც არავითარ დახმარებას არა სჭირდებოდა, შუბლშეკრული ხშირ წარბებიდან დაბლვერით გამუხუცდებდა დას, რომელიც იმ დროს გულიანად კისკისებდა... მელანიას კისკისის ხმაში სიკვანძო შლიდა, მაგრამ რაც შეიძლებოდა ცდილობდა თავი ღირსეულად დაეჭირა და მით ძლეული გაეხადა ის მავნე სული, რომელსაც ლიტა ქმრისთვის წაერთმია, რომ მისი მშვენიერება ეკატერინესთვის მიეყიდა, რათა ეკატერინეს ბრილიანტებისგან დანთებულ ცეცხლზე მელანიას ხელები ეთბო.

„დაუდგრომელო, დედაკაცო, ვით შემოდგომა,  
შენ ვინ გასწავლა ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?...  
ვინ მოგცა სახე ანგელოზის და სული ქაჯის?...  
იქნებ გეგონოს, რომ მაგისტვის არავინ დაგსჯის?..“

ასე ეკითხებოდა თავის გუნებაში ოთარი დას, მაგრამ შემდეგ, როდესაც ცხოვრების მორევის ძირს ჩასკვრიტა, მელანიას საქციელი არამც თუ დაუშვებლად მიიღო, არსებითადაც ეჩვენა... მართლადაც ანკი რა შეილი იყო ის, ქალი იქნებოდა თუ კაცი ცარიელ-ტარიელი, რომელიც ვისგანმე თავშეწირვას მოითხოვდა?

ოღონდაც უდავო იყო ის რწმენა, რომ რაშიაც ადამიანი ძალას იგრძნობდა სილამაზე იქნებოდა, თუ სიმდიდრე, უსათუოდ გონივრულად უნდა მოეხმარა. და თუ ლიტამ შესძლო სილამაზით მშობლების მდგომარეობის ბრწყინვალე შარავანდედით გაშუქება, მით უმეტესად ოთარს ამ მხრივ უფრო ადვილად შეეძლო ქალიშვილების წყალობით უფრო მეტ სიმალღემდე მიხწევა... ნიშნები კიდევაც მოჩანდნენ, წარსულ ზამთარს უკვე ერთი კვირტი გამოიღო ვერიკოსგან საზოგადოებაში მომხდარმა ბრწყინვალე გამარჯვებამ.

— Ваша дочка палата ума!..

რამდენჯერმე პირშიაც უთხრეს ოთარს ვერიკოს თაყვანისმცემლებმა, რომელთა შორის ერთმა წარჩინებულის გვარისამ და მდიდარმა თოკის კიბეც კი გაუგზავნა, ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნის დროს, სარკმლიდან გასატაცებლად.

ასეთი მოვლენა ოთარს არ გაჰკვირებია, არც ზარატინის წაყვანა ეწყინა ლიტასგან, ამის აზრით ვიღაც საექვო ჩამომავლობის პატრონი გატლევკილი პორუჩიკი მაინც და მაინც დიდი სახარბიელო არა იყო რა, მაგრამ რაკი შვილებზე ზრუნვის დროს ამის არსებაში ფულისადმი ტრფიალება და მშობლიური გრძნობა ჯერკიდევ ერთი მეორეს ეჭიდავებოდა, ამ ქრდილში ნატოც თავის დაყინებულ სურვილს ზედ ართავდა, უსათუოდ ზარატინისთვის მიეთხოვებინა ქალი, ოთარიც გაურკვევლობაში დარჩენილი სოფელს თავს აფარებდა, მაგრამ დღეს მელანიასი და ლიტას შემხედვარეს სიმდიდრის შეძენის წყურვილი გაუძლისად ხახას უშრობდა, წინანდელ მერყეობას ერთის ხელის დაკვრით სპობდა უკვე დარწმუნებული, რომ სიმდიდრის შოვნა არც ისე ძნელი იყო, როგორც

დღემდის ეჩვენებოდა და რაკი მარტო შემთხვევითი მოვლენა ყოფილიყო ესეც რასაკვირველია რაც შეიძლებოდა მოკლე გზების გადაჭრით მისკენ შესაგებებლად გაეჭანებოდა.

\* \* \*

თუ მელანია და ოთარი სიმდიდრისთვის გონებას ჰკარგავდნენ, ამ დამდებ სენს არც მათი მეზობლები გადარჩენოდნენ.

ოთარის ბიძაშვილს მიხაკოს გარდა საკუთარი შეძლებისა, ერთი წლის განმავლობაში სამი შეძლებული ნათესავი მოკლდომოდა, მათი შემკვიდრობაც მას დარჩენოდა და წინანდელზე მეტად გაძლიერებულიყო. მიხაკო ოცი წლისა ძლივს იქნებოდა, როდესაც თავისზე ხუთი წლით უფროსი, უმზითვო, ბრტყელ წარბება და დიდ თვალებს ნინო შეერთო. ნინო თვითონვე გრძნობდა მთელი მისი ძალა ბრიალა შავ თვალებში ეხატებოდა და რასაკვირველია კიდევაც უნდა ცდილიყო, ეს ძალა საჭირო დროს მოეხმარა...

ნინოს სად რა ესწავლა არავინ იცოდა, მაგრამ წერა-კითხვის ცოდნა და რუსულ-ლაპარაკი თავის წრეში განათლებულის სახელს უხვეჭავდა... ამ ჩასუქებულ პატარა ქალს მშვენიერი ყორნისფერი ხუჭუჭი თმები ორ სქელ ნაწნავებად დაყოფილი თუმცა წონაში ამძიმებდნენ, მაგიერად ბეჭებზე გადაშვებულნი, შავად მბზინავი ორი მათრახი, ყურებამდის გაზიდული თხელი ტუჩები, მუდამ რაღაც ძალდატანებისგან ნაკენეტა, ხშირი თვითნებითი ხითხითი, მნახველს შესაფერ ანგარიშს მოსთხოვდა. ამ მხრივ ნინო მელანიას ჩამოგაედა, თუმცა უფრო დაწვრილმალეებული... ზოგჯერ თავსაც იმცირებდა, რაც მელანიასთვის შეუსაბამო იყო.

ოცდაათ წელს გადაცილებული გამხდარ-გაფითრებული მიხაკო დარბაისლურ თავდაქერაში ოხუნჯაობასაც შეურევდა დამცინავი კილოს თანახლებით. გრძელ ფეხებზე შემდგარი, სიგამხდრისგან წელშიაც მოხრილი, დროს მიხედვით ყოველთვის ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი თეთრის ლაიკის ხელთათმანებით, მუდამ მოცინარ გაზიდულის ვიწრო თვალებით და მოგრძო დაშვებულის ცხვირით ხსოვნაში წაუშლელი რჩებოდა.

მიხაკო მეზობლებთანაც იშვიათად დადიოდა, სახლში კი ზრდილობიანის მისალმებით ხვდებოდა და ახალის ნახადის სხვადასხვა ჯურის ლვინოებით უმასპინძლდებოდა. მიხაკოს სახლი გარდაქცეულიყო იმ სამხიარულო დარბაზად, სადაც ყოველ დღიურ სამოქმედო გეგმის სიაში ჩამოწერილიყო ქეიფი, ქალ-ვაჟთა ერთმანეთთან სასიყვარულოდ გათამაშება და ბანქოობა... ეზოდ მიჩნეული შემოურაკვავი დიდი მინდორი ჯვარედინ გზიდან მომავალ სტუმართა ეტლების ცხენებისთვის საძოვრად გამხდარიყო.

თვითეული მომსვლელი თავს მოვალედა სთვლიდა საგანგებოდ შერჩეულ ქებადიდებით შეხვედროდა კნეინა ნინოს და დაერწმუნებინა, რომ მისი აქეთ ასეთის სისწრაფით გამოქანება, ნინოს თვალების ბრალი იყო და ბრალდებული თვალებივე მეტის მეტად მოზღვავებულ გრძნობებისგან თანდათან ვიწროვდებოდნენ, ილულებოდნენ...

მიხაკო და ნინო ჩამოშორებოდნენ ერთმანეთისადმი ყოველნაირ ექვიანობას, ამათის აზრით ამ მხრივ თავის შეწყობა არა ღირდა, მიხაკოს სჯეროდა, ნინო მას აღმერთებდა რაკი ყოველ წუთს მის სახელს ფიქრობდა, ნინოსაც სჯეროდა ამისი მიხაკო ზეციდან მოვლენილი უბადლო ქმნილება იყო და ამ მხრივ შემფასებელიც ერთადერთი თვითონ და თუ რომელიმე, ამათგანს ვისთანმე გათამაშება დასჭირდებოდა, ეს დროული გართობა ანგარიშზე ჩასათვლელი არ იყო.

ნინოს მაინც კილაკავად ესმოდა მიხაკოზე, ვითომ ის ქალების მიმდევარი იყო, ამ გაგონებაზე ჯერ გულიანად გაიკისკისებდა, შემდეგ წყრომით მიბრუნდებოდა, მეტად კადნიერ მთქმელს, გულზვიადად და გადაჭრით მოსთხოვდა ამ საგანზე მასთან კრინტი არავის დაეძრა... ამ მითქმა მოთქმამ ნინო შურს და მტრობას აწერდა, რაკი მიხაკო ცხოვრებაში იმარჯვებდა. ზოგ შემთხვევაში არ სცდებოდა, მიხაკოს ბევრი აღარა უკლდარა თავისზე უხნეს უკვე ცნობილ ნათესავებს არამცთუ დასწოდა, კიდევაც წინ გაესწრო. იშვიათი იყო ქელები, ქორწილი, თავადაზნაურთა ყრილობა რაიმე საჭირვარამო საკითხზე, რომ იქ მიხაკო თუ წესრიგის მიმცემი არა, ერთერთ საპატიო წევრად მაინც არ ჩარეულიყო. თუ ოთარის მჭერმეტყველობა აკლდა, მიხაკო სიჩუმით უფრო ბევრს აკეთებდა თავის სასარგებლოს. რის განხორციელებაც სწადდა არ დაუშვებდა პირიდან, სანამ მისი მწვალეებელი საკითხი უკვე წარმოებას არ იწყებდა. მიხაკოს დაკვირვებითი უნარი შესწევდა ღ ცხოვრებაში არავის ინდობდა. გლეხი, თავადი, ქალი, ბავშვი თუ პირუტყვი ყველა თავის მიზნების მისაღწევად სჭირდებოდა. მიხაკოს სჯეროდა, იარაღ აყრილი კაცი უმწეო იყო, მაშ მიხაკოს რილასთვის დაეყარა ის იარაღი, რომელსაც დიდებაში შეჰყავდა?

თუმცა სწავლაში გონება ჩლუნგი გამოდგა, ძლივძლივობით გიმნაზიის ექვსი კლასი, ისიც კერძო მასწავლებლების დახმარებით გააჩანჩალა, მეშვიდეში თავი ველარ დაიჭირა და გამოვიდა. მაგიერად ბელგიაში წავიდა, რამდენიმე წლის შემდეგ პარიჟში გაჩნდა, შემდეგ გერმანიასაც ეწვია, იქ აგრონომიის შესწავლას შეუდგა, იმავე დროს მეცნიერების სხვადასხვა საკითხებსაც შეეჭიდა, მაგრამ მიხაკოს გონების ძაფებს აქაც აუტანელად ძალა დაადგათ და არამცთუ ამ მძიმე ტვირთის ზიდვით მოდუნდნენ, კიდევაც ადგილადგილ იწყეს წყვეტა ღ რამდენიმე წლის გზა გზა ისეც ერთი მეორესთან მიუდგომელი, მაგრამ გაჭირვებით მონაგროვი მასალა უცბად ერთმანეთში აილუფხა და მიხაკოც ცალიერზე დარჩა, მაგრამ ამ მძიმე მდგომარეობიდანაც მოახერხა უვნებლად გამოსვლა, თითქო ერთბაში შემსუბუქებაც იგრძნო, რაკი მიუწლომელ ქიდილს ჩამოშორდა. აგრეთვე იმედი ჰქონდა, საქართველოში ამისი ცოდნის ამწონდამწონი არავინ იქნებოდა, ისე კი ეგროპა მოვლილს, უცხო ენების მცოდნეს და შალაშინ გაკრულს, ექვითაც კი ვერ შეჰკადრებდნენ, თუ მიხაკოს განათლება მარტო გარეგნულ ელვარებაში იხატებოდა... მიხაკოს, ძმაცა ჰყავდა, მაგრამ რაკი, როგორც უმცროსი, გადაშენების გზას ადგა უნიჭობისა და უხასიათობის გამო, რასაკვირველია ვერ შესძლებდა ამის მონახევოედ გახდო-

მას მემკვიდრეობაში, თუმცა მიხაკო მაინც ფხიზლობდა, ფრთხილად ზომაედა ყოველ მის ფეხის გადადგმას, რათა მოულოდნელ გაუგებრობას მოუმზადებელი არ შეხეჩებოდა. ამ შემთხვევაში ნინოც დიდ დახმარებას უწყევდა. მიხაკოს და ნინოს ჩაგონებით თვითონ ძმაც დარწმუნებულიყო თავის უხეირობაზე და მუდამ მათი თვალ-წარბში შემყურე მონად გახდომოდა. ამათ, დედაც და მამაც, უფროსი რუსის გენერალს უმზითვოდ წაყვანა, მეორეს — მდგომარეობის უგვარო ღარიბი ვილაც შეჰყვარებოდა და უიმედო გრძნობის ძნელად ამტანი სწრაფი ქლეჩით გარდაცვლილიყო. აქაც მიხაკო და ნინო ადვილად გადარჩენილიყვნენ იმ უსიამოვნო ხიფათს, რომელიც ემუქრებოდათ დებისგან მეოთხმეტედი ნაწილის წაღებას იმ მამა პაპეულ მამულიდან, რომელიც მემკვიდრეობით ძმებზე გადმოსულიყო. ორი მეოთხმეტედი ამ მამულიდან არცაგრე ადვილად გასაწეებელი იყო მიხაკოსაგან დებისთვის, როდესაც ეს ხშირად ვნებისაგან თავში სისხლ ავარდნილი ოპერის პირველ ხარისხოვან მომღერალ ქალს დაუზოგავად ფულს აყრიდა არამცთუ მარტო ერთდროულად, არამედ თავის თვეობამდის, წლობით, რის გულისათვისაც არაერთხელ უხდებოდა რომელიმე ხოდაბუნის, ან სამოსახლო ადგილის ფულიან კაცზე გადაცემა... ნინომ ყველაფერი იცოდა, მაინც სდუმდა, მანიც მიხაკოს სახელს ფიცავდა. მაგრამ ნინო მელანიასა და ნატოს წინაშე მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ცალკე პირველის ონავრობა, ლიტას საზღაპრო განდიდებაში გამოხატული, ცალკე ნატოს მშვენიერება და მემკვიდრეობა ნინოსგან მათზე მოტანილი იერიშს უკან აგდებდა და ტუჩაკვრით ავონებდა, რომ მას ჯერ ბევრი რამ უკლდა, ვიდრე მათ სიმაგრეს დაამსხვრევდა... ნინოს თავგზა ებნეოდა, მაინც სიცილ კისკისით, სიტყვების ფრთხილის გამასხარაებით სასურველ შემთხვევების მომლოდინე ცდილობდა აღმოფოთებული თავმოყვარეობა და შურისგან აბობოქებულ გრძნობის გახელება გაეყრუებინა. რაკი მელანია და ნატო მის წინაშე გრძნობდნენ უძლევე უაღრესობას, ყოველთვის ლმობიერებით და ალერსით უხვდებოდნენ როგორც მიხაკოს ცოლს. მელანიას ნინოსთან კეთილ განწყობილებაში დიდი მუნათიც მოჩანდა, რაც გულს უსიებდა ნინოს, მაგრამ ნინო თუ ამათთან თავს მაინც დამცირებულად სთვლიდა, როგორც უმცროსი გარეთა მაზლის წულის წულის ცოლი, მაგიერად მთელი ამისი ცდა და ყურადღება მიმართული იყო ნატოს უფროს ქალიშვილებისკენ, რომელთა სილამაზის და ქკუის ხმა საზოგადოებაში გავრცელებულიყო.

ამ ხმასაც ნინო გულდამშვიდებით ვერ ისმენდა, თუმცა ძალზე მიიწევდა მათკენ, ჩქარობდა დამეგობრებას... ესენიც ნინოსთან ბევრ საიმედოს, და გულის წადილების უფრო ადვილად ასრულებას მოელოდნენ, ვიდრე მშობლების სახლში და ნინომაც დიდიხნის მათკენ მისავალ ბილიკების ძებნით გულ გადაღეულმა, უფერად გზა ტკეცილზე შედგა ფეხი... გახარებულმა ცოლქმარმა გულშემატკივარის და თანამგრძნობლების სახით მიირჩევს სასწავლებელიდან გამოსვლის უმაღლეს უმანკოების სუნნელებით შეზავებული ორი კოკორი, რომელნიც მარტო დასაძინებლადლა მოდიოდნენ სახლში, რომ დედმამის არეულ დარეულ ცხოვრებას ასცდნოდნენ.

\* \* \*

ოჯახის წევრების დაცალკალებით დაჯგუფება, ერთისგან მეორის უარის ყოფა მეტად მოქმედობდა ამ ოჯახშივე თვითეულ წევრზე და მით უმეტესად სალიზე. სალი თვალს არიდებდა მელანიას ჭრელთვალებს, ეჩვენებოდა თითქო რაღაზედაც იმუქრებოდნენ იმ დროსაც კი, როდესაც სააღმოსავლეთი მხრეებზე იმყოფებოდნენ.

სალის შეჯავრებოდა ეს ადამიანი მას აქეთ, რაც ლიტა ზარატინის მოქტაცა, ეს კიდევ მოსულიყო ამათთან, დღესაც მსუნაგ კატასავით იყურებოდა ვერიკოსკენ, რომელიც წინანდებურადვე კეკლუცობდა სხვა ახალგაზდებთან. ეს ახალგაზდებიც განგებ ვერიკოსთვის ამოსულიყვნენ მიხაკოსას და, როდესაც სალამოზე ქალიშვილებს სახლამდის მოაცილებდნენ ხოლმე, უსათუოდ თან ახლდათ ნინოც და ქალიშვილების მოტრფიალენი უკანვე თავისთან მიჰყავდა. სალი მიხაკოს და ნინოსაც გაუბოდა, ვერიკო კი უზრუნველად ფრიალებდა მათ წინ. სალის ვერიკოს ასეთი საქციელი მელანიას ჯიბრზე ერთის მხრივ მოსწონდა, მაგრამ კიდევაც უკვირდა მისგან ზარატინის მალე დავიწყება.. თვითონ ნატოც, მუდამ ალექსეის სახელის დიდის ალერსით მომხსენებელი, დღეს მის შესახებ არავისთან კრინტს აღარა სძრავდა, თითქო ზარატინის არსებობა არც კი გაეგონა. სალიმ ამისი მიზეზიც იცოდა, თვალყური მოეკრა ნატოსთვის ერთხელ, როდესაც ის მარტოდ დარჩენილი ოთახში აღელვებული, თვლებში ცეცხლანთებული თავის თავს ხმამაღლა როგორ ელაპარაკებოდა:

— წაიყვანონ!.. მიირთვან!.. მაინცდა მაინც ვითომ რა გახდა ის ოხერი, რომ იმისი ბადალი ველარ ვაშოვინო ჩემ ვერიკოს!.. მელანიას გულის დასაწვავად არ შევიმჩნევ ამ დანაკარგს, რომელსაც თან გადაჰყვამ იმოდენა ხარჯიც, რაც იმ ზამთარს გაგწიეთ. თუ მე დავრჩი მოტყუებული, ისინიც უფრო შერცხვენილები!.. ნატო თავის ქალიშვილებით მაინც ამაყობდა.

ვერიკოს გვერდში ამომდგარი ბაბუცა განსხვავებულ პიროვნებას წარმოადგენდა, რამდენადაც ვერიკო უზრუნველად და მხიარული იყურებოდა, იმდენად ბაბუცა გულჩახვეული და დაბლვერილი მოჩანდა. ბაბუცას სილამაზე იხატებოდა ძვალმსხვილობასა და ნებისყოფაში, ვიდრე სახის ნაკვთებში, რომლებსაც ამშვენებდნენ შავი ჟუჟუნა თვლები, მაგრამ ამ ქალის ნებისყოფა მაინც დაძლეული იყო ერთხელვე განმტკიცებულ აზრებისგან. ინსტიტუტის გათავების უმაღლეს აბან მოინდომა შიგვე დარჩენილიყო და თავის შრომით ეცხოვრა, ასეთი საქციელი რაკი გარემოშვილების საგვარეულოს ჩირქის მოცხება იქნებოდა, ბაბუცაც ნებაუნებლიედ ვერიკოსთან ერთად „კოტილიონის“ ზარების საწკარუნებლად უნდა ჩაბმულიყო. ნატო დიდი მადლობელი იყო მიხაკოსი და მის ცოლისა, რაკი ამის შვილებზე მეტისმეტ გულშემატკივრობას იჩენდნენ, ექვი არ იყო ვერიკო და ბაბუცა იმათ ოჯახში შესაფერ ბედს შეხვდებოდნენ, ამასაც მხრებიდან ჩამოფხსნებოდა ერთი წყება მძიმე ტვირთისა და შემდეგ მიუბრუნდებოდა მეორე წყებას, რომელიც თანდათან ჰასაკში მოდიოდა და წინა რიგში ჩასადგომად ემზადებოდა.

\* \* \*

— ღმერთო, შენ მოხედე, შენ უპატრონე ჩემ საწყალ შვილებს!..

ამოხვრით წაილაპარაკებდა ნატო დაწოლის წინ, მგტადრე კვირადღას, როდესაც მის ოთახში სანატრე სანთლებით გაბრდღვიალეებული იყო ნატოსგან შვილების ასეთი მოხსენება საღისაც არაერთხელ გაუგონბა, მსგნბმ მის მიმართ გულში არც ერთი ხაზი, არც ერთი წერტილი სათანაგრძნობლად შეხმძრეულა.

ოთარიც დღითიდღე უკვე დასწეულეებულ ეინებისაგან ხელ დარეული, ხანდიხან თითქო კიდევაც უქმურისებურად შეზიზინებული სახლში ყოფნის დროს, რაც იშვიათად ხდებოდა, ოთახში ჩაკეტილი თავისთან მოლაპარაკე შეშლილს დამსგავსებოდა. სალი ფეხაკრეფით შიიპარებოდა კარებთან, გასალებს ყურს მიადებდა და არ სჯეროდა თუ ოთარი მარტო იყო, სალისთვის შეღავათიან დღედ ითვლებოდა ის დღე, როდესაც ოთარი სხვაგან ეგულებოდა. ოთარის ჭყვირილს მარტო ნატო ხვდებოდა ნალვლიანის სიჩუმით, შვილებისთვის კი მელიის სორო სანატრელი იყო. ამ შემთხვევაში უფროსებს თუ საშველად ნინო გასჩენოდათ, უმცროსებს მარი სემიონოვნა, გიტოსთან ტყეტყე მოსიარულე, მაგრამ მეორე წყებაში, რომლის მოწინავედ ლიზიკა ითვლებოდა, ახალახალი მოთხოვნილებანი მწვავედებოდნენ. თუმცა უფროსები მათ არც სცნობდნენ, არ იზიარებდნენ. ლიზიკა უფროს დებს წამოსწეოდა, უკვე ამჩნევდენ მის მშვენიერებას, რომელიც ჩრდილავედა მოწინავეების სახიერებას და გამელავენებით შორიდან ეტრფოდნენ. ამ მოვლენას რასაკვირველია შინაურებისაგან ხვდებოდნენ სხვადასხვა გამქარწყლავი და შემასუსტებელი ზომები, სახლში სასტიკად ჩაკეტვა, ტანისამოსის დაღირსება და ხშირად ქიშუნჯებიც, მაგრამ ლიზიკა მაინც არ ეპოებოდა და ყოველთვის მცირეოდენ შემთხვევითაც კი ცდილობდა წინ წაწევას, მზის შუქის თავისუფლად დანახვას. ხშირად დარიკოსთან ერთად აწყობდა გეგმას მომავალ ცხოვრებაზე, დარიკოც თანაგრძნობით შეჰყურებდა თვითონაც ამ დღის მომლოდინე...

თუნდ ნანატრი ვაჟებიც: არჩილი, რომელზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდათ და გატაცებულ სიყვარულისგან წარამარად გაჟრეოლებული გულში იხუტებდნენ, სწავლის ფულის დროზე შეუტანლობის გამო ფრანგულ სკოლიდან დაეთხოვათ და დღეს ცხრა წლის ბიჭი სხვა სასწავლებლისათვის ხელმეორედ ისევ მოსამზადებელი, შესაყვანი გახდომოდათ და არჩილსაც უკვე სწავლაზე გული აჰყროდა ამ ოჯახის შვილების ადამიანური სულის კვნესა მკაფიოდ შეესმოდა მარი სემიონოვნას და რაკი შველაში თავს სუსტად გრძობდა, ბავშვების სწავლებაზედაც ხალისი ეკარგებოდა და, როდესაც ოთარისათვისაც გასამრჯლო მოეთხოვა, მაგრამ მას ვადა ზაფხულის დამლევამდე გადაედო, თვითონ ქალაქში წასულიყო, მარი სემიონოვნა ძარღვებ მოშლილი მთელ დღეებით თავის ოთახში ჩაკეტილი აღარ დასდევდა, თუ ბავშვებისაგან მომცდარი საათები როგორ უნაყოფოდ იკარგებოდნენ..

\* \* \*

ადამიანს რაც უნდა ეფერო, პატივისცემა თავზე აყარო, ბოლოს მაინც უმადური დაგრჩება; შენს მდგომარეობაში მაინც არ შემოვა, სულს არ მოგაბ-

რუნებინებს. ნეტაი თუ იმისი ფასი რა ასწავლა ჩემ შვილებს, რაც აქ შესვა და შექამა, წმინდა ჰაერით ისუნთქა და გიტოსთან ტყეში ისეირნა?! კიდევაც იმიტომ ამეტყველდა ჯაფარასავით ფრანგულ ენაზე ის პატიოსანი ყმაწვილი წინად რომ თითო სიტყვაზე ირჩობოდა. თურმე გიტოსთვის არ მოგვიყვანია ეგ ქალბატონი და დღემდის კი არ ვიცოდით!—აბა მელანიას სინსილა განა მოისვენებს ისე რომ რაშიმე არ დაგვზხამოს?.. დიდი რამ მომზდარა <sup>მისი ფულით</sup> მიღება დაუგვიანდა, სწორედ მაგისტვის არა სცალიან ეხლა <sup>ოთარს, ელდისგან</sup> თვითონაც აღარ იცოდა ჰაიჰარათი საჩქაროდ როგორ გაჭრილიყო ქალაქში, საიდანაც მეტად ცუდი ამბავი მოუვიდა. თურმე კურკუზოვი ჯერ სამსახურიდან გადაუყენებიათ, შემდეგ სამართალში მიუციათ. საცოდავეს ელდისგან სიღამბლე მოსვლია.. ჩვენი მამულების ისეც არეულ-დარეული საქმეები სულ კურკუზოვის ხელში იყო და ეხლა რა მოგველის, ეს მარტო ღმერთმა იცის. სადაც სამართალია, პირიქით, თვითონ მარი სემიონოვნამ უნდა ზღოს ის ზარალი, რის მიზეზიც ბრძანდება. მაგის წყალობით გამრავლებულმა თავებმა ვერიკოს ყუთსაც მიაგნეს, ძირი გამოუქამეს და ძვირფას კაბებთან ერთად სასწავლებლის მოწმობა სულ წვრილად დაკემსეს.. ვთქვათ ვერიკოს ადგილზე ერთი სხვა ვინმე ღარიბი ქალი ყოფილიყო და მთელი მისი იმედები მაგ მოწმობაზე დამყარებულიყო, ნეტაი თუ ეგ დარბაისელი რა პასუხს გასცემდა?.. ჯერ ვნახო რა ამბით მოვა ოთარი ქალაქიდან, გავიგო მიღებულები ხართ სასწავლებელში თუ არა.. თუ მიღებულები ხართ, რატომ, დაე მაგანაც მიიღოს გასამჯელო, თუ არა და რისთვის?!

ეუბნებოდა გულმოსული ნატო ლიზიკას, რომელიც კარებზე იდგა, დალონებული გაჰყურებდა ეზოდან მიმავალ ორ თვალთან ჩალისგან დაწნულ კაბრიოლეტს, მის პრილა ბორბლებს, შავად დაბზენილ წყვილ ცხენს, ლამაზ თასმებით ჩასალტულებს... კაბრიოლეტის მეეტლე მიხაკო ვერიკოსა და ბაბუცას შუაში ჩაჯდომოდა და მათთან მასლაათობით კოხტა ეტლს მიაგრილებდა, მათ აცილებდენ აგრეთვე სალის თვალეები, რაღაზედაც აღშფოთებულნი მეტადრე მაშინ, როდესაც გაიგონა ნატოს უკმაყოფილება მარი სემიონოვნას შესახებ მთლად დაიბნა, ნატოს სიტყვები უკვე ააშკარაებდნენ ქალის ამ სოფლიდან ძალე წასვლას და სალის სამუდამოდ აქ ჩარჩენას... მოეჩვენა ამ წუთებში თითქო რაღაც ფრილოს ჩამონანგრევა ზუზუნით თავზე გადაუარა და ფრილოსა და უფსკრულ შუა მოემწყვდა... სალი ანგარიშ მიუცემლად შურდულსავით გაეშვა, გზაგზა რაღაც განუსაზღვრელ სიმწვავეს გრძნობდა, თითქო ნანგრევის ნატეხი მოხვედროდა... სალიმ ორივე ხელები წაიღო გულისკენ, მაგრამ ძალე ისევ დუნედ ჩამოეშალნენ, უნდობლად მოაელო თვალი გარემოს... თურმე კოშკთან მისულიყო, ღამდებოდა, კოშკიც ბინდბუნდში ეხვეოდა, ბუიკოტი გაჰკიოდა, იქვე ზვირთებ მოშხაპუნე პატარა რუ ძილის პირს აწყობდა.

— ნეტაი ეხლა სადა ხარ, ვალოდი?.. — უცბად წამოსცდა სალის და როდესაც პასუხად მარტო სიჩუმე დაუხვდა, ყური მიუგდო ისევ თავის გულს, რომელიც განაბულიყო.

— ვის ეძებ, სალი?.. — მოესმა ამ დროს დინჯი მახლობელი ხმა... სალიმ თავი ასწია მაღლა, იცნო ხმა გონებისა, რომელსაც ნგრევის დროს ფრიალოზე ფეხის შედგმა მოესწრო...

— ვის უძახი ამ ცალიერ სივრცეში? ვალოდიას?... ნუ თუ ეხლავე ვერ ხედავ შენსა და იმის შორის დიდ მანძილს?.. ან სადა სცალიან იმას შენთვის, როდესაც დღეს თუ ხვალ ზღვაზე მოსრიალე გემების გამგე მანქანებში შენა?.. შენ რაღა, წიწილა?.. თუ იმან სადგურზე ვერ გამოგატარა, ან საჩიქანამ, რომელიც ეხლა აქ აღარ არის, მოხერხებით თავი დააძრო თავ მომაბეზრებელ ბატონებს, გაიქცა თავისუფალ ცხოვრების საძებნელად, ოთარისა და ნატოსაგან გამოგზავნილ ეტლში ერთად არ მოგათავსათ, გიკვირს?.. ამოდ ნუ ეძახი ნურავის, ნურც ელი ნურავისაგან შევლას, შენ თვითონ გასწი წინ შენი თავის მოიმედე...

ამ შთაგონებისაგან გაოგნებული სალი ჩაჯდა წყლის პირას, ხელები ნუხლებზე დაილაგა, იწყო სივრცეში ყურება, ისეც ჩამუქებული სათვალეები უფრო მეტად ყმენდავდნენ ღამისაგან ფრთა დაკრულ ბუნების უუმცირეს სხეულებს.

\* \* \*

— წყვილი!.. წყვილი!.. და წყვილი!..

უკბად ქალის ხმამ მიწყნარებულ ჰაერი გასერა. სალიმ მოიხედა. აბრანძული მენიკა ნანგრევებთან იდგა, წვრილფეხსა სთვლიდა. ინდოურები, ქათმები და იხვები ერთმანეთში ირეოდნენ, მოხუცებულს ანგარიშს უშლიდნენ...

— წყვილი!.. წყვილი!.. თქვენ კი არ მოისვენეთ აჰანდე!.. რა იქნებოდა ცოტა კიდევ დაგეცდიათ!.. — დაუმატა საყვედურით მენიკამ და წახრიგან გაშეშებული ძლივსლა წელში გასწორდა... დედაკაცის დაჩივლებამ სალის მსწრაფლ გუნება შეუცვალა, საჩქაროდ მის წინ გაჩნდა.

— რა იყო, მენიკ, გაგაწვალეს? გინდა ერთს წამს ყველანი მოგირეკო?.. შეეკითხა.

— ბარემ კარგი იქნებოდა, მაგრამ დაგავიწყდა ოსტატის სიტყვები?.. ან დედიშენის საყვედურებს ვინ გადაურჩება?..

უპასუხა ცივად მენიკამ და ზურგი შეაქცია.

სალიმ მაინც ქარსავით შემოურბინა წვრილფეხს და ხელების აქნევით წინანდელზე მეტად აფორიაქებულები მენიკას ერთბაშად ზედ მიიყარა... მათი უშნოდ გახტომ გამოხ ჯომა, ფართხალი, ინდოურების გასოკოიანებული თავები, დაფეთებულების კივკივი სალის ართობდა, აცინებდა, თან მარჯვედ იქერდა. წყვილ-წყვილად, მენიკას აჩეჩებდა და იმასაც თვლა უადვილდებოდა... მენიკა დიდი კმაყოფილი დარჩა, როდესაც სალიმ უკანასკნელი რიცხვი წყვილად ჩააბარა და არა კენტად.

ეს მოვლენა მენიკას აზრით იმის მაჩვენებელი იყო, რომ წვრილფეხს არ აკლდა.

— რაბან ეს სიკეთე მიყავი და არავის გაწყრომას არ შეუშინდი, წამო ჩემთან, მეც იქნება შესასუსნი რამე გამოგინახო. — შესთავაზა ღიმილით მენიკამ, სალი გაჰყვა.



სალი მენიკას ოთახში წინადაც ყოფილა, მაგრამ აქაურობის შეთვალე-  
რება რიგიანად ვერცკი მოუსწვრია, მაშინვე მარი სემიონოვნა უკან დასდევნე-  
ბია და დიდის შენიშვნებით წაუყვანია, სალის მაინც თვალწინ უდგა მენიკა  
ყველგან და ყველას წინ მოფუსფუსე, გარდა იმ მძიმე საქმეებისა, როგორც სა-  
რეცხი, სადილის კეთება, სუფრაზე მორთმევა, თუ რასაკვირველია სტუმრები  
არა ჰყავდათ, იმ დროისთვის კი საგანგებოდ მზარეულ-მსახურები ჩნდებოდნენ  
მენიკა სულ უმცროსის თანამდებობასაც ასრულებდა.

— ხედავთ რა ყოჩაღად იხედება? ვინ იტყვის სამოც წელიწადს გადასცი-  
ლებიაო... რა გიშავთ, ძალუა ჩემო, სანამ ევ სახლში გყავთ!... — თვალის ჩაკე-  
რით და კბილების გაელვარებით ეტყოდა ნინო ნატოს, როდესაც მენიკა სარე-  
ცხიდან ამოდებულ გაჭარხლებულ, ორთქლში მოხარშულის ხელებით მოართმე-  
ვდა ლამბაქზე დადგმულ წყლით სავსე ჭიქას და მასვე განახევრებულს უკანვე  
წაიღებდა. რაც შეიძლებოდა აჩქარებულის ნაბიჯით, რომ დროზე ქვაბში მოსა-  
ხარშად ჩაყრილ სარეცხს მიშველებოდა.

ნატო ჯერ დაკვირვებით მიაჩერდებოდა ნინოს და როდესაც მის თვალე-  
ბში დაცინვასაც ამოიკითხავდა, ეს გულზვიადად კრიალოსნის მარცვლებს გან-  
საკუთრებულის ხმიანობით თვითფულად ჩააგდებდა და უბასუხებდა:

— მაინც და მაინც ისეთი რა არის, რომ უმაგისოდ ყოფნა ველარ მოვა-  
ხერხოთ! თუ რასმეს აკეთებს, აკეთებს თავის შესაფერს, თორემ სასტუმრო  
ოთახში წამომჯდარი უფრო რას ივარგებდა?..

მენიკას აქეთ-იქით მიწყვეტ-მოწყვეტება, ყოველ ცხვირის დაცემანებაზე  
მისი ძახილი, უფრო გამწვავდა მას აქეთ, რაც უმცროსები მარი სემიონოვნამ  
თავის ფრთებ ქვეშ შეიყუთა, მანამდის ბავშვებიც ეშველებოდნენ, მენიკაც დაუ-  
ზარებლად ხშირად ექლმურტულებოდა ზღაპრებს თანაბარის დაშვებულის ხმით,  
როგორც სალამო ჟამს მდინარის წანწყარი, მაგრამ მარი სემიონოვნას მოსვლის  
შემდეგ ბავშვებსა და მენიკას შორის დამყარებული ნაზი კავშირი დღითი-დღე  
სუსტდებოდა, გაწყვეტაზედაც მზად იყო. ბავშვებმა აღარ იცოდნენ, როგორ  
მოქცეულიყვნენ, თუ ხანდისხან მასთან ქურღულად შეიპყრობდნენ, თვითონ მე-  
ნიკაც ცივად უკან აბრუნებდა, სტუქსავდა. როგორც სხვა ყველა შემთხვევაში,  
მენიკას აქაც თავისი თავი ავიწყდებოდა, ფიქრობდა ისევ ბავშვებისთვის, რათა  
ორქოფ მდგომარეობით არ გაწვალებულიყვნენ და უფროსების სრული მორჩი-  
ლები გამხდარიყვნენ...

ნატოს მენიკა ეჯავრებოდა, ყოველი მისი მიფერება და ალერსი ბავშვებთან  
ამას ნარზე სვამდა, შურს უღვიძებდა, ეჩვენებოდა ოითქო მენიკა ამის ოჯახს  
უანგარო სიყვარულით უთითებდა რაღაც მიუტევებელ უსამართლობა-შეუგნებ-  
ლობაზე, რითაც ოთარის სახლობა ხელმძღვანელობდა ამის მიმართ და ჯიბრზე  
ნატოც, რომ თავისი ქალბატონობა მენიკას წინაშე მრისხანედ გაელვარებინა,  
ერთსა და იმავე საქმეზე განგებ რამდენჯერმე აბარბაცებდა. მენიკაც მაგრა  
მოკუმულის ტუჩებით უარის უთქმელად ასრულებდა ყველაფერს და თითქო თავ-  
მოწონებითაც ეზიდებოდა მათკენ მობრაწულ ინდოურებს, გამომცხვარ ნაზუქებ-  
სა და ხაჭაპურებს, ხილს თავის ხელით დამხადებულს და დაკრეფილებს.

— ისიამოვნეთა!.. შეირგეთა!..

გაისმოდა მისი დაუწყნარებელი ხმა, ნატოს ეს ხმაც თითქო ყურში იდუმალად ჩასჩურჩულებდა, რომ ამ სახლის ნამდვილი დიასახლისი სწორედ ეს აპანკლული დედაკაცი იყო და არა სტუმარსავით გიმოკობტავებულ-მორთული ნატო. მენიკას ხანდისხან მალვით გამოხედვა, ათვალეერ-ჩათვალეერება ნატოს კვლავ შემდეგის მხილების ლახვარსა სცემდა:

— ნეტა თუ რა გამძლეობით მიდგები წინ უხსოვარ დღეებში და მკვიდრებულ დედაკაცს? შევეკითხოთ თვითეულ კენჭს ამ სახლისას, ფესვებს ეზოში მდგარ მცენარისას, ქალა-მინდვრებსა, მთებს, თუ მდინარეთ და ვნახოთ ჩვენს ცნობაზე რას იტყვიან?.. ჩვენში რომელს აკუთვნებენ უმთავრესს ძარღვს შეუნაცვლებელ სიცოცხლისას, გამძლე სულის და სხეულის მარადისობას?.. — და რამდენადაც ეს მხილება ჭეშმარიტი იყო, იმდენად ნატოს გულში აღშფოთებას საზღვარი ეკარგებოდა, მაგრამ ამავე დროს თითქო შემკრთალიც უჩუმდებოდა.

ამ ორი ადამიანის ერთმანეთთან დამოკიდებულება სალის ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან ქალბატონსა და მოახლეს სხვანაირად არ შეეძლოთ მოქცევა და ამ შემთხვევაში ორივე მხარეს შეურიგებელი განზე უდგებოდა.

ეხლა კი მენიკას სრულიად სხვანაირი იერი ჰქონდა მიღებული, წელში გაშლილიყო, გახუნებული, ჩაწვრილებული თვალები გაცოცხლებოდნენ. სალიმ იგრძნო ოთარის ოჯახის ცალ-ცალკე დაჯგუფებას თურმე კიდევ სრულიად განკერძოებული ჯგუფი ამოსდგომოდა გვერდით. ამ ჯგუფს დამოუკიდებლად მეთაურობდა მენიკა, რომლის სამმართველოში შედიოდნენ პავლე, წვრილფეხი, ნანგრევები და ყველა ის დარგი, რაც დიდ ჯაფასა და ღონის ზედ შელევას თხოულობდა. ტახტზე ჩამომჯდარი სალი თვალს არ აშორებდა მენიკას, როდესაც ის კერასთან ნაცარში ჩაფლულ ნალვერდალს ქექდა.

— მაშ ჯერ პირველად მხალით გაგიმასპინძლდები, ჩემო კეთილო სტუმარო, ისეთი მხალი მოგიტანო შენმა დაბერებამ, სულ თითებს იკვნეტდე. მენიკამ ამ სიტყვებით რამდენიმე წუთის შემდეგ ცეცხლზე ტაფა ააშიშხინა. შემდეგ ტახტზე სუფრად პატარა ხელსახოცი გაშალა, წითელ-წითელ ვაშლებით და შეშაქრულ ჩურჩხელებით დაამშვენა...

სალი ჯერ ღიმილით უყურებდა მენიკას, მაგრამ ოთახის ღარიბმა მოწყობილებამ, თაროზე გამწვრიებულმა თიხის ჭურჭელმა, ქერში თოკზე ჩამოკიდებულმა სადღვებელმა, აგიზგიზებულმა ბუხარმა უეცრად გული აუჩუყა, ზეზე წამოვარდა და მენიკას კისერზე ორივე მკლავები მაგრა შემოხვია. მენიკამ დაკოჭრილი ხელები თმებზე გადაუხსვა და თავისებურად წყნარად უთხრა:

— რა იყო?.. პაპაშენის სოფელი ხომ არ მოგაგონდა?..

სალიმ ხმა არ გაიღო. მენიკამ ისევ ტახტზე ჩამოსვა, მალე მხალით საგსე თევში წინ დაუდგა, თვითონაც იქვე დაბლა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და მოუყვა აქეთურ-იქითურს. სალიც თან მხალს უგუნებოდ ციციქნიდა, უფრო მთელი მისი ყურადღება მიქცეული იყო იმ მეტად საგრძნობ ამბებისკენ, რომლებსაც მოუთხრობდა თვითონვე ამ ამბებით გატაცებული თავჩაღუნული მენიკა.

— პაპაშენის სოფელში მეც ბევრჯერა ვყოფილვარ, შვილო, იქ ჩემი მულის წულია გათხოვილი. ერთი ქალი აქაც არის იქიდან მოყვანილი. იმ დღეს

იმათთან რომ ვიყავი თქვენზედაც ლაპარაკი ჩამოვარდა, გაიგო თუ არა ფეფამ შენი აქ ყოფნა, შემეხვეწა მიგიყვანო იმათთან და, როდესაც ვუთხარი რსტატი და დედა მეც არ მაკარებენ მეთქი, შემომიყვირა:—ჰაი დედასი.. ეხლა განა?.. ნეტა მაშინ რაღას ფიქრობდნენ, შიმშილისაგან გადამტკნარებულს კარდაკარ რომ დაათრევდნენო?..

მაგრამ რა გამიკვირდეს ბატონისაგან, თუ იმან სხვისი <sup>შეგონება</sup> შექაშაო.

მეც დავპირდი მოგგვრი მეთქი. ეჰ, იმან თუ არ მითხრა მე კი არ ვიცი საქმე როგორც იყო?

აქ მენიკა გადავიდა ნათლია გიორგიზე, რომელმაც ჯერ კიდევ უსუსური წაიყვანა საბედასთან, უამბო უბედურ დედაკაცს გაზაფხულის ნიაღვარმა სახლ-კარი როგორ წაუღეკა, თვითონ კი პაწია ბიჭით როგორ გაიქცა, სალი ეზოში დასტოვა. თუმცა საბედამ შვილი ხიფათს გადაარჩინა, მაგიერად თვითონ გონება არეულს ქალაქის მახლობლად სოფლის პირში მოკეთესთან ძლივს თავი მიუტანია, არ დასცლია სახლში შესვლა, იქვე დერეფანში წაქცეულა. მოსულიერებულს თუმცა შვილი გვერდით უნახავს, მაინც ხელების ქნევით დაუწყია თავის გარშემო ფათური, ვილასიც ძებნა. შემდეგშიაც, როცა ნელ-ნელა დაწყნარებულა, სალი ჭკუა ველარ გამოუტანია და მთელი წლის განმავლობაში ხშირად თოკით დასაბმელიც გამხდარა, რაკი წყალისკენ იწევდა თურმე. ბედზე, იმ სოფელში ერთი ღვთისნიერი ადამიანი გამოჩენილა და მის წვალებას ერთი პატარა ფხენილის ჩაყლაპებით სამუდამოდ ბოლო მოღებია. დარჩენილა ობლად შაქრო.

— ვაჰ, შენ დედას შვილო, დღესაც რომ მაგონდება, იმის საცოდაობისგან ვილევო. რაკი ქვეყანაზე ბოროტთან კეთილიც არ დაიღევა, ობოლს მოეშველა ქვრივი დეიდა და თავისთან წაიყვანა. თვითონაც ლუკმა ნაკლებმა თავის ექვსს, ჯერ მარტო მჭამელ ქულფათს ერთიც მიუმატა და შაქროც წამოიზარდა. საღვის მელორე უნდოდა, ვის მეხბორე, ვის კალოზე დამხმარე, ეს ობოლი ბიჭი ყველგან იყო და დღე-ხვალიობით ასე შენ ხელად მოიყარა.

მენიკამ ლაპარაკი შეწყვიტა. აღელვებულმა მთელი პური შუაზე გადატეხა, ნახევარი ცალ ხელში დაიჭირა და მეორე ხელის ხუთივე თითი მხლით სავსე ჯამის პირს შემოუტარა.

— მერე გენაცვალე აკი აქაც ღმერთი არ გაუწყრა იმ ჩაქოლვილ დედასა და იმ წყერჩიტასავით მინდვრებსა და ტყეებში მოგოგმანე ბავშვი გაჯავრებულმა დიდბატონებმა ზამთრის პირში არ მიირთვეს!.. ისე მოისპოს შენი ავად მახსენებელი, როგორც იმ საწყალი დედაკაცის ბედზე ხსენება მოისრისა!.. კარგია კიდევ ბებიაშენმა მოიწადინა შენი წაყვანა, თორემ არც შენ დაგეყრებოდა კეთილი. აბა ეხლა ეს წითელი ვაშლი გათალე!..—დაურთო მენიკამ და შეხედა სალის, რომელიც ფერდაკარგული მთელი ტანით თრთოდა.

— შეშინდი, შე გლახავ?.. ეს ხომ დღევანდელი ამბავი არ არი?.. უწინ კი ბევრი ამაზე უარესი ამბავი მომხდარა და შენც მოგეწყინება ყოველ იმათ მოგონებაზე შეშინდე ხოლმე. ეჰ, ეხლა რაღა დროს შეკრთომაა, ვინ იცის მას აქეთ ამ ჩვენ წყალს რამდენი პირი ჩაუვლია!..—შესძახა მენიკამ და სალის მო-

ეხვია... მენიკა დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, მალიმალ შუბლზე ხელს ადებდა, სწმენდავდა კუკურკუკურად დასხმულ ცივ ოფლს... როგორც/მყო ბუხართან მიიყვანა, სკამზე ჩამოსვა, ბუხარს ბლომად შეშა მიუმატა, გაილივრებულ ცეცხლის შუქი მოლურჯოდ ფერდაკრული შეთამაშდა სალის თითქმის დამბლად დაცემულ სხეულის წინ და ცხუნებით მიეძალა, მასში დასრულებული სიცოცხლე აღედგინა.

— ღმერთო, გადამარჩინე ამ ელდასა!.. მე თვალ დამდგარმა, რისთვის გავაბი იმ დედაკაცზე ისე გაჭიანურებით, რომ ერთხელაც ველარ შევხედე სახეში?.. გონება რამ ამიბნია?! — ფიქრობდა მენიკა, როდესაც შეჰყურებდა დამუნჯებულ სალის...

მაგრამ დამძინებული წუთები მაინც არ ჩერდებოდნენ და მიდიოდნენ, სალიც თანდათან ბურანიდან ერკვეოდა... რამდენჯერმე გადისვა სახეზე ხელები, თითქო უსიამოვნო სიზმარში მყოფმა გაიღვიძაო. მიიხედ-მოიხედა, მოესმა ხრაგუნა. კუთხეში კატას ინდოურის თავი მოეგდო კლანჭებში, ზედ დაბლუოდა... მენიკაც აქვე წვრიმალ საქმეებში ფუსფუსებდა, თითქო ამითი უნდოდა სალისთვის ეჩვენებინა, რომ არაფერი ამბავი არ მომხდარიყო. სალი მაინც განაგრძობდა ჩუმად ყოფნას, თითქო დალაპარაკებისა ეშინოდა და რაკი მენიკაც ხმის ამოღებას ერიდებოდა ისევე ცუდად იგრძნო თავი, წყლისკენ გაიწია... მენიკაც გაჰყვა... ხის ფოთლებში შეხვეული მთვარე მდინარეში იხედებოდა, სალიმ ნიდაყვებამდე ჩაუშვა წყალში მკლავები, პირველ სიგრილის შემდეგ ხელებმა სითბო იგრძნეს...

— მას აქეთ თურმე ბევრ პირწყალს ჩაუვლია?!

და სალიც ამ ჩავლილ მონადენ ზვიროებს ნალვლიანად მიშტერებოდა.

\* \* \*

სალის გონების დავთარი აერია... მენიკას შიფერებასაც შეშინებული ხვდებოდა, ეგონა საცაა კიდევ ახალ საშინელ საბრალმდებლო რასმეს გაავგონებდა. თუმცა, როგორც დამძანი, ისე მარი სემიონოვნა ჩვეულებრივად ოთახისკენ სასწავლებლად ეძახოდნენ, მაგრამ სალის სწავლაზედაც ხალისი დაჰკარგოდა და თუთიყუშსავით ალალბედზე იმეორებდა რასაც ჩასძახოდნენ. საგრძნობი უჯრედები უკვე ავსებოდნენ მწვალბელის განცდებით, სახეში სიყვითლე ეპარებოდა, ხდებოდა, თუ შემთხვევით თვალს მოჰკრავდა სოფლის დედაკაცს ხელში ქორთა ბიჭით, ან მწყემსს, ერთ ადგილს შეშდებოდა, ვიდრე ისინი სადმე შესახვევში არ მიეფარებოდნენ.

— ალბად მაშინ ისიც ამოდენა იქნებოდა, როდესაც ნათლიამ საბედასთან მიმიყვანა?..

— ან ამოდენა დიდი ბატონები რომ შეხვდა?.. ნათლიას რომ არ მივეყვანე, რომ არ მივეყვანე!.. — დაჟინებით ჩურჩულებდა და რალაც მხილებისგან მხრებს მტკივნეულად პრანკავდა. ამ მეტად გაუძლისს მდგომარეობაში მყოფი სალი როგორც კი მიაღვებოდა რუს და დაინახავდა მის შეუჩერებლად დენას, მჩქეფარე ნაკადის ზეგავლენით გულზედ ეფონებოდა, შეტბორებული ნალველი ეშლებოდა

დაეჩვენებოდა, ამ მდინარესავით ივითონაც დაძრულიყო ხავს მოკიდებულ ქაობიდან და მიდიოდა. მიდიოდა შარაზე ურმით ტაატით, ჯანჯლარით, რყევით და არა ისე სრიალით, ოდნავის სასიამოვნო რხევით, როგორც ანინი უფროსი დები მიხაკოს კაბრიოლეტით...

\* \* \*

უკრუნუნუნუნ  
უნუნუნუნუნუნუნუნ

— საკვირველია, თითქო წინდაწინ გული მიგრძნობდა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო.. აბა, ქალო, ჩემს შემდეგ ეხლა შენ წაიკითხე ხმა მალლა მამაშენის წერილი.

უთხრა ნატომ ბაბუცას სწორედ იმ დროს, როდესაც ის იყო ნინოსთან წასვლას აპირებდა, ვერიკო უკვე იქ იყო.

„ჩემო სიცოცხლე, ნატოჯან!.. რაკი კურგუზოვი გარდაიცვალა, ჩვენი საქმეები პრიკაზის ახალი გამგის ხელში გადავიდა. ამის შესახებ ვერას მოგწერ, რადგან მე თვითონაც არ ვიცი როგორ არი. არჩილი ჩემმა ძმამ ბესარიონმა იკისრა აღსაზრდელად. რასა ვკარგავ?... მე თუ მამა ვარ, ის ბიძაა... ბესარიონმა ახლად შერთული ცოლი ჩამოიყვანა პეტერბურგიდან, მილიონების შემკვიდრის ძმის წული. აგატა ბაგუსკის ქალი. პეტერბურგის უნივერსიტეტის გამოჩენილ პროფესორის ნაცოლარი. ამ პროფესორს რალაც მიზეზების გამო თურმე დამბაჩით თავა მოუკლავს, ბესარიონს აგატას ბიძა დაჰპირებია რამდენიმე მილიონს ერთდროულად და შემდეგში კიდევ სხვა იქნება... აგატა ქმარზე ხნით უფროსი უნდა იყვეს, თუმცა რო სთქვას კაცმა, ბილაშაზითაც არაფერია, მაგრამ სიმკვირცხლით და იერით ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალს არ ჩამოუვარდება... აგატა სიცოცხლის გზნებაა... ქართველები მოსწონს და საქართველოში ჩამოსვლით დიდი კმაყოფილია... ქმარზე ის უფრო მეტად გულმბურვალედ შეხვდა არჩილის აღზრდაზე მზრუნველობას... თუმცა აგატა ოჯახშია აღზრდილი მასწავლებლების დახმარებით, მაგრამ ევროპიულ ენებზე თავისუფლად ლაპარაკობს. დღემდის თუ მათიკო განცალკევებული ცხოვრობდა, დღეს ბესარიონმა თავისთან გადაიყვანა და აგატასგან დიდად პატივცემულია.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ორივე ცოლქმარნი ჯანით სუსტები არიან და მთხოვეს ზაფხულობით ჩვენი სახლკარი დავუთმო, რათა მანდაურ წმიმდა ჰაერში გამომრთელდნენ და მეც რომ ჩემი გულწრფელობა და სიყვარული გამოემჩინა საქმით და არა სიტყვით შენს სახელზე დამტკიცებული ეგ კარ-მიდამონოტარიუსის წესით აგატას სახელზე გადავიტანე. ამ ქალს სიმდიდრისგან ისეც თვალი აქვს გამძლარი და ალბად ბიძის სასახლესთან შედარებით ჩვენი სახლი პატარა ხუხულად მოეჩვენება, მაგრამ რა ვუყოთ, სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირებისო. მაშ ასე, ჩემო სიცოცხლე, გუშინ თუ ეგ სახლ-კარი შენი იყო, დღეს აგატასია, მაგიერად მისი მილიონები შენი იქნება და შესაფერის თანასწორის ჩამოსვლით რძლები ფსონში ერთმანეთს შეხვდებით. რაც შეეხება იმას, თუ ჩვენ სად ვიცხოვრებთ, ამაზე როცა ჩამოვალ მაშინ ვიმსჯელოთ. მე აქ ჯერ კიდევ კარგა ხანს მომიგვიანდება... ღვთით, ჩვენი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, არჩილი დავაბინავე, ილუშა ჯერ მაინც პატა-

რაა, იმაზე ფიქრი ნაადრევია... უფროს ქალიშვილებს დავათხოვებთ. ენიცობაა სახარჯო ფული გამოგელიოს, მიხაკოს დაესესხე, თუ იმასაც არ შეესწროს, პაწია ქალაღდზე როგორმე წაჯღაბნე შენი სახელი და გვარი, მეღუჭნეს მიე და რამდენიც დაგჭირდეს გამოართვი, სანამ მოვიდოდე... გეტყევი, მარე სემიონოვნა უსათუოდ გაისტუმრე, რაც ერგებოდეს იმაზე ორჯერ მეტი ყვე და თავიდან კი მოიშორე... მიხაკოს ხომ მაინც უყვარს ქალების ვაცილ-გამოცილება და მაგის წაყვანაშიაც არ დაგზარდება. დანარჩენი შვილების საკითხიც ასე გადაწყდა: — ლიზიკა უდავოდ მიღებულია ინსტიტუტში, დარიკო როგორც დეკანოზის ნათლული დიდი კამათის შემდეგ, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც მიღებულია. რაიცა შეეხება სალის, როგორც კი მაგისი ნათლობის მოწმობა გადაიკითხეს, მაშინვე ერთის ხმით დაუშვებლად ჩასთვალეს, როგორც გლეხის ნათლული. სხვა რაღა მოგწერო, ნატოჯან, წერილი ისეც მეტად გამიქიანურდა. გკოცნის შენი ერთგული მონა ოთარ...“ და ყველას თვალეები ერთბაშად მიიმართნენ სალისკენ, რომელიც ყველაზე მეტ გულგრილობას იჩენდა ოთარის წერილის მოსმენაზე.

— სწორედ გადარეულა მამაჩენი და ეს არის!.. — შესძახა გაგულსებულმა ბაბუცამ და საჩქაროდ გარედ გავარდა. ლიზიკა და დარიკო გოცებით შეპყურებდნენ ერთმანეთს, დედის შიშით კრინტს ვერა სძრავდნენ... ნატომ თვალი მოავლო ოთახს, იგრძნო საკუთარ ჭერქვეშ აღარ იყო. ამ ცდას ზედ დაერთო სალის ინსტიტუტ გარედ დარჩენა, საშინელმა გრძნობამ ონავრობით გაუელვა თვალეებში სალისკენ მიბრუნების დროს, სალიმ მაშინვე ალლო აულო, კვლავ სასტიკ ბრძოლის დასაწყისს და გადასწყვიტა აქედან გაქცეულიყო. ეს გადაწყვეტილება იმდენად გართულდა, გაბორჯდა, რომ დანარჩენი განცდანი გაყრუვდნენ, მარტოღა თავის გადარჩენაზეღა ფიქრობდა, ხშირად შერბოღა მენიკასთან, რომელიც ამ მძიმე წუთებში ყველაზე მახლობლად მიაჩნდა, თუმცა თავის განზრახვას არც მას ანდობდა, შორიდან მოვლით, მოხერხებით და ფრთხილად შეუმჩნეველად გადადიოღა მეტად საჭირო კითხვებზე მის შესახებ, თუ კიაზოს სოფლამდე აქედან რა მანძილი იყო. სალიმ მენიკას წყალობით გაიგო თურმე ეხღა ჯვარობების დრო იყო და რასაკვირველია გზაზე როგორც ცხენოსნები, ისე ქვევითნი და ურმები ბაწარაღებით გაიბმებოდნენ... არჩიღ, არამც და არამც აქაურ ურემს არ გაპყოლოღა, რათა ამისი ფეხის ნატერფალიც კი არ დარჩენილიყო მდეღართათვის, ვიდრე სამშვიდობო აღგიღამდის მიაღწევღა. სალი ამ ბოლო დროს არც მენიკათი იყო კმაყოფილი, ემღუროღა, თავის უკანასკნელს კაპეიკს რად აძღევღა პავლეს, თვითონ კი შიშველი რჩებოღა მაშინ, როდესაც პავლესთვის მარტო ერთი ყღუბი იყო და მის შემდეგ უშვერის სიტყვებითაც ლანძღავღა.

— ნეტაი თუ მენიკას პავლესთვის ისეთი რა დაეშავებინა გარღა იმისა, რომ ქვეყანაზე გაეჩინა? თუ პავლე ზარმაცი და დაბღურა იყო, აქ მენიკას რა ბრალი ეღებოღა, როდესაც თვითონაც ოთარის ოჯახში სამაღლოდ შემოხიზნულიყო?.. მაგრამ მენიკას სამაღლოდ მოხსენებღაზე სალიმ თავის თავს შებღვირა, ფიქრი აღმა შეატრიაღა და გულმოსულმა მიატანღა...

— ნურას უკაცრავად!.. სამადლო მენიკა კი არ არი, სამადლონი ოთარი და ნატო ბრძანდებიან, თუნდ თვითონ პავლეც, რომელთაც მენიკა აკმევს, ასმევს და როგორც სამადლონი კიდევაც მალე წაბრძანდებიან აქედან... დარჩება მენიკა თავისუფალი თავის ქათმებთან, ძროხებთან და ნანგრევებთან!.. ასე იქნება!.. სწორედ ასე იქნება!.. აქ ყველაფერი მენიკასია და არა უფროსი, თუნდ ი ვილაც აგატასი, ბესარიონს რომ ძოყუყანია... მენიკა ლეკვით უკვე იმ დაჯღაბნილ ქალღლებსაც, რის ძალითაც ეპატრონებიან აქაურობას... მაშინ მენიკაც აღარ იქნება ასე აპანკლული, როგორც დღეს არის. მანამ პავლე ან ჭკუაზე მოვა, ან თავის თავს გადაჰყვება და მენიკასაც ზურგზე აკიდებულ მძიმე ტვირთი ჩამოეხსნება!.. — დაუინებით გაიძახოდა მთლად გაბოროტებული ღვარძლმორეული სალი და რალაც შურის ძიებით გაქლენთილი ამ მოლოდინით წინდაწინ სტკებოდა, გულიანად კისკისებდა, მთვარიან ლამეში რუსთან დაელურს ურბენდა, ტაშს უკრავდა, თითქო წყალიდანაც იწვევდა თანამგრძობ სულებს. ზეიმში სალი ვერ ამჩნევდა თუ მის კისკისს ნანგრევებიდან როგორ ეხმატკბილებოდა მოკივარი ზარნაშო. მაგრამ სალის გულში აღძრული გამანადგურებელი გრიგალი მალე ადგილს უთმობდა ისევე დამქანცავ სიწყნარეს და გულის ლევას. ერთხანობას ამან დააპირა მენიკასთვის ეჩუქებინა ათი მანეთი, შავი დღისათვის შენახული, მაგრამ როდესაც გაიხსენებდა მისკენ გამოწყდილ პავლეს ხელს, მენიკასაც წინანდებურადვე გაწყალებულს, ძენიკაზე ბრაზმორეული თავის განზრახვას ისევე უკან სწევდა, თუმცა ამავე დროს ეხვეოდა, ჰკოცნიდა, თითქო უნდოდა ამ ალერსით მთელი თავისი გულშემატკივრობა მის წინაშე გადაეშალა... მენიკაც თავის მხრივ ისევე ახალახალის ამბებით ართობდა. სალი ისმენდა ოთარი და მათიკო რა მიზეზით წასულიყო აქედან, მელანია კი ასე ფარფაშებდა... მათიკო გაუთხოვარი დაბერებულიყო, ძმებს მამულები ჩამოერთმიათ, ფულიც ხელიდან გამოეჭამათ, დარჩენილიყო უფროსი ძმის პენსიაზე!.. ლაპარაკის დროს მენიკას თვალები ცრემლებით ევსებოდნენ.

— როდესაც ჩემი ნიკოლოზი უკანასკნელად აქ იყო, ეს სახლკარი მე ჩამაბარა... მითხრა სანამ მოვიდოდე აქედან ფეხი არ მოიცვალოვო... მაგრამ დაბრუნება ველარ ეღირსა, რაკი რუსეთში უეცრად გარდაიცვალა. მე კი სანამ პირში სული მიდგია მისი თხოვნა უნდა შევასრულო... ის სხვა იყო, ის ამათში გასარევი არ იყო...

დაუმატა მენიკამ ტუჩების თრთოლით და მის მუხლზე დადებულ სალის ხელს დაეცა ცხელი წვეთი ცრემლისა, რომელიც მოხუცებულის თვალებს უცაბედად დასცდათ.

— ეტყობა ბესარიონის ცოლი კაი გულის ქალი უნდა იყვეს, სხვა რძლებისგან ათვალწუნებული მული, რო თავისთან მიიყვანა!.. — უცბად სიტყვა შესცვალა მენიკამ, რათა გულზე მოწოლილი ბოლმები გაექარვებინა.

— მაშ!.. მაშ!.. რალა გიშავს რახან ბესარიონს თავისი ცოლი შენთან ახალ ქალბატონად მოჰყავს... უყურე მაშინ შენი კონკების გაახლებასა! — სიტყვა ჩამოართვა პავლემ, რომელიც თავს წამოადგა. ნასვამი არ იყო.

— ეჰ, რას დაიციხები შეილო?... ეს ჩემი კონკები მარტო შენ გარცხვენენ, სხვას არავის... შენ რომ საიმედო მყოლოდი დედაშვილობამ ეს კონკებიც თავისთავად გაწყვებოდა...

— ჰე!.. ვენაცვალე ღმერთსა, რომ ოთარს ეს სახლკარი ბესარიონის ცოლისთვის უჩუქებია მაშინ... როდესაც... აქ... მე...

ნეტაი თუ დედაჩემო ეხლამაინც არ წამოხვალ სახლში?... აქ რაღა დაგრჩენია?... — საჩქაროდ მიატანა პავლემ.

მენიკამ ხელით შუბლი დაიჩრდილა, მწყურალად გამოხედა შეილს, რომელიც გულხელდაკრეფილი, ფერშიტეტკილი, მოღრეშილის სახით ჩამომჯდარიყო იქვე ტახტზე და დაყმენდილის თვალებით შეჰყურებდა.

— დაბერდი, ბიჭო და კიდევ ვერ გაიგე, რომ აქედან წამსვლელი არსად არა ვარ?... ჩემი კუბო ამ სახლიდან უნდა გაიტანონ, ვისაც მობრძანება უნდა მობრძანდეს, მენიკა სტუმრის ხამი არ არი! გაიგონე?..

მენიკას თვალები წინწყლებსა ჰყრიდნენ და სალისაც გაქცევის სურვილი უფრო და უფრო უმწვავედებოდა.

\* \* \*

— საით მიდიხარ ბიძია? — შეეკითხა სალი მეურმეს, როდესაც იქვე რუს პირზე, ცხვირწინ ცალიერი ჩარდახიანი ურემი ჩამოატარა...

მეურმემ ხმა არ გასცა, ყევარს შოლტი გაჰკრა, სწორე გზაზე შეაყენა.

— ბიძია, რომელ სოფლიდანა ხარ?..

სალის დაჟინებულმა შეკითხვებამ იმოქმედა მეურმეზე, სოფლის დასახელებაზე სალი უნებურად შეხტა.

— მერე აქეთ რა გინდა?..

— რა მინდა და ამ სოფელ ხევით მოკეთესთან მიმაქვს ურემი. რაი ხანია ჩემი დედაკაცი წვეულად არი იქ და ეხლა სახლში უნდა წავიყვანო.

— მაშ მეც წამიყვანე ბიძია, ფულს მოგცემ. — დაეღრიჯა სალი.

მეურმე ურემს ჩამოჩჩა, გაოცებით შეხედა პატარა ქალს.

— საით გინდა წახვიდე?..

— საითაც თქვენი სოფელია. წამიყვანე, ჩემო ბიძიკო, მარტო ერთი პატარა ბოხჩა მექნება სხვა არაფერი.

— თუ წავიყვან პატარა ბოხჩა არა და გინდა სავსე ხურჯინსაც წამოგიღებ... ჩემი დედაკაცი მაინც მარტო იქნება, გზაზე ერთმანეთს გაართობთ. მეტადრე რაკი ჩვენი მხარისაც ყოფილხარ, სალაპარაკო ბევრი გამოგიჩნდებათ.

დღეს ხომ კვირაა, ეს დღე დაიხსომე, სწორედ დღეის სწორს აქეთ ჩამოვივლით და შენც მზად იყავი...


სალიმ ათრთოლებულის ხელით გაუწოდა ათ მანეთიანი, მეურმემ გაიღიმა.

— ე შენი წაყვანა მესმის, მაგრამ ფული რაღაში გამოგართვა, როდესაც თვალით ძლივას ჩანხარ?... ყევარი შენთვის შევაბი თუ?..



მეურმისგან ფულზე უარის თქმა სალის ეწყინა, შეშინდა, დანაპირებ არ დავიწყებოდა, ფულის მიღება კი უფრო დააიძვებდა, როგორც დაქირავებული აღარ გადათქვამდა.

ფულის აღებაზე სალიმ კვლავ შესწუწუნა...

— ფულს არ გამოგართმევ მაგრამ, როდესაც სახლში შევსწუწუნებ, მე და ჩემი დედაკაცი ახალ ნახად ღვინოზე დაგვპატივე. შენ კი წინთანა წარ...  


სალი ჯერ დაიბნა, მაგრამ რაკი გატაცებული იყო აქედან წასვლის სურვილით, თავისი ამბავი გადასხვანაირებულად უთხრა, ვითომ ამ სახლში მყოფ-თათვის მარტო შორეული ნათესავი იყო სტუმრად მოსული, აქაური პაერი ვერ აეტანა და რაკი ამის წასაყვანად არავის სცალოდა, უნდოდა უსაფუოდ თვითონ წასულიყო, თუნდ ეხლავ...

— მაშ ასე იყვეს... დღეის სწორს ამ დროს ურემს აიმ გზაზე დავაყენებ და შენც თვალი გეჭიროს.— უთხრა ღიმილით მეურმემ, თითი გააშვირა პირდაპირ გასწვრივ მოჩინარ შარასკენ, ურემიც აჭრიალდა, სალი უყურებდა მეურმის მზისგან გალურჯულ კუშტად გამომყურე სახეზე აჩენილ თანაგრძნობის ღიმილს.

— ვითომ წამიყვანოს?... რომ გადაიფიქროს?.. ნუ თუ მართლა შეღირსება აქედან წასვლა?! — შფოთავდა სალის გონება და ეჭვის თვალით აქეთ-იქით იხედებოდა.

— თუ არ მოვა, ნუ მოვა!.. ჩემჭირს!.. ის არ იქნება, სხვას მოვძებნი!.. წავალ კი!.. თუნდ არავინ წამიყვანოს, ფეხით წავალ, ღამიან გავიპარები, თუნდ მგლებმა შემქამონ!.. — ბუტბუტებდა თავის გარდაწყვეტილებითვე გამხნეებული. ის იყო გალაუნის კარი უნდა შეეღო, რომ უკანიდან ხველა მოესმა. ხველამ ელვისებურად გაპკრა გულში, მოტრიალდა და... რუს პირზე მხრებში მოხრალი მოხუცი მიდიოდა, ხელში პატარა ბოხჩა ეჭირა, ჩაკეცილის ბუნრის ქუდიო.

— პაპა!.. შეპკივლა სალიმ და წუთს ორივე მკლავებით ჩამოეკიდა კიაზოს კისერზე, კიაზოც პკოცნიდა, აღელვების გამო ხველას უხშირებდა...

— ქა! მამაჩემი!.. — მოისმა ამ დროს უკანიდან. ამ ხმაზე სალის მკლავები უცბად მოსხლტნენ კიაზოს კისერს, თითქო ქურდობაზე მოასწრესო, განზე გაბტა. ნატო და კიაზო დინჯად მიესალმნენ ერთმანეთს, სალი ფეხაკრეფით უკან მისდევდა, ყურს უგდებდა როგორის მღელვარებით და ამასთანავე შესაბრაღისად უამბობდა მამას შვილი თავისთავის გადასავალს მას აქეთ, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ. თუმცა ბევრიც დაუმალა, თუნდ ოთარისგან სახლკარის ახალრძალზე გაჩუქება, ლიტასგან ზარატინის მოტაცება.

სალი გრძნობდა ნატოს მალვით გაბღვერილი თვალები როგორ სასტიკად დარაჯობდნენ ამის თვითფულ ნაბიჯს და შემკრთალი ცდილობდა მოშორებით მდგარიყო კიაზოზე, რომელიც სხვა შვილისშვილებს თავისუფლად ეფერებოდა.

— რახან სალი სასწავლებელის გარედ დარჩენილა, მაშ ისევ მე წავიყვან, ისევ მე ვუპატრონებ და არც უსწავლელს დავტოვებ. მაგის ბედზე, ჩვენ პატარა ქალაქშიაც გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, სადაც, არამცთუ გლეხის ნათლულს არ მიიღებენ, თვითონ გლეხის შვილებსაც შესვლის ნება ექნებათ.

წარმოსთქვა კიაზომ დამშვიდებულის ხმით, როდესაც სავარძელში ჩამჯდარს პურის ჭამის წინ ხელის დასაბანად მენიკამ ტასტი და თუნგი მოართვა. ამ სიტყვების გაგონებაზე ნატო მსწრაფლ სარკმლის ფიცარზე თოფნაკრავსავით ნიდაყვებით დაებჯინა, ეზოსკენ სახე მიბრუნებული; სალის თვალები აუპარპარდა, საჩქაროდ კბილი ტუჩზე დააჭირა, ორივე ხელები გულზე მაგრა მიიჭირა რათა არ დასცდენოდა გონების წამრთმევი ალტაცების ამოძახილი.

## XIV

ჯერ მზეს არ მოესწრო ცის კიდურიდან სხივების ამოშლა, რო სოფლიდან გამოვიდა მგზავრებით დატვირთული დილიჩანი და ქალაქისკენ გაეშვა.

დილიჩანში მჭიდროება იყო, ადამიანების ხმაურს ზედ ერთვოდა იმათ ფეხებთანვე ჩაჭედნილ ქათმებისა და ციკნების კრიახ-კიკინი.

მგზავრებში ზოგი დილიჩანებდა, ზოგი მოუთმენლად მედილიჩანს უყვიროდა, ჩქარა გაერევა ცხენები, ეგებ შუადღის მატარებლისთვის ჩაესწრო. მათში გარეულნი დარბაისლებიც დაშვებულის ხმით ერთმანეთს უზიარებდნენ დღევანდელი დღის ვითარებას, ამ საერთო ხმაურში მონაწილეობას არ იღებდნენ კიაზო და სალი. მეტადრე პირველი ლაპარაკის გუნებაზე არ იყო. ორივე ხელეებით ჯოხს დაბჯენოდა, ნიკაპით ხელებს დანდობოდა, წარბების ხშირის შეთამაშებით ამჟღავნებდა თუ მის გულში აღშფოთებასა და გონების მსჯელობას ერთმანეთთან რა დიდი კამათი მოსვლოდათ.

სალი მალიმალ ხელს უსვამდა კიაზოს წელზე შემორტყმულ ვერცხლის ქამრის მოსევადებულ ბალთებს, ტუჩებზე ღიმი უჩნდებოდა, როდესაც რწმუნდებოდა რო ნამდვილად კიაზოს უჯდა გვერდით და არა სხვას; თუმცა კიაზო მოკლე-მოკლე, უფრო სავალდებულო სიტყვებით ეხმაურებოდა, მაგრამ მალე ჩუმდებოდა...

მას აქეთ, რაც სალი კიაზოს მოშორებოდა, წელიწადის შესრულებას ბევრი აღარა უკლდარა. მთელი ეს ხანი ორივეს ცალ-ცალკე ეცხოვრად, უერთმანეთოდ ეცოცხლათ... თვითონ სალისაც ხომ უნდოდა ინსტიტუტში მიბარება, იქიდან ვალოდიასთან ერთად შორს წასვლა, ამასაც კიაზო და მარიამი მაშინ განზე რჩებოდნენ და ამ შემთხვევაში ორივე მხარე ერთმანეთთან თითქო ბარდაბარ გამოდიოდნენ, მაშ სალის გუნებაში საყვედურის გავლების ნებაც კი აღარა ჰქონდა.

სალიმ ფიქრიანად გაიხედა იმ მთებისკენ, რომელთ ერთ-ერთ ფერდობზე შეფენილი ოთარის სოფელი თანდათან პატარავდებოდა, როგორც ცაში აწეული ფრინველი. საცაა ისიც ნისლში ჩადნებოდა, თუმცა ამავე დროს ნისლიდანაც ირკვეოდნენ მიტოვებული აჩრდილები.

დილის სისხამისგან იერ მიღებული ფერმკრთალი ნატო კიაზოს გალავანის კარებამდე აცილებდა. მის თვალებში სალი კვლავ მშფოთავ მორევსავით მობრუნავ რისხვა კრულვას კითხულობდა:

— მაშ იმისთვის გაგაჩინე შე საძაგელო, რომ დღეს ხელიდან წამგლიჯო უკანასკნელი იმედი და სასოება?!

ამ გახსენებაზე სალის ხელის თითები, რომლებიც კიაზოს ქამარს უაღერ-  
სებდნენ, ძირს დაუცვივდნენ, დილიყანის რკინას ზურგი მიჰყუდა, ანგარიშ  
მიუცემლად მიაშტერდა მოფრიალე ფარდას, რომელიც დილიყანის გვერდს ფრთა-  
სავით სცემდა.

ამ დროს ბავშვმა დაიტირა, დილიყანის კუთხეში სოფლელი გლეხის ქალი  
ქორფას პირში ძუძუსა ჩრიდა, ბავშვი ძველ ფალასებში ეხვია, დედამ, თუმცა  
შეიძლებოდა სამგზავროდ მორთვას ცდილიყო, მაგრამ მისი სიღარიბე ტანისა-  
მოსის ყოველ ნაკეცებიდან მაინც ურცხვად იქვრივებოდა.

სალის გაახსენდა თავისთავი საბედასთან, ნათლია გიორგი, მისი სიკვდი-  
ლის დღე. ლოცვა-კურთხევა, მისივე წყალობით ინსტიტუტის კარებიდან ცი-  
ვად გამოტრიალება და თითქო ცის ტატნობზე მძლავრად ერთმანეთზე მოყო-  
ლებით წამოიშალნენ კიაზო, მარიაში, იმათი სოფლის მცხოვრებნი და ამ წა-  
მომდგარმა უმრავლესობამ ჩანთქა, გააცამტვერა ოთარის და ნატოსგან წამოყე-  
ნებული ყოველნაირი უფლება.

სალიმ დააპირა ერთხელ კიდევ შეებღვირა იმ უსამართლო მრისხანე თვა-  
ლებისთვის, რომელნიც საფრთხობელასავით აცილებდნენ და სალიც მას სია-  
მოვნებით გაუბოდა; როგორც გაძლიერებულ ხანძარს, რათა შიგ არ ჩატრუ-  
სულიყო, თუმცა ამ წუთებში მოჩვენებული ხანძარიც დილის ნისლმა შეისვა.

ნისლს იქით სალის ორი დასანანი რამ რჩებოდა: მენიკა, რომელიც ალ-  
ბად ხვლიკებით სავსე ნანგრევებში გაუკითხავად ჩაკვდებოდა და რუ, ერთად  
ერთი ნიშანი, ხატება უჩერებელ სიციცხლისა.

— ჩემო მენიკ, თუ კიდევ მოვედი როდისმე მაშინ უფრო მეტს პატივსა  
გცემ, ეხლა-კი ამაზე მეტი არა შემიძლიან რა, რომ ერთი თუმანი მოგცე. ჩემ  
სახსოვრად იყიდე ახალი კაბა, დიდი ხანია რაც ამ ფულს ვინახავდი სამგზავ-  
როდ, მაგრამ რაკი პაპას მივყვეარ, აღარ დამჭირდება... მაგრამ, ჩემო მენიკ,  
ძალიანა გთხოვ ეს ფული შენ თავს მოახმარე და სხვას არ მისცე!..

სალი გულიანად ჰკოცნიდა მენიკას, რომელსაც ხელში ძროხის მოსაწვე-  
ლად ხელადა ეჭირა. ისეც მოწეული სახე მენიკას უფრო მეტად უნაოჭდებოდა  
და თვალეში ცრემლ მორეული ეუბნებოდა:

— მომიკითხე დიდი ქალბატონი, სოფლის ქალები... აბა შენ იცი თუ არ  
დაგვივიწყებ და კიდევ დაგვხედავ...

სალი თავს უქნევდა და გარბოდა რუსკენ გამოსათხოვრად:

— ნახავმდის, ჩემო წანწკარავ, იცოდე შენი ტკბილი ელმურტული სანამ  
პირში სული მიდგია არ დამავიწყდება... კვლავაც უეჭველია ასეთივე მარდი და  
ციცხალი დამხედები, როგორიც დღესა ხარ... მაშინაც ისევ გაბმით მოუყვე-  
ბით ერთმანეთს ჩვენს თავგადასავალს... მანამ კი ერთს რასმეს დაგაბარებ: ვი-  
ნიცობაა ამ ოთხი დღის შემდეგ ჩარდახიანმა ურემმა ჩამოიაროს და ვინმემ  
მიკითხოს, დიდი ბოდიში მომხადე, რომ არ მოვუცადე და აღრე წავედი. აბა,  
ჰე, ვინძლო შენებურად მოხდენით მიულიკლიკო და იმასაც ჩემი ასეთი მოქცევა  
აღარ ეწყინება... — ეჩურჩულებოდა სალი რუს, ხვევნა კოცნის მაგივრად ორივე  
მუჭით სახეზე წყალს ისხამდა, ცვარებს ხარბად ულაპავდა.

სალიმ იცოდა ამ ცელქად მოშხაპუნე მდინარეს ხანდისხან თავზე როგორ უეცრად დაეყრებოდა ხოლმე ნაგავ-ნუგავი, შეტბორდებოდა, მაგრამ აღუშფოთველად გზავზა ნაპირ-ნაპირ ლეკდა ერთად შექურჩულ უწმინდურობას, ხავს მოკიდებულ ქვებსა და ბალახებზე ბადესავით აბამდა, თვითონ კი მისგან თავდახწეული ისევ ანკარად მიიმღეროდა.

— წუხელის ოთახიდან რომ გამოხვედი, პაპა და დედა უჩინარდებოდნენ დიდხანს ლაპარაკობდნენ. პაპა დედას აყვედრიდა რად უმაღლესი მშენებლის ახალ შემთხვევას, რომელზედაც ქვეყანა ლაპარაკობდა და სწორედ კიაზოც ამ ამბის გასაგებად წამოსულიყო. დედაც ტირილით მოუყუა, მამაჩვენმა როგორ გადასცა ძმის ცოლს ჩვენი სახლ-კარი; ბოლოს ისევ პაპამ დაამშვიდა, დაჰპირდა, არაფერს გაუჭირებდა, მომავალ ზამთრიდან იცხოვრებდნენ ჩვენ პატარა ქალაქში... — ეჩურჩულებოდა დარიკო სალის, როდესაც კიაზოს გასაცილებლად ყველანი ლოგინებიდან აშლილიყვნენ. ვერიკო და ბაბუცა ნინოს სხვა სოფელში ვილასთანაც სტუმრად წაეყვანა და ერთი კვირეც იყო, რაც არა ჩანდნენ... მარი სემიონოვნასაც ოთახში ისევ ეძინა, ის წუხელისვე გამოეთხოვა სალის, უსურვა მომავალში ბევრი სიკეთე. თვითონაც დღე-დღე მომლოდინემ გიტოსი, რომელსაც დაპირებისამებრ სადგურზე უნდა წაეყვანა. სალი მარი სემიონოვნას მადლობელი იყო, გრძნობდა მის წყალობით ცოტ-ცოტა რაღაც რაღაცეები ესწავლა და ზაფხულის დღეებს, ტყეებსა და მინდვრებში მასთან ერთად რბენას უქმად არ ჩაეგლო.

ამ დროს დილიქანი ლორღზე შედგა, საგრძნობმა ხროშინმა სალი ფიქრებიდან გამოარკვია და ამცნო ქალაქს უკვე მიახლოვებოდნენ.

ალარც კიაზო იყო წინანდებურად მოღრეშილი, იქვე გვერდით მჯდარ მგზავრს ელაპარაკებოდა. მთის გამჭვირვალ მჩატე ჰაერი შეცვლილიყო ბარის მძიმე ჰაერთ, მაგიერად გზის აქეთ-იქით გაყოლებულ მინდვრებზე ყვითლად დაბრაწულ ბულულებს მიდგომოდნენ თავზე ხელსახოც წაკრული, გულლია, ოფლში გაწურულ პერანგის ამარა მუშები და ბულულები ორთითებით ზვინ-ზვინად გადაჰქონდათ შაძნე ურმებზე.

სალი არ ეპოებოდა სიცხეს, წამის წამს ელოდა ქალაქში შესვლას. კიაზო ისევ განაგრძობდა მეზობელთან ბაასს. თურმე ეს მეზობელიც აპირებდა ქალიშვილის მიბარებას სწორედ იმ სასწავლებელში, საითაც სალი მიდიოდა. თუმცა მისი ეფრო თექვსმეტის წლისა იყო, მაგრამ რაკი ახალ სასწავლებელში როგორც ხნოვანებას, ისე წოდებას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, ოღონდ სწავლის ფული კი გადაეხადა, ესეც სიამოვნებით სარგებლობდა შემთხვევით, რომ შვილი უსწავლელი არ დარჩენოდა.

— რაკი ეს მხარე დაღირსებული იყო ასეთ სასწავლებელს, მშობლებსაც სიღარიბის გამო შვილები შორს ვერ წაეყვანათ, დღეს განათლებას მოწყურებულნი ერთბაშად იმდენი მიაწყდა, რომ ადგილი აღარა აქვთ სად დასხან. ამბობენ, ამ დღეებში მიღებასაც შეწყვეტენო და სწავლასაც მალე დაიწყებენო. რაკი მეტი ნაწილი სოფლებიდან არიან, ბინის მოვნა უძნელდებათ, ესლავე გროვდებიან და ეძებენ.., მე ჩემი ეფრო ღვდლის ცოლთან მოვათავსე. ქვრივია

და საგანგებოდ შევირდებისთვის თავშესაფარი აქვს მომზადებული. სულზე თვეში თხუთმეტ მანეთს იღებს, უკვე ოცდაათ შევირდამდე ჰყავს შეგროვილი და ალბად ისიც მეტს ვეღარ აუვა...

განაგრძობდა რაქდენი თმაგათეთრებული, კიაზოსავით წულში მოხრილი.

— მაშ თქვენი ეფრო ამ ჩემი შვილიშვილის ამხანაგი იქნება, — უპასუხა კიაზომ და სახეზე კვლავ რაღაც უკმაყოფილება აღებეჭდა.

სალი დიდის ყურადღებით ისმენდა რაქდენის და კიაზოს ლაპარაკს, ვიდრე დილით არ გაჩერდა ქალაქის თავში. აქედან მგზავრები, ვის როგორ ეხერხებოდა, ისე უნდა წასულიყვნენ ბინამდე და რაკი სალის ბარგი ჰქონდა, კიაზომ ეტლი დაიჭირავა. ეტლმა გრძელი, განიერი ქუჩა გაარბინა, ქალაქი გალია, ხიდის ყურთან, ფიცრულ პატარა სახლის წინ გაჩერდა. ფიცრულს შესავალ კარზემოდ გაკრულ თუნუქაზე წარწერა აცხადებდა „გაბოს სასტუმროდ“. მალე ხუთსაფეხურიან კიბესთან მიდგა პატრონიც და რაკი კიბეს შუა ფიცრები აკლდა, კიაზოსა და სალის დიდის სიფრთხილით და ხელას მოკიდებით მოუხდათ მშვიდობიანად მალლა ასვლა... გაბომ უკან მოყოლილ მსახურ ბიჭს უბრძანა ეტლიდან ბარგი გადმოეღო, თვითონ კი ახალ სტუმრებს წინ გაუძღვა, საუკეთესო ოთახის კარი შეაღო და ფრთხილის, შემპარავის ხმით წარმოსთქვა:

— აქ შებრძანდით, დაღალული იქნებით და შეგიძლიათ თქვენს ნებაზე მოისვენოთ.

— სტეფანე, აბა მარჯვედ იყავი, რაც მოისურვონ ყველაფერი ფიცხლავ შეასრულე!.. — უბრძანა მსახურს, თვითონ კი წავიდა სხვა ოთახებისკენ, საიდანაც სიმღერა, ზურნის ხმა და მოქეიფეთა ღრეობა მოისმოდა. სალი გარშემო იხედებოდა. გაბოც აათვალიერ-ჩაათვალიერა, გაოცებით შეხედა კიაზოს. სალის აქაურობა აშინებდა, პაწია სარკმლებით ოდნავ გაშუქებული ქუჩყიანი ოთახები, ძველისძველები, ოთარისგან არაერთხელ ტუჩაკრული, კიაზოს ჩამოსახდომ ბინად გაეხადა. სალის არაერთხელ გაუგონია კიაზოსაგან, როდესაც აქედან სოფელში დაბრუნებულა:

— დიდი პატიოსანი კაცია გაბო, სტუმარს მომდურავს არასდროს არ გაისტუმრებს, ფულიც რომ არ შეესწროს, არამც თუ დააცდის, პირიქით, თვითონ ეხმარება.. გაბო გამდიდრებისთვის არა ფიქრობს, ის მარტო ირჩენს თავს, სტუმარიც მადლიერი რჩება.

თუმცა, სალის ეს სიტყვებიც აგონდებოდნენ, მაგრამ მაინც შემკრთალი უყურებდა ყურთმაჯებიან, ყელზე ჭრელ ხელცახოც მოხვეულ კრიალოსნით ხელში გაბოს, რომელსაც წელზე ქირმანი შალი შემოეკრა, ბუხრის ქუდი დაეხურა, სახე შეწითლებული დიდის ცხვირით და წვრილის ცოცხალის თვალუბით აქეთ-იქით მოუსვენრად დაბორიანებდა... სალი ქალაქს ვეღარა ხედავდა, მაგიერად სარკმლიდან მოჩანდა ხიდი, ხიდქვეშ მდორედ მოდენილი მტკვარი, ამას ბევრჯერ უნახავს მტკვარში დაქერილი ლოქო. ეხლაც თვალი შეასწრო ტივს, ტივზე კაცები ისხდნენ, ორთაყვირს უსვამდნენ. სალიმ ისიც იცოდა, თუ აქედან ცოტა მოშორებით ზემოთ ბორანი როგორ მუშაობდა. ახსოვს, ჯერ სულ პატარა იყო, ბორანზე კიაზო, მარიამი და სალი იდგნენ, მათ უკან ეტლი. ხიდი გატეხილიყო,

სოფლიდან ქალაქამდე მშრალით მისვლა შეუძლებელი გამხდარიყო. წყალში ყურებით სალის თავრეტი დაესხა, მსხვილი თოკი ზუზუნით თვალ წინ მისრიალებდა..

— შორ!..— მოისმოდა ტალღების ჩქაფუნი, ახლად გადასერილი/ ზვირთები გაჯავრებით იშლებოდნენ ბორანის ნაკვალევზე.. სალი კანკალებდა, ტიროდა. ეგონა, საცაა, ფეხქვეშ ფიცარი ჩაუტყდებოდა და წყალში ჩაიღუპებოდა..

\* \* \*

— აბა, შვილო. პირი დაიბანე, სუფთად ჩაიცვი და შენ საქმეზე წავიდეთ. ჯერ კიდევ გვიან არ არის, სასწავლებლის გამგას ნახვას კიდევ მოვასწრობთ. კიაზოს ზრუნვით აღსავესე ხმამ სალი მოსწყვიტა ერთხელვე ჩაციებულ წარსულის მძიმე ლანდებს. სახე გატკრცილებული დაფაცურდა, რამდენისამე წამის შემდეგ ესენი ფეხაჩქარებით მიდიოდნენ ქუჩაში.

ყოველ მოზრდილ შენობის წინ სალი ჩერდებოდა, ეგონა, საცაა, კიაზო კარს შეაღებდა, მაგრამ მოხუცს ბევრი ამისთანა კარი დარჩა უკან, სანამ დიდ ქუჩას არ შეუხვიეს.

ერთ პატარა დაბალ სახლიდან მოისმა ჟივილ-ხივილი. კარი ყურამდის ღია იყო, ჯგუფჯგუფად შედი-გადიოდნენ როგორც შეთქვირებული ქალიშვილები, ისე პატარა ბავშვები..

ეზოშიაც ქალიშვილების დუნდგო იდგა და სალის ძალზე აძგერებულმა გულმა მეტად საშიშრად დაჰკრა დაფდაფი იმ საკითხის გამო, თუ ამ რამდენიმე წუთში როგორ გადაწყდებოდა ამისი ბედი.

— შეიძლება გამგე ვნახო?..— შეეკითხა კიაზო მეკარე ქალს, რომელიც წინ მოეგება.

— მოზრდნდით.

ქალი გაუძღვა წინ და გამგეს ოთახის კარი შეაღო, გამგედ ტანმორჩილი ქესკუმი ქალი იყო, გაფუებულ ქერა თმის ხუჭუჭებზე მოხდენით დაფენოდა შავი აბრეშუმის ჰაეროვანი ბლონდი, ბრწყინავ დასაბნეევებით. ტანზე ეცვა შავი კაბა, შავის არშიებით გაწყობილი, სამწერლო მაგიდას მიჯდომოდა, დავთარში გაშურებით რალასაც სწერდა. მაგრამ როგორც კი დარაჯმა ქალმა შეატყობინა კიაზოს ვინაობა და მოსვლის მიზეზი, მაშინვე კალამი მაგიდაზე დასდო, ზეზე წამოდგა, ვნის წვერი ტუჩებზე რავდენჯერმე შემოიტარა. ჭრელი თვალები გადაატრიალა და ზრდილობიან შეხვედრისთვის მოემზადა.

შესვლის უმაღ კიაზოს ღიმილით ხელი გაუწოდა და მაშინვე სკამი შესთავაზა. კაიზომაც, სანამ იტყოდა რასმეს, რამდენჯერმე ჩაახველა, მაგრამ მალე ხმა ჩაკმინდა.

ნადეედა ვასილიევნამ ქართული არ იცოდა, კიაზომ--რუსული. და კარგა ხანს ერთმანეთს დარცხვენილები უყურებდნენ. ამ დროს მოეშველათ ამ ოთახში მყოფი ტანმსხვილი, შავგვრემანი ლამაზი ქალი, თუმცა ამანაც ქართული კარგად არ იცოდა, მაინც რაკი თვითონ ნადეედა ვასილიევნასაც, როგორც ქართველ თავადის შეუღლეს, თურმე ცოტ-ცოტა ესმოდა, კი ვერ ლაპარაკობდა, საქმე მო-

გვარდა, სალაპარაკოც ძალიან ცოტა იყო. საკითხი თავისთავად გადაქრით იდგა: მიეღოთ სალი თუ არა?

სალის გამოცდაზე კიაზოც დაესწრო. ათრთოლებული შეშინებული ახალი მოწაფე ანგარიშმიუცემლად უპასუხებდა. რასაც ჰკითხავდნენ, მისთვის ახალი გაგონება იყო, იბნეოდა, მალი-მალ იხედებოდა კიაზოსკენ, ხოლო ზველასა სთხოვდა.

გამოცდამ დიდხანს არ გასტანა, დიდი აწურვის შემდეგ ნადეჟდა ვასილევ-ნამ თავზე ხელი დაუსვა და მიფერებით უთხრა:

— დღეიდან თქვენ ჩემი მოწაფე ხართ, ჩემ კლასში იჯდებით.

— ნუ შეწუხდებით თავადო, თუ თქვენი შვილისშვილი მომზადებული ვერ არის უფროს მოსამზადებელ კლასისთვის, რომელშიაც ჩავსვით, არა უშავსრა, ეტყობა, მახვილი გულის ყური აქვს და ნაკლს გამოასწორებს. — ნადეჟდა ვასი-ლიევნას სიტყვები თარჯიმანმა ქალმა დიდის ღეჭვით და წვალებით უთარგმნა კიაზოს, რომელსაც შუბლი მოეხუშა. გამგემ თითონვე დაუწერა თხოვნა, ხელი მოაწერინა და წასვლის დროს მოაგონა, ათი დღის შემდეგ სალი ყავისფერ კა-ბაში გამოწყობილი მოსულიყო, რადგან სწავლა ეწყობოდათ.

— ნახე, რა მუნათით მიგიღეს? ისევ შენმა გულის ყურმა გიპატივა, თორემ მაგოდენა ქალს საანბანო გინყოფილებაში თავს ამოგაყოფინებდნენ. ერთი კაცმა ჰკითხოს იმ დარბაისელ მამაშენს, ისეთის თავგამოდებით რომ აქეთ-იქით გა-წიალებდათ და თქვენი მიზეზით ბზესავით ფულს აბნევდა, ვითომ რა გააჩივა?.. თუკი ბოლოს მხსნელად მარტო ისევ შენი გულის ყური გამოვიჩინებოდა, აზრი ჩემთვის ეკითხათ, ჩემზე უკეთესად ვიღამ იცოდა?.. თუ შენმა დებმაც ასე შენ-სავით მშვენიერად ჩააბარეს თავიანთი ცოდნა, ვინ იცის, თუ იმ სახელ განთქმულ ინსტიტუტში რა ხელში ასატაცებლები იქნებიან!..

გზავნა მოლაპარაკობდა კიაზო, როდესაც სასწავლებელიდან გამოდიოდა თავმოყვარეობა შელახული, გულში ბრაზ მორეული იმაზე, თუ სალი გამოცდე-ბის დროს ფეტვის მკადივით როგორ ეღრიჯებოდა, ბლუსავით ლულულულებდა მაშინ, როდესაც ქართულში წელგამართული გაქანებულ რაშზე იჯდა და ორივე ხელით მისი სადავე მაგრა ეჭირა...

— ჰმ!.. ქართულში?! ვიღას ახსოვს ქართული?.. რალაც ჩვენი ცოდვის კითხვას მიუვალ ხევში შეუმწყვდევია და შეუბრალებლად წიწკნის...

ნალვლიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა და ფიქრიანად შეხედა სალის.

კიაზოს საყვედურებს, სალი აღარ უშინდებოდა, რაჟი გუშინდელს მიეწე-რებოდნენ.

დღეს სალი შევირდი იყო, სასწავლებლის დავთარში სალომე გარემოშვი-ლად ჩაწერილი. სალომეები ხომ იქაც ბლომად იქნებოდნენ, ერთფერ ტანისა-მოსში გამოწყობილნი, ერთსა და იმავე მისწრაფებით გამსჭვალულნი. სალიმ რამდენჯერმე მოიჭირა მკლავზე ხელი, უნდოდა ერთხელ კიდევ დარწმუნებული-ყო, თუ ეს უკვე მეთოთხმეტე წელში გადამდგარი ახლად მოვლენილი სალომე

ნამდვილად თვითონ იყო თუ სხვა?.. ერთეული სიმრავლისკენ მიმსწრაფავი, როგორც პატარა ნაკადი დიდ მდინარისაკენ...

— ცოტავ, სად მიდიხარ?..

— ბევრთანაო.

ასეთი თქმულება დღეს უსრულდებოდა და სალის ცენტრის მოყვარეობა ბევრთან მისვლის გამო წუთით წუთს მოთმინებას ჰკარგავდა.

ხვალინდელის ათასფერად წარმოდგენილ სახიერების ზეგავლენით სხეულის თვითეულ ნაკეთის ძარღვი შემდეგის დაჟინებულის კითხვებით უთრთოდა:

— ნეტაი თუ რა იქნება ხვალ?.. რა იქნება ზევ?...

— რაც უნდა იყოს, ის მაინც აღარ იქნება, რაც იყო.

შელაპარაკდნენ სალის გული და გონება.

დასასრული პირველი ტომის





## არტამონოვის საყმა

გაგრძელება

პეტრე არტამონოვი იატაკზე იწვა. ლეიბი გაეგო და ზედ გამხვართულიყო. გვერდით ყინულით სავსე ჩაფი ედგა და ერთი ბოთლი ბურახი, იქვე თეფშზე მომარაგებული ჰქონდა დაფშენილი ხარდალით შეზავებული დაძმარული კომბოსტო.

სავარძელში პაშუტა იჯდა, პირდაღებული, ნატალიას მსგავსად წარბები მალლა აეწია, ცალი ფეხი ძირს გადმოეკიდა, თეთრი, მოციხფრო ძარღვებითა და თევზის ქერტლის მსგავსი ფრჩხილებით.

გარედ კი, ქალაქის ქუჩებში, სრულიად რუსეთის დიდი ბაზრობა ათასნაირ ხმაზე ღმუოდა და ბლაოდა.

არტამონოვს ნამთვრალევ თავში ჯერ კიდევ წუხანდელი ლამის ქეიფი და დროსტარება ერეოდა, ხოლო ლეინით მოწამლული ტანი ტკივილისაგან ეკრუნჩხებოდა, როცა, თითქოს კედლიდან გამოძვრაო, ოთახში მოულოდნელად ალექსი გაჩნდა. იგი კოჭლობდა. დასარყუნობი ჯოხის იატაკზე კაკუნით მიუახლოვდა პეტრეს და სიტყვა მარცვალეით გადმოაპნია:

— გადავარდი განა? ა? წევხარ? მე კი გუშინ მთელი დღე და ღამე გეძებდი... მეც გადავარდი. დილას უკვე საშინელი მთვრალი ვიყავი...

ლაქია მოიხზო, ლიმონადი, კონიაკი და ყინული შეუკვეთა. მერე სავარძელთან მივიდა, პაშუტას მხრებზე ხელი წაუთათუნა.

— ადექი, ცირავ!

ქალმა გვიან გაახილა თვალები. ბუზლუნით უპასუხა:

— ეშმაკსაც კი წაუღიხარ... თავი დამანებე.

— ეშმაკი უმალ შენ წაგიღებს, აი! — გაუჯავრებლად უთხრა მას ალექსიმ. მხრებში ხელები წაავლო, წამოაყენა, შეაქანა და გასავალ კარზე მიუთითა:

— აცხა.

— თავი დაანებე, — უთხრა ძმას პეტრემ. ალექსიმ გაულიმა და დაამშვიდა:

— არაფერია. როცა დაუძახებ, ისევ მოვა.

— ჰო, წყეულებო... — სთქვა ქალმა და მორჩილად ჩაიცვა კოფთა. ალექსი კი ექიმისვით განკარგულებას იძლეოდა:

— ახლა კი ადექი, პეტრე. პერანგი გაიხადე. ტანი ყინულით დაიზილე.

პაშუტამ აიღო დაქუქმნილი ქუდი, რომელიც იატაკზე ეგდო, და აბურდგვნილ თმაზე ჩამოიცვა. მაგრამ იქვე, სავარძლის ზემოდ კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა თუ არა სთქვა:

— უჰ! ძალიან მშვენიერი დედოფალი კა ვარ სწორედ...

ქუდი ისევ მოიხადა, სავარძელს ქვეშ შეაგდო და ხანგრძლივად დაამთქნარა:

— მაშ, მშვიდობით, მიტია. დაიხსოვნე: მე სიმანსკინ-მონასტრის ვცხოვრობ... № 13.

პეტრეს შეეცოდა ქალი, ხოლო იატაკიდან არ ამდგარა, ისე მიმართა ალექსის:

— მიეცი...

— რამდენი?

— ხუთი თუმანი...

— უჰ, ბევრია...

ალექსიმ რაღაც ქალაღი ჩაუბლუჯა ხელში პაშუტას, გააცილა და კარი მაგრად მიხურა.

— ძალიან ცოტა მიეცი.— შენიშნა მას გამომწვევი ხმით პეტრემ.— მარტო ქუდი უფრო მეტი დაუჯდა გუშინ.

ალექსი სავარძელში ჩაჯდა, ჯოხის თავზე ხელები ჯვარადინად დააწყო, ზედ ნიკაპით დაეყრდნო, და მშრალი ხმით, უფროსივით, პეტრეს მიმართა:

— ერთი მითხარი: აქ რას აკეთებ?

— ვსვამ, — თავზეხელაღებულივით უპასუხა უფროსმა ძმამ, წამოდგა და ყინულით ტანის ზილვას შეუდგა. თან კაკანებდა:

— სვი, რამდენიც გინდა, კუზმავ! ხოლო ჰკუა კი არ დაკარგო!.. შენ კი რას აკეთებ?

— რატომ მკითხავ?

ალექსი მიუახლოვდა პეტრეს, თვალებში ჩააცქერდა, როგორც უცნობს, და ფსტვენა-დართული დაბალი ხმით ჰკითხა:

— დაგავიწყდა? შენს წინააღმდეგ საჩივარია აღძრული: ვეჭილისთვის ცხვირპირი დაგიმსხვრევია, პოლიციელი ხრამში გადაგიგდია...

ის ისე დიდ ხანს ითვლიდა, რაც პეტრეს დანაშაულობა ჩაედინა, რომ პეტრემ გაიფიქრა:

ალბად სტყუის. შეშინება უნდაო.

მერე შეეკითხა:

— ვინ ვეჭილია? სისულელეა.

— სისულელე კი არა, აი, ის, შავი რომ არის... ჰმ... რა ქვიან?

— ჩვენს შორის წინადაც მომხდარა ჩხუბი... — სთქვა პეტრემ, რომელიც თანდათან თხიზლდებოდა. მაგრამ ძმამ უფრო მკაცრად განაგრძო:

— რას ერჩოდი ნაინც, რომ იმ პატივცემულ ხალხს ლანძღავდი! მერე კიდევ თავისიანებს?

— მე?

— დიად შენ... სწორედ. ცოლს აგინებდი, ტიხონს, მეც... ვილაც ბალლი მოიგონე და იტირე. თურმე სულ ამას ჰყვიროდი: აბრაამი, ისააკი, კრაეი! რას ნიშნავს ყოველივე ეს?

პეტრე ცეცხლის ალივით დასწვა შიშმა. სკამზე დაეშვა.

— არ ვიცი. მთვრალი ვიყავი.

— ეს არის საბუთი!—თითქმის იყვირა ალექსიმ და ადგილზე დასვა წამოხტა, თითქოს კოჭლ ცხენზე ზისო,—აქ რალაც სხვა ამბავია. რასაც ფხიზელი მალავს, მთვრალს ენაზე აკერია,—აი აქ რა არის! ოჯახის ამბები სამიკიტნოებში არ გამოაქვთ. საიდან მოგივიდა თავში აბრაამი, მსხვერპლის შეწირვა და სხვა ასეთი შეუსაბამობა? ამით ხომ შენ ჩვენს საქმეს ვნებ, ხოლო მე სახელს მიფუჭებ... აბანოში ხომ არ იყავი, რომ ტანზე გაგიხდია? კარგია, რომ ამ სკანდალის დროს ლოკტევი ყოფილა იქ, ჩემი მეგობარი, რომელიც დროზე მიმხდარა და კონიაკით ენა ჩაუგდია შენთვის, სრულიად გაბრუებულხარ. მანვე დეპეშით გამომიწვია. ყველაფერი მიაშბო. თავდაპირველად თურმე ყველა იცინოდა, მერე კი ყური დასცქვიტეს—რა არის რომ ამდენს ყვირის ეს კაციო?

— ყველა ყვიროდა,—ბუტბუტით ჩაურთო შიშის ზარდაცემულმა პეტრემ. ალექსიმ კი ახლა ჩურჩულით განაგრძო:

— ისინი ერთ რასმეს ჰყვიროდენ, შენ კი ყველაფერს ურევდი ერთმანეთში, კიდევ კარგი, რომ ლოკტევმა ყველანი დროზე უგრძნობლად დაგათროთ. რაკი მთვრალეები იყვნენ, იქნებ, არ დაამახსოვრდათ... მაგრამ ჩვენი ამბავი, ბოლოს და ბოლოს ხომ პოლიტიკურია: დღეს, ვთქვათ, მეგობარია ლოკტევი, ხვალ კი იგი შეიძლება ჩვენი შეურიგებელი მტერი გახდეს მაშინ?

პეტრე ისე იჯდა სკამზე, რომ თავით კედელს მიყრდნობოდა. გარედ ქუჩის თავშეუკავებელი ხმაურობისაგან კედელი ზანზარებდა. პეტრე სდუმდა.—მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ზანზარი მას თავში ქაოსს გაუფანტავდა და შიშს დაუცხრობდა. კარგად ვერ გარკვეულიყო იმაში, რასაც ძმა ეუბნებოდა. სწყინდა კი, რომ ალექსი მოსამართლესავით ელაპარაკებოდა, როგორც უფროსი. შიში უორკეცდებოდა იმის მოლოდინში, თუ რას ეტყოდა კიდევ ძმა.

— რა მოგივიდა?—ადგილზე ხტუნვით განაგრძობდა ჩაკითხვას ალექსი—აკი სთქვი, ნიკიტასთან მივდივარო.

— მერე ვიყავი მასთან კიდევ.

— მეც ვიყავი. როცა დეპეშაზე გვიპასუხეს, რომ შენ იქ უკვე აღარ იყავი, რა თქმა უნდა, მე მაშინვე გავეჭანე. ყველას შეეშინდა:—ხომ იცი, მიწაზე ვცხოვრობთ. შესაძლებელია ვისმე მოეკალი კიდევაც.

— თავში რალაც შემიძვრა,—ჩუმად, დამნაშავის კილოზე ჩაილაპარაკა პეტრემ.

— მერე ეს ხალხში უნდა გამოგეტანა განა? გაიგე: ჩვენს საერთო საქმეს ჩირქს სცხებ!. რა მსხვერპლის მიტანაზე ლაპარაკობდი? სპარსელი ხომ არ ზარ? ბავშებთან რალაც საქმეს იჭერ! ვინ ბავშია?

პეტრემ ორივე ხელის გული წვერსა და თავზე გადაისვა.

— ილია... სულ მისი წყალობაა.

მერე ნელა, გაუბედავად, თითქოს ბნელ გზაზე სდგას და ფრთხილად ძიბიჯებსო, უამბო ალექსის, რაც ილიასთან ამბავი დაემართა. მაგრამ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდა. ალექსის ექვი გაეფანტა და ხმამაღლა უთხრა:

— ფუი... ეს, რა თქმა უნდა, არაფერია! ლოკტევი კი სხვანაირად, „აზიურად“, სკანდალურად გაიგო. მაშ: ილია? ა? თუ ასეა, მაპატიე, ჩემო ძმაო. მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ ეს უგუნურობაა. ვაჭრებს უკვლადფერი უნდა შეისწავლოს, შეითვისოს, ცხოვრების ყველა მხარე დაიწვროს... შენ კი...

ალექსი დიდხანს და მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ვაჭრების შვილები უნდა გახდენ ინჟენერები, ოფიცრები და მოხელეები...

ქუჩის აურზაური ფანჯრით ოთახში იჭრებოდა. ეტლები თეატრს აწყდებოდნენ.

გაისმოდა გამაგრილებელი სასმელისა და ნაყინის გამყიდველების ყვირილი. განსაკუთრებით არახუნებდნენ საკრავებს პავილიონში, რომელიც ბრაზილიელებს ზედ არხის წყალზე აეშენებიათ რკინითა და მინით. დოლის ხმა პეტრეს პაულა მონეტტის აგონებდა.

— რალაც უცნაური რამ შემიძვრა თავში, — გაიმეორა უფროსმა არტამონოვმა, ცალი ხელით ყური შეისრისა, ცალით ლიმონადიან ჭიქაში კონიაკი ჩაასხა. ალექსიმ ბოთლი ხელიდან გამოართვა და გააფრთხილა:

— კიდევ დათვრები, გეყოფა, ნუ გინდა. აი, ჩემი მირონი საინჟინეროზე სწავლობს, მე ვეუბნები: ინებე, რამდენიც გინდა ისწავლე მეთქი. საზღვარგარეთ უნდა წასვლა? გზა დამილოცნია, წავიდეს. ყველაფერი ეს ხომ შეძენაა, მოგება, წაგება ხომ არა... შენ უნდა გაიგო, რომ ჩვენი წოდება — ის მთავარი ძალაა...

მაგრამ პეტრეს არაფრის გაგება არ უნდოდა. ძმის ლაპარაკის დროს ის სულ სხვა რასმე ფიქრობდა. სახელდობრ იმას, რომ ალექსის მოპოვებული ჰქონდა ასეთი ადამიანების პატივისცემა და მეგობრობა, რომლებიც ალბად მასზე უფრო ჭკუიანებია და მთელი ქვეყნის ვაჭრობას სათავეში უდგანან. ნიკიტას შესახებ კი ისფიქრობდა, რომ მან თავი მონასტერს შეაფარა, ბრძენისა და მართალი კაცის სახელი დაიმსახურა. ხოლო თვითონ იგი, პეტრე, რალაც მანქანებით ყოველნაირ შემთხვევათა საძიძგნელი გამხდარა.

რატომ არის ასე? რისთვის მოხდა ასე?

— გარყვნილებისათვის რომ პატიოსანი ხალხი გიგინებია, ეს ვერ მოგსვლია კარგი საქმე. — ამბობდა ალექსი უკვე ლბილად, შემპარავი ხმით. — გარყვნილება რა შუაშია, ეს სიჭარბის მიზეზია, მოჭარბებული ღონის... ვექილი — დიდი ოხერია, მაგრამ გარემოება სწორედ ესმის, ჭკუიანი კაცია. რა თქმა უნდა, ყველანი ხანში შესულებია, მოხუცებულები მაგრამ ცელქობა მაინც ბავშვებსავით უყვართ. ბავშვები კი ღონის სიჭარბისაგან არის რომ ცელქობენ. ან აილე სხვა მაგალითი, აი ის, რომ ჩვენი დედაკაცები ძალიან უმარილონი არიან... პილპილი აკლიათ, მოსაწყენი ხალხია... მე ჩემს ოლგაზე კი არ ვამბობ... ის თავისებურია, განსაკუთრებული. არიან ისეთი ქალები, რომლებიც ცუდს ვერ ამჩნევენ ხოლმე. ამ მხრივ ისინი ბრმები არიან. ოლგაც ასეთია.

იშვიათად აწყენინებს კაცი, ვინაიდან ცუდს არ ამჩნევს, ხოლო ბოროტება კი არა სჯერა. ნატალიას შესახებ შენ ამას ვერ იტყვი... მართალი გითქვამს იმ ხალხისათვის: შინაური მანქანა არისო.

— მართლა, ასე მითქვამს? — ქუშტად იკითხა პეტრემ.

— მაშ, ლოკტევი ხომ არ გამოიგონებდა ამ სიტყვებს?

პეტრეს კიდევ უნდოდა სხვა რაღაც გამოეკითხა ძმისათვის, მაგრამ შეეშინდა, — იქნება, დავრწყებულნი აქვს და რად მოვაგონო. მას ალექსი ახლა არ ასიამოვნებდა. მისდამი შურსა გრძობდა.

— დაჭკუიანებულა... ეს გიჟი, ესა...

ალექსი ათობარიკებულ ცხენს აგონებდა პეტრეს. შეუპოვრობასა და მელიურ მოხერხებას ამჩნევდა მას. ნერვებს უშლიდა მისი ქორული თვალები, ოქროს კბილი, რომელიც ზემო ტუჩთან უბრჭყვიალებდა, შეჭალარებული, მხედრულ წესზე აწყობილი უღვაშები, მხიარული წვერი და ხელების ფრინველის ბრჭყალისებურად ყოველთვის სატაცებლად მომარჯვებული თითებით. განსაკუთრებით არ სიამოვნებდა პეტრეს ძმის მარჯვენა ხელის სალოკი თითი, რომლითაც იგი ყოველთვის რასმე უცნაურს ხაზავდა ჰაერში. ხოლო მოკლე და ვიწრო ყვითელი პიჯაკი მას გაიძვერა, კერძო ვეჭილს ამსგავსებდა.

უცებ პეტრეს სურვილი დაებადა, რომ ალექსი ოთახიდან გაესტუმრებინა.

— ძილი მაკლია. უნდა დავიძინო. — სთქვა მან და თვალები მინაბა.

— კარგი აზრია, — მოუწონა ძმამ. — დღეს ნულარ წახვალ სადმე.

— თითქოს ბავში ვიყო, ისე მარიგებს ქკუაზე, — გაიფიქრა შეურაცყოფილმა პეტრემ და ალექსი კარამდე გააცილა. მერე კუთხეში მიდგმულ ხელსაბანს მიაშურა, მაგრამ შუა გზაზე შესდგა: თვალი მოჰკრა, რომ კვერდში ვილაც მისი მსგავსი კაცი ამოსდგომოდა და მასთან ერთად კუთხისკენ მიაბიჯებდა, საბრალოდ თმა-აბურძგვნილი, შეშინებული, გადმოვარდნილი თვალებით გათელილ სახეზე. გვერდში ამოსდგომოდა, გაწითლებულ ხელს სველ წვერსა და ბალნიან მკერდზე ისევებდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში პეტრეს არ სჯეროდა, რომ ის საკუთარ თავს უცქეროდა სავარძლის ზევით კედელზე დაკიდებულ სარკეში. როცა დარწმუნდა, რომ ეს მისი ორეული იყო, შესაბრალისად დაიღრიჯა და პირისაზე და ტანი კვლავ ყინულით დაიზილა.

— ეტლს დავიქირავებ და ქალაქში გავივლი, — გადასწყვიტა მან. პიჯაკი ჩაიცვა. მაგრამ ჩაჰყო თუ არა ხელი ჯიბეში, მაშინვე გაიხადა, სკამზე დააგდო. ზარი დარეკა.

— ჩაი. მაგარი იყოს, — უთხრა მსახურს. — რამე მარილიანი მომიტანე. კონიაკიც.

ფანჯარაში გაიხედა. სავაჭროების დარაბები უკვე დაეხურათ. ქუჩაში ადამიანები ისე დახოხავდნენ, თითქოს ღამის ცხელი წყვილი ზემოდან მძიმედ დასწოლიათ და ამის გამო ქვაფენილს ეკვრებიანო.

თეატრის შესავალთან ფარნის მოყვითალო სინათლე ბჟუტავდა. სადღაც ახლოს ქალები მღეროდნენ.

— ჩრჩილი...

— შეიძლება ოთახი დავაღაგო? — იკითხა ვილამაც პეტრეს ზურგს უკან. არტამონოვი მკვირცხლად მობრუნდა. კართან ერთთვალისანი დედაბერი იდგა, რომელსაც ხელში ცოცხი და ჩვარი ეჭირა. არტამონოვი უსიტყვოდ დერეფანში გავიდა.

აქ მას ვილამაც შავ-ქუდიანი და შავ-სათვალეზიანი კაცი შეხვდა, რომელმაც გამოღებულ კარის ქუქრიტანაში შეაძახა:

— დიად, დიად, მეტი არაფერი.

ყველაფერი ცუდად ენიშნებოდა არტამონოვს. ყველგან დაფარული აზრი და მნიშვნელობა ელანდებოდა.

მერე იგი მგვრალ მაგიდას უჯდა. მის წინ პატარა სამოვარი შუშუნობდა. ზედ მის თავზე ლამპის შუშა ისე ხმაურობდა, თითქოს უჩინარი ხელი აწკარუნებდეს. მეხსიერებაში ღვინისაგან გაცოფებული ხალხის უცნაური სახეები დაუნავარდობდენ. აგონდებოდა სიმღერები, ძმის სიტყვების ნაწყვეტები, ელანდებოდა უცაბედად შემჩნეული თვალების ელვარება, მაგრამ თავში მაინც სიცალიერესა და გაურკვეველობას გრძნობდა.

ეჩვენებოდა, რომ მასში საიდლაამაც ცახცახა პაწია სხივი შეიჭრა და ათასნაირად ათამაშდა. თავში რომ სხვადასხვა უცნაური სახე ერეოდა, ეს სწორედ ამ სხივის ოინი იყო, რომელიც მას ხელს უშლიდა ეფიქრნა ისეთ რამეზე, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

იგი ცხელ ჩაის სვამდა და ზედ კონიაკს აყოლებდა. პირს ითუთქავდა. მაგრამ არ გრძნობდა, რომ თვრებოდა. მხოლოდ წუხილი ემატებოდა. ვერ იცდიდა, სადღაც წასვლა უნდოდა.

დარეკა.

შემოვიდა ვილამაც კაცი ნისლის ნაკადივით, უსახო, უთმო, რომელიც ძვლის ტარიან ჯოხს ჰგავდა.

— მწვანე ლიქიორი მომიტანე, ვანკა... მწვანე, ხომ იცი?

— მესმის: შარტრეზი.

— შენ განა ვანკა გქვია?

— არა კონსტანტინე გახლავარ.

— მაშ, კარგი. წადი.

როცა ლაქიამ ლიქიორი მოიტანა, არტამონოვმა ჰკითხა:

— ჯარისკაცი ხარ?

— არა, ბატონო.

— ჯარისკაცივით კი ლაპარაკობ...

— თანამდებობაა ასეთი. მორჩილი უნდა ვიყო.

არტამონოვი დაფიქრდა. ერთი მანეთი აჩუქა და ურჩია:

— შენ კი ნუ იქნები მორჩილი. ყველას დედა უტირე, თვითონ ქუჩა-ქუჩა იარე და ნაყინი გაყიდე... მეტი არაფერი.

ლიქიორი წებოვანი იყო და ნაშატირის სპირტივით მაგარი. მან თავი შეუმსუბუქა არტამონოვს, გამოარკვია. მალე აზრებს თავი ერთად მოუყარა.

სანამ მის თავში ეს პროცესი ხდებოდა, ქუჩაც დამშვიდდა, დაწყნარდა. უკანასკნელი მსუბუქი ხმაურობაც მიწყდა სადღაც და ადგილი სიჩუმეს დაუთმო.

— მორჩილი უნდა ვიყო? — ფიქრობდა არტამონოვი. — ვისი? მე ბატონი ვარ, ის კი ლაქიაა. ბატონი ვარ თუ არა?

მაგრამ ასეთი ფიქრები მას მოულოდნელმა შიშმა დაუფრთხნა. არტამონოვმა ანაზღად შენიშნა, რომ მის წინ ის ადამიანი იდგა, რომელიც მას ხელს უშლიდა ისე ეცხოვრა, როგორც ალექსა ცხოვრობდა, ან როგორც სხვები, უფრო მარჯვე ხალხი, ცხოვრობენ.

ეს იყო განიერი სახის, გრძელ წვერა ადამიანი. იგი მის პირდაპირ სამოვართან იჯდა. ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა. მარცხენა ხელის თითები წვერში შეერკო, ხოლო ლოყით მარჯვენა ხელის გულს დაყრდნობოდა, და ისე გულდაწყვეტილად უცქეროდა პეტრე არტამონოვს, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა მას და ამავე დროს ეცოდებოდა კიდევაც, რაღაცას უსაყვედურობდა.

უცქეროდა და ტიროდა. წითური წამწამებით შხამიანი ცრემლი გადმოუდიოდა. წვერის ერთი მხრით კი, მარცხენა თვალის ქვემოდ, დიდი ბუზი მიჯდომოდა. ეს ბუზი მას შემდეგ საფეთქელზე ისე აუცოცდა, თითქოს მიცვალებულის სახეზე დაიარებოდა, წარბს ზევით შესდგა და თვალში შეუჭრუტუნა.

— რა გინდა, მამაძაღლო? — ჰკითხა თავის მტერს არტამონოვმა.

ის კი არც განძრეულა, არც უპასუხნია, მხოლოდ ტუჩები გააცამცამა.

— რას ბღავი? — ბოროტული გახარებით იყვირა პეტრე არტამონოვმა. — დამაბნიე კაცი, და ახლა სტირი, შე არამზადავ?.. გეცოდები?.. ჰუ...

დასტაცა ხელი ბოთლს, რაც ძალა ჰქონდა მოიქნია და იმ კაცს მელოტ თავში ესროლა.

სარკე დაიმტვრა. მაგიდა აყირავდა. სამოვარმა და ქურქელმა იატაკზე გაიხრიალა.

მოცვივდა ხალხი. ბევრი არ იყო, მაგრამ არტამონოვის თვალში თითოეული მათგანი ორდებოდა.

ცალთვალა დედაბერი ერთსა და იმავე დროს გამართულადაც იდგა პეტრეს წინ და წელშიაც იღუნებოდა, სამოვარს და ქურქელეულობას იღებდა.

არტამონოვი იატაკზე იჯდა. ხალხის ჩივილს უგდებდა ყურს:

— ლამეა. ყველას სძინავს.

— სარკე გაუტეხია.

— არაფერი ფასონია მაინცა და მაინც...

არტამონოვს ხელები გაეშვირა, თითქოს სადღაც მისცურავსო, და ბლაოდა:

— ბუზი...

მეორე დღეს, მოთოხარიკდა ალექსი. როგორც ეჭიმი ავადმყოფს ან მეჯინიბე ცხენს გასინჯავს ხოლმე, ისე გასინჯა ძმა. უღვაშებზე რაღაცნაირი პატარა გადაისვა და უთხრა:

— შენ რაღაც უცნაურად, არაბუნებრივად გაბერილხარ. ამისთანა სახით სახლში არავის დაენახო. ესეც რომ არ იყოს, შეიძლება, აქ დახმარებაც გამი-

წიო. წვერი უნდა გაიკრიჭო, პეტრე, კაცო, ფეხსაცმელები იყიდე ახალი: მე-  
ეტლებს რომ აცვიათ ისეთი ჩექმები გაცვია.

ყბის შეკვრით მორჩილად გაჰყვა ძმას პეტრე არტამონოვი პარაკმახერთან. ალექსიმ ზუსტად და ბეჯითად, აუხსნა როგორ უნდა გაეკრიჭა წვერი და თმა. ფეხსაცმელის მალაზიაში თვითონ აურჩია ჩექმები. ამის შემდეგ პეტრემ სარკეში რომ ჩაიხედა, იგრძნო, რომ ნოქარს ჰგავდა. ჩექმები აღმართზე უჭერდენ. მაგრამ სდუმდა, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ ალექსი ისე მოქმედებდა, როგორც საჭირო იყო. საერთოდ, აუცილებელი რამ იყო, რომ წესრიგიანად ჩაეცვა და დაეხურა, დაევიწყებინა ყოველივე, რაც ამ ქეიფთან იყო დაკავშირებული და რაც მას, ქეჯნიდა, გულზე მძიმედ დასწოლოდა.

მაგრამ მიუხედავად დამძიმებული, არეული თავისა და ღვინით მოწამლული ტანის ტკივილისა, როცა იგი დაკვირვებით უცქეროდა ძმას, თანდათან რწმუნდებოდა, რომ ერთსა და იმავე ღროს შურსაც განიცდიდა მისდამი და პატივისცემასაც. ფარულად დასცინოდა და მტრობის შხამით იშხამებოდა. ეს დაუდგარი კაცი, ხმელი, თვალმახვილი, მუდამ ფუსფუსებდა და ისე იყო საქმით გატაცებული, როგორც მოთამაშე ქალაქით.

პეტრე მასთან ერთად საუკეთესო ტრაქტირებში სადილობდა, გამოჩინებული ვაჭრების წრეში. იგი გაკვირვებით ამჩნევდა, რომ ალექსის მათ შორის ხუმარასავით ეჭირა თავი და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე სიცილი გამოეწვია და ეს მდიდარი ხალხი გაერთო. მაგრამ ისინი, ალბად, ვერ ამჩნევდენ ამას,—ალექსის პატივსა სცემდენ, უყვარდათ იგი და დიდი ყურადღებით ისმენდენ მის კაჰკაჰისებურ ტკრციალს.

უზარმაზარი, სქელწვერიანი ფეიქარი კომოლოვი სტაფილოს ფერი თითოთ ემუქრებოდა მას. ხარის თვალებს გადმოჰყრიდა და პირის გემოიანი აწკაპუნებით ალერსით მიმართავდა:

- მარჯვე ხარ, ოლეშა. მელასავით ცბიერი... მაჯობე...
- ერძალაი ივანოვიჩ!—ჰყვიროდა ალტაცებული ალექსი.—შეჯიბრებაა.
- მართალია, მაშ, პირდაღებული კი არ უნდა იყვე.
- ერძალაი ივანოვიჩ, ვსწავლობ!

კომოლოვი ეთანხმებოდა:

- აგრეა, უნდა ისწავლო.

— ბატონებო,—ალტაცებულადვე, მაგრამ უკვე შემპარავი ხმით ამბობდა ალექსი და ხელში ჩანგალს ატრიალებდა.—ჩემი ვაჟი, მირონი, მეტად ჭკუიანია, მომავალი ინჟენერია. ჩემთვის უამბნია: ქალაქ სირაკუზში განთქმული მეცნიერი ცხოვრობდაო. მან თურმე წინადადება მისცა მეფეს: მომეცი დასაყრდნობი და მთელ დედამიწას გადავაბრუნებო.

- შეხედეთ, რა უთქვამს ამ კუზიანსა?

— მაშ, გადავაბრუნებო. ბატონებო, ჩვენს წოდებას აქვს დასაყრდნობი. ეს არის—ფული. ჩვენ არ გვესაჭიროება ის ბრძენი ხალხი, რომელსაც გადატრიალება, გადაბრუნება შეუძლია. ჩვენ თვითონ წვერულვაში გვასხია. ჩვენ მხოლოდ ერთი რამე გვჭირია: სხვა მოხელეები! ბატონებო, თავადაზნაურობა გა-



დაშენების გზაზეა. ისინი ხელს აღარ გვიშლიან, მაგრამ მოხელეებად მაინც ჩვენ ჩვენიანები გვინდა. ყველა, ვინც გვკვირია, ჩვენი წრიდან უნდა იყვნენ, ვაჭართა წრიდან, ჩვენი საქმის მცოდნენი.

ქალარა, მელოტი, ჩასუქებული ხალხი ამაზე თანხმობას აცხადებდა:

— მართალია, შეკუზიანო...

ცალთვალა, ცხვირწაწვენილი, ხმელი ტანის მოხუცი, დამსკობილი და-სევი ზრდილობიანად ხარხარებდა და ალექსის აქებდა:

— ალექსი ილიჩს ჭკუა თავს მიუგავს: იცის, სადაც არის ქონი და ცუცქნის, ცუცქნის! მისი სადღეგრძელო იყოს!

ჭიქები ასწიეს. ალექსიმ სათითაოდ ყველას მიუტახუნა თავისი ჭიქა.

ლოსევმა ბავშური ხელი მოხეჩილ მხარზე დაადვა კომოლოვს და უთხრა:

— ჩვენს შორის ჭკუიანებიც ჩნდებიან.

— ყოველთვის იყვნენ. — ამაყი სახით უპასუხა კომოლოვმა. — მამა ჩემი უბრალო მტვირთავი იყო და ადამიანი გახდა.

— მამაშენმა ამბობენ, იმით დაიწყო, რომ მდიდარი სომეხი მოჰკლა, — დაცინვით სთქვა ლოსევმა. კომოლოვმა ვაცივით დაიფრუტუნა და უპასუხა:

— სულ ტყუილია. სისულელეს ამბობენ, ასე იციან: თუ გაბედნიერდი, უთუოდ ცოდვილი ხარ... შენს შესახებაც, კუზმა, ძალიან ცუდი ხმა დადის.

— ჩემს შესახებაც, — დაეთანხმა ლოსევი ამოოხვრით — ხმა ბრმაა, ჰებ...

უფროსი არტამონოვი ამ ბაას ყურს უგდებდა. ხანდახან ჩაახველებდა. ბევრს სჭამდა, ცდილობდა ცოტა დაეღია და ამ ადამიანებს შორის თავს ისე გრძობდა, თითქოს სულ სხვა ჯიშის მხეცი ყოფილიყო.

მან კარგად იცოდა, რომ იქ შეკრებილნი ჯერ კიდევ გუშინ გლებები იყვნენ, ყმები. ბევრი რამ იყო მათში ყაჩაღური, ზღაპრული, რაც მათდამი პატივისცემის გრძობასაც კი იწვევდა, ბევრი რამ პეტრეს მამას აგონებდა. რა თქმა უნდა, მამა როგორც საქმეში, ისე ქეიფშიაც მათთან იქნებოდა. ალბად, ისიც არ დაერიდებოდა გარყვნილებას და ფულსაც ისე წაუკიდებდა ცეცხლს, როგორც ბურბუშელას. დიახ, ფული ბურბუშელა იყო ამ ხალხისთვის, რომელიც ტყავს აძრობდა სოფელს, ერთმანეთს, მთელს ქვეყანას.

ხოლო მისი ძმა ამ დიდ ადამიანებს არ ჰგავდა. მას რაღაც ანსხვავებდა მათგან, და მიუხედავად იმისა, რომ პეტრე დროთ მისადმი მტრულად იყო განწყობილი, გრძობდა, რომ ალექსი მათთან შედარებით უფრო ჭკუიანი იყო, ენამახვილი და აგრეთვე უფრო საშიშიც.

— ბატონებო, — გიჟივით ჰყვიროდა იგი — წარმოიდგინეთ, რა დაუშრეტელი, ამოუწურავი ძალაა ჩვენს განკარგულებაში: მილიონი გლებკაცობა!.. იგი მუშაც არის და მყიდველიც ერთსა და იმავე დროს! სად, რომელ ქვეყანაში შეხვდებით თქვენ ასეთ მოვლენას? არსად!.. არ გვკვირია ჩვენ არავითარი გერმანელები, არავინ უცხო, სხვა... ყველაფერი ჩვენ თვითონ ვართ.

— მართალია, — ეთანხმებოდნენ მას შეზარხოშებული აღრიალებული ადამიანები.

ალექსი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო საზღვარგარეთიდან შემოზიდულ საქონელზე დიდი გადასახადის დაწესება და მემამულეთა მიწების შესყიდვა. შეეხო აგრეთვე თავადაზნაურობის ბანკის მავნებლობას. სჩანდა, რომ მან ბევრი რამ იცოდა და ყველანი აფრთოვანებით აზრს უდასტურებდნენ, რაც უფროსს არტამონოვს დიდად აკვირვებდა.

— ნიკიტამ მართალი სთქვა: ალექსიმ იცის, როგორ უნდა უტყურობა, — ფიქრობდა პეტრე და შურით ივსებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსი სუსტი ჯანის კაცი იყო, იგი გარყენილებას მაინც ეწეოდა. მას, როგორც სჩანდა, მუდმივი საყვარელი ჰყავდა, მოსკოველი ქალი, მომღერალ ქალთა გუნდის უფროსი. ბრვე, მკვრივი დედაკაცი შუქის მფრქვეველი თვალებითა და თაფლივით ტკბილი ხმით. ამბობდნენ, თითქოს იგი ორმოცი წლისა იყო, მაგრამ სახე ისეთი თეთრი ჰქონდა და კანქვეშ ვარდისფერი ისე უღაჟღაჟებდა, რომ ოცდაათ წლიანზე უფრო ახალგაზრდა სჩანდა.

— ალექსინკა, შავარდენო, — მიმართავდა იგი ალექსის მელასებური მკვეთრი კბილების გამოჩენით და როგორც დედა შვილს, ისე მფარველობდა.

მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ალექსი მისი გუნდის ქალებთან გართობას გვერდს არ უქცევდა. ამას, რასაკვირველია, თვითონაც კარგად ამჩნევდა. მაგრამ ეს არ ცვლიდა მათ მეგობრულ ურთიერთობას.

პეტრეს არა ერთხელ გაუგონია, რომ ალექსი ხშირად მიმართავდა ამ ქალს რჩევისათვის, ამა თუ იმ ადამიანზე თუ საქმეზე, აზრს ჰკითხავდა. პეტრეს უკვირდა ეს. აგონდებოდა მამამისი და ულიანა ბაიმაკოვა.

— ოხერია, — ფიქრობდა გუნებაში, როცა ძმას უცქეროდა.

ალექსის სილალეს რალაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა.

— გაბერილი ჯამბაზი, ვილაც გერმანელი, გვარად მაიერი, ცირკში ლორს ათამაშებდა. სიურტუკში გამოეწყო, ბოთლების მსგავსი ჩექმები ჩაეცვა. ლორი უკანა ფეხებზე დგებოდა და ისე დადიოდა, ვითომ ვაჭარი იყო. მაყურებელს ეს ძალიან მოსწონდა, სურათი ვაჭრებსაც კარგად ართობდა და აცინებდა. ხოლო ალექსის ეს ამბავი არ მოეწონა. შეურაცხებად მიიღო. გადასწყვიტა ამბანაგების დახმარებით ლორი მოეპარა.

მოისყიდეს ცირკის მეჯინიბე. და ლორი მართლა მოიპარეს. ალექსიმ მისი ხორცი ბარბატენკოს სასტუმროს სახელგანთქმულ მზარეულს სხვადასხვა სახით შეამზადებინა და ვაჭრებს დიდი ზემოთ გაუმასპინძლდა.

პეტრე არტამონოვმა სადღაც ყური მოკრა, რომ ჯამბაზმა ჯავრისაგან თავი ჩამოიხრჩო. \*)

ყველაფერი, რაც კი პეტრემ ალექსის შენიშნა ბაზრობაზე, მას დიდად სამწუხარო აზრებს აღუძრავდა:

— არამზადა ვინმეა, სინიღისი არა აქვს. შეუძლია მეც ისეთი საქმე დამმართოს, რომ ერთ დღეს მათხოვარი გავხდე, და ამას ვერცკი შეამჩნევს. მაგრამ

\*) პ. დ. ბობოროკინის მიერ გაზ. „Русский Курьер“-ში აწერილი ფაქტია. ვკუთენის 80-იან წლებს.

იმისთვის კი არ გამაკოტრებს, რომ ხარბია... არამედ ისე... გაიტაცებს ხოლმე რაიმე...

ასეთმა შიშმა საბოლოოდ გამოაფხიზლა პეტრე არტამონოვი და ფეხზე დააყენა. სახლში მარტო დაბრუნდა. ალექსიმ კი მოსკოვში შეუხვია.

სექტემბერი იყო, ქარიანი და სველი, როცა არტამონოვი დრემოვოს უახლოვდებოდა. ექვნების წკარუნით, დაბალ მიწაზე ტორების შეთანხმებული თქარუნით მორბოდენ ცხენები დაბალ ნაძვნარით, რომელიც ვიწრო კაობიანი გზის ორსავე მხრით უძრავ დარაჯებივით ჩამწკრივებულიყო.

ცა ნაცრისფერი ღრუბლების ცომით იყო მოთხუპენილი. არტამონოვი ნამთვრალევე თავშიც ცომსა გრძნობდა.

სახლში ისეთი შთაბეჭდილებით ბრუნდებოდა, თითქოს ეს-არის ვიღაც მახლობელი დამარხაო, ვისგანაც თავი მობეზრებული ჰქონდა. ძალიან ეცოდებოდა ეს მიცვალებული, მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო, რომ ამიერიდან მას აღარასოდეს არ შეხვდებოდა. გამოურკვეველ მოთხოვნილებებს იგი ამიერიდან არასოდეს არ წარუდგენდა არტამონოვს, უსიტყვო საყვედურებითაც არ შეაწუხებდა და არაფერს ისეთს აღარ ჩაიდენდა, რაც ცოცხალ ადამიანისათვის ხელის შემშლელია და მისი ნამდვილი, უშუალო ცხოვრების დამაბრკოლებელი.

— საქმეს უნდა კეთება, სხვა არაფერი. — არწმუნებდა პეტრე თავის თავს. — ყველა უნდა საქმიანობდეს. შრომობდეს. დიახ.

პეტრე არტამონოვმაც საქმეს მოჰკიდა ხელი მთელი თავისი ძალ-ღონის დაჭიმვით.

მშვიდად განვლეს შემოდგომის ნათელქა დღეებმა, რომელთაც ცვლიდა მთვარიანი ღამეების სევდიანი მკრთომარება.

როცა უფროსი არტამონოვი შემოდგომის მარგალიტისფერ განთიადის ბინდზე იღვიძებდა, ფაბრიკის საყვირის მოწოდების ხმა ესმოდა, და ნახევარ საათის შემდეგ ფაბრიკა უკვე თავის დაუცხრომელ შიშინსა, ჩიფჩიფსა და ყრუ, მაგრამ ძლიერსა და სმენისათვის ჩვეულ ხმაურობას იწყებდა.

გათენდებოდა თუ არა, ვიდრე დაღამებამდის, ბელლებთან სელის ჩასაბარებლად მოსული გლეხები და დედაკაცები ყვიროდენ.

ვატრაკმის ნაპირზე მდებარე ტრაქტოში, რომელიც ერთ-ერთ მოროზოვს ეკუთვნოდა, ლოთების სიმღერა გაისმოდა და გარმონიკის კრიალი.

ეზოში ნაჯახით, გრძელტარიან ცოცხითა და ბარით ხელში მძიმედ მიმოდიოდა მანქანასავით აწყობილი ტიხონ ვიალოვი, ადამიანებისადმი მუდამ მკაცრი და სასტიკი. იგი ჰგვიდა, თხრიდა თუ სჭრიდა და გლეხებსა და მუშებს უყვიროდა.

დროგამოშვებით ცისფერი, ყოველთვის სუფთა სერაფიმეც გამოჩნდებოდა.

სახლში ნატალია, ესეც როგორც მანქანა, აწყობილივით მუშაობდა. იგი დიდად კმაყოფილი იყო საჩუქრებით, რომლებიც ბაზრობიდან ქმარმა ჩამოუტანა. ხოლო ის უბაროდა უფრო, რომ პეტრე სულ მდუმარებდა და სრულიად დამშვიდებული იყო.



გარშემო ყველაფერს სიმტკიცე ეტყობოდა და სრული წესრიგი იყო დაცული. ფაბრიკა, ხალხი, ცხენებიც კი იმნაირად მუშაობდნენ, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ საათივით ყოფილიყვნენ მომართული.

და აჩქარებით, თითქოს ქარი ღრუბლებს მიერეკებო, გადიოდნენ თვეები, დგებოდნენ წელიწადები.

ხარივით თავდახრილი უფროსი არტამანოვი ეზოში, <sup>მარცხენა</sup> ~~მარცხენა~~ კორპუსებ შორის დასეირნობდა. მუშების ახალი სოფლის ქუჩებში დადიოდა. ბალებს აფრთხობდა. იგი უცნაურს, ახალს რასმე გრძნობდა: ეჩვენებოდა, რომ ამ დიდ საქმეში ის ზედმეტი იყო, უცხო, გარეშე ვინმე მაყურებელი. სიამოვნებდა, რომ იაკობს კარგად ესმოდა 'საქმე'. ეტყობოდა, თითქოს გატაცებულიც კი იყო მუშაობით. მისი ყოფაქცევა პეტრეს ილიას ამბავს ავიწყებდა, და თითქმის არიგებდა კიდევაც მასთან.

— უშენოდაც შევიძლებ ცხოვრებას, სწავლულო. შენ კი განაგრძე სწავლა...

გამძლარი ლაელაჟა ლოყებიანი იაკობი სოლიდურად დაატარებდა თავის მგვრალ ტანს და თუმცა ახლოს მტრედსა ჰგავდა, შორიდან საქმიანი და მარჯვე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სასიამოვნო თვალები ჰქონდა, რომლებიც გაცივნების დროს, საპნის ბუშტივით, ათასფერად ელაცდნენ. მუშა ქალები მას ალერსიანად უღიმოდნენ. იაკობიც თვალების ეშხიანი ხუჭვით ელულუნებოდა მათ და შორი-ახლო უვლიდა დარცხვენით, რადგანაც გარეგნული სერიოზობით მამლაყინწურ ქირვეულობას კარგად ვერ ფარავდა.

მამა ყურს იფხანდა. იღიმოდა და ფიქრობდა:

— პაულა უნდა ნახო, შე სულელო...

მას მოსწონდა, რომ იაკობი ბიძის სახლში ყოფნის დროს, მირონისა და მის ჩამოფლეთილ დაუდევარ მეგობარ გორიცვეტოვს შორის გამართულ დაუსრულებელ კამათში არ ერეოდა. მირონი უკვე სრულიად აღარ ჰგავდა ვაჭრის შვილს. ხმელი იყო, დიდ ცხვირიანი და სათვალეებიანი. მოკლე ქურთუკზე მოქრულ ღილებს ატარებდა. მხრები ვენზელებით დამშვენებული ჰქონდა. მომრიგებელ მოსამართლეს ჰგავდა. ჯარისკაცივით ტანში გასწორებული დადიოდა, ამპარტავნულად ლაპარაკობდა, და თუმცა პეტრემ იცოდა, რომ მისი ძმისწული ყოველთვის ჭკუიანურს რასმე ამბობდა, მას მაინც არ მოსწონდა იგი.

— არა, ჩემო ძმაო, ეს „ხვილოსოფია“ — ასწავლიდა მირონი ჭკუას მოწინააღმდეგეს. — ასეთი მკვლე სიბრძნე სიმჭლისა და უცოდინარობის ნიადაგზეა აღმოცენებული.

უფროს არტამანოვს ისიც ეჩვენებოდა, რომ გორიცვეტოვიც არ ლაპარაკობდა ცუდად, რომ სისულელეს ისიც არ ამბობდა. იგი პატარა იყო, სტუდენტურ სიურტუკს ქვეშ შავი ხალათი ეცვა, დაუდევრად ღილებ-შეხსნილი, თმა-აბურძგნული, თვალბდასიებული. მოშავო წაწვეთილი წინწკლებ-დაყრილი პირისახით. ყვიროდა, არავის არ უგონებდა, ხელებს ნერვიულად აქნევდა. მირონს უტევდა.

— თქვენ იმასაც მიაღწევთ, რომ თქვენი ფაბრიკების ფსტვენაზე ცაში მზე ამოდის, და მანქანების დაძახებაზე კომლიანი დღე ჭაობიდან და ტყეებიდან ამოძვრებოდეს... მაგრამ ადამიანს კი რა გინდათ ვუყოთ?

მირონი წარბებს მაღლა ასწევდა, სახეს დაიღრეჯდა და სათვალვების გასწორებით მშრალად ამბობდა:

— ეს მართლა „ხვილოსოფიაა“, ლექსი და მეტი არაფერი, ჩემო მეგობარო. ენისქაველია, ცრუსიბრძნე. ცხოვრება—ბრძოლაა. ამ შემთხვევაში ლირიკა და ისტერიკა სრულიად უადგილოა, სასაცილოა.

მოკამათეთა სიტყვები ერთმანეთისაგან ისე განირჩეოდნენ როგორ თეთრი და ლევა მტრედები.

უფროსი არტომონოვი ფიქრობდა:

— აი ეს არის ახალი. ახალი ჩიტები ახალს გალობენ.

კამათის საგანი ბუნდოვანად ესმოდა, და როცა იაკობს აკვირდებოდა, სიამოვნებით იმჩნევდა, რომ შვილი საულვაშოზე ძლივს ამოფეთქილ გინგლზე თითებს იფარებდა, რომ დამცინავი ღიმილი დაემალა.

— ასეა.—ფიქრობდა პეტრე.—ნეტავი იღია ახლა რას იტყოდა?

გორიცვეტოვი ჰყვიროდა:

— დედამიწა და მასზე მცხოვრები კაცობრიობა რკინაში ჩასქედეთ, ადამიანი მანქანის მონა გახადეთ და...

მირონი კი ცხვირის ფშეკით ეუბნებოდა:

— ადამიანი, რომელზედაც შენ ზრუნავ, უსაქმო ვინმეა. იგი დაილუპება, თუ ხვალვე არ დარწმუნდა, რომ მისი ხსნა მრეწველობის განვითარებაშია.

— ვისკენ არის სიმართლე? რომელი ჯობია?—ცდილობდა გაეგო პეტრე არტამონოვი.

გორიცვეტოვი ძმისწულზე უფრო არ მოსწონდა. არა საიმედო იყო რალაც, როგორც სითხე, თითქოს რალასიც ეშინიაო, ისე ყვიროდა. უბოდიშოც იყო ლოთივით. სადილზე მასპინძლებზე უფრო ადრე დაჯდებოდა, დანაჩანგალს ნერვიულად გადად-გადმოდებდა. აჩქარებით სჭამდა, შეუფერებლად. პირს იწვამდა. ახველებდა.

როგორც ალექსის, პეტრე ამასაც ამჩნევდა რალაც დაუდევრობას, ზედმეტს და, მგონი, ბოროტადაც მიაჩნდა იგი. მისი ანთებული თვალების შავი გუგა ისე იცქირებოდნენ, თითქოს ბრმა ყოფილიყო. პეტრე არტამონოვს უსიტყვოდ ესალმებოდა. უპატივისმცემლოდ გაუწვდიდა ბუსუსიან ცხელ ხელს და ჩამორთმევის თანავე უკან მიქონდა.

ბოლოს და ბოლოს ეს იყო უსარგებლო ადამიანი და ძნელი გასაგები იყო, რისთვის სჭიროდა იგი მირონს?

— შენ უნდა სჭამო, სტეპა, შენ კი სულ ლაპარაკობ,—ეუბნებოდა მას ოლგა. იგი დიდის რიხით უპასუხებდა:

— არ შემიძლია. აქ დამლუპელ ერესს ქადაგებენ.

პეტრეს აკვირვებდა, რომ ალექსი ჩუმად და თითქოს გულგრილად ისმენდა სტუდენტების კამათს. იგი მხოლოდ ხანდახან დაუქერდა შვილს მხარს.

— მართალია. სადაც ძალაა, იქ უფლებაც არის. ძალა კი მრეწველების ხელშია, მაშასადამე...

ოლგა თავისი შუქმფენი ნაოჭებით საფეთქელზე, წვერ-შეწითლებული ცხვირით, რომელზედაც ტვირთივით ედვა სათვალეების მოდილო შინები, სადილს შემდეგ ფანჯარასთან დაჯდებოდა ცალკე და ჩუმად ქაჩუკავს დაიწყებდა. მას დიდის გულმოდგინებით გამოყავდა არაჩვეულებრივად კლიქოების ხმა.

ძმის სახლში პეტრე შეტს მყუდროებას გრძნობდა, ვინემ თავის ოჯახში. ძმასთან უფრო საინტერესოც იყო და კარგი ღვინის დაღვევაც შეიძლებოდა.

როცა შინ ბრუნდებოდა იაკობთან ერთად, გზა-და-გზა ეკითხებოდა:

— გესმის, რაზე კამათობენ?

— მესმის. — მოკლედ უპასუხებდა შვილი.

რათა შვილისაგან დაემალა, რომ მას თავად არ ესმოდა, უფროსი არტამონოვი ჩაჰკითხავდა:

— სთქვი, მაშ, რაზე კამათობენ.

იაკობი ყოველთვის უნებურად და მოკლედ, მაგრამ გასაგებად უპასუხებდა. მისი სიტყვით გამოდიოდა შემდეგი: რუსეთში ამავე წესით უნდა იცხოვროს, როგორც ევროპა ცხოვრობს. ხოლო გორიცვეტოვს ჰგონია, რომ რუსეთს თავისი საკუთარი გზა აქვს.

აქ უფროს არტამონოვს უნდოდა ეჩვენებინა შვილისათვის, რომ მასაც ამ საგანზე საკუთარი განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ამიტომ ბეჯითად უთხრა:

— თუ უცხოელები ჩვენს უკეთ სცხოვრობენ, რად არის რომ ჩვენთან მოძვრებიან?

მაგრამ ეს ალექსის აზრი იყო. საკუთარი კი პეტრეს აღარ აღმოაჩნდა. იგი მოიღუშა. შვილმა კი, თითქოს კიდევ უფრო აწყენინაო, სთქვა:

— შეიძლება კაცმა ბოლომდის იცხოვროს თვინიერ ტრაბახისა და ასეთი კამათისა.

უფროსმა არტამონოვმა ჩაიღმუილა:

— შეიძლება...

იგი კვლავ განიცდიდა შეურაცხების გრძნობას და გაკვირვებას. ეს გრძნობა მას რიყავდა, ამარტოვებდა და მაყურებლის მდგომარეობაში აყენებდა, რომელსაც უნდა ყველაფრისათვის ეცქირნა და თავისთვის ეფიქრნა.

გარშემო კი ყველაფერი შეუმჩნეველად, მაგრამ სწრაფად იცვლებოდა. ყველგან ახალი იყო, რომელიც ყოველ საქმეში და ყოველ სიტუაციაშიც კი მხილდებოდა.

ერთხელ ჩაის დროს ოლგამ სთქვა:

— მართალი ის არის, როცა სული სავსეა და მეტი არაფერი არ გინდა.

— სწორეა, — დაეთანხმა პეტრე.

მაგრამ მირონმა სათვალეების გაცილებით დედას სწავლება დაუწყო:

— ეს მართალი კი არ არის, სიკვდილია. მართალი საქმეა, მოქმედება.

როცა იგი წავიდა და თან მილივით დახვეული მსხვილი ქაღალდი წაიღო, პეტრემ ოლგას შენიშნა:

— ხეპრულად გეპყრობა შვილი.

— არასოდეს.

— ეხედავ, რომ ხეპრე ვინშეა.

— იგი ჩემზე უფრო ჭკვიანია, — სთქვა ოლგამ. — მე ხომ უსწავლელი ვარ. ხშირად სისულელეს ვროშავ. ბავშვები, საზოგადოდ, ჩვენ ქვეყანაში ჭკუით. ეს კი არ სჯეროდა არტამონოს. გაიცინა და სთქვა: „მეტი ჭკუაა“.

— მართალია, რომ შენ ხშირად სისულელეს ლაპარაკობ. აი, ბებრები კი გვჯობდნენ ჭკუით, მათ უთქვამთ: „ვაჟი ერთი უბედურებაა, ქალი კი — ორიო“, გესმის?

ოლგას, სიტყვები ბავშვების ჭკუის შესახებ, შეურაცხებათ ენიშნენ პეტრეს. ცხადი იყო, რომ ოლგას ილია ჰყავდა სახეში, პეტრემ იცოდა, რომ ილიას ალექსი უგზავნიდა ფულს და მირონი მას წერილებს სწერდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ეკითხნა, თუ სად და როგორ ცხოვრობდა ილია. თვითონ ოლგა კი თითქოს სხვათა შორის, დიდი ხელოვნებით უამბობდა მას შვილის შესახებ, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეელახა. მისი წყალობით პეტრემ იცოდა, რომ ილია ჯერ არხანგელსკში გაემგზავრა საცხოვრებლად, შემდეგ კი საზღვარგარედ გადავიდა.

— სადაც უნდა იცხოვროს. მოჭკუიანდება. გაიგებს, რომ სულელი იყო.

ხანდახან, როცა ილიაზე ფიქრობდა, მას აკვირვებდა, რომ მისი შვილი ასეთი ჯიუტი გამოდგა. გარშემო ყველანი ჭკუას მოეგენ, ილია კი რაღას უცდის.

ის იშვიათად ხუთებოდა ძმისას პოპოვას მისი ქალითურთ. პოპოვა ისევ ლამაზი იყო, სევდიანი, მშვიდი და მისთვის უცხო. იგი ცოტას ლაპარაკობდა პეტრესთან და იმასაც ისე, როგორც პეტრე ელაპარაკებოდა ხოლმე ილიას, როცა შვილს შეურაცხებას მიაყენებდა. პოპოვასთან პეტრე ვერ გრძნობდა თავისუფლად თავს. როცა პეტრე დამშვიდებული იყო, პოპოვას სახეს ხშირად წარმოიდგენდა, მაგრამ გარდა გაკვირვებისა, სხვა რასმე გრძნობას არ უღძრავდა.

აი, მოგწონს ადამიანი, ფიქრობ მასზე, მაგრამ ვერ გაგიგია, რისთვის გჭირია იგი. ვერც კი ესაუბრები, თითქოს დამუნჯებულაო.

ლიახ, ყველაფერი გამოიცვალა. მუშებიც უფრო გაბოროტდნენ, მათ ქლეჭიც კი დაერია. დედაკაცები მყვირალეები გახდნენ, მუშათა უბანში უწყესობაა და ხმაურობა, საღამოობით კი კაცს ეგონება, იქ მგლები ღმუიანო და თვითონ ნაგავ-გადაყრილი ქვიშაც კი რაღაც ჯავრობს და კაპასობსო.

მუშები ერთ ადგილზე ვერ დგებიან. ადგილიდან აყრის ქავილი გაუჩნდათ. კანტორაში ხშირად გამოცხადდებიან ვაჟები, რომლებისათვის არავის არ უწყენინებია, და ანგარიშის გასწორებას მოითხოვენ.

— საით მიდიხართ? რა ამბავია? — ეკითხება პეტრე.

— გავივლით, ვნახავთ, რა ხდება სხვაგან.

— რა ეშმაკი შეუჩნდათ? — ჰკითხა ალექსის უფროსმა არტამონოვმა.

ალექსიმ ამაზე მელასავით კუდი გაიქნია, გაიცინა და აუხსნა, რომ ახლა მუშები ყველგან ლელავენო.

— ჩვენთან კიდევ არაფერი, მშვიდობიანობაა. აი, პეტერბურგში კი... მოხელეები, მინისტრები ისეთები არა გვყავს, როგორც საჭიროა.

ამას კიდევ ისეთ თავხედურ სიტყვებს მოაყოლებდა, რომ უფროსი ძმა შუბლმოკუმული ჭკუაზე დარიგებას დაუწყებდა:

— სისულელეა. ბატონებისთვის არის სახეირო, რომ მეფეს ძალა-უფლება წაართვან. ეს იმიტომ, რომ ბატონები ღარიბდებიან, ჩვენ კი უფლება ძალა-უფლება არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვმდიდრდებით. მამა შენი კუპრასმულ ჩექმებში დადიოდა კვირა-უქმე დღეს, შენ კი საზღვარგარეთელი ფესაცმელი გაცვია, აბრეშუმის საყულო გამშვენებს. ჩვენ მეფეს უნდა ვემსახუროთ. ღორები კი არ ვართ. მეფე — მუხაა, რომლის წყალობით ჩვენ ოქროს რკო უღვევლად გვაქვს.

ალექსის სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ძმის სიტყვები. ეს უფრო აჯავრებდა პეტრეს.

უფროსი არტამონოვი ხედავდა, რომ ადამიანები საზოგადოდ ძალიან ხშირად იცინოდნენ. ეს ახალი ჩვეულება მას ცუდად ენიშნებოდა. მაგრამ არავინ იცოდა ისე საამოთ დაცინება, როგორც უკვდავმა მოხუცმა, სერაფიმე-ხურომ.

არტამონოვი ძალიან დაუმეგობრდა ამ სერაფიმეს. ახლა დროგამოშვებით კვლავ რაღაც სევდა, მოწყენილობა ეწვეოდა მას და ისე მოაწყურვებდა ლეინოს, რომ აღარ შეეძლო არ დაეღია. ძმისას დალევის ერიდებოდა, რცხვენოდა. იქ ყოველთვის უცხო ხალხი ირეოდა და პეტრეს განსაკუთრებით არ უნდოდა, რომ იგი მთვრალი ჩვენებოდა პოპოვას ქალს.

ასეთ დროს სახლში ნატალია მძიმედ სდუმდა ხოლმე. უმჯობესი იყო, რასაკვირველია, რომ მას პეტრე ეგინებინა, რადგანაც მაშინ თითონაც შეეძლო მისი გინება. ასე კი ცოლი განაძარცვ შესაბრალისს კაცს ჰგავდა და პეტრეში უფრო სიბრაღულს იწვევდა ვინემ ბრაზს. არტამონოვი მაშინ სერაფიმეს ეწვეოდა.

— დალევა მინდა, ბებერო.

მხიარული ხურო გაუცინებდა, მოუწონებდა.

— ეს ჩვეულებრივი საქმეა, ისეთივე როგორც მზიანი დღე ზაფხულში. ალბად, დაილაღე, მოიქანცე... დალიე, კარგია, მოგიხდება. პატარა ხალი კი არ ვაკრავს კისერზე... ტვირთი გაწევს მძიმე...

პეტრე არტამონოვისთვის მას არაჩვეულებრივად ტკბილი სასმელები ჰქონდა შენახული. ჭრელ-ჭრელ ბოთლებს ამოაწყობდა კუთხიდან და ტრიაბახობდა:

— ჩემი გამონაგონია. აზავებს კი ერთი დიაკვნის ქერივი. პიმპილივით დედაკაცია. აი გასინჯე. არყის ხის ყვავილზეა გაზაფხულის პირზე დაყენებული. როგორია?

სუფრას მიუჯდებოდა, თავის „ბოლოკის“ ღვინოს წინ დაიდგამდა და მას-ლაათობდა.

— აი, დიაკვნის ქერივზე ვამბობდი — უუბედურესი დედაკაცია: რამდენს საყვარელს გაიჩენს, იმდენი ქურდი აღმოჩნდება. უსაყვარლოდ კი არ შეუძლია. ძარღვებში ასეთი უცნაური მოუთმენლობა სდის ხოლმე.



— ეს რაა? აი, ბაზრობაზე მე შევხვდი ერთს...—მოიგონებდა არტამონოვი.

— რა თქმა უნდა.—დაუდასტურებდა სერაფიმე.—იქ რჩეული საქონელი იყრის თავს ყველა კუთხიდან. განა არ ვიცი?

სერაფიმე ყველას იცნობდა და ყველაფერი იცოდა. საინტერესოდ მოუთხოვრობდა მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახურ ამბებს. ყველას ვლერსით იხსენებდა და თავის ქალზედაც ისე ლაპარაკობდა, თითქოს იგი უცხო ვინმე ყოფილიყო.

— დაქვეიანდა ის ვერაგი, ისა. ზეინკალ სედოვთან ცხოვრობს... და მშვენიერადაც ცხოვრობს, აი. ასეა, ყოველი სულდგმული თავის სოროს მონახავს ხოლმე.

საამო იყო სერაფიმეს სუფთა ოთახში ყოფნა, რომელშიაც ბურბუშელას სურნელი იდგა. ოთახში ნახევრად ბნელოდა. კედელზე ჟესტის ლამპა ეკიდა.

როცა არტამონოვმა დალია, ხალხზე ჩივილი დაიწყო. ხურო კი მას ანუგეშებდა.

— ეს—არაფერია. ეს კარგიცაა. გაიქცა ხალხი, აი საქმე რა არის. იწვა, იწვა ადამიანი, ფიქრობდა, ფიქრობდა. მერე ადგა და გზას გაჰყვა. მერე რა? იაროს. შენ ნუ მოიწყენ. კაცის რწმენა იქონიე. შენი თავის რწმენა ხომ გაქვს?

პეტრე არტამონოვი სდუმდა. ფიქრობდა: აქვს თუ არა მას საკუთარი თავის რწმენა?

სერაფიმე კი სიტყვებს ზარასავით არაკუნებდა და განაგრძობდა:

— შენ ნუ მიაქცევ ყურადღებას, ვინ როგორია—ცუდია თუ კარგია. ან რა არის მტკიცე? გუშინდელი დღე კარგი იყო, დღევანდელი კი—ცუდი. მე, პეტრე ილიასძევე, ბევრი რამ მინახავს, ცუდიც და კარგიც... ძალიან ბევრი. დროთ, გავიხედავ და ვიტყვი: ეს კარგია მეთქი... მაგრამ ნამდვილად კი სადღაა?... არ არის. აი, მე აქ... ის კიდევ იქ. და უცებ ის აღარ არის. თითქოს ქარმა მტვერი მოიტაცაო. მე კი—აი, ვარ და ვარ. მერე რა ვარ მე? ბუზი ადამიანებ შორის: ვინ მხედავს, ვინ მამჩნევს... შენ კი...

სერაფიმე აქ მალლა ააშვერდა თითოს დიდმნიშვნელოვანად და დადუმდებოდა.

მისი სიტყვების მოსმენა არტამონოვს ორნაირად სიამოვნებდა. ისინი მართლაც ანუგეშებდნენ მას, ართობდნენ, მაგრამ ამავე დროს ცხადი იყო, რომ ბერიკაცი სტყუოდა, თვალთმაქცობდა,—გულწრფელი არ იყო, თავისი ხელობის კვალობაზე ლაპარაკობდა, როგორც ადამიანების მანუგეშებელი. პეტრეს ესმოდა ეს გარემოება და ფიქრობდა:

— ვერაგი მოხუცია. მარჯვედ იქცევა! აი, ნიკიტას კი ეს არ შეუძლია.

იგონებდა ასეთსავე მანუგეშებლებს, რომლებიც კი ცხოვრებაში უნახავს: ბაზრობაზე ნახულ ქალებს, ცირკების ჯამბაზებს და ხუმარებს, მხეცების მწრთვნელებს, მომღერლებს, მუზიკოსებს და შავს სტეპას, „კაცობრიობის მეგობარს“! ალექსისაც ბევრი რამ საერთო ჰქონდა ყველა ამ ხალხთან. ხოლო ტიხონ ვილოვს კი—არავითარი. პაულა მენოტტსაც—არავითარი.

როცა დათვრებოდა, სერაფიმეს ეუბნებოდა:

— სტყუი, შე ბებერო ეშმაკო.

ხურო ხელის გულს ორსავე ბარძაყზე შემოიკრავდა და ძალიან სერიოზულად უპასუხებდა:

— არა-ა. შენ თვითონ მოიაზრე: როგორ შემიძლია მე ვსტყუოდე, როცა მართალი არ ვიცი. მე შენ ხომ სულით და გულით ვეუბნები: მართალი არ ვიცი მეთქი... მაშასადამე როგორ შემიძლია ტყუილი ვთქვა.

— მაშ—დადუმდი.

— მუნჯი ხომ არ ვარ? — ალერსიანად ჰკითხავდა სერაფიმე და მისი ვარდის ფერი სახე გაილიმებოდა. — მე ბერიკაცი ვარ. — ამბობდა იგი. — ძალიან მცირე ხანი დამრჩენია საცხოვრებელი. ამ ხნის განმავლობაში მე მართალი არ მესაქიროება. აი, ახალგაზრდებს კი მმართებთ სიმართლისათვის გარჯა. ამისათვის არის კიდევაც, რომ სათვალეებს ატარებენ. მირონ ალექსისძე სათვალეებში დასეირნობს. ამიტომ ყველაფერს ხედავს და ამჩნევს: — რას რა მოუხდება? ვინ სად მიდის?

უფროს არტამონოვს სიამოვნებდა, რომ სერაფიმეს მირონი არ უყვარდა. იგი ხარხარებდა, როცა სერაფიმე თავის ჩანგს ჩამოკრავდა და ზედ დაამღერებდა:

„Ходит дятел по заводу  
Смотрит в светлые очки,  
Дескать, я, тут,—самый умный,  
Остальные—дурачки“.

— მართალია! — ამხნევებდა მას არტამონოვი.

ხუროც მთვრალი იყო. იგი ფეხების ბაკუნით განაგრძობდა:

„То не ястреб, то не сыч  
Щиплет птичек гоже,  
Это—Алексей Ильич,  
Угодничек божий!“

უფროს არტამონოვს ესეც მოსწონდა. მაშინ სერაფიმე იაკობზე ურცხვად წარმოთქვამდა:

„Яша Машу обнимает,  
Ничего не понимает...“

ასე ხანდახან გათენებამდე ერთობოდნენ. გათენებისას კარზე ტიხონ ვილავი დააკაკუნებდა. გამოალვიძებდა არტამონოვს, თუ კი მას ეძინებოდა, და სრულიად გულგრილად მიმართავდა:

— შინ წასვლის დროა. ახლავე საყვირის ხმა გაისმება. მუშები დაგინახავენ და ეს ცუდი იქნება.

არტამონოვი იყვირებდა:

— რა არის ცუდი? მე ხომ პატრონი ვარ.

მაგრამ მეფხოვეს დაემორჩილებოდა. მძიმე ნაბიჯით, ბარბაცით გაემართებოდა სახლისკენ. დაწვებოდა და საღამომდე ეძინა. საღამოს კვლავ სერაფიმეს ეწვეოდა.

მხიარულმა ხურომ სული დალია მუშაობის დროს.—ცალთვალნი ფერ-  
შლის მორაზოვის შვილი მდინარეში დაახრჩვალყო და როცა მისთვის კუბოს  
აკეთებდა, უცებ დაეცა და სული ამოხდა.

არტამონოვმა მოისურვა მიცვალებული საფლავამდე გაეცილებინა. იგი  
პანაშვიდზე წავიდა. საყდარში მუშებს ბლომად თავი მოეყარათ. პეტრემ მოის-  
მინა წითური ხუცესის ალექსანდრეს წირვა. ეს ხუცესი მშვიდი გლეხის მადიერი  
იყო, რომელიც მოულოდნელად, რაღაც მიზეზით, გაკრეჭილიყო და სადღაც  
გადაკარგულიყო. საყდარში ლამაზად გალობდა კატას მსგავსი მასწავლებლის  
გრეგოვის მიერ გაწვრთნილი ფაბრიკის სკოლის გუნდი. ახალგაზრდობაც  
ბევრი იყო.

— კვირა დღეა, — გაიფიქრა არტამონოვმა. ხალხის სიმრავლე ამას მი-  
აწერა.

პატარა, მჩატე კუბო ახალგაზრდა მუშებს მიჰქონდათ. უფრო სოლი-  
დურ მუშებს თავი განზე ეჭირათ. კუბოს მიჰყვებოდა სახედანადვლიანებული,  
მაგრამ უცრემლო, ზინაიდა, რომელსაც შეუფერებელი ქრელი კოფთა ეცვა.  
მის გვერდით მოდიოდა ბეჭებ-განიერი, სუფთად ჩაცმული ზეინკალი სედოვი-  
ცოტა დაშორებით მძიმედ მოლასლასებდა ტიხონ ვიალოვი.

მზე აცხუნებდა. ისმოდა მაღალი შეთანხმებული გალობა. შესამჩნევი იყო,  
რომ მთელ ამ პროცესიას მწუხარება არ ეტყობოდა.

— კარგად ასაფლავებენ.—სთქვა არტამონოვმა და შუბლზე ოფლი მოიწმინ-  
და. ტიხონი შესდგა. ფეხებზე დაიხედა, დაფიქრდა და შემდეგ წარმოსთქვა:

— სასიამოვნო კაცი იყო... მოთამაშე, როგორც ეს... მისი ქალი... და  
ხელი ჰაერში შეათამაშა.

— ბებერი თავის ქალს ქუჩა-ქუჩა დაატარებდა. ბავში მღეროდა. ანუ-  
გეშებდა.

მერე არტამონოვს შეხედა პატივისცემას მოკლებული სიმკაცრით, რამაც  
პეტრე მეტად გააბრაზა, და დაამატა:

— ხალხს აზრს უბნევდა. თუმცა არავის არ აწყენებდა, მაგრამ მაინც  
სიმართლით არ ცხოვრობდა.

— არა, სიმართლით ცხოვრობდა.—შენიშნა მას არტამონოვმა.—შენ  
ასეთ აზრებს ჯაჭვით ჰყავხარ დაბმული. ფრთხილად იყავი: იცოდე, ტულუ-  
ნივით გაცოფთები.

და პეტრემ ზურგი შეაქცია მეეზოვეს. ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ  
გასწია.

ჯერ კიდევ ადრე იყო, შუადღე მხოლოდ ახლოვდებოდა. მაგრამ მაინც  
ცხელოდა. როგორც გზაზე დაყრილი ქვიშა, ისე ჰაერიც თანდათან ცხელდე-  
ბოდა.

სალამოსთვის თეთრი ღრუბლების მთები გაორთქლიანდნენ. ისინიც ნელა  
დაიძრნენ აღმოსავლეთისკენ და ჰაერი უფრო შეხუთეს.

არტამონოვმა ბაღში გაისეირნა. მერე ჭიშკრით გარედ გავიდა. ტიხონი  
ამ დროს ჭიშკრის ანჯამებს კუპრს აცხებდა. გაზაფხულის წვიმას დაეყანგა და  
საშინლად კრიალებდნენ.

— რა ამბავია, რომ უქმ დღეს მუშაობ? — ზარმაცულად ჰკითხა არტამონოვმა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

ტიხონმა ირიბად გადმოხედა, თვალების გუბის მოტრიალებით და დაბალი ხმით უპასუხა:

— სერაფიმე მავნე იყო.

— რით იყო მავნე?

ტიხონის უცნაური საპასუხო სიტყვები შავი ხოქოებივით შეესივნენ არტამონოვს:

— მეხსიერება ჰქონდა ისეთი, რომ ყოველივე ახსოვდა. რასაც დაინახავდა, არ დაავიწყდებოდა. ხოლო რისი დანახვა შეუძლია ამ ქვეყნად ადამიანს? — მხოლოდ ბოროტების, სიავის, ამოვების. ისიც სულ ასეთ რასმე უამბობდა ხალხს. მისი ბრალი იყო, რომ დიდი შფოთი დაიწყო. მე ამას კარგად ვხედავ.

იგი განაგრძობდა:

— საჭიროა ადამიანის თავიდან მეხსიერების აღმოფხვრა. მთელი ბოროტება მისგან წარმოიშობა. ასე უნდა იქნეს: ვინც მოკვდება — თან ბოროტებაც უნდა წაიღოს. მთელი მისი სისულელეც მასთან ერთად უნდა გაჰქრეს. დაიბადებიან სხვები, ამათ ავი არაფერი არ ახსოვთ. კეთილი კი. მე მაგალითად მეხსიერებისაგან ვიტანჯები. დავბერდი, მოსვენება მინდა. მოსვენება კი სად არის? მოსვენება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მეხსიერება არა აქვს.

ტიხონს არასოდეს არ ულაპარაკნია ამდენი ერთბაშად. როგორც ყოველთვის, ახლაც რაღაც სულელურად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი სიტყვები დღეს განსაკუთრებით მოქმედებდნენ არტამონოვზე. იგი შესცქეროდა მეეზოვეს აბურძგენილ წვერს, აკვირდებოდა მისი გათხელებული თვალების გუგას და ნაოქებით დასერილ შუბლს, რომელიც ქვას მიუგავდა, და უკვირდა მისი სიმახინჯე. ნაოქები არა ბუნებრივად დაღრმავებოდნენ, ჩექმის ყელის ნაკეცებს მიუგავდა. ძვლებ-ამოჩხრილ, სიბერისაგან გატიტვლებულ სახეს თირის ფერი გადაკროდა, ცხვირზე ნესტოები დაჰკიდებოდა, როგორც ღრუბელი.

— დაჩაჩანაკდა, — ფიქრობდა არტამონოვი და ეს გარემოება უხაროდა. — თვითონ არ ესმის, რასაც ჩმახავს. მუშაობა აღარ შეუძლია, უნდა დავეითხოვო. დავასაჩუქრებ.

ტიხონს ერთ ხელში საღებავი ეჭირა, მეორეში კუბრით სავსე ვედრო. ამ სახით იგი მიუახლოვდა პეტრეს, საღებავის ტარი ფაბრიკისკენ გააშვირა, რომელსაც მუქ-წითელი უმი ხორცის ფერი გადაკრავდა, და უთხრა:

— ერთი ყური დაუგდე, რას ლაპარაკობენ იქ პრანქია სედოვი, მრუდი მოროზოვი, მისი ძმა ზახარი და ზინაიდაც. ისინი ამბობენ: რაც კი სხვისი ხელით კეთდება, ყოველივე მავნებელია, და უნდა დაინგრესო.

— ეს თითქოს შენი საკუთარი აზრია, — დაცინვით შენიშნა არტამონოვმა.

— ჩემი? — და ტიხონმა თავი გააქნია. — არა, ჩემი არ არის. მე ჩემს თავზე ამას არ ვიღებ. ყოველი კაცი თავის-თავისთვის უნდა მუშაობდეს. მაშინ

ბოროტებასაც აღვილი არ ექნება.. ისინი ამბობენ: ეს ყველაფერი ჩვენი ხელით არის გაკეთებული, მაშასადამე პატრონიც ჩვენ უნდა ვიყოთ. დაუფიქრდი ამას, პეტრე ილიასძევ: მართალი აზრია, — მათი ხელით არის გაკეთებული. შენ კი უღელში შეგაბეს, ურემი სწორ გზაზე გამოგატანეს და ახლა...

არტამონოვმა დიდ-კაცურად ჩააბველა, წამოდგა, ~~წამოდგა~~ ხულები ჩაიწყო და გადაჭრით, თუმცა ენის ბორძიკითა და თვალს ~~არჩილებით~~, წარმოსთქვა:

— აი, რა გითხრა: მე, რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ მთელი შენი სიცოცხლე აქ გაატარე, ჩემთან. ეს ასეა. ახლა შენ ძალიან მოხუცდი. შენთვის ძნელია...

— სერაფიმეც გაგულიანებდა ამ საქმეში, — განაგრძო ტიხონმა, რომელსაც სჩანდა პეტრეს სიტყვები არ მოუსმენია.

— დაიცა, დროა, რომ სამსახურს თავი დაანებო და დაისვენო.

— ყველას დრო დადგება. მაშ!

— დამაცადე, აი რა გითხრა... მძიმე რამ ხასიათი გაქვს.

ტიხონ ვილოვს არ გაპკვირვებია, როცა დათხოვნის ამბავი გაიგო, დამშვიდებულად წარმოსთქვა:

— კეთილი.

— მე, რა თქმა უნდა, დაგასაჩუქრებ, — დაპირდა არტამონოვი, რომელიც ცოტა არ იყო შეაოცა ტიხონის სიმშვიდემ.

ტიხონმა დუმილი ჩამოაგდო. კუპრი მტვრიან ჩექმაზე წაისვა. მაშინ არტამონოვმა ბეჯითად აუწყა:

— ასე მაშ, მშვიდობით.

— კეთილი. — უპასუხა მეეზოვემ.

არტამონოვი მდინარის გაღმა გაემართა, ეგონა, იქ უფრო გაგრილდებოდა. მდინარის იმ ნაპირზე, სადაც მას ილიასთან ჩხუბი მოუვიდა, სერაფიმემ მისთვის ტახტის მაგვარი საჯდომი ააგო არყის ხის თეთრი ტოტებისაგან.

აქედან კარგად მოსჩანდა ფაბრიკა, სახლი, ეზო, ახალი სოფელი, საყდარი, სასაფლაო. ყინულივით ბრჭყილებდნენ ფაბრიკის საავადმყოფოს და სკოლის დიდი ფანჯრები. პატარა ნაგებობები დასცურავდნენ მიწაზე ადამიანები და დაუსრულებლად საქმიანობდნენ.

საყდრის ეზოს მახლობლად, თხმელნარს თხის ფარა შესეოდა. ბავშვების სათამაშო რამ საგნებივით მოსჩანდნენ თხები. ისინი ცალ-თვალა მოროზოვს გაეშენებინა, რომელიც შვილისშვილი იყო ძველი ფეიქრის ბორისის.

ფაბრიკაში მომუშავე დედაკაცები თხის რძეს ბლომად ჰყიდულობდნენ ბალღებისათვის.

საავადმყოფოს იქით კი, ლობე-შემოვლებულ შიშველ კორდზე ყვითელ ხალათებში გამოწყობილი გიჟების მსგავსი ხალხი იმწყეებოდა.

ფაბრიკის გარშემო მრავლად ირეოდა ბელურა, ყვავი, ქილყავი, კაქკა-  
კები წამდა-უწუმ ადგილს იცვლიდენ და ხავერდოვან თეთრ გვერდებს აჩენ-  
დენ. იისფერი მტრედები მიწაზე დაგოგმანებდენ. განსაკუთრებით ბევრი ფრინ-  
ველი იყრიდა თავს ვატარაკშის ნაპირზე ტრაქტირთან, სადაც სელის ჩამომ-  
ტანი გლეხები დგებოდენ.

მაგრამ ერთი ხანი იყო, რაც ეს დიდი მეურნეობა <sup>მეურნეობა</sup> ~~მეურნეობა~~ არ  
აკვირვებდა და მის სიამაყეს არ იწვევდა. პირიქით იგი მას ათასნაირი  
შეურაცხების წყაროდ წარმოედგინა. მას დიდად სწყინდა, რომ როგორც ძმა,  
ისე ძმისშვილები და სხვებიც, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდენ, ხელების  
ქნევით დავობდენ, ყვიროდენ ბაზარზე სავაჭროდ გამოსულ ბოშებივით, და  
მას კი, თავ-კაცს, საქმის პატრონს არ ამჩნევდენ. მაშინაც კი, როცა ფაბრიკა-  
ზე ჩამოაგდებდენ ლაპარაკს, მას უყურადღებოდ სტოვებდენ. ხოლო როცა  
უფროსი არტამონოვი მათ თავის თავს მოაგონებდა, ისინი ენას ჩაიგდებდენ  
და ჩუმად მოუსმენდენ, თითქოს ეთანხმებიანო. მაგრამ ეს რაღაც თავისე-  
ბურად გამოუდიოდათ. დიდი ხანია, რაც ასე დაიწყო, — მას შემდეგ, სახელ-  
დობრ, რაც მისი სურვილის წინააღმდეგ ფაბრიკასთან ელექტრონის სადგური  
ააგეს. პეტრე არტამონოვი მალე დარწმუნდა, რომ ეს უფრო სასარგებლო და  
უშიშარიც იყო, მაგრამ შეურაცხება მაინც არ დავიწყებია. წვრილმანშიაც  
ბევრს შეურაცხებას აყენებდენ. და ეს ხშირად მეორდებოდა, მწვავედებოდა.

განსაკუთრებით ძმისწულს ეჭირა მის წინაშე თავი თავხედურად. მან  
სწავლა დაამთავრა. რაღაც არა-სასურველად გამოეწყო — ტყავის კურტკაში,  
ოქროს სათვალეები გაიკეთა და ყვითელი ფეხსაცმელები ჩაიცვა. ბრწყინავდა,  
თვალეების ხუჭით იღრიჯებოდა და პეტრეს ეუბნება:

— ეს უკვე დაძველდა, ბიძაჩემო — ის დრო აღარ არის...

ეტყობოდა, რომ დროს ეშინოდა, როგორ მოსამსახურეს მკაცრი ბატო-  
ნისა. მაგრამ გარდა ამისა, სხვა მხრითაც იგი აუტანელი იყო და თავხედი.  
ერთხელ უთხრა:

— ბოლოს უნდა გაიგოთ, ბიძავ, რომ რუსეთს არ შეუძლია კვლავ თქვენი  
და თქვენი მსგავსი ხალხის ანაბარად იცხოვროსო.

ამან ისე იმოქმედა არტამანოვზე, რომ ვერც კი მოახერხა შეკითხოდა,  
რატომო? შეურაცყოფილი წავიდა და რამდენიმე კვირის განმავლობაში ძმის  
სახლში ფეხი არ შეუდგამს, მირონს არ დალაპარაკებია.

მირონი ვერა პოპოვას ქალის ცოლად შერთვას აპირებდა. იგი ისეთივე  
მაღალი და ტანადი იყო, როგორც მისი უკვე ქაღარამორეული ხანდაზმული  
დედა.

ეს გოგოც ისე იღრიჯებოდა, იცინოდა, როგორც ყველანი. კისერის მოქ-  
ცევით ურცხვი და ურწმუნო თვალეების გაფართოვებით, უფროსებივით აკვირ-  
დებოდა ყველაფერს. პირდამუწული ღიღინებდა, თათქოს ბზუისო. დილიდან  
სალამომდე ხატავდა და ტილოს აფუჭებდა, კრელ სურათებს ჯღაბნიდა. კისერზე  
მიბმული ქილოფის ქუდი ზურგზე ჰქონდა გადაგდებული. თმაც ქილოფის  
ფერი ჰქონდა. ეცვა დაუდევრად. იუბკას ქვეშ ფეხი მოუჩანდა, თითქმის მუხ-  
ლებამდე.

საზიზღარი რამ იყო გორიცვეტოვი. ყველგან დაძვრებოდა, ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა. ავი ძალღივით მივარდებოდა ყველას და უყუფა:

— თქვენ გინდათ მდიდარი, სულით მაღალი რუსეთი უსულო ამერიკათ გადააქციოთ. თქვენ ხატანგს უგებთ ადამიანს.

ამ ყუფაში არტამონოვი ხანდახან სიმართლეს გრძნობდა, მაგრამ უფრო ხშირად კი ეს ტიხონ ვიალოვის სულელურ აზრებს აგონებდა. მას არ ენახა გორიცვეტოვზე უფრო განურჩეველი ხასიათის ადამიანი და მძიმე ტიხონზე უფრო გულგრილი კაცი.

გორიცვეტოვი მიდიოდა ელისაბედ პოპოვასთან და უყვიროდა:

— თქვენც რად გაჩუმებულხართ, თქვენც, რომელიც ადამიანური სულის ნატარებელი ხართ.

პოპოვა იღიმოდა, მაგრამ ამპარტავნული სახე უძრავი ურჩებოდა, იღიმოდენ მხოლოდ მისი შემოდგომის, ნაცრისფერი თვალები. უფროს არტამონოვს ესმოდა რალაც გაუგონელი, უცნაური სიტყვები:

— რომანტიზმის აგონია, — ამბობდა მირონი და ირმის ნატის ნაქერით სათვალეებს ასუფთავებდა.

ალექსი მოსკოვში იყო გადაკარგული. გამსხვილებული იაკობი განზე იდგა. თავი დიდკაცურად ეჭირა. ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ალბად, კარგად, რადგანაც მის სიტყვებს მოთმინებიდან გამოჰყავდა მირონიც და გორიცვეტოვიც. მას თათარივით წვერი მოეშვა და ამ წითური წვერის წყალობით მის სახეს დამცინავი იერი შემატებოდა.

პეტრე არტამონოვს სიამოვნებდა, როცა მისი შვილი ხარმაცულ კილოზე ამ აჩქარებულ ხალხს ეტყოდა:

— ბატონობა გინდათ, მაგრამ გზიდან გადიხებებით: იცხოვრეთ უფრო უბრალოდ.

უფროსს არტამონოვსა და იაკობსაც (ამას პეტრეც ამჩნევდა) სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, როცა ელისაბედი პოპოვა მოულოდნელად მოსკოვს გაემგზავრა და იქ გორიცვეტოვს მითხოვდა, ჯვარი დაიწერა. მირონი ამან ძალიან გააჯავრა. ამას არც ფარავდა.

— სტეფან გორიცვეტოვი გადაშენების გზაზე მდგარი მოდგმის კაცია. მთელ ქვეყანაზე მაგაზე უფრო უსარგებლო ადამიანს ვერ შეხვდებით.

იაკობი აქეხებდა:

— მიუხედავად ამისა, ძალიან მარჯვედ მოიქცა: ხელიდან გამოგტაცა ნანატრი ულუფა.

მირონმა მხრების აწევით წარმოსთქვა:

— მე არ ვარ რომანტიკოსი.

— რაო? ვინ არ ვარო? — იკითხა არტამონოვმა, ხოლო მირონმა, თითქოს მოსამართლე განაჩენს კითხულობსო, ისე ბეჯითად წარმოსთქვა:

— არავის არ ესმის, თუ რა არის რომანტიკოსი. თქვენც ვერ გაიგებთ ამას, ბიძავ. ეს — სილამაზისათვის არის მოგონილი, როგორც პარიკი მელოტ თავისთვის, ან ხელოვნური წვერი, რომელსაც ეულიკი სიფრთხილისათვის ატარებს.

— აჰა, გადაუხადა—გაიფიქრა უფროსმა არტამონოვმა სიამოვნებით.

ასეთი რამ უმნიშვნელო სიამოვნება მას შეარიგებდა ხოლმე დროგამოშვებით იმ შეურაცხებასთან, რომელსაც მარჯვე ხალხი აყენებდა ეს მარჯვე ხალხი თანდათან ეპატრონებოდა საქმეს, ხოლო პეტრე არტამონოვი განზე რჩებოდა, ირიყებოდა. მაგრამ ამ მარტოობაშიც მან ჰპოვა თავის საქციელი: მან გაიცნო ახალი, თუმცა წინადაც ნაცნობი, პეტრე არტამონოვი, სულსახვა ხასიათისა და სახის ადამიანი.

ეს იყო კარგი, კეთილი კაცი, მაგრამ სასტიკად შეურაცხყოფილი, ცხოვრება მას ისე ეპყრობოდა, როგორც დედინაცვალს გერს. მან თავისი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ უსიტყვოდ მორჩილებდა და ემსახურებოდა მამას, რომელიც სამაგიეროდ არავითარ სიამოვნებას მას არ ანიჭებდა. მამამვე გადაჰყარა სულელს, მეტად მოსაწყენ ცოლს და ზურგზე აკიდა უშველებელი, დიდი და მძიმე საქმე. ცოლს იგი უყვარდა და პირველ წელს ისიც ცუდათ არ ეპყრობოდა მას. მაგრამ ახლა კარგად ხედავდა, რომ გარყვნილმა ზინაიდამაც კი უკეთ იცოდა სიყვარული. ცოლს მთელი მისი სიცოცხლე ჯერ ალექსის ეშინოდა, მერე ნავთის ლამპის, შემდეგ კიდევ ელექტრონისა. როცა ელექტრონი დაენტებოდა ნატალია კანკალით პირჯვარს გადაიწერდა. ერთხელ ბაზრობაზე კიდევაც შეარცხვინა. ეს მოხდა გრამაფონის მალაზიაში.

— ვაიმე, არ იყიდო, საჭირო არ არის.— იკივლა მან.— იქნება, ამაში წყეული სულია დამალული და ის არის, რომ ჰკივის.

ახლა კი მირონის ეშინოდა, ექიმი იაკოვლევის, საკუთარი ქალის—ტატიანასი. საშინლად გასქელდა, გაიბერა და მთელი დღის განმავლობაში სულ ქამდა. მისი გულისთვის ძმამ კინალამ თავი ჩამოიბრჩო. შვილები პატივს არ სცემდნენ. როცა მან ურჩია იაკობს ცოლის შერთვა, შვილმა დაცინვით ურჩია:

— დედა, უკეთეს იზამ თუ შესჯამ რასმე.

დედამ მორჩილებით უპასუხა:

— კი, მაგრამ ახლა თითქოს მეტი აღარ მინდა.

და ისევ სჯამდა.

მამამ უთხრა იაკობს:

— შენ რად დასცინი დედას! დროა ცოლი შეირთო.

— ადრეა ოჯახური ტვირთის აკიდება,— საქმიანად უპასუხა ვაჟმა.

— რა ამბავია, ყველას რომ ამ დროს გეშინიათ?— გაჯავრდა მამა.

შვილმა ამაზე პასუხი არ გასცა, მხოლოდ მხრები აუწურა.

იაკობიც ეტყოდა ხოლმე:

— მამა, თქვენ ეს არ გესმით.

ამას ის ძალიან დაბლად ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ხომ შეუძლებელია, რომ შვილმა მამაზე უფრო მეტი იცოდეს. ადამიანები გუშინდელ დღით ცხოვრობენ და არა ხვალინდელით. ასეა საზოგადოდ.

უფროსი შვილი, მამის საყვარელი, სადღაც გადაიკარგა, აღარ სჩანს, მისი სიყვარულისთვის პეტრე არტამონოვმა ისეთი საქმე ჩაიდინა, რომლის მოგონებაც კი მას არ ჰსურს.



უფროსი ქალი ელენე, პირფართე გვერდგანიერი დედაკაცი, სიმდიდრითა და ლოთი ქმრის მიერ გაფუჭებული, სრულიად უცხო იყო მამისთვის. ის დრო-გამოშვებით ეწვეოდა დედ-მამას მდიდრულად ჩაცმული, რომელსაც ხელის თითები ბეჭდებით ჰქონდა აჭრელებული. ოქროს ძეწკვხე ბრელოებს აწკარუნებდა. ოქროს ლორწებს ხმარობდა, გამაძღარ თვალებით იცქირებოდა და დაღლილი ხმით ამბობდა.

— რა ცუდი სუნი სდგას თქვენსას. სახლი დამპალია სრულიად. ახლის აშენებაა საჭირო. ფაბრიკის გვერდით ახლა ვინ ცხოვრობს?

არტამონოვმა შემთხვევით მოჰკრა ყური, როცა იგი დედას ელაპარაკებოდა.

— მამა ისევ ისეთივეა? ალბად ძალიან მოწყენილი ხარ. ჩემი ქმარი ლოთია, ცბიერიც. მაგრამ სამაგიეროდ მხიარულია.

მას განსაკუთრებულად, ავადმყოფურად უყვარდა სისუფთავე: სანამ სკამზე დაჯდებოდა წინასწარ ცხვირსახოცით მოასუფთავებდა საჯდომს. ისეთ სურნელს ხმარობდა, რომ მიახლოვებისას ადამიანს უთუოდ ცხვირს დააცემინებდა. მისი უბოდიშო, შეურაცმყოფელი მოზიზღრობა არტამონოვს ისე აბრაზებდა, რომ განზრახ ქვედა საცვალის ამარა დადიოდა სახლში და ეზოშიც კი უქამრო ხალათი ეცვა, შიშველ ფეხს კალოშში ჩაჰყოფთა და განზრახ ასე დასეირნობდა. სადილის დროს ბავშვსავით აწკმატუნებდა პირს. მისი ქალი მოთმინებიდან გამოდიოდა:

— რა ამბავია მამა?

არტამონოვსაც სწორედ ეს უნდოდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, — ამბობდა იგი, — მე სომ გლები ვარ.

და უფრო გააფრთხილებული ხრამუნით შეექცეოდა საჭმელს.

მისი ქალი საზღვარ გარეთ იყო ნაყოფი და საღამოობით დედას სისულელეებს უანბობდა: ამა და იმ ქალაქში სახლის კედლებს დედაკაცები გასაპნული ჩვრით ასუფთავებენო; ამა და იმ ქალაქში ზამთარ-ზაფხულ სულ ნისლი იცისო, დღე და ღამე ფარნები ანთია, მაგრამ მაინც ბნელაო, პარიზში მთელი მოსახლეობა შეკერილ ტანსაცმელით ვაჭრობსო და ისეთი მაღალი კოშკია ამართული, საიდანაც ზღვის გაღმა გაშენებული ქალაქებიც კი სჩანანო.

უმცროს დას ელენე ხშირად ეკამათებოდა და კიდევაც აეინებდა. ტატიანა ტანხმელი იყო, შავგვრემანი. ამით იყო გამწყრალი და მუდამ უკმაყოფილო, რომ ლამაზი არ იყო. ისეთი სანახაობა ჰქონდა, რომ კაცს დიაკვანს მოგაგონებდა. ეს ალბად მისი მოკლე თმის, ფიცარივით სწორი გულმკერდის და ლურჯი ცხვირის ბრალი იყო.

იგი დასთან ცხოვრობდა. გიმნაზია რაღაც მიზეზით ვერ დაამთავრა. თავის ეშინოდა. ბოლო დროს მირონის აზრს იზიარებდა, რომ საჭირო იყო მეფის უფლების შეზღუდვა და პაპიროსს ეწეოდა.

როცა ზაფხულობით ჩამოდიოდა, დედას უწყრებოდა, უყვიროდა როგორც მოსამსახურეს, ხოლო მამას კბილებში სიტყვების გამოცრით ელაპარაკებოდა. მთელი დღე წიგნს კითხულობდა. საღამოობით ქალაქში წავიდოდა, ბიძასთან, საიდანაც მას ოქროსკბილიანი ექიმი იაკოვლევს სახლამდის გამოაცილებდა.

ლამე ქალწულური ოცნება არ აძინებდა. ფეხსაცმელის ქუსლით კოლოებს ჰკლავდა კედელზე, ფეხსაცმელს დარტყმის დროს ასეთი ხმა გაუდმოდა თითქოს დამბაჩას ისვრიანო.

არტამონოვს თანდათან ყოველივე ეუცხოვებოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ყველა ჰყვიროდა, ყველაფერი სულელურად მიმდინარეობდა, მირონის თავხედური სიტყვებიდან დაწყებული ვასკა-კაჩეგარის უაზრო ლექსებით გათავებული.

ეს კაჩეგარი ვასკა კოჭლი იყო. გვერდამოგდებული, თავზე თმა აბურძგენლი დადიოდა, კვირაობით იგი არტამონოვის მზარეულ ქალს ეარშიყებოდა. მოადგებოდა სამზარეულოს ფანჯარას და თვალ დახუჭული გარმონიკზე ამღერებდა:

Стала ты теперь несчастная

Моя привычка!

Хочу видеть ежечасно

Твое, морда, лачико!

ოღვასკი დიდი ხანია არაფერი არ უამბია ილიას შესახებ, და ახლა პეტრე-არტამონოვი, შეურაცყოფილი კაცი, უფრო და უფრო ხშირად იგონებდა თავის უფროს შვილს. ალბად ილიამ უკვე იგემა საკმაოდ, რაც მას ხვდებოდა მისი ჯიუტობისათვის. ამას პეტრეს უმოწმებდა მისდამი დამოკიდებულების შეცვლა ალექსის სახლში. ერთხელ საღამოს, როცა პეტრე ძმისას მივიდა და წინა ოთახში პალტოს იხდიდა, მოსკოვიდან დაბრუნებული მირონის სიტყვებს ყური მოჰკრა:

— ილია იმათგანია, ვინც ცხოვრებას წიგნის თვლით უცქერის, იგი ძროხას ცხენისაგან ვერ გამოარჩევს.

— მიჰქარავ, — გაიფიქრა არტამონოვმა, რომელსაც ძმისწულის მტრულ სიტყვებში რალაც სანუგეშო მოესწა.

ალექსიმ ჰკითხა:

— ის გორიცვეტოვის პარტიას ხომ არ ეკუთვნის?

— უფრო მავნებელია, — უპასუხა მირონმა.

ოთახში რომ შევიდა უფროსი არტამონოვი გუნებაში დაემუქრა მასპინძლებს:

დაიცადეთ, ილია დაბრუნდება და სეირს გიჩვენებთ.

მირონმა მაშინვე დაიწყო მოსკოვის ამბების მოყოლა. ბრაზით იხსენებდა მთავრობას და უთავბოლოებას უსაყვედურებდა, მერე მოვიდა ნატალიაც შვილითურთ. მირონმა ახლა ქალაღდის ფაბრიკის აგების აუცილებლობაზე ჩამოაგდო სიტყვა. ამ ქალაღდის ფაბრიკით მან უკვე ყველას თავი მოაბეზრა.

— ჩვენი ფული, ბიძაჩემო, მოუხმარებლად დევს. მუშაობაში არ არის.

ნატალია ისე გაწითლდა, რომ ყურები გაებერა. აყვირებით შეეკითხა:

— სად დევს, ნეტავი, ან ვისთან?

არტამონოვს მოულოდნელად ნალველი შემოაწვა გულზე, ისე მოიწყინა, თითქოს მის წინ იმ ოთახის კარი გაიღო, სადაც ყველა ნაცნობი შეყრილიყ-

ვნენ, რომლებსაგან მას ისე ჰქონდა თავი მობეზრებული, რომ ოთახი სრულიად ცარიელი მოეჩვენა.

ეს მოულოდნელი მოწყენა ისე ეწვია, თითქოს საიღალაოც გაჩენილი ნისლი მოეხვიაო თვალები დაუბრმაჟა, ყურთა სმენა დაუფსო. მერე უცებ მოჰქანცა რალაცნაირად და სული სიკვდილის შიშით დაუფრთხო.

— ძალიან მომაბეზრეთ თავი. — სთქვა მან. — როდის მტყუბნებ, როდის მოქვენგან მოვისვენებ?

იაკობმა ჩაიბუტბუტა:

— საკმარისია რასაც ველოლიავეებით იმას, რაც არის.

— ნატალია კი ჰყვიროდა:

— ისე გაამრავლეთ ეს მუშები, რომ ადამიანი გარედ ვერ გამოსულა: ირგვლივ ლოთობაა და დედმამის გინება ისმის.

არტამონოვი ფანჯარასთან მივიდა. ბალში ტიხონ ვიალოვი იდგა. თავი მაღლა აეწია, ხელი გაეშვირა და ვილაც გოგოს ვაშლის ხეზე უთითებდა.

— ადამია რალა! — გაიფიქრა პეტრე არტამონოვმა და ნალეელიც ისევე მოულოდნელად გულიდან გადაეყარა. ასეთი ამბავი მას ხშირად ემართებოდა: თავივით გაურბენდენ ხოლმე თავში რაიმე აზრები. მათი უცაბედი გამოჩენა სიამოვნებდა არტამონოვს. უყვარდა კიდევაც ასეთი აზრები, რადგანაც ისინი დიდხანს არ აწუხებდენ, — გაიკრთომარებდენ მხოლოდ მის თვალწინ და ისევ გაქრებოდენ.

აი, ტიხონიც. პეტრე არტამონოვი საშინლად გაბრაზდა, როცა გაიგო, რომ ძმამ იგი თავის შეეზოვეთ აიყვანა მას შემდეგ, რაც ტიხონი მთელი ერთი წლით გადაიკარგა სადღაც და მერე უცებ ისევ გამოჩნდა და არასასიამოვნო ამბავი ჩამოიტანა: ნიკიტა მონასტრიდან წასულიყო და არავინ იცოდა მისი გზა და კვალი. პეტრე დარწმუნებული იყო, რომ მოხუცმა კარგად უწყოდა ნიკიტას სადაურობა, მაგრამ ამას არ ამხელდა, რადგანაც უსიამოვნების მიყენება უყვარდა. ამ ტიხონისთვის ის მაგრად წაეჩხუბა ძმას, თუმცა ალექსი თავგამოდებით იცავდა თავის საქციელს.

— დაუფიქრდი მაინც: ეს კაცი სულ ჩვენსას მუშაობდა ჩვენთვის, ჩვენ კი კარში გავაგდეთ!.. მოსაწონია ეს?

პეტრემ იცოდა, რომ ეს არ იყო მოსაწონი. მაგრამ მისთვის აუტანელი იყო ტიხონი. ცოლიც პირველად თავის სიცოცხლეში ალექსის მიემხრო. მისთვის უჩვეულოდ სიმტკიცით განაცხადა:

— ეს არ არის კარგი, პეტრე ილიასძევ. მცემე, მომკალი, მაგრამ უნდა ვსთქვა: ეს კარგი არ არის.

ოლგას დახმარებით, როგორც იქნა, დაამშვიდეს, დააწყნარეს პეტრე. შეურაცყოფილმა ადამიანმა გაიმარჯვა:

აი, შენი ნებაც, იგი არავისთვის კანონი არ არის... ხომ ხედავ?

შეურაცყოფილი ადამიანი უფრო შესამჩნევი და საგრძნობი შეიქნა ახლა პეტრე არტამონოვისათვის.

პეტრე ფრთხილად აიტანდა თავის დამძიმებულ ტანს გორაკზე. იქ ფიჭვის ძირში, თავის სავარძელში ჩაჯდებოდა და დაიწყებდა ფიქრს ტიხონ ვია-

ლოვზე, რომელიც გულწრფელად ეცოდებოდა. სააომც იყო და სამწუხაროც ისეთ უბედურ ადამიანზე ფიქრი, რომელსაც არავინ არ აფასებდა, რომლის ფიქრები არავის ესმოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, კარგი კაცი იყო. მას არტამონოვის ფიქრები ავლინებდნენ ქვეყნად ისეთივე არარაობიდან, როგორც სიცხიან დღეს ჭაობებზე ცალიერ სივრცეში ღრუბლების თეთრი კომლი ჩნდება ხოლმე.

ეს ადამიანი ფაბრიკასა და მის გარშემო აგებულ შენობებს ეჭყეროდა და არტამონოვს ჩაგონებით ეუბნებოდა:

— შეიძლება სხვანაირადაც ცხოვრება... ყოველივე ამის გარეშე.

ფაბრიკანტი არტამონოვი მას პასუხს აძლევდა:

— ეს ტიხონის აზრია.

— ხუცესი გლებიც ამას ამბობდა, გორიცვეტოვიც და ბევრი სხვაც. დიანს, როგორც ბუზი აფართხალებდა ხოლმე ობობას ქსელში, ისე ფართხალობენ ადამიანებიც ცხოვრებაში.

— უფრო იაფად ვერ იცხოვრებ.— უნებურად უპასუხებდა კვლავ ფაბრიკანტი.

ხანდახან ერთი ადამიანის თავში წარმოებული ორი მოპირდაპირის ასეთი კამათი გამწვავდებოდა და მაშინ შეურაცყოფილი ადამიანი დაუზოგველი ხდებოდა, აყვირდებოდა:

— ხომ გახსოვს, ბაზრობაზე რომ ლოთობდი და მთვრალი ცოდვებს ინანიებდი ხალხის წინაშე? გახსოვს, რომ ამბობდი, თითქოს შეილის მსხვერპლად შეწირვა გინდოდა, როგორც აბრაამს ისააკისა, ხოლო თითქოს კრავის მაგიერ ნიკონოვის ბავში ხელში შემოგაპარეს! გახსოვს? ასე იყო. სწორეა. და ამისთვის ამ სიმართლის თქმისთვის, შენ მე ბოთლი მესროლე! ჰე, დამლუპე მე შენ, გამსრისე. შენი მსხვერპლი ვარ! მერე ვისთვის არის საჭირო ეს მსხვერპლი? იმ რქიანი ღმერთისთვის, რომლის შესახებ ნიკიტა გელაპარაკებოდა? ჰე, მე შენ რა გითხრა...

ასეთი მწვავე შეკამათების დროს ფაბრიკანტი არტამონოვი მაგრად დახუჭავდა თვალებს, რომ დაეფარა თავისი სამარცხვინო, მწარე ცრემლები. მაგრამ ცრემლი მაინც შეუკავებლად სდიოდა. ის ხელის გულით იმშრალებდა ლოყას და წვერს, და მადერას პირდაპირ ბოთლიდან ყლაპულაბით სვამდა.

მიუხედავად ასეთი მწარე ცრემლის ღვრისა, უფროს არტამონოვს მაინც საამოვნებდა და მისთვის საჭიროც იყო ეს შეურაცყოფილი ადამიანი, როგორც მექისე აბანოში, რომელიც ზომიერად ცხელი და სურნელოვანი საპნით გბანს ზურგსა და იმ ადგილებს, სადაც საკუთარი ხელი ვერ მიგიწვდება.

...

მოულოდნელად, სადღაც ციმბირს იქით მაგარი მუშტი აიმართა და რუსეთს ცემა დაუწყო.

ალექსი შებტა გაზეთით ხელში და იყვირა:

— ეს ძარცვა-გლეჯაა.— ჩიტის კლანჭისებურ თითები მალლა ჭერისკენ ამართა და დაისისინა:

— ჩვენ მათ ვაჩვენებთ... ჩვენ მათ...

ოქროს კბილიან ექიმს ჯიბეში ჩაეწყო ხელები; ღუმელის თბილ კედელს მისწოლოდა და ბუტბუტებდა:

— შეიძლება, რომ მათ ჩვენ თვითონ გვიჩვენონ...

ეს დიდი, თუჯის ფერი ადამიანი, რა თქმა უნდა, ილიმოდა, ის/ყოველ-თვის ილიმოდა რაზედაც არ უნდა ელაპარაკნა. მაშინაც კი, როცა საკითხი ავადმყოფობას და სიკვდილს შეეხებოდა, იგი ისეთივე ღიმილით საუბრობდა, როგორც პყვებოდა პროფერანსში ფულის წაგების ამბავს.

უფროსი არტამონოვი მას ისე უცქეროდა, როგორც უცხოელს, რომელიც ილიმის ხოლმე იმისთვის, რომ უცხო ენა არ ესმის.

არტამონოვს არ უყვარდა იგი. არ სწამდა მისი ექიმობაც და საექიმოდ ქალაქის მკურნალთან დადიოდა, ჩუმ და წყნარ კრონთან, რომელიც გერმანელი იყო.

მირონი წეროსავით დადიოდა ოთახში და შეწუხებული იქექდა წვერს. სახე ისე ჰქონდა მოქცეული, თითქოს საფეთქელი სტკივოდა. იგი ამბობდა:

— ეს საქმე ინგლისელებთან შეთანხმებით უნდა დაეწყოთ.

— დიახ, მაგრამ გამაგებინეთ რა საქმეა ეს საქმე? — უნდოდა გაეგო არტამონოვს, მაგრამ ვერც ჰკუთიანბა ძმისშვილმა და ვერც მისმა მარჯვე ძმამ ვერ აუხსნეს მას, თუ რად და რისთვის დაიწყო ეს მოულოდნელი ომი.

პეტრეს სიამოვნებდა, როცა ხედავდა რომ ასე დაბნეულიყვნენ ყოვლის მცოდნე ადამიანები. განსაკუთრებით სასაცილო ეჩვენებოდა ძმა, რომელსაც ისე ვაუგებრად ეჭირა თავი, რომ კაცი იფიქრებდა: ეს ომი უწინარეს ყოვლისა მას ალექსი არტამონოვს, შეეხებოდა და მას რაღაც დიდმნიშვნელოვან საქმეში ხელს უშლისო.

ქალაქში ჯვრებითა და ხატებით დაიწყეს სიარული. გრძელწვერიანი ვაჭრები მძიმე ფეხების ბაკუნით შალალ თოვლს სტკეპნიდენ და ხარის შექუჩებულ ჯოგავით მისდევდნენ ბრგეტანიან, მოოქრულ სამღვდლოებას, რომელსაც ხატები და საეკლესიო დროშები მიჰქონდა:

ქალაქის ყველა საყდრის შეერთებული გუნდი გუგუნებდა:

— აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი“...

ლოცვის სიტყვები მოთხოვნის მსგავსად გაისმოდნენ და მგვრალად დაღებული პირებიდან თეთრი ორთქლის სახით ამოდიოდნენ; ბანის მთქმელთ წარბებსა და ულვაშებზე რთვილად ედებოდნენ და ზედ ყინულებად იქცეოდნენ.

წვერებ-შეყინული ვაჭრების ხმა გალობას რევდა. განსაკუთრებით ვერ შეეწყო გუნდისთვის ხმა ქალაქის თავს, ვოროპონოვს, რომელიც განსხვავებული გულმოდგინებით ცდილობდა თავისი წრიპინა ხმა გამოეჩინა. ამ ლოყა-წითელს, გაბერილსა და სადაფის ღილის ფერ თვალებიანს, ეტლების ოსტატის შვილს, მამისაგან მემკვიდრეობასთან ერთად გადმოსცემოდა ერთობ ყველა არტამონოვებისადმი მტრობა და სიძულვილი.

შვიდივე არტამონოვი ერთად მიდიოდა. წინ ალექსი მიიმართებოდა, რომელიც მოიკოქლებდა. მას, მეუღლე მიჰყავდა მკლავში ხელამოდებული. მის შემ-

დეგ იაკობი მიდიოდა, დედისა და ტატიანას თანხლებით. მერე—მრონი ექიმითურთ.

ყველაზე უკან ლბილ ჩექმებში გამოწყობილი უფროსი არტამონოვი მიიბიჯებდა.

— აი, ერი,—ხმის აუმაღლებლად წარმოსთქვა მრონი

— ძალის აღლუმია,—უპასუხა ექიმმა.

მრონი სათვალეები მოიძრო, ცხვირსახოცით გასწმინდა. ექიმმა თქმულს დაამატა:

— აი, ნახავ, თუ არ დავამარცხებთ.

— ჰე, ეს ნედლი მასალა ასე მალე არ აენთება...

— თავი დაანებე,—უთხრა უფროსმა არტამონოვმა ძმის შვილს, რომელმაც ირიბად გახედა თავის ბიძას, გრძელ ცხვირზე თითი გადაისვა და მერე სათვალეები გაიკეთა.

— აცხონე, ღმერთო...

ყვიროდა ფოროპონოვი ხმამაღლა, რომ მისი ხმა ყველას გაეგონა. იგი ფსტეენის გარევეთ წივოდა:

— ხალხო!—და მგლის ყაიდაზე უკან იხედებოდა. ყველას შეავლებდა თვალს და წავის ქუდს რატომღაც სულ ჰაერში აქნევდა.

კარგად, ბოხი ხმით გალობდა პომიალოვის ორმოცი წლის, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, გულმკერდიანი და მგვრალი, რომელიც მესამეჯერ იყო დაქვრივებული. მას მთელ ქალაქში პირველი ადგილი ეჭირა როგორც სკანდალურსა და ურცხვ დედაკაცს. პეტრე არტამონოვმა ყური მოჰკრა, როცა მან ნატალიას წაჩურჩულებით ურჩია:

— ნათლიავ, რად არ გააგზავნი შენს ქმარს საომრად. მას ისეთი სანახაობა აქვს, რომ მტრებს ადვილად უკუაქცევს.

იაკობს კი ჰკითხა:

— ცოლს რად არ ირთავ, მამალო?

უფროსმა არტამონოვმა თავი გააქნია. სიტყვები ბუზებივით აწუხებენ მას, თითქოს დიდ მნიშვნელოვან რასმე ფიქრობს და მწერები ხელს უშლიანო.

განზე გადვა. ნაბიჯი შეანელა და ტროტუარით წამოვიდა. ხალხმა წინ გაუხსწრო. ადამიანები დღეს განსაკუთრებით შავად სჩანდნენ თეთრი, სპეტაკი თოვლის ზედაპირზე.

მომდინარე ხალხს პირიდან ორთქლი ამოუდიოდა, როგორც ადულებულ სამოვარს.

ვერა პოპოვამაც გამოიარა თავისი მოწაფეებით. ქვასავით უძრავი სახე ჰქონდა. ქალარა თმაზე თოვლის ფიფქი უბრქვეიალებდა. თეთრად დართვილული წამწამები შეერხენ, როცა მან უხვთმიანი თავი შეაქანა. არტამონოვს იგი შეეცოდა:

— სულელი, იხვების მწყემსვა უკისრებია.

გაიარა ვაკრეჭილი თავების მთელმა ტალღამ. ეს იყვნენ ორი საქალაქო სასწავლებელის მოწაფეები.

როგორც მძიმე ნაცრისფერი მანქანა, წამოიმართა ჯარისკაცთა ასეულიც, რომელსაც უძლოდა ქალაქში სახელგანთქმული ოფიცერი მავრინი; იგი ყოველ დღე ბანაობდა ოკაში გაზაფხულიდან, ვიდრე მდინარეს არ გაყინავდა, და, როგორც ყველამ უწყობდა, პომიალოვის ქალის ხარჯზე ცხოვრობდა, რომელთანაც უკანონო კავშირი ჰქონდა.

დიდკაცურად, როგორც მაძლარი ბატი, მოდიოდა <sup>ქინდარქის</sup> უფუფიერი ნესტერენკო, რომელსაც ჩინური უღვაშები ჰქონდა. მისი ავადმყოფი ცოლი თავის ძმას, ჟიტეიკინს, მოჰყვებოდა, ქალაქის მიცვალებული ნაცვლის შვილს, ტყავის ქარხნის პატრონს. ამ ჟიტეიკინის შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ თუმცა ის მონაზონებთან გარყვნილებას ეწეოდა, მაგრამ წაკითხული აქვს შვიდასი წიგნი და შესანიშნავად უკრავს პატარა დოლზეო. ამ ხელობას საიდუმლოდ ის ჯარისკაცებსაც ასწავლიდა.

მერე გამოიარა მარხილით გასივებულმა სტეპანე ბარსკიმ თავისი ლოთი სიძისა და ელამი ქალის თანხლებით.

როგორც შავი ღრუბელი, ისე ქანაობით მოიმართება წვრილი ხალხი: მოქალაქენი, მეტყავეები, ფეიქრები, მეეტლები, მათხოვრები და ვილაც დედაბრები, რომლებიც ვირთაგვებს ჰგავდნენ და არავეისთვის საჭირონი არ იყვნენ.

სთოვდა. თოვლი შიშველ თავებს მარილივით წაჰყროდა. შორიდან ვორპონოვის მედგარი ყვირილი მოდიოდა:

— აცხონე, ღმერთო...

— რად უნდა ღმერთს ეს ხალხი? ძნელი გასაგებია, — გაიფიქრა არტამონოვმა. მას არ უყვარდა მოქალაქეები და ქალაქში გარდა საქმიანი ნაცნობობისა არავეისთან არ ჰქონდა კავშირი. მან იცოდა, რომ ქალაქსაც არ უყვარდა იგი. ამაყად სთვლიდნენ, ბოროტად. ალექსის კი პატივს სცემდნენ დიდად. ეს იმიტომ იყო, რომ მას უყვარდა ქალაქის გამშვენება. — ქალაქის მთავარი ქუჩა მოკირწყლა, ცაცხვები დარგო მოედანზე, ოკას ნაპირზე ბალი გააშენა, ბულვარი.

მოქალაქეებს შირონისა და იაკობის ეშინოდათ. მათ ხარბ ადამიანებათ სთვლიდნენ, ყველაფერი თავისთვის მიაქეთო.

ნელი ნაბიჯით, ჩაფიქრებულად მიმავალ ხალხს რომ აკვირდებოდა არტამონოვი, სახე ეღუშებოდა, — ათასი უცნობი და უფრო მეტი სხვადასხვა ფერის თვალი ერთნაირი მტრობით უცქეროდა მას.

ალექსის სახლის ჭიშკართან მას ტიხონი მიესალმა. არტამონოვმა ჰკითხა:

— ვომობთ, ბებერო.

უსიტყვოდ, მძიმე ხელის ნაცნობი გაქანებით, ტიხონმა ლოყა მოიფხანა. პირველად იყო, რომ არტამონოვმა ნდობით ჰკითხა ამ კაცს:

— შენ რას ფიქრობ?

— სულ უბრალო რამეა, — მყისვე უპასუხა ვიალოვმა, თითქოს ასეთ შეკითხვას მოელოდაო.

— შენ ყველაფერი უბრალო რამე გგონია, — გაურკვეველად უთხრა არტამონოვმა.

— მაშ, როგორ? ძაღლები კი არ ვართ, ან ნადირები.

არტამონოვმა ჩაიარა.

თოვლი თანდათან მატულობდა და თითქმის სრულიად დაჰფარა ხალხის ბრბო ჩამოვარდნილ ხეებსა და სახლის სახურავებს შორის.

სერაფიმე-მანუგეშებელის გარდაცვალების შემდეგ არტამონოვი/გასართობად დიაკვნის ქვრივთან, ტაისა პარაკლიტოვის ასულთან დადიოდა. იგი გამოურკვეველი წლოვანებისა იყო და ხმელი. მოზარდს ჰგავდა და დედას ჰგავდა შავთხას. წყნარი იყო და არტამონოვს ყველაფერში ეთანხმებოდა.

— ასე, გენაცვალე. — ეუბნებოდა იგი. — დიახ, დიახ. ასეა, გენაცვალე.

არტამონოვი ძალიან ბევრს სვამდა. მაგრამ მალე გამოფხიზლდებოდა ხოლმე და სწუხდა, რომ მოსაწყენი ფიქრები დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქრებოდენ, არ იხრჩობოდენ ტაისის მაგარსა და ტკბილ არაყში. როცა დათვრებოდა, პირველი წუთები უსიამოვნო რამ იყო: პეტრეს ადამიანები უფრო სმულდა, — რალაც მწარე, ავსა და ჭაობის მომწვანო ფერში იმოსებოდა ცხოვრება, რომელიც ძალზე სწრაფ მდინარებას იწყებდა. არტამონოვს ეჩვენებოდა, რომ ეს დუღილი მას უგზოუკვლოდ დააქანებდა, ატრიალებდა და სადღაც უფსკრულში გადავარდნის საფრთხეს უმზადებდა. იგი კბილების კრაქუნით უგდებდა ყურს მასში წარმოებულ ჯანყს, და დიაკვნის ქვრივს უყვიროდა:

— რას გაჩუმებულხარ? სთქვი, რაც იცი.

ქალი თხასავით მუხლებზე დაახტებოდა. იგი საკვირველად მსუბუქი და თბილი იყო. წინ ვითომ წიგნს გაიშლიდა და კითხულობდა:

— მავრინა პავლოვნამ თავისი ოფიცერი დაითხოვა. მან კიდევ წააგო ქალაქში სამას ოცი მანეთი. ქალს უნდა თამასუქები გასანაღდებლად წარადგინოს. საყვარლის თამასუქები აქვს, ჟანდარმი კი თავის ცოლს აქ იმიტომ აცხოვრებს, რომ ქალაქში საყვარელი ჰყავს და არა იმიტომ რომ მისი ცოლი ავად არის...

— ეს ყოველივე სისულელეა, — ამბობდა არტამონოვი.

— დიალ, სისულელეა, გენაცვალე... მერე კიდევ როგორი!

დიაკვნის ქვრივის ნაამბობი ქალაქის ავკარგზე არტამონოვს აზრებს ურევდა. ეს ამბები ამართლებდენ მის მტრულ განწყობილებას მოქალაქეებისადმი. მერე ასეთ ფიქრებს სცვლიდა ბაზრობაზე გაწეული თავზე ხელაღებული ქეიფის სურათების მოგონება, ისინი რალაც წრეში მოექცეოდენ ხოლმე და შიგ უცნაურად მოძრაობდენ. — ეს იყო ისეთი ხარბი ადამიანების ხროვა გადმოკარკლულ მთვრალი, მაგრამ გაუმაძღარი თვალებით, რომლებიც ფულებს ცეცხლზე სწვავდენ და არაფერს არ ზოგავდენ, რომ თავიანთი ცოფმორეული ხორცის ეინი დაეკმაყოფილებინათ, — დაეუფლებინათ შავზე თეთრად გართხული, ურცხვად გაშიშვლებული ქალი.

პეტრე არტამონოვი სწრუპავდა ნაირი ფერის არაყს, ლექავდა დამეხვებულ სოკოს, რომელიც კბილებ შორის უსხლტებოდა, და მთელი თავისი მთვრალი ტანით გრძნობდა, რომ ყველაზე უფრო საამო, ძლიერა, და ნამდვილი სიხარული ბაზრობაზე ნახულ შიშველსა და ურცხვ ქალში ჯიმალებოდა. რომელიც ფუ-



ლისთვის შიშვლდებოდა და რომლისათვის დარბაისელი, ცნობილი ადამიანები ფულს ფლანკავდენ, სირცხვილსა და ჯანმრთელობას კარგავდენ.

მას კი, თავად პეტრე არტამონოვს, ამ ცხოვრებაში მხოლოდ იგი ეს შავი თხა დარჩა.

— გაშიშვლდი. გაიხადე. — ჰყვიროდა იგი. — იცეკვე.

— უმუსიკოდ როგორ იქნება? — ამბობს ქვრივი და ტანზე განდის იწყებს. — ნოსკოვს მაინც დაუძახოთ, მონადირეს, რომელიც გარმონიკზე შემეწინვრად უკრავს.

ასეთ ამბებში შეუმჩნევლად გადიოდა დრო. მხოლოდ ხანდახან ამღვრეულ დღეთა რიგიდან საოცრება რამ იჩენდა თავს, რაც სრულიად გაუგებარი იყო: ზამთარი იყო, როცა ხმა დაირხა, რომ პეტერბურგის მუშებმა სასახლის დანგრევა და მეფის მოკვლა მოინდომესო.

ტიხონ ვიალოვი ანჩხლობდა:

— საყდრებსაც დაანგრევენ... მაშ! ხალხი რკინის კი არ არის.

ზაფხულზე კი ამბავი მოვიდა, რომ რუსეთის ზღვაზე რუსეთისავე გემი დასცურავს და რუსეთის ქალაქებსვე ზარბაზანს უშენსო.

ტიხონმა სთქვა:

— ასეა, ომს შეეჩვივენ.

ქალაქში კვლავ გაიმართა ხატებით სიარული. მოწითალო სიურთუქში გამოწყობილ ვოროპონოვს ხელში მეფის სურათი ეჭირა და მოითხოვდა:

— აცხოვნე...

ახლა იგი უფრო ხმამაღლა ჰყვიროდა და უფრო ავი ხმა ჰქონდა, მაგრამ მის დაჟინებულ მოწოდებაში უკვე შიში გამოკრთოდა.

მთვრალ ჭიტეიკინს ორ-ლულიანი თოფი ეჭირა ხელში. ქუდი მოეხადა და წითელი მელოტი თავი ულაპლაპებდა. მეტყავეებს მოუძლოდა, სკანდალს ახდენდა და ბლაოდა:

— ბიჭებო არ დავანებოთ რუსეთი ურიებს! ვისია რუსეთი? ჩვენი!

— ჩვენია, — ჰყვიროდენ ერთად მეტყავეები. ესენიც მთვრალეები იყვნენ, ფეიქრებს რომ შეხვდებოდენ, რომლებსაც მტრად ჰყავდათ გადაკიდებული, ჩხუბს აუტეხდენ.

ექიმ იაკოვლევს სცემეს.

აფთიაქის მოხუცებული პატრონი ოკაში გადააგდეს.

ჭიტეიკინი დიდხანს ეძებდა მთელ ქალაქში თავის შვილს. ორჯერ თოფიც დაახალა, როცა ვერ წამოეწია. ვერ მოარტყა, მხოლოდ მკერავი ბრუსკოვი დასჭრა.

ფაბრიკაზე მუშაობა შესწყდა. ხელეზ წაკაპიწებულ ახალგაზრდობა, მაუხედავად მირონისა და სხვა გონიერი ხალხის რჩევისა და დედაკაცების წივილი-კივილისა, ქალაქს დასარბევად შეესია.

ფაბრიკა დაცალიერდა. თითქოს სული ამოხდაო, ისე შეიკუმშნა ქარის გაქროლებაზე, რომელიც აჯანყებულივით ჰკივოდა ზ ფსტვენდა. გაყინულ წვიმას ჰყრიდა და სახურავებზე თოვლის ზვინს აყენებდა. მერე ისევ აშლიდა და ძირს გადმოჰყრიდა.



უფროსი არტამონოვი ფანჯარასთან იჯდა და გარედ ხალხს უყურებდა, რომელიც კიანჭველასავით ქალაქში შემოდის ან ქალაქიდან გადიოდა. ფანჯრით ხმაურობა შემოდის და არტამონოვს ეჩვენებოდა, რომ ხალხი მხიარული იყო. კიშკართან გარმონიკი წრიპინობდა და მუშებში ჩამდგარი კოჭლი კაჩეგარი ვასკა კროტოვი მღეროდა:

Стало тесно на земле:

Деремся с японцами!

Они бьют нас по скуле,

А мы их иконами!

ერევნეში  
გინგაჩიქოვა

ქარს ქალაქიდან ისეთი ხმაურობა მოჰქონდა, თითქოს იქ უზარმაზარი სამოვარი დედოფალი მთელი ზღვა იყო მოთავსებული.

ეზოში შემოვიდა ალექსის ერთ ცხენიანი ეტლი, რომლის კოფოზე იჯდა ცალთვალა ფერშალი მოროზოვი. ეტლიდან ჩამოხტა შალში გახვეული ოლგა. არტამონოვს შეეშინდა, ფეხის ტკივილი დაავიწყდა და წამოხტა, ოლგას შეეგება:

— რა მოხდა?

ქათამივით ტანი დაიფერთხა ოლგამ და მიუგო:

— მეტყავებმა ფანჯრები ჩაგვიღებინა.

არტამონოვმა გზა დაუთმო, ჩაიცინა.

— აი, სანამ მიიყვანეს საქმე უთავბოლო ლაპარაკით! მე კი მიყვიროდენ... აი, შედეგი! არა, მეფე...

და უცებ ოლგამ მისთვის უჩვეულო მაღალი და გაჯავრებული ხმით შემოუტია:

— თავი დამანებე. უპატიოსნო კაცია ის შენი მეფე.

— ბევრი გესმის მეფეების დაფასების, შენმა მზემ, — შეკრთომით უთხრა არტამონოვმა და ყურზე ხელი წაივლო.

იგი გააკვირვა სათვალთანა პატადა დედაბერმა, რომელიც ყოველთვის წყნარი იყო და არავის ბრალს არ სდებდა ხოლმე. მისი სიტყვა გასაოცარი გულწრფელობით იყო სავსე, თუმცა ზედმეტი იყო, საცოდავი ხმა ჰქონდა, როგორც თავის დაწრიპინებას, როცა მას კულზე ხარი ფეხს დაადგამს და არც კი შეამჩნევს ხოლმე. არტამონოვი თავის სავარძელში ჩაჯდა და დაფიქრდა:

რამდენიმე კვირა იყო, რაც მას ოლგა არ ენახა. მის შვილთან შეხვედრას გაურბოდა, რადგანაც მასთან წაჩხუბებული იყო. ჯერ კიდევ ზაფხულზე, როცა პეტრე არტამონოვი დასივებულ ფეხებით ლოგინში იწვა, მასთან გაოფლიანებული ვოროპოხოვი დიდის ამბით გამოცხადდა და ლუროჯი, მძიმე ტუჩების აწკაპუნებით წინადადება მისცა შეფისადმი მიმართვაზე ხელი მოეწერა: მიმართვა დეპეშას წარმოადგენდა. იგი შეიცავდა თხოვნას, რომ მეფეს არავისთვის არ დაეთმო ძალაუფლება.

არტამონოვი დიდით გააკვირვა ქალაქის თავის თავხედურმა საქციელმა, მაგრამ ქალაქზე ხელი მაინც მოაწერა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ეს ძმას და უთუოდ მირონსაც ეწყინებოდა.

ვოროპონოვმა დიდი საყვედური მიიღო პეტერბურგიდან: ტუჩებ გასივებულიო სულელო, ნუ მიძვრები იქ, სადაც შენი საქმე არ არის, ცხვირს მალლა ნუ სწევო.

ვოროპონოვმა ქალაქი ჯიბეში ჩაიდვა, ყველა ღილები შეიკრა და მოჰყვა საჩივარს ალექსიზე, მირონზე, ექიმზე და ყველა იმათზე, ვინც ვოროპონოვის დამქაშები იყვნენ: ერთნი ბრმად ემორჩილებოდნენ მათ, სხვებმა კი იყვნენ მეფის წინააღმდეგ.

უფროსი არტამონოვი თითქმის სიამოვნებით უსმენდა მას და კიდევაც აქეზებდა. მხოლოდ როცა ვოროპონოვის ლურჯმა პირმა ვერა პოპოვას სახელიც ავად ახსენა, მან მკაცრად უთხრა:

- ვერა ნიკოლაევნა აქ არაფერ შუაშია.
- როგორ თუ არაფერ შუაშია, ჩვენ ვიცით...
- შენ არაფერი არ იცი.

— უბედურებას მოავლინებთ მეტქი, — დაემუქრა ქალაქის თავი და წავიდა.

სალამოს კი არტამონოვს ძალღებვივით დაესივნენ ძმის შვილები და ქალი-შვილი. მის მოხუცებულებას ყურადღება არ მიაქციეს და ყუფით მივარდნენ:

— ეს რა ჩაგიდენია, მამა — ყვიროდა ტატიანა და მის უშნო სახეზე გიჟმა თვალებმა ხტუნვა დაიწყეს.

იაკობი ფანჯარასთან იდგა და თითებს მინაზე აბაკუნებდა. არტამონოვს ეჩვენებოდა, რომ შვილიც მისი წინააღმდეგი იყო. მირონი კბენით ეკითხებოდა:

— წაიკითხეთ, რაც ეწერა იმ ქალაქზე?

— არ წამიკითხავს. — სთქვა არტამონოვმა — არ წამიკითხავს, მაგრამ ისედაც ვიცი. სწერია: ლეკვებს ნებაზე ნუ მიუშვებთო.

სიამოვნებას გვრიდა, რომ მირონისა და ტატიანას გულისწყრომას უცქეროდა. იაკობის სინუმე კი აფიქრებდა. მას სწამდა, რომ იაკობი საქმის კაცი იყო და ხედავდა, რომ მისი ინტერესის წინააღმდეგ მოიქცა. მისი კამათში ჩათრევა ვერ მოეხერხებინა. თავმოყვარეობა კი ნებას არ აძლევდა მისთვის ეკითხნა, თუ რას ფიქრობდა ამ საკითხის შესახებ. იგი იწვა და ღრუნით იგერიებდა მოწინააღმდეგებს. მირონი კი ცხვირს აქნევდა და ეუბნებოდა:

— გაიგეთ: მეფეს გარს არტყია არაშხადების ბრბო და საჭიროა, რომ მის გარშემო პატიოსან ხალხს თავი მოვუყაროთ.

არტამონოვმა იცოდა, რომ მირონს პატიოსან კაცად მიჰქონდა თავი და მამა მისი მოსკოვს იმისთვის დადიოდა, რომ მირონი იქ როგორმე სახელმწიფო სათათბიროს კანდიდატად დაენიშნათ. სასაცილოც და საწიშიც იყო ამ წეროს მეფესთან დაახლოვება.

ოთახში უცბად თმა აბურჭგენილი და მკერდ ღია ალექსეი შემოიქრა და აყვირდა:

- ეს რა ჩაგიდენია, შე გიჟო ადამიანო?
- ისე უყვიროდა, როგორც ხელქვეითს.

— დამეკარგე აქედან! — აბლაელდა ახლა უფროსი არტამონოვი: — ჭკუას მასწავლი? გადიოთ ყველა აქედან! დამეკარგეთ.

თვითონაც კი შეეშინდა ასეთი მოულოდნელი აყვირებისა.

ახლა კუთხეში იჯდა და ოლგას უწყინარს მზობას უსმენდა ქალაქში მომხდარ არეულობის შესახებ. თან წინანდელ ჩხუბს იგონებდა და თქრობდა:

— ვინ არის მართალი — მე თუ ჩემი მოწინააღმდეგენი.

იგი შეაკრთეს ოლგას ბრაზიანმა, მაგრამ ბავშურად წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომელიც წყნარად, გულითადად ამბობდა:

— ჩვენი ფეიქრები ძალიან კარგი ხალხია! მათ უცბად გადევნეს ვოროპონოვის მუშები და მეტყავეები. მერე იქვე დარჩენ და სახლს ყარაულობენ.

ნატალია კი ძალიან შეშინებულიყო.

— თქვენი სახლიდან დაიწყო სწორედ არეულობა. ასე გინდათ! ყველაფერი — თქვენგან არის.

მოვიდა მირონი. სალამი არ მოუცია ისე დაიწყო ოთახში სიარული და მუქარით ამბობდა:

— ყველა ამ ვოროპონოვებს და ფიტეიკინებს ძვირად დაუჯდებათ, რომ ხალხი ააჯანყეს. მათ უბრალოდ ეს არ ჩაუვლით. სრულიად საკმარისია ილია პეტრესძე არტამონოვის მეგობრების მიერ მოცემული გაკვეთილები აჯანყების შესახებ, და ახლა ამათაც რომ წამოიწყეს...

უფროსმა არტამონოვმა ამაზე პასუხი არ გასცა.

ვოროპონოვის პეტტიციით გამოწვეული სკანდალის შემდეგ მისთვის საბოლოოდ აუტანელი შეიქნა მირონი. მაგრამ ხედავდა, რომ ფაბრიკა სრულეზით ამ კაცის ხელში იყო და საქმეც მას მარჯვედ მიჰყავდა: მუშები უგონებდნენ მას, ან ეშინოდათ მისი. ქალაქის მუშებზე უფრო თვინიერად ეჭირათ თავი.

ქარი ჩადგა, თითქოს თოვლში ჩაიმარხათ. მძიმედ მოდიოდა თოვლი. სქელი ფიფქი პირდაპირ სცვივოდა. ფანჯრებს თეთრი ფარდა ჩამოეფარა გარედან. არაფრის დანახვა აღარ შეიძლებოდა.

უფროს არტამონოვს არავინ არ ელაპარაკებოდა. იგი გრძნობდა, რომ ყველანი, ცოლის გარდა, მას აბრალებენ: აჯანყებასაც, ავდარსაც, და იმასაც, რომ შეფეს რაღაც რიგიანად ვერ მიჰყავდა საქმე.

— სად არის იაშა? — იკითხი წიშით დედამ. — იაშა სად არის შეთქი გეკითხები?

მირონმა ცხვირი მოიქცია, არც კი შეხედა ბიცოლას, და ისე წარმოსთქვა:

— ალბად დაიძალა სადმე ქალაქში... თავის საქათმეში შერგო თავი.

— რაო? რაშიო? — ჰკითხა შეშინებულმა ნატალიამ.

არტამონოვმა გაიფიქრა:

— იქნება, ამ სულელმა არც იცის, რომ იაკობს საყვარელი ჰყავს.

და უცებ გადაჭრით წარმოსთქვა:

— აი, რა: იცხოვრეთ, როგორც გინდათ? აკეთეთ, რაც გინდათ. დიახ, მე, მართლა, არ მესმის არაფერი არ გამეგება. დავბერდი. აქ კი... ეშმაკი თამაშს მართავს. ამდენი ვიცხოვრე, ვიცხოვრე და... აღარაფერი არ მესმის.

თარგმანი ლეო ქიაჩელია

ტრინიტატი მღვდნობა  
კუბანის ტრინიტატი

მ. კ. მ. მ. მ.  
მ. კ. მ. მ. მ.



## ჩერნიშევსკი როგორც მოაზროვნე

ჩერნიშევსკის პიროვნება ერთი იმ რთული მოვლენათაგანია, რომლის ნათელყოფა და შესწავლა მრავალ მხრივ მიდგომასა და შეფასებას საჭიროებს. ცხადია, რომ აქ მარტო პიროვნებაში, როგორც ასეთში, არაა საქმე. ჩერნიშევსკის ნააზრევისა და მოღვაწეობის მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობას ღრმა ობიექტიური მიზეზები ჰქონდა, რომლებიც აუცილებელს ჰყოფდნენ, რომ მას თავისი საქმე და თავისი აზრი სწორედ იმ რიგად გაეშალა, რომ მასში რუსეთის თანამედროვეობას თავისი უკუფენა ენახა. ღრმა რეალისტურ-მატერიალისტური რწმენა ჩერნიშევსკისა, რომლის მიხედვით ცნობიერებას სინამდვილის გამოსახვა და უკუფენა ევალეობდა, უპირველესად მის საკუთარ საქმიანობაში აღწევს განსახიერებას და მრავალ საკითხთა ცოდნისა და ინტერესის შემცველი ჩერნიშევსკი თავისი დროის პირში შვილია, იმ დროის, რომელმაც ცხოვრების განახლების ბუნდოვან პერსპექტივებში, ამავე ცხოვრების ყოველმხრივი ასახვის და გაგების ამოცანა წამოაყენა. სამოციან წლების ისტორიული ტეხილი ჯერ კიდევ არ იშლებოდა ნათლად თავის შემადგენელ ელემენტებად; ეკონომიური ურთიერთობა და მის ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი მოძრაობანი ჯერ კიდევ შორს იყვნენ იმ ტიპიურ ყალიბიდან, რომელსაც შეეძლო იდეოლოგიის განვითარებისათვის მოქნილი და სხარტი გზები გამოეკვეთა. მარტივი და თან უფერული სჩანდა საზოგადოებრივი ცხოვრება. მის ჩამორჩენილობაზე და პრინციპამდე აყვანილ მოუწესრიგებლობაზე და სიბეჩავეზე ჯერ კიდევ ბელინსკი გოდებდა. მაგრამ იმავე დროს ამ უფერულობის ქვეშ ყრუდ, მაგრამ მაინც მოისმოდა მომავალ სოციალურ კატაკლიზმების ხმაური. ყველაფერი ეს იმას ნიშავდა, რომ დიფერენციაციამდე ვერ მისული ეკონომიკა ზ საზოგადოებრივობა ასევე უდიფერენციაციო იდეოლოგიას ითხოვდა. რომელიც ერთი და იმავე სააზროვნო და სამოღვაწო ცენტრის ირგვლივ ცხოვრებისა და უამრავ ცოდნის საკითხებს თავს უყრიდა. ვის შეეძლო ეკისრა ამ საკითხების სიმძიმე—ასეთი იყო დროის მიერ დაყენებული საკითხი და ისტორიამ ამ საკითხის მოპასუხეთ ნ. გ. ჩერნიშევსკი წამოაყენა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ჩერნიშევსკის სოციალ-ფილოსოფიის იმ მომენტს, რომელიც „შემთხვევითს“ დიდ როლს მიაკუთვნებს ისტორიულ პროცესში და ზემოდ აღნიშნულ გარემოებას ე. ი. რომ ჩერნიშევსკის ხედა წილად სამოციან წლების იდეოლოგიურ ტვირთის ზიდვა შემთხვევითი მოვლენად ვერ მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიაც, როდესაც ჩერნიშევსკის ადგილის ბუნებრი-

ვობა უნდა გაირკვეს, ძალაში რჩება იგივე პრობლემა, რომელიც ზემოდ დავინახეთ: სირთულე მისი ნააზროვნისა და ნაპოქმედარის. ამიტომ თუ ბუნებრივი და აუცილებელი იყო, რომ ცხოვრების საკითხთა სიმრავლე თანამედროვეობისა ისეთ ადამიანს ეკისრნა, როგორც იყო ჩერნიშევსკი, სავალდებულო და მიზანშეწონილიც არ იქნება თვით ჩერნიშევსკის შესწავლის დროს ეგვიპტის სირთულე დაუშლელი დავსტოვოთ და ერთი რომელიმე მხარე არ გამოვლყინოთ ვფიქრობთ, რომ სრულიად გამართლებული იქნება, თუ ჩერნიშევსკის ავიღებთ, როგორც მოაზროვნეს და ამის გასწვრივ შევეცდებით მის შეხედულებათა დადგინებისა და განვითარების შესწავლას, რამდენადაც ეს მოსახერხებელი და შესაძლებელია მოკლე საჟურნალო წერილში.

ჩერნიშევსკი, როგორც მოაზროვე საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ ის გამოჩენილი ნიჭისა და სააზროვნო შესაძლებლობათა მქონე იყო. რატომ უნდა, ეს გარემოებაც თვალსაჩინოა და თავის დროზე აღნიშნული იყო აზროვნების ისეთი წარმომადგენელთა მიერ, როგორც იყვნენ კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი, მაგრამ ამ, ასე ვთქვათ, აზროვნების სიძლიერისა და მასშტაბის გარეშე ნ. გ. ჩერნიშევსკის აზროვნება მნიშვნელოვანია თავისი გეზის და ძიებათა მიმართულების თვალსაზრისით. აქაც, ამ უკანასკნელ შემთხვევაში უკუაღივლებს იპყრობს არა ის, თუ რას მიაღწია ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, რა დებულებით ანუ აზრით შეაესო, ან გაამდიდრა მან, აზროვნება, როგორც ასეთი, არამედ იმ თავისებური დამოკიდებულებით, რომელიც შეიქმნა მის ნააზროვნისა და მიღწევათა შორის და დიალექტიკურ მატერიალიზმის შორის. განსაკუთრებული ინტერესის საერთო დასაყრდენს ქმნის ის მეტად თავისებური და თავისთავადაც ღირებული სააზროვნო-ისტორიული სიტუაცია, რომ დაახლოვებით ერთისა და იმავე გზით ამოსული ორი სააზროვნო ხაზი ერთსა და იმავე ენერჯით მიეშურება წინ, მაგრამ ერთს შემთხვევაში სრულიად დამთავრებულს ფორმას იღებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ფორმას და ამ დონეს სავსებით ვერ აღწევს.

პირველი გზა—დიალექტიკურ მატერიალიზმის ავტორების გზაა. მათ მიერ შექმნილი ქვეყნისა და ისტორიის გაგების თეორია მივიდა, იმ დამთავრებულ სახეობამდე, რომლის შემდეგ იგი, როგორც სრულიად ჩამოქნილი იარაღი, მისგანვე ისტორიულ დასაყრდენად აღიარებულ პროლეტარიატის საბრძოლველ იარაღად იქცა. მეორე გზაა—ანთროპოლოგიურ მატერიალიზმის გზაა, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკი აღიარებდა. მას ვ. ლენინმა „მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმი“ უწოდა („მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ბოლოსიტყვაობა), მაგრამ იქვე დასძინა, რომ, მიუხედავად ამ „მთლიან მატერიალიზმისადმი“ სიმტკიცისა, რომელიც მისმა ავტორმა 50-იან წლებიდან ვიდრე 1888 წლამდე შეანარჩუნა, მან ვერ შესძლო „რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე ამაღლება“ (იქვე). ვ. ლენინის ამ დახასიათებით სავსებით მოცემულია გეგმა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ნ. გ. ჩერნიშევსკის აზროვნების შესწავლას.

ამ რიგად ნ. ჩერნიშევსკის აზროვნების ფარგლები ნათელია, როგორც კვლევა-ძიების საგანი: ერთის მხრივ „მთლიანი მატერიალისტური ჰეილსოფია“ და მეორეს მხრივ მიულწევლობა დიალექტიკურ მატერიალიზმის საზღვრისა. ცენტრი ჩვენი საკითხისა იმაში მდგომარეობს, გაიარა თუ არა ჩერნიშევსკიმ მთელი ის გზა, რომელიც გაიარა დიალექტიკური მატერიალიზმის ავტორმა—მარქსმა, და თუ გაიარა—რამ შეუშალა ხელი მას, რომ დიალექტიკური თვალსაზრისი გადმოეტანა როგორც მატერიალიზმში საერთოდ, ისე კერძოდ სოციალ-ისტორიულ მოვლენათა შესწავლაში? საკითხის მარქსისტული დასმა ყველაზე ნათლად ვ. ლენინის დახასიათებაში სჩანს, რომელსაც ჩვენ საპროგრამო მნიშვნელობა მივაკუთვნეთ. მივიღოთ მართლაც წინასწარ, რომ ჩერნიშევსკის იდეოლოგიური მარაგი და გზა მისი მოპოებისა ისეთივეა, როგორც მარქსის; შეიძლება აქედან დავასკვნათ, რომ მათი ნააზრევების მიღწევა ერთნაირი უნდა ყოფილიყო? ცხადია, რომ არა. ასეთი დასკვნა იდეალისტური თეზისის აღიარება იქნებოდა, რომლის თანახმად საკმარისია ამა თუ იმ იდეოლოგიური გზით სვლა, მისი გაცნობა და შესწავლა, რომ ნააზრევების მინალწევარიც ამავე მასალით განისაზღვრებოდეს. ეს რა თქმა უნდა, ასე არაა. ცხადია, რომ ჩერნიშევსკი, ისე, როგორც მარქსი იცნობდა ჰეგელს, მან ფეიერბახის შეხედულებათა ცოდნის ეტაპიც განვლო, მაგრამ მარქსი იმდენად წავიდა წინ, რამდენადაც ინგლისის ეკონომიური ვითარება, რომელიც მისთვის განვითარებულ კაპიტალიზმის გარემოს ქმნიდა, და შორებულ იყო იმ ეკონომიურ განვითარებლობისაგან, რომელშიაც რუსეთი იმყოფებოდა. ასეთი იქნება და უნდა იყოს მარქსისტული მიდგომა ჩერნიშევსკის იდეოლოგიის გასაგებად, რომელიც თავის განსაზღვრებას აღწევს ვ. ლენინის მიერ გამოთქმულ დახასიათებაში.

ნათელია, რომ საქმე არ შეიძლება მექანიკურად წარმოვიდგინოთ: გარკვეულ საზღვრამდე გზა ერთია და შემდეგ უნდა გამოაკლდეს ის, რაც რეალ პირობების მიხედვით განირჩევა და განსხვავდება. ასეთი მიდგომა და მსჯელობის მეთოდი არსაიდან არ გამომდინარეობს და ყველაზე ნაკლებად შეიძლება ასე გაგებულ იქნას ვ. ლენინის შენიშვნა. ასე რომ იყოს, ჩერნიშევსკის აზროვნების მკვლევარს გარდა უბრალო, მექანიკურ გამოანგარიშებისა გასაკეთებელი აღარაფერი დარჩებოდა. ნამდვილად, რა თქმა უნდა, აქ არავითარ საზღვარზე არ შეიძლება ლაპარაკი: ჩერნიშევსკის ისე ესმოდა ჰეგელი, ფეიერბახი, ფრანგი მატერიალისტები განათლების ხანისა და სოციალისტ-უტოპისტები, რომ მათგან სხვა გზა ვერ ჰპოვა, გარდა იმ გზისა, რომელიც მისი სოციალმხედველობის სახითაა ცნობილი. მაშინ თვით საკითხის დაყენება სხვა იერს იღებს და ჩერნიშევსკის აზროვნების მკვლევარის წინ სხვა შესაძლებლობანი და პერსპექტივები იშლება. მაშინ ნათელია, რომ მარქსმა იმითომ გამოიყვანა ჰეგელიდან ის დასკვნები, რომლებიც დიალექტიკურ მატერიალიზმს საფუძვლად დაედო, რომ მან ჰეგელში სწორედ ის გაიგო და დაინახა, რაც ასეთ დასკვნისათვის საბაზს იძლეოდა. ჰეგელის დიალექტიკის გარდაქმნის პრობლემა სწორედ აქაა მოთავსებული. ვისაც უნდა ჰეგელიდან მარქსისაკენ მიმავალი გზა გაიგოს, მან ამ მომენტის გაგება და დაძლევა უნდა შესძლოს. თავისთავად ცხადია, რომ მარქსის



მიდგომას საფუძვლად ედო ის ეკონომიური ვითარება, რომლის ნიადაგზე, ანუ უფრო სწორედ, რომლის ობიექტიური ზეგავლენის მეოხებით მან შესძლო ჰეგელში სწორედ იმის ამოკითხვა, რაც ამ ვითარების, მისი ბუნების და მისი პერსპექტივების წარმოდგენაში იშლება. ასეთია სოციალ-ეკონომიურ სიტუაციის როლი გონებრივი ათვისების პროცესებისათვის და მისი როლი, თითქოს იდეოლოგიური მიწვდომა, შესწავლა და ათვისება თავის-თავად ხდებოდეს და ეკონომიური პირობები და სოციალური ვითარებები შემდეგ ერთვოდენ საქმეს, როგორც დამატებითი გარემოება.

იგივე ვრცელდება ჩერნიშევსკის შემთხვევაზედაც. მან ჰეგელში გაიგო ის და ამოკითხა მხოლოდ ის, რის გაგება და ამოკითხვა შეეძლო მას მიმართ იმ ობიექტიურ პირობებისა, რომლებიც მაშინდელ რუსეთის ეკონომიურ და მასთან დაკავშირებით, სოციალ ვითარების სახით იშლებოდა. აქაც მაშასადამე ეს სოციალ-ეკონომიური სიტუაცია შემდეგ მოვლენილი ამბავი კი არაა, არამედ იმ თავითვე მიმმართველი და ზღვარმდებელი. ამით საბოლოოდ ნაჩვენები და გამორკვეულია გზა და მეთოდი, რომელიც უნდა მიყენებულ იქნას ჩერნიშევსკის აზროვნების კვლევისათვის. ამიტომაც ჩერნიშევსკის აზროვნების კვლევა მუდამ უნდა ორიენტირებული იყოს იმ რეალ სოციალ-ეკონომიურ გარემოზე, რომელსაც წარმოადგენდა 60-იან წლების რუსეთის სინამდვილე, ხოლო თვით მთავარი ხაზი კვლევისა უნდა იწყებოდეს იმ იდეოლოგიურ მოვლენათაგან, რომლებიც მისი აზროვნების ამოსავალი წერტილი, მასალა და დასაყრდენი იყო.

ვინ არიან ის მოაზრენი და რას წარმოადგენს შეხედულებათა სისტემები, რომელთაც ჩერნიშევსკიზე გავლენა მოახდინეს? ასეთი უნდა იყოს პირველი საკითხი, რომელიც უნდა დაისვას. როგორ გაიგო ეს შეხედულებანი ჩერნიშევსკიმ და რა გამოყენება გაუკეთა მათ?—ასეთი იქნება მეორე საკითხი. ორივეს შენაერთი წარმოადგენს ჩერნიშევსკის იდეოლოგიურ სახეს, რომელიც თავის საბოლოო ჩამოქნისათვის საჭიროებს დამატებით საკითხს: რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ამა, თუ იმ შემთხვევაში ჩერნიშევსკიმ ესა, თუ ის სისტემა ასე, და არა ისე გაიგო. ცხადია, რომ ამ საკითხების გარკვევა უნდა მოხდეს საეურნალო წერილის ფარგლებში და მასშტაბით, მაგრამ ამისგან დამოუკიდებელივ ერთი მთლიანი სურათი უნდა მიღწეულ იქნას.

ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეოლოგიური სახის გამომუშავებაში უახლოესი წილი უდევთ—ფეიერბახს და მისი შუალობით ჰეგელს. ეს, ასე ვსთქვათ, გავლენის პირდაპირი ხაზია. ამის გარდა, აქვე უნდა აღინიშნოს მე-XVIII საუკუნე-მატერიალისტები—ჰოლბახი და ჰელვეცი და სოციალისტ-უტოპისტები—ოუენი და ფურიე. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია აზროვნების განვითარების გზის შესახებ და სწორედ ამ გარკვეულ საზღვრებში არიან მნიშვნელოვანი დასახელებული მოაზრენი და შეხედულებათა სისტემები, რომელთაც ისინი წარმოადგენდნენ. ყველა მათგანს ჩერნიშევსკი ერთნაირად კარგად არ იცნობდა და ერთსა და იმავე მასშტაბით არ ზომავდა. დასახელებულ მოაზროვნეთა შორის მისთვის ყველაზე ღირებული იყო ფეიერბახი, რომლის თვალსაზრისი მან და-

ლიან ადრე შეითვისა (ჯერ კიდევ 1885 წ.) და იგი თავისი სააზროვნო გეზის მიმართველად აღიარა. ამით, რა თქმა უნდა, ის არაა გარკვეული, რომ ჩერნიშევსკის ნააზრევის გაგება ფეიერბახის თვალსაზრისის შეთვისებით ამოიწურებოდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კვლავ მარტივი საკითხის წინ დავდგებოდით და რამდენადაც ფეიერბახის შეხედულებანი ცნობილია, ჩერნიშევსკის მიერ ამ შეხედულებათა შეთვისების აღნიშვნით და აღწერით გათავადობოდა საქმე. საკითხი გაცილებით უფრო რთულია: ჩერნიშევსკი ფეიერბახის გაგების დროს ჰეგელის გაგებას ემყარება და ამით განსაზღვრულია თვით ეს ფეიერბახის გაგება. ეს ერთი. ამას გარდა იმავე დროს ჩერნიშევსკი ფრანგი მატერიალისტების და სოციალისტ-უტოპისტების გავლენას განიცდის და ეს ორმაგი გავლენა გადახლართულია როგორც მის ნააზრევში, რომელიც ამის მიუხედავად ეკლექტიკური არ ხდება. მონიზმისათვის და მონისტურ შეხედულებებისათვის ისეთი მკაცრი მეზობლი, როგორიც იყო გ. ვ. პლენხანოვი, აღნიშნავს ნ. გ. ჩერნიშევსკის აზროვნებაში, განსაკუთრებით საზოგადოებრივ განვითარებისა და ისტორიის ფილოსოფიის სფეროში საწინააღმდეგო თვალსაზრისის მოხმარას, მაგრამ ისიც კი ვერ ახერხებს ნ. ჩერნიშევსკის ნააზრევის „ეკლექტიკური“-ს სახელწოდებით მონათვლას. ესეც, სხვათა შორის, იმის მაჩვენებელია, რომ ჩერნიშევსკის ნააზრევი სხვადასხვა სისტემიდან ამოკრეფილ შეხედულებათა აფერადებულ სურათს არ წარმოადგენს. მას ერთი ძირითადი ბაზისი აქვს—ე. წ. ანთროპოლოგისტური მატერიალიზმი ფეიერბახისა და ამ ნიადაგზე შენდება საზოგადოებასა და ისტორიაზე შეხედულებათა ის სისტემა (და არა ეკლექტიკა), სადაც აღნიშნულ ავტორებისა და მოაზროვნეთა დამატებითი გავლენა სჩანს.

როგორ ჰქონდა ჩერნიშევსკის შეთვისებული ფეიერბახის მატერიალისტური თვალსაზრისი როგორ ხერხდებოდა ამ თვალსაზრისის გამოყენება იდეოლოგიური დასაყრდენის სახით, და როგორ ეგუებოდა იგი ე. ი. ეს დასაყრდენი სხვა გავლენათა და თვალსაზრისების მასზე დაშენებას—ასეთია საკითხები, რომელთა გარჩევა აუცილებელია ჩერნიშევსკის თვალსაზრისის გასაგებად. თვით ამ საკითხის გასაგებად კი საჭირო იქნება ერთი თვალის გადავლებით გავიხსენოთ გზა ჰეგელიდან ფეიერბახამდე, რადგან სწორედ ამ გზაზე მოთავსებული მეორე დიდი საკითხი, რომლის გამორკვევამ უნდა შეგვიწყოს ხელი მთავარი მიზნის გარკვევისათვის. თავდაპირველად ვიკითხოთ: როგორ მოხდა, რომ ჰეგელის უნივერსალი იდეალიზმის ნიადაგზე მატერიალიზმის ორი სახე შემუშავდა, რომელთაგან ერთმა დიალექტიკაც გამოიტანა ჰეგელიდან (მარქსმა), ხოლო მეორემ (ფეიერბახმა) ეს ვერ მოახერხა? ანუ ცოტა სხვა ნაირად-რატომ ფეიერბახმა ვერ გადაატრიალა ჰეგელის დიალექტიკა და ეს ჩაიდინა მარქსმა. ისტორიული სურათი შემდეგია: ჰეგელის იდეალიზმი, რომელსაც ქვეყნის მთელი განვითარების (და მასთან ისტორიის და საზოგადოების—ამაში იყო მისი უნივერსალობა) გარკვეულ ლოდიკურ წესებში დაქერა სურდა, შეიქნა ისტორიული საწყისი და საბაზი მატერიალიზმის აღორძინებისა. თვით ეს აღორძინება ორი გზით წავიდა: ერთი მათგანმა მოინდომა

ფილოსოფიის (და საზოგადოდ ყოველივე) ღირებულების კვლავ ადამიანთან დაკავშირება. არა ადამიანია ნაწილი მისგან დამოუკიდებელ და მისი შემცველ ზოგადი და უნივერსალი მოვლენებისა, არამედ პირიქით, თვით ადამიანია ცენტრი ყოველგვარ ღირებულებისა და ყოველი ზოგადი მოვლენა, თვით ღმერთის იდეაც კი ადამიანის საქმეა. თვით ეს ადამიანი წარმოადგენს თავის დამოკიდებულებაში ბუნებასთან და წარმოადგენს იმას, რასაც უნივერსალისაგან ითვისებს ამ ცნების ფიზიოლოგიური გაგებით.

ამ სახით ფეიერბახის ანთროპოლოგიური ე. ი. ადამიანთან, როგორც ცენტრთან, დაკავშირებული მატერიალიზმი ერთი გარკვეული რეაქციაა ჰეგელის იდეალიზმის წინააღმდეგ. ამდენად იგი არაა ჰეგელიდან ბუნებრივი ზრდისა და შინაგანი დაძლევის გზით გამოსული. ეს საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია საკითხი—იყო თუ არა თვით მატერიალიზმში, როგორც ასეთში, ჩადებული ხასიათის მიხედვით აუცილებელი, რომ მას ე. ი. მატერიალიზმს, როგორც ასეთს გამოეწვია დიალექტიკის გადაკეთება. ცხადია, რომ არა. აგრე რომ ყოფილიყო, ფეიერბახი თვით მივიდოდა დიალექტიკურ მატერიალიზმის შექმნამდე. ეს არ მოხდა და ფეიერბახის მატერიალიზმი, ანუ უფრო სწორედ, ანთროპოლოგისტური მატერიალიზმი მექანიკურ პრინციპების ამარა დარჩა. რა იყო საჭირო იმისათვის, რომ ფეიერბახის მატერიალიზმი დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მისულიყო?

მარქსს თავისდროზე მიეცა შემთხვევა ამ ჩვენს საკითხზე გაცვრით ეპასუხნა. ეს მოხდა ცნობილ 11 თეზისში ფეიერბახის შესახებ. მოკლედ და სხარტულ ფორმებში იქ ხშირად ისეთი აზრებია გამოთქმული, რომლებზეც მთელი გამოკვლევები შეიძლება აშენდეს. კერძოდ ამ საკითხისათვის მარქსი აღნიშნავს, რომ ფეიერბახის დართვით აქამდე არსებულ მატერიალიზმს აქტიური მხარის ნაკლები ხაზგასმა ახასიათებდაო. აქ მარქსმა გამოსთქვა აზრი, რომელიც აქამდე საბოლოოდ გაშლილი არაა: სინამდვილე გაგებულ უნდა იქნას სუბიექტიურად და არა ობიექტიურადო. რადგან ამას აქამდე (მარქსამდე) მხოლოდ იდეალისტური ფილოსოფია სჩადიოდა, ამიტომ სინამდვილის აქტიურ გაგებასაც ისინი ანვითარებდენ. ასეთია ეს ერთის შეხედვით გაუგებარი აზრთა წყობა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მარქსს იდეალიზმის გამართლება მოუსურვებია. ნამდვილად, რა თქმა უნდა, ეს ასე არაა. მარქსის ისტორიულ-იდეოლოგიური ადგილი იდეალიზმის საფუძვლების დანგრევა იყო და მარტო ეს გარემოება აუქმებს ყოველ მზგავს გაგებას. მთავარი ისაა, რომ მარქსი მოქმედებას ანუ მოძრაობას უსვამს ხაზს და რამდენადაც მხედველობაში მატერიალიზმი ყავს, ფიქრობს, რომ სინამდვილის გაგება იმაში კი არაა, რომ იგი ობიექტიურად წარმოიდგინო ე. ი. ისეთ რალაცად, რაც უძრავად დევს სუბიექტის გარეშე და ამ უკანასკნელთან არავითარი საქმე არა აქვს. მითითება იმაზე, რომ იდეალიზმმა დაისაკუთრა სუბიექტიური აქტივობის საწყისი კიდევ უფრო ნათელსა ჰყოფს, თუ რა სურს მარქსს. მთავარია, მაშასადამე, მოქმედება, მოძრაობა, ის, რასაც იდეა-

ლიზში სუბიექტიურ გაგებას უწოდებს. სინამდვილის გარემდებარეობა აქამდე არსებულ მატერიალიზმს რომ ახასიათებდა უნდა მოიხსნას, იგი უნდა მოყვანილ იქნას მჭიდრო კავშირში სუბიექტთან და მისდამი ურთიერთობა ურთიერთ ზემოქმედებით, აქტივობით და მოძრაობით უნდა ხასიათდებოდეს. ქვეყანა უნდა გარდაქმნილ იყოს — ასეთია მარქსის აზრით თანამედროვე მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ლოზუნგი, მაგრამ ეს გარდაქმნა არ მოხერხდება მარქსის, ლენინის, სტალინის მიზნით წარმოებული მოქმედება რომ შესდგეს, სინამდვილე, უნდა განიცდიდეს სუბიექტის ზემოქმედებას და თავისდარიგად მოქმედებდეს სუბიექტზე. ეს კოლიაქტივის მომენტამდე ამოსვლა იქნებოდა, რაც ვერ მოახერხა წინანდელმა მექანიკურმა მატერიალიზმმა, რადგან „ობიექტივიზმი“ პასიურად გაიგო და აქტიურობა უნებლიედ იდეალიზმს დაუთმო.

ასეთია ის საუცხოო დახასიათება, რომელიც მარქსმა სულ რამოდენიმე წინადადებაში გამოსთქვა, და რომლის აზრია იმ მანძილის გაზომვა, რომელიც ესაჭიროებოდა მექანიკურ მატერიალიზმს დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მოსასვლელად. ამ დებულების გახსენება დღეს, როცა საჭიროა, როგორც ფეიერბახის, ისე მისი მიმდევარის ნააზრევის განხილვა, მეტად დროული და მიზანშეწონილია. ფეიერბახი დარჩა მექანიკურ მატერიალიზმის დონეზე, მან ვერ შესძლო ამის გამო გამოეტანა ჰეგელიდან ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჰეგელის ფილოსოფიაში — დიალექტიკურ განვითარების ცნება. მან შეამჩნია მხოლოდ იდეის უნივერსალობა და ყოვლის შემძლეობა, შეამჩნია, რომ ადამიანი ერთი მომენტითაგანი იყო იდეის სავალი გზისა და გაშლისა, და მატერიალიზმის რევოლიუციონური რადიკალიზმი აქეთ მიმართა. შედეგად ფეიერბახმაც მოახდინა გადატრიალება ჰეგელის სისტემაში, მაგრამ ეს გადატრიალება ადამიანის და იდეის ურთიერთობის ახალ ფორმაში გაგება იყო, რომლის მიხედვით არა ადამიანი იყო ფუნქცია და მოქმედება იდეისა, არამედ, პირიქით, თვით იდეა გახდა მოქმედებად და ფუნქციად ადამიანისა. არა იდეამ შექმნა და განსაზღვრა ადამიანი (აბსოლიუტური იდეა - ლქეროს), არამედ ადამიანმა შექმნა და განსაზღვრა იდეა. თვით ადამიანს იდეის დახმარება არ სჭირია, იგი განიმტკიცება ბუნებასთან დამოკიდებულებაში, მასში არაფერია ბუნდოვანი და გაუგებარი. ერთის სიტყვით — ადამიანი არის ის, რასაც იგი სჭამს. ასეთია ის შეგნებული და ხაზგასმული რადიკალიზმი იდეალიზმის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად გამოსული. ნათელია, რომ ფეიერბახის მატერიალიზმი უპირისპირდება ჰეგელის სისტემას, მარქსის მატერიალიზმი ჰეგელის მეთოდს. ამ განსხვავების გაგება ნიშნავს ჰეგელის შემდგომი და მისგან გამოსულ მატერიალიზმის სისტემათა განსხვავებას. ვისაც ეს ვერ გაუთვალისწინებია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ერთსა და ვერც მეორეს.

ამავე განსხვავების გაგება აუცილებელია ნ. გ. ჩუბინაშვილის ნააზრევის გასაგებადაც, რა იყო მატერიალისტისათვის ჰეგელში მთავარი — სისტემა თუ

მეთოდი? ასე დგას საკითხი, რომელიც ჩვენ იმ თავითვე დავაყენეთ, და რომელ-  
მაც უნდა გაგვიჩვენოს რა გაიგო და გამოიტანა ჰეგელიდან მარქსმა და  
რამ მიიტაცია ყურადღება ჯერ ფეიერბახისა და შემდეგ ჩერნიშევსკი-  
სა? ჩვენ ვხედავთ, რომ ფეიერბახი ასცდა მეთოდის გზას, მან ვერ შეაჩინა  
დიალექტიკის მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, ვერ გაიგო მარქსის რევო-  
ლიუციონური როლი. მატერიალისტურმა რადიკალიზმმა თავდაყირა დააყენა, ანუ  
მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჰეგელთან თავდაყირა მდგარი სის-  
ტემა გადააბრუნა და ფეხზე დააყენა; ამით ამოსწურა მან თავისი ენერჯია  
და ვერ შეაჩინა, რომ გაცილებით მეტი რევოლიუციონური და რადიკალური  
მნიშვნელობა ექნებოდა მეთოდისათვის იმავე ოპერაციის მოხდენას. თავდაყირა  
მდგარ მეთოდის ფეხზე დაყენების საქმე მარქსმა იკისრა და, ამაშია მისი  
უპირატესობა, როგორც ფეიერბახის, ისე ჩერნიშევსკის მიმართ.

ნ. გ. ჩერნიშევსკი იცნობდა ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდს.  
ამ მეთოდის დახასიათებას იძლევა ის თავის ცნობილ ნაწარმოებში „Очерки  
Гоголевского периода“, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორად არ ქონ-  
და წარმოდგენილი იგი. რამდენადაც დასახელებულ შრომაში ჩერნიშევსკი  
რეალიზმის და სინამდვილის აღწერისა და უკუფენის საქმეს იკვლევს ლიტე-  
რატურაში და კერძოდ გოგოლში ხედავს ამ მიდგომის განსახიერებას,  
მას დიალექტიკის დახასიათებაც სწორედ ამავე თვალსაზრისის ნათელსაყოფად  
და განსამტკიცებლად დასჭირდა. ვ. ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტი-  
კული მემკვიდრე, იმ ბელინსკის, რომელიც „გონიერ სინამდვილის“ პრობ-  
ლემით იყო პერობილი, ჩერნიშევსკიც ჰეგელის მეთოდოლოგიის მნიშვნელო-  
ბას აქ ათავსებდა და ამდენად რუსულმა ლიტერატურულმა ტრადიციამაც ხე-  
ლი შეუწყო ფეიერბახის გავლენით განსაზღვრულ გაგებას ჰეგელისა და მთელი-  
აზრი ჰეგელის ფილოსოფიისა სინამდვილის და რეალობის შესწავლაში და-  
ანახვინა.

გ. ვ. პლევანოვი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ჩერნი-  
შევსკის ჰეგელის მეთოდოლოგიაზე სუსტი წარმოდგენა ანუ გაგება ჰქონდაო.  
საჭირო იყო მხოლოდ ჰეგელის მეთოდოლოგიის სუსტი გაგების მიზეზიც ყო-  
ფილიყო აღნიშნული, რომელიც ჩვენ უპირველესად ყოვლისა ფეიერბახის  
გავლენაში დავინახეთ. ჩერნიშევსკის ისე წარმოედგინა დიალექტიკა, თითქოს  
იგი იყო საგნის ანუ სინამდვილის ყოველმხრივი შესწავლის მეთოდი, რომლის  
დროს სხვადასხვა აზრი ერთი მეორეს უნდა შეჯახებოდა, რათა დასასრულ  
ერთ მათგანს გაემაჩვენა. ამის გამო სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა  
ასეთი გაგება გ. ვ. პლევანოვმა და აღნიშნა ის, რომ საგნის შესახებ  
საწინააღმდეგო აზრების კიდელი კი არაა მთავარი, არამედ საგნის და მოვლე-  
ნის ობიექტიური განვითარება, რომელსაც ამოძრავებს თვით საგანში არსე-  
ბული საწინააღმდეგო ძალები. თუ ზემოდ-მოყვანილს მარქსის მიერ ხმარე-  
ბულ დახასიათებას გავიხსენებთ, შეიძლება პლევანოვის საერთოდ სწორი შე-  
ნიშვნა შევსებულ იქნას იმ მხრივ, რომ დიალექტიკურ განვითარების  
გაგებისას რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იქნას ხაზგასმული „საგნის ობი-

ექტიური განვითარება“. მარქსს სურს, რომ მისი მეთოდი ქვეყნის გარდაქმნის მეთოდი იყოს, და ამიტომ უნდა გაუზომოდეთ „საგნების ობიექტური განვითარების“ თავის ნებაზე მიშვებას. ამ მომენტის გარდა, რომელსაც თავით პლენარული ძალიან კარგად იცნობდა, მისი მსჯელობა ჩერნიშევსკის შესახებ ამ შემთხვევის მიმართ საფსებით სწორია. გამოდის, რომ ჩერნიშევსკისათვის ჰეგელის დიალექტიკა სხვა და სხვა — „ქვეყნის დაპირისპირების მეთოდი იყო. ამდენად, ჩერნიშევსკის არ ჰქონდა საფსებით გათვალისწინებული ის განსხვავება, რომელიც არსებობდა ჰეგელის დიალექტიკასა და დიალექტიკის ანტიკურ ცნების — ვსთქვათ პლატონის დიალექტიკის — შუა.

ასეთია ეს ერთის შეხედვით საკვირველი ამბავი, მაგრამ იგი საკვირველი აღარ იქნება, თუ მას დაუკავშირებთ ფეიერბახის მიდგომას ჰეგელისადმი. სისტემაში ცენტრის გადატანამ დაჩრდილა მეთოდი, როგორც ფეიერბახისათვის, ისე მისი მიმდევარის — ნ. გ. ჩერნიშევსკისათვის. მატერიალიზმი მექანიკური დარჩა, მან დაუთმო აქტივობა სხვა თვალსაზრისს და აქაა მოთავსებული იმ მეორე მოვლენის ახსნის წყარო, რომელსაც ნ. გ. ჩერნიშევსკის აზროვნებაში აღგილი ჰქონდა: იდეალიზმის და მატერიალიზმის შეგუებას. მარქსი არ იცნობდა და მხედველობაში არ ჰქონდა თერთმეტი თეზისის წერის დროს ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულება, მაგრამ მან შესანიშნავი სისწორით აღნიშნა, რომ მექანიკური, არა-დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისზე დგომა, იდეალიზმისათვის, განვითარების ახსნის დათმობას ნიშნავს. ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ასედაც მოხდა, და ჩერნიშევსკი-მატერიალისტი საზოგადოებრივ და ისტორიულ მოვლენების ახსნისათვის იდეალისტურ თვალსაზრისს მიმართავდა.

წორე პირობა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მისასვლელად მარქსმა დასახა პიროვნების კონკრეტულ გაგებაში. მარქსამდე არსებული მატერიალიზმი სულისა და მატერიის, ანუ ცნობიერებისა და საგნის პრობლემის გადაჭრისას გულსხმობდა ადამიანს, როგორც ასეთს, ე. ი. განყენებულ ადამიანს და არა „სამოქალაქო საზოგადოების“ კონკრეტ სახეს და ადამიანს, როგორც ამ საზოგადოების უკუყენას. დიალექტიკამ ჯერ კიდევ ფიქტურად დაწყებული გაშალა ის მეტაფიზიკური დაპირისპირება „მე“-სა და „არა-მე“-სი, ანუ ადამიანისა და გარემოსი, რომელზეაც ენგელსიც ლაპარაკობს „ანტი-დიურინგ“-ში. ჰეგელის დიალექტიკურ ფილოსოფიაში საფსებით მოხსნილია სუბიექტის და ობიექტის პოლიუსები და მათი ურთიერთობა მოძრაობაშია აღებული. საჭირო იყო კიდევ ერთი ნაბიჯი — ადამიანის გაგება, როგორც სოციალურობის ცნების მატარებლისა ე. ი. განყენებული ადამიანის კონკრეტულ ადამიანით შეცვლა. ეს უკანასკნელი არასოდეს არ არსებობს კოლექტიურობის გარეშე, იგი საზოგადოების, ანუ კიდევ უფრო კონკრეტულად, კლასობრივ ერთობლივობის და კრებადობის წევრია, მისი გამომსახველი და უკუმფენელი; მისი ცნობიერება მაშინ ცნობიერება კი არაა როგორც ისეთი, არამედ გარკვეული იდეოლოგიური მოვლენა, იგი სოციალური მასალი-

თაა ნაშენები და ამავე სოციალურობისათვისაა განკუთვნილიც. ამით ფართოდება მატერიალიზმის მიყენების არე: საკითხი მატერიალიზმის შესახებ მარტო განცალკევებულ ადამიანის ბუნების ფარგლებით კი აღარ ამოიწურება, მისი გაშლის არე მარტოდ აღადამიანი — „ანთროპოს“ კი არაა, არამედ ადამიანი, როგორც სოციალ-ურთიერთობის გამომხატველი და ცხოვრების ისტორიული გაშლა-განვითარება. მაშასადამე თვითონ მატერიალიზმიც „ანთროპოლოგიური“ კი არაა, არამედ სოციალ-ისტორიული, ანუ, მარტივად რომ ითქვას, ისტორიული მატერიალიზმია.

ასეთი იყო მარქსის მიერ იმავე „თეზისებში“ გამოთქმული აზრები, რომლებიც ფეიერბახის გაგებისათვის და მისგან დიალექტიკურ მატერიალიზმამდე მანძილის გაზომვისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქმნას მიჩნეული. ასევე სახელმძღვანელოა იგივე აზრები ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებათა გამოყვანისთვისაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი ფეიერბახის საფუძველზე იდგა. ხშირად ამბობენ, რომ ფეიერბახი ვერ მივიდა სოციალურ საკითხების გაშუქებამდე როდესაც ის ამას სცდიდა, თანმიმდევრობას ვერ იცავდა და გარკვეულ მატერიალისტურ თვალსაზრისს ვერ ატარებდაო. ასეთი მსჯელობა ვერ ითვალისწინებს იმ ღრმა მიზეზებს, რომლის მიხედვით, ფეიერბახი არა თუ ლალატობდა მატერიალისტურ თვალსაზრისს, არა, მას სხვაანაირად მსჯელობა არ შეეძლო, რამდენადაც მისი მატერიალიზმი განყენებულ ინდივიდზე, განყენებულ ადამიანზე ლაპარაკობდა. მისი მატერიალიზმის საქმეც იქვე თავდებოდა, რომლის იქეთ ლოგიკურად მატერიალიზმი მისთვის სავალდებულო აღარ იყო. ვინც ვერ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმის თვალსაზრისამდე, იგი, ცხადია, ისტორიულ მატერიალიზმის თვალსაზრისზე დადგომასაც ვერ ახერხებდა. ამიტომაც თანმიმდევრობას ლალატობენ ფეიერბახის და განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკის კრიტიკოსები, როცა ამბობენ, რომ მიუხედავად თავისი მატერიალისტობისა, ისტორიისა და საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნის დროს იგი იდეალისტურ თვალსაზრისზე დგებოდაო.

ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევში და კერძოდ სოციალ-ისტორიულ მოვლენათა ახსნაში მატერიალიზმისა და იდეალიზმის არევის და ორივე თვალსაზრისის ერთად მოხმარების ძირი მოთავსებულია მატერიალიზმის გასაქანის განყენებული ადამიანის ფარგლებით განსაზღვრაში. აქ ნ. ჩერნიშევსკი ფეიერბახის საქმეს განაგრძობს და თუ მისგან რითიმე განსხვავდება, ეს ეხება უფრო მეტ გარკვეულობას სწორედ მატერიალისტურ თვალსაზრისის საკითხში. ნ. ჩერნიშევსკის აზრი დაძაბულია იმ აზრის ირგვლივ, რომ ადამიანი ერთი მთლიანი ფენომენია, რომ ყოველი გაორება და დუალიზმი დაუშვებელი და მიუღებელია. ცნობილი ადგილი ასევე ცნობილ წერილიდან „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“ საუცხოვო გარკვეულობით გამოთქვამს სწორედ ასეთ მდგომარეობას: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ისეთივე საფუძველია ფილოსოფიის იმ ნაწილისათვის, რომელიც განიხილავს საკითხებს ადამიანის შესახებ, როგორც იმ მეორე ნაწილისათვის, რომელიც გარებუნების საკითხებს

ეხება. ადამიანის ცხოვრებაზე ფილოსოფიური შეხედულების პრინციპი, დართ-  
ვით ამ ცხოვრების ყველა ფენომენისა, მდგომარეობს ბუნებისმეტყველების მიერ  
გამომუშავებულ იდეაში ადამიანის ორგანიზმის მთლიანობის შესახებ; ფიზიო-  
ლოგთა, ბიოლოგთა და მედიკოსების დაკვირვებამ უარყო ყოველივე აზრი  
ადამიანის დუალიზმის შესახებ. ფილოსოფია იმასვე ხედავს, რასაც —  
მედიცინა, ფიზიოლოგია, ქიმია; ეს მეცნიერებანი ამტკიცებენ, რომ ადამიანში  
არა სჩანს არავითარი გაორება; ფილოსოფია კი დასძენს თავის მხრივ, რომ  
თუ ადამიანს თავისი რეალური ბუნების გარდა, კიდევ სხვა ბუნება გააჩნია, ეს  
მეორე ბუნება რამეში თავს იჩენდა; მაგრამ რადგან იგი თავს არ იჩენს არა-  
ფერში, რადგან ყველაფერი, რაც ხდება და გამოივლინება ადამიანში, მიეწე-  
რება მის ერთად-ერთ ბუნებას, მას, მაშასადამე, მეორე ბუნება არ ჰქონე-  
ბია“ (Н. Г. Чернышевский, Полное Собр. соч. С. П. Б. 1906 г. т. VI, стр.  
194).

ასე გარკვეულად ადამიანის ბუნების მთლიანობისა და მისი მატერია-  
ლისტური გაგების ფორმულიროვკა ლ. ფეიერბახს არსად არ მოუცია. თავის  
„Grundsätze“-ში ფეიერბახი ლაპარაკობს ბუნებაზე, როგორც ადამიანის ბაზის-  
ზე, და არა ადამიანის ბუნებაზე. რა თქმა უნდა, როცა ფეიერბახი ადამიანს  
ანთროპოლოგიურ ფილოსოფიის ცენტრად აცხადებს, მას ადამიანის ბუნებაც  
აინტერესებს, მაგრამ ისეთი გაბედული გადმობიჯება ადამიანის ბუნებაში, რო-  
მელიც მისგან ყოველივე გაორებას განდევნის და ერთ ნატურალურ ბუნებას  
ამყარებს — ეს გარკვეულობა მატერიალისტურ თეზისისა ნ. გ. ჩერნიშევსკის  
დამახასიათებელი. მას ისიც კარგად ესმის, რომ ადამიანის ბუნების მონისტურ  
აგებულობაზე ლაპარაკი საქმის გათავებას არ ნიშნავს, რადგან ეს მთლიანობა  
შეიძლება სწორედ იმის გარანტიას არ იძლეოდეს, რასაც ნ. გ. ჩერნი-  
შევსკი ეძებს: მატერიალისტურ გაგებას იმ ერთისა, რომელიც ადამი-  
ანის ბუნებაა. ამიტომაც ნ. გ. ჩერნიშევსკი ორჯელ სხვადასხვა ფორმაში  
იმეორებს, რომ ის ერთი ბუნება, რომელზეც ის ლაპარაკობს, არა მარტო  
მედიცინის, ქიმიის, ფიზიოლოგიის და სხვათა მიერ დადგინებული ნატურა-  
ლური მოვლენაა, არამედ ფილოსოფიურადაც მტკიცდება, რომ არსებობს მხო-  
ლოდ ის, რაც თავს იჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი არაა  
მეორე რაღაც, რომელიც არ სჩანს ნატურალურ მოვლენათა რიგში.

ნ. გ. ჩერნიშევსკი კიდევ უფრო შორს მიდის. ადამიანის ბუნების მთლი-  
ანობა თავისთავად გარკვეულ რასმე რომ არ ნიშნავს — ეს მან კარგად იცის.  
ამიტომაც საკითხი უფრო გარკვეულად უნდა დაისვას და სწორედ ამ მთლი-  
ანობის ანუ ერთობლივობის გასარკვევად. ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ, ჩერ-  
ნიშევსკი სწერს: „მაგრამ ბუნების მთლიანობასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ ადამ-  
იანში მოვლენათა ორ განსხვავებულ რიგს: მოვლენათა ე. წ. მატერიალურ  
რიგს (ადამიანი სჭამს, დადის) და მოვლენათა ე. წ. ზნეობრივ რიგს (ადამიანი  
ფიქრობს, გრძნობს, ნდობობს). რა ურთიერთობაშია მოვლენათა ეს ორი რიგი?  
ხომ არ ეწინააღმდეგება მათი განსხვავება ადამიანის ბუნების ერთობლივობას,  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ დადგენილს“. ნ. ჩერნიშევსკი



მშვენიერად გრძნობს პრობლემას, ის კარგად ამჩნევს, რომ მატერიალიზმის პრობლემის სიძნელე იქაა მოთავსებული, სადაც „მოვლენათა ორი რიგია“. როგორც მოსარიგებელი და ურთიერთ დამოკიდებულებაში ასახსნელი და გასაგები. სიძნელე იქ კი არაა, სადაც ადამიანის ბუნებაში მთლიანობას ამტკიცებენ, არა, სიძნელე იწყება იქ, სადაც ვამჩნევთ, რომ ადამიანის მთლიან ბუნებაში მოვლენათა ორი რიგია. ნ. ჩერნიშევსკი საუცხოვო გარკვეულობით მიჰყვება იმ გზას, რომლითაც ისტორიულად ვიდოდა მატერიალიზმის პრობლემის დაყენება: მის პირობას წარმოადგენდა მოვლენათა შორის ორი რიგის შენიშვნა. არა ნაკლებ საინტერესოა ამასთან დაკავშირებით პასუხი, რომელსაც აძლევს ნ. ჩერნიშევსკი მის მიერ დაყენებულ საკითხს. აქ ჩვენ ციტატის ამოღებიდან თავს შევიკავებთ, რადგან ეს პასუხი რამოდენიმე გვერდის მანძილზე მოთავსებული (და სხვ.), ფართო მსჯელობას შეიცავს, ლოგიკურ და საბუნებისმეტყველო მასალით ნაშენებს. მისი მთავარი აზრი მოკლე და გარკვეულია: ერთსა და იმავე მოვლენას როგორც ლოგიკურად, ისე ფაქტიურად შეიძლება სხვადასხვა თვისება გააჩნდეს. ლოგიკა ამას გვასწავლის ცნებათა თეორიაში, სადაც ერთი გვარეობის მიმართ შეიძლება თავს იყრიდეს სხვა და სხვა თვისება. აი ეს ლოგიკური ცნება „თვისებისა“ შემდეგ მტკიცდება საბუნებისმეტყველო ფაქტიურ მასალის მიხედვით. გამოდის, რომ ადამიანის ერთ მთლიან ბუნებას სხვა-სხვა თვისებები გააჩნია, — კერძოდ თვისება მატერიალური და თვისება ზნეობრივი. ტერმინს „ზნეობრივს“ უნდა ვიფიქროთ ჩერნიშევსკი ინგლისელების გავლენით იხმარდა, რადგან სწორედ მათ სამეცნიერო სიტყვა-ხმარებაში „მორალური“ ჰფარავს ყველაფერს, რასაც ცნობიერებასთან კავშირი აქვს. ასე ცნობილი წიგნი ჯონ სტუარტ მილისა — ინდუქტიური და დედუქტიური ლოღიკა მე-VI წიგნში — „მორალურ“ მეცნიერებებზე ლაპარაკობს — ფაქტიურად კი იქ ლაპარაკია ყველა „გუმანიტარულ მეცნიერებაზე“.

ორი რიგი ნ. ჩერნიშევსკის ერთი ბუნების გამოვლენად მიაჩნდა და მათი გაგების ცენტრი წარმოშობის პროცესის გაგებაში გადაჰქონდა. როგორც ბუნებისმეტყველება — მსჯელობს ჩერნიშევსკი — ერთი ძირიდან ხსნის მოვლენათა თვისობრივ სხვაობას და მთელი პროცესი რიცხვობრივად გამოსახატავ ხარისხების სახით წარმოუდგენია, ასე უნდა მოხდეს მატერიალურ და „მორალურ“ თვისებათა გაგების დროსაც მე-VI ტომის მე-196 გვერდზე მოყვანილ წყლის სამი მდგომარეობის მაგალითი არ სტოვებს არაერთარ იქვე იმაში, რომ ჩერნიშევსკიმ თავისი მიზანი „თვისებათა“ სხვაობაში ერთობლივი ბუნების დანახვაში დასახა და მეორეს მხრივ ეს თვისობრივი სხვაობები რიცხვობრივ ძირამდე დაიყვანა, აქ ერთსა და იმავე დროს ორი საინტერესო მომენტი მხილდება ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეოლოგიის წარმოშობის ისტორიიდან: მისი კავშირი ჰეგელთან და სპინოზასთან. პირველი უდავოა, რადგან გარდა მსჯელობის მიმდინარეობის პირდაპირი მზგავსებისა და ნათესაობისა ჰეგელის აზროვნების ანალოგიურ მომენტებთან, თვით გამოთქმის ფორმაც და აშკარა განცხადებაც ნათელყოფს კავშირს. 196 გვერდის პირველი აბზაცის ბოლოში ნ. გ. ჩერნიშევსკი სიტყვა-სიტყვით ამბობს: „ამ სამ მდგომარეობაში (იგულის-

ხმება წყლის სამი მდგომარეობა. შ. ნ.) ერთი და იგივე თვისება მხილდება სრულიად განსხვავებულ მოვლენის სამ წყობაში, ასე რომ ერთი თვისება სამ სხვა და სხვა თვისების ფორმას იღებს, განშტოვდება სამ თვისებად რიცხვობრივ განსხვავების მიხედვით, რომელშიც გამოივლინება: რიცხვობრივი განსხვავება გადადის თვისობრივ განსხვავებად“ (ibid.).

ამაზე გარკვეულად ჰეგელთან დამოკიდებულებას ჩვენს ავტორს სადმე აქვს კიდევ გამოთქმული ნ. გ. ჩერნიშევსკის განვითარების ეს მიყვანა თვისობრივობიდან რიცხვობრივობამდე პირდაპირ შეიძლება მეორეს მხრივ ენგელსის „ანტი-დიურიინგი“-ს, ან გ. პლეხანოვის ანალოგიურ საკითხზე მსჯელობას ამოუყენოთ გვერდში. ასე ნათელი არა სჩანს მეორე დამოკიდებულება—დამოკიდებულება სპინოზას მიმართ; მაგრამ თუ აქ გამოთქმისა და საზოგადოდ ფორმის ნიადაგზე შეხვედრას არ აქვს ადგილი, უფრო არსებითის მხრივ, სახელდობრ ძირითადი მომენტების გამოყვანაში მაინც დიდი ნათესაობაა. ორ რიგად—მატერიალურ და მორალურ, ან როგორც ჩვენ დღეს ვიტყვით, ცნობიერების რიგად გაყოფილი მთლიანობის საკითხს ჩერნიშევსკი სწყვეტს ორივე რიგის ამ მთლიანობისადმი დამოუკიდებლობის ე. ი. სწორღირების შენარჩუნებით. მაშასადამე, საქმე ისე კი არ წარმოიდგინება, რომ ცნობიერება მატერიიდან გამოიყვანებოდეს, ანუ, ავტორის სტილით, მორალური რიგი მატერიალურ რიგიდან. არა, ავტორის აზრით, ასეთი გამოყვანის დამოკიდებულება მოხსნილია. ადამიანის ბუნების ერთობლივობა ანუ მთლიანობა იშლება ორივე სახის მოვლენაში—არც შეტი არც ნაკლები. არსებობს ცალკე, ფილოსოფიის ტრადიციულ ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, მატერიალური რიგის სუბსტანცია? ჩერნიშევსკის მიხედვით, ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. არსებობს მორალურ მოვლენათა რიგის სუბსტანცია? ამ კითხვაზეაც უარყოფითი პასუხი აუცილებელია. ორივე მოვლენა ერთი „სუბსტანციის“ გამოვლენაა—ადამიანის ბუნების მთლიანობის.

თუ ჩერნიშევსკის აზროვნების ასეთ მიმდინარეობას მივიღებთ—და ეს კი ნათლად სჩანს მის ნააზრევიდან—მაშინ ძნელი გასაგები არაა, თუ რას ნიშნავს და როგორ უნდა გავიგოთ ჩერნიშევსკის დამოკიდებულება სპინოზასადმი. ცნობილია, რომ ჩერნიშევსკიმ ანთროპოლოგიურ ფილოსოფიის წინამორბედთა შორის დაასახელა სპინოზა და არისტოტელე. ამ შენიშვნამ ჩერნიშევსკის მოწინააღმდეგეთა ბანაკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ჩერნიშევსკი ფილოსოფიის უვიცად ჩასთვალეს. (კამათი იურკევიჩთან და ვოლინსკის აზრები ამ კამათის შესახებ). აგრეთვე ცნობილია, რომ გ. ვ. პლეხანოვმა ჩერნიშევსკის რეაბლიტაცია განიზრახა და ამ მიზნით ორი გზით წავიდა: ფეიერბახის და სპინოზას ურთიერთობის გამორკვევის გზით და ფრანგი მატერიალისტების ლამეტრისა და დიდროს იმავ სპინოზასთან მიმართების ნათელყოფის გზით. ორივე შემთხვევაში მიზანი ნათელი იყო: ვითომდა ჩერნიშევსკის ანთროპოლოგიური ფილოსოფიის წინამორბედთა შორის სპინოზას მოთავსებით მაინცა და მაინც არაფერი დაეშავებინოს, რადგან მისმა იდეურმა ხელმძღვანელმა ციკოდა სპინოზას როლი მატე-

რიალისტურ ფილოსოფიისათვის. მეორეს მხრივ—ასე მსჯელობს გ. ვ. პლენანოვი, ჩერნიშევსკი განიცდიდა მე-XVIII საუკუნის მატერიალისტების დაკრძოლვას და დიდროს გავლენას. ეს უკანასკნელები კი ერთგვარ კავშირში იყვნენ სპინოზასთან, როგორც მატერიალისტთან. ამ ნაწილში გ. პლენანოვს შესაძლებლად მიაჩნია მოყვანილი საბუთები, რომლებიც ნათელყოფა, რომ ჩერნიშევსკიმ სპინოზა ანთროპოლოგიურ მატერიალიზმის წინამორბედთა შორის დასახა.

უფრო სადაოდ მიაჩნია გ. პლენანოვს ჩერნიშევსკის მეორე მითითების—არისტოტელეს მიმართ—სისწორე. პლენანოვი პირდაპირ ამბობს: „რაც შეეხება არისტოტელეს, ჩერნიშევსკი მართლაც სცდებოდა, როდესაც მის ფილოსოფიას ფეიერბახის ფილოსოფიის მონათესავედ სთვლიდა“-ო. (Г. В. Плеханов, сочинения, т. V, გვ. 196). ასე ფიქრობს პლენანოვი, რადგან მისი აზრით, არისტოტელე თურმე იდეალისტებთან უფრო ახლო იდგა, ვიდრე მატერიალისტებთან. ამ რიგად თუ სპინოზასთან დამოკიდებულების საკითხი პლენანოვისათვის მარტივია შედარებით, მას თითქოს არავითარი საბუთი არ გააჩნია იმ ფაქტის ასახსნელად, რომ ჩერნიშევსკიმ ანთროპოლოგიურ მატერიალიზმის წინამორბედთა შორის არისტოტელეც დაასახელა.

აქ არაა ადგილი წამოჭრილ საკითხის უფრო ახლობლივად განხილვისათვის. მიუხედავად ამისა, მთავარი შემდეგში მდგომარეობს: ნ. გ. ჩერნიშევსკის ერთნაირი საბუთი ჰქონდა როგორც სპინოზას, ისე არისტოტელეს დასახელებისათვის. ორივე შემთხვევაში ერთი და მთლიანი რალაც, რასაც ფილოსოფია სხვა და სხვა შემთხვევაში სხვა და სხვა სახელს არქმევდი, ორ მოვლენაში, ან „მოვლენათა რიგში“ განსახიერდებოდა. ეს არის აქ მთავარი და ამაშია იმის ახსნა, თუ რატომ დაასახელა ჩერნიშევსკიმ სპინოზა და არისტოტელე, როგორც ანთროპოლოგიურ მატერიალიზმის წინამორბედი. გ. პლენანოვი მართალია, როცა ჩერნიშევსკის მოწინააღმდეგეებს და პოლიტიკურ მტრებს ფილოსოფიურ უმეცრებისათვის უკიჟინებს, მაგრამ მისი საკუთარი ცდა ჩერნიშევსკის დამოკიდებულების სპინოზასთან და განსაკუთრებით არისტოტელესთან ახსნისა არ უნდა იყოს სწორი. საქმე იმაში კი არ იყო, რომ ზოგიერთი წარმომადგენელი პერიპატეტიკული სკოლისა (არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა იყო) მასწავლებლის ე. ი. არისტოტელეს ფილოსოფიას ფიზიკალურ „გადახვრას უკეთებდა. ჩერნიშევსკის რომ კიდევ სცოდნებოდა პერიპატეტიკულ ფილოსოფიის ისტორია, მას არისტოტელეს ფიზიკალური გაგება და ინტერპრეტაცია ვერ დაინტერესებდა, რადგან მისთვის საჭირო იყო არა ერთი რომელიმე ელემენტის—ვსთქვათ ფიზიკურის ხაზგასმა—არამედ ერთი მთლიანი ბუნების ორ „თვისებაში“ გაშლა. ასეთი კი იყო არისტოტელეს მოძღვრება ბუნების ერთი არსების ორ „თვისებათ“—ფორმა—მატერიალად გაშლა. კიდევ უფრო ნათელი იყო, რომ სპინოზასთან ერთ ხაზზე მოთავსება სწორედ ამას ნიშნავდა. აქაა და არა სადმე სხვაგან მოთავსებული ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ არისტოტელესადმი მიპყრობილ ყურადღების საბაბი. მაშინ გ. ვ. პლენანოვის ადვილი დათმობა—ჩერნიშევსკის არისტოტელეს საკითხში შეცდომა მოუვიდაო, უადგი-

ლო იქნებოდა. სპინოზა საჭირო იყო ჩერნიშევსკისათვის, რადგან მის მოძღვრებაში ერთი სუბსტანცია ორ ატრიბუტად—სულისა და სხეულის ატრიბუტად გაიშალა, არისტოტელე—რადგან ერთი არსი, ფორმისა და მატერიის სახით გამოივლინებოდა. ასეთია ჩერნიშევსკის ისტორიულ-ფილოსოფიური სიმპატიები და არა ის, რაც გ. ვ. პლექანოვმა აღნიშნა.

თუ ნათქვამით ნათელყოფილია ნ. გ. ჩერნიშევსკის მატერიალიზმის სახე და მისი ისტორიული ჩარჩოები, ამით იმავე დროს საბოლოოდ გარკვეულია ისიც, თუ რა ანათესავებდა ჩერნიშევსკის ლ. ფეიერბახთან: ეს იყო, როგორც მარქსის ისე ენგელსის მიერ მრავალგზის ხაზგასმული გამოყოფა აბსტრაქტულ ადამიანისა, როგორც ფილოსოფიურ მსჯელობის საგნისა. ორივესათვის მატერიალიზმის მთელი საკითხი ადამიანის, განყენებულ ინდივიდის ბუნების ფარგლებში თავსდებოდა, რათა ამის იქეთ ფართო სარბიელი გაეშალა ყოველ შესაძლებელ მსჯელობისათვის, რომელიც სრულიადაც აღარ იყო ამის შემდეგ ვალდებული ძირითად ფილოსოფიურ დებულებისათვის ანგარიში გაეწია. ამით ახსნება, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევში საუცხოვო თანმიმდევრობითაა მოცემული ყველაფერი, რაზედაც მარქსი ლაპარაკობს თავის ცნობილ თეზისებში. მექანიკური მატერიალიზმის პასივობას ადგილი უნდა დაეთმო იდეალიზმის აქტივობისათვის, და როცა ფილოსოფიის აბსტრაქტულ ადამიანიდან საჭირო შეიქნა კონკრეტ და ისტორიაში მომქმედ ადამიანზე გარდასვლა, ანთროპოლოგიკურ ფილოსოფიის მინალწევარი სადღაც გაჰქრა და განვითარების პროცესების ასახსნელად ავტორს სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა იდეალიზმისათვის მიმართვა. ამდენად ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ კ. მარქსის მიერ ფეიერბახის შესახებ ნათქვამი, ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევის შესწავლისათვისაც მიმართულების მიმცემია.

ფრანგი მატერიალისტების პირდაპირი გავლენა არა სჩანს ჩერნიშევსკის ნააზრევში. შეიძლება დავასკვნათ, ან დაუშვათ, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში ეს გავლენა ან გატარებულია ფეიერბახის სისტემის გზით, ან და აზროვნების ანალოგიური გზებით და ჩარჩოებით გამოწვეული. ბევრი ადგილი ჰქვია ენგელსის დან, რა თქმა უნდა, ჩამოჰგავს ნ. გ. ჩერნიშევსკის ნათქვამს, მაგრამ ამ მგზავსებიდან ჯერ კიდევ შორსაა კავშირის გამოყვანამდე. ასე მაგალითად ჰქვია ენგელსის ისევე ენდობოდა და კვალ-და-კვალ მიჰყვებოდა პოზიტიურ მეცნიერებათა მითითებას, როგორც ამას შემდგომ სჩადიოდა ნ. გ. ჩერნიშევსკი. ზემოდ მოყვანილ ადგილში „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“ ჩერნიშევსკი პირდაპირ ამბობდა, რომ თუ კი არსებობს რაღაც მეორე ბუნება ადამიანში, იგი რამეში უნდა იჩენდეს თავს, და რომ ასეთი რამ არაა, ამის მოწმედ მოჰყავდა მეცნიერებანი—ქიმია, ფიზიოლოგია და სხვ. ამ მსჯელობას, როგორც მეცნიერული აგებულებით და აზრის მიმდინარეობით, ისე რადიკალური ენტუზიაზმით საშინლად ჩამოგავს მაგალითად შემდეგი ადგილი პოლვეციუსის „De l'esprit“ დან: „თუ ყველაფერის ახსნა შეიძლება იმით, რასაც აღმოაჩენს ტვინში ანატომია და ფიზიოლოგია, რაღა სიჭიროა ფიქტიური სუბსტანციის შექმნა? თუ შე ვაიგივებ სულისა და სხეულის ორგანოებს, ეს იმიტომ, რომ

ყველაფერი ამაში მარწმუნებს, თუ ძნელია კავშირზე ლაპარაკი, მგზავსება აქ ყოველივე ეჭვს გარეშეა.

მიუხედავად ამისა ის მთლიანობა, რომელზედაც ნ. გ. ჩერნიშევსკი ლაპარაკობს არაა დელეგაციუსის მიერ საკმაოდ წარმოდგენილი ფეიერბახის მატერიალიზმი, რომლისაგან ბოლოს და ბოლოს ამოდის უშუალოდ ყოველი ფილოსოფიური გავლენა, რომელზედაც შეიძლება იყოს ლაპარაკი ჩერნიშევსკის მიმართ, ადამიანს ბუნებასთან კავშირში განიხილავს და ანთროპოლოგიის გაუნივერსალებას ამ გზით აპირებს. უნივერსალიზმზე, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის დროშა იყო, არც მატერიალიზმს სურს აილოს ხელი. თავის „Grundsätze“-ში ფეიერბახი გარკვეულად აყენებს უნივერსალიზმს, როგორც აუცილებელ თვისებას ანთროპოლოგიურ ფილოსოფიისა. დელეგაციუსი ამ უნივერსალიზმის გასამართლებლად არ გამოდგებოდა. შესაძლებელია, რომ აქ ჰოლბახი, რომელიც ბუნების და ადამიანის ურთიერთობას ერთი მთლიანობის ხაზით შლიდა, უფრო გამოდგებოდა. ქვეყნის გაორების პრობლემა ჰოლბახმა იმ გარკვეულობით დააყენა, რომელიც გადალახა მხოლოდ ისეთმა რადიკალურმა ფორმამ „ცდის კრიტიკისა“, როგორიც იყო ავენარიუსის თეორია, პირიქით ჰოლბახმა უკეთესად იცოდა ეს და უფრო მართებულად მსჯელობდა ამ საკითხებზე, ვიდრე მოგვიანო პოზიტივიზმი.

ნაბიჯი ინდივიდუალ ადამიანიდან ადამიანის ბუნებაში გაშლამდე არის ნაბიჯი, რომელიც ფეიერბახს ნებას აძლევდა ანთროპოლოგიზმზე, ან ჰუმანიზმზე ელაპარაკნა. ამით თვით მატერიალიზმის საქმე ბევრს არაფერს იგებდა, რადგან გაორების პრობლემის მოხსნას და არა გადაწყვეტას ჰფიქრობდა. ჰოლბახის მნიშვნელობა პრობლემების მოხსნისათვის დღემდე შეუფასებელი დარჩა. ის, რითაც თავი მოჰკონდა შემდგომ პოზიტივიზმს—ჰოლბახისათვის ჩვეულებრივი საქმე იყო. ემპირიომონიზმის მიერ შეთვისებული სოციალ-ახსნითი მეთოდი, პრინციპიულად იცოდა ჰოლბახმაც და ერთი განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ის ყოველთვის ვერ ხერხებდა სოციალურ თვალსაზრისზე დადგომას. ჰოლბახს ადამიანის სულის პრობლემის გვერდით აინტერესებს გზა, რომლითაც მივიდა ადამიანი დასკვნამდე, რომ „ხილულ მოძრაობათა ასახსნელად“ საქირთა „დაფარული საწყისი“. მან ე. ი. ჰოლბახმა კარგად იცის, რომ ეს ის გზაა, სადაც პირველად ხდება ადამიანის გაორება, რადგან „ხილულ მოძრაობის“ იქეთ თავსდება „სულიერი, არა მატერიალური“-ს ცნება.

ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევში გაორების პრობლემა დიდ როლს თამაშობს, ამიტომაც ეს ადგილი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ჰოლბახის გავლენის მიყენების წერტილი აქაა საფიქრებელი. ტექსტუალურად ეს ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ სააზროვნო კონტექსტი უეჭველად მოწმობს ან პირდაპირს, ან შემოვლითი გავლენას. ამის მიუხედავად არის ერთი მხარე, რომელიც ჩერნიშევსკის ასხვავებს—პოზიტივიზმის გარეშე დგომა. ჩერნიშევსკი არ იძიებს პრობლემის სოციოლოგიურ ძირს. მართალია, იგი გარკვეულად აღნიშნავს, რომ ყოველი მოაზროვნე პარტიული განჯგუფების იერს ატარებს, მაგრამ თუ აქ საკმაოდ ნათლათაა ნაგრძნობი აზროვნების დამოკიდებულება გა-

რემოსაგან (აგრეთვე სოციალურ გარემოსაგან), ეს კიდევ არ ნიშნავს პოზიტივიზმის გზით პრობლემის სოციოლოგიურ ძირის ძებნას. ასე შორს, ცხადია, არც ჰოლბახი წასულა. მის დროს სოციოლოგიური მიდგომა მხოლოდ ჩანასახის ფორმით შეიძლებოდა და სწორედ ამ ფარგლებში მან მართლაც შესძლო ადამიანის ბუნების გაორების წარმოდგენა. რაც შეეხება ჩერნიშევსკის იგი აზროვნების პარტიულობის აღნიშვნის იქეთ არ წასულა და ბუნებრივ პრობლემების გამოყვანის დროს სოციოლოგიური და პოზიტივიზმის თვალსაზრისით არ უზრუნვია. ამის მიზეზი ცხადია, არ შეიძლება მართლ იმაში ვეძიოთ, რომ ჩერნიშევსკის სასაცილოდ არ ჰყოფნიდა კონტის პოზიტივიზმი და სოციოლოგიური კანონები. საკითხი, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ არაა დაკავშირებული სოციოლოგიისადმი გარეგნულ დამოკიდებულებასთან. გარეგნული დამოკიდებულება სოციოლოგიასთან ჩერნიშევსკისაც კი ჰქონდა, მაგრამ სწორედ ამიტომ მისი ფილოსოფია სოციოლოგიის გარეთ დარჩა და სოციოლოგია ფილოსოფიის გარეშე.

ამით მთავარ ხაზებში ამოწურულია ჩერნიშევსკის ფილოსოფიური ნააზრევი: განაგრძობდა რა ფეიერბახის ფილოსოფიურ ხაზს, ან ფეიერბახის შუალობით შეთვისებულ შეხედულებებს, ნ. გ. ჩერნიშევსკი თუმცა უფრო გარკვეულად და ნათლად დაადგა მატერიალისტურ სოფლგაგებას, მაგრამ არსებითად მექანიკურ მატერიალიზმის საფუძველზე დარჩა. გარეგნული გამოხატულება იმისა, რომ ჩერნიშევსკი ფეიერბახზე უფრო მოქნილი და დასრულებული მატერიალისტი იყო და მეორეს მხრივ მე-XVIII საუკუნე ფრანგ მატერიალისტებთან ერთგვარ იდეოლოგიურ კავშირში იყო, სჩანს სპინოზასადმი უფრო გარკვეულ და ნათელ დამოკიდებულებაში. ასეთია ნ. გ. ჩერნიშევსკის თეორიულ-ფილოსოფიური სახე, რომელიც მან შეინარჩუნა თეორიულ ფილოსოფიის პრინციპების პრაქტიკულ ფილოსოფიის სფეროში—როგორცაა ეთიკა და ესთეტიკა—გარდასვლის დროსაც. ამდენად ეს უკანასკნელი სფეროები მისი ფილოსოფიური ნააზრევის გამოვლენისა ახალს არაფერს შეიცავს და ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ თეორიაში მიღებულ თვალსაზრისის თანმიმდევრით გამოყენების შესახებ ე. ი. საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ რამდენად დაიცვა და შეინარჩუნა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ თავისი მატერიალისტური დასაყრდენი პრაქტიკულ ფილოსოფიის პრობლემების გარჩევის დროს.

საქურნალო წერილის ფარგლებში ძნელია ნ. გ. ჩერნიშევსკის მატერიალისტურ ფილოსოფიურ პრინციპების ისე ფართოდ გამოყენების კვალ და კვალ განხილვა, როგორცაა მისი გამოყენება ეთიკაში და განსაკუთრებით ესთეტიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ავტორი გარკვეულს მატერიალისტურ თვალსაზრისზე დგას, თუმცა აქაც, და შეიძლება კიდევ მეტი ვიდრე სხვა შემთხვევაში, მას თავისუფალი გზა ჰქონდა გახსნილი კონკრეტ პრობლემებისათვის ძირითად ფილოსოფიურ პრინციპების მიყენებისა.

დავიწყოთ ესთეტიკით. აქ ნ. გ. ჩერნიშევსკის თავისი უშუალო მასწავლებლის სახით პირდაპირი ხელმძღვანელი არ ჰყავდა. ლ. ფეიერბახმა, როგორც თვითონ ჩერნიშევსკიც აღნიშნავს, პრაქტიკულ ფილოსოფიის სფეროდან

მხოლოდ რელიგიის პრობლემა დაამუშავა ზედმიწევნით. რატომ მოხდა ეს ასე და რატომ არ მიაქცია ფეიერბახმა ჯეროვანი ყურადღება სხვა პრობლემებს პრაქტიკულ ფილოსოფიისა—ეს საინტერესო საკითხია, მაგრამ ჩვენ არ გვებება ფაქტია, რომ პრაქტიკულ ფილოსოფიის პრობლემებში ნ. გ. ჩერნიშევსკის პირდაპირი ხელმძღვანელი არ ჰყოლებია და აქ მას მეტი თავისუფალი სარბიელი გააჩნდა, განსაკუთრებით კი, როგორც ითქვა, ესთეტიკაში. ესთეტიკის მიზანს ნ. გ. ჩერნიშევსკი განმარტავს, როგორც „ხელოვნების საერთოდ და კერძოდ პოეზიის ზოგადი პრინციპების სისტემას“, მაგრამ შემდეგში მთავარ მიზანს თავისი საგანგებო შრომისა „ესთეტიკური მიმართება ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის“ იგი სინამდვილის ცოცხალი სახის თავის უფლებებში აღდგენაში ხედავს. მისი მიზანია დაამტკიცოს, რომ ხელოვნებას არ შეუძლია შესცვალოს ცხოვრება. თუ ის ამას სჩადის თავს იქცევს უბრალო ამბებით, რადგან სინამდვილე ოცნებებზე მაღლა სდგას“ („Эстетич. отноше- ния“ ტ. X, წიგ. II გვ. 161). საინტერესოა, რომ ჩერნიშევსკი ასხვავებს ერთი მეორისაგან ხელოვნებას, როგორც „ობიექტიურ ნაწარმოებს“ და ხელოვნებას „როგორც პოეტის სუბიექტიურ შემოქმედებას“. საინტერესოა აქ ის არის, რომ მატერიალისტურ ანუ რეალისტურ ესთეტიკის მამამთავარი რუსეთში, მიუხედავად სენსუალისტურ და ფსიქოლოგისტურ მემკვიდრეობისა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა როგორც ფეიერბახისაგან, ისე მე-XVIII საუკ. მატერიალისტებისაგან, უკვე იმ თავით გაიმიჯნა ფსიქოლოგიზმისაგან და სუბიექტივისტურ თვალსაზრისს ესთეტიკაში უპირისპირებს ობიექტივისტურ თვალსაზრისს. დღეს, როდესაც მარქსიზმი ეკონომიკაში და საზოგადოდ სოციოლოგიაში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს, ხაზგასასმელია ეს მხარე ჩერნიშევსკის აზროვნებაში, რაც ჯერ-ჯერობით არსად არაა აღნიშნული.

ნ. გ. ჩერნიშევსკი გაბედულად შედის ესთეტიკის პრობლემატიკაში მატერიალისტური დროშით. მას არ აშინებს არც ამ პრობლემების სიმრავლე და არც მათი სრულიად ახალი და უჩვეულო თვალსაზრისით გადაჭრის ამოცანა. მშვენიერების იდეით დაწყებული და ესთეტიკური კატეგორიებით გათავებული იგი სწვდება მთელ გასაქანს ესთეტიკისა და არც ერთ პრობლემას არ უვლის გვერდს, ყველგან მისი პრინციპი ერთია: სინამდვილეს ეკუთვნის პირველობა, ხელოვნება კი მისი მსახურია. მატერიალისტური დებულება სინამდვილის და ცნობიერების მიმართებისათვის აქ უკუიფინება დამოკიდებულებაში სინამდვილისა და ხელოვნების შუა. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში სინამდვილე თავის აღგილზეა—ყოველი ფორმა იდეოლოგიასა და მათ შორის ხელოვნებაც მოიყვანება მასთან გარკვეულ დამოკიდებულებაში. ნ. გ. ჩერნიშევსკის ესთეტიკის მთელი საკითხი უკვე მშვენიერების პრობლემის გადაჭრით წყდება; მას კარგად ესმის და საუცხოვო თანმიმდევრობით გამოყავს, რომ აქაა მოთავსებული ესთეტიკის ძირი. ის არ უფრთხის მეტაფიზიკურ და იდეალისტურ ესთეტიკას, მოითხოვს—გაეცეს პასუხი თავდაპირველად საკითხს,—რა არის მშვენიერება და უპასუხებს, რომ მშვენიერება არის „ცხოვრების სავსეობა“. ჩერნიშევსკის თეზისია: „ცხოვრების სავსეობა და მშვენიერება სინამდვი-

ლემი ერთი და იგივეა“. ასე გარკვეულად მატერიალისტურ-რეალისტური დებულება ესთეტიკის ძირითად პრობლემის ირგვლივ მე-XVII საუკუნის მატერიალისტ-ესთეტიკოსს დიდროს მიუღწეველი დარჩა, ფეიერბახი ამ პრობლემის გარეშე ადგა და მხოლოდ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ შესძლო მისი მკვეთრად ჩამოქნა.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება ამ საკითხებზე მეტი შევხვედეთ, სწავლავს ჩვენ მკაფიოდ გვხებით ამავე კითხვებს (სპეციალურ გამოკვლევაში ხელოვნების თეორიიდან, რომელიც იბუქდება და ამ მოკლე ხანში გამოვა). ეხლა კი უნდა აღინიშნოს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ შესძლო მძიმე ამოცანის — მატერიალისტური ესთეტიკის დამუშავება. იმავე დროს მან აქაც გადმოიტანა ყველა ის ნაკლი, რომელიც ერთის მხრივ კ. მარქსმა აღნიშნა ფეიერბახის მიმართ და მეორეს მხრივ ვ. ი. ლენინმა მისი ე. ი. ჩერნიშევსკის მიმართ: ის ვერ მივიდა დიალექტიურ მატერიალიზმამდე, დარჩა მექანიკურ მატერიალიზმის პოზიციაზე და მაშინაც კი, როცა ცხოვრების სავსეობაზე გაიძახოდა, ინდივიდუალ ადამიანის თვალსაზრისზე რჩებოდა და თუმცა ხანდისხან მდგომარეობის მიხედვით ესთეტიკურ გემოვნების შემუშავებაზე ლაპარაკობდა, არსებითად მაინც დარჩა იმ ცალმხრივი პასივობის პოზიციაზე, რომელმაც მარქსის თქმით, აქტივობის პოზიციები იდეალიზმს ჩააბარა.

ასეთივე მდგომარეობაა ეთიკის პრობლემების სფეროშიაც. მატერიალიზმი აქაც თანმიმდევრითაა ჩატარებული, აქაც იგივე სითამამე, იგივე შეუღრეკელობაა. არა ნილილიზმი, არა უარყოფა და პრობლემის მოხსნით სვლა, როგორც ამას შემდგომი პოზიტივიზმი და მისი ემპირიომონისტული მემკვიდრეები სჩადიოდენ, არა — ჩერნიშევსკი პირდაპირ აყენებს საკითხს ეთიკისა და მატერიალიზმის ურთიერთობისათვის, ანუ უფრო სწორად, ეთიკის შესახებ მატერიალისტურ ფილოსოფიის ნიადაგზე. ჩერნიშევსკის მატერიალისტურ ეთიკის ძირი ჰელვეციუსის მორალურ მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ. ეს უკანასკნელი უტილიტარიონისტულ მორალის ე. ი. ინტერესისა და სარგებლიანობის პრინციპებზე აგებულ მორალის მომხრე იყო და ამდენად მიმართულებასა და ტონს აძლევს როგორც თავის დროს ე. ი. მე-XVIII საუკუნეს, ისე შემდგომ ხანასაც. მე-XVIII საუკუნე ზნეობის ავტონომიას არ ცნობდა, ეს ცნება კანტის მიერ იქნა შემოღებული ფილოსოფიურ ხმარებაში და პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისი, რასაც უღებდენ ზნეობას საფუძვლად მე-XVIII საუკ. მატერიალისტები, და რაზეაც ჩერნიშევსკიმაც ააშენა თავისი მორალი. განსაზღვრულის მნიშვნელობით ეთიკური ნორმატივიზმი და ზნეობრივი ავტონომია არაა სავალდებულო, რომ ერთი მეორეს შეხვდენ. ასე მაგ. არ შეიძლება ითქვას რომ მე-XVIII საუკ. მატერიალისტებს ეთიკური ნორმები არ ჰქონებოდესთ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ზნეობრივი ავტონომია მათ არ სწამდათ, ანუ უფრო სწორედ, მათ ეს ცნება არც წამოუყენებიათ და ვერ წამოაყენებდენ. ნორმა კი შეიძლება ითქვას, იმაში მდგომარეობდა, რაშიც ჯერ კიდევ ანტიკური მატერიალიზმი ხედავდა მას. ამ მხრივ საინტერესოა ახალი დროის მატერიალიზმის კავშირი არა ეპიკურესთან, როგორც ამას კაუტსკი ჰფიქრობს, არამედ მატე-



რიალიზმის მეორე სახეობასთან ძველად — სტოელებთან. ეთიკური ნორმა სტოელებისა პირდაპირ მოითხოვდა ცხოვრებას „თანაბმად ბუნებისა“. ადამიანის ბუნება — სიამოვნებისაკენ სწრაფვაა, ხოლო სიამოვნებას, როცა იგი ადამიანის ბუნების მასშტაბითაა აღებული, ფართო მნიშვიელობა ეძლევა, რომელიც მას სხვა ადამიანების სიამოვნებას არ უპირისპირებს. ამ მხრივ უნდა ჩვენს გაგებულ კ. მარქსის შენიშვნა ფრანგ მატერიალისტების უმარქსულ პოლიტიკურათურა. მემკვიდრეობა, ტ. II გვ. 271 შ.), რომ ფრანგების მატერიალიზმი, დაუყონებლივ საზოგადოებრივ ცხოვრებას უშუალოდ უფარდდებოდაო“. აქ სოციალურობა არაა სოციალურ თვალსაზრისზე დადგომა. არა, იგი მორალურ ეგოიზმის ალტრუიზმთან შეხებაში მოყვანაა, რაც ერთად ერთი გარანტია იყო სიამოვნებისათვის ზნეობრივი იერის შესანარჩუნებლად. ჰელვეციით დაწყებულ საქმეს ჰოლბახი განაგრძობდა, რომელიც იმავე ბუნებრივი მორალის ნიადაგზე იდგა.

ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ეთიკის საკითხში მე-XVIII საუკ. მატერიალისტებზე უფრო მკაცრი პოზიცია დაიჭირა ხოლო ერთში ის უცვლელად იმავე ნიადაგზე დარჩა: ადამიანი უნდა მიჰყვეს საკუთარ ბუნების მიდრეკილებას. მორალურად ამ დებულების ხაზგასმით გამოთქმა ერთის შეხედვით გაუგებრობას ბადებს. ამ ადგილმა ჩერნიშევსკის აზროვნებაში შეაშფოთა, სხვათა შორის, ჩერნიშევსკის მკვლევარი ი. მ. სტეკლოვი (Ю. М. Стеклов „Н. Г. Чернышевский. Москва-Ленинград—1928 წ. ტ. I, გვ. 296), რომელმაც განიზრახა ჩერნიშევსკის დაცვა „სანიზმის“ შესაძლებელ ბრალდებისაგან. ცხადია რომ აქ სულ უმცირესი რომ ვსთქვათ, უბრალო გაუგებრობაა. რამდენსაც არ უნდა ლაპარაკობდნ „Что делать“-ის გმირები „მოთხოვნილებათა არ დახშობის“ შესახებ, ეს ყველაფერი ინტერესისა და ეგოიზმის მორალის ფარგლებში რჩება, რომელთა „გაზნეობრივება“ იქაა მოთავსებული, სადაც ადამიანის ზნეობრივ საქციელს მოთხოვნილება აქვს წარდგენილი — ბუნების ჩვენებას და კანონს მიჰყვეს. სტოელთა მორალი სამწუხაროდ აქამდე დატოვებულია ცოდნისა და ანგარიშის გაწევის გარეშე. ნუ დავივიწყებთ, რომ ისინიც მატერიალისტები იყვნენ.

ეგოიზმის მორალის ალტრუიზმით შევსების ნაცვლად, როგორც ამას მე-XVIII საუკ. მორალისტები სჩადიოდნენ, ჩერნიშევსკი შეიმუშავებს ე. წ. „გონიერი ეგოიზმის“ ცნებას. ეს მოძღვრება, ცხადია, იმავე ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებათა ნიადაგზე რჩება, მაგრამ უფრო კატეგორიული და რადიკალურია. ვიდრე წინა დროის მატერიალისტების შეხედულებანი. ამ მხრივ უტილიტარიანიზმი საერთო საფუძველი იყო ორივე შემთხვევაში. ახალი, რაც შეიძლება ჩენიშევსკის მიეწეროს, არის ისეთივე თანმიმდევრო რადიკალიზმი ეთიკაში, როგორც მატერიალიზმში, საერთოდ. ეს ერთი. მეორე სიახლე, ასე ვთქვათ, მდგომარეობს იმაში, რომ ჩერნიშევსკიმ თავის პრობლემის ირგვლივ თავი მოუყარა და მკვეთრად წამოაყენა მომენტები, რომლებიც საუცხოვო სიცხადით ნათელჰყოფენ მატერიალიზმის იდეალიზმით გარდასვლას. ამ მიზნით იყო გამოწვეული ჩერნიშევსკის ეთიკა, რომ ბოლოსათვის ჩამოვტოვეთ, ინტერესი და ანგარიში უტილიტარისტულმა ზნეობამ ყოველთვის იცოდა. საფრან-

გეთში თუ ინგლისში, რაციონალიზმიდან თუ სენსუალიზმიდან გამოსულმა ეთიკამ ყოველთვის იცოდა ის დანართი, რომელიც ბუნებას ერთეოდა და იმავედროს ამავე ბუნების ნიადაგზე რჩებოდა. მაგრამ მხოლოდ ჩერნიშევსკიმ თავისი შეუდრეკელი თანმიმდევრობით მიიყვანა ეს მოვლენა ლოგიკურ დასკვნამდე და მით აღვილად გასაგები გახდა მატერიალიზმის, ეკონომიკურიზმის ის საკვირველი დამთხვევა, რომელიც ჩერნიშევსკის მკვლევარებმა მარქსის თეორიულ მუშაობას იპყრობს, მაგრამ რომლის ეკლექტიზმად გამოცხადებას ვერავინ ბედავს. ჩერნიშევსკის მიერ ყოველი ორაზროვნობის გარეშე გატარებული მოქნილი მატერიალისტური თვალსაზრისი არ სტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ის ეკლექტიკოსი არ იყო. მისი ეთიკა, სადაც მატერიალიზმი—ადამიანის ეგოიზმი და იდეალიზმი ერთი მეორეს ხედება უნდა იყოს ნიმუში იმისა, თუ როგორ ხდება ჩერნიშევსკის სოციალ ფილოსოფიაში ე. ი. საზოგადოების ისტორიის თეორიაში მატერიალიზმის და იდეალიზმის შეხვედრა.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მექანიკურმა მატერიალიზმმა ბუნება პასიურად გაიგო და ამიტომ აქტივობა იდეალიზმს დაუთმო. არსად ისე ნათლად არა სჩანს მარქსის დიაგნოზის სიცხადე, როგორც ჩერნიშევსკის ეთიკის მაგალითზე. რა არის ეგოიზმი? ადამიანის ბუნება, უპასუხებს ჩერნიშევსკი. საქმე, ცხადია, ამით არ თავდება, რადგან რა გინდ ინდივიდუალისტური და აბსტრაქტული არ უნდა იყოს ფეიერბახ-ჩერნიშევსკის მატერიალიზმი, ის მაინც ცხადია, რომ მორალი ბუნების გარდა კიდევ რაღაცას საჭიროებს. დოგმატიურმა მატერიალიზმმა ამ მეორე საჭიროებაზე პასუხის მიცემა ვერ მოახერხა: მატერიალისტურად ახსნილი ადამიანის ბუნება ზნეობის საკითხში ინტერესით მიიშრთება, მაგრამ თვით ამ ინტერესის შემდგომი წარმართვის გაგებას იგი საკუთარი საშუალებით ვერ ახერხებს, რადგან გარემო, რომელშიც არის მოთავსებული არაა გაგებული მარქსის ტერმინით რომ ვთქვათ „სუბიექტიურად ე. ი. მომქმედად“. ამის შემდეგ რა გასაკვირვია, რომ, თუ ჩერნიშევსკიმ ვერ მოახერხა ადამიანის ინტერესთა და გარემოს შორის დიალექტიკურ ურთიერთობის აღმოჩენა, ინტერესის განვითარების ასახსნელად მას ერთი და გზა დარჩა—საქმეში გონების ჩარევა. ამ გზითაა შემუშავებული ნ. გ. ჩერნიშევსკის „გონიერი ეგოიზმი“, რომელიც საუცხოვო ნიმუშია მის აზროვნებაში მატერიალიზმისა და იდეალიზმის ერთი მეორეს გვერდით დასადგურებისა. ამითვე მოცემულია გზა, თანახმად კ. მარქსის პროგნოზისა, სოციალ-ისტორიულ შეხედულებებში იდეალიზმის შეჭრისა.

გარდასვლა ეთიკიდან სოციალურ ფილოსოფიაში ჩვენ გამოვიყვანეთ თეორიულად ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევის იმ განხილვის გზით, რომელსაც აქამდე ვაწარმოებდით, მაგრამ ეს თეორიული გამოყვანა სავსებით მართლდება იმ ფაქტიური გზით, რომელიც თვითონ ჩერნიშევსკის მიერ არის სხვადასხვა შემთხვევაში ნაჩვენები. ინტერესი, რომელზედაც ნ. გ. ჩერნიშევსკი ლაპარაკობს ეთიკაში, მას მიაჩნია სოციოლოგიურადაც იდეოლოგიის განმსაზღვრელ გარემოებად; ასე მაგ. «Современник»-ის მე-4 წიგნი 1861 წელს ის სწერს „აიღეთ რომელიც გნებათ ჯგუფი ადამიანებისა, მათი აზრი ყოველთვის შთაგო-

ნებულია (სწორით თუ შემცდარით, როგორც შევნიშნეთ, სულ ერთია) წარმოდგენებით მისი ინტერესებზე“. ამ რიგად ინტერესი ადამიანის (და მათი ჯგუფის) ძირითადი ბუნებაა—აქამდე მატერიალიზმია; ხოლო საზოგადოებრივი სახე ინტერესისა არის „წარმოდგენა ინტერესზე“, ამდენად, ნ. გ. ჩერნიშევსკისაც აქვს თავისებური მატერიალისტური ბაზისი იდეოლოგიური ზედაშენისათვის, მაგრამ დამოკიდებულება მათ შორის გარემოწერილობით და არა ორგანიული და დიალექტიკური; ამის შემდეგ თითოეული მათგანი თავისი საკუთარი გზით მიდის და ამითი აიხსნება ფილოსოფიურ მატერიალიზმის და სოციოლოგიურ იდეალიზმის („წარმოდგენების“ მიერ „შთაგონებული“ იდეოლოგია) მეზობლობა.

ნ. გ. ჩერნიშევსკის ძირითადი მატერიალისტური თეზისი, რა თქმა უნდა, ცნობიერებას და იდეებს მეორეობითი ადგილს აკუთვნებს. ასე რომ, თუ საქმე პირდაპირ შედარებაზე მიდგება ამ ორ რიგს შუა, დასაშვები და შესაძლებელია, რომ ავტორმა სოციალურ მოვლენების და ისტორიის სფეროშიაც პირველობა მატერიალისტურ მომენტებს მიაკუთვნოს. იმ გარემოებიდან, რომ დიალექტიკამდე ვერ მისულ მატერიალიზმს არ გააჩნია უშუალო გზა სოციალ ცხოვრების აუცილებლობის ხაზით გაგებისა, არ გამომდინარეობს რომ შემთხვევები სოციოლოგიაშიც მატერიალისტურ გაგების მომენტებისა გამორიცხებულია. ასე მაგ., როცა ჩერნიშევსკი სეისა და ფურიეს, რომელთანაც მას გარკვეული დამოკიდებულება ჰქონდა, ერთი მეორეს აღარებს, აღნიშნავს, რომ ცოდნა ვერ განსაზღვრავს ისტორიულ ცვლილებათა მიმართ დამოკიდებულებასო. „ფურიემ ისტორია სეისზე უკეთ არ იცოდა, მაგრამ სულ სხვა დასკვნებამდე მივიდაო... ვისთვისაც კარგია აწმყო—განაგრძობს ჩერნიშევსკი—მას არ უჩნდება აზრი ცვლილებაზე; ხოლო ვისთვისაც ცუდია, მას ასეთი აზრი გაუჩნდება, დამოუკიდებლივ იმისაგან, აქვს მას ისტორიული ცოდნა, თუ ასეთისაგან სრულიად თავისუფალია“ (Собр. сочин. т. VIII გვ. 138). აქედან ნათელია, რომ, როგორც მატერიალისტს, ნ. გ. ჩერნიშევსკის შეეძლო ზოგი ისტორიული მოვლენა მატერიალისტურად აეხსნა, მაგრამ როგორც დიალექტიკურ მატერიალიზმამდე ვერ მისულმა, მან ასეთი შემთხვევები ერთ მთლიან პროცესს ისტორიულ აუცილებლობისა ვერ დაუქვემდებარა. ამიტომაც შეიქმნა ნ. გ. ჩერნიშევსკისათვის შესაძლებელი სოციოლოგიაში და ისტორიაში იდეალისტური მომენტების შეტანა.

იმავე 1861 წ. შემდეგ, ე. ი. მე-5 ნომერში „Современник“-ისა ნ. გ. ჩერნიშევსკი ათავსებს წერილს „რომის და ცემის შესახებ“. მაშასადამე როგორც აქ, ისე ზემოდ დასახელებულ მე-4 ნომერში იდეოლოგიური ძირი ავტორის აზროვნებისა ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო. ამ წერილში ავტორი ამტკიცებს არც მეტს, არც ნაკლებს იმისა, რომ მიზეზი რომის დაცემისა შინაგანი მიზეზებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ კულტურისა და უკულტურობის, ცოდნისა და უვიცობის შემთხვევითი დატაკებით. პროგრესი და განვითარება—ავტორის აზრით, არის ცოდნის და გონებრივი კულტურის განვითარება და სხვა ყელაფერი ამისგან არის დამოკიდებული. თუ კი გავრცელდება სწორი აზრები, საზოგადოება უკეთ

მოაწყობს თავის ცხოვრებას და ისტორიული პროგრესივ სასურველი და საჭირო გზით წავა, „რომის იმპერიის დაღუპვა ისეთივე გეოლოგიური კატასტროფაა, როგორც გერკულანუმის და პომპეის დაღუპვა“ დააკვსის ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის წერილს და ამით საბოლოოდ ნათელჰყოფს, რომ ისტორიული აუცილებლობის ვერ შეგნება და იდეალიზმისათვის მარქსის გაგება — ერთი მეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია.

ამით შეიძლება დავამთავროთ ნ. გ. ჩერნიშევსკის ნააზრევის მოკლე მიმოხილვა. ცხადია, რომ ჩვენ აქ ვერ მოვახერხეთ მთავარის დახასიათებაც კი, მაგრამ ჩერნიშევსკის აზროვნების ელემენტები და აგებულობა შეძლებისდაგვარად ნათელჰყავით. ამდენად ჩვენი თემა „ჩერნიშევსკი, როგორც მოაზროვნე“ რამოდენიმეთ მაინც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. ზემო ნათქვამიდან ნათელია ამ აზროვნების, როგორც ცალკეული ელემენტები, აგრეთვე მათი შინაგანი დამოკიდებულება. როგორც ზევით აღინიშნა, ჩვენი თემის გაშლის ჩარჩოებათ, ერთის მხრივ კი მარქსის შენიშვნები ლ. ფეიერბახის მიმართ, და მეორეს მხრივ ვ. ლენინის დახასიათება ნ. გ. ჩერნიშევსკის აზროვნებისა, მივიღეთ. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ ამ გვეგმის ფარგლებში სავსებით გამოირკვა, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი „მთლიანი მატერიალიზმის თვალსაზრისზე“ (ვ. ლენინის ტერმინია) იდგა, მაგრამ ამ მატერიალიზმს ყველა ის ნაკლი აღმოაჩნდა, რომელიც კ. მარქსმა ფეიერბახის მატერიალიზმში აღმოაჩინა: მექანიზმი და პასივობა. ამიტომაც ნ. გ. ჩერნიშევსკის მატერიალიზმი თვითონ ვერ იქცა სოციალურ მოძრაობის დროშად და დარჩა მასზე გარეგნულად დაშენებულ იდეოლოგიის რადიკალიზმის დასაყრდენად (მე-XVIII საუკ. განათლების რადიკალიზმი ასევე დაკავშირებული მატერიალიზმთან). მიუხედავად ამისა, იმ რუსეთის სინამდვილეში, რომლის თვალსაზრისით ვ. ლენინმა შეუმსუბუქა ნ. გ. ჩერნიშევსკის ისტორიულ-იდეოლოგიური პასუხისმგებლობა, უკანასკნელი გმირულად ეკვეთა „თავის ეპოქას, იხილა მომავალი დღის რიერაჟი, იქონია სითამამე ამ დღის მოსვლას მისალმებოდა და დამოუკიდებელი და ამაყი ხმა აღამაღლა“ (ნ. გ. ჩერნიშევსკი — „Труды“). ამით ნ. გ. ჩერნიშევსკი დღევანდელი დღის წინამორბედი და ამითაა გაცხოველებული დღევანდელი ინტერესი მისი ნააზრევის შესწავლისადმი



## ჩერნიშევსკის პოლიტიკა 50-იან წლებში \*)

ჩერნიშევსკიმ ახალგაზრდობიდანვე შეითვისა ზიზლი რუსეთის პოლიტიკური წყობილებისა და მთელი საზოგადოებრივი სტრუქტურის წინააღმდეგი იგი თავიდანვე ოცნებობდა გლეხთა განთავისუფლებაზე ბატონ-ყმურ უღლისაგან. 50-იან წლების მეორე ნახევარში, როდესაც დაისვა გლეხთა განთავისუფლების საკითხი პრაქტიკულად, ჩერნიშევსკიმ მხურვალე მონაწილეობა მიიღო პრესაში ამ საკითხის გამორკვევის საქმეში, მაგრამ გლეხთა საკითხი ჩერნიშევსკისათვის ღრმად იყო დაკავშირებული მთელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილების სისტემასთან: სამართლიანი გადაწყვეტა გლეხთა საკითხისა ჩერნიშევსკის აზრით შეუძლებელი იყო, თუ არ მოხდებოდა ძირითადი ცვლილება თვით პოლიტიკურ წყობილების მექანიზმში. ხოლო ეს მექანიზმი გახრწნილი იყო თავიდან-ბოლომდე. „აზიური გარემოება ცხოვრებისა, აზიური საზოგადოებრივი წყობილება, აზიური წესი საქმეებისა“—აი ასეთი სიტყვებით ახასიათებდა ნ. ჩერნიშევსკი რუსეთის თვითმპყრობელობის სისტემას. ბრძოლა ამ „აზიური წყობილების“ წინააღმდეგ უმთავრეს ამოცანად გადაიქცა ჩერნიშევსკის ლიტერატურული და პრაქტიკული საქმიანობის.

აქედან ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ჩერნიშევსკიმ ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე ღრმად დაუკავშირა მთელი საზოგადოებრივი წყობილების ძირიანად გარდაქმნის საქმეს, უკეთ რომ ვსთქვათ, ბატონ-ყმობის პოლიტიკური საზომითაც განიხილა და გარკვეული პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა.

უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკი ძლიერ ცოტა ხნის განმავლობაში ვერ გაირკვა გლეხთა განთავისუფლების საკითხში: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცოტა ხნის განმავლობაში ისიც დარწმუნებული იყო, რომ ალექსანდრე II-ის მთავრობა ჩაატარებდა რეფორმას და ის მოუწოდებდა მთავრობასა და შემამულეებს გაენთავისუფლებიათ გლეხობა მიწითა და გამოუყიდელად. უკეთ რომ ვსთქვათ, იგი მომხრე იყო მთავრობას გამოეყიდა მიწები, ხოლო გლეხების უმიწოდ განთავისუფლებისა და „ნადელის“ შემცირების რადიკალურად წინააღმდეგი იყო, ის მოითხოვდა გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას სხვადასხვა ზომებით და მასთანვე „ნადელის“ გადიდებას ერთი მესამედით.

\*) ამოღებულია შემოკლებით დაუბეჭდავ შრომიდან: „ნიკოლოზ ჩერნიშევსკი“. ავტორი.

ამრიგად უარყო რა ჩერნიშევსკიმ მიწების გამოყიდვა გლეხების მიერ და კატეგორიულად მოითხოვა გლეხების მიწით განთავისუფლება, მან მეორე გარკვეული აგრარული პროგრამაც წამოაყენა: ჩერნიშევსკი მოითხოვდა მიწის თემური მფლობელობის დაცვასა და მისი საფუძვლების გაფართოებას. ჩერნიშევსკისათვის ნათელი იყო, რომ რუსეთი უკვე დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას. ეს გარემოება მას ძლიერ აფიქრებდა; ის დარწმუნებული იყო რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება გააღატაკებდა გლეხობას და გადააქცდევდა ბოგანო მასად; ამიტომ ჩერნიშევსკისათვის არ იყო საკამრისი გლეხთა მიწით განთავისუფლება, იგი მოითხოვდა მომავალშიაც უზრუნველყოფას გლეხების მიწების დაკარგვისაგან; ამ მხრივ თემური მიწადმფლობელობა საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა მას გლეხთა ეკონომიური წარმატებისა და კეთილდღეობისათვის.

ამრიგად თემური წყობილება მიწისა, ჩერნიშევსკის აზრით, საუკეთესო საშუალება არის, გადარჩეს გლეხი სრულ გაპროლეტარებას: კაპიტალიზმის განვითარება უბედურებას უმზადებს რუსეთის გლეხობას, მისი ფართო განვითარება რუსეთში შესაძლებელია დაიწყოს ახლო მომავალში, ამიტომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის და მივიღოთ ზომები მიწის მუშებისათვის საფაბრიკო ექსპლოატაციის ასაცდენად. ამის საწინააღმდეგო ერთ-ერთ საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია დაცვა გლეხთა თემური მიწის მფლობელობისა<sup>1)</sup>.

მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო ამ მომენტებით არ კმაყოფილდება და თემურ წყობილებაში ხედავს არა მარტო კაპიტალისტურ ექსპლოატაციისაგან დასახსნელ საშუალებას, არამედ ერთად-ერთ პირობასაც სოფლის მეურნეობის ეკონომიური აღორძინებისათვის. ჩერნიშევსკი სწერდა:

თემური მიწადმფლობელობა საჭიროებას წარმოადგენს არა მარტო მიწად მომჭმედი კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ თვით მიწის დამუშავების წარმატებისათვის: ის წარმოადგენს ერთად-ერთ გონივრულ და სრულ საშუალებას შეუერთდეს მიწის მუშის სარგებლიანობა მიწის გაუმჯობესების საქმეს და წარმოების მეთოდები მუშაობის კეთილ სინდიკურ აღსრულებას<sup>2)</sup>.

ასეთი არის ჩერნიშევსკის შეხედულება თემურ წყობილებაზე. ქვევით, ჩერნიშევსკის სოციალისტური სისტემის განხილვის დროს ჩვენ დამატებით განვიხილავთ ამ საკითხს და გამოვარკვევთ, თუ როგორი ადგილი უჭირავს თემს ჩერნიშევსკის სოციალისტურ გეგმებში.

ჩერნიშევსკისათვის ნათელი გახდა შეუძლებლობა გლეხთა საკითხის ლეგალური გზით გადაწყვეტისა და მანაც სხვა გზა აირჩია, სხვა ტაქტიკას მიმართა; ტაქტიკას, რომელიც არალეგალურ საშუალებაში გამოიხატებოდა: რევოლუციონურ ბრძოლასა და გლეხთა აჯანყებაში. ასეთი რევოლუციონური ტაქტიკა ჩერნიშევსკიმ ჯერ კიდევ 1848 წლის რევოლუციის გავლენით შეითვისა. იმავე რევოლუციონური მოძრაობის გავლენით ჩერნიშევსკი ოცნებობდა რუსეთში გლეხთა აჯანყებისა და თვითმპყრობელობის დამხობაზე. ახლა უკვე დაი-

1) Н. Чернышевский т. 4, гл. 97.

2) т. 4, гл. 321—322.

სვა ჩერნიშევსკისათვის ამ ოცნების რეალურად განაღდების საკითხი: გლახური რევოლუციის პრაქტიკულ-ორგანიზაციულად მოწყობის საქმე. ლეგალურ ლიტერატურაში ჩერნიშევსკიმ მიმართა თავისი კრიტიკა მთავრობის პროექტებისა და ლიბერალური თავად-აზნაურულ შეხედულებათა წინააღმდეგ. და უნდა ითქვას, რომ ჩერნიშევსკიმ უდიდესი ცოდნა გამოიჩინა მაშინდელი რეალური სინამდვილისა და მაშინდელი საზოგადოებრივი კლასების ანტიკონსტიტუციური დამოკიდებულების, როგორც ეს აღნიშნა ლენინმა. <sup>1)</sup> ჩერნიშევსკიმ გამოაშკარავა სრული უნიადაგობა და უსუსურობა რუსეთის ლიბერალებისა და მათი პროგრამის გლახთა საკითხში. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა რუსეთის ლიტერატურაში, როდესაც ერთი მეორეს გარკვევით დაუპირდაპირეთ ლიბერალურ-ბურჟუაზიული აზროვნება და სოციალისტურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა. 60-ან წლებამდე რუსული ლიბერალიზმი და დემოკრატიულ-სოციალისტური მიმდინარეობანი თითქმის შეთანხმებულად მიდიოდნენ და მათ შორის არ იყო მომწიფებული ნიადაგი გადამჭრელი ბრძოლისათვის. 60-იან წლებში, როდესაც დაიწყო რეფორმების პერიოდი და პრაქტიკულად დაიწვა რუსეთის ცხოვრების დიდი მნიშვნელობის პრობლემები, მათ შორის გამოაშკარავდა სრული წინააღმდეგობა; და ჩერნიშევსკი იყო პირველი, რომელმაც გადამჭრელი იერიშები მიიტანა რუსეთის ლიბერალურ მიმდინარეობის წინააღმდეგ. ნ. ჩერნიშევსკის ასეთმა ბრძოლამ ლიბერალიზმის წინააღმდეგ კრიზისიც გამოიწვია „სოცრემენიკის“ რედაქციაში: რუსეთის ლიბერალურმა ინტელიგენციამ და მწერლებმა ჩერნიშევსკში თავისი მოსისხლე მტერი დაინახეს და გასწყვიტეს კავშირი იმ ორგანოსთან, რომლის სულის ჩამდგმელიც იგი იყო. უკვე ერთი ის ფაქტი, რომ ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი და რადიკალური დემოკრატიული მოაზროვნე მტრულ განწყობილებაში აყენებდა მას რუსეთის ლიბერალიზმის მიმართ, მაგრამ ჩერნიშევსკისათვის პირდაპირ მიუღებელი იყო ის უხასიათობა და უუნარიანობა, რომელსაც იჩენდნენ რუსეთის ლიბერალები გლახთა საკითხში და თვითმპყრობელობასთან მორიგების საქმეში.

ჩერნიშევსკის პოლიტიკა სხვა სოციალურ წრისაკენ იყო მიმართული: იგი მოელოდა უახლოეს დროში გლახთა აჯანყებას რუსეთში, მისი აზრით ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი ლეგალური გზით შეუძლებელი არის და რაც უფრო ცუდ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული გლახობა, მით უფრო მოიგებს რევოლუციის საქმე. ჩერნიშევსკი ფიქრობდა, რომ ყალბი „რეფორმის“ ზეგავლენით მასების უკმაყოფილება დიდი იქნება, მოძრაობა მიიღებს გრანდიოზულ ხასიათს და გლახთა ამოქმედებული რევოლუციონური მოძრაობით დაეცემა არსებული სისტემა და შემდეგ სულ სხვაგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიქმნება რუსეთში. სრულიად სისწორით გადმოვეცემს ნიკოლაევი, რომელმაც რამოდენიმე წელი ჩერნიშევსკთან ერთად გაატარა კატორღაში, ჩერნიშევსკის პოლიტიკურ ხაზს, რომელიც იმას გაგონილი ჰქონდა პირადათ თვით ჩერნიშევსკისაგან. თავის მოგონებაში იგი სწერს: ჩერნიშევსკი ფიქრობდა, რომ „კატასტროფა უახლოეს დროში შეუძლებელია, მაგრამ მოვა-

<sup>1)</sup> Ленин, Собр. соч. т. 1 გვ. 178-79.

ლეობა მოაზროვნე და პირდაპირი ადამიანისა ის არის, რომ მიისწრაფოდეს მისკენ (კატასტროფისაკენ) და გააკეთოს ყოველივე მის მოსაახლოებლად, ნაკლები ფრაზები და თეორიები, მეტი მოქმედება“<sup>1)</sup>.

ჩერნიშევსკის ეს მოქმედების თეორია რევოლიუციონურ მოძრაობაში გამოიხატებოდა, რომელსაც უნდა მოესპო ძველი სახელმწიფოებრივი წყობილება და ძალა-უფლება გადაეცა რევოლიუციონური პარტიისათვის. ჩერნიშევსკის რევოლუციონური პარტიისათვის, რომელიც მოთავსებულია „კოლოკოლის“ იმავე წლის პირველი მარტის 64 ნ-ში „Русский человек“-ის ხელმოწერით, ხოლო მეორე მისი შესანიშნავი პროკლამაციაა „Барским крестьянам“.

პირველ წერილში ჩერნიშევსკი ილაშქრებს რა გერცენის ლიბერალურ შემთახმებელ პოლიტიკის წინააღმდეგ, სწერს:

„ნიკოლოზის მეფობის უკანასკნელ ხანებში ყველა წრეები, რომელთაც გულწრფელად და ღრმად უყვარს რუსეთი, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება ადამიანური უფლებების გამოვლენა მეფის ხელისუფლებისაგან ხალხისათვის, რომ მხოლოდ ის უფლებებია გამძლე, რომელიც ძალით არის მოპოებული და რომ ის რასაც იძლევიან (ხევიდან) მას ადვილათვე წაართმევენ“... აღექსანდრე მეორის გამეფებით თითქოს არტახები მოუშვეს. ყველანი თავისუფლებაზე ლაპარაკობდნენ და დაივიწყეს, რომ გლეხთა განთავისუფლების საქმე მემამულეებს ჰქონდათ მინდობილი. აღნიშნავს რა, რომ „რეფორმას“ არ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს რუსეთის ხალხს და რომ ლიბერალების პოლიტიკა სრულიად არ შეესაბამება ხალხის ინტერესებს, ჩერნიშევსკი განაგრძობს: „გლეხები და ლიბერალები სხვადასხვა გზით მიდიან. გლეხები, რომელთაც მემამულენი ამ უამად განსაკუთრებული სიბოროტით ჩაგრავენ, მზად არიან შიშართონ ნაჯახს, ხოლო ლიბერალები კი ამ დროს ზომიერებას ქადაგობენ“<sup>2)</sup>. ისტორიულ თანდათან პროგრესს, და ვინ მოსთვლის კიდევ რას, რა გამოვა აქედან? შეიძლება გამოვიდეს აქედან,—იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ხელმძღვანელების გარეშე ხელს მოკიდებს ნაჯახს,— გაუგებრობა, რომლის დროსაც მეფე, როგორც მღვრიე წყალში, დაიჭერს თევზებს, შეიძლება რაიმე კარგი გამოვიდეს, მაგრამ დაიღუპება ჩვენი ყოველგვარი ლიბერალური თაობა, რომელმაც ეერ შესძლო ხალხის მოძრაობასთან დაახლოება და მისი ხელმძღვანელობა. თუ პირველი მოხდა—ეს უბედურება იქნება, თუ მეორე—სანაღვლელებელი არაფერი გვაქვს. რათ უნდა გავცვალოთ ფრანტები ყვითელ ხელთათმანებში, რომელნიც მსჯელობენ „დემოკრასიაზე“ ამერიკაში და არ ესმით თუ რა უნდა გააკეთონ შინ; რათ უნდა ვინაღვლოთ ეს ფრანტები, რომელნიც ზიზლით არიან გამსჭვალულნი ხალხისადმი, დარწმუნებულნი, რომ რუსეთის ხალხისაგან არაფერი გამოვა. არა, ჩვენი მდგომარეობა აუტანელი, პირდაპირ გამოუვალია, და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი ხსნა და გარდანაჯახისა ვერაფერი ვერ გვიშველის. ეს აზრი თქვენ, ვკონებ, უკვე გაგაცნეს<sup>3)</sup>, და იგი ზედმეტად სწორი არის: სხვა გამოსავალი არ არის. თქვენ (გერცენმა) რაც შეგეძლოთ გააკეთეთ იმისათვის, რომ ხელი შეგეწყოს საქმის მშვიდობიანი დაბოლოებისათვის. შეიცვალეთ ახლა ტონი, დაე თქვენმა „კოლოკოლმა“ მოუ-

1) Николаев: „Личные воспоминания о пребывании Н. Г. Чернышевского в каторге—1867—72 г. г.“ 1906 г.

2) М. Лемке: Политические процессы в России в 60-х годах. გვ. 163—72 1925 г.

3) ჩერნიშევსკის ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ქონდეს ის საუბარი, რომელიც სწარმოებდა ლონდონში 1859 წ. მასა და გერცენის შორის.



წოდოს არა ლოცვისაკენ, არამედ საყვიროსაკენ: ნაჯახისაკენ მოუწოდეთ რუსეთს <sup>1)</sup>.

ჩერნიშევსკიმ კარგად იცოდა, რომ ნაჯახის აღმართვა და აჯანყების მოწყობა მასის დაუხმარებლად და მასის გარეშე აუცილებლად დამარცხდებოდა. ამ შემთხვევაში მისი რევოლიუციონური ტაქტიკა საგრძნობლად განსხვავდებოდა ბლანკის ტაქტიკისაგან: ბლანკი შეთქმულების თეორიის შემხრე <sup>2)</sup> აქვთ, ხელოვნურ რევოლიუციონურ ტაქტიკას ემყარებოდა, რომელსაც მოახდენდა შეთქმულთა ჯგუფი ხალხის დაუხმარებლად; მხოლოდ რევოლიუციონერების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ მიიღებდა ხალხი მონაწილეობას ახალ ცხოვრების მშენებლობის საქმეში. სხვა ხაზით მიემართებოდა ჩერნიშევსკის პოლიტიკა: იგი ფიქრობდა, რომ ხალხური მოძრაობის გარეშე და მის დაუხმარებლად რევოლიუციონური ინტელიგენცია ვერ მიაღწევდა თავის მიზანს და დამარცხდება. „დედამიწაზე ყოველივე — სწერს ჩერნიშევსკი, — თავისი განხორციელებისათვის თხოულობს ძალას; ცუდიც და კარგიც ერთნაირად უმნიშვნელოა, თუ მათ ძალა არ აქვთ.... ძლიერია საზოგადოებაში ის, ვისაც მხარს უჭერს უმრავლესობა“, და ამ უმრავლესობის ძალისა და თანაგრძნობის მოსაპოვებლად ჩერნიშევსკიმ თავის სამოღვაწეო მიზნად დაისახა რევოლიუციონური აგიტაციისა და პროპაგანდის წარმოება დაჩაგურლ მასებში, და რევოლიუციონური ორგანიზაციის მოწყობა — ერთის მხრივ. ამ ტაქტიკის ნაყოფი იყო 80-იან წლების რევოლიუციონური პროკლამაციები და მათ შორის, ჩერნიშევსკის შესანიშნავი მიმართვა ყმა-გლეხებისადმი, ხოლო მეორეს მხრივ მთელი რიგი რევოლიუციონური ორგანიზაციების ჩამოყალიბება 80-იან წლებში. ინტელიგენციის ამ რევოლიუციონურ-პროპაგანდისტურ მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ა. სლევკოვი. თავის მოგონებებში იგი სწერს:

უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ გეგმა ძლიერ მოხდენილად იყო შედგენილი: მიღებული იყო მხედველობაში თანდათან მიმართვა, მაგრამ რაც შეიძლება უახლოეს დროში, ყველა ამ ჯგუფებისადმი, რომელზედაც თავისი გავლენა უნდა მოეხდინა ხალხის მოტყუილებას 19 თებერვლის რეფორმით, გლეხები, ჯარისკაცები, რასკოლნიკები (ამ უკანასკნელზე მაშინ საერთოდ დიდსა და, რასაკვირველია, მეტად შემცდარ რევოლიუციონურ იმედებს ამყარებდენ) — სამი დაჩაგრული ჯგუფი იყო. მეოთხე იყო ახალგაზრდობა, მათი მეგობარი, დამხმარე, აღმაფრთოვანებული და მასწავლებელი. ამისდამიხედვით როლები შეძლებისდაგვარად იყო განაწილებული: ჩერნიშევსკის, როგორც გლეხთა საკითხის მცოდნეს, რომელიც მას მართლაც ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი, უნდა დაეწერა პროკლამაცია გლეხებისადმი; შელგუნოვმა და ნიკოლოზ ობრუჩევმა აიღეს თავიანთ თავზე ჯარის-კაცებისადმი მიმართვის დაწერა; რასკოლნიკებისადმი — მიანდეს შნაპოვს, შემდეგ-კი, არ მახსოვს რა მოსახრების გამო, ისიც ნიკოლოზ გაბრიელის ძეს (ჩერნიშევსკის) გადასცეს; ახალთაობა აიღეს შელგუნოვმა და მიხაილოვმა. ამ გეგმაზე და მისი სისრულეში მოყვანის შესახებ მე გადმომცა 1861 წლის დასაწყისში თვით ჩერნიშევსკიმ... <sup>3)</sup>

დიდიხნის განმავლობაში მკვლევართათვის არ იყო ნათელი, თუ ვის ეკუთვნოდა პროკლამაცია: „Барским крестьянам“. სლევკოვისა და შელგუნოვის

<sup>1)</sup> იქვე გვ. 168 — 172.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 318.

მოგონებებში საკითხს სრული სინათლე მოფინეს: დღეს ყველასათვის ნათელია რომ ამ შესანიშნავი რევოლიუციონური პროკლამაციის ავტორი ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო. ჩერნიშევსკი იმდენად მოხდენილად აწარმოებდა კონსპირატიულ მუშაობას, რომ თვით ალექსანდრე მეორეს აგენტებმაც ვერ მოახერხეს დამამტკიცებელი საბუთის პოვნა. მათ დანამდვილებით იცოდნენ, რომ ჩერნიშევსკი მონაწილე იყო რევოლიუციონური ორგანიზაციისა და დამწერი რევოლიუციონური სააგიტაციო პროკლამაციის, — ამ მხრივ მათ საკმაო ცნობები მიაწოდა რენეგატმა და მოღალატე. კოსტამაროვმა — მაგრამ არც კოსტამაროვსა და, მაშასადამე, არც ეანდარმთა სამმართველოს არ ჰქონდა შესაფერისი საბუთი ხელთ, მაგრამ რა საჭირო იყო საბუთი, როდესაც სამმართველო და მთავრობა დარწმუნებული იყო ჩერნიშევსკის ავტორობაში!

ეს შესანიშნავი პროკლამაცია დაწერილი წმინდა ხალხური ენით, თავის პირველ ნაწილში უხსნის გლეხობას „რეფორმის“ უარყოფით მხარეებს და აღნიშნავს, რომ მეფემ მოატყუილა გლეხობა: არა თავისუფლება, არამედ მემამულეთა მუდმივი მონობა მოუტანა მეფის მანიფესტმა გლეხობას, ისეთი მონობა, რომელიც ბევრად უფრო უარესი იქნება დღევანდელზე. ეს ასე იყო და ასე იქნება მანამ, სანამ მგლები, ე. ი. მემამულენი და მოხელეები დარჩებიან. თვით მეფე მსხვილი მემამულეა, მასაც ყავს უამრავი ყმები; გლეხები მემამულეთა ყმები არიან, მემამულენი მეფის მსახურნი არიან; მეფე მათი მემამულეა. მაშასადამე, ისინი ერთი და იგივე არიან; ნათქვამია: ძალდი ძალდის ტყავს არ დახვესო და მეფესაც ნებატონეთა მხარე უჭირავს და გლეხებს ატყუილებს, ახალ მონობას ქმნის. საჭიროა ხალხი იყოს მმართველი: „ხალხი იყოს ყოველთვის მეთაური, რომ უფროსები ხალხს ემორჩილებოდნენ, რომ სასამართლო იყოს სამართლიანი და თანასწორი ყველასათვის“... მაგრამ ასეთი წყობილების დასამყარებლად საჭიროა გლეხთა შეთანხმება და რევოლიუციონური გამოსვლა; და პროკლამაციაც აქეთკენ მოუწოდებს გლეხობას. მოგვყავს უკანასკნელი ნაწილი მკირედი შემოკლებით:

გლეხებმა ერთმანეთში შეთანხმება უნდა დაამყარონ, რომ ერთად გამოვიდნენ, როდესაც დრო დადგება. სანამ დრო არ დამდგარა (აჯანყების ს. ხ.) უნდა ძალა შეინახოთ, უბრალოდ თავი უბედურებაში არ ჩაიგდოთ. მაშასადამე, მშვიდობიანობა დაიკავით და გარეგნულად არაფერი არ აჩვენოთ. თქმულება ამბობს, რომ ერთი კაცი მეომარი არ არისო. რა აზრი ექნება, რომ ერთ სოფელში არეულობა მოახდინონ, როდესაც სხვა სოფლებში ჯერ კიდევ არ არიან მზად? ეს ნიშნავს მხოლოდ საქმის გაფუჭებასა და თავისი თავის დაღუბვას. როდესაც ყველგან მზად იქნებიან და ყველგან დახმარება იქნება, მაშინ უნდა დაიწყოს საქმე. ამ დრომდე კი ხელს თავისუფლება არ უნდა მისცეთ, მშვიდობიანი სახე მიიღეთ, თვით თქვენნი ძმა-გლეხებს შორის იმსჯელეთ და მოამზადეთ, რომ თავისი ნამდვილი სახით იცოდნენ საქმის ვითარება. როდესაც თქვენს შორის თანხმობა დამყარდება, იმ დროისთვის მოწოდებაც გამოვა, რომ დრო არის ყველამ ძმურად დაიწყოთ ჩვენ (ე. ი. რევოლიუციონური ინტელიგენცია ს. ხ.) მიგზედებით როდის უნდა დავიწყოთ და განცხადებასაც გამოვცემთ. ჩვენ ყოველ ადგილზე ვვყავს ჩვენი რწმუნებულები, ყოველის მხრიდან ჩვენ ცნობები მოგვდის, როგორ არის ხალხი და რა უნდა ხალხს, და ჩვენ ვიცით, რომ ჯერ-კიდევ არ არის ხალხი მომზადებული. როდესაც მომზადებული იქნება, ჩვენ ამასაც გავიგებთ. მაშინ ჩვენ გამოვგზავნათ ასეთ განცხადებას, რომ დრო არის, რუ-

სეთის ხალხთა, კეთილი საქმე დაიწყეთ: რომ ყოველ ადგილებში ერთ და იმავე დროს დაიწყება კეთილი საქმე (ე. ი. აჯანყება ს. ხ.), იმიტომ რომ მაშინ ყველგან იქნება ხალხი მომზადებული და განმტკიცებული მათში ერთსულოვნება და ერთი სოფელი მეორეს არ ჩამორჩება. მაშინ ადვილიც იქნება თავისუფლების მოპოება. ამ დრომდე კი ემზადეთ საქმისთვის, გარეგნულად კი არ უნდა გამოამჟღავნოთ, რომ საქმისათვის (აჯანყებისათვის ს. ხ.) ემზადებით. ეს ჩვენი წერილიც ერთად წაიკითხეთ და სხვებისაც გადაეცით. გარდა თქვენი ძმა-გლეხისა და ჯარისკაცისა ყველას დაუმაღლეთ, იმიტომ რომ მხოლოდ გლეხისა და ჯარისკაცისათვის არის დაწერილი და არა რომელიმე სხვისათვის, მაშასადამე, თქვენი—გლეხობისა და ჯარისკაცთა გარდა იგი არავინ არ უნდა იცოდეს. <sup>1)</sup>

ასეთი არის ამ პირველი შესანიშნავი გლეხური პროკლამაციის შინაარსი. ამ პროკლამაციაში აღსანიშნავია შემდეგი მომენტები: ა) მეტის მეტად ღრმა და სწორი კრიტიკა 19 თებერვლის „რეფორმისა“, ბ) მოწოდება გლეხებისადმი შეთანხმებისკენ და შეერთებულად გამოსვლისაკენ აჯანყებაში; ჩერნიშევსკი უარყოფს ბუნტს, შეუთანხმებელსა და ანარქიულ გამოსვლას, რაც მას დამლუპველად მიაჩნია, მას უნდა, რომ გლეხურმა რევოლუციამ ერთ და იმავე დროს იფეთქოს მთელს რუსეთში, რევოლუციამ მიიღოს ორგანიზაციული და იმავე დროს უაღრესად ხალხური ხასიათი; გ) მაგრამ ჩერნიშევსკის ხალხური რევოლუციის ორგანიზატორად და მეთაურად ინტელიგენცია მიაჩნდა; მისი აზრით გლეხური რევოლუცია დამარცხდებოდა რუსეთში, თუ მის ხელმძღვანელობას და მეთაურობას არ იკისრებდა რევოლუციონური ინტელიგენცია. ჩერნიშევსკის აზრით ხალხი გაუნათლებელი და მოუმზადებელია, მასში შეგნება და ორგანიზაცია შეუძლია შეიტანოს მხოლოდ ინტელიგენციამ. გლეხური რევოლუცია ინტელიგენციის ხელმძღვანელობით—ასეთი არის ჩერნიშევსკის ტაქტიკურ-პოლიტიკური ხაზი რუსეთის მაშინდელი სინამდვილისათვის.

უნდა ითქვას, რომ არალეგალურ პროკლამაციაში გამოთქმულ აზრებსა და რევოლუციონურ-ტაქტიკურ შეხედულებებს ჩერნიშევსკი ახერხებდა, რასაკვირველია „ეზოპის ენით“ დაცვას ლეგალურ პრესაშიაც და მართალი იყვნენ მე-III განყოფილების მოყიდული „მიმომხილველნი“, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ჩერნიშევსკის ნაწერებსა და აღნიშნულ პროკლამაციის აზრებს შორის სრული თანხმობაა. „Записка о литературной деятельности Чернышевского“-ს ავტორი პირდაპირ სწერს თავის „საიდუმლო გამოკვლევაში“ მთავრობის საყურადღებოდ:

ახალი წყობილების განსაზოციებლად ძალდატანებითი საშუალებები, რომელიც წამოყენებულია გადაქრით პროკლამაციებში, თავის ლიტერატურულ ნაწერებში ასე თუ ისე ნათლად მხოლოდ მითითება (намекать) შეეძლო. ერთი სიტყვით, პროკლამაციები არსებითად ჩერნიშევსკის წერილების დასკვნა არის, ხოლო მისი წერილები—პროკლამაციების ვრცელი კომენტარები.

ასეთივე დასკვნამდე მივიდა მეორე წერილის („Разбор литературной деятельности Чернышевского“) ავტორი—პროვოკატორი ვ. კოსტამაროვიც, მისი აზრით, პროკლამაციასა და ჩერნიშევსკის სოციალ-პოლიტიკურ აზრებს შორის სრული მსგავსებაა: ჩერნიშევსკი უარყოფდა ბუნტს და მოითხოვდა საერთო სა-

<sup>1)</sup> К. Беркова: Н. Г. Чернышевский—გვ. 247—55. 1925 წ.

ხალხო რევოლიუციის განვითარებას; იგი კოსტამაროვის აზრით, ხალხის რევოლიუციაში ხედავდა ერთად-ერთ გამოსავალ საშუალებას არსებულ მდგომარეობიდან.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიციურ პუბლიცისტებისა და პროფესორებისათვისაც კი ნათელი იყო, რომ ჩერნიშევსკი ლეგალურ ინტელექტუალში, ისე, როგორც არალეგალურს პროკლამაციებსა და წერილებში, — რევოლიუციონურ იდეებსა და გლახთა აჯანყების აზრებს ატარებდა.

მაგრამ ჩერნიშევსკის გაგებით ეს გლახთა რევოლიუცია იქნებოდა გარდამავალი საფეხურის სოციალისტური წყობილებისაკენ.

ჩერნიშევსკის პოლიტიკა მარტო რუსეთის ფარგლებით არ განისაზღვრებოდა. დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორიისა და რევოლიუციონური მოძრაობის შესწავლამ ჩერნიშევსკის შეაგნებია კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა და პროლეტარიატის რევოლიუციონური მისწრაფებანი. ჩერნიშევსკიმ ნათლად შეიგნო, რომ ევროპის რევოლიუციონურმა მოძრაობებმა ვერ გადასწყვიტეს სოციალური საკითხი, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებამ ევროპაში უფრო გაამწვავა კლასიური ურთიერთობა და მოამზადა ნიადაგი ახალ რევოლიუციისათვის. ამ რევოლიუციის მებრძოლი კლასი იქნება პროლეტარიატი სოციალისტური ინტელიგენციის ხელმძღვანელობით. რევოლიუცია მიიღებს აშკარა სოციალისტურ ხასიათს, რადგან ევროპის კულტურულმა განვითარებამ და ისტორიულმა წინმსვლელობამ უკვე მოამზადა ამისათვის ნიადაგი ევროპაში. ამრიგად ევროპა თავისი კულტურულ-ტექნიკური დაწინაურებით, ეკონომიური ძალებითა და რევოლიუციონური მთავრობის საშუალებით დაეხმარება რევოლიუციონურ რუსეთს გადაიყვანოს იგი სოციალისტური განვითარების ნიადაგზე<sup>1)</sup> ხოლო რუსეთის ამ სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში უდიდეს როლს ითამაშებს სხვა ფაქტებთან ერთად რუსეთში არსებული თემური წყობილება: ჩერნიშევსკის აზრით ევროპის სოციალისტური წყობილება ხელს შეუწყობს თემური წყობილებიდან კაპიტალიზმის გვერდის ავლით, რუსეთი პირდაპირ გადაიყვანოს თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაზე. ამრიგად, ევროპის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალად ჩერნიშევსკის მიაჩნდა პროლეტარიატი ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, ხოლო რუსეთში — გლახობა იმავე რევოლიუციონური ინტელიგენციის მეთაურობით: როდესაც ეს ორი რევოლიუცია — ევროპის პროლეტარულ-ინტელიგენტური სოციალისტური შინაარსით, რუსეთის — გლახურ-ინტელიგენტური

<sup>1)</sup> თავის შესანიშნავ წერილში: „Критика философских предубеждений против общинного владения“ — ჩერნიშევსკი, იღებდა რა ჰეგელის დიალექტიურ მეთოდს, სწერდა: უმაღლესი განვითარების ხეგავლენით, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული მოვლენა აღწევს მოწინავე ერში, ეს მოვლენა სხვა ხალხებში შეიძლება განვითარდეს ძლიერ ჩქარა, ავიდეს დაბალ საფეხურიდან პირდაპირ უმაღლეს საფეხურამდე და გვერდი აუაროს საშუალო ლოგიურ მომენტებს (ტ. IV, გვ. 331). ამ მეტად საინტერესო თეორიული დებულებით ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ რუსეთი თემური წყობილების დაბალი საფეხურიდან პირდაპირ გადავა სოციალიზმში, კაპიტალიზმის საფეხურის გვერდის ავლით, თუ ევროპაში სოციალიზმი განხორციელდება, რაც მოახდენს გავლენას რუსეთის ასეთ განვითარებაზე.

პოლიტიკურ-დემოკრატიული შინაარსით, შეხვდება ერთი-მეორეს მაშინ, რუსეთის განვითარება სოციალისტური გზით უზრუნველყოფილი იქნება.

ასეთი იყო ჩერნიშევსკის პოლიტიკური შეხედულებანი და ტაქტიკურ-რევოლიუციონური ხაზი 60-იანი წლების „რეფორმისტულ“ პერიოდში. ჩერნიშევსკიმ გარკვევით წამოაყენა დემოკრატიულ რევოლიუციონურ მოღვაწეთორმა და რადიკალურად დაუპირისპირდა ყოველი ჯურის ლიბერალურ მიმდინარეობას

აქ აუცილებლად საჭიროა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ჩერნიშევსკისა და გერცენის პოლიტიკურ-ტაქტიკურ ხაზის დაპირდაპირებაზე 60-ან წლებში. ეს შეტაკება ღრმა მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში; კერძოდ, ამ შეტაკებით დაიწყო ბრძოლა რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში ორ საწინააღმდეგო მიმდინარეობას შორის: რეფორმისტულ-ოპორტუნისტულსა და რადიკალურ რევოლიუციონურ მიმდინარეობათა შორის; ჩერნიშევსკი, იყო გამომხატველი 60-იანი წლების რუსეთის სოციალისტური აზროვნების მემარცხენე რევოლიუციონური ფრთისა, გერცენი — ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ მიმდინარეობის, რომელიც იდეურ ნათესაობაში იმყოფებოდა რუსეთის ლიბერალურ აზროვნებასთან.

გერცენის პოლიტიკა 1848 წ. რევოლიუციის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა: ერთ დროს რევოლიუციონურად განწყობილი ინტელიგენტი, რევოლიუციის მეორე დღესვე გადავიდა საწინააღმდეგო ტაქტიკაზე და რუსეთის თემის გზით, ლიბერალურ თავად-აზნაურობასთან შეთანხმებით ცდილობდა ცხოვრების გაუმჯობესებას. „იენისის (1848 წ. პროლეტარული აჯანყება პარიზში) სისხლი შევიდა ჩემს ტვინსა და ნერვებში და მის შემდეგ ჩემში ავზარდე ზიზღი სისხლისადმი, თუ იგი იღვრება უკიდურესი აუცილებლობის გარეშე“. <sup>1)</sup> ეს ზიზღი და უარყოფითი დამოკიდებულება რევოლიუციონური ტაქტიკისადმი გერცენმა საესებით გამოააშკარავა 50—60 წლებში, როდესაც იგი დიფირამბებით მიმართავდა ალექსანდრე II-ეს და ლიბერალურ თავად-აზნაურობასა. ჩერნიშევსკის რევოლიუციონური ტაქტიკა და უკიდურესი სოციალისტური პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო გერცენისათვის. უნდა ითქვას რომ თვით ჩერნიშევსკი, რომელიც 40-იან წლებში გერცენის დიდ გავლენას განიცდიდა, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან უარყოფილად უყურებდა გერცენის პოლიტიკას თვით ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ 1856 წელში მას ისეთი აზროვნება ქონდა შემუშავებული, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა გერცენის შეხედულებებისაგან. <sup>2)</sup> როდესაც „სოვრემენიკის“ ფურცელზე ჩერნიშევსკიმ გაცხოვებული პოლემიკა გააჩაღა რუსეთის ლიბერალების წინააღმდეგ და გამოააშკარავა მათი უხასიათობა და უმოქმედობა, გერცენმა ამ კრიტიკაში იგრძნო თავისი აზრების საწინააღმდეგოდ მიმართული ბრძოლა და 1859 წ. „კოლოკოლ-ის“, № 44, მან მოათავსა წერილი „სოვრემენიკის“ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ („Весьма опасно“). ამ თავის წერილში გერცენი ნაცვლად სერიოზული კრიტიკისა, თავის მოწინააღმდეგე რევოლიუციონურ-დემოკრატიულ მიმდი-

<sup>1)</sup> ა. გერცენი — ტ. X გვ. 223.

<sup>2)</sup> კრებული „ნ. ჩერნიშევსკი“ — გვ. 105, 1928.

ნარეობას ცილს წამებდა და რეაქციის სამსახურს აბრალებდა. ამ გარემოება მ გამოიწვია დიდი აღშფოთება ჩერნიშევსკის ჯგუფში, რასაც შედეგად მოჰყვა 1859 წ. ჩერნიშევსკის გამგზავრება ლონდონში გერცენთან მოლაპარაკებლად. მოლაპარაკებამ ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მიაღწია, გარდა იმისა, რომ გერცენმა შემდეგ თავის წერილში „Лишние люди и жерновы“ („კოლოკოლი“ 1860 წ. № 83, ტ. X—412-423) უფრო მკაცრად გაილაშქრა რევოლიუციონური მიმდინარეობის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა ჩერნიშევსკის ჩვენთვის უკვე ცნობილი წერილი, რომელიც მოთავსებული იყო „კოლოკოლის“ 1860 წლის ნომერში. „Русский человек“-ის ხელმოწერით და რომელსაც წინ მიუძღოდა თვით გერცენის წინასიტყვაობა. რა იყო უმთავრესი სადავო საკითხი გერცენისა და ჩერნიშევსკის შორის? ერთად-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ბრძოლის მეთოდის გამომუშავება და დამოკიდებულების საკითხი თვითმპყრობელობასა და ლიბერალურ თავად-აზნაურობასთან<sup>1</sup>). თავის წერილში გერცენი სწერდა: „ჩვენ ვცილდებით ერთმანეთს არა იდეებში, არამედ საშვალეებში, არა საფუძვლებში, არამედ მოქმედების ფორმებში. თქვენ (ე. ი. ჩერნიშევსკი) წარმოადგენთ ჩვენს მიმდინარეობის ერთ უკიდურეს ფრთას: თქვენი ცალმხრივობა არის გასაგები ჩვენთვის, ის ახლო დგას ჩვენ გულთან. ჩვენში უკმაყოფილება ისევე ახალია, როგორც თქვენში; და სიყვარული რუსეთის ხალხისადმი ისევე ცოცხალია ჩვენში, როგორც ახალგაზრდობაში“<sup>2</sup>). ამრიგად, ორი საუკეთესო წარმომადგენელი 60-იან წლებში რუსეთის სოციალისტურ-საზოგადოებრივი აზრებისა, უმთავრესად, საშუალებებსა და ტაქტიკის გარშემო ებრძოდნენ ერთი-მეორეს. როგორც დავინახეთ, გერცენი ასცდა რევოლიუციონურ გზას და თვითმპყრობელობასთან ოპორტიუნიზმის გზას დაადგა. ჩერნიშევსკი ყოველივე ბოროტებას რუსეთის საზოგადოებრივ წყობილებაში ხედავდა და მოითხოვდა მის რადიკალურად გარდაქმნას რევოლიუციონური ძალდატანებით; გერცენი მხოლოდ რეჟიმის შეცვლის მომხრე იყო და ცალკე აგენტებისა და წვრილმან საკითხებით კმაყოფილდებოდა: პოლიტიკური წყობილების შეცვლა და დემოკრატიული თვითმპყრობელობის შემოღება ამოშლილი იყო მისი პროგრამიდან. „ჩვენ მოველოდით, — სწერდა ჩერნიშევსკი — რომ თქვენ (გერცენი) გადაიქცეოდით მეფის ჩაგვრის მამხილებლად, რომ თქვენ გადაუხსნიდით მთელ რუსეთს მისი საუკუნოების განმტკიცებულ უბედურებათა წყაროს, ამ უიღბლო კერპთაყვანისმცემლობას მეფის წინაშე, და გამოამხეურებდით უქვეშევრდომილესი მონური შეგნების სისაძაგლეს“. ამის ნაცვლად „კოლოკოლის“ ფურცლებიდან „ჩვენ გვესმის ჰიმნები ალექსანდრე II-სა და მისი მეუღლისადმი“. როგორც ვიცით ჩერნიშევსკი ურჩევდა გერცენს არა თვითმპყრობელობასთან შეთანხმებას, არამედ ნაჯახის აღებას, რევო-

<sup>1</sup>) დაწვრილებით იხ. Ю. Стеклов: Чернышевский и русское общество, жур. „Красн. новь“, № 9, 1927 წ. აგრეთვე ლეშკეს შენიშვნები გერცენის X ტომში.

<sup>2</sup>) ა. გერცენი. ტ. X, გვ. 219.

ლიუციისაკენ მოუწოდებდა რუსეთის ძველი დახავსებული წყობილების დასარ-  
ღვევად <sup>1)</sup>.

ჩერნიშევსკის საპასუხოდ გერცენი სწერდა: „ნაჯახისაკენ, შევიწროვე-  
ბულთა ამ ultima ratio-საკენ ჩვენ არ მოუწოდებთ მანამდე, სანამ დაგვრჩენია  
თუ გინდ ერთი გონივრული იმედი უნაჯახოდ საკითხის გადაჭრისათვის“  
—არის საჭირო ძაბილი და არა „ნაჯახისაკენ“ <sup>2)</sup>.

ასე დაუპირდაპირდა 60-ანი წლების რუსეთის სოციალისტურ აზროვნე-  
ბაში „ნაჯახისა“ და „ცოცხის“ ტაქტიკა ერთი-მეორეს: ნაჯახის, რომე-  
ლიც მოითხოვდა რევოლიუციონური ძალდატანებით ძველი დახავსებული საზო-  
გადოებრივი წყობილების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას და ცოცხის, რომე-  
ლიც მშვიდობიან შინაურულ გამოწმენდას მოითხოვდა იმავე წყობილების.  
შემდეგ პერიოდში ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პილიუსთა შორის ქანა-  
ობდა რუსეთის სოციალისტური აზროვნების ტაქტიკა: რევოლიუციონური და  
ლიბერალური ნაროდნიკობა 70-80-90 წლებისა, რევოლიუციონური და „ეკო-  
ნომისტურ-ლეგალური ფრთები 90-ანი წლების მარქსიზმში. მეოცე საუკუნის  
ბოლშევიზმი და მენშევიზმი წარმოადგენენ გერცენისა და ჩერნიშევსკის შემ-  
დეგი პერიოდის რუსეთის სოციალისტურ მიმდინარეობას და დაპირისპირებას.

„ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი — სწერდა ლენინი,  
რომელნიც წარმოადგენენ რევოლიუციონურ-რაზნოჩინელთა ახალთაობას, ათას-  
ჯერ მართალი იყვნენ, როდესაც ებრძოდნენ გერცენს დემოკრატიზმიდან ლიბე-  
რალიზმისაკენ გადახრისათვის“ <sup>3)</sup>.

<sup>1)</sup> ამავე საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს ს. სტარევიჩი თავის მო-  
გონებებში. (იხ. Н. Г. Чернышевский, კრებული. გვ. 103-6, 1928 წ.).

<sup>2)</sup> А. Герцен. ტ. X, გვ. 219-21.

<sup>3)</sup> Н. Ленин, ტ. XII, გვ. 98.



## ახალი სალიტერატურო ქართულისათვის\*)

### I. ძველი და ახალი

დამკვიდრებული ფაქტია: სამწერლო ქართული, სქემატიურად, სამ პერიოდს შეიცავს: ძველს, საშუალოსა და ახალს.

ძველსა და საშუალოს საზღვრად მე-XI ს. დაედო, როცა სასულიერო მწერლობას საეროც მიემატა.

მიჯნა საშუალოსა და ახალს გ. ერისთავის „გაყრამ“ ჩაუგდო. ეს გარდატეხა დიდი ხანია მზადდებოდა. საბა სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, სახელმწიფო აქტები, სიგელები და საერთოდ ზეპირსიტყვიანობა ბეჯითად ამზადებდნენ სალიტერატურო და სახალხო ქართულის შეხვედრას. მაგრამ ანტონ კათალიკოზი შავი ლანდივით ჩადგა შუაში და შეერთება დააგვიანა. მისი მშრალი, განყენებული და ორჩოხე შემდგარი ქართულის სუსხი ალ. ქავჭავაძეს, ნიკო ბარათაშვილს და გრ. ორბელიანსაც კი ახმობს. და თვითონ ქართულის გადამტეხიც, გ. ერისთავიც, ახალგაზრდობაში ამავე „მაღალი შტილით“ სწერდა.

„ვისრამიანის“ აკადემიური ქართული ანტონის ყალბმა კლასიკურმა დაახლო. მაგრამ ერისთავმა დატყვევებულ ენას საბურველი ახადა და სახალხო და სალიტერატურო მჭიდროდ შეადულა, და ბედმაც ერთხელ კიდევ გაიცინა: ნოვატორ ერისთავს მიმრქმელად ანტონის ერთგული მიმდევარი პლატონ იოსელიანი მიუჩინა. იოსელიანი წინასიტყვიანობას უწერს „გაყრას“ და ასე ესალმება ახალშობილს:

\*) ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მე-IV პლენუმზე ამხ. მ. კახიანმა აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა, ლიტერატურა და სხვ. ხშირად მოიკოკლებს ქართული ენის ცოდნის მზრივ, რომ გამომუშაებული არ არის თანადროულობისათვის შესაფერი სალიტერატურო ქართული. ამხ. კახიანმა მოითხოვა ამ ნაკლის დაკვრითი წესით გამოსწორება და ქართული ენის სისუფთავის დაცვა. „მნათობის“ რედაქცია, სავსებით ეთანხმება რა ამხ. კახიანს, მიხ. ჯავახიშვილის წერილის დაბეჭდვით იწყებს დისკუსიას ამ საკითხზე. მიხ. ჯავახიშვილის წერილი, რასაკვირველია, რედაქციის აზრს არ გამოხატავს, მაგრამ რედაქციას ის მიაჩნია სადისკუსიო მასალათ. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის ჩვენს მწერლებს, პუბლიცისტებს და პირველ რიგში ქართული ფილოლოგიის სპეციალისტებს.



„მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბარითის ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ქვეშარითი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“. „მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებასა არავენი მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თვითოვეული კეთილ-განმზრახი ქართველი სწავლულითა და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიც ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა.“

ასეთი ქართულით დაულოცა ახალი გზა ახალ ქართულს ძველის მედროშემ. ამიტომ ერისთავის წიგნაკი („გაყრა“, გამოცემული 1850 წ.) პ. იოსელიანის წინასიტყვაობით დიდი სამიჯნო ბოძია, რომელსაც ერთ მხარეზე აწერია „ძველი“, ხოლო მეორეზე—„ახალი“.

და ბრძოლაც სწორედ ამ მიჯნიდან იწყება.

პირველ დრამატურგს უმაღლ მეორე მიეშველა—ზურაბ ანტონოვი. უბრალო შემთხვევა ნუ გგონიათ: ენის რევოლუციას კომედია იწყებს, რადგან სწორედ აქ იყო ციხის საიდუმლო კარი.

სცენაზე თავმოყრილ სოფლელებს—თავად-აზნაურებს, გლეხებსა და ჩარჩებს აღარ შეეძლოთ „მაღალი შტილით“ საუბარი. უკვე მომწიფდა გულწრფელობისა და მარტივობის ალლო, რომელმაც დიალოგში გამოხეთქა.

რა თქმა უნდა, ადვილი იყო მდაბიური, სასაუბრო ქართულის ანუ „დაკუწვილი ლაპარაკის“ გადმოტანა სცენაზე. გაცილებით უფრო ძნელია შექმნა სალიტერატურო სათხრობელი ენისა. და ძველთა მეთაური ალ. ორბელიანიც ამას ექვობდა. მაგრამ მდიდარმა და მოქნილმა ქართულმა ეს სანგარიც ადვილად გადალახა. თვითონ ერისთავმა, დიმ. ბაქრაძემ, დიმ. ყიფიანმა, დანიელ კონჭაძემ და სხვებმაც მალე დაამტკიცეს ახალი პროზით, რომ ახალი ქართული მარტო „დაკუწვილი ლაპარაკი“ არ იყო.

ორივე ძალა (ძველისა—ალ. ორბელიანი და ახლისა—დიმ. ყიფიანი) ფორმალურად საშუალო ქართულს ეძებს, არსებითად კი დიდი მანძილი ჰყოფს ამ ბანაკებს. ორბელიანი სამ საფეხურს ამყარებს: 1) ძველი, ე. ი. საეკლესიო; 2) საშუალო, ანუ „დარბაისელთა“, და 3) გლეხური.

ყიფიანიც იზიარებს ასეთ კლასიფიკაციას, მაგრამ არსებითი სხვაობა მოპირდაპირეთა შორის უმაღლვე იჩენს თავს. ორბელიანს დარბაისლურის ანუ საშუალო ენის ნიმუშებად შავთელ-რუსთაველის ენა მოაქვს, დიმ. ყიფიანი კი სწორედ ამ ენას უწოდებს ძველს, მას ებრძვის და ეძებს ახალს, სინტეტიურ ქართულს, რომელიც უნდა გაჩენილიყო კლასიკური ქართულისა და სახალხოს შეერთების ნიადაგზე.

მებრძოლნი თანაბრად არ არიან აღჭურვილნი. ახალი ქართული უდროშო და უბელადო ლაშქარს ჰგავს. ორბელიანებს კი ზელთ უპყრიათ საუკუნოებით შეჭედილი გრამატიკა, ლექსიკონი, ტრადიცია. მათ წინ მოუძღვნიან თითქოს უძლეველი, თილისმური სარდლები—შავთელი, ხონელი, თმოგველი, რუსთაველი, ჩახრუხაძე და... და საბა სულხან ორბელიანსაც კი მოათრევენ—ძალით

მოათრევდნენ, რადგან „სიბრძნე-სიცრუის“ დიდებული ავტორი, რა თქმა უნდა, უფრო ახლებს ეკუთნოდათ, ვიდრე ანტონ კათალიკოზის მემკვიდრეებს.

უბელადო ჯარი იშვიათად იმარჯვებს, ან გამარჯვება იგვიანებს. მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროზე მიაშველებს ხოლმე მედროშეს. მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქნია ენა. საჭიროა დიდი შემომქმედი, ან თავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე.

ილია ჭავჭავაძეს ერგო ამ ლაშქრის წინამძღოლობა.

ამ ადამიანმა თანაბარი მიჯნები ჩაუყარა ახალ ლიტერატურას და ახალ ქართულსაც. „გაყრის“ დაბეჭდვის შემდეგ თერთმეტი წელიწადი გავიდა. ამ ხანაში მრავალი რამ დაიბეჭდა ახალი სალიტერატურო ქართულით და ძველი ორთოგრაფიით. ბევრი შეჰკადრეს მოძველებულს, მაგრამ ორთოგრაფიის შეცვლა ვერავინ გაბედა. ჭავჭავაძემ კი ესეც აკადრა და მრავალი სხვაც მიუმატა. მან ამოაგდო ალფაბეტიდან შეიდი დროშოჭმული ასო (ჟ, უც, ჟ, ჯ, კ, ზ და ჟ) და განაცხადა: „ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში: თუ ვინიცობაა ეს ენის წინააღმდეგად მიაჩნდეს ვინმეს, ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.

ეს სამი სტრიქონი უფრო დეკრეტს ჰგავს, ვიდრე შენიშვნას. „და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“. და მართლაც, თავზეხელაღებულ ნოვატორს მალე დასჭირდა „გამოცხადება“. მტერი ყოველ მხრიდან აიშალა: ალ. ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძისა, სარდიონ ალექსეევ-მესხიევი, კიდევ ათასი და თვითონ „ცისკრის“ რედაქტორიც, რომელმაც ეს წერილი დაუბეჭდა ჭავჭავაძეს.

ძნელი იყო პირველი ნაბიჯი, უარესი იყო მომავალი, რადგან მომაკვდავის ყაყანს დიდი გამძლეობა სჭირდებოდა. და ჭავჭავაძემ საგურამოელ კამეჩივით გამძლე გამოდგა. შერისხვა, წუმპე, კადნიერება და თავხედური უმეცრება—ყოველივე მიაყარეს გაბედულ ნოვატორს.

უწუნებდნენ გრამატიკას, თაკილობდნენ სტილსაც და ნეოლოგიზმებსაც („ესთეტიური“, „სენტიმენტალური“, „დრამატიზმი“, „ფორმა“, „სუფეტი“, „კაპიტალისტიკა“), თანაც მრავლად სწერენ „უსტარსა ანტიკრიტიკულსა“ და ასწავლიან „თეორეტიკას და დრამატიკას“.

ჭავჭავაძე თითქოს ოლიმპიდან „უცხადებს“, როგორც ჰპირდებოდა, დინჯად და ცივად:

„კაცის ენა კერძოობით პირსავით იზრდება (ახლა ვიტყვადით „კერძო პირივით“ მ. ჯ.) და ვითარდება, როგორც ჩვენ კაცი ვიცვლებით ხოლმე: ხშირად იქნება ხოლმე (ხშირია, ან ხშირად მოხდება—მ. ჯ.), რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, (ერთ დროს საჭირო კანონები—ასეთი სინტაქსი უკვე დამკვიდრდა დღევანდელ ქართულში. მ. ჯ.) სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე (მხოლოდობითი რიცხვი გვირჩევნია. მ. ჯ.); ამიტომ ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა.“

... „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა თეორეტიკა“. „თქვენი თეორეტიკა თქვენთვის შეინახეთ, ეგ ამგვარ საქმეს პასუხს ვერ გასცემს“... „ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის“

ფერისა (ყველაფრისა, ან ყოველივესი—იტყოდნენ დღეს. მ. ჯ.): წესი, ჩვეულება, აზრი, გრძობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველი ფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“.

ენის ევოლუცია მცირე და ლოლიკური ანარეკლია ქვეყანადის მთლიანი, ევოლუციონური აზროვნებისა, რომელიც თუნდაც ასეთ ორეფექტურ ფორმულაშიც ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს:

სიზღვირეთა

„მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“.

ან კიდევ:

„ჩვენ მეცნიერებას და ცხოვრებას მოვსთხოვთ არსებითსა პასუხსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშვიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“... „ცხოვრება თვითრჯულია იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ“ (გაიხსენეთ ზემოთ ნათქვამი: ენას კანონსა თვითონვე ენა აძლევს და არა თეორეტიკაო. მ. ჯ.).

ან კიდევ:

„მეცნიერება და ხელოვნება (და ენაც—მ. ჯ.) იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის. იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზე თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება; რაც მაგათგან არის მოყვანილი ცხოვრებაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა“.

ვუბრუნდები საგანს. რა თქმა უნდა, წინამძღოლი ილია მარტო არ იყო. მას გვერდით და ფეხდაფეხ მისდევენ ყიფიანები დიმიტრი, დავით და მიხეილ (სპირიდონ ჩიტორელიძე), გიორგი ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი, რჩეული-შვილი, და თანდათან ემატებიან: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა ფშაველა, ლომაური, ყიფშიძე, მგალობლიშვილი და მრავალი სხვაც.

ზოგნი მაშინ გამოვიდნენ, როცა ბრძოლა უკვე გათავებული იყო, ან თავდებოდა. შემდეგში ეს რაზმიც ორად დაიშლება და ერთმანეთს შეუტევეს იმერ-ამერულ კილოკავებისათვის, თავდაპირველად კი ყველანი ერთად ებრძვიან წარმავალს, რომელიც კბილებით და ფრჩხილებით ეჭიდება საფლავის ნაპირს.

მაგრამ ძველი უკვე განწირულია და თვითონვე მისდევს საკუთარ კუბოს.

1874 წელს თითქმის მოთვინიერებულმა გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც ერთი ფეხი ახალში ედგა და მეორე კი ძველში, ერთხელ კიდევ წამოიწია და მომაკვდავ ლომივით დაიბუხუნა:

„აღმოჩნდენ მწერლები,

ქურნალისტები,

ვად სამშობლოს, ვად ჩუშნს ენას!

მათ უსწავლელთა,

ცრუ რუსთაველთა

სულ წაგვიპილწეს ენა მდიდარი!

ენა მაღალი,

მის ძალი, მადლი

უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!...

მის ისტორია დაცულ არს ენით,

რა ენა წახდეს,

ერიც დაეცეს...

წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!

და აფორიაქებულმა, მრისხანე მოხუცმა პირში მიახალა ხელთათმანი ახალ  
თაობას:

„ჰე, სასურველო,  
გმირთა, შამულო,  
ნუ თუ შენ მართლა ესრედ დამცირდი,  
რომ შენსა ბედსა,  
შენსა იმედსა,  
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?  
ლიბერალები,  
პატრიოტები,  
მესხი, მეველე, მელიქ-ალები?“



„უმადური“ შვილი ქავეჭავაძე განრისხებულ მამის იერიშს მკაცრად იგე-  
რიებს:

„ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა,  
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.  
ლიბერალობა, პატრიოტობა  
სალანძლავ სიტყვად არ გაგვიხდია.

.....  
ვართ უღონონი,  
უგზო-უკვლონი —  
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,  
ჩვენ მოკუნტულნი,  
თქვენ გაბლინძულნი,  
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

მამა შვილებს ატეისტობას უსაყვედურებდა:

„ლოცვა რათ გვინდა?  
ღმერთი რათ გვინდა?  
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!“

შვილი კი უბასუხებდა:

.....  
„ღმერთი არმობის,  
ღმერთი ყალბობის  
არ ურწმენია ჩვენსა თაობას.  
ღმერთი მზაკვრობის  
და თვალთმაქცობის,  
ღმერთი უქმობის უარუყვია...  
.....

ხოლო გვწამს ღმერთი,  
უქმთა წამწყმედი  
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა,  
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.  
ყოველთა ძმობის,  
თანასწორობის  
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული  
ძლიერთ დამბმული,  
უძლურთ ამხსნელი  
თქვენგან კაცთაგან გმობილ-დევნილი.

და შემდეგ ენის „შებილწვაზე“ გადადის:

„ის არ ხართ თქვენა,  
რომ ღვიძლი ენა  
ბძანებით დასთმეთ აღმოსაქვეთად?!  
შიშით არც კარში  
და აღარც სახლში  
მას ჯღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად  
ენა მაღალი,  
მის სიღრმე, ძალი,  
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა,  
ენა მდიდარი,  
თქვენს ხელში მკვდარი,  
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,  
და ამასაც თქვენ  
ცოდვად გვითვლით ჩვენ,  
რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!  
თქვენგან გამობილი,  
თქვენგანით ღტოლვილი  
ენა ჩვენს ქონში ჩვენ შევაფარეთ;  
კარგად, თუ ავად,  
ჩვენ მას ვინახავთ  
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.  
გვიან თუ მალე,  
დღესა თუ ხვალე,  
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,  
მაგრამ კი თქვენი  
მრუდე საქმენი  
ისევ ისევ მრუდედ დარჩება“.



ასეთი ცხარე კილო, რა თქმა უნდა, მარტო ენის გამო ატეხილი ბრძოლით არ აიხსნება. ბრძოლის მთავარი მიზეზი სხვაგან იყო: მიმავალები იბრძოდნენ საერთოდ არსებულის შენარჩუნებისათვის, მომავალები კი მისი დაპყრობა-გარდაქმნისათვის, და, რასაკვირველია, ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ იდეებთან ერთად თან მოჰქონდათ ახალი მეტყველებაც—ახალი ფორმა, რითმი, ლექსიკა და სიტყვის წყობაც.

გრ. ორბელიანის წამოწევას სხვანაირი მნიშვნელობაც ჰქონდა. ბრძოლას აქამდე მკაფიოდ გარკვეული გეზი ჰქონდა: იბრძოდნენ ძველისა და ახალი ნორმებისათვის, ორბელიანმა კი ეს გეზი უცებ შეატრიალა და მოპირდაპირეთა ფრონტის შერღვევა მოინდომა:

„აკაკიები,  
ბაკაკიები,  
რიონელები, გოგიტელები,  
მესხი, მეველე,  
მელიქალები.

„აკაკიები—ბაკაკიები“ აკაკი წერეთელი იყო, „რიონელი“—ნიკო ნიკოლაძე, „გოგიტელა“—გიორგი წერეთელი, „მეველე“—დავით მიქელაძე, მესხი—სერგეი მესხი. ყველანი იმერლები და „დროება-კრებულის“ დამფუძნებელნი და

ხელმძღვანელები იყვნენ. მხოლოდ რამდენიმე ვრია ამერელი: ილია ჭავჭავაძე და სოსიკო მელიქიშვილი („მელიქ-ალა“).

ქართული ენა იმერული ეარგონით ირღვევაო—აი ორბელიანის ბრალდების დედა-აზრი. „ძველი სემინარისტი“ (იგივე ორბელიანი) იმავე წელს რამდენიმე წერილს უძღვნის ქართულს. ავტორი ბევრ ჯანსაყრტულს უღმრთესტყვამს, მაგრამ იმავე დროს წყალწილებულსაც ეჭიდება. აი მცირე ნაწილი ქართულისა და აზროვნებისა:

„ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: ხალხის ენაზე ჰსწერთო. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებელი, ვიდრე დაკვლოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ დაჰსწმენდს, არ გააშუშინებებს და დიდებულებითა არ აღიყუანს ს-ლიტერატურო სამულობელთში, მერმე იმ გაღამა უბუღსა ენასა გამშუშინებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმავე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა და რომელიცა შეიტვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა“...

და „თვით ეგუხის ტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე სიტყვა ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული“!

მოხუცი პოეტი დაუახლოვდა ახალ ქართულს, მაგრამ იმავე დროს შეუპოვრად იცავდა ჭავჭავაძისგან განდევნილ მკვდარ ასოებს და ორმაგ პრეფიქსებს: ვჰსწერ, ჰსწერ, დაჰსწმენდს და მისთანებს. ის ვერც კი ამჩნევს, რომ ამ ფორმებში უკვე მოიპოება ჰ-ეს ბგერინაცვალი ს-ანი (სწერს, დასწმენდს) და მაშასადამე ჰ-ეს ხმარება ლაპსუსი იყო (ებლა კი პირველი პირის ზნნანი მაგ. „ვწერ“ პრეფიქსს სულაც აღარ ხმარობენ).

გარდა ამისა, ავტორი დაფინებით უარჰყოფს არსებითი სახელის შემოკლებას „ში“ და „ზე“ თანდებულის წინ და სწერს: „სახლსში“, „ტყესში“, „ფეხსზე“, „სახლსზე“ და არა „სახლში“ და „ფეხზე“.

როგორც ხედავთ, ორბელიანი და მისი მიმდევრები, ერთი ხელით მაინც, მკვდარს ებლაუქებიან. მაგრამ ამ ფრონტზე ბრძოლა უკვე გათავებულია. სამაგიეროდ კუთხურის გარშემო იწყება ახალი დავა, და ორბელიანიც სწორედ აქ ლამობს ფრონტის გარღვევას. ის არჩევს გიორგი წერეთლის ქართულს და მთელ ნაწარმოებს („მგზავრის წერილები“) არქმევს „საზიზღარსა და მახინჯს“, და ბოლოს კითხულობს: „რისგან მოხდა, რომ „კაცია ადამიანი“ რამდენჯერმე წავიკითხე სიამოვნებით, ხოლო კიკოლიკის მოგზაურობა ესრეთ საზიზღრად მეჩვენაო“.

საძართლიანად სწერს ამის გამო ს. გორგაძე:

„ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძველის მოტრფიალდ მგოსანს აქაც ჩვეულებრივი ნაბტომი მოსდის: ერთი მხრით იგი „საღმრთო წერილის“ ენის მოთაყვანეა, ხოლო მეორე მხრით არსებითად იმ ენის საწინააღმდეგოდ არა აქვს რა, რომლითაც ილია ჭავჭავაძე სწრდა, (კურსივი ავტორს ეკუთვნის), პირიქით „სასიამოვნოდაც“ მიაჩნია იგი; სამაგიეროდ ძველი ამერელი დარბაისელი ვერ შეპრიგებია იმ ენას, რომლითაც „დრობა“ და „კრებული“ იბეჭდებოდა, სახელდობრ ენას გიორგი წერეთლისას, აკაკისას, მესხისას, „რიონელებისა“ და „მეფელებისას“.

„ამგვარად ფაქტურად გრ. ორბელიანმა აღიარა თავისი დამარცხება. ეს იყო მეორე და საბოლოო გამარჯვება იმ პრინციპებისა, რომელთაც ენის საქმეში ილია ჭავჭავაძე მისდევდა, და რადგან ეს პრინციპები არსებითად უდიდეს იყო, რაც „დროება-კრებულს“ ედო საფუძვლად, ამიტომ გრ. ორბელიანის დამარცხება იმავე დროს ამ ენის, ე. ი. ახალი სალიტერატურო ენის, გამარჯვებაც იყო“.

დახასიათება მკვეთრია, დამატება და განმარტება საჭიროა სწორად სწორად. ერთი წლის შემდეგ (1875 წ.) „ცისკარი“ დაიკეტა. ეს ფაქტი და თარიღი მოძველებული ქართულის გარდაცვალების და ახლის სრული გამარჯვების მიჯნად უნდა ჩაითვალოს. ცხედარი უკვე გასვენებულია. ახალი უკვე ბატონობს, დღევანდლამდე ბატონობს. დავა მაინც გათავებული არ არის, და არც ოდესმე გათავდება. მაგრამ ძველის დასაფლავების შემდეგ ეს დავა სხვანაირ კალაპოტში გადადის\*).

## II კუთხური

ენის განვითარება, ცვლილება, გაერთიანება კილოებისა ერთ ენად, ან მისი დაქსაქსვა კილოებად მჭიდროდ არის გადაბმული გეოგრაფიულს, სოციალურსა და ისტორიულ პირობებთან. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი — რასსიული, რომელსაც საფუძვლად უდევს ამა-თუ-იმ ჯგუფის ფიზიკურ-ფიქიური მთლიანობა. რადგან ენა საშუალებაა ადამიანთა შორის ურთერთობის დამყარებისა, ამიტომ ზგი დამოკიდებულია ამ ურთერთობაზე. და რამდენადაც მჭიდროა ეს ურთერთობა, იმდენად უფრო მთლიანია ენაც. და პირუკულმაც: რამდენად უფრო სუსტია იგი, იმდენად უფრო ძლიერია სხვაობა კილოკავთა შორის. ამ გზით და ამ კანონით ვითარდებოდა ქართული ენაც და მისი კილოებიც.

წარსულში ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიურ გაერთიანებას და შემჭიდროებას კულტურული გაერთიანება და ენის შედარებითი მთლიანობა მოსდევდა. გავიხსენოთ თუნდაც მე-XI—XIII-ს. ხანა საქართველოს გაერთიანებისა, და მომდევნო პერიოდიც — ხანა მისი დაშლისა. ამ ორი ეპოქის ანარეკლი — შემჭიდროებისა და დაქსაქსვის ენა — ნათლად მოსჩანს მაშინდელ სიგელ-გუჯრებსა და ლიტერატურულ დოკუმენტებშიც. ხოლო გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა დღესაც მკაფიოდ მოსჩანს თუნდაც ხევსურეთში, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში სრულებით მოწყვეტილია ცენტრს, და როცა მოწყვეტილი არ არის, მისვლა-მოსვლა მაინც იმდენად სუსტია, რომ ხევსური დღესაც ინახავს და კიდევ დიდხანს შეინახავს თავის კილოკავს. გზებიც რომ იქნეს გაყვანილი, ტოპოგრაფიული ფაქტორი რაოდენადმე მაინც უძლეველი დარჩება. რუსი გლეხი, მოსკოვს ასიოდე კილომეტრით დაშორებული, მაინც მოსკოვურ კილოზე ლაპარაკობს, შატილელი ხევსური კი მუდამ შეინარჩუნებს, თუნდაც ოდნავ, საკუთარს კუთხურ იერს. ასეთია მანძილის, ტრამალებისა და მთების ძალა და ბუნება.

\*) ეს საკითხი — ძველისა და ახლის ბრძოლა — დაწვრილებით აქვს განხილული ს. გორგაძეს (იხ „მნათობი“ — 1926 წ.).

სანამ ძველი ქართული დამარცხდებოდა, კუთხური კილოკაეები ახლის ვარშემო იყრიდნენ თავს—ჭავჭავაძე და გიორგი წერეთელი, არდაზიანი და მიქელაძე, გიორგი ერისთავი და მესხი, ყოფიანები და ნიკოლაძე. მაგრამ როცა საერთო მტერი დაამარცხეს, მეზობლნი კუთხურის მიხედვით დალაგდნენ და ბრძოლა განაგრძეს—გაცილებით უფრო დინჯი და შენელებული. სანუგეშო ამბავია: საერთო სჭარბობს კუთხურს, ზოგადი—ნაწილს, სალიტერატურო ქართული—კილოკავს: იმერულსაც და ამერულსაც.

მაგრამ გამარჯვებულს ფეხდაფეხ მოსდევს შინაური უთანხმოებაც და გარეშე ხიფათიც. ენის დამუშავების პროცესში ორი საპირდაპირო ძალა მუშაობს: ავი და კარგი, სიმდიდრე და სიღატაკე. კუთხური ფორმებიც და ლექსიკონიც, ბარბარიზმებიც და არქაიზმებიც, ნეოლოგიურიც და უარგონიც ერთდამავე დროს ენას ამდიდრებენ და აღარბებენ, ზრდიან და რყვნიან.

ასეთი პარალელური პროცესი ბუნებრივია, მაგრამ ამავე დროს დასათვლელია ამ ელემენტების რაოდენობაც და ძალაც. და სადავოს მიზეზიც სწორედ აქ არის და სათავეც. ამიტომ ეს გარემოება ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ.

დღევანდელ ქართულში—და მუდამაც—უმთავრესად ორი გზით შემოდის სიმდიდრეც და სიგონჯეც: ჩვენი საკუთარი კუთხეებიდან და უცხოეთიდან.

ჯერ საკუთარი გავარჩიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემო-იმერულს კილოს ქართლ-კახურთან უფრო მეტი ნათესაობა აქვს, ვიდრე ქვემო-იმერულთან (გამოთქმას ნუ ვიანგარიშებთ), მე ვიზიარებ ზოგად დებულებას, რომ ქართულში უმთავრესად ორი ნაკადი მუშაობს—აღმოსავლური და დასავლური (იმერ-ამერული).

დასავლურის გავლენა ძველ სალიტერატურო ქართულშიც მოსჩანს, ხოლო შემდეგ, წარსული საუკუნის მე-70 წლებამდე აღმოსავლური კილო უდავოდ ჰეგემონობს. ამ ხნიდან კი დასავლური კილოებიც შემოდნიან, თანდათან ძლიერდებიან და მანამდე უდავოს სადავოდ აცხადებენ.

სიტყვის შესამოკლებლად პირდაპირ ამონაწერებზე გადავდივარ. გ. ყიფ-შიძის აზრით:

„ქართლის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საჭმე ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საჭმე თვით ბუნებაა ენისა (ეხლა კი ამბობენ: საჭმე ენის ბუნებაა—შია. ს. ხუნდაძეც ებრძვის ამ ში-ს. მ. ჯ.), საჭმე სინტაქსია (... ქსშია), ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა“. ავტორის აზრით „უმნიშვნელთა ენის მორფოლოგიურ ფონეტიკური მხარე. კანონიერი ფორმებია: წინეთ, წინედ, წინათ, წინად; რათგან, რადგან; აგრეთვე—ღვე; ეხლა, ახლა; შევიდა, შავიდა; შეიტა, მოიტა, მაიტა; ძალიან, ძაან, ძალან. „ამ ფორმებში ზოგს საქართველოს ერთ კუთხეში ხმარობენ, ზოგს მეორეში და, მაშასადამე, ორივე ფორმა კანონიერია, სამართლიანი, ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიისაგან შეწყნარებული და არავის არავითარი არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს: ასე იხმარეთ ვე სიტყვა და არა ისეო“.

სალიტერატურო ქართლის პროექტის ავტორი ქარაია („მოამბე“ 1895 წ.) სწერდა:

„ახალ სალიტერატურო ქართლის ბაზისად უნდა ჩაითვალოს ენა საქართველოს ამ შუაგულ ნაწილებისა, რომლებიც იმთავიდანვე შედგომია დედაბოძად ქართულ სა-



ლიტერატურა ენას“, ე. ი. „ის კილო (დაარქვით მას ქართლ-კახურ-ნემო-იმერული, ანუ სხვა, რაც გენებლათ, ჩვენ კი ზოგად ქართულს დავუძახებთ), რომელზედაც უწერიათ ძველი მწიგნობრული ენის ზეგავლენით ჩვენს საუკეთესო მწერლებს მწერლობით საუკუნეში“. დამარჩენმა კილოებმა ჩვენი ენა მარჯვე და მოადრენილი სიტყვებით უნდა გაამდიდრონ, რომელთა საბადლო სალიტერატურო ქართულში არ მორიგება, ამ მათი ადგილი უცხო სიტყვებს უჭირავთ. ხოლო კუთხური სიტყვების დასაყრდენად ფორმები, მეზად საინტერესონი მეცნიერულის მხრით, სალიტერატურო მწერლობაში უკეთესად ვერ გამოდგებიან, რადგან იმათ ალაგას ისეთი სიტყვები ამ სიტყვის ფორმებია უკვე შემოღებული, რომლებიც იხმარება ქართული ენის უფრო ვრცელს ტერიტორიაზე. ამისთანა პროვინციალიზმებიც თუ საერთო სახმარებლად შემოვიღეთ, ძაშინ აგვერევა მონასტერი და ველარ შეგქებით მთლიან სალიტერატურო ქართულს“.

ამას ამბობს გრ. ყიფშიძეც:

„მაშ რას დაუგდოთ ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, საცა ხალხი, დაბით და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურული ენის კილოთი, საცა ეგ კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ენა თითქმის არ განსხვავდება“. და უბრალო გლეხიც „ისე ლაპარაკობს, თითქო ჩვენს საუკეთესო სალიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილაო“.

ეს აზრი ყიფშიძე-ჭარაიამდეც და შემდეგაც ათასჯერ გამოუთქვავთ. დავიხსომოთ მხოლოდ ღერძი: ქართლური კილო და სალიტერატურო ქართული თითქმის არ განსხვავდებაო, და ამ კილოს „ზოგად ქართულს“ არქმევენ.

არც სილ. ხუნდაძე უარყოფს ამ დებულებას, არც სხვა ვინმე, მაგრამ ზოგჯერ ისეთ განმარტებას აძლევენ, რომ მას სინამდვილეში სავსებით აბათილებენ. ს. ხუნდაძე სწერს („ქარ. მართლწერა“, გამოცემა 1927 წ.):

„მაშ ვიხედ ან რაზე დავემყაროთო, იკითხავს გაცუებული მკითხველი. ჩემი პასუხია: არავიზე და ყველაზე. არავიზე, რადგან თითოეული პიროვნება, მწერალ-მოსანი იგი თუ მკვლევარი, შეუძლებელია შეუცთომელი იყოს, და ყველაზე, ვინიდან თითოეულ მათგანს ენის რომელიმე დარგში შესაძლოა თვალსაჩინო წვლილი ჰქონდეს შეტანილი. საქმე—და სერიოზული საქმე—ის არის, რომ ეგ თვალსაჩინო წვლილი სრული შეგნებითა და წმინდა სინიდისით შევაფასოთ რა ავარჩიოთ, სხვადასხვა წლებში გაფანტულ ია-ვარდებს თავი მოვუყაროთ—და ამ სახით შევდგინოთ და შევკონსოთ ის მშვენიერი სურნელოვანი თაიგული, რომელსაც სალიტერატურო ენა ეწოდება“.

„არავიზე და ყველაზე“ პასუხად ვერ ჩაითვლება. არავისა და ყველას ჯერ ენა არ შეუქნიათ. ყოველ ენას საკუთარი ფუძე თუ ბუდე აქვს. ისეთი ხალხი არსად არსებობს, რომ რამდენიმე კუთხე და ამდენივე კუთხური კილო არა ჰქონდეს.

ახალი სალიტერატურო რუსული მოსკოვმა და მისმა მიდამოებმა შექქმნეს. დღევანდელი ინგლისურიც აშენებულია სამხრულ-აღმოსავლურზე, ე. ი. ლონდონსა და მის მიდამოებზე. ფრანგულის საუკეთესო კილოდ და სალიტერატურო ენად პარიზული ითვლება, და პარიზულში კი ერთი უბნის, ფობურგ სენ-ჟერმენის. იტალიური პიემონტურზე აშენდა, ლათინურს ლაციუმის კილო ჩაეყარა საძირკვლად. ლაციუმში რომისა, რომში—პატრიციებისა. არც ქართულს ასცდა ეს კანონი, და ვერც ეხლა ასცდება.

ენის კულტურაც—და ყოველგვარი კულტურაც—უმთავრესად ცენტრებში მწიფდება, და ქართული სალიტერატუროც საქართველოს ცენტრალურ პროვინციაში—ქართლსა და უმთავრესად ტფილისში დადგინდა.

დახვეწილ სალიტერატურო ენას მარტო ესა თუ ის კუთხე, არა ჰქმნის, არამედ გენიოსი, ან დიდი მწერლების ჯგუფი, და მეცნიერების მსახურად უმთავრესად ერთი რომელიმე კუთხის კილოს ემყარებიან, მხოლოდ მასალად იყენებენ. რუსთაველის, თმოგველის, ხონელისა და შავთელის ქართული ჩვენს ლიტერატურას ექვესიოდე საუკუნეს ეყო. ანტონის ენამ ერთსაც ძლივს გაუძლო, ხოლო ილიასი და აკაკისა ზოგს უკვე მკვდარ ენად მიაჩნია. „მაშ ვისზე დავემყაროთ? ილია ქაფქაფაძესა და აკაკი წერეთელზე“?—კითხულობს ს. ხუნდაძე და პასუხსაც იძლევა: „მაგრამ ამ ჩემ ნაშრომშიც მათი ნაწერებიდან საკმაო მასალაა ნაჩვენები იმისა, რომ ქართული ენის სისწორეში მათზე დამყარება ყოვლად შეუძლებელია“.

ეს მასალაც გავსინჯოთ. ავიღოთ ორი თხზულება, ზომით თითქმის თანაბარი, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ და ილიას „ოთარაანთ ქვრივი“. „ჩემ თავგადასავალში“ ხუნდაძეს შემდეგი შეცდომები აღმოუჩენია:

1. ერთ ფასში იყიდება—ერთ ფასად. (პირველი—რუსიციზმია).
  2. ფრაკში გამოკოხტავენ ული—ფრაკით. (რუსიციზმია).
  3. ჩაუდევს—ჩაუდვია. (ჩაუდევს იმერულია).
  4. თავისს შრომას—თავის (კორექტურული შეცდომაა რომ არ იყოს, როგორ უნდა ითქვას: ის თავის (ს) ტვინს ჰყიდის... ის თავის (ს) ტკივილს გრძნობს, თუ თავისს? მ. ჯ.).
  5. თვალწინ მიდგია—მიდგას.
  6. არასოდეს—არაოდეს („არასოდეს“ არასგზით შეცდომად არ ჩაითვლება. მ. ჯ.).
  7. მოწყალებო ბა—ება.
  8. ესენები ყველა, ესეები—ესენი, ყველა ეს.
  9. სათითაოდ—(აღბათ თითო-თითოდ არც ეს სიტყვა ჩაითვლება შეცდომად).
  10. კვირეს—კვირას.
  - 11) შამომესმა, შამონიტია—შე... (შა—კახურია. მ. ჯ.).
  12. უმარული (უმარილი თუ უმარილო—არა ხსნის. თუ პირველია, ცხადი კორექტურული შეცდომაა. მ. ჯ.).
  - 13) გაგიბედნიათ (?)
  14. თამაშობაები (ძველი ფორმაა, მე-XIX ს-ნის დამლევამდე ხმარობდნენ. მ. ჯ.).
  - 15) სახლში დავბრუნდი—შინ...
  - 16) ყველამ მიჩიეს—ყველამ მიჩია. (ფრიად სადავოა. იხ. ქვემოთ).
- სულ 16 „შეცდომა“—ზოგი კორექტურული, ზოგი უნებური Lapsus calami, ზოგი უცოდველი კუთხური და ზოგიც ფრიად სადავო. დარჩა სამიოდე შეცდომა: ჩაუდევს, ესენები, თამაშობაები (მხოლოდ არქაისტულია) და... თუნდაც

(ამ „ყველამ მირჩიეს“. „ყველამ“ დიდი არევ-დარევა შემოიტანა ქართულში. გარჩევა აღვილია. „ყველა (ყოველი) მირჩევს“ — всякий советует, Чласин; „ყველა(ნი) მირჩევენ“ — все... tous. რიცხვის შეთანხმებით „ყველა მირჩევენ“ — გაუგებრობა იქნება აცილებული. მ. ჯ.) „ოთარანთ ქვერივ შო“:

- 1) იგი სთეს = სთესს = სთესავს;
- 2) რუი = რუ (კილოკავია: მამაჲ, დედაჲ, ბუჲ, სოჲკრბ... შიქსიქსიქსი);
- 3) იძლევაოდა, გამოილევოდა (ვარუნდაო);
- 4) ბევრს ამისთანაებს = ამისთანას;
- 5) რომ ეცქერნა = ეცქერა;
- 6) ამის მერმედ = ამის შემდეგ (?);
- 7) არა ხარჯი არ დახოგა = არავითარი ხარჯი.
- 8) დახუჭვილი-დახუჭული;
- 9) ქრისტის(ე)შობისთვის;
- 10) ავის სიტყვით, რაც სთქვი = ავი სიტყვით რაცა სთქვი (კეთილხმოვანებისათვის).

სულ ცხრა „შეცდომა“ აღმოჩნდა (კეთილხმოვანებას თავს ვანებებ) აქედან სამი თუ ოთხია ნამდვილი: „ამისთანაებს“, „დახუჭვილი“, „რუიღამ“, (ესეც ჩავთვალოთ) და „ეცქერნა“, თუმცა კლასიკოსებიც — ვანტანგი, თერმურაზი, არჩილი და სულხან ორბელიანიც ნ-ს მაგიერ ვ-ს სწერდნენ: აქედამ, ყანიღამ, კახეთიღამ, და კახეთი დღესაც ამ ფორმას ხმარობს.

როგორც ხედავთ, აკაკიც და ილიაც შეცდომების მხრივ გათანაბრებულან: ოთხ-ოთხი თუ ხუთ-ხუთი შეცდომა შეჰპარვიათ. და ასეთ ენაზე ახალი ქართულის დამყარება თურმე „ყოველად შეუძლებელი“ ყოფილა.

ორივეს ქვევით დაუბრუნდები და გავარჩევ, რა არის მათგან მისაღები, ეხლა კი ვიტყვი, და მკითხველიც დამეთანხმება, რომ ზოგ დღევანდელ მწერალს 4—5 შეცდომა ორასგვერდიან წიგნში კი არა, ერთ გვერდზედაც მოეწინატრება.

ხუთიოდე, თუნდაც ოციოდე შეცდომის გამო ლიტერატორი რომ დაეწუნათ, ჩვენამდე ერთიც ველარ მოაღწევდა: ჰომიროსიც და შექსპირიც, გიოტეც და პუშკინიც, ტოლსტოიც და დოსტოევსკიც, თმოგველიც, რუსთაველიც, საბასულხან ორბელიანიც, ბარათაშვილიც, ორბელიანებიც.

ტყუილად კი არა სთქვა ანატოლ ფრანსმა: მხოლოდ ლიცეუმის მასწავლებელია უცოდველი, ერთი შეცდომაც არ შეეპარება, ჩვენ კი, საშუალო ნიჭის ლიტერატორები, ნიჭიერები და გენიოსებიც, ყელამდე სავსე ვართ გრამატიკული შეცდომებითო.

ცხადია, არა სცდება, ვინც დაბეჭდილ გრამატიკას იხეპირებს, და ხშირად სცდება ვინც ენას ჰქმნის. და რადგან წერეთელმაც და ჭავჭავაძემაც, სხვებთან ერთად მაინც, ახალი კლასიკური ქართული მოგვცეს, გავილოთ წყალობა და ვაპატიოთ ხუთ-ხუთი, თუნდაც ათ-ათი შეცდომა მოჩრდილ წიგნის მანძილზე. ეს არაფერია. ნამდვილი შეცდომების ძღვენს ქვევით მოგართმევთ, ეხლა კი მთავარ ტემას დაუბრუნდეთ.

მაშ ასე: „ვისრამიანის“ ენა დაძველებულია. ანტონ კათალიკოზისა — მისაკარებელიც არ არის. აკაკისა და ილიასი — „ყოვლად შეუძლებელი“. რუსთაველის ბადალიც არავინა გეყავს, რომ ახალი ქართული შეგვიქნას, მაშ გრძაზე თუ რაზე დავამყაროთ იმედები? „არავიზე და ყველაზე“. ვიმეორებ, ასეთი პასუხი პასუხად არ ჩაითვლება შეთქი.

ქართული რომ ვახსენე, ადმინისტრაციულს ან თუნდაც უსტრუქულ ერთეულს კი არ ვგულისხმობდი, არამედ ფილოლოგიურს, სადაც თითქმის ერთნაირი კილო ბატონობს: ქართლ-კახეთი, მესხეთი (აქედან მიდის მახლობელი ნათესაობა აჭარა-გურულ კილოსთან) და ზემო იმერეთი, რომლის წარმომადგენლად სალიტერატურო ქართულში გიორგი წერეთელი კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აკაკი წერეთელი. ეს კილოკაური იმერეთი (და არა გეოგრაფიული) საქართველოს უდიდეს ნაწილს შეადგენს. აქ ცხოვრობს ქართველთა უმრავლესობა. უმთავრესად აქ შექმნილა და ეხლაც აქ იქმნის ქართული. დღესაც გადაარჩინეთ საუკეთესო ლიტერატორები, პედაგოგები, მეცნიერები, (მიუხედავთ იმისა, სადაურები არიან), გამონახეთ მათი საერთო ენა, ე. ი. დღევანდელი სალიტერატურო ქართული, და შეადარეთ ზემოხსენებულ ამერულ ხალხურ კილოს, იგივეობა თითქმის სრული აღმოჩნდება.

გარდა ფორმების იგივეობისა, კიდევ ერთი რამ არის უდავო: ამერული ლექსიკა გაცილებით უფრო მდიდარია იმერულზე.

არავინ ამბობს, ამერული უნაკლო იყოს. მთიულურს თავი დავანებოთ, ქართლშიც უხვად ხმარობენ შეუწყნარებელ ფორმებს:

კი დენ ან კი დონ; ღმთის წყალობა; მქონიყო, (ცოდვა გამეღვენებული სჯობია: მეც შემპარვია რამოდენიმეჯერ „მქონიყო“ და „მყოლიყო“); ამთენი, იმთენი, რამოტელა, იმოტელა, წავიკითხამ, აქედამ, იქიდამ (ჭავჭავაძე მუდამ ამ ფორმას ხმარობს) წყალსა სვავთ, ხბოები, შენთვინ, რასთვის(ნ), მინახამს, მინახია (მინახავს), იზავს, მოიტანებენ, ცხორი, ცოდო, კომლი (კვამლი).

ეს სიაცკმარა. ცხადია, ასეთი ფორმების შემოშვება ლიტერატურაში ყოვლად შეუწყნარებელია. ისიც ცხადია, რომ იგი იშვიათად შემოეპარებოდა ვინმეს და ეხლაც იშვიათად შეგვხვდება. მაგრამ აშკარაა მეორეც: იმერეთიდანაც შემოვიდა, და დღესაც შემოდის, მსგავსი ფორმები. მაგ-ად: კულამი (კვამლი) რომ წევრდესკენ, მევიდესკენ, მეიტა (კახური მაიტა), წასულარიენ, მოსულარიენ, (მოდლარიან — ზემო იმერეთში); ის წავიდა სოფელ კუხიწკენ, ხონიწკენ; ჯდალარიან; მოიტანებენ (ქართლშიაც); სახელები: ვასოია, ნინაია, ვალიკია; ადექი ზეიდამ; წყალს ვწიკავ (მომაქვს) წუმს; შიშა; ხიდე; ნაკერალა, ნაქონა (უკერია, ჰქონია), ჯობილარიან (სჯობნიან), იქინე, აქინე, რეიზა, იმიზა, და სხ. მრავალი.

შეიძლება მკითხონ: რამდენი შემოვიდა ასეთი მანძილი სიტყვა და ფორმა იმერეთიდან და ამერეთიდან? ვერ დავთვლი, რადგან არ მინდა დავემსგავსო ერთ ადამიანს, რომელიც ასე გამოსცადეს: ოთახში დაამწყვდიეს, დათვის ორი ტყავი შეუგდეს და უთხრეს: დასთვალე და გაიგე, რომელზე უფრო მეტი

ბეწვიანო, თანაც წინდაწინ გადასწყვიტეს: თუ თვლა დაიწყო, სჩანს გიჟი ყოფი-  
ლა, და თუ გიჟი არ არის, დათელის დროს გაგიჟდებაო.

პასუხი თავისთავადაც ცხადია. ვისაც არა სჯერა, აიღოს ათიოდე წიგნა-  
კი და წაიკითხოს, ოღონდ საუკეთესო ავტორებს ხუ დაარჩევს, რადგან — უკვე  
ვთქვი — ისინი თითქმის ერთნაირი ქართულით სწერენ. ~~მეტივენი კი ფაქტმა~~  
უნდა, მათი სტილისტური ორგინალობას არ ვიანგარიშებთ.

პასუხი ცხადია და მიზეზიც ცხადია: დღეს საერთოდ განათლება და ენის  
კულტურაც უმთავრესად იმერეთიდან მოდის, ამიტომ მოაქვს იმერულ მწერალს  
საკუთარი ფორმებიც და ლექსიკაც, განძიც და ნაკლიც. და საანგარიშოც სწო-  
რედ ეს არის: რა არის კუთხურიდან მისაღები და უარსაყოფი.

გავიხსენოთ თუნდაც სამი მწერალი — ვაჟა ფშაველა, ე. ნინოშვილი და  
დ. კლდიაშვილი. პირველი ფშაურ კილოზე სწერდა (თუმცა მისი პროზა დღე-  
საც სანიმუშოდ ჩაითვლება), მეორე — გურულზე, მესამე — ქვემო იმერულზე. სა-  
მივე დიდი მწერალია, მაგრამ დააჩნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ  
შესამჩნევი კვალი სალიტერატურო ქართულს? თვითეულ მათგანს მხატვრული  
გემოვნების მიხედვით მრავლად ჰყავს თაყვანის-მცემელი, მაგრამ ფაქტია: არც  
ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატოროი აღარ სწერს ამ კილოთი.  
რა არის ამის მიზეზი?

პირველი: სალიტერატურო ქართული არც ერთ ამ კუთხეს არ ემორჩილე-  
ბა. იგი შუაგულ საქართველოს ეყრდნობა.

მეორე: ქართული ენა მინიმუმ 1500 წლის წინად დადულდა, ჩამოყა-  
ლიბდა. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჩვენ ადვილად გვესმის მეხუთე საუ-  
კუნის — იაკობ ხუციანის ქართული, ხოლო ინგლისელები, გერმანელები და მრავალი  
სხვაც თავიანთ დედა-ენას — მე-XII-XV ს. ენას — უცხო ენასავით სწავლო-  
ბენ. ამიტომ მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია რომელიმე  
კუთხურმა კილომ შეასრულოს და შესცვალოს მრავალ სა-  
უკუნეში დადულებულ — შეჭედილი ჩვენი ენის საფუძვლები.

მესამე: ასეთი დადულებული ენის მნიშვნელოვანი გრამატიკული ფორ-  
მები ოციოდე წელიწადში არ იცვლება. ახალი სალიტერატურო ქართული —  
აკაკისა და ილიას ენა — მხოლოდ ოციოდე წლის წინად ჩამოყალიბდა და დღე-  
ვანდელი მწერლობაც ამ ენით მეტყველებს (ბილიკებს არ ვან-  
გარიშობ და ცვლილებასაც ქვემოთ მოგახსენებთ).

მაგრამ ერთი რამ არის უცნაური: ზოგი ლიტერატორი (და არალიტე-  
რატორიც) ილიასი და აკაკის ენით სწერს და მეტყველებს, ზოგს მცირედიც  
ვერ მიუმატებია ან დაუკლია მისთვის, და მაინც ხელალებით ებრძვის ამ ენას.  
მაგონდება მოლიერის ეურდენი, რომელმაც მხოლოდ სიბერეში გაიგო, რომ ის  
თურმე მუდამ პროზით ლაპარაკობდა. გარდა ამისა, ფაქტია: ზოგნი ყველაზე  
მეტად იმას ებრძვიან, ვისაც ჰბაძავენ.

და ესეც ცხადია: საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი „ქართველი“,  
რომელიც თავდაპირველად საკუთარი სოფლისა თუ ხევის შვილია და შემდეგ,

მხოლოდ შემდეგ არის ქართული. ასეთი ტიპი სავალალოდ მრავლად მოიპოება ლიხის გადაღმაც და გადმოღმაც.

სხვები საერთო და სალიტერატურო ქართულისთვის მუშაობენ, ესენი კი — მისი დაშლისა და ამღვრევისათვის.

ვუბრუნდები კუთხურს. პროვინცია ახალსაგრაბატიკო ფორმებს, ვერ მოგეცემს მეთქი. სამაგიეროდ იგი ნამდვილი ლექსიკოლოგიური საჭიროებაა, უშრეტე აუზია, რომელიც ქვესქნელი წყაროებით განუდმებით ჰკვებავს და ამდიდრებს სალიტერატურო ქართულს. აქ ათასობით აწყვია ლიტერატორისთვის უცნობი სიტყვა — ჯერაც ცოცხალი და მფეთქავი. და ეს უბატრონო დამთვლემარე სიტყვებიც საუკუნოებით ისევე ელიან მწვერალსა და მეცნიერს, როგორც ნიწის გულში ჩაშარხული მადანი ელის მუშის წვრაქვსა და დინამიტს. ზოგის აზრით ჯერ მარტო ამერეთის ლექსიკის ნახევარიც არ არის გამოყენებული. ყოველივე ნავლწყაყრილია და მხოლოდ შემომქმედს ელის. წავიდეს სიტყვის მაძიებელი და ამ დაუღვინელ მადანს დასწვდეს.

დასწვდეს, მაგრამ დიდი სიფრთხილით უნდა გადაარჩიოს, რადგან ერთ ოქროს ხუთი ყალბი მოსდევს. აი ცოცხალი მაგალითიც: ხელთ ჩამივარდა ერთი ხელნაწერი — გურიაში დარჩენილი სიტყვების ლექსიკონი. მომაქვს იგი მხოლოდ ორ პირველ ასოზე — ა-სა და ბ-ზე. ორ ჯგუფად ვალაგებ ამ სიტყვებს: 1) ლიტერატურაში შემოუშვებელი (ან უცხო სიტყვაა, ან მსგავსი უკვე გვაქვს, ან დამახინჯებული ქართულია) და 2) უეჭველად შემოსაშვები (ან ნამდვილი ქართულია, ან მსგავსი არა გვაქვს და ზოგი ძველ მწეოლობაშიც იხმარებოდა).

### III. ვერ შემოვა ლიტერატურაში

ა ფ ბ ა ზ ი — წვიმიანი ჩრდილოეთის ქარი.

ა ს ა - გ ა ს ა — ცხოველთ ანუ ფრინველთა გარემოცულობა, სიანთ-სიმაღლე. (ინ'ემ).

ა ჯ ა — ღონე, ხალა. ძველად და უკანასკნელ ხანებშიც (ი. ჭაგჭავაძე) ნიშნავს თხოვნას, ზღეწნას: ეიაჯ, გვაჯები.

ა ჯ ი ბ ა ბ ა — სამკურნალო ბალახი. ოსმალურია. უეჭველად ექნება ქართული სახელიც.

ბ ა გ ი რ ი — დორის ჯაგრისაგან დაგრეხილი წყრილი ბაწარი. ს. ორბ-ნის განმარტებით კი — საბელი უსხოსი ყოფელთა, ნავთა ზღვათა მისაბნელი“ (Морской канат). ფიზიკის ლექსიკონშიც ასე შეიტანეს — канат.

ბ ვ რ ე ქ ე თ ი — ბარაქა, ბარაქალა, დოვლათი.

ბ რ ა ქ ი — ბაქი, ტრაბახა, ბაქია.

ბ უ დ უ ა ი — ნათლია, ნიმრქმული.

ბ ზ ე კ ა ლ ი — ბზაკალი, შვილდი.

ა გ ვ ა რ თ ა ი — ბოსელი, გომი, გომური.

ა ლ ა ო — მხატვ, არა ნოყიერი. (ს. ორბ-ნის ლექსიკონით კი დანოტირებული ფქვილი. იგივე სიტყვა გურიაში ნიშნავს ასაფუფბელ ნივთიერებას, ე. ი. საფუარს, მთიულეთში კი — გაფუფბულ ხორბალს.

ა ლ ა ე ვ ე რ ა — უნდოლი, ჩაუკირავი, დონდლო, ბეყერა, ბესაფი.

ბ ა კ ე — მთვარის შარაუანდელი. ამერეთში კი — ბაკი, საქონლის დასამწყვდევად შემოღებული ალაფი. „აწ იშვეთ თქვენ ქალაქები ვანისა თქვენისათვის და ბაკები

საცხოვრისა თქვენისაჲ. ბაკი, იგივე ბაკმი, (ბაკმული, ბაკმიანი, ბროლ-ბაკმული), შუქის რკალი მთვარის გარშემო. მაშასადამე—ბ ა კ ი და ა რ ა ბ ა კ ე.

ბ ა ხ ა რ ი — რკინის ბარი, ბარვა და არა ბახარება.

ბ თ ბ ო რ ჩ ხ ი კ ა ი — ხარაბუზა.

ა ლ უ რ დ ა — ნაირნაირი ერთად აზრდილი მაღალი ბალახი. საბა ორბე-ლიანის ლექსიკონით კი — ა ლ ე რ დ ი, ნედლი თივა. ეხლავე უნდა იხილოს მარტო.

ა ლ ყ ა — ძველ ქართულში — ს ა ლ ტ ე, შემდეგ კვანძულებით შეცვლილი ან რამესი (იგივე სალტე); აბრეშუმის ძალი (წელის ალყა). გურიაში კი — ჩონგურისა და კიანურის სიმები; ქორისა და შიშინოსაგან ჰაერში ფრთავაშლით და სისწორით ფრენა. (უკანასკნელი აზრით მისაღებია).



**უმოსაუფებია ასეთი სიტყვები:**

ა გ უ ნ ა - ი — ღვინის ღმერთი (შანშიაშვილმა უკვე იხმარა ერთ ლექსში).

ა ლ ა გ ე — ლობზე გადასასვლელი მცირე კიბე, ლობის ორივე მხარეზე. (იმე-რეთშიაც ალაგე, სამეგრელოში — ოლაგე).

ა ლ ა თ ი — ოქროს ფერი ცენი.

ა ლ ა ჯ ა — საქონლის მკერდის ქონი.

ა ლ ი ს-ყ უ რ ი — აბოსკვილის მსგავსი ნიჟარა, მხოლოდ დიდი ზომისა და კრელი.

ა მ ო მ ა ბ ე ა — კობით ქურიდან ღვინის სრულიად ამოღება, ამოწურვა, ამოხვრება.

ა მ ო ფ ო ფ ხ ე ა — ქათმის მიერ მიწის ამოთხრა. ამერეთში — აფოფხება, აფოფხდა, ფოფხვით ასვლა, დაოთხებით ან ორი ხელით ძლევს ამოსვლა.

ა ტ ო ლ ო შ ე ბ ა — მიყვრა, მიწებება რამეზე. მჭიდროდ აფარება, მიყუდება, აკრობა.

ა ჩ ხ ო ტ ი — მაღალი, დაყუდებული სახურავი სახლის. ბანი. (სოფელია გუ-დამაყარში).

ბ ა რ ჯ გ ი — ორკაპა ბოძი, ძელი, სვეტი, ბარჯი — барог.

ბ ე ნ ძ ღ ი — ძველი ლითონი, ნახმარი „უმუშავარი ილგერო“ (ს. ს. ორბ-ნი),

**XOM.**

ეს მაგალითებიც საკმარისია. ასეთი სიტყვა, ტერმინი და ხშირად მთე-ლი გამოთქმაც — მახინჯიც და ნამდვილიც — ათასობით აწყვია ჩვენს კუთხეებში. ამ ზღვას დამწმენდი სკირდება. და ჩვენი ლიტერატურაც და მეცნიერებაც ამ დიდ საქმეზე მუშაობს. ხოლო კუთხური თავმოყვარეობა (ზოგჯერ კი ამპარტავ-ნებაც) იმ დიდი, ძალიან დიდი როლითაც უნდა დაკმაყოფილდეს, რომელიც მას ისტორიულად აქვს დაკისრებული: შეინახოს ქართული სიტყვის მარაგი და ნუ წაბილწავს ქართულს თუნდაც ასეთი სიტყვებით და თქმებით: „ნიტკის ძაფი“ — „გაკრასკული კალესო“ — „ურემს დაუნაზადე“ — „ტრე-ტი კლასის მესტო“ — „კარტიჩკა“ — „გოროდი“ — „ოჩერედო“ — „დევეტსოდ პიატი გოდაში“ — „ზდოროვი კაცი“ — „ადეალოს საბანი“ — „გულის რაზრივი მოუვიდა“ — „თავის უდარი დაე-მართა“ — ჩახოტკა შეეყარა“ — „ტრი რუბლი მივიღე“. თუმცა უნდა ვალიარო: ეს ტალახი მარტო სოფელს უსამართლოდ მივაწერე. მსგავსი წიწი-ლები უფრო ქალაქებში იჩეკებიან და სოფელსაც აქედან ედებიან, ამიტომ ბრა-ლიც საერთოა, ეროვნულია.

თვითონ სიტყვაში „კილოკავი“, „პროვინციალური“ ზოგჯერ რაღაც აბუჩური და ათვალწუნებული მოიხმის. ზოგი ამ სიტყვას თუ მცნებას ამაყურად უპირდაპირებს სუფთა სალიტერატუროს, დედაქალაქურს. მაგრამ უხეზად სტყუვდება: დახვეწილი და ჩანოყალიბებული ტფილისური ვერ არის შექმნილი. იგი მხოლოდ ახლა იქმნის, ახლაღა იდგამს, იქნებუა. მაგრამ მარტო დღევანდელი ტფილისი ვერ შეასრულებს ძველი შესტყმის, ვერც პარიზისას, ვერც მოსკოვისას. ტფილისელ ქართველობას en masse ძალიან გაუძნელდება კანონმდებლობა სუფთა სალაპარაკო ქართულისა. სალიტერატურო ქართული კი, მაინც, მხოლოდ ჩვენს დედაქალაქში უნდა გამოიქედოს, მაგრამ ესეც ქვემოთ იყოს.

მართალია, კუთხური ფორმები და სიტყვები ზოგჯერ ამღვრევენ ენას, მაგრამ ხშირად კიდევაც ამდიდრებენ. ბევრი საყვედური გაუგიათ ნინოშვილს, გიორგი წერეთელს, მაჩხანელს, ვაჟა ფშაველას და სხვებსაც. ცხადია, თხრობის დიალოგში უნდა შენახულ იქნეს ჯარგონი, ხოლო შეუწყნარებელია როცა ავტორი თვითონაც გაურჩევლად ხმარობს კუთხურს.

კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხია. ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია უურთულესი და უუძნელესი ფანდია. დიდი ხელოვანის ვაჟა ფშაველას ფანდი „ჩაფიქრებულა მინდია, ყალივან აჩრავ პირშია“—საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა.

ინტელიგენტურ-სალიტერატურო ენა ზოგადურია, განყენებული. გაზეთის ენა—მშრალი, ნაჩქარევი და უძარღვო. ასეთია ყველგან ინტელიგენციის სტილიც და ლექსიკაც. ხალხური კი მუდამ უფრო მოქნილია, მსუქანი, კონკრეტული, სისხლით სავსე და ფერადოვანი. ამიტომ შემოაქვს უხვად ლიტერატორს კუთხური სიტყვა, თქმა და გრამატიკული ფორმებიც. და თუ ამ ახალ სიტყვა-ფორმებიდან ერთი მეათედი მაინც შეემატა სალიტერატურო ქართულს, კუთხურის როლი სავსებით გამართლებულად ჩაითვლება.

ცხადი ფორმალური ორპირობა დამემართა: ზევით მრავალი კუთხური სიტყვა დავიწუნე. ახლა კი „მოქნილი მსუქანი, სისხლით სავსე, ფერადოვანი“ ხალხური მოვიწონე და ლიტერატურაში მოვიპატიე. მკითხავენ: მაშ სად არის ზომსადარი? ვუპასუხებ უტყუარი, მათემათიკური ზომსადარი არ არსებობს. მხატვრული ალღო და ენის ცოდნა—აი ერთადერთი საზომიც და იარაღიც სალიტერატურო ქართულის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის. ყოველივე დანარჩენი სიტყვების უქმი ხარჯვა იქნება.

დიალექტიზმი მარტო კუთხურით (პროვინციალიზმით) არ ამოიწურება. ეტნიური ანუ ოლქობრივი ჯგუფების გარდა სოციალური ჯგუფების დიალექტებიც არსებობს. დღევანდელმა ეპოქამ შესამჩნევად წაშალა სოციალური მანძილიც და მათი დიალექტებიც. ჩვენი ენა ამის გამო უეჭველად მოიგებს, მწერლისთვის კი მაინც დიდძალი მასალა დარჩა ამოსაყრეფი. პროფესიულ-ჯგუფური ლექსიკა ვერ სავსებით არ არის გამოყენებული. არ შეიძლება ხელაღებით მივიღოთ ან უკლებლივ უარყოთ ხალხური ეტიმოლოგია და ვულგარიზმები. ზო-



მიერების აღლო და მხატვრული გუმანი აქაც თავისას გაიტანს. სცდებიან ხელ-  
თათმანიანი მწერლები, ძალიან ადვილია ცხვირის დაცობა და განზე გადგომა:  
ღარიბი ლექსიკა დიდს ვერაფერს შეჰქმნის, უფრო ძნელია დამკლავებით ქექვა  
ხალხურისა. სამაგიეროდ ნაყოფიც მადლიანია: მწერალისათვის ძვირად ლექ-  
სიკა თუ, რა თქმა უნდა, დანარჩენიც ექნება — ნამდვილი მწერალი არ  
არჩევანიც ცხადია: ძნელი გზა ადვილზე მუდამ ოფრთხსაქმნისა

### ბარბარიზმები

აბსოლუტურად ეროვნული არც კულტურა ყოფილა, არც ენა არსებობ-  
და. არც შეიძლება არსებობდეს. ერების ურთერთობა თანდათან მჭიდროვდება.  
მატულობს მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და გავლენაც — საერთოდ კულტურისა  
კულტურაზე და ენისა ენაზე.

ჩვენს დროში მოძრაობისა და გავლენის სისწრაფე გეომეტრული პროგრე-  
სით იზრდება. ოდესღაც ერთი საუკუნე თითქმის მეორეს უდრიდა, ეხლა კი  
ზოგან ნახევარი საუკუნე უდრის უწინდელ მთელს, ზოგან მეოთხედი, ზოგან კი  
შეიძლება მეათედიც.

ენა დასრულებული და სამუდამოდ ჩამოყალიბებული რამ არ არის. იგი  
გამუდმებით განიცდის დუღილსა და ცვლილებას. მაგრამ ზოგი  
ენა დღესაც მძლავრად სდუღს, რადგან მას ჯერ არ დაუმთავრებია მთავარი  
ფორმაცია, ზოგი კი უკვე დასრულდა და მისი ფორმაციის ტემპიც შე-  
ნეღდა.

ქართულმა ენამ დიდი ხანია დაასრულა ფორმაციის მთავარი პროცესი,  
ნელი დუღილი კი მაინც არ შეჩერებულა, და ნურც ოდესმე შეჩერდება, რადგან  
ეს იქნებოდა ნიშანი ენისა და ერის გაყინვის, გახმობისა და სიკვდილისა.

უკვე დადუღებულ ენის საფუძვლებს საუკუნეთა მანძილზე ოდნავი ცვლი-  
ლება ეტყობათ. სამაგიეროდ ლექსიკა და საერთოდ ენის ზედაბირი სწრაფად  
იცვლება. ეს ცვლილება ორი გზით ხდება: შიგნიდან და გარედან. თუ ერი  
ბუნებრივად და თავისუფლად ვითარდება, შიგნითი ანუ ორგანიული  
პროცესი სჭარბობს გარეშეს, უცხო სოლო თუ ერი თავისუფლად  
ვერ ვითარდება, მექანიკური ანუ გარეშე სჭარბობს და სჩაგრავს  
ორგანიულს.

ამ გარეშეს თუ მექანიკურს დიდი რუსეთიც ვერ გადაურჩა. პეტრე დიდმა  
ფრანგულსა და ჰოლანდურ მუნდირ-პარიკთან და პრუსიულ შპიცრუტენტან  
ერთად იქაური ლექსიკაც და ფორმებიც შემოიტანა. მას აქეთ რუსული ლექსი-  
კონი შეუჩერებლივ იზრდება და იცვლება, თუმცა მას უცხო სიტყვები არც  
მანამდე ჰკლებია. ზოგიერთებს მაინც ეხსომებათ მსუქანი წიგნი — „100.000  
иностранных слов, вошедших в употребление русского языка“, გამოსული  
30 წლის წინათ. მცირე ხნის შემდეგ 100 ათასი 125 ათასად გადაიქცა.

თუ ენა ცხოველ-ძალოვანია, დიდი შიში არ უნდა ჰქონდეს ბარბარიზმებისა.  
ქართულს მრავალი ათასი უცხო სიტყვა ჩაუსრუტავს და თავისებურად გადაუკე-  
თებია, რადგან იგი მორფოლოგიურად სრულქმნილია, ძალოვანია, მაგ-ად:

სერდარ—სარდალი, კონალ—ყონალი, კული—ყული, კაზაკ—ყაზახი, ტამარ—თამარი, ალექსანდროს—ალექსანდრე, ქეიხოსროს—ქაიხოსროს, ზაჰმი—ზეიმი, და... იესო ქრისტეც კი ჩვენებურად მოვნათლეთ—(იეშუა—ებრაულად, ხრისტოს—ბერძნულად). ქართული გონეტიკა და მორფოლოგია თავისებურად ხარშავს ასეთ სიტყვებს დეკლენაციების ნაცვლად საკუთარს აძლევს. აქ არის ყოველი ჯანსაღი ენისკლასიკური რუსულმაც ადვილად მოხარშა და მოინელა უცხო სიტყვების ზღვა. რუსულზე უფრო მეტად ნარევი ინგლისური.

ვერც ქართული ასცდა უცხოთა მძლავრ გავლენას. პრეისტორიულს თავი დავანებოთ. ქართულსაც მუდამ რყენიდენ და ამდიდრებდენ ბერძნული და არაბული, თათრული და სპარსული. ოდნავ ეონავდა ლათინურიც.

ეს ერები საუკუნოებით ისხდნენ ჩვენს ოჯახში: მოჰქონდათ და გვაშენიდენ საკუთარ კულტურას, მეურნეობას, ყოფას და ლექსიკასაც. მაგრამ წყალნი მიდიოდნენ და ქვიშანი რჩებოდნენ. ქართულმა ყველას გაუძლო და თითქმის უცვლელად შეინახა თვისი საძირკველი და ხასიათი.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც საბას. ორბელიანის ლექსიკონი ერთ ასოზე—ბ-ზე—და ძვალნი ჩავაყოლოთ უცხო სიტყვებს: ბაბალ, ბაბილოვანი, ბალა, ბალააშ, ბალავი, ბაეი, ბარაქა(ლა), ბარათი, ბეგარა, ბაზახი, ბაღდადი, ბაჯალლო, ბილანი, ბუთა, და სხვა მრავალი. ნასესხევი აგრეთვე აივანი, ალაყაფი, ალაში, აშალა, არაყი, დავთარი, დარბახი, დროშა.

თავი დავანებოთ ცალკე სიტყვებს. ავიღოთ თუნდაც „დასტურლამალი“ ვახტანგ მეექვსისა—წიგნი სამართლისა მოხელეთათვის, ე. ი. მეფის განკარგულებათა კრებული. აი მაშინდელი ქართულის ნიმუშები: ოთარ-მდივნის თაბუნმა, მეითრის თაბუნმა, ბეჟან შანშიაშვილის თაბუნმა, ამათუნდა გამოიღონ კომლზედ მარტა ხუთი აბასი, ქოდავი ერთი შაურრი, სანავრუზო ოდუნ აღჩა სამასპინძლო და ეთახი. ეს ელიახლა ხალილას მიებარების“.

ან კიდევ:

„თუ ბატონმა მუშაშაშის სახლში ბრინჯიანი ჭამა, ერთი ეშიკალასი დადგეს და ერთი ბოქაულთ-უხუცესი, ერთი სოიბათ. იასული, ერთი აბდარბაში, ორი სხვა აბდარი... ორი თუშმალი, ოთხი სუფრაქეში, ორი მეშარბათე. ერთი ყალითნ ყორჩი... ექვსი ყაბი საჯერგოა, ძროხა ერთი აშითა და ბორჩითა“.

ესეც კმარა. თითო სტრიქონში ორი, სამი და ზოგჯერ ხუთი უცხო სიტყვა იპოვება. ნუ დაგვაფიწყდებათ, რომ ამას მეფე და მისი სამდივნო სწერენ და საზეფო კარიც ასეთივე ქართულით საუბრობს.

თევზი თავიდან აყროლდებაო, და ეს თავი იმდენად აყროლდა, რომ იმავე ხანებში კარის მაღალი წოდება, ე. ი. ენის შემქნელი და დამცველი, მღვდელსაც კი თათრულ „ქეშიშს“ არქმევს. ხშირად მომხდარა: დიდებულნი ენას რყენიდენ, მდაბიო კი ინახავდა, ქალაქი ქართულს ამახინჯებდა, სოფელი კი უვლიდა და აკეთებდა.

მახლობელ წარსულშიც სცადეს „მაკარონული“ სტილის შექმნა, მაგრამ საბედნიეროდ ამ შონაბერმაც მალე გადაიარა და ქართულმა ენამ თვისი ჯანსაღობა და სიმკვიდრე ერთხელ კიდევ გამოიჩინა.

რიგ-რიგად წავიდნენ ბერძნები და არაბები, ოსმალებიც და სტაროსკლებიც, ხოლო მათ მიერ დატოვებული ყოფა, ადათი და ლექსიკაც დრომ-მოდროვ. მათ ნაცვლად რუსეთი მოვიდა, მაგრამ მოდუნებული სული ვეფხველ-მეფე-მეფის თავეს, და რალაც ოციოდე წლის შემდეგ ვახტანგ-როსტომ მეფეთა შემკვიდრე დოდაშვილები ასე ამეტყველდნენ:

„ისპოლნი ტელნი ექსპედიცია“, „უქაზი“, „უგზის სუდი“, „ხემსკის პოლიცია“, „ისპრაენიკი“, „ოკრუჟნი სასამართლო“, „რუბლი“, „ჩლენი“, „გამოკოვბანი ჟურნალთა და გაზეთთაგან“.

ე. ი. იგივე მეჰმანდარი, ჯანიშინი, აბდარი, იასაული, თუშმალი, ყაბი და ყალიონ-ყორჩები, რომელთაც ქართული სიტყვა დალამეს და დარიყეს.

უცხო კულტურას და აპარატს თან მოაქვს უცხო ტერმინებიც. და ახალმა ნიაღვარმაც უმაღლესი მოდრიკა ქართული მეტყველება. იმ ხანებში—მე-XIX ს. პირველ ნახევარში—ქართულ ენას ხაფრანის ფერი დაედო. მოიკრუნჩხა, მოდუნდა, თითქო დამბლა დაეცა, თითქო სიკვდილი მოეჩვენაო. მაინც მთავარი ხიფათი ბარბარისმების ზღვამ კი არ მოიტანა, არამედ სხვა რამემ: აიმღვრა ქართული სინტაქსი, აიმღვრა და მოქნილი, გამჭვირვალე სასაუბრო ენა გაიყინა. მარტო უცხო სიტყვები ასე ვერ დაასწულდნენ ჯანსაღ ენას.

მე-50 წლებიდან კრიზისი თავდება. ჯანმრთელი ერი სენს ერევა და ნელ-ნელა საკუთარ თავს უბრუნდება. ახალი სახალხო ქართული, ისევ პოულობს საუბრის უნარს, მოქნილებას, გამჭვირვალეობას, ქართულ სიტყვასა და სინტაქსსაც. კულტურული და ლექსიკური ნიაღვარი თანდათან მეტის ძალდონით გვაწეება. მაგრამ წინააღმდეგობის ძალაც უფრო მეტის პროპორციით მატულობს და ნეოლოგიზმებით—ახალ-ახალი ქართული სიტყვებით—და აგრეთვე მიძინებული სიტყვების გამოღვიძებით შესამჩნევად ანელებს წარღვნის ძალას. და იმ თაობას—წერეთლებსა და ქავჭავაძებს, ერისთავებსა და რაზიკაშვილებს, ყიფშიძეებსა და ნინოშვილს, ყიფიანებსა და ლომოურებს, სახელოვანსა და უსახელოს—ბელეტრისტებს, პოეტებსა და ჟურნალისტებს—ენის დაწმენდის მეტი რომ არაფერი გაეკეთებინათ, მარტო ამისთვისაც ღირსი იქნებოდნენ განუზომელ-მადლობისა და უკვდავების ძეგლისა. და ამ ლიტერატორებს თავიანთი მოთხოვნები, ლექსები და დრამები ვახტანგებისა და დოდაშვილების ენით რომ ეწერნათ, დღეს ქართული კულტურის ნაცვლად მძორილა დაგვრჩებოდა.

ზოგჯერ ენას სიბერწე შეეპარებოდა ხოლმე. საკუთარს ველარა ჰქმნის, ყველაფერს ახალს სხვისგან სესხულობს და ხელოვნურად მდიდრდება.

დღევანდელი რუსული ლიტერატურა ხელაღებით სდევნის უცხო სიტყვებს, სამაგიეროდ ხალხში საკუთარს ეძებს და უხვადაც პოულობს. ზოგიერთებმა (ლეონოვი, კლიჩკოვი, ანდრეი ბელი, ივანოვი) გადააქარბეს კიდევაც. ზოგჯერ რუსულის ხეირიან მცოდნესაც უძნელდება მათი გაგება. რა თქმა უნდა, გადაქარბებაც მეტად სახიფათოა, საერთოდ კი დღევანდელი რუსი მწერალი სწორ გზას მისდევს და ქართველმა მწერალმაც ეს გზა უნდა ამჯობინოს.

უკვე ვთქვი: კუთხური სიტყვებისა და ფორმების თავისუფალი შემოშვება ზოგჯერ ანარქიას ჰქმნის და სალიცენზიაციო ენას ხიფათს უქადის მეთქი. მაგრამ ეს ხიფათი თითქმის არაფერია შედარებით უცხო სიტყვათა წარღვნასთან. კუთხური ჩვენი ბუნებისა მაინც არის და იმდენად არ ეხამუშება სმენას, როგორც ზოგიერთი უცხო სიტყვა.

მაგრამ აუცილებელი მაინც აუცილებელია. ერის ტრადიციული ფორმების მოსდევს ენის განვითარებაც. შეუძლებელია მეოცე საუკუნე შეათე საუკუნის ენით მეტყველებდეს. სიტყვებიც კვდებიან—ზოგი აღრე და ზოგიც გვიან, და მკვდრების ნაცვლად ახლები იბადებიან—ზოგი საკუთარი და ზოგიც უცხო. გარდა ამისა, დღევანდელი ეპოქა საოცარი სისწრაფით აჩენს ახალ საგნებსა და მცნებებს, მაშასადამე სიტყვებსაც. და გუბდება, იზრდება უცხო სიტყვების ლექსიკონიც. რადგან მეცნიერება უმეტესად უცხოეთიდან მოდის, ამიტომ შესაფერი სიტყვებიც მოაქვს და ჩვენს მიწაზე რგავს, ამკვიდრებს, ასე იყო უწინ, ასეა დღესაც.

მეცნიერებასა და ტექნიკას ათასობით სჭირდებათ სპეციალური ტერმინები, რომელთაც დიდი ხანია ააჭრელეს სხვათა ენები და ამჟამად ქართულსაც აჭრელებენ. ამ სიტყვების მოზრდილი ნაწილი უცხო ბგერათა სისტემებს ეკუთვნის, ამიტომ უცხო სიტყვა მუდამ არ ეგუება ქართულს. და რაც მოსათმენია ტექნიკოსისათვის, ზოგჯერ ყოვლად აუჩანელია სიტყვის ხელოვანისათვის. მაინც ორივეს უაღრესი სიფრთხილე მართევს, უფრო მეტად კი პოეტს და ჟურნალისტს, რადგან მათი სიტყვა გაცილებით უფრო მჭრელია და ხმოვანი. მეცნიერული ტერმინის შეცვლა ადვილია, ხალხის ტვინში ჩაქედილი სიტყვის ამოგდება კი მეტისმეტად ძნელია.

წინ მიდევს ახალი—ფიზიკისა და ელექტრო-ტექნიკის ტერმინოლოგია. მართო ეს ლექსიკონი 5000-მდე სიტყვას შეიცავს, ხოლო მეცნიერებას ასეთი დარგი შეიძლება თხუთმეტი, ოცი და მეტიც ჰქონდეს. ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ როგორ შევიდა რუსულ ენაში 100.000 უცხო სიტყვა, და არც ის იქნება საკვირველი, რომ მოკლე ხანში, როცა ჩვენშიც განვითარდება მეცნიერების ყველა დარგები, ქართულშიც მოიკალათოს ამდენივე უცხო სიტყვამ.

აი ამ ზღვა სიტყვას სჭირდება შერჩევა. და ამ შერჩევას ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები უნდა დაედოს:

1) უცხო სიტყვა უეჭველად უნდა ითარგმნოს, თუ შესაფერი ქართული სიტყვა მოიპოვება.

2) თუ არ მოგვეპოვება, იგი უნდა მოგონილ იქნეს ნათესაური სიტყვის წარმოებით, და არა აბსტრაქტულად, არა მექანიკურად.

3) დანარჩენ სიტყვებს კარი უნდა გაეხსნას, თუ იგინი ეგუებიან ქართულის ბუნებას, და

4) თუ რომელიმე საერთაშორისო სიტყვა ჩვენი ენის ბუნებას არ ეგუება, სჯობია რომელიმე სხვა ენისგან ვისესხოთ იგი (აბსოლუტურად საერთაშორისო სიტყვები თითქმის არ არსებობს), ვიდრე ქართულის ბუნება ავამღვრიოთ. ამ

გზით მიდიოდა და დღესაც ამავე გზით მიდის რუსულის განვითარება: ზოგ სიტყვას ფრანგულისგან სესხულობს, ზოგს—გერმანულისგან და ზოგსაც—სხვა რომელიმე ენისგან.

მომაქვს ზემოხსენებული ლექსიკონიდან ზოგიერთი მაგალითი ფონეტიკურად არ ეხამუშება ქართულს:

აბაჟური, აბერცია, მოტორი, ტელეფონი, გარაჟი, დინამო, ავტორი, ავრეგატი, აგლომერატი, აგენტი, აგომეტრი, აკორდი, აქტივობა-ვური, აქუსტიკა და მსგავსი.

ასეთი სიტყვები ლექსიკონშიც უცვლელად არის გადმოტანილი.  
ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ა :

Аккумулярующий—მაუნჯებელი, Артель—ნადი, Багор—ბარჯი, Бак—აუზი, Балка—კაჭი, Балкон—აივანი, Банка—ქილა, Барабан—დოლი, Балванка—ზოდი, კუნძურა, Борт—ქიმი, Будка—ჯიბური, Ватерлиния—წყალბაზი, Ватерпас—თარაზი და სხვ.

აქ ზოგი სიტყვა კარგად არის მოგონილი და მოქრილი, მაგალითად: Аккумулятор—მაუნჯებელი, Ватерлиния—წყალბაზი და სხ. მაგრამ მეტი-მეტად ეხამუშება ქართულის ბუნებას ბგერათა ასეთი დაჯგუფება: ა ბ ს ო რ ბ ც ი ა (შთანთქმა, უპირატესობა პირველს აქვს მიჩენილი), ადსორბცია, დიზიუნქტორი, კონიუნქტურა, ინდუქტანსი, ნონიუსიანი მასშტაბი, და მრავალი მსგავსი, ჩვენი ყურისათვის უჩვევი და უცხო.

შეიძლება ასეთმა სიტყვებმაც გაიღვან ფესვი ჩვენს ტვინში, მაგრამ ქართველმა ხელოვანმა და მეცნიერმა გამუდმებით უნდა იმუშაეონ უკეთესის გამოგონებისათვის, რასაც კომისიაც აღნიშნავს წინასიტყვაობაში და, ცხადია, სატერმინოლოგიო კომიტეტიც უდასტურებს. მაგრამ მე მგონია, რომ „აბსორბცია-ადსორბციას“ ნაცვალ სიტყვები ან რომელიმე სხვა ენაშიც მოიპოვება—ფონეტიკურად უფრო მონათესავე ქართულისა, ან მათ მაგივრად ქართული უნდა შეიქნეს: ქართული ხაზა ასეთი ბგერის შეზავებას ვერ ინელებს.

ამავე ლექსიკონში სწერია:

Блок—კალი. კალი ლიუსტრას ჰქვია, ბლოკს კი კიჭინაქს და ღირღიტს უწოდებენ.

Весло—ზოფი (ზოპი, აგრეთვე ორთაყ (ვი)ური.

Войлок—ჩული. ჩული—„სახურავი ცხენთა და ძაღლთა“ (ს. ს. ორ—ნი), რომელიც შეიძლება სხვა მასალისაყ იყოს. Войлок-ს კი ქეჩა ჰქვია.

Гудеть—ყვირილი. საყვირი ყვირის. სამაგიეროდ ავტომობილი გუჯუნებს).


Двойник—ორეული (საშუელი, ათეული). ორ ა დ ი სჯობია.

Звонок—ზარი (ხანზალაკი, ხანგალაკი).

Бусоль და Компас ერთი სიტყვით არის ნათარგმნი—ყიბლანი. აქაც შეცდომაა. არ შეიძლება ორ სხვა და სხვა საგანს ერთი და იგივე სახელი ერქვას.

უნაკლო ლექსიკონი არ არსებობს. წიგნი ძლივს გამოვიდა და კომისიას უკვე მრავალი შესასწორებელი და დასამატებელი მასალა დაუგროვდა. ასეც უნდა მომხდარიყო, და შემდეგშიც მოხდება, რადგან ენის ზრდა და ცვლილება ერთი დღითაც არ ჩერდება. საერთოდ კი წინანდელ ლექსიკონთან შედარებით

ამ ლექსიკონს უეჭველად სწორე გზა აქვს აღებული, და სატერმინოლოგიო კომიტეტიც უეჭველად საისტორიო საქმეს აკეთებს.

ბარბარიზმად უნდა ჩაითვალოს უცხოურიდან სიტყვა ~~სიტყვით~~  თარგმანიც, მაგალითად:

ადგილი აქვს (иметь место, ფრანგული avoir lieu) <sup>სიტყვა</sup> მიღება (принять меры, ფრანგული prendre le mesure); ეს ის არის, <sup>რომ</sup> რაღაც <sup>შეგონა</sup> „როგორც შეგს შეგონა“... რაც უფრო სამწუხაროა, ეს არის ის, რომ... „ერთად-ერთი, რაც აქ გადავაკეთე, არის—რამდენიმე ნახატი“... „უმთაფრესი რაცაა ეს ის არის, რომ“...

ამას წინათ მთელი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა ასეთი სია: სარაჯევა, ვართანოვა, ივანოვა, პეტროვა, პავლოვა. ამ სიამ სამიოდე უმაღლეს დაწესებულებაში გაიარა და უცვლელად გამოქვეყნდა.

ბარბარიზმების უხამს ნიმუშებს ქვევით დავასახელებ, ახლა კი ვიტყვი, რომ უცხო სიტყვების შემოღება განსახლებულ მიჯნამდე ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ შემდეგ თუ წყარო ნიაღვრად გადაიქცა, ენა წაილეკება და დაღბება. ასეთი რეალური ხიფათი მოელის ქართულსაც, თუ მოვარდნილ ნიაღვარს ვხლავე მტკიცე ჯებირები არ დავუხვედრეთ.

# ბიბლიობრაფია

3. ბახტაძე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## კრიტიკული შენიშვნები

### ა. ფადეევი.

ა. ფადეევი ახალგაზრდა პროლეტარული მწერალია. მის კალოამს ეკუთვნის მხოლოდ რაოდენიმე ნაწარმოები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „Раврон“. სწორედ ამ რომანით, უკეთ რომ ვთქვათ, დიდ მოთხოვრებით—ახალგაზრდა, მანამდის თითქმის უცნობმა, პროლეტარულმა მწერალმა ფადეევმა სამართლიანად დაიკავა საკუთარი ადგილი თანამედროვე, რუსეთის პირველხარისხიან მწერალთა რიგში. პირველად ყოველისა ფადეევის ამ რომანს ახასიათებს,—უდიდესი მზრუნველობა და სიყვარული, რომელიც გამოუჩენია ავტორს მის დაწერაში. „რაზგრომი“ არ არის ნაუცბათევით ნაწერი. ამ მხრივ ფადეევი სამაგალითო მწერალია, მისაბაძი. დღეს ჩვეულებათ იქცა—განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერალთათვის: წელიწადში—რაოდენიმე ტომი მაინც გამოუშვან. უფრო მეტი ყურადღება რაოდენობას ექცევა და არა თვისებას და ღირსებას. ამიტომაც არის, რომ ნაუცბათეობის ცუდი ნიშანი აუცილებელივ ახლავს მათ. „ეკონომის რეჟიმის“ ხანაში—ისინი არამც თუ არ იჩენენ არაერთარ ეკონომიას სიტყვისა აზრებისა, ქალაღდისა და მკითხველის დროისა, არამედ, პირიქით. ფადეევი, ვიმეორებთ, ამ მხრივ უნაკლოა. ის არ მიზღვეს რაოდენობას, არ ისახავს მიზნათ აუცილებელივ ანდენი და ამდენი ტომები გამოუშვას წიგნის ბაზარზე. მისთვის საანბანო ჭეშმარიტებათ არის გადატყუული, რომ საჭიროა—განსაკუთრებით დღევანდელ დროისათვის—უდიდესი მოპირნეობა ცხოვრების ყველა დარგში და კერძოთ მხატვრულ ლიტერატურაში. სიტყვის და მხატვრულ ოსტატობის ეკონომია,—ფადეევს შეთვისებული აქვს, და რაც მთავარია, ის უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს დღევანდელი ეპოქისა და მკითხველის წინაშე. ამ პასუხისმგებლობის ნიშნია ქვეშ არის შესრულებული ფადეევის „რაზგრომი“. რაოდენიმე წლის განმავლობაში სწერდა და მუშაობდა მასზე ფადეევი. ნაწევრები ამ წიგნიდან იბეჭდებოდა ჯერ კიდევ 1925 წელს. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება—„რაზგრომის“ კითხვისას თუ რამდენი შრომა, დაკვირვება, სიყვარული და მზრუნველობა გამოუჩენია ავტორს წიგნის თითოეულ სიტყვის, წინადადების, მხატვრულ სურათის შესრულებაში.

ფადეევი ღვე ტოლსტოის მოწაფეა.—ცხადია, მხატვარ ღვე ტოლსტოის და არა მორალისტ და ცხოვრების მასწავლებელ ტოლსტოის. „რაზგრომი“ დაწერილია ტოლსტოის მხატვრული სტილით და ხერხებით. ტოლსტოის გავლენა ხელშესახებ ემჩნევა ამ რომანს, როგორც სტილის მხრივ, აგრეთვე თვით მომქმედ პირების დაბასიათების მიდგომაშიც.

შეიძლებოდა არა ერთი და ორი ამონაწერის მოყვანა ფადეევის რომანიდან, რომლებიც ტოლსტოის სიტყვა-მთქმელობას გაგახსენებთ აუცილებელივ აი მაგალითათ:

„Все те запутанные, надоедливые мысли, которые впервые родились в нем, когда он жарким июльским днем возвращался из госпиталя, и кудрявые косари любовались его уверенной кавалерийской посадкой—те мысли, которые с особенной силой овладели им, когда он ехал по опустевшему полю после ссоры с Мечником, и одинокая бесприютная ворона сидела на покрывившемся стогу,—все эти мысли приобрели теперь небывалую мучительную яркость и остроту“.

წინადადების მთელი კონსტრუქცია, სიტყვების ხმარება, აზრის თანდათანობითი გაშლა,—ტოლსტოის განმეორებაა. ვისაც კი წაუკითხავს ტოლსტოის აუცილებელივ გაიზიარებს ამ აზრს. ცნობილი კრიტიკი ლეჟნევი,—წამბაძველობასაც ნახულობს ტოლსტოის ასეთ განმეორებაში, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ეს მართალი არ არის, ყოველ შემთხვევაში გადაჭარბებულია,—თუ კი წამბაძველობას გავიგებთ, როგორც უბეშ ავტორის საკუთარ შემოქმედებაში მოუხარნავ, ნაწარმოებია მთელ კონსტრუქციასთან შეუფერებ, ხელოვნურად გადმოღებას,—სხვისი ნათქვამისა და თქმის ხერხისა. ფადეევზე ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით ამას. ის ტოლსტოის—მხატვარის—მოწაფეა, მის გავლენის ქვეშ იმყოფება, შეგნებულად სწავლობს მის მხატვრულ ხერხებს, შეგნებულადვე ხმარობს მათ თავის ნაწერებში,—მაგრამ საკუთარ მხატვრულ შემოქ-

მედებაში ატარებს და ხარზავს მათ, მოქმედებას იმდაგვარად უღის, რომ სწორედ ეს — ტოლსტოისაგან ნასწავლი ხერხი — ყველაზედ უფრო გამოსადეგი და შესაფერი ხდება აქ, მომქმედ პირებს იმდაგვარად უდგება, რომ სწორედ ტოლსტოის ხელოვნის მეთოდები ხდება აქ საჭირო, გმირების ნასიათიც იმდაგვარად იწლებიან, რომ ტოლსტოის ფსიქოლოგიური რეცეპტები საჭიროა აქ, ძალდატანებას, ხელოვნურობას სიმწრალეს, შეუსაბამობას, ვერ ხახვი ფადევის რომანის კონსტრუქციაში და მხატვრულ ხერხების გამოყენებაში რომანის გასაგებლად და გმირების დასაბასიათებლად. „რაზრომი“ უნდა დაწერილიყო სწორედ ისე, როგორც დაუწერია ის ავტორს.

ფადევი ტოლსტოის ნიჭიერი მოწაფეა, მისი სკოლის წარმომადგენელია. მისი მხატვრული იდეები იმ იმეით პროლეტარულ მწერალთაგანია, რომლებმაც თავის მხატვრული ალლოტი სწორად გაიგეს პარტიის შეფასება ძველი კლასიკებისა, რომლებიც ამ შეფასებას: კლასიკების მხატვრული მიღწევათა გამოყენება, — თანადროული, კომუნისტური თვალსაზრისით გამართლებულ ნაწარმოებთა შექმნაში. ფადევი მოწაფეა კლასიკ ტოლსტოის ე. ი. მხატვრულ წერის იმ მეთოდების და წესების, რომლებიც ქონდა ტოლსტოის და რომლებიც მას გენიალური მწერლად ხდიან; მაგრამ ამ მოწაფემ შესძლო და მასწავლებელი, თავის მიზნებისათვის გამოიყენა, ამ მხრივ ფადევის უკვე „დაძლეული“ ყავს ტოლსტოი რასაკვირველია ამით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ფადევი უფრო ძლიერია, როგორც ხელოვანი, როგორც მხატვარი, ამის მტკიცება, — ცხადია, მხოლოდ სასაყილო იქნება. ჩვენ იმის თქმა გვინდა მხოლოდ, რომ ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერალმა ფადევმა, ჩაწვდა რა სიღრმეში კლასიკ ტოლსტოის ხელოვნობის საიდუმლოებას, — თავის მიზნებისათვის, რადიკალურად მოწინააღმდეგე ვიდრე ტოლსტოის ქონდა, — გამოიყენა, მოიხმარა იგი. ტოლსტოის ლტოლვა და სწრაფვა როგორც მხატვრისა იქეთყნა მიქცეული, რომ დახატოს ისეთი სურათები, გამოიყვანოს ისეთი პერსონაჟები, რომელთა საშუალებით, გავლენით, — მკითხველი შეიძლება, უარყოფს, არა მარტო ბოროტებას, რომელიც დღეს მეფობს ქვეყნად, არა მარტო უსამართლობას, რომლითაც გაყვნილია მთელი ეს დრო, არამედ ბრძოლასაც, ამ წესების და წესწყობილებითა მოსაპობათ; ტოლსტოის სურს ცხოვრების გმირებად, — გენერალი კუტუზოვი და პლატონ კარატაევი გვაჩვენოს. ამას ცდილობს ის. სხვა საკითხია, თუ რამდენათ აღწევს ტოლსტოი თავის მიზანს, თუ რამდენათ იეულებს მკითხველი ტოლსტოის ნაწერების კითხვით, — ბრძოლას უსამართლობასთან, ეს სხვა საკითხია; თავის დროზე, — ტოლსტოის იუბილესთან დაკავშირებით, — ბევრი დაიწერა ამის შესახებ. ეხლა ჩვენთვის ეს არ არის საინტერესო. საინტერესო აქ ის არის, რომ ტოლსტოი მორალისტი ცდილობდა მხატვარი ტოლსტოი, — თავის მიზნებისათვის გამოიყენებია... ეს ცდა მარცხით თავდებოდა თითქმის ყოველთვის. ტოლსტოი მხატვარი არ ემორჩილებოდა ტოლსტოი მორალისტს. ამიტომაც იყო, რომ თვის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ტოლსტოიმ თითქმის სრულიად აქცია ხურგი მხატვრულ შემოქმედებას. ახალგაზრდა მწერალმა ფადევმა შესძლო, — ტოლსტოის ხელოვნის მხატვრული ხერხები — გამოიყენებია. მოეხმარა თავისი მიზნებისათვის, მისი მიზნები კი — როგორც კომუნისტი მწერალის იყო, — დაესატა სურათები ახალი ქვეყნის გამარჯვებისათვის წარმოებულ ბრძოლებისა, დაერატა სურათები იმ ახალი ადამიანებისა, რომლებიც სწორედ ბრძოლით, სწორედ მტრის სასტიკი და დაუზოგავი დამარცხებით — მაშასადამე ბშირად სისხლითა და ძალდატანებით — საფუძველს უყრიან ამ ახალ ქვეყანას...

ძველად — შეიძლება დღესაც მოინახონ ასეთი მემარცხენენი — ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ტოლსტოის სტილით, ტოლსტოის ენით და მხატვრობით, — შეიძლება მხოლოდ გლებურ, ჩამორჩენილ, კარატაეულ რუსეთის ასახვა, რომ — ტოლსტოი ხელოვანი — თავისი წახარი, აუღელვებელი, უპათოსო ენით, — რევოლიუციას, მით უმეტეს, ჯალაქის რევოლიუციას — ნერვებ დაჭიმულს, მშფოთარე და დაუდრგომელს. — არ გამოადგება, ვერ შეეთვისება... ფადევის უდიდესი დამსახურება ახალი რუსული, რევოლიუციონური ლიტერატურის წინაშე მასშიც მდგომარეობს, რომ მან საბოლოოდ და სამუდამოთ გაფანტა ეს „წითელი ფრაზების“ მოყვარულ რევოლიუციონერთა ყალბი აზრები... „რაზრომი“ ნათელი და ხელსახეპი დამტკიცებაა იმის, რომ რევოლიუციონერ ხელოვნებას შეეფარება სწორედ მარტივი, სადა, ყოველგვარ პრანკვა-გრუნვას მოკლებული სიტყვები, სწორედ ისეთი სიტყვები, რომლებითაც ტოლსტოი სწერდა „თმა და მშვიდობიანობას“, ლენინი კი ამოძრავებდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მიყავდა — ხალხის, მშრომელი ხალხის მილიონიანი მასები, მყვირალა ფრაზა და ხელოვნური პათოსი ყველაზედ ნაკლებათ გმირებას და გმირულ ეპოქას შეწევნის. რევოლიუციის ეპოქა სწორედ ასეთი ეპოქაა: უბრალოთ და სადათ, ყველასათვის გასაგებათ და მისახვედრათ კეთდება მასში გიგანტიური მნიშვნელობის საქმეები.

რასაკვირველია არ იქნება მართალი თუ ვიტყვით, რომ ხელოვან ტოლსტოის მხატვრული ხერხები — ერთად-ერთი მისაღებია რევოლიუციის ხელოვნებისათვის. არ იქნება მართალი თუ ამას ვიტყვით. მაგრამ ერთი კი ცხადია და საანბანად ის უმთავრესი, რაც ტოლსტოის ახასიათებს, როგორც მხატვარს — სიმარტივე, უბრალოება, სისადავე და უსაზღვრო სიყვარული „ცოცხალ ცხოვრებისადმი“ ეს უმთავრესი — აუცილებლათ საჭიროა და უყოყმანოთ მისაღები რევოლიუციის ხელოვნებისათვის.



ფადევეის „რაზგრომს“ ვერავენ დაიწუნებს, როგორც რევოლიუციის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს. სხვადასხვა გადაბრების განსაკუთრებული ნიჭით მარტო „მემარცხენე“ ვერავენ აქ რაიმე იდეოლოგიურ „ერესს“.. და ამავე დროს ეს ნაწარმოები დაწერილია, შესრულებულია — სწორედ ასეთი სადა და მარტივი სტილით... და ეს იმიტომ, რომ კომუნისტური ნამდვილი ტრადედია — განსაკუთრებით კოლექტივის ცხოვრებიდან — განსაკვირვებელი უბრალო და ყველასათვის გასაგებ ტანთსამოსში გვევლინება.

ერესი  
ნიშნოლოგრაფია

\* \* \*

რომანის სიუჟეტი ჩვეულებრივი და უბრალოა. თემა აღებულია ძველი: სამოქალაქო ომის ცეცხლში მოქცეულ პარტიზანთა ერთი რაზმის თავდადასაცალი.. ახალი რუსული ლიტერატურა ზედმეტად მდიდარია ასეთი შინაარსის ნაწარმოებით.. ჩვენ სრულდებათაც არ ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო ომის საკითხები ლიტერატურისათვის უკვე გვერდზე მისაგდებია, რადგან ბევრი სწერდენ მასზე. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ჯერ კიდევ არ თქმულა უკანასკნელი და საუკეთესო მხატვრული სიტყვა ოქტომბრის რევოლიუციის ამ გმირულ და დაუვიწყარ ხანაზე „ომი და მშვიდობიანობა“ ჯერ კიდევ არ დაწერილა მის შესახებ... ეს ფაქტი ოდნავათაც ვერ შეგვიშლის ხელს, დიდის სიფრთხილით და იქვის თვალთ შევხედეთ ჯოველ ახალ ნაწერს ამ ეპოქიდან. ბევრი, ზედმეტად ბევრი ხალტურა დაიწერა — რევოლიუციის ამ სისხლიან დროზე.. ფადევეის „რაზგრომი“ — ოდნავათაც არ ამართლებს ასეთ იქვეებს. ის უთუოდ ახალი სიტყვაა სამოქალაქო ომების მხატვრულ ლიტერატურაში. რასაკვირველია ეს სიტყვა არ არის რაიმე არაჩვეულებრივი, გრანდიოზული, მონუმენტალური — ასეთ სიტყვას ჯერ კიდევ მოვლის სამოქალაქო ომების ეპოქა, — მაგრამ მაინც ახალი იგი, მაშასადამე, საინტერესო და ყურადღების მისაქცევი.. ფადევემა — „რაზგრომით“ — უსათუოდ დაიკავა ერთი პირველი ადგილთაგანი ჩვენი რევოლიუციის ამ გმირულ ეპოქის ლიტერატურაში. ეს ადგილი ამავე დროს მისი საკუთარი ადგილია. ეს კი ბევრს ნიშნავს. ფადევეი ახალგაზრდა მწერალია და თუ „რაზგრომი“ მხოლოდ დაწყებაა, უსათუოდ კარგი მონაგალი უცდის მას, როგორც მხატვარს. ამავე დროს ის — საგსებით ჩვენი, ე. ი. რევოლიუციის. ის არ არის სტუმარი, დროებით მოსული, ან და თანამგზავრი, — ის ჩვენი — რევოლიუციის კუთვნილებაა... ეს კი დიდი პლიუსია, — თანამედროვე ეპოქას სწორედ ასეთი მწერლები უსაჭიროება, რადგან სწორედ ასეთ მწერლებს შეუძლიათ, ძალუძთ — დაუმახინჯებელი სურათები მოგვცენ ჩვენი წარსულიდან თუ დღევანდლიდან. — ის რაც გაუჭირდება ბილნიას, როგორც მხოლოდ თანამგზავრს, არა კომუნისტს, რაც არ უნდა იყოს მაინც სხვა იდეოლოგიის მქონე მწერალს, — ფადევეისათვის შედარებით ადვილი დასაძლევია იქნება: ვლადიმირსა მამწერლო მასალების იდეოლოგიურ დაძლევაზე. მაგალითად: დღევანდელ ეპოქის ადამიანთა ყველაზედ უფრო დამაზასიათებელი და, მაშასადამე საინტერესო წერები არიან კომუნისტები... დღევანდელი — რევოლიუციების ეპოქა — მათანაა მჭიდროთ დაკავშირებული, ისინი მეთაურობენ დღევანდელ დროს, — თუ კი შეიძლება ითქვას ასე. და აი ისმება საკითხი: შეუძლია თუ არა — სრულიად, უმკლოდ, ე. ი. სწორად და დაუმახინჯებლად გადმოგვეცეს მათი — სულიერი და გონებრივი „მე“ — ბრძოლებში და მშენებლობაში გაშლილი არა კომუნისტ, არა ნამდვილ რევოლიუციონერ მწერალს? ვფიქრობთ, რომ არ შეუძლია, ყოველ შემთხვევაში — მთლიანად და სრულიად ამას ის ვერ შეძლებს, რადგან — არ უცხოვრობია მათი ცხოვრებით, არ უტანჯვია მათი ტანჯვით, არ უფიქრია მათი გონებით, არ იცნობს მათ — მათ შინაგან ცხოვრებას, ყველაფერი არ ესმის მათი, ვერ გაიგებს მათ!.. პრაქტიკამ დაამტკიცა ეს... ძალიან ნიჭიერი და სახელიანი მწერლები — პოლნიაკი, ბაბელი, ერენბურგი, ალექსეი ტოლსტოი, ალექსეევი და სხვები. — ეცადენ კომუნისტების ასახვა, — მაგრამ დამარცხნენ, ნაწილობრივ მაინც... იმიტომ, რომ ვერ იცნობდენ მათ საჭირო სიღრმით. ფადევეი ამ მხრივ კარგ, ხელსაყრელ პირობებშია. ამიტომ ვამბობთ — ბუნებრივი ნიჭი მხატვრისა თუ შეინარჩუნა მომავალი მას დიდი მწერლის ადგილს უმზადებს..

\* \* \*

„რაზგრომის“ მთავარი მომქმედნი პირებია: ლევისონი, ბაკლანოვი, მეტელიცა, მეჩიკ და მოროზკო.. პირველი სამნი — დადებითი ტიპებია, ის გმირები, რომლებიც რაზმის სულის ჩამდგმელნი არიან, რევოლიუციისათვის მზათ არიან ყოველ წუთს გაიღონ თავისი სიცოცხლე. — მათი საფიქრალი საგანი — ყოველთვის არის: როგორ გაგიმარჯვოთ მტერზე: პირადი, ძალიან ნაკლებათ — თითქმის სულ არ აინტერესებთ მათ; მეჩიკ — უარყოფითი ტიპია: ინტელიგენტი, რომელიც მოეკედლა რაზმს, ვერ გაუძლო, ვერ აიტანა აქ გამეფებული მკაცრი და კოლექტიური წესები და მალე მოწყდა მას შინაარსით, თუმცა ფორმალურათ არ გაქცევია მას. მოროზკო ეს ის პარტიზანია, რომელიც საერთო საქმეს ემსახურება, მაგრამ თავის თავსაც არ ივიწყება. გლეხური ინდივიდუალიზმი თან დაყვება და არ სცილდება მას.. რევოლიუციას ის აოასთდებს არ უღალატებს, მეტელიცამ რომ გმირობა ჩაიდინა იმას ეცდება თავი აარიდოს. რომანის მთავარი გმირი უთუოდ ლევისონია. ვინ არის ლევისონი.

ლევინსონი რაზმის ხელმძღვანელია, მეთაური, რომანში ის დახატულია როგორც გმირი, ე. ი. ისეთი პიროვნება, რომელიც დაჯილდოვებულია ყველა იმ თვისებებით ადამიანისა და მებრძოლისა. რომლებიც ესაჭიროება მას, როგორც რაზმის მეთაურს და ხელმძღვანელს.. ძალიან ძნელია და სახიფათო მწერლისათვის ასეთი გმირის დახატვა. სულ ხშირია წინთხვევები, როცა ასეთი გმირები, დადებითი პიროვნებები—უსიცოცხლო გამოდიან, არა ცოცხალი, თითქოს მწერალმა დაგვისურათა არა ადამიანები, არამედ რაღაც განყენებული საქმეები, გამოგონილი ფიგურები.. არამც თუ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ მწერალს, მკვლევარს და ფა-დევეს, არამედ გამოცდილ, დიდ მხატვრებსაც ხშირად ემართებოდათ ეს საშიშროება. გაეიხსენოთ დიდი მწერალი გოგოლი—რომელმაც ეცადა მოეცა ისეთი გმირი, იდეალური ტიპი—რასაკვირველია თავისი დროისათვის—„მკვდარი სულების“ მეორე ნაწილში და სასტიკად დამარცხდა...

ფადეევის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ცოცხლად, ბუნებრივად დაეხატა ლევინსონი. ლევინსონი არ არის თანადაც—მკვდარი ფიგურა. ის ცოცხალი ტიპია, ცოცხალი ადამიანი. ეცნობი მას—და დარწმუნებით ამბობ: მართალია მწერალი, ლევინსონი სწორედ ასეთი უნდა იყოს, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეეძლოთ მოემოქმედნათ ის, რაც ისტორიას დარჩა მათგან—როგორც გმირული საქმეები რევოლიუციის მხარეზე მებრძოლი ლეგენდარული პარტიზანებისა.. რით, როგორ, რა ხერხებით შეძლო ფადეევმა ეს ძნელი საქმე—იდეალურა გმირის ცოცხლად დახატვისა?! ჩვენის ფიქრით, უმთავრესი ხერხი—ფადეევმა აქ გამოიჩინა მასში რომ ეს გმირი დაბაჭა ჩვეულებრივ ადამიანათ; ლევინსონი მოაქიცია ისეთ პირობებში, რომ მისი გმირობა ჩვეულებრივი, ბუნებრივი ხდება. ავტორი მოხერხებულად, დიდა მხატვრული წინა-გრძნობით—ქმნის რომანის დაწყებისთანავე ისეთ ატმოსფეროა, რომ მკითხველი თანდათან ურიკდება იმ აზრს, რომ რაზმის უფროსი ლევინსონი—სწორედ ასეთი უნდა იყოს. ამბავი, იმდაგვარადაა მოყოლილი, რომ ბუნებრივად იშლება მასში მკითხველის წინაშე—მთელი მიმ-ზიდველობა ლევინსონის ხასიათისა. ლევინსონის მიერ გადადგმული ნაბიჯი—ყოველთვის ბუნებრივია და წინასწარ მომზადებული.. ავტორი ახერხებს იმდაგვარად დაიჭიროს მკითხველი თავის საყვარელი გმირის დახასიათების გადმოცემაში, რომ მკითხველი თითქოს წინასწარ გრძნობს, რომ ლევინსონი სწორედ ისე მოიქცევა, ამას ჩაიდენს ჩვეულებრივი, მარტივი და უბრალო—საქმეებში იშლება—მთელი სიდიადე და სიმშვენიერე ლევინსონის გმირული პიროვნე-ბისა.. ავტორი ახერხებს თავისი გმირი ჩვეულებრივ ადამიანათ დაგვიხატოს... მკითხველი და-ჯერებული მის მიერ, რომ გმირი ლევინსონი—ადამიანი რომელიც მზათ არის რევოლიუციას შესწიროს თავისი თავი უყოყმანით—ასეთი უბრალოა და ჩვეულებრივი პიროვნება.. საინტე-რესოა როგორ ახერხებს ლევინსონი რაზმის ხელმძღვანელობას. ის არავითარ შემთხვევაში არ არის „კომანდირი“, ბრძანებელი. ის ჩვეულებრივი ამხანაგია ყველასი, მაგრამ ამ ამხანაგს ყვე-ლა უჯერებს, ყველას სწამს მისი, ლევინსონმა არ იცის რა არის „დაბნევა“, თავის დაკარგვა. რაც არ უნდა რთული, გამოუცნობი მდგომარეობა იყოს, ლევინსონი თავს არ კარგავს. მან კარგად იცის, რომ რაღაც გამოსავალი უნდა მოიხსნოს და მისცეს იმ ადამიანებს, რომლებიც მას მიყვებიან და რომელთაც მისი სჯერათ. შეიძლება ეს გამოსავალი არ იქნეს სწორი, ისეთი როგორც საჭიროა, მაგრამ იგი მაინც აჯობებს,—დაბნევას, „თავის დაკარგვას“, როდესაც რაზმი იშლება და იხრწნება.

ლევინსონი არ არის მოკლებული ჩვეულებრივ ადამიანის ჩვეულებრივ თვისებებს. მან იცის თჯახის სიყვარული, დაღლილობა, ტკივილები, ტირილი. ფადეევის უდიდესი ღირსება როგორც მხატვრისა, სწორედ მასში მდგომარეობს რომ ადამიანს გვიხატავს ცოცხალს, ბუნებ-რივი ხასიათით. ლევინსონის თვალებზე ცრემლები ბუნებრივი ხდება. მოკლეს—საუკეთესო მებრძოლი, ლევინსონის თანაშემწე—ახალგაზრდა ბაკლანოვი... მეგობარი, თანამებრძოლი და კარგი ადამიანი,—სიცოცხლით რა სიყვარულით, ენერგიით და ბრძოლის წყურვილით აღსავსე ბაკლანოვი.. აქ ლევინსონის თვალებზე ბუნებრივია ცრემლები და იგივე სტირის... სტირის არა მარტო იმიტომ, რომ რევოლუციამ დაკარგა ასეთი მებრძოლი, რაზმმა ასეთი მეომარი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ტირილი არ იქნებოდა საჭირო, ცრემლები ზედმეტი.. არა მარტო ამი-ტომ სტირის ლევინსონი, მასში იღვიძებს ადამიანი, მან დაკარგა საყვარელი მეგობარი, ძვირ-ფასი ამხანაგი, კარგი ადამიანი. და იგივე სტირის, სტირის ისე, როგორც იტირებდა მის ადგი-ლას—ყველა სხვა, ვისაც კი აქვს ადამიანური გრძნობიერება... ამით ლევინსონი სრულებითაც არ ეცემა მკითხველის თვალში, პირიქით. ასეთი ადამიანის უფრო გჯერა და უფრო გწამს. ლევინსონის ჩვეულებრივი ცრემლები ბაკლანოვის სიკვდილით გამოწვეული—ამხანაგების თვალში საწინდარია იმის, რომ მეთაური მათ არასოდეს მიატოვებს და დაივიწყებს... ლევინ-სონი ცოცხალი, ჩვეულებრივი ბუნებრივი ადამიანია, და თუ ამდევ დროს ის გმირია, იდეალური ტიპი თავდადებული და ყოველმხრივ დადებითი ადამიანი,—ეს-ც ჩვეულებრივი და ბუნებრივი ამბავია. ლევინსონი ღვიძლი და ნამდვილი შვილია ხალხური რევოლიუციის. ის სისხლი და ხორცია მისი. ლევინსონი რევოლუციის გარეშე—არაფერი იქნება ე. ი. ჩვეულებრივი მილიონთა შორის. მოაცილეთ იგი რევოლიუციას, იმ საქმეს რომელსაც ემსახურება ის და მისი რაზმი,— ლევინსონისაგან ბევრი რამ არ დარჩება; ჩვეულებრივ პატიოსანი ადამიანი.. ეს მომენტი გან-საკუთრებითაა აღსანიშნავი ფადეევის შემოქმედებაში. მან უკეთ, ვიდრე სხვა, რომელიმე ახალმა

მწერალმა — სწორად დაბატა ჩვენი ეპოქის გმირი. დრო იყო, როდესაც გმირი ნიშნავდა — ადამიანს, რომელიც უკანცალკევებულია სხვებისაგან, თავზე დასუფრებს მათ, მისი გმირობა არაჩვეულებრივ და ხშირად არც მაინც და მაინც საჭირო ნოღვაწეობისაგან შესდგება... გმირი ცალკე და მასა ცალკე, გმირი სუბიექტი და მასა ობიექტი; გმირი ყველაფერი და მასა არაფერი, მხოლოდ მასალა და მასუფრებელი.. ეს დრო წავიდა. ასეთი გმირებიც, თუ კი ისინი — ოდესმე არსებობდნენ სინამდვილეში და არა მარტო მათ ავტორთა ფანტაზიაში, აგრეთვე მოსაინ, არჭივს ჩაბარდნა. ასეთი გმირები დღეს საჭირონი არ არიან და ისინიც უკვე არ არიან. ჩვენი დროის გმირი ის არის, — ვინც მასებთან ერთად, ეპოქის საკითხებს სწორედ გეგმავს და მასების საქმეს ემსახურება: ვიმეორებთ, — მასებთან ერთად ე. ი. იმდაგვარად, რომლის მასების ქართულ არ რჩება, — მასთან ერთად არიან სხვები; მისი გმირობა მიმართულია იქეთ, რომ საქმე გაკეთდეს, და რადგან დღევანდელი ეპოქის უპირველესი „საქმე“ არის რევოლუციის ე. ი. ახალი ცოცრების გამარჯვება და რადგან ეს გამარჯვება შესაძლოა მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ საქმეს ხელს ჩასჭიდებენ ხალხის ფართო მასები, — ამიტომ გმირობა გმირისა სწორედ იმაში იბატება, — რომ საქმეში — საგმირო საქმეში, რაც შეიძლება ბევრნი ჩაიყოლიონ, ჩააბა... დღეს გმირობა განიხილება არა იმით — თუ როგორ გმირობით „ირჯები“ და მოღვაწეობ შენ პირადათ როგორც პიროვნება და ცალკე ინდივიდი, — არამედ იმით თუ რამდენათ უფრო მეტი ფენები მშრომელთა მასებისა შენთან ერთად და შენი დახმარებით თუ მეთაურობით, — ჩაება საქირო საქმეში... და სწორედ ასეთი გმირია ლევისონი. ამიტომ არის ის ნამდვილი გმირი, ჩვენი ეპოქისათვის... საქირო გმირი იდეალური ტიპი. ფადვევმა მოაჩერა და მხატვრული სინამდვილის ცოცხალი გაწლით, — ცოცხლად დაგვიხატა და დაგვანახა ჩვენი დროის სამოქალაქო ომების ხანის — გმირი და იდეალური ადამიანი...

ასეთივე მხატვრული სისწორით და ზომიერებით ყავს მას დახატული — ლევისონის თანაშემწე — ახალგაზრდა პარტიზანი ბაკლანოვი. ეს თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზრდა მთელი თავისი ახალგაზრდული სიხარულით და სიყვარულით რაზმს ეკუთვნოდა. მან არ იცოდა რა იყო და რა მიზანი ექაებოდა მის ცხოვრებას ამ რაზმის და რაზმის საქმის გარეშე. ის სული და მორცი იყო შეიარაღებული კოლექტივის. კოლექტივიც უდიდესი სიყვარულით ეპყრობოდა თავის ახალგაზრდა მეთაურს... მოთხოვდა იმდაგვარად იშლება, — რომ მკითხველს ოდნავადაც არ აკვირებდა, როდესაც ბაკლანოვის დაკარგვა ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს რაზმის გადარჩენილ წევრებზე; რაზმი განადგურდა. ჩასაფრებულ მტერს ჩაუვარდა იგი ხელთ. მხოლოდ 18 გადარჩა. დაბარჩენი დაიბრუნენ, მათთან ერთად გმირულად მოკვდა ბაკლანოვი რაზმის საყვარელი „ბავში“, მეთაური... საუკეთესო მომენტია ეს ადგილი რომანში. მოგიყვანთ აქ საკმაოდ დიდ ამონაწერს მოთხოვნიდან... ფადვევის ამ სტრიქონებზე ჩვენის აზრით, — უდიდესი მწერალნი მოაწერდნენ უყოყმანოდ ხელს:

„ლევისონი ცოტათი წინ მიდის ჩაფიჭრებული, თავჩაქინდრული. მხოლოდ ხანდისხან მოიჩედავს უკან უმწურო და საცოდავი, და თითქოს უნდა რაღაც იკითხოს, მაგრამ ვერ გაუხსენებია, თუ რა უნდა იკითხოს; საოცარი და მტანჯავი გამოხედვით შეფურებს ხელოას... უცებ ცხენი სწრაფ შეაჩერა და შემობრუნდა; საფსებით საზრიანათ გადმოხედა უკან მომავალთ თავისი დიდრონი ღრმა და ლურჯი თვალებით. თვრამეტნივე შეჩერდნენ, როგორც ერთი. უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა.

— სად არის ბაკლანოვი? — იკითხა ლევისონმა.  
 უხმოდ და აბნეულად შეფურებდნენ მას ყველანი.  
 — მოკვდა ბაკლანოვი... — სთქვა ბოლოს გონჩარენკომ; სთქვა და მწყრალად დააქქრდა თავის დიდა, ვებერთელა თათებით, ხელს, სადავე რომ ეკავა.

ვასია, რომელიც მის გვერდით თავჩაქინდრული იდგა, უცებ დაეცა ცხენს კისერზე და მორთო ხმა-მალლა ისტერიული ქვითინი, — მისი გრძელი და დაბერდული თმები ძირს ჩამოწვნენ თითქმის მიწამდე და აცახცახდნენ, ცხენმა კი დაღლილათ გაიან-გამოიქნია ყურები და ჩამოვარდნილი ქვეითა ლაფში ზევით ასწია. ჩიჟმა თვალები ვასიასკენ გადმოიწია, და აგრეთვე ატირდა; მერმეთ მობრუნდა, ლევისონის თვალები რამოდენიმე წამით ჯერ კიდევ მშრალად იდგნენ ადამიანებზე. შემდეგ ის როგორღაც სულ ჩაიქინდა და შეიკუმწა, დაბატარავდა, და უცებ შეამჩნია, მხოლოდ ენლა, ყველამ რომ ის ძალიან დასუსტებულა და მოხუცებულა თითქმის... მაგრამ იგი უკვე არ აქცივდა ყურადღებას თავის სიუსტეს; არ რცხვენოდა მისი და არც მალავდა მას, იჯდა ცხენზე, თავდაბრილი, ნელ-ნელ არხევდა თვალების გრძელ და სოველ წამწამებს; ცრემლები ლაპალუბით ჩამოსდიოდა წვერებზე... რაზმელები იქეთ აქეთ იცქირებოდნენ, რომ თვითონაც არ ატირებულევნენ, ჩუმად შემობრუნა ცხენი ლევისონმა და ჩუმადვე გასწია წინ, რაზმიც დაიძრა“.

ასე შეხედენ ბაკლანოვის სიკვდილს გადარჩენილი ამხანაგები. ატირდა ლევისონი არა-ვინ კი არ იცოდა, თუ კი შეეძლო მას ეს. ატირდა ჩიჟიც, — ეს პატარა და ეკონისტი ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიჭობს და ნუდამ წამს ბუზლუნებს. აქვითინდა რაზმის

ერთად-ერთი მოწყალების და ვარია; ვინმეს შეეძლო ოდესმე იმის ფიქრი, რომ ვარიას შეუძლია ტირილი და მის თვალებს ცრემლის ფრქვევა?..

მკითხველს არ უკვირს ეს. არ უკვირს იმიტომ, რომ ავტორმა მოამზადა / ეს ასე. ბაკლანოვი ისეთი რამ იყო რაზმისათვის, რომ მისი დაკარგვა სწორედ ასე იმოქმედებდა აზნაურებს. შესაძლოა რომ იყოს და მოსახერხებელი - ყველანი წავლენ და თავს შეაკლავენ მტერს - ბაკლანოვს გადასარჩენათ. მაგრამ ეს არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ბაკლანოვი უკვე მკვდარია, ის არ არსებობს. და აი ასეთ ბუნებრივ და გარდუვალ უძღურების და კულონობის წინაშე, — ბუნებრივად იღვიძებს ადამიანში — თუ გინდ გმირებშიც შეიძლება უთხოვრებლად მათში ცრუნვები და ტირილი; უკანასკნელი გამოთხოვება საყვარელ აზნაურებს და მათს კრემლები ბუნებრივია აქ, ამ პირობებში თორემ სხვაგან, სხვა დროს მათ იციან ღიმილით შეხედონ სიკვდილის; სწორედ ისე როგორც შეხვდა მას მეტელიცა, რომლის უკანასკნელ წუთებს — თეთრ-გვარდიელთა ხელში ასე აგვიწერს ავტორი:

„Метелице казалось всегда, что он не любит и презирает людей, со всей их скучной и мелочной суетой, со всем что окружает их, он думал, что ему решительно все равно, как они относятся к нему и что говорят о нем, он никогда не имел друзей и не старался иметь их. Но вместе с тем все самое большое и важное из того, что он делал в жизни, он, сам того не замечая делал ради людей и для людей.. и теперь, когда он всынул голову, он вдруг всем сердцем схватил эту колеблющуюся пеструю, тихую толпу мужиков, мальчишек, пануганных баб, в паневах девушек..

„Вот это да! — чуть не воскликнул он, сразу весь распахнувшись, обрадовавшись этому всему — живому, яркому и бедному, что двигалось, дышало и светило вокруг и трепетало в нем... И он быстрее и свободней пошел вперед легким „зверинным, в тяготеющим к земле, шагом“.

თავის სიკვდილისაკენ, კიდევ რამოდენიმე წუთი და მეტელიცა მკვდარია. მწყემსი მეტელიცა, უსწავლელი და უკულტურო, რომელსაც არაფერ ჰყავდა მეგობარი და რომლის მეგობარი იყო ყველა ისინი, ვინაც უსამართლოთ იტანჯებოდა... სიკვდილის წუთებშიც ის მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ მტერს რითიმე კიდევ მიაყენოს ზიანი; თავის თავი მას უკვე არ ახსოვს, როგორც არასოდეს ახსოვდა იგი. სიკვდილის წუთშიაც ისეთია, როგორიც იყო სიცოცხლეში... ხო და მეტელიცაც იტირებდა ლევიანსონთან ერთად, ბაკლანოვის სიკვდილზე რომ შეეძლოს მას ეს. ასეთია ეს გმირი და ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა შორის საუკეთესონი იყვნენ: ლევიანსონი, ბაკლანოვი, მეტელიცა. სწორედ ასეთმა — ჩვეულებრივმა გმირებმა — შესძლეს სინამდვილეში და შეაყვარეს ხალხს — მათი საქმე; ასწავლეს ბრძოლა და ჯიუტი სურვილი: აუცილებელი გამარჯვებისა.

მაგრამ არა მარტო ლევიანსონები და მეტელიცები იყვნენ რაზმში... მეჩივებიც იყვნენ იქ. ვინ არია მეჩივი? მეჩივი ინტელიგენტი-ინდივიდუალისტია... ფიქრებით და აზროვნებით წვრილი-ბურჟუა რევოლუციონერი — იგი უფროთდება ლევიანსონის რაზმს, — სახელის მოსახეუჭად და „გმირულ“ საქმეების მოსახდენათ. ვერც პირველსა და ვერც მეორეს ვერ მიაღწევს ის რაზმში. მისი სახელი ლაჩარია და „გმირული“ საქმეები კი ლალატი... ისმება საკითხი: გულწრფელად მოვიდა მეჩივი რაზმში, თუ სხვა რაიმე ქვენა აზრობით.. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გულწრფელად მოვიდა ის ლევიანსონთან... მას სულ სხვა რაიმე ეხატებოდა აქ: დახვდა კი: აზნაურის უცოდინარი, გაუნათლებელი, ტალახიანი, პარტიზანები... რომანტიკისათვის — ლევიანსონის რაზმში — საინტერესო არაფერი იყო. ჩვეულებრივი ადამიანები — მუშები და გლეხები თავის საქმეს — ე. ი. რევოლუციის საქმეს, ჩვეულებრივ უბრალოდ, უპოზოდ და უპათოსოდ აკეთებდნენ... წვრილ-ბურჟუა ინდივიდუალისტისათვის, რომელიც რაღაც არა ჩვეულებრივს ეძებდა და ისტორიისათვის თავის პოზას ამზადებდა, — აქ არაფერი დახვდა... სინამდვილე უფრო პროზაული და მკაცრი გამოდგა, ვიდრე მეჩივი ფიქრობდა. დრო გადის: რომანტიკა ბრძოლების და თავის გამოსახვის სადღაც კრება, იკარგება. ჩვენს წინ არის ჩვეულებრივი — ეგოისტი ინტელიგენტი, ლაჩარი „მებრძოლი“ მეჩივი უარყოფითი ტიპია, ერთმა კრიტიკოსმა ეს ისე ახსნა თითქოს, — ფაქტურა მეჩივით საერთოდ გაილაშქრა ინტელიგენტების წინააღმდეგ, უარყო მათი როლი სინოქალაქო ომში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ არის ოდნავათაც მართალი. რასაკვირველია, ცხადია, რომ ინტელიგენციის უდადეგი ნაწილი რევოლუციის წინააღმდეგ წავიდა საერთოდ. მაგრამ არა ყველანი. არა ერთმა და ორმა — ინტელიგენციიდან — გმირულად შესწირა თავი რევოლუციას. მეჩივი არ არის, — უარყოფა ავტორის მიერ — საერთოდ ინტელიგენციისა, გალაშქრება მის წინააღმდეგ. ეს მხოლოდ ფაქტის აღნიშვნაა. ცხადია, მეჩივები უფრო მეტად გამოდიოდნენ სწორედ წვრილ-ბურჟუა ინტელიგენტთა ჯგუფებიდან. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ისინი, ვინც ისეთ აზრს აწერს ფაქტებს, იგივეებენ, რომ რომანში კიდევ არის გამოყვანილი ინტელიგენტი თავდადებული მეთმარი და მებრძოლი, ლევიანსონის ახლო მეგობარი და აზნაური — ექიმი სტაშინსკი, ავტორმა ის დადებითად დაგვიხატა. სტაშინსკი უდრევი მებრძოლია; დისკიპლინის უაღრესად შეზენები; დაუფიქვარია იგი იმ სცენაში, როდესაც გადასწყვეტს მოწამლოს — დაჭრილი

პარტიზანი ფროლოვი. საჭიროა ფოლადის ნერვები და მაგარი გული,—რომ საყვარელ ამხანაგს და თანამებრძოლს საწამლაფი მისცე, წამალის მაგივრად; ფროლოვი—სტაშინსკისაგან როგორც ექიმისაგან, მორჩენას მოელის,—სტაშინსკი კი მას საწამლავს აძლევს, მდგომარეობა მოითხოვს ამას და ნიტომ. საავადმყოფო უნდა სხვა ადგილას გადაიტანონ; ფროლოვის თან წაყვანა არავითარ შემთხვევაში არ ხერხდება; ის ისედაც მომაკვდავია, მტრებს მის ვერ დაუტოვებენ; და აი ინტელიგენტი ექიმი, კულტურული ადამიანი—საწმენდი კვლავ მას, სხვა ფრიგ ის ვერ მოიქცეოდა, როგორც კომუნისტი და მებრძოლი ფროლოვის ექიმის უკან დახვევის დროს ბრძოლებში სტაშინსკის გმირულად უკავია თავი. მას კლავენ. მასთან ერთად კვდება—საუკეთესო მებრძოლი და ერთად ერთი ექიმი რაზმისა... ასე დაგვიჩაბა ფადევემა ინტელიგენტი სტაშინსკი, დაგვიჩაბა როგორც უაღრესად დადებითი პიროვნება. არა, არ არის მართალი, როდესაც ამბობენ ფადევემა მეჩიკის სახით ინტელიგენციის წინააღმდეგ გაილაშქრაო. არ არის ეს ოდნავათაც მართალი. ინტელიგენტი სტაშინსკის დაუფიქსარი სახე—ნათელი დამტკიცებაა ამის... რომანში ჩვენ შეგვიძლო მოგვინახა კიდევ არა ერთი და ორი საინტერესო ტიპი,—მაროზოვი, დუბოვი, გონჩარენკო, ვარია და სხვები—მათი დაბასიათება დაამტკიცებდა იმ ურყევ ფაქტს, რომ ფადევეი საკმაოდ გამოცდილი მხატვარია, რომ მისი გმირები—ცოცხალი ადამიანებია, ისეთები—როგორც ეს ცხოვრებამ მოგვცა. მაგრამ—ნათქვამიც საკმაოა ამისათვის. „რაზგრომი“—საინტერესო რომანია. პროლეტარული პროზის—საუკეთესო ნიმუში, და რაც მთავარია—ის ქმნის—მებრძოლთა დაღუპვის, რაზმის განადგურების ტრაგიკულ ფონზე—უდიდესი რატიონის და იმედიათობის მთაბეჭდილებას. რაზმი განადგურებულია, მხოლოდ 19 გადარჩა. მოკლეს ბაკლანოვი, სტაშინსკი, მეტელიცა... 19 მაინც ზომ დარჩა. ესენიც რომ არ იყვნენ,—საქმე ზომ უნდა გაკეთდეს; რევოლუცია მოითხოვს ამას; რევოლიუცია კი აუცილებლად გაიმარჯვებს. ეს თავის თავად ცხადია. საჭიროა მხოლოდ მუშაობა, საქმის კეთება, მოვალეობის პირნათლად შესრულება.

„რეში, ჯერ კიდევ სოველი გამოხედვით, მიმოავლო თვალი ლევიანსონმა—ამ ფართო და ვრცელ ცასა და მიწა; დარწმუნდა რომ აქ ის იპოვის პურსაც და მოსვენებას; აგრეთვე ადამიანებს, აი იქ—შორს რომ მოსჩანან მუშაობაში; და ეს ადამიანები მან სწორედ ისევე უნდა გარდაქმნას, გაზადოს თავისიანათ, ახლობელებლათ, როგორც არიან აი ეს თვრამეტი რაზმელი, მის უკან ასე უზნაუროდ რომ მოდიან,—მიხვდა ამას და ტირილს თავი დაანება; საჭირო იყო კვლავ სიცოცხლე და თავის მოვალეობათა პირნათლად შესრულება“.

ამ სიტყვებით თავდება „რაზგრომი“, საუკეთესო ნაწარმოები მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი ადამიანებისა.

\*\*\*

„რაზგრომი“ საუკეთესო ნაწარმოებია ა. ფადევეის სხვა მოთხრობათა შორის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს სხვები უვარგისებია... მართალია ფადევეის განხილვაზე „Раствор“ თავისთავად იქნება წინ, მაგრამ შეცდომა იქნებოდა უყურადღებოთ დატოვება ამ ნიჭიერ ავტორის სხვა ნაწარმოებისა, განსაკუთრებით პატარა მოთხრობის „Против течения“. ეს მოთხრობა, ცხადია, მხატვრულად ჩამოუვარდება „რაზგრომს“, მაგრამ მაინც საინტერესო მოთხრობაა; მხატვრულ ღირსებებს არ არის სავსებით მოკლებული. მეტად საინტერესო საკითხზეა ის აკებელი: როგორ იქმნებოდა პარტიზანული, უდისციპლინო რაზმები—დან—რეგულიარული ნაწილები. ეს მთელი პროცესი იყო. და ეს პროცესი ძალიან მტკივნეულად და ბევრი მსხვერპლებით ტარდებოდა. არა ერთი და ორი მაგალითი იყო იმისა, რომ დღეს რევოლიუცია მხარეზე მებრძოლი პარტიზანული რაზმი,—ხვალ ობიექტიურად კონტრ-რევოლიუციას ამაგრებდა. გრიგორიევის, მანნოს და სხვების ისტორია,—არც თუ ისე იაფად დაუჯდა რევოლიუციას. ადვილი არ გამოდგა ხშირად თავაშვებული, უდისციპლინო პარტიზანების—რეგულიარულ ნაწილებთან გარდაქმნა. უდიდესი ბრძოლა და ენერჯია

შეიქნა საჭირო ამისათვის. და აი ამ საქმეში,—ჩვენი დაქსაქსული რაზმების რეგულიარულ ნაწილებად გარდაქმნის საქმეში—უდიდესი როლი ითამაშეს სამხედრო კომისრებმა, პარტიის თვალებმა შეიარაღებულ ძალაში. უდიდესი ენერჯით და თავდადებით იბრძოდნენ სამხედრო კომისრები—რაზმების შეგნებულ ელემენტებთან ერთად—ამ პროცესის რაც შეიძლება ჩქარი და უმტკივნეულოდ დაბოლოებისათვის.. ხშირად მათ წინააღმდეგ იყვნენ არა მარტო რაზმის უბრალო წევრები, არამედ უფროსებიც, არა ერთხელ და ორხელ—საუკეთესეს სამხედრო კომისრები მსხვერპლი ხდებოდნენ თავის მოვალეობის, ერთ ასეთ ეპიზოდს უნდა შევხვდეთ შემთხვეული მოთხრობა...

„Это была упорная и жестокая борьба между старым и новым, между выросшей в черноземных полях партизанской стихий и вылавленной жарких вогранках, окрепшей на железнодорожных путях, разумной классово-волей. За старое боролся весь полк во главе с командиром Семенчуком, за новое—комиссар полка Челноков“.

ძნელია ასეთ პირობებში ბრძოლა. ერთის მხრივ თავაშვებული სტიქია—რომელსაც მხარს უჭერს ოფიციალური ძალა-უფლებების წარმომადგენელი პოლკის უფროსი სემენჩუკი,—მეორე მხრივ—თავდადებული, გაბედული მაგრამ მარტო ერთი—კომისარი ჩელნოკოვი. დაუფიქვარია მოთხრობაში ის სურათი, როდესაც ჩელნოკოვი—მარტოდ-მარტოდ იბრძვის მთელი პოლკის წინააღმდეგ, — არ დასტოვონ და გააწიშვლონ ფრონტის ის ადგილი, რომელიც ამ ნაწილს უკავია. ჩელნოკოვი მარცხდება. პარტიზნებს არ ესმით მისი. უკანასკნელი იმედი პოლკის კომანდირზეა. ჩელნოკოვიც მიმართავეს მას. მაგრამ, —სემენჩუკი არ დაუჭერს მხარს. ისინიც სხვებიანათ. პოლკი მიატოვებს ფრონტს. ჩელნოკოვი მარტო რჩება. შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ყველა ეს სემენჩუკები და მისი რაზმელები რევოლიუციის მტრებია, მოლაღატენი, არა თვით ავტორი ამბობს:

„ჩელნოკოვს რომ ქონოდა სურვილი და შესაძლებლობა უფრო ღრმად და დაკვირვებით ჩაეხედა მათში, ის იმ დასკვნამდე მივიდოდა, რომ ყველა ეს ადამიანები, რომლებმაც მიანებეს ფრონტს თავი, რევოლიუციის მტრები ან გამყიდველები არ არიან. ჩვენ ვიცით, რომ დაბოლოს,—როდესაც წესრიგმა და დისციპლინამ მაინც თავისი გაიტანა,—ყოფილი პარტიზანები საუკეთესო წითელ-არმიელები დარჩნენ. შემდეგმა ბრძოლებმა ნათელი გააადგინა ის ფაქტი მათთვისაც, რომ პარტიზანული მეთოდებით ბრძოლებისა შორს ვერ წახვალ; განა ფაქტი არ იყო ის, რომ 10 ათასი იხევდა უკან უწესრიგოთ იაპონელთა ერთი გუნდის წინაშე“.

მოთხრობაში განსაცვიფრებელი სიუხადით არიან დასურათებული ჩელნოკოვის და სემენჩუკის გარდა, ფრონტის კომისარი სობოლი და გემი „პროლეტარის“ უფროსი და ხელმძღვანელი ნიკიტა სელენევი. სობოლი, ჩელნოკოვი, სელენევი—აი ის ადამიანები, რომლებმაც გადაიტანეს თავის ზურგზე—მთელი სიმძიმე წითელი არმიის რეგულიარულ ნაწილების შექმნისა... ბრძოლა სწარმოებდა მძიმე პირობებში, მაგრამ გამარჯვება აუცილებელივ საჭირო იყო და მათაც გაიმარჯვეს.. ეს იყო გამარჯვება რევოლიუციისა.

ბაბულთან და ესეოლოდ ივანოვთან ერთად—ა. ფადეევი საუკეთესო მხატვარია ჩვენი რევოლიუციის იმ გმირულ ხანის, როდესაც ტყვიით და ხმლით, ხშირად კი ნაჯახით და კეტით წყდებოდა რევოლიუციის ბედი.

ფადეევი ახალგაზრდა მწერალია. მისი მხატვრული ოსტატობა დამტკიცებულია. გზაც სწორი აქვს მას არჩეული: რევოლიუციონერი რეალიზმი. მასწავლებელიც კარგი: ხელოვანი ტოლსტოი. ასეთი მარაგით მას შეუძლია თავისი საკუთარი, მტკიცე და პატივსაცემი ადგილი დაიკავოს ახალ რუსულ ლიტერატურაში.

**სულხან საბა ორბელიანი—სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის რედაქციით.**  
გამომცემლობა „შრომა“, ტფ. 1928 წ., გვ. CCXIV+239 in 8<sup>o</sup>.

დასახელებული წიგნი, რომლის გამოცემა შესაძლებლად გახდა გამომცემლობამ „შრომა“, ექვს გარეზე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დადებით მოვლენას მიმდინარე წლის ქართულ საგამომცემლო საქმეში. მნიშვნელობა ამ წიგნის აღინიშნება არა მარტო იმით, რომ ჩვენს საზოგადოებაში, როგორც ძველი მწერლობის ნაწარმოებთა კვალიფიციურ მკითხველთა შორის, ისე ფართო მასსაში, უკვე დიდი ხანია არსებობდა აღორძინების ხანის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოების „სიბრძნე სიცრუის“ კარგად გამოცემულ ტექსტის მოთხოვნილება, არამედ იმითაც, რომ წიგნს წინ წარმძღვარებული აქვს ტექსტის რედაქტორის გიორგი ლეონიძის ფრიად ვრცელი წერილი—გამოკვლევა თვით საბა სულხან ორბელიანის (ანუ ორბელიანის) შესახებ. ტექსტი მოცემულია ფართო მკითხველისთვის მისაღები სახით და თავიდან აცილებულია სხვადასხვა ვარიანტების პედანტური ჩვენება, რაც წიგნს უთუოდ დაამძიმებდა და არაერთად კი მას, თუ მივიღებთ მხედველობაში სიბრძნე სიცრუის ტექსტის ზოგად ხასიათს, ბევრს არაფერს შემატებდა. ცალკე არაკების სათაურები (ეს სათაურები თვით საბას არა აქვს და შედგენილია რედაქტორის მიერ) წარმოდგენილია სრულიად დამაკმაყოფილებლად. საერთოდ ტექსტი რედაქტორულ მუშაობის მხრივ კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს.

ძლიერ საყურადღებოა რედაქტორის მიერ წარმოდგენილი ვრცელი მონოგრაფიული წერილი საბა სულხან ორბელიანის და მისი სიბრძნე სიცრუის შესახებ. მონოგრაფია შეიძლება გაყოფილ იქნას ორ ნაწილად. პირველ ნაწილში (გვ. I—CLXIII) მოცემულია საბას ვრცელი ბიოგრაფია, ძლიერ კარგად დამუშავებული. მონოგრაფიის ამ ნაწილის შინაარსს ცხადყოფს მასი ცალკე თავების სათაურები (რომელიც, აღბად შემთხვევით, სარჩევში არაა მოცემული): ორბელიანების გვარი; საორბელიანო, (საბას) დაბადება და აღზრდა, სულხან ორბელიანი—სახელწოდება მოღვაწე, სულხანი მემბოხე ერეკ-

ლე—ნაზარალიხანის წინააღმდეგ, საბა—განდევნილი და ვით გარეჯის ნათლისმცემელში; ქადაგებანი და მოძღვრებები; უკუაღიკე. საბა—გაბტანგ VI-ს უკუაღიკე; დიპლომატი; მოგზაურობა ევროპაში. საბას განდევნა სანეფო კარიდან ბოლო წლები; რუსეთში გადასახლება; სიკვდილი.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი შეიცავს სიბრძნე სიცრუის ვრცელ კრიტიკულ განხილვას (როლის დაიწერა სიბრძნე სიცრუისა, შინაარსი სიბრძნე სიცრუისა, ორიგინალურია თუ არა სიბრძნე სიცრუისა).

მონოგრაფიის დადებით ღირსებას შეადგენს კერძოდ საბას ბიოგრაფიის გამოკვლევის და შედგენის დროს ისტორიულ-კულტურულ არეს და ფონის მიმართ მთავარი ყურადღების გადატანა, რაც ასე საჭიროა თანამედროვე პიროვნების (ამ შემთხვევაში საბას) ისტორიული როლის გასარკვევად და რასაც ჩვენში, ჩვენებურ კვლევა-ძიების დროს, ასე ცოტა ყურადღება ექცევა<sup>1)</sup>. გ. ლეონიძეს ამასთანავე საბას ცხოვრების და განსაკუთრებით საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობის დახასიათების დროს ფრიად ვრცლად და არსებითად სწორად აქვს მოცემული იმ კულტურული პირობების განხილვა, რომელშიდაც უზღებოდა საბას თავისი გიგანტური ნიჭის არც თუ ყოველთვის გაშლით არამედ ხშირად შეზღუდვით წარმოჩენა. ქართლის ამდროინდელი ფეოდალური წრეების საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ცალკე ნორმები გ. ლეონიძეს ძლიერ კარგად აქვს გადმოცემული. მკითხველის წინ იშლება მკაფიოდ ასხმული სურათი ფეოდალურ საზოგადოებაში მიღებულ და აღზრდის, სწავლა-განათლების, ზნე-ჩვეულების, კერძოდ ორბელიანების და შაჰნავაზიანთ სახლში. ფეხ-მოკიდებულ კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციების და სხ. საბა-სულხანის, როგორც თავისი დროის ქართულ მეცნიერულ და ლიტერატურულ შემოქმედების ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელის წარმოჩენა მონოგრაფიის ავტორს

1) მაგალითისთვის შეიძლება დასახელებულ იქნას ამ ანლო ხანებში „ქართული წიგნის“ მიერ გამოშვებული საბა-სულხანის ლექსიკონი, წინად განსვენებულ პროფ. ი. ყიფშიძის მიერ დამუშავებული და ენლა პროფ. აკ. შანიძის მიერ გამოცემული. წიგნს არ აქვს წარმძღვარებული არავითარი გამოკვლევა საბას შესახებ. რედაქტორი ა. შანიძე დაკმაყოფილებულა ძველს ხელნაწერებში საბას შესახებ მოთავსებულ მხოლოდ მოკლე ქრონოლოგიურ ცნობების დაბეჭდვით.

სამართლიანად აქვს შაჰნავაზიანთა და ორბელიშვილების კულტურულ წრესთან დაკავშირებული. ამ წრეში წარმოიშვა აღორძინების ხანის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეების მთელი რიგი: პოეტი არჩილ მეფე, სჯულმდებელი ეახტანგ ბატონიშვილი (შემდეგ მეფე) და სხ. ავტორი აგრეთვე ნახს უსვამს დასახელებულ ხანაში თვით ორბელიშვილების ოჯახის მაღალ კულტურულ ღირებულებასაც (ეახტანგ ორბელიშვილი—საბას მამა, საბას ძმები—პოეტი დემეტრე, სასულეირო პოეტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ტფილელელი, კალიგრაფი ზოსიმე და სხ.). ასეთს წრეში წარმოიშვა და განვითარდა საბა-სულხანი—სწორ-უპოვარი ქართველი ლექსიკოგრაფი, რომლის ბადალი ქართულ მეცნიერებას აქამდის არ გამოსჩენია, ავტორი იმავე დროს ზნეთ-სწავლულების ისეთი მშვენიერი წიგნის, როგორც არის სიბრძნე-სიორუისა.

მონოგრაფიას ზოგიერთ შემთხვევაში ახასიათებს წერილმანი შენთხვევითი შეცდომები (მაგ. საფრანგეთის მეფის ლიუდოვიკ XIV-ს წოდება იმპერატორად, ქართლის მეფის წლიური შემოსავალი ქართლიდან ნაიჭიერთა 70 ათ. მან. უნდა იყოს 25 ათ. მან. და ნარჩენ 25 ათ. მან. მეფე ლებულობდა სპარსეთიდან და ზოგი სხვა, მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელო წერილმანი და სრულებით არ არღვევს საერთო შთაბეჭდილებას დაკვირვებით და ცოცხლად დაწერილ მეცნიერულ თვისებათა მქონე სერიოზულ მონოგრაფიისას.

წიგნს თანდართული აქვს კარგად შედგენილი ლექსიკონი და ტექსტის ინდექსი. წიგნის ნამდვილ შემკულობას წარმოადგენს თანდართული ძველი თანადროული სურათი საბასი და ეახტანგ სჯულმდებლისა, ფერადებით ძლიერ კარგად შესრულებული.

ს. კაკაბაძე.

**ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. ტომი VIII. ტფილისი 1928 წელი. უნივერსიტეტის გამოცემა, გვ. 425.**

წინამდებარე კრებულის მერვე წიგნი გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მეათე წლის თავზე. ბევრ სხვა მაგალითთან ერთად ეს კრებულებიც მაჩვენებელია იმ დიდი მეცნიერულ შემოქმედებითი მუშაობისა, რომელსაც ჩვენი ჯერ კიდევ ახალგაზრდა უნივერსიტეტი ეწევა.

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ არ არის რომელიმე განსაზღვრულ მეცნიერულ ან და რომელიმე სხვა პრინციპზე აგებული ჟურნალი. ის დამოუკიდებელ მეცნიერულ ნაშრომთა კრებულს წარმოადგენს. ამიტომ ამ კრებულის სხვა და სხვა ტომებში ვნახულობთ გამოკვლევებს ცოდნის მრავალი დარგიდან; შედიცნით დაწყებული და ფილლოლოგიით გათავებული—მეცნიერების თითქმის ყველა განშტოება არის აქ წარმოდგენილი. სარეცენზიო მერვე ტომი იხსნება ს. ს. აყვარელიძის შრომით: „ადამიანის ნაყოფის კოლინჯის ეპითელიუმისა და კუნთოვანი გარსის მორფოლოგიისათვის“.

ამას მოჰყვება განსვენებული დოცენტი ნ. იოსელიანიძის გამოკვლევა: „მასალები თუშური ცხვრის ფენოანალიზისათვის. ფენოანალიზი ეწოდება რომელიმე ჯიშის ყოველმხრივ შესწავლას. თუშური ცხვრის ფენოანალიზს განსვენებული

მკვლევარი იწყებს მატყლის თვისებების ექსპერიმენტალური და ლაბორატორიული შესწავლით. ეს გამოკვლევა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმას, რომ ნ. იოსელიანიძის თავის საქმის უაღრესად მკოდნე ახალგაზრდა მეცნიერი და მისი დაკარგვა ძნელი იყო არამც თუ უნივერსიტეტისათვის, არამედ ჩვენი ახლად აღორძინებული მეურნეობისათვისაც.

აქვე მოთავსებული კორ. კეკელიძის ისტორიულ ბიბლიოგრაფიული ნაშრომი: „უცხო ავტორები ძველს ქართულს მწერლობაში“, რომელიც შეიცავს 105 გვერდს და სრულ ბიბლიოგრაფიულ ცნობას იძლევა იმ 173 უცხოელი ავტორის ნაშრომთა შესახებ, რომლებიც ან პირდაპირ უთარგმნია ჩველ ქართულ მწერლობას ან და არა პირდაპირ გამოუყენებია, უდიდეს ინტერესს წარმოადგენს.

გ. გამყრელიძის პატარა წერილი: „ად. სმითი საფინანსო მოძღვრება“ აქ მოთავსებულია ბურჟუაზიული პოლიტიკონომიის კლასიკური ნაშრომის ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრის“ გამოსვლიდან 150 წელის შესრულების გამო.

გ. ნათაძეს თავის წერილში „ნაპოვლეონ



პირველის დაწინაურების მიზეზები, — მიზნათ და-  
უსაბავს ისტორიული მეცნიერების ერთი უდი-  
დესი პრობლემის მოგვარება, სახელდობრ პირო-  
ვნების როლის და მოქმედების საზღვრების ის-  
ტორიაში. საერთოდ გ. ნათაძე შემდგარა იმ  
სწორ გზაზე, რომლის მიხედვით გმირული პირო-  
ვნებები კი არა ქმნიან ისტორიას, არამედ  
განსაზღვრულ ეპოქის ეკონომიური და სოციალ-  
პოლიტიკური პირობები, რომ ისტორია ობიექ-  
ტიურ ძალთა მსვლელობას ემორჩილება და არა  
მომქმედი სუბექტების ინდივიდუალურ ძრავებს  
და სურვილებს. მაგრამ ამ სწორი თვალსაზრი-  
სის იტით წაყვანა, რომ ნაპოლეონს ძველევარმა  
წაართა ინდივიდუალური გენიალობის უნარი (რა-  
საც ნაწილობრივად სცდილობს ავტორი) ისტო-  
რიულ პრობლემათა კომპლექსის სუსტს ჯაგებას  
ნიშნავს.

ვარ. უზნაძის წერილი შეიცავს ლაბარა-  
ტორიული ცდების საინტერესო შედეგებს ჩვე-  
ნებური რძის ქიმიური შემადგენლობის შესახებ.

ბ. ყავრიშვილი თავის გამოკვლევაში:  
„თრიალეთის მხარისათვის“ — იძლევა თრიალეთის  
გეოლოგიური შესწავლისათვის საჭირო მასა-  
ლებს.

ა. ლ. ბარამიძეს ეკუთვნის წერილი „რუს-  
სუდანიანის ლიტერატურული წყაროები“. ავტორი  
იჩენს საკითხის მშვენიერ ცოდნას.

ი. კაჭარავა რაჭის გეოლოგიის შესახებ იძლევა  
მოზრდილი ხასიათის ნაკვლევს.

ამათ მოჰყვება ორი წმინდა ფილოლოგიური  
ხასიათისა და მნიშვნელობის ნაშრომი, პირველი  
ამათგანი ეკუთვნის ვარ, თოფურისს „კვლავ უმ-  
ლაუტისათვის სვანურში“ ნეთრე-ცე ცნობილ  
ავსტრიელ მეცნიერს პუტო მუხარდტს,  
შუბარდტის ნაკვლევებს სათაურია: „შენიშვნები  
ქართული ნელნაწერების შესახებ“ (გერმანულ  
ენაზე). მიუხედავად იმისა, რომ ეს „შენიშვნები“  
მის ავტორს დაუწერია ამ ოცდაათი წლის წი-  
ნედ, ის ქართული ენათმეცნიერებისათვის (რო-  
გორც ამას პროფ. აკ. შანიძე გვარწმუნებს) დღე-  
მდე თვალსაჩინო ინტერესს წარმოადგენს.

დასასრულს „მოამბის“ ამ ტომში მოთავსებულ-  
ლია ორი ღირსშესანიშნავი გამოკვლევა. პირველი  
ეკუთვნის გ. ნ ა მ ე ი შ ვ ი ლ ს: „იურიდიული სუ-  
ბექტი“, მეორე კი ლ. გ. ო. კ. ი. ე. ლ. ს.: „სიმრავლე-  
თა თეორიის წინააღმდეგობანი“, განსაკუთრე-  
ბით ეს უკანასკნელი ნაშრომი, რომელიც  
ეხება თანამედროვე მათემატიკის უძირითადეს  
და უდიდეს პრობლემას გ. კანტორის სიმრავლე-  
თა თეორიის მონუმენტალურ შენობაში აღმო-  
ჩენილ წინააღმდეგობათა პრობლემას, იჩენს სა-  
კითხის სრულეს ცოდნას და საკმაო გონება მახ-  
ვილობას.

კრებული გამოცემულია სუფთად, თუმცაღა გა-  
მოცემის ტექნიკის გადაზაღისება და სათაურე-  
ბისათვის უკეთესი შრიფტის შერჩევა სასურველი  
კი იქნება. ქალაქი კარგია.

გან.

რედაქცია: { მის. კაციანი  
                  ა. მიქაძე  
                  ს. მამულაია  
                  გ. ბუშაშვილი  
                  ს. ელი

# 1928 წ. შურნ. „მნათობში“ დაბეჭდილი მასალები

## პ რ ი მ ე რ ი

1. ა. აბაშელი: 1) „პოეტის გული“ № 5—6. 2) „მამის/სიკვდილი“ № 11—12.
2. კ. ბობოხიძე: „\* \* \*“ (ლექსი) № 7.
3. ვ. გაბესკირია: 1) „მოხუცი“ № 1. 2) „დღეებ-სოფლად“ № 2. 3) „ტრაქტორი“ № 10. 4) „მაშინ გავაქცეე მოწოლილ გზნებას“ № 7. 5) „სოფლად“ № 11—12.
4. გ. გუგუნივა: 1) „გამგზავრება სამშობლოში“ № 11—12.
5. ს. ეული: „ულენინოთ“ № 1. 2) „ზღაპარი და სინამდვილე“ № 10.
6. ი. ვაკელი: 1) „ლექსი ტფილისზე“ № 5—6.
7. ნ. ზომლეთელი: 1) „ძღვეის შუქურა“ № 1. 2) „ოქტომბრის დარაჯი“ № 2. 3) „ფერების ფონზე“ № 3. 4) „ოქტომბრის ვეფხვი და ქარიშხალი“ № 5—6. 5) „ჩვენი გზა“ № 7. 6) „ოქტომბრის გზაზე“ № 10. 7) „ზღვის პლიაჟი“ № 11—12.
8. იასაძანი: 1) „სამეგრელოში“ № 7.
8. კ. კალაძე: „ამხ. ლენინი“ № 1.
9. კ. ლორთქიფანიძე: 1) „პროვინციალური ლექსები“ № 1. 2) „საჩივარი“ № 2. 3) „მეზობელი“ № 3. 4) „ლექსი“ № 8—9. 5) „საოქტომბროთ თქმული ლექსი“ № 10. 6) „მადლობელი ვარ იორო“ № 10.
10. ი. მოსაშვილი: 1) „თანამედროვე პოეტებისადმი მიწერილი“ № 8—9.
11. ვ. რუხაძე: 1) „მიწავ დაგვნებდი“: 2) „ტყის ძმები“ № 7—9.
12. ნ. თარიშვილი: „შორიდან“ № 5—6.
13. კ. ფეოდოსიშვილი: 1) „ამხ. ბეზიმენსკის“ № 3.
14. გ. ქუჩიშვილი: 1) „სტუდენტების სიმღერა“ № 3.
15. გალ. ტაბიძე: 1) „ეპოქა“ № 5—6, № 7, № 8—9, № 10 და № 11—12.
16. ტიციან ტაბიძე: 1) „მონანიება კი არის სადა“ № 1. 2) „პოემიდან თვრამეტი წელი“ № 2.
17. გრ. ცეცხლაძე: 1) „ტფილისი“ № 3.
18. ს. ჩიქოვანი: 1) „სამოქალაქო ომებიდან“ № 2.
19. კ. ქურული: 1) „თქმულება შამილზე“ № 3. 2) „გორკი“ № 4. 3) „მეწყერი“ № 7. 4) „ლაშქრული“ № 10. 5) „წიკლაურის სამშობლოში“ № 11—12.

## პ რ ი მ ე რ ი

1. ბანოვანი: 1) „სამართალს სისხლით მოვძებნი“ № 5—6, № 7 და № 8—9.
2. კ. გამსახურდია: 1) „ლილ“ № 3.
3. ა. ერისთავ-ხოშტარია: „სალი“ № 10 და № 11—12.
4. სტ. ქასრაძე: 1) „მეჯინიბე“ № 1 და № 2. 2) „მებაღურთ უბანი“ № 8—9.
5. ნიკოლორთქიფანიძე: 1) ბილიკებიდან ლიანდაგზე № 8—9, № 10 და № 11—12.
6. ნ. მიწიშვილი: „ალექსანდრია“ № 11—12.
7. ა. პაპავა: 1) სპირიდონის ვასაქირი“ № 1, № 2, № 3.

8. ი. ტატიშვილი: „მოსარეცხე“ № 2.
9. დ. შენგელაია: „პორტში“ № 10.
10. თამარ ჩერქეზიშვილი: „შია“ № 1.
11. გიორგი წერეთელი: „გულქან“ № 5—6, № 7, № 8—9, № 10.
12. ა. ქუმბაძე: „მოსისხლენი“ № 5—6.
13. მიხ. ჯავახიშვილი: 1) „გივი შადური“ № 1, 2) „ქერდი“ № 2.
14. ჯ. ჯორჯიკია: „რეჟიმის შვილები“ № 1, № 2, № 3.

თარგმნილი ლიტერატურა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

1. ლ. ანდრეევი: „ცხენი სენატში“ № 7.
2. გ. დანილოვსკი: „ბრძოლა და სიყვარული“ № 2.
3. მ. გორკი: 1) „არტამონოვების საქმე“ № 4, 5—6, 7, 8—9, 10, 11—12. 2) „ქარიშხალი“ № 4. 3) „ფერია“ № 4. 4) წიგნიდან „მოგონებანი“ № 4.
4. ბ. ლავრენიევი: „რღვევა“ № 3.
5. ნეკრასოვი: „სამშობლო“ № 2.
6. რომანოვი: 1) „ვარესკლავები“ № 1. 2) „არაბული ზღაპარი“ № 3.
7. ე. სინკლერი: „ქადაგის ძღვევა“ № 1, № 2.

კრიტიკა, მხატვრობა, კულტივიზაცია

1. ს. აშაღლობელი: „მაქსიმ გორკი ადამიანის ძიებაში“ № 4.
2. ვ. ბახტაძე: 1) „კრიტიკული შენიშვნები: ბაბელი“ № 1. 2) „პილნიაკი“ № 3. 3) „მ. გორკი“ № 4. 4) „ერენბურგი“ № 5—6. 5) „სადღეისო საკითხები ლიტერატურაში“ № 7. 6) „ტოლსტოი“ № 8—9. 7) „ანდ. სობოლ“ № 10. 8) „ა. ფადეევი“ № 11—12.
3. ვ. გ—ლი: „ნეკრასოვი“ № 2.
4. მ. გორკი: „განდიდებულთა და „დამწყებთა“ შესახებ“ № 5—6.
5. კალაძე: „ქართული პროლეტარული მწერლობა“ № 7 და № 8—9.
6. მ. კახიანი: 1) „კულტურული რევოლუციის საკითხები“ № 1. 2) „იდეოლოგიურ ფრონტზე“ № 7.
7. კ. კეკელიძე: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ № 2.
8. გ. ლეონიძე: „ივანე მაჩაბელი“ № 1, № 4, № 5—6.
9. ფილ. მახარაძე: „ქართ. მწერლები და კულტურული რევოლუცია“ № 4.
10. გ. მუშიშვილი: „პროლეტარული მწერლობის დასაცავად“ № 8—9.
11. კ. ორაგველიძე: „ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარება“ № 5—6, № 8—9, № 10.
12. მარ. ორახელაშვილი: „პოკროვსკი როგორც საბჭ. განათლების მოღვაწე და ხელმძღვანელი“ № 10.
13. ა. ოჩიაური: „თეთრი საყელო და ხევსურეთი“ № 3.
14. შ. რადიანი: 1) „სიმბოლიზმი საქართველოში“ № 2. 2) „გალ. ტაბიძე“ № 8—9.
15. გრ. რობაქიძე: 1) „მ. გორკის თვალი“ № 4. 2) „ევრ. თანამედ. ლიტერატ.“ № 5—6. 3) „პისკატორის თეატრი“ № 7. 4) „ტოლსტოის დღეები“ № 8—9 და № 10.
16. პოლონსკი: „ლენინი ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ“ № 1.
17. პლ. ქიქოძე: „ქართული მწერლობის ერთი წელი“ № 1, № 3.

18. გ. ს—ლი: „საქართველოს ოქტომბერი“ № 2.
19. ვ. ხუროძე: 1) „იბსენი“ № 3. 2) „მ. გორკი“ № 4. 3) „ორისტილი“ № 5—6.
20. ს. ხუნდაძე: „ჩერნიშევსკის პოლიტიკა 60-იან წლებში“ № 11—12.
21. ილ. ქყონია: „ჩემი დღე და სოფელი“ № 8—9.
22. ა. ჯაბაძარი: „ზოგი რამ ალ. ყაზბეგის შესახებ“ № 2.
23. მ. ჯავახიშვილი: „ახალი სალიტერატურული საქართველოსათვის“ № 11—12.

**მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა**

1. კ. ბაქრაძე: „ქეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა“ № 1.
2. მოსე გოგიბერიძე: „ქ. კაუცკის ახალი ფილოსოფია“ № 8—9.
3. გ. ნანეიშვილი: „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“ № 3.
4. გ. ნათაძე: „პოკროვსკი როგორც ისტორიკოსი“ № 10.
5. შ. ნუცუბიძე: 1) „ზოგიერთი განმარტება“ № 1. 2) „მარქსიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ № 5—6.
6. ირ. სურგულაძე: „იურიდიული მეთოდოლოგიისათვის“ № 10.

**ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა უ ნ ი ა**

1. ს. ამ—ნი: ლ. ტოლსტოის—„აღდგომა“ № 8—9.
2. ვ. ბახტაძე: 1) ს. რემონიძის—„ადაშიანი“ № 8—9. 2) გლადკოვის „ცემენტი“.
3. გ—ლი: 1) ი. გრიშაშვილის—„ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ № 7. 2) როდზიანკო—„Крушение империи“ № 2. 3) ნ. ლორთქიფანიძის—„მრისხანე ბატონი“ № 1.
4. მ. გ. 1) „ტფ. უნივერს. მოამბე № VII“ № 1. 2) „საქარ. მუხეუმ. მოამბე“.
5. დ. გვახავა: „Большевик“ № 1.
6. ქ. გ. გიოთეს—„ფაუსტი“.
7. გრ. გიორგაძე: „საბჭოთა სამართალი“ № 1.
8. ს. დანელია: „წერილი რედაქციის მიმართ“.
9. ს. დ—ნი: 1) ვ. ხუროძის „ქართული ლიტერატ. თემატ. განხილვა“ № 3. 2) მარქს-ენგელსი: „Собрание сочинений“ ტ. I.
10. ეკონომისტი: „საქართველოს ეკონომისტი“.
11. მკითხველი: 1) „მ. გორკი: „გამოცემანი „შრომისა“ და სახელგამის № 4. 2) ლენინის—„იმპერიალ. როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“.
12. მო—ლი: „ვაჟა-ფშაველას ლექსები“ ტ. I.
13. მოსკოველი: ტალჰაიმერის: „Веден. диалект. матер.“ № 10.
14. მუშიშვილი: 1) „არიფიონი“ № 3. 2) „მაქსიმ გორკი“ № 4.
15. ონიაშვილი: „გაუგებრობა და უვიცობა“ (პასუხი კ. გამსახურდიას) № 5—6.
16. პლ. ქიქოძე: „მემარცხენეობა“ № 2 1928 წ.“ № 8—9.
17. ვ. ხუროძე: 1) „გრ. ორბელიანის ლექსები“ № 7. 2) „აკაკი წერეთელი.“ ტომი IV. № 10.
18. stahl: „პროლეტარული მწერლობა“ № 3.
19. დ. შენგელაია: ლ. ტოლსტოის—„ყაზახები“ № 8—9.
20. № №. „უნივერსიტეტის მოამბე“—VIII. № 11—12.

# უინაარსი

## მხატვრული ლიტერატურა



	გვერდ.
1. გალაკტიონ ტაბიძე—ეპოქა (პოემა) . . . . .	5
2. ნ. ზომბლეთელი—ლეღვა პლიაყზე . . . . .	11
3. ალ. აბაშელი—მამის სიკვდილი . . . . .	12
4. ვასო გორგაძე—მე და ციება . . . . .	14
5. ვარლამ ფურული—წიკლაურის სამშობლო . . . . .	15
6. ვიქტორ გაბესკირია—სოფლად . . . . .	17
7. გედეონ გუგუნავა—გამგზავრება სამშობლოში . . . . .	18
8. ნიკო ლორთქიფანიძე—ბილიკებიდან ლიანდაგზე (დასასრული) . . . . .	20
9. ნიკოლო მიწიშვილი—„ალექსანდრია“ . . . . .	58
10. გიორგი წერეთელი—გულქან (დასასრული) . . . . .	65
11. ანასტასია ერისთავ-ხოშტარია—სალი (დასასრული) . . . . .	100
12. მ. გორკი—არტამონოვების საქმე (გაგრძელება) თარ. ლ. ქიაჩელი . . . . .	147

## კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა

13. პროფ. შ. ნუცუბიძე—ჩერნიშევსკი როგორც მოაზროვნე . . . . .	185
14. სიმონ ხუნდაძე—ჩერნიშევსკის პოლიტიკა 60-ან წლებში . . . . .	209
15. მიხეილ ჯავახიშვილი—ახალი სალიტერატურო ქართულისათვის . . . . .	219
16. ვ. ბახტაძე—კრიტიკული შენიშვნები: ა. ფადეევი . . . . .	242

## ბიბლიოგრაფია

17. ს. კაკაბაძე—სულხან საბა ოლბელიანი: სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის რედაქციით . . . . .	250
18. გან.—ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე: . . . . .	251